




ლენინის ძეგლის პროექტი

ი. ნიკოლოძე



პრელუტარულ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



№ 2

ყოველთვიური სამხატვრო-სალი-
ტერატურო, სამეცნიერო ჟურნალი

თბილისი 1924 წელი



მასუხიხმვებელი რედაქტორები: { მ. კახიანი
ვ. ბახტაძე

გამდებელი: { საქართველოს კომუნისტ-
ბანათლების მთავარ-
მართველობა



პატრულის ლიტერატურა

ქ ა რ ი

I

1924

მ ლ ვ რ ი ე ქ ა რ ი

თოვლის მსარე,
ნისლიანი მთა და ბარი.
მოვიმხარი მისი გზები, სიცივე და მღვრიე დარი
ხარზე ხარი, სწრაფი, ჩქარი, მღელვარებათ ჩქეფდა ღვარი.
ტრიალებდა როგორც ფარი
შემოდგომის ჩქარი
ქარი.

მეფის კარი,
ნანგრევები, ნატახტარი;
მეფე ტყვეა; ტყვეა მეფის ამიძრბარი, სპასალარი.
აქეთ ქუჩა, იქით ჯვარი და დროშები გარი—გარი.
ისევ ქარი,
მღვრიე ქარი.

მოდის მტერი,
იკეცება ალყათ ჯარი.
ცხენზედ მჯდარი მწარედ ჰკივის მეომარი.
კანონადა მშობლიური და ღრუბელი შავად მდგარი.
ისევ ქარი,
მღვრიე ქარი.

მძაფრი ქნარი,
თქეში, მთელი ნიაგარი.
სული ძლიერ აფეთქების და სიცივე ჯადოქარი.
ისევ მძიმე პეტერბურგი და ამიდი ბობოქარი.
ისევ ქარი,
მღვრიე ქარი.



II

1908

ქარი არხევდა იტალიანურ ზოგის ხეს ტრიკოლისში

მოდის ახალი წელი
თოვლით მოსილი ღამე
მიწას ედება ცელი
ფანტასტიური რამე...

ღამით ფერდობებს ფიქრის
ესხა ღვარი და თქვეში
აწ პროპელლერი მიქრის
და ღუმელია ტყეში.

ამოზიდულო დილა,
მკრთალო დღიურო მთვარე!
ლურჯად ეღვარებს სილა
გაყინულია მხარე.

მე მეზმანება პალმა
შობის ხეებში რგული
ერთმა ბოროტმა რკალმა
მაზედ დაჰკიდა გული.

იგი ხე არის თალხის
მწარე მირონის ცხება
მშვიდობიანი ხალხის
მასზე ჰკიდია წყება.

გაწყდა მრავალი ტომი
გული რკინის და თუჯის,
მოდის მსოფლიო ომი
და კანანადა ქუჩის.



მოდის მედგარი გრდემლი
ცეცხლით, ტყვიით და რღვევით,
ვის არ უგრძვნია ცრემლი
შობის ხეების რხევით?

მიწა მოიცო აღმა,
თოვლიც მოვიდა თეთრი
ფანტასტიური პალმა,
დგას შემკობილი ცხედრით

სული ომებით ბოდავს,
სული სავსეა სისხლით,
კაცთა თვითეულ ცოდვას
ითვლის თვითეულ მისხლით

რა საჭიროა თალხი,
თუ უგულოდ და ძალათ
მშვიდობიანი ხალხი
დაემსგავსება ჯალათს?

ვისაც უნახავს ნისლი
და არ ჰქონია სახლი,
მას გულიდან ჩქეფს სისხლი
და სისხლს ულოკავს ძაღლი.

გაფითრებულო დილა,
გაფითრებულო მთებო,
ცას გადაცილდა ლილა
და ნისლიანი თებო.

III

1914



ქარი, მსოფლიო ომის მაუწყებელი

ეგდო კიბეზე ოქროს კანკელი,
ჩამავალი მზე ლურჯი ხელებით
და ღრიანკელი
ცად მიმავალი ცისარტყვლებით.

უდარაჯებდა ცელქი ბელურა
შურიან კატას ბოსტნის კარებთან:
სოფელს ეხურა
სალამოს ჩრდილი და მღუმარებდა.

ღროით აფრინდენ ხეზე ქათმები,
დაუცხოველი დაცხრა მერცხალი,
იდგენ ატმები.
გამოჩნდა კვარი და ნაპერწკალი.

გადაქცეული ცისფერ გრძნობებად
სალამოს ბოლი ბედნიერ სოფელს
ემშვიდობება...
ემშვიდობება ნაცნობ-მეზობელს,

ვიღაცამ ოდის გააღო კარი
უხელოდ, უხმოდ, სუნთქვა დამალა
ეს იყო ქარი,
ეს იყო მისი ბინდის ამაღლა.

და დავინახე: ახალი ზვარი,
მახლობელ სახლზე დამტყდარი კასრი.
ეს იყო მთვარე
მისი ნელი ფრთა და მშვიდი აზრი,

შარახე, ჩუმი ხეობის თავში
გვიან ტირილით მიდის ურემი
კითხულობს ბავში:—
საით მიდიან ჩვენებურები?



არც ნისლიან დღის, არც ამიდიან
ან უამილო გზის მოკრძალება...

საით მიდიან? —
კითხულობს ვერხვის აშრიალება.

სანათი ჩაქრა. დრო ეძებს ბინას,
ორი ასული — წევან წარბები.

შენ წყნარად გძინავს...
დაგცქერი, ვწუხვარ და მეხარბები.

მშვიდობით! იყო და აღარ არი
ბედნიერება გრძნობა-მდებელი:

დარეკეს ზარი
მსოფლიო ომის მაუწყებელი!

აჰა, მიფრინავს ჰაერში რაში
და მისდევს როგორც გველის სლიანი
მირაეს მირაეი
შეშინებული და ნისლიანი.

წაელენ სოფლები, მზე აღარ მოვა,
არ გააშუქებს დაღლილ თაობას,
ცხედრების გროვა
ცელის მიუწდომელ სანახაობას.

და უბოლოოდ გაზრდილი რიცხვი
ვით მეზღვაურნი ტალღათა შორის,
დაჰკივლებს რისხვით
და ეკვეთება ერთი მეორეს.

მაგრამ უეცრად იგრძნობს იარას,
და ახალ გრძნობას შეაშენდება
დაჰყრის იარაღს: —

შევერთდეთ, დროა... მოდის... თენდება!



IV

1917

ქარი, ამწევი ფარღის

სიკვდილის პირად ოდეს ვიქნები —
 მე ჩემს დემონებს
 ვსთხოვ, რომ დახურონ ყველა წიგნები
 სადაც არა ერთს გავიხსენებ ნანგრევ შენობას.
 მათ მხოლოდ ერთი ასწიონ ფარდა
 მზის დამფარავი,
 სადაც შენს იქით, სადაც შენს გარდა
 არ სჩანს არავინ.
 ერთი წამია ნგრევის შეგნება —
 წამი ღვარული,
 იქ სიბრაღული სულს არ ექნება
 არც სიყვარული.
 გონება ჩუმობს და ჯადოს ილექს,
 სხივს მომაკრძალებს:
 მხოლოდ შორეულ თოვლიან პილიკს
 მივაპყრობ თვალებს.
 მღვრიე ქუჩები, ხიდები,
 ნისლი, ზარები,
 ჩემს დაფიქრებას ხმაურობით
 ფარავენ მარად;
 იხტიოზავრის გაღვიძებას
 ესადარები
 ოდეს ქარები გრიანებენ:
 მსოფლიო, წყნარად!
 თმაგაწეწილი ორატორის
 მძაფრი ძახილი
 მიეშურება აღელვების
 ზღვად და სანუზად,
 ჯერარნახული, ჯერართქმული,
 ჯერარსმენილი
 ხმით გუგუნებენ მოედნები:
 მსოფლიო, ჩუმად!



ხმა იყოლიებს ტრიბუნებზე
 ამართულ ლანდებს
 უეცრად მასსის გადარევა
 ელვაზე ჩქარა
 შესძრავს პეტერბურგს, ასწევს ლავრებს,
 მანიფესტანტებს.
 აღფრთოვანება, გაგიეება,
 წყევლა, მუქარა
 ჩემს თვალწინ მიდის შელამების
 ელიზიუმად...
 წყნარად, მსოფლიო! წინ, მსოფლიო!
 მსოფლიო, ჩუმად.



V

1918

ქარი მოგონებათა

I

ავვისტო თბილი, სამხრეთის ქარი
შენს ლაყვარდოვან მანდილში ქროდა;
ისმოდა შორით რაშო-და-შოდა
და კრიალებდა მზიანი დარი
როგორც ოცნება უშორეს დროთა.

თითქო ქალწულმა პირველად სცოდა
და სინანულის დაგუბდა ღვარი —
ზღვა იყო წყნარი.

თითქო ფენობა ზურმუხტის რტოთა
ცის დასავლამდე უსიზმროდ მდგარი
უსმენდა ჩანგებს და მოელოდა;
შორს, ძალიან შორს მოსჩანდა ქარი.
მე შენ გკოცნიდი და გული თრთოდა...
ზღვა იყო წყნარი.

II

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს, რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ!
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს...
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველდროს, ყოველთვის, ყოველგან.
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის
ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის.



III

არა ერთი და ორი
 არა ორი და სამი
 მახსოვს ვარსკვლავი შორი
 და განათების წამი

შენ, გალაკტიონ, იცი
 რა დაუდევრად ჩქარა
 ქრება ქალების ფიცი
 წყნარად იარე, წყნარად.

და მეგობრული ვერსად
 ვერ გიპოვია თასი.
 კმარა, police verso!
 რაა სიცოცხლის ფასი?

მალალ აღვათა რიგნი
 მთვარეს მწერვალებს უბრის
 დახურულია წიგნი
 უკანასკნელი მწუხრის.

VI

1924

ქიმიურ საგნებთან

მე არ მოვდივარ
 ქალაქის ჰაერიდან
 შპალერებიდან, ან
 ვარიეტედან
 საბან-მოხურულო.
 მე მუდამ ახლო ვიყავ
 ასაფეთქებელ მასალებით
 საესე საწყობთან.
 მიყვარდა ყოფნა ქიმიურ საგნების
 მახლობლად
 სადაც ბორგავდა გაზი
 და ყველაფერი მზად იყო
 აფეთქებისთვის.
 არასდროს მარტო
 მე არ ვყოფილვარ
 ჩემს გვერდით იყო
 წვიმა და ქარი.
 ისეთ სიშორეში
 სადაც ვერ წვდება
 კვალდაკვალ მსრბოლი
 პროექტორიც-კი,
 ჩემთვის უცხოა:
 სად ყრია ეს ლეშები?
 საიდანა სდის გაბრწყნის ასეთი
 საზიზღარი სუნნი?
 მე არ მოვდივარ
 ქალაქის ჰაერიდან.



ს ა ნ ა ვ ა რ დ ო

ქარი მშვიდა

დაღლილი სისხლი

ყარამან გაოცებული იყო ბონდოს საქციელით.
ფიქრობდა და ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა.
რა ამოიკითხა მან გუჯუს თვალებში.
ცხენებს ოფლი დაასხა და მიირწეოდნენ ნელა.
რამდენიმეჯერ გადახედა შეილს...
უნდოდა გამოლაპარაკებოდა...
ერთ ეზოსთან მოსახლის ძაღლი მოასკდა ლობეს და ჰყეფდა გააღმასებული.
ბონდო გამოერკვა.
შეხედა მამას, საოცრად გაიღიმა და ისევ წავიდა ფიქრებში.
ხმა არ ამოუღიათ ისე მივიდნენ სახლში.
ბონდომ სადავე შეგებებულ ლიზიკიას გადასცა და გაეშურა თავის ოთახიშაკენ.
ნაშუადღევს მთელ ოდას ეძინა.
შარაზე ისმოდა პარასკეობიდან დაბრუნებულ ხალხის ყაყანი.
მოდიოდნენ ნავაქრით.
ზოგს ქოთნები მოჰქონდა, ზოგს ახლად მოპირული თოხი, ზოგს ბუბლიკები და ჩითი.
ქალებს აკარწახებული კაბა წელში გაერჭოთ, მოდიოდნენ ფეხშიშველი და ხელში წულეები ეჭირათ, რომ გზაში არ გაცვეთილიყო.
ყარამანმა ლიზიკიას ჭილოფი ეზოში ნიგვზის ქვეშ გააშლევინა, ცოტა ღვინოსაც ჰგრძნობდა თავში და მიეძინა. მზე უკვე გადახრილი იყო, როცა ბონდო ოთახიდან გამოვიდა.

პირი დაიბანა და დიდხანს უყურებდა როგორ სწველიდა ღიზიკია ფეხებ-
გაბიძგულ ძროხას.

რძე ძუნწად წკრიალებდა ქოთანში და მარგილსეში მობმულს ხბოს სული
მისდიოდა.

ძროხა რძეს იპარავდა და ღიზიკია მუშტს სცემდა ძუძუებში, რომ დამა-
ლული რძე გამოედინა.

ბონდო ეფერებოდა ხბოს, ჰკოცნიდა გონიერ თვალებში.

მერე თავი მიანება და გაბრუნდა ოდისკენ დედასთან.

მუსაიფობდა დედა-შვილი ტკბილად და ისე დაალამდათ რომ არაფერი
გაუგიათ.

ციცინოს მიეძინა.

ყარამან და ბონდო გავიდნენ აივანზე.

აივნის წინ დარგული მაგნოლიები და გორტენზიები ათრობდნენ ჰაერს
და ალვის ხეებს წვერი მიეხინათ ზეცაში.

ყარამან უცქეროდა შვილს და კრილოსანს სთვლიდა.

უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ვერ ახერხებდა.

მერე ყალიონს აბედი მისცა და გააბოლა.

ბონდოს მეტად უყვარდა აბედის სუნი და ღრმად სუნთქავდა ჰაერს.

ისხდნენ და უცქეროდნენ ღამეს, სანამ ღიზიკიამ ვახშამზე არ მიიწვია.

შევიდნენ დარბაზში და დასხდნენ ვახშამად.

დაასხეს ღვინო და სუამდნენ.

ბონდოს იამა ტყემალში ჩაწყობილი შემწვარი ქათამი.

რამდენი ხანია არ უჭამია!..

კოლოები აპუტუნდნენ ჭრაქის ირგვლივ.

ბონდომ დასცალა რამდენიმე ქათმა ღვინო ზედიზედ და გაელიმა.

გულს რაღაც მოეშვა, ხალეათობას ჰგრძნობდა და მომხიარულდა.

ყარამან აკვირდებოდა შვილს და ბონდომ უხერხულობა იგრძნო.

უნდოდა ეკითხა რათ უცქეროდა ასე, მაგრამ გადიფიქრა.

ქათმის ძვალს წუწნა დაუწყო მოუთმენლად, მერე მიაგდო გამოხრული
ძვალი და ჩაფიქრებული დაეყრდნო იდაყვით სუფრას.

— თქვენ მეტად უმადური ბრძანდებით თავადო ბონდო, მეტად უმადური!..

— რატომ კნიაენა?..

— მე თქვენ მოგართვით ბახჩისარაის პეისაგან ჩემთვის ნობათად გამოგზა-
ვნილი თურაშაული და თქვენ!.. — სთქვა კნიაენა ტრუბანოვამ კინიანად ფრა-
ნგულ კილოთი და ტირილი აუტყდა.

ბონდო: ინით შეღებულ წვერებით.

კიპარისებში დამირული ბახჩისარაი და ჰარამხანის შავგვრემანი
ქალები თრთოდნენ ბეის ონავარ და ვნებიან მკლავებს მოწყურე-
ბულნი. მას არ შეუძლია აიტანოს ქალის ცრემლები და ამბობს

მუდარით:

— ნუ, კნიაენა, ნუ!..

კნიაჟნა ათრთოლდა და ბონდომ სადღაც სიღრმეებში იგრძნო, რომ ქალი ალერსს სთხოვდა.

— ნუ, კნიაჟნა, ნუ!.. — ამბობდა იგი უაზროდ და წყნარად მოჰკვია: მისმა თითებმა იგრძნეს კორსეტ ქვეშ ქალის რბილი და საღებო სხეული. კნიაჟნა გაინაბა და ცრემლიანი თვალები მადლიერად შეანათა თვალებში. ბონდოს სისხლი აუვარდა თავში...

ოთახი ატრიალდა ზევით და სულთქმაშეკრული, ნელა, ვნებით დაყურსული ეწვოდა ქალს თავისკენ.

სურვილიანი ტუჩები მოუთმენლად მოელოდნენ კნიაჟნას ათრთოლებულ ტუჩებს.

„რუხედა“ და ქალური სურნელება აბრუებდა მას.

კნიაჟნა უახლოვდება ტანდაყუდრული და, როცა ბონდომ იგრძნო სახეზე მისი სუნთქვა:

— თავადო ბონდო, თქვენ ღილი გაკლიათ საყელოზე!..

ბონდო გამოერკვა.

ანთებულმა მოსწია საკინძე და შემოხეული სახელო ესროლა ფერხთით.

კნიაჟნას მაღალ თათმანიანი ხელი იღო როკოკოს სტილის პატარა მაგიდაზე და ჰკანკალებდა.

ოო, როგორ სძულს მას ეს ქალი!..

თავადი ბონდო გამწარებული ემუდარებოდა ყალბად:

— მე თქვენ გაგიყვებით მომწონხართ, კნიაჟნა!.. —

და ვიღაც უზრდელის საყელო ეგდო სამარცხვინოთ იქ, კნიაჟნას ფერხთით.

კნიაჟნამ პატარა ხელები აასავსავა, რატომღაც გაშალა მარაო და გაიქცა.

კრინოლინის საპნის ქაფივით აშლილ აშიებში გამოჩნდა მისი ლამაზი და მაგარი ფეხები.

ბონდო დარჩა მარტო...

— რას აპირობ ახლა, შვილო?! — მოესმა საიდანღაც.

თვალები მოისრისა, — ხედავს მის წინ მამა ზის.

— რა სთქვი, მამაჩემო?!..

— რას აპირობ ახლა?!.. — განუმეორა ყარამანმა.

— არაფერს, მამაჩემო!.. რას უნდა ვაპირებდე?! — სთქვა მან ვაკვირვებით და ღვიწო დალია.

— მაინც?!.. არ ეშვებოდა ყარამან, — ცოლის თხოვას ხომ არ აპირობ?!.. შენ ახლა დავაყვაცებული ხარ, — დროა ოჯახს მიხედო!.. შენხელობაზე მე ოჯახის თავი ვიყავი!.. დედაშენი დღესაა და ხვალ არ იქნება, — ამას შენც ხედავ!.. არც მე შემძლია, — მოვხუცდი!.. — ამბობს ყარამან და თან ღვიწოს უსბამს შვილს.

ბონდო ჩაფიქრდა:

ცოლი...

ბონდომ ცოლი უნდა ითხოვოს...

რათ უნდა ითხოვოს მერე?..

იმიტომ რომ დედა დღესაა და ხვალ არ იქნება.

მამაც მოხუცდა.

მაგრამ ბონდოს მაინც არ ესმის, რატომ უნდა ითხოვდეს მანქანა...
 ბონდოს უყვარდა ბავშობისას ერთი ქალი...

ყოველ ღამე მოდიოდა მზეთუნახავი და რჩებოდა მასთან გათენებამდის.

პეტროგრადაში ნახა მან ერთი ქალი, მაგრამ კნიაჟნამ აასავესავა მაღალ-
 თათმანიანი პატარა ხელები, რატომღაც გაშალა მარაო და გაიქცა.

და კრინოლინის საპნის ქაფივით აშლილ აშიებში მოსჩანდა მისი ღამაზი
 და მაგარი ფეხები.

მის უდიდებულესობის საიმპერატორო კარის ფრეილინა კნიაჟნა ტრუბა-
 ნოვა გაჰყვა კირასირ გრაფ ვილიე დე-გრიფინს, თუ გრაფინს, ეს სულ ერთია.

მერე ბონდოს ჰკოცნიდა M-IIe ჭიჭი...

მიატოვა იგი პეტროგრადას გაათოშო კუნძულებზე და გამოიქცა.

ახლა ალბად მარტო სძინავს ამ სიცივეში M-IIe ჭიჭის და ძიგძიგებს ლო-
 გინში, ან და მეზღვაურებს უკლავს მიწის წყურვალს.

ისინი დღე და ღამე ზღვაში არიან გემზე და, როცა ხმელეთზე გადმო-
 დიან, საოცრად ირწვევიან (გემზე ჰკონიათ თავისი თავი), ფეხზე ვერ ჩერდებიან
 და M-IIe ჭიჭი აწვენს მათ თავის ლოგინში...

M-IIe ჭიჭი...

ირემი მთასა მყვირალი ეხეტებოდა ბარადა...

ვერ მოსტაცა ნოხს მზეთუნახავი...

მზეთუნახავი დგას ოცნებასავით თეთრი და ნაზი მოგრძო თვალებით...

ბონდომ გაშალა ხელები და უახლოვდება ქალს ფეხაკრეფით.

კედელზე მიკრულ ნოხს მიყრდნობილი მზეთუნახავი ელის ბონდოს მად-
 ლიერ თვალებით...

— ღმერთო, შენ მიშველე!.. წმინდაო გიორგი, შენ მომეხმარე!.. — ლოცუ-
 ლობს...

— ჩემო სიცოცხლე!.. ჩემო სიცოცხლე!..

მიდის ნოხისკენ ხელებგაწვდილი.

— რას შობი ბატონო?! — დაიძაბა ლიზიკიამ.

ბონდო გამოერკვა.

მზეთუნახავის მაგიერ ლიზიკია დგას კედელს ატმასნული უშნო და ბინძური.
 მობტუნდა დარცხვენილი და ხედავს ზარდაცემულ თვალებით მოჩერებულ
 მამას.

— რა დევმართა ბონდო?..

— არაფერი, მამაჩემო, არაფერი!.. — ამბობს იგი და ჯდება.

— ალბად, ღვინო მომერია!..

— ნუ დალევ შეილო, მერე ამდენს!..

ბონდომ ამოიოხრა, ხელი აგდებით აიქნია, დოქს წაჰკრა და კინაღამ წაიქცია.

— მეტს აღარ დავლევ!.. — სოქვა მან, შეხედა მამას და გაეცინა.

— ხომ არ გადირია!.. — იფიქრა ყარამანმა.

— რა გაცინებს ბონდო?..

— ცოლი ვითხოვო მამაჩემო, არა?.. ცოლი, ხომ მამაჩემო. ^{სტკვა მან} და შუბლი მოუთმენლად მოისრისა.

— რის მაქნისი ვარ მე?.. აბა შემომხედე!.. მშიშარა ^{მეჩინებულნი} და ^{დაჩივებულნი} იცი, მამაჩემო, მე მინდოდა ერთხელ ქვეყნის დახსნა, — ამისთვის საჭირო იყო რუსხემწიფის მოკვლა, მაგრამ შეშეშინდა!..

— რას ამბობ ბონდო!.. — დაიძახა შეშინებულმა ყარამანმა.

— ნუ გეშინია, მამაჩემო, დამშვიდდი!.. მე საკმაოდ მხდალი აღმოვჩნდი რომ ეგ ჩამედინა!.. მეშინოდა ღმერთის, მეშინოდა ჩემი თავის და რა ვიცი კიდევ რისი არ მეშინოდა!.. ვერ გავბედე და ასე ვათავდა ეს ამბავი!.. გადავწყვიტე რომ სისულელეა ყველაფერი და ამ საქმისთვის საჭიროა სხვა ხალხი!.. ახალ ქვეყანას ახალი ხალხი ჰქმნის!.. მე კი დაჩივებულნი ვარ!.. ჩვენ შეგვიძლია წავიდეთ!.. მოდის რკინისგზა და ჩვენ უნდა დავხუროთ მატრიანე!.. ახლა სხვები მოვლენ ჩვენ ადგილას, დაზიდულ ძარღვებითა და ახალი სისხლით, უგვარო ხალხი!.. ჩვენ წავიდეთ მამაჩემო და ძველი დიდებით შევიქციოთ თავი!.. ჩვენ ახლა მოხუცი ბერიკები ვართ!.. როგორ არის?.. მე ერთი ტირილი გამიგია ბერიკებისა ქალაქში!.. როგორ არის?.. ჰო:

„მღვდელმა ამიგო ანდერძი, წივანს კითხულობდა გრძელსაო,

„ბოლოს ლოცვა გაათავა, მიწას მაყრიდნენ ბევრსაო,

„მოვა ის გველი წითელი, მოიღერებდა ყელსაო,

„ჯერ ხომ გადამძოვს ულაშსა, მერე წვერს მიჰყოფს ხელსაო.

„მას უკან ვიწყებ დაშლასა, დავემსგავსები მტვერსაო“..

როგორ მოგწონს, მამაჩემო, ჰა?.. ხე!.. ხე!.. ხე!.. ტრა-ლა-ლა-!.. დავემსგავსები მტვერსაო!..

ყარამან უცქერის შვილს.

გადირია, ნამდვილად!..

თუ მთვრალია და ღვინო ალაპარაკებს?..

თვალეები ამღვრევია და თავს კისერზე ვერ იჩერებს.

რადაც რუსულ ბილწ სიმღერას ღიღინებს.

— ბონდო!.. დაუძახა ყარამანმა.

„ — Э-е-ех ты-да, су-у-кин сын, ка-а-маринская своло-очь!..

„за-а-ачем ты-и убил нашу калашницу-у!.. უპასუხებს იგი.

მერე შეჩერდა და სიცილი დაიწყო.

— ბონდო!.. — დაიძახა უფრო ხმამაღლა ყარამანმა.

ბონდო ისევ განაგრძობს.

მამამ არ იცის რა იღონოს, მაგრამ ბონდო ჩუმდება და არის პატარა ხანს წყნარად.

ყარამანს უნდა ღვინო დალიოს, ხელები უკანკალებს და კათხა ვერ აიღო.

— მამაჩემო!.. მამაჩემო!.. — დაიძახა უეცრად ბონდომ, ხელები ლოთურად აასავესავეა, წამოდგა გაბრწყინებულ თვალებით და იწყებს:

— მამაჩემო!.. ერთ ოქროსთნიან აღს შეუყვარდა ერთი წვივმაგარი გლეხი!..

ტყეში შეხვდა მას, შეუყვარდა და დანებდა ბალახებში.



ყოველ ღამე მოდიოდა მასთან და იწვნენ ხულის თავზე.

ფაინა ერქვა ალს და მისი ძუძუები ცხელ აფუებულს. ეკიდა მკერდზე.

მენჯი მისი განიერი იყო და ვნების გამაფიცებელი.

ოქროს თმებში ჰხვევდა გლახს ალი ფაინა.

გამდიდრდა ვლახი.

ოქროში და ვერცხლში იჯდა იგი და ცხოვრობდა თავის ცოლთან ბედნიერი.

და ერთხელ ალს, მთელი ღამის ტრფობით დაქანცულს, მიეძინა გლახის მკერდზე და თავს დაათენდა.

ეძინათ ორივეს.

ალ ფაინას თმები ჩამოიშალა ხულის თავანიდან, დაკვივდა მიწაზე და ძროხის ფუნაში დაისვარა.

ადრე ამდგარმა გლახის ცოლმა დაინახა ისინი.

თბილი წყლით გაუბანა ალს ოქროს თმები და ქმარს დააყარა.

გრძნეულმა ფაინამ შენიშნა ეს და გული ჩასწყდა.

მას მერე არ გაჰკარებია ამ ოჯახს.

წავიდა უბედური და თავისივე თვიურით მოიწამლა თავი.

დალია იგი და მოიწამლა.

— როგორია მამაჩემო, ა?.. ხომ მოგწონს, მამაჩემო!.. მე მწამს ალი ფაინა განიერი მენჯით და წვივმაგარი გლახი!..

ჩვენ კი: ექსორია!.. ექსორია!..

ყარამან სუფრაზე დაყრდნობილი უგდებდა ყურს გარინდებული.

მერე მდგომარეობა შეიცვალა და ღრმად ამოისუნთქა.

— ლიზიკია!.. — დაიძახა.

— რას მიბრძანებ, ბატონო?..

— ბონდოს ლოგინი გოუშალე!.. დაღალულია და მოსვენება უნდა!..

— ხე!.. ხე!.. ხე!.. რა კარგი ხარ შენ, მამა, რა კარგი!.. მე ალტაცებული ვარ შენით!.. დაღლილი ვარ, მამაჩემო!.. დაღლილი მგზავრობით!.. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ამოდენა გზა!.. მთელი ორი თვეა მოვჯახირობ!.. დაღლილი ვარ და მოვჯახირობ დაღლილი კაცი დაღლილი სისხლით!.. მერანდენე საუკუნეა მამაჩემო, რაც ჩვენი სისხლი სდის ძარღვებში?.. რას ამბობს ამის შესახებ საგვარეულო მატეიანე!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. დაღლილი ვარ და ვიცინი!.. ერთი კაცი, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, სქესობრივ ალტკინებაში მოვიდა სახრობელაზე!.. და გაეცინა კაცს კისერში თოკწაქერილს!.. ყაღმა აპატია მას დანაშაული, რამეთუ ძლიერი იყო მასში წყურვილი სიცოცხლისა!.. ნეც მეცინება მამაჩემო, მაგრამ მე არ მაპატიებს ყადი, რამეთუ მე ვიცინი ჩემს უილაჯობაზე!.. მე დაღლილი ვარ და უნაყოფოდ გავათავებ ჩემ სიცოცხლეს!.. მე ვარ ეინიანი, მაგრამ ბილწი და უთესლო. მე მიყვარდა ქალი პეტერბურგში და, როცა უნდა დამეთრო იგი ვნებით, მე ვერ შევძელ ეს და მან შემნიშნა რომ ღალი ნაკლდა საყულოზე!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. ასეთი ვარ მე, მამაჩემო!.. ხე!.. ხე!.. ხე!..

ყარამან გაფითრებული უგდებდა ყურს.

— მე მიველ დღეს გადარეულთან, ჩაებდე თვალებში და ვნახე/რომ იგი გადარეული იყო ჟინით!.. გუჯუ ლაბახუა მოიტანს 'შუმ ვნეჭყჩხენ გუჯუ ლაბახუამ უნდა გვიხსნას, თორემ არაა ჩვენი საშველი!..

ყარამანს მეტი არ შეუძლია.

წამოიჭრა.

— ადექი!.. — დაიყვირა მან რისხვის ცეცხლით ანთებულმა.

მეორე ოთახიდან მოისმა გამოღვიძებულ ციცინოს კენესა.

ბონდო შეკრთა.

ფერი ეცვალა.

ადგა კანკალით და დამნაშავე ბავშვივით გაჩერდა მის წინ.

ყარამანმა შეხვდა შვილს და ისე საბრალო და მორჩილი იყო იგი, რომ გულში რალაცამ ცხლად გაჰკაწრა და ხმას დაუწია.

— წადი, მოისვენე!.. — სთქვა წყნარად და ხელით კარები უჩვენა.

ბონდო დაიძრა.

გადადგა ნაბიჯი, შეყოყმანდა...

უეცრად მოტრიალდა და დაემხო მამის წინ.

ყარამანმა წამოაყენა და შუბლში აკოცა.

გალხვა ყინული, რომელსაც შვილისადმი ჰგრძნობდა.

— მაპატიე, მამა!.. — სთქვა ბონდომ წყნარად.

— რა შვილო?.. — შეეკითხა დაყუარებით.

— მე რომ ასე ვარ!..

— ღმერთი გაპატიებს!..

— შეიღობით!..

— ძილი ნებისა!..

ბონდო წალასლასდა ფეხების თრევით, ერთი ქურდულად შეხდა მამას და კარებს მიეფარა.

ყარამანს ისარივით მოხვდა ეს შემოხედვა.

ბონდოს ქურდული გიჟი თვალები არ შორდებოდა მის გონებას.

მწარე ტკივილით მოწვეტილი ჩაჯდა.

ციცინოს ოთახიდან კენესა მოისმოდა.

ღვინო დაისხა.

სვამდა ზედიზედ.

დაასხამდა, — დაღევდა და სვამდა ასე კარგა ხანს განუწყვეტლივ.

ფიქრები ბუზებივით აირია თავში.

კოლოები პუტუნობდენ კრაქის ირგვლივ.

ყალიონს მოუკიდა და გააბოლა.

ბოლი ზარმაცად გაწვა სუფრაზე და ღვინიან დოქს შემოეხვია.

ფიქრები აედევნა ბოლს.

ციცინო მოვიდა მასთან თეთრი და ახალგაზდა.

მკლავზე მძინარე ბონდო უსვენია.

მოვიდა მასთან და ყმაწვილი დედის მოსიყვარულე ~~სიამაყით~~ ^{ქრქვენი} შიერდნო მკერდზე და ტუჩები შეჰკრა ალერსიანმა კოცნამ.

ბონდოს სძინავს დედის მკლავზე პატარა ანგელოზივიტ ^{ქრქვენი} და უმანკოს. უეცრად ყარამანს რაღაც ფათური მოესმა, გამოერკვა.

წინ ისევ სუფრა და მოზუზუნე კოლოები.

მობრუნდა და ხედავს ღია კარებში:

ბონდო ღიზიკიას აკავეებს, ლოგინის გაშლას არ აცლის, ჰკოცნის და იცი-
ნის დორბლმორეული.

ყარამანმა თვალები მოისრისა: — ისევ ის სურათი.

წამოვარდა და უცქერის.

თმის ძირებში სიცივე შეიჭრა.

— გლები და ალი ფაინა!..


— თავადი და გომბიო ღიზიკია!..

— გლები და ალი ფაინა!..

— თავადი და გომბიო ღიზიკია!..

მოეშვა.

მხრები აიჩეჩა, გულზე ხელები დაიწყო და, თითქოს რაღაც ძვირფასს, და-
უფასებელ საუნჯეს იხუტებო. მკლავები მოუჭირა და ნული ბარბაციით გალას-
ლასდა გარეთ...



ქ ა რ ი მ მ რ ვ ი



ბონდოიე ბაღარეული

მეზობლები მოდიოდნენ ციცინოსთან ძღვნებით.
 ულოკავდნენ შვილის ჩამოსვლას და ამდენი ხნის ნატერის ასრულებას.
 ბონდო სტუმრებთან არ გამოსულა.
 ციცინო ბოდის იხდიდა რომ იგი ვერ ნახავდა მათ: —
 დაღლილი იყო შორეულ მგზავრობით.
 მასთან იშვიათად თუ ვინმე მოვიდოდა.
 ეშინოდათ სენის და, როცა ალაგებუ გადავიდოდნენ, ტანისამოსს გაიბერ-
 ტყავდნენ: სახლში არაფერი გაჰყოლოდათ.
 ამას ჰგრძნობდა ციცინო, მაგრამ არავის ამჩნევინებდა.
 მოსულები ფრთხილად იხდნენ და ცდილობდნენ მალე მოემიზებინათ
 წასვლა:
 სადილი იყო მუშებისათვის გასაკეთებელი.
 ბაეშს ძუძუს ჭმევა უნდოდა.
 თჯახი იყო უპატრონოდ დატოვებული.
 ქათამი იყო დასაპურებელი.
 მთელი ორი კვირა იყო ბონდო ჩაკეტილი ოთახში და ყარამან შიშობდა:
 არ ჩახუთულიყო გაგანია სიცხით გახურებულ ოდაში.
 საჭმელი ღიზიკიას შეჰქონდა და ხედავდა, რომ ბონდო კისრამდე წიგ-
 ნებში იჯდა.
 წმ. გიორგის ხატთან თაფლის სანთელი ენთო და რამდენჯერ შეესწრო
 მხურვალედ მლოცავს.
 ლოგინთან მუდამ გადაწლილი სახარება იდო.
 ღიზიკიამ არ იცოდა კითხვა და ეგონა რომ ყოველი მსხვილტანიანი წი-
 გნი ან სახარება იყო ან და დავითნი.
 მაგიდაზე ეწყო ძველი ხელთნაწერი წიგნები და ქალაღდები საგვარეულო
 წიგნთსაცავიდან: კარაბადინი, ეფუთი, მარხვანი, სამთვარიო, წიგნი თუალთაი.
 ყარამანს არ მოსწონდა ეს ამბავი.
 ბერად ხომ არ აპირობს შედგომას!..
 ციცინო ეძახდა, სტიროდა, მაგრამ ბონდო არ გამოდიოდა.
 მთელი დღე-ღამეები ისმოდა მისი სიარული და არავის იკარებდა.
 როდის ისვენებდა, ან იძინებდა, კაცმა არ იცოდა.
 დაფიქრებული იცქირებოდნენ მის ოთახისაკენ.
 ხალხი დაფრთხა:
 არავინ მოდიოდა.
 რა ხმები არ დადიოდა.
 ამბობდნენ, რომ იგი გადაირია ნამეტანი სწავლით
 ზოგი ხატს აბრალებდა, ზოგი უყმურს.

— რაცხა ხეთის რისხვა თუ არაა მაი ოჯახზე. აპო როფია. / ამბობდნენ სოფელში.

— ცოდვამ უწია, ბეჩა, ცოდვამ!..

გუჯუ ლაბახუაც მოაგონდათ, გადარეული გუჯუ, რომელიც ყარამანს უკანონოდ შეეძინა მაკრინესაგან.

ყარამანმა, სინიდიისი რომ დაეშოშმინებინა, ვილაც ნაყმევ ლაბახუას მიათხოვა მზითვით ფეხმძიმობის დროს.

მაკრინემ ვერ გაუძლო იქვიან ქმარს, მონაზუნად აღიკვეცა და დარჩა გადარეული გუჯუ უპატრონოდ.

ასეთი იყო სოფლის აზრი ამ ოჯახზე.

სოფელი ბორგავდა.

თავის უბედურების მიზეზადაც ყარამანის მოდგმას სთვლიდა, მაგრამ ეწინოდა.

შიში და მორიდება ყარამანისადმი ჯერ კიდევ არ გამქრალიყო.

გუბერნატორი კოლიუბაკინი მეგობარი იყო მისი.

„კოლიუბაკინის პანჩური“ კი საკმაოდ განთქმული იყო ყველგან.

ერთ ღამეს, როცა ყველას ეძინა, ბონდოს ოთახიდან კივილი მოისმა.

შეშინებული ყარამან შეეარდა ოთახში და ხედავს: ლოგინში ნახევრად წამოწეული ბონდო ხელებს ასავსავებს და ვილაცას იგერიებს სახარებით.

ლოგინთან მიდგმულ სკამზე სანთელი პარპალობს და მისი ლანდი საოცრად ირწევა კედელზე.

— რა დეგემართა ბონდო?.. დაიძახა ყარამანმა.

ბონდო შეკრთა, მოიხედა.

გააგდო ხელიდან სახარება და მისკენ გაეჭანა.

— მიშველე, მამაჩემო, მიშველე!.. — იძახდა იგი შეშლილ თვალებით და მკერდში ეხუტებოდა.

ყარამანმა იგრძნო რომ საქმე წასული იყო.

— ასე მოდის ყოველ ღამე და ვილუპები, მამაჩემო, ვილუპები!..

— ვინ, შეილო?

— ის, მამაჩემო, ის!..

— ვინ ის?..

— ის, მამაჩემო, ის, — პარასკეობაზე რომ ვნახეთ!..

ყარამან მიხვდა ვისზე ელაპარაკებოდა.

შუბლი შეიკრა.

ბერე:

— დამშვიდდი, შეილო, ნუ გეშინია!.. — უთბრა დაყვავებით და ლოგინთან მიიყვანა.

ჩამოსხდნენ.

— მეშინია, მამაჩემო, მეშინია!.. — იძახოდა იგი შეცივებული და კბილებს არაკუნებდა.

ტუჩები და ფრჩხილები ლაინის ფრად მოექცა.



— რა ექნა, მამაჩემო, რა ექნა!.. — ჰკვენესოდა იგი ძიგძიგით.

— დაწეჭი, შვილო, დაწეჭი!.. ურჩია ყარამანმა.

ბონდო დამორჩილდა.

გაეხვია საბანში, მაგრამ ვერ დამშვიდდა.

კანკალით ლოგინზე ვერ ჩერდებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მიეძინა.

ხანდახან წამოაბოდებდა, შეაქრეოლებდა და ისევ გაყუჩდებოდა.

ყარამან უცქეროდა შვილს და მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ იგი საოცრად ჩამომხმარიყო.

სადღაც წრომი იძახდა ბნელად.

ოთახში დუმილი იყო.

მიიხედ-მოიხედა, ბერის სენაკი მოაგონდა.

მოწამეთა...

დავით და კონსტანტინე...

პატარა ბონდო ერთგულად გაძერა სამჯერ წამებულთა კუმოს ქვეშ და სასოებით ლოცულობდა, პირჯვარს იწერდა პატარა მსუქან ხელეებით.

ვეედრებოდა ღმერთს გახრდას, ბედნიერებას და დედ-მამის სიცოცხლეს;

ქმინდაო დავით და კონსტანტინე, მიცოცხლე ჩემი კაი დედია და ბაბა, სასახელო და დიდი კაჩი გამყალდე!.. — ლოცულობდა იგი და ყარამან შესცქეროდა მოსიყვარულედ.

ბონდოს თავი მოსწონდა თეთრი საცვეთებითა და ვერცხლის ხანჯლით.

სულ მთლად პატარა და შესაქცევი უჯდა ბერს კალთაში და შუბლშეკრული უცქეროდა.

არ მოსწონდა ბერი შავი წვერებით.

— რაეა ბოჩიასავეით აქს წვერები!.. — ფიქრობდა იგი, უნდოდა წვერებში ჩაჭურენოდა, მაგრამ თავი შეიკავა.

ბონდო მღვდელსა და ღმერთს რევდა ერთმეორეში და ეგონა ღმერთს უჯდა კალთაში.

არ ეგონა თუ ასე გლახა იყო ღმერთი.

მამა უფრო კარგი იყო და ღონიერი.

რატომ ეს კაცი უნდა იყოს ღმერთი და მამა კი არა!

მამამ იცის ბევრი საოცარი ამბები, ამ წვერებცანცარა ღმერთმა კი საქმე გაუჭირა დარიგებებით.

უმისოდაც მშვენივრად იცის, რომ დედია და ბაბა უნდა უყვარდეს.

სხვა რომ არა იყოს-რა, ისინი ბონდოს დედიაა და ბაბა.

არ ესმოდა, რა საჭირო იყო ამისთვის ამდენ გაუგებარ სიტყვების ხარჯვა.

აწინებდა ეშმაკით, კუბრიან ქვაბით, მაგრამ ბონდო ზის თავისთვის არ ხეინად და სრულიადაც არ ეშინია.

— საკვირველი ხალხია ეს დიდები!.. მუდამ გაუგებრად უნდა ილაპარაკონ ისეთ უბრალო რანეზე, რაც ხუთი თითივით ნათელია და ყველამ იცის!.. — ასე ფიქრობდა იგი და უეცრად იგრძნო რომ, ბერი დაიხარა და აკოცა.



ქართული

მთლად დააკაწრა სახე წვერებით.
ბონდოს გული მოუვიდა.
არ უყვარდა, როცა ჰკოცნიდნენ, და გაბრაზებული ჩაბრუნდა წვერებში.

მთლად დააბუტავდა, მაგრამ მამამ არ აცალა.
ბონდო ბევრს ფიქრობდა ქვეყნის შესახებ და არ ეგონა თუ ორპირსა და ტყვიას იქით იყო რამე.

მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნახა, რომ ყოფილა კიდევ ქუთვისი, მოწამეთა და ქვეყანა მაინც არ ილეოდა.

ეგონა:

დიდი რომ გაიზრდებოდა საჯავახოს მოაზრე კიბეს აიტანდა, ცას მიადგამდა და ღმერთთან აძვრებოდა, სწორედ ისე, როგორც ოდის თავანზე აძვრება ხოლმე ნიგვზის ჩამოსატანად.

იცოდა:

დედასთანა კარგი ქვეყანაზე არავინ იყო.

მამა ყველაზე ღონიერი იყო.

ბონდო რომ გაიზრდებოდა, ისევე ღონიერი იქნებოდა და ასთავიან მღევებთან წავიდოდა საომრად.

გადმოაბრუნებდა მათ ბუდე-ბუნავს და გამარჯვებული დაბრუნდებოდა დედასთან სისხლში დასვრილ ხნლითა და მღევის მოჭრილი თავით.

ყველაზე უფრო უყვირდა რომ დედმამისა და ღმერთს გარდა იყო კიდევ ვიღაც „რუსხემწიფე“, რომელიც მთელ ქვეყანას მწყემსავდა.

ვერ გაერჩია:

თუ იყო „რუსხემწიფე“, რას აკეთებდა ღმერთი, და, თუ იყო ღმერთი, რის მაქნისი იყო „რუსხემწიფე“.

ბონდოს არ უყვარდა სხვა ბავშვებით ტიტინი.

მუდამ მარტო იყო და ფიქრობდა თავისთვის.

ხანდახან ჰკითხავდა დედას ისეთ რამეს...

ციცინომ არ იცოდა რა ეპასუხა.

— სოლომონ ბძენი იქნება, ბატონო, სოლომონ ბძენი!.. — იტყოდნენ მეზობლები.

— ღმერთმა გაგიზარდოს ქალბატონო! რავალი დედ-მამის შვილია, გლახა რომ იყოს! — ეუბნებოდნენ პირფერობით თავწაკრული დედაკაცები.

ციცინო გულში მიიკრავდა და ჭინიანად ჩაჰკოცნიდა.

ბონდო შუბლს შეიკრავდა: სრულებით არ უყვარდა, როცა ჰკოცნიდნენ.

ყარამან იდგა და უცქეროდა მოსიყვარულე და კმაყოფილი ცოლ-შვილს ბედნიერი ღიმილით.

ის ბონდო, იქ რომ იყო პატარა ქულაჯით, უდრის ამ ბონდოს, აქ რომ წევს ავადმყოფი და სუსტი.

და ყარამანმა საოცარი სითბო და სიბრალული იგრძნო მისდამი.

სადღაც მამლებმა გათენების იყივლეს.

ყარამან გამოერკვა.

შეხედა შვილს, ღრმად ამოისუნთქა და ფრთხილად წამოდგა და ფეხაკრეფით გავიდა გარეთ.

ღამე გაცრეცილიყო.

ბეოლები და მაგნოლიები ტყვიისფრად მოსჩანდნენ და დაცვარულ ფოთლებში დაგორებული ნაბი თქაფუნობდა.

აივანზე რქიანი შავი ლოქორა მიცოცავდა უხარმახარ ხოქოთი ზურგზე და ვერცხლის ძაფივით გრძელი ლორწო მიიზიდებოდა შეუღებავ იატაკზე.

უძილობისგან თავი ტყვიასავით ეკიდა კისერზე.

გაიარა და ნოტიო სიო ეალერსებოდა გახურებულ შუბლში.

სადღაც ძროხის ბლავილი მოისმა და ტყემალზე დამყუდრებული ქათმები მოფრინავდნენ ძირს გულგახეთქილ კაკანით.

შუადღე იქნებოდა ბონდო რომ გამოვიდა ოთახიდან.

გაბრწყინებულ თვალებით მივიდა დედასთან და შუბლში ეამბორა.

დაჯდა მის გვერდით და პატიებას სთხოვდა.

ციცინო მკერდში იხუტებდა შვილს და ჰკოცნიდა.

ბონდო ნიკაპზე ხელს უსვამდა და ეალერსებოდა.

ციცინო უცქეროდა შვილს და ვერ სცნობდა.

ორ კვირაში საოცრად გამოცვლილიყო.

გამხდარი, წვერმოშვებული, დამშვენებული.

არ უყვარდა ყბებზე დატოვებული ბაკები.

ბონდოს ტუჩები უკანკალებდა და კბილს აჭერდა, რომ დაეფარა.

ტანში აერქოლებდა.

ციცინომ იგრძნო:

რალაც აწამებდა შვილს.

მოაზვია კესერში ხელები, მოსწია და თვალებში ჩააცივდა.

— შვილო!.. — სთქვა მან ალერსიანად და ბონდო მიხვდა, რომ დადგა დრო. თავი უხერხულად იგრძნო და გაყუჩდა.

— შვილო!.. — გაიმეორა დედამ, თმაზე ხელი სიყვარულით გადუსვა და ბონდო გაინაბა:

მან იგრძნო სიხარული, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამ ქალისა, რომელსაც დედას ეძახდა და კანკალი დაიწყო.

— რა გაწუხებს შვილო, რა გიდაღავს გულს?.. მითხარი, შენ შემოგველო შენი დასამიწებელი დედია, მითხარი და იქნება უწამლოთ რამე!..

— არაფერი, დედია, არაფერი!.. — ძლივს მოახერხა ბონდომ, თვალებზე ცრემლი მოადგა, შერცხვა და თავი მის მკერდში დამალა.

— ხომ არ გიყვარს შვილო ვინმე? — შეაპარა ფრთხილად და საქნიან კილოთი ციციინომ.

ბონდო შეკრთა.

წამოდგა.

შუბლზე ხელი გადისვა.



ქართული
ბიბლიოთეკა

დაშოშმინდა.

— არა, დედია, არა!..

ჩაეხუტა და დედის ხელები კისერზე შემოიხვია.

კარგა ხანს იყვნენ ასე.

მერე ბონდომ აკოცა დედას და წამოდგა.

წელში გაიმართა, გაიწოდიხა და გასწია დარბაზისაკენ.

ყოველი კუთხე დაიარა.

ათვალიერებდა კედელზე დაკიდებულ იარაღებს, ახარტეშებს, ქრულ თუნუქით მოჭედებულ პატარა ზანდუკებს...

გაჩერდა ბაბუამისის სურათის წინ და უცქეროდა.

უცქეროდა დიდხანს დალონებული.

თვალები ცრემლებით აევსო.

მოიწმინდა და იდგა თავდახრილი.

დიდი ოტიას სურათი სასტიკად დასცქეროდა შვილიშვილს.

ოდაში მყუდროება იყო.

ეზოდან მოისმოდა ცხენის ძოვა.

სადღაც მეღვლევა იძახდა ტკბილად.

ბონდო იდგა მორჩილი.

მოსცილდა სურათს.

მივიდა პეპუ მეუნარგიას მიერ მოჭედებულ ხატთან, დაემხო და ლოცულობდა მხურვალედ.

დაიკარგა ყველაფერი.

ლოცულობდა სასოებით.

უეცრად:

— მობრძანდი ბატონო, საჭმელი მიირთვიტ!..

მოიხედა.

— არ მშია და ნუ მაწუხებ!.. — მიუგო მოკლედ გულმოსულმა.

მერე გაბრაზებული გავიდა გარეთ.

ჩაირბინა კიბე და ეზო დაიარა.

სათითაოდ დაათვალიერა ატმები, მსხლები, უეცრად რაღაც მოაგონდა და გადავიდა ბოსტანში.

გაჩერდა ნიწამდის შტოებ დაშვებულ ლედვის ძირში.

აყრილი თხილები დაბურღულიყვნენ ლედვის ფართო ფოთლებში.

იჭ, შორს, წარსულში:

ვიღაც შავებში ჩაცმული ქალი მოვიდა დედასთან სტუმრად.

რაღაცას უამბობდა მეტად გულსაწვავს.

ბონდო ყურს უგდებდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

ქალი ბევრს სტიროდა და ბონდოს შეეცოდა.

მას თან ახლდა პატარა ფერმკრთალი ქალი.

სახელი მისი ხათუნა იყო.

მაყვალღვით შავი და მოგრძო თვალები ჰქონდა ხათუნას და რატომღაც ხეთიშობლის ხატი მოაგონდა, დედას ოთახში რომ ეკიდა. *ქრქინუნუაჲნი
ზინგაჲნიქინუნუაჲნი*
ხათუნა!..

ბონდოს ელდასავით მოხვდა ეს სახელი: შეიძლებოდა შიგ გახვევა. რბილი იყო იგი და სასიამოვნო ძვირფას ბეწვეულივით.

სუსტი იყო ხათუნა, მშიშარა და ეს კიდევ უფრო ახარებდა ბონდოს.

— აკოცე შვილო, დაიას, აკოცე!.. — უთხრა დედამ.

ბონდომ აკოცა, მოჰკიდა ხელი და ეზოში გაიყვანა სათამაშოდ.

გავიდნენ უკანა ეზოში.

ჩამოჯდნენ საცეხველზე და უცქერდნენ ოქროსფერ ბატის ჭუჭულებს.

ბონდომ დაიჭირა ერთი და ხათუნას ჩაუსვა კალთაში.

ხათუნამ აკოცა და გაუშვა.

— წავიდეთ!.. — სთქვა ცოტა ხნის შემდეგ მან და საცეხველიდან ჩამოხტა.

ბონდომ გადაიყვანა იგი ბოსტანში, მერე მოსტეხა ჩაის ვარდი და გულზე დააბნია.

მივიდნენ ლელვებთან, მიწამდის დაშვებულ შტოზე ჩამოსხდნენ და ქანაობდნენ.

სიო აფრიალებდა ხათუნას შავ თმებს, ბონდოს ლოყაზე ხედებოდა და მან იგრძნო უცნაური სიამე.

სიოს მოჰქონდა ყარამფილის საამო სურნელება და ბონდო მოუყვა: —

იქ, შორს ცხრა მთას იქით აქვს მინანქრის სასახლე.

სასახლეს არტყია ქვითკირის გალავანი.

არის მაღალი კოშკი და კოშკში დამწვევდელი ჰყავს მზეთუნახავი.

გალავანს სდარაჯობენ ცხრათაეიანი მღვდლები და გველეშაპები.

— მერე არ გეშინია, რომ შეგჭამონ?.. — ამბობს ხათუნა ოცნებით გაშტურებულ თვალებით.

— არა, მე მათი ბატონი ვარ!.. მიუგო თავმომწონედ ბონდომ.

— მე მაქვს ნიშანი და ისინი ამით მცნობენ!..

მკლავზე საყელო აიწია და იქ, სადაც ლურჯი ძარღვი ინაკვთებოდა, აჩვენა პატარა ხალი.

მზეთუნახავს ისეთივე მოგრძო და შავი თვალები აქვს, როგორც ხათუნას, — ამბობს ბონდო და მან იგრძნო რომ ხათუნამ თავი ნაზად ჩამოადო მხარზე.

ბონდომ წელზე ხელი შემოჰხვია რომ, არ გადავარდნილიყო, და კიდევ უფრო გააქანა შტო.

ხათუნას შეეშინდა და ბონდოს მიეხუტა.

უეცრად ბონდომ რატომღაც აკოცა ხათუნას და შერცხვა.

ხათუნა იყო გაყუჩებული.

სიო ელამუნებოდა მათ და ისინი ლოყანიდებულნი ქანაობდნენ ლელვის შტოზე.

მერე ხათუნა წაიყვანა თავის დედამ სახლში და ბონდომ ტირილი დაიწყო.

ხათუნა დამალულიყო ნოხში და იმღამითვე მოვიდა მასთან.



ასე მოდიოდა იგი ყოველ ღამე და ბონდო თანდათან ხმებოდა.
(... ქალაქში გაიგო რომ ხათუნა ყვაველით მომკვდა) ბონდო გამოერკვა.

იქვე ბოსტანს გადაღმა წისქვილი რახუნობდა.

აიწია მკლავზე სახელო და ხალი, რომელიც ბავშობისას უფრო ქვევით იყო, იქ, სადაც ძარღვი ლურჯად ინაკვთებოდა, — ახლა ზევით აწეულიყო. ალბად, იმიტომ რომ — გაიზარდა.

გაიღიმა და წისქვილისაკენ გადავიდა.

გაჩერდა კოდთან და უცქეროდა, როგორ ლურღუმელაობდა შიგ წყალი. და მას მოაგონდა ვალანსიენის აშიებში აქაფებული კრინოლინი.

კრინოლინის საპნის ქაფივით აშლილ აშიებში გამოჩნდა კნიაუნას ლამაზი და მაგარი ფეხები.

ხათუნას პატარა ფეხები ჰქონდა და წვივები გარედან ქალურ სირბილით მომრგვალებული.

დოლაბი ხმაურობს და ბონდომ იგრძნო ატაცება.

მან ვერ მისცა კნიაუნას საკმაო ვნება და ქალმა სთქვა:

— თავადო ბონდო, თქვენ ღილი გაკლიათ საყულოზე!..

ბონდომ მოიშორა ქალი.

ახლა იგი არ გრძნობს სიძულვილს მისდამი.

ის ისე ლამაზი იყო და ცარიელი!..

ბონდოს უხარია.

თითქოს სისხლი მღერის ძარღვებში.

თავი მძიმდება და ზარხოში ერევა.

მუცელი შემობერა და სადღაც შორს წყალი შხუის.

არაფერი ისმის გარდა შხუილისა.

ტრიანონის ბაღში მალალ წინდებიანი მარკიზი თეთრ პარიკით ეფიცება კრინოლინს გულზე ხელზე მიჭერილი და მან იგრძნო რომ დაჰკრა საათმა და უნდა მოშორდეს შადრევანს.

ვერსალში აფეთქდა მაწხალები და ძვირფასი ქვები წაეკიდა მოწმენდილ ლაქვარდს.

რალაც აწვება ყელში და ნეტარებაა ირგვლივ.

მარაოები ირწევიან, მარაოები ირწევიან და მარაოებს იქით მოსჩანს მხეთუნახავის ნუშივით მოგრძო ტკბილი თვალები.

— ღმერთო მიშველე!.. წმინდაო გიორგი შენ მიპატიე!.. — ლოცულობს ბონდო ტორტმანით და გაქანდა სადღაც მოქნეული.

წყალი აწვება პირში...

ბნელა და სადღაც დარეკეს მოწყვეტით.

მეწისქვილემ სულზე მოუსწრო.

ამოიყვანა და მიწაზე დაასვენა.

ხალხი მოგროვდა მის ძახილზე და უცქერიან როგორ იგრძნობდა ბონდო თავგასრესილ გველის წიწილივით.



ყველა დაიწვა მისი ცოდვით.

დედაკაცები პირჯვარს იწერენ:

— ვაი შენს დედას, შვილო, რა ვაჟაკი წამბთარხარს! ჩემს მშვენიერ ისინი.
მოვარდა ყარამანიც

თმებს იგლეჯდა, დარბოდა აწყვეტილივით და მოსთქვამდა:

— ვაი ჩენი უბედური დღის გაჩენას, ვაი ჩემ თავს!..

ხნიერი გლეხები ამშვილებდნენ ბატონს.

მთელმა სოფელმა მოიყარა თავი.

უცქეროდნენ ბონდოს შეწუხებულნი.

კოტა ხანს შემდეგ მობრუნდა.

გაახილა თვალები და მიიხედ-მოიხედა.

შეგროვილ ხალხს შეხედა და მიხვდა რაშიც იყო საქმე. წამოწევა გააბირა, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ მიწვა.

ყარამან მივარდა, წამოაყენა და გულზე მიიყრდნო.

ბონდონ გადახედა ყველას ნალვლიან მორჩილებით, თავი ჩაიქნია და ჩოხის კალთით წვერზე ჩამოღვრილი ჯუჯი მოიწმინდა.

დახედა მიწას:

მიწაზე მისი თივთიკის ყაბალაბი ეგდო და სამი ჯვარი იყო მოხაზული.

პირჯვარი გადიწერა და უეცრად რაღაც ამოგორდა, მოაწვა ყელში და თვალები ცრემლით აეცსო.

— წავიდეთ მამა!.. — სთქვა ოდნავ გასაგონად და წყნარი ნაბიჯით გაჰყვა მთლად სველი.

სველი ყაბალაბი კისერს ამძიმებდა, მოიძრო და მამას გადასცა.

— რა მეშველება მამაჩემო, რა მეშველება!.. — დაიკვნესა მან და შუბლზე ხელი აიტარა.

ყარამანს ნერწყვი გაუშრა პირში.

მიჰყვებოდა შვილს წელმოწყვეტილი.

ბონდო შედგა, სახეზე ხელი ჩამოიშორა და შეხედა მამას.

ყარამან გარინდდა.

უყურებდა შვილის წამებულ თვალებს.

— ხომ მაპატიებ მამა?..

— ნუ გეშინია, შვილო!.. ღმერთია მოწყალე!.. — და იგრძნო, რომ სისულელეს ამბობდა.

— არა, მამაჩემო!.. ღმერთს მე დავავიწყდი!.. არ ვახსოვარ!.. გავტყდი მამა, არ შემეძლია!.. ხატი ჩემკენ არ არის და ეშმაკი!.. ვლოცულობ, მაგრამ, ეჰ!.. — თავი ჩაიქნია.

— ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით!.. ცოდვებით, რომელიც მე არ ჩამიდენია!.. რისთვის უნდა ვზლო მე, მამაჩემო, ის ცოდვები, რომელიც ოდესღაც ჩემს მამა-პაპას ჩაუდენია!.. მე მინდა, მამა, სიცოცხლე და სიცოცხლე ჩემი გაძალღებულის!.. მე მინდა, მამა, სიყვარული და ნიათი არა მაქვს!.. მამაჩემო, ამბობენ, რომ ავზნეიანები მძაფრვნებიანი არიან!.. დამშვიდდი, მამაჩემო, დამ-

შვილდი!.. მე უკვე შეურიგდი ბედს!.. ექიმმა მითხრა ეს და მე არც ეს სენი მშველის. ჩემი სისხლი დალორწილია უფმურით!..

— თავადო ბონდო, თქვენ ღილი გაკლიათ საყელსა და სხვა აკნიაენამ ფრანგულად და ბონდომ მოიცილა მისი სახე.

— მე ღილი მაკლია, მამაჩემო, ღილი და სხვისი ცოდვები მაინც უნდა ვზიდო!.. ყარამან გაოცებული უცქერის შვილს.

— მაგრამ არათერია!.. ასე მითხრა მე ერთმა ქალმა!..

მიდიან ნელა.

— მამაჩემო, არის ერთი გამოსავალი!.. მე ამაზე ვფიქრობდი მთელი ორი კვირა!.. გახსოვს მამაჩემო, რა სთქვა სკაპეცმა ორპირში?.. — ხორცი სულს ამძიმებსო!.. ბაბუაჩემმა მიანდერძა მე ავხორცობით დაღლილი სისხლი და უნდა მოვისვენო!.. ოო, ძნელია, მამაჩემო, ძნელი!.. უმანკოება კრავისა და სასოება წმინდანისა!.. ქრისტემ სთქვა: „არიან საქურისნი, რომელნიც მუცლითგან დედისა თვისისად საქურისად იშუნეს; და არიან საქურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაქურისნეს; და არიან საქურისნი, რომელთა გამოისაქურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათვის კათასა. რომელ შემძლებელ არის დატევნად, დაიტეინ!“

ყარამან ყურს უგდებდა და დაყრუებულს არათერი ესმოდა.

ბონდოს სახლში მიყვანისთანავე გამოუცვალეს ტანისამოსი.

იწვა შუადღემდის.

მერე ადგა, გავიდა გარეთ და უეცრად, ცამ ჩაყლაპა, მიწამ უყო პირი, კაცმა არ იცოდა.

დაიკარგა კაცი.

ეძება ყარამანმა, ეძება, — ვერ იპოვნა.

ორი დღის შემდეგ სკაპეცების № 96 საინვალიდო როტის პოლკოვნიკმა იაგორ გეგიძემ შეატყობინა, რომ იგი ორპირში გაპარულიყო და სკაპეცებთან ცხოვრობდა.

წავიდა ორპირში.

ნახა, — ივანე რუსთან ცხოვრობდა.

არ მომეკარო!.. არ მომეკარო!.. — იკივლა ბონდომ ხელების საყსავით მის დანახვისთანავე და ყარამან გაშეშდა კარების ზღურბლზე.

მოვარდა ივანე რუსი და აცახცახებული მოწიწებით უკოცნიდა თეხებს.

ბონდომ წიხლის კვრით მიაგდო ივანე სკაპეცი და უკანა კარებში გაიქრა.

ბევრი ეძება ყარამანმა, მაგრამ ვერ ნახა.

ივანე რუსისგან გაიგო: ბონდოს სკაპეცების ქრისტედ ეღიარებინა თავი და დაძმარებული დაბრუნდა სახლში.

ციცინო შვილს თხოულობდა.

ეძახდა, სტიროდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა იგი და თან გუჯუ ლაბახუა მოიყვანა.

სოფელში გავარდა ხმა, რომ ბონდო გადაირია:

— ბონდოიე გადარეული!..

— ბონდოიე გადარეული!..

— ბონდოიე გადარეული!..

ქარი მხსრე



ს კ ა ვ ც ე ბ ი

სკაპცები გადმოვიდნენ ორპირიდან და მოედვნენ სანავარდოს.
მათმა სხეულმა არ იცის რაა ვნება.

ელიან მაცხოვარს, კონდრატი სელივანოვს, რომელიც ისევე უნაყოფო იყო
და სახედაპრანჭული, როგორც ასი წლის დედაბერი.

ზოგი ღურგლობს, ზოგი ვაჭრობს, ზოგს სკა ჰყავს და ზოგი წისტვი-
ლებს აშენებს ცხენისწყალზე.

სისხლი ძმარივით დამთავდა ძარღვებში.

დაძრწიან სოფელ-სოფელ: მარანში, საჭილაოში, ილორში, ქოსნათში...

ქოსნათი აივსო ქოსა ხალხითა და დაუქმურებულ მცხოვრებლებით.

ქონდრის კაცები და ცუდანი ხალხი დაეუფლა მიდამოებს.

ორპირმა წაჰბილწა ახლო-მახლო სოფლები.

შეუსია უბადრუკი საჭურისები.

იგი მუდამ ახალ უბედურებას უგზავნის ხოლმე ამ სოფლებს.

ცხაკუნია მიხალეშვილმა აქ მოიმკო ოქროს ყანები.

აქედან გზავნის იგი სტამბოლში აბრეშუმით დატვირთულ რუსის ვაჭარ
სუროვცევის გემებს.

წყეულ იყავნ შენ ორპირო, ბედლებ დაღრქენილო და ქარავნებით და-
ტვირთულო!..

სკაპცების შეხებაზე საჭურისდება ყველაფერი.

დააბერწეს სანავარდო.

ნიეთები გამოფიტულია, სიტყვა ცარიელი, სიცოცხლე უაზრო.

მოხეთქილია წინ ყველა გზები.

მოჰკლეს ღმერთი.

აღარ არის შრავალძუძუებიანი კიბულე.

— უფალო ფალოს, შეგვეწიე!..

ტრამამ და ნგრევამ მოიცვა სანავარდო.

უფალო ღმერთია მათი უფალი.

უშვილოები ისე დადიან, როგორც დაბერებული დედალი მგლები.

სკაპცები სისინებენ ყველგან.

არ არის საშველი!..

— არული თქვენ, საჭურისებო!..

— წყეული იყავით თქვენ!..

ელანდებიან:

კონდრატი სელივანოვი.

ყაზახი შილოვი.

დასუნსულებენ კაცობა დაკარგულნი.

არც ენა ესმის მათი სანავარდოს, არც რწმენა.

ქადაგება მათი განხმარ ნაყოფებით სცვივა სანავარდოს შიშით მოდის მოციქული კონდრატი სელივანოვი, მოდის მთავარი მთავარ-ეპისკოპოსისა.

მოდგმა არ გააჩნიათ და მომავალი.

გაწყდებიან და ხსოვნა მათი ამოიფშენი ტება მეხსიერებიდან.

მას მერე, რაც ერთი სკაპცის ქალი დაორსულდა, შეშფოთდნენ სკაპცები. სქესმა გაიფლვა მათ თვალებში.

მაცხოვარმა ბონდომ დაამძიმა ნაყოფით სკაპცის ქალი და მიატოვა.

გველის წიწილი შეიპარა სკაპცების კრებულში.

გველის წიწილი ფაღლოსივით აღერებული.

დაფრთხნენ და ლოცულობენ:

„Дай, Господи, Иисуса Христа,

„Дай нам, Сударь, Сына божия,

„И помилуй, Сударь, нас,

„Сошли нам духа святого утешителя!“..

ტრიალებენ და ისმის ხარხოშიანი კივილი:

— მაცხოვარო მოგვიტევე!..

— უზენაესო, შეგვინდე!..

მანკიერება დასადგურდა მათ კრებულში.

ვაი შენ, სკაპცის ქალო!..

სქესი კიდევ სცოცხლობს შენში!..

— მოჰკალით გველის აღერება!..

Вот тебе меч, ты будешь у многих древь сучья и грехи сечь и лепость изгонять!..

— მოჰკალით სქესი!..

— მოჰკალით ფაღლოსი!..

— მოიკვეთეთ იგი და გადუგდეთ ჯერ კიდევ თბილი ძაღლებს შესაჭმელად!..

მოედო ღვთის რისხვასავით ეს ამბავი სკაპცებს და დაიბნენ, ხარდაცემულ თვალებით იცქირებიან.

გუჯუ ლაბახუას ლანდი დაადგა მათ ვნებით აჭიხვინებული და შარავანდედით შენოსილი.

ფაღლოსი გაცოცხლდა.

— თავს უშველეთ სკაპცებო, მოსპეთ იგი, ძირშივე აღკვეთეთ, რამეთუ წაწყდა უჯიშო და უჯილაგო მოდგმა სკაპცებისა!..

გავარდა ეს ხმა მეხივით და ერთ დღეს მოვიდა ერთი მოხუცი სკაპცი, შემახიდან, თუ ბაქოდან, კაცმა არ იცოდა, და სთქვა:

— Ходил я по всем кораблям и поглядел: но все лепостью перевязаны, братья и сестры; того норовят, где бы брат с сестрой посидеть!.. Лепость весь свет поедает и к Богу итти не допускает!.. И потому многие в погубной лепости: пророки — пророчества, учителя — учительства, угодники и подвижники

своих подвигов лишились!.. Удаляйтесь злой лепости!.. Уж змея бить, так и бей поскорее до смерти, покуда на шею не вспрыгнула!

შეიქნა მითქმა-მოთქმა, ჩურჩული, მიეთ-მოეთი სკაპცებს.

— Сам пророк пришел!.. Теперь наш конь бел и смирен!..

ფული უნდათ სკაპცებს, ფული რწმენისათვის წამებულთათვის და იმას ევედრებიან.

მოხუცმა შემოიტანა ახალი წესი დაკოდვისა, კიდევ უფრო სასტიკი და ფაღლოსი მოკვდება სამუდამოდ.

ნეტარებს ხლისტი კონდრატი სელივანოვი.

ნეტარებს ყაზახი შილოვი.

ნეტარებს ღვთიშობელი მატუშკა აკულინა ივანოვნა.

გასურებულ შანთით სწვავენ ვნებას და თავს იკოდავენენ.

ვლოდნენ ქრისტე მაცხოვრის, — ცუდანი ხლისტის კონდრატი სელივანოვის აღდგომას, რომელიც სუზდალის ექვთიმე მხსნელის მონასტერში გარდაიცვალა.

არ სჯეროდათ მისი სიკვდილი.

— Мы ждем его всяко времячко, суду — глаголу небесному, обогреты сердца наши внутренны!..

— დიდება ხლისტ კონდრატი სელივანოვის სახელს!..

— დიდება მრავალწამებულ ყაზახის შილოვის სახელს!..

— ნეტარება ღვთიშობელ მატუშკა აკულინა ივანოვნას!..

ჰგალობენ ფერბულში ჩაბმულნი, ტრიალებენ თავდავიწყებით.

თავბრუ ეხვევათ.

ზოგი იქცევა, მაგრამ დგებიან და ისევ ტრიალებენ.

ირხევა თეთრი პერანგები და სარწმუნოებრივ ცეცხლით ანთებულნი ბოდავენ რაღაც საოცარს, ჰკვირან რაღაც სკაპცურს სექტანტურ ენაზე, უაზროს და გამოსაჭურისებულს.

„რადენიე“ მწვერვალს აღწევს.

ისმის ისტერიული კისკისი.

დადგა კორიანტელი თეთრ პერანგებისა, დატრიალდა დაბალჭერიანი ქობი უხარმაზარ რუსულ ღუმელით და გულშემოყრილნი ჰკვენესიან, კისკისებენ და ბობლავენ იატაკზე.

ექსტატიური ოხვრა აყრუებს ყველაფერს.

კონდრატი სელივანოვის, — დამკვნარი ყრმის წმინდა ლანდი დაადგა მათ ნათელით შემოსილი.

მისი ღვთაებრივი ირიბი მონღოლური თვალები დასცქერის მათ მოსიყვარულედ.

შარავანდელი აბრმავებს სკაპცებს.

უნდათ წამოდგნენ და თაყვანი სცენ, მაგრამ წელს ვერ ითრევენ და ეცემაან.



ობრავენ:

„Хлещу, хлещу,

„Христа ищю!

„Выйди христос на наружу,

„Вынеси нам денег на нужу!..“

თაყვანს სცემენ ღმერთს უკვდავს და წმინდას.

დაკოდილი ღმერთთა მათი უფალი.

არიან მხოლოდ ისინი და მათ შემდეგ არავენ...

არავენ იქნება მათი გაგრძელება.

თავისით დასწურავენ უთესლო მოდგმას.

სისხლი მათი რითონის ჭაობებივით არის დალორწილი.

შემოხედვა უქმური და უსიცოცხლო.

მეგრელი ქალები ესუმრებიან,

მაღალ ხის ქოშებზე ტანს მიაჩხვენ და ისინი ხელის სავსავით გაიძაბიან:

— Суета!.. Суета!.. Суета!..

კისკისებენ გამალიზიანებელ კმაყოფილებით მეგრელი ქალები, იცინიან მათ უმწეობაზე.

ვინ ხართ თქვენ, თესლგამხმარნო?..

საიდან მოხველით?..

საით მიხვალთ?..

დაბადებულხართ თესლით და უარყავით თესლი, რომელმაც შექმნა მიწა, დედა ჩემი და მშობელი!..

მე ვეკონები დედამიწას!..

იგი დედაა ჩემი და მე ვწოვ მის ნოციერ მსუქან ძუძუებს!..

ღმერთი ჩემი ადგილის დედაა!..

თაყვანს ვცემ ვობის და ბოჩის.

დიდება შენ, ფალლოს!..

დიდება შენ, მრავალძუძუებიანო კიბელევ!..

კობალავ შენ დაგვიფარე!..

გუჯუ ლაბახუა მოდის აჭიხვინებული და ვაი თქვენ, სკაპცებო, ვაი თქვენ, უბადრუკო საჭურისნო!..

მოდის ფალლოსი უფალი სიცოცხლისა!..

მოდის გუჯუ ლაბახუა და სისხლი მაჭარივით სდულს ძარღვებში.

მოდის ლაბახუა, რომლის მოდგმა ბახუსითა და ლეინით არის დატვირთული.

— ლაბახუა!.. ბახუა!.. ბახუს!..

— გუჯუ ლაბახუა!

— დიდება ლაბახუას, დიდება ფალლოსს!..

შენ წინ წევს დაბერწებული მიწა სანავარდო.

მაკეა იგი უქმურითა და ტყირპით.

შენ განაშორე მას დალი უქმურისა და გაანაყოფიერე იგი!..

მოვაქვს შენ სხეულით ხვატი და თაკარა ვნება!..

სიმხურვალე თესლისა და სიცოცხლე ნაყოფისა!..

„მეფეო დედაო,

„დედაო უღვთო!..

„უცმური, ან-ბან, დადგომილი დადგა,

„მომავალი მოვა!..

„ჭეიზე, ჰოიზე!..

„ებეჭე, სებეჭე!..

„გახილე კიდობანი,—

„ქალი და შვილი დადგა!..“ *)



ქართული

ენციკლოპედია



*) ქალების შელოცვა.

ქ ა რ ი მ ე ა შ ი



M A L ' A R I A

დაყურსული ღამე.

არსად ნათელი.

შორს აბალღამებული სისხლის ტბორი მიიზიდება.

დედამიწამ გააღო საშო და სწყურია თესლი.

გრააფის ბუშტუკიდან მოგორებული კვერცხი ელის სპერმატოზოიდს და ციმციმებს.

კოლოები ესევიან მას და ანაყოფიერებენ პლაზმოდიებით.

კირჩხიბის ტროპიკი ეჭირება ვიწრო სარტყელივით.

რიონის დენა ამძიმებს ღუმილს.

რიონის, რომელსაც როანს ეძახდნენ რომაელები.

სიღრმეში ისმის ბალღამის დენა.

არტერიებს დააქვთ თხრამლი და პლაზმოდიები

ავხორცი მსუქანი ბაყაყები ხითხითებენ და თათით იგერიებენ ხორთუმ მომარჯვებულ კოლოებს.

აბოტებული მწვანე გომბეზოები გულის პირს უხსნიან ტბის თეთრ შროშანებს და ლორწავენ ყვითელი ხაშვით.

ვიქტორია რეგია აბრუებს ჰაერს.

ჭაობში ჩაწოლილი უფშური წყალს აკურკუშებს.

დადობლილი ბუშტები სკდებიან ხავსმოდებულ წყლის ხედაპირზე.

ფანტასტიური კოლოები დაათრევენ ხორთუმებს.

მწუხარედ ზუზუნობენ:

Malaria

პლაზმოდიებით გატენილი დედოფალი ანოფელესი დაფარფატებს მარმაშის ფრთებით:

ტანაქავებულს სწყურია სისხლი და ეძებს ხორცს ბალღამის ჩასაქცევად.

ციებით დალორწილი, ბნელ სტალაქტიტებივით ამართული იკაროსები და ქოქოსები ირწევიან ტყირპიან ღამეში.

ლელიანში ბუნაგად მიგდებულ ბეჭემოტს დაესია კოლოები, შხამავენ და ბლავის გამწარებული.

ყვითელი სატურნი არწყევს სამსალას და ლპება ყველაფერი.

ასეა ღამე დაყურსული შუაღამემდის.

შუაღამით ბინძურ ღრუბლებში გამოჩნდება ნავახში მივარე და აფრენილი თეთრი მხედარი გაშლის ყაბალახს:

წამოვა თოვლი ქინაქინის.

ათოვს ყველაფერს და დანფრთხალი კოლოები იმალებიან ლელიანში.

პლაზმოდიები გაიგუდენ სისხლის ბურთულეებში.

ქინით დამწვარი ავი უემური აიმართება კეთროვანივით.
დალორწილ ტანზე აღბემა ხორცი და დგება სუნი გუბრწინდელ მჭორის.
დაძონძილ მკლავებს აღაპყრობს ცაში და ჩაჭმულს ებრუნება ედმონდება
მწარე გოდება.

ხმუის უემური და ქინაქინით ითოვლება მიდამოები.

გველხოკერები სოროებში მიძვრებიან.

თვალდამწვარი ბაყაყები სცვივიან წყალში და იძირებიან ტბის ნალექში.
საშოში ისმის:

— ბონდო!.. ბონდო!.. ბონდო!..

ლოცულობს ბონდო:

— წმინდაო გიორგი, შენ გამყარე უემურთა-უემური!..

ისმის:

— ბონდო!.. ბონდო!.. ბონდო!..

გამოეღვიძა.

— რა საშინელი სიხშარი იყო!..

შეხედა მამას.

— რავა ხარ შეილო?..

— რა მიჭირს!.. — უპასუხა.

ოფლად გაღვრილა.

მზე ამოსულა.

ისმის დედლის კაკანი.

— დედა რავაა?

— ვერაა კარჭათ!..

ბონდო გაჩუნდა და უყურებს მამას.

ყარამანმა ამოიღო ყალიონი, გატენა თუთუნით, გააბოლა და მწუხარედ
შეხედა შეილს.

ბონდოს შეეცოდა მამა, თვალები მოაცილა და ჭერს დააკვირდა: ჭერში
ეკიდა ბუხებით შეფენილი ტირიფის შტო.

ყარამანმა შუბლზე ხელი დაადო.

— სიცხე გამონელგებულა!.. — სთქვა მან, ამოიოხრა და წყნარი ნაბიჯით
გავიდა გარეთ.

ბონდო უცქეროდა შტოზე შესულ ბუხებს: ხუზუნებდნენ.

ერთი ბუხი აჯდა მეორეს და ისე დაფრინავდა.

აირია ბუხები და მან იგრძნო, რომ შტო ჰკიდია მის ტვინში და ბუხები
მის თავში ირევიან.

მაცხოვარი ბონდო...

ფეხებზე კოცნა და მისი ნაბანის ნაკურთხ წყლად აღიარება.

ფერხულია ირველივ.

ირვეა თეთრი ხალათები და ისმის სექტანტური გალობა.

ვილაც ქალი წაქცეულა იატაკზე და ფეხებს უკოცნის.

ბონდო ჰგრძნობს ქალის ცხელ ტუჩებს ფეხზე.

სისხლი თავში ავარდა, დატრიალდა ყველაფერი და, როცა გამოერკვა, — ქალთან იწვა.

სკაპცები ფუსფუსებდნენ და დამფრთხალ თვლებში უცქერდნენ ქრისტე მაცხოვარს.

— ბატონო, ვინცხა სკაპცის ქალია!..

ბონდო გამოერკვა და შეხედა ლიზიკიას.

— ვინცხა სკაპცის ქალს უნდა შენი ნახვა, ვერ შევიცილეთ!.. — ამბობს ლიზიკია.

ბონდო მიხვდა:

ის სკაპცის ქალია, რომელსაც მაცხოვარმა ბონდომ ჭეშმარიტი „რადენიე“ აგრძნობინა.

ტანთ ჩაიკვა და გავიდა სტუმართან აივანზე.

ქალი იდგა დამფრთხალი და თავშლის ყურს სრესდა მოუთინენლად.

ბონდო უცქერის:

ხარი კმაყოფილი იყო ფურის დამორჩილებით და თავმომწონედ შეხედა დედაკაცს.

ქალი ათრთოლებული უცქეროდა და მერე მოსხლეტილი თეხებში ჩაუვარდა.

— Пожалей меня, голубчик!.. Помилуй меня, барин ты мой, ненаглядный!..

Не гони меня!.. Бей меня, колоти, христосик ты мой милый!.. — მოთქვამდა ქალი და თეხებს უკოცნიდა.

ბონდო იჯდა კუშტი და შუბლშეკრული.

სკაპცის ქალმა იგემა ვაჯი და ამიერიდან ვერ იცოცხლებდა იგი უმისოდ.

სკაპცის ქალი სთხოვდა სიყვარულს, რომელსაც იქ, ორპირში უკრძალავდნენ და გამოიქცა.

მის უდიდებულესობის საიმპერატორო კარის ფრეილინამ უსაყვედურა:

— თავადო ბონდო, თქვენ ღილი გაკლიათ საყელოზე!..

სკაპცის ქალი კმაყოფილი იყო მისით.

სკაპცეს თუ ეყოფა მისი ვნება!..

სიბრაზით მოსწია საყელო, შემოიხია და იდგა განრისხებული გაღვლილ მკერდით.

Вон!.. Вон!.. Вон!.. — იკივლა მან და ხელით ჩასასვლელი კიბე უჩვენა.

ქალი ადგა აცახცახებული.

ტორტმანით ჩაიარა კიბე და გადავიდა ალაგებზე.

ბონდო დარჩა მარტო.

იჯდა დაფიქრებული.

მერე:

შევიდა ოთახში, გადაყარა ყველა სასულიერო წიგნები, გადაშალა ე. კანტის „წმინდა გონების კრიტიკის“ ფრანგული ეკზემპლიარი და დაიწყო კითხვა.

სალამოთი გაიგო:

ვილაც სკაპცის ქალს თავი დაეხრჩო რიონში..

ქ ა რ ი მ ა თ ი რ თ ი ა მ ა მ ა
 კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი



ა. უეჭურთა-უეჭური.

ციცინო უკანასკნელ მდგომარეობაში იყო.
 წუთით წუთზე მოელოდნენ მის გათავებას.
 ჩამოვიდნენ ქირისუფლები.
 ყარამან ჩამოხმა, ჯავრით დადნა.
 დადიოდა ფრთამოტეხილ ბებერ ყორანივით ჩემი და მორჩილი.
 ლოცულობდა ყოველდღე.
 სადღაც გაჰქრა მისი ჯიშისანი გოროზი გამოხედვა.
 ხანდახან თუ წავიდოდა ორპირში და ქოსნათის „ოტკის ხაოდში“ გამოხ-
 დილ არყით დაითვრებოდა.
 სძულდა ორპირი, მაგრამ მაინც ვერ ელეოდა.
 რკინიგზა დღე-დღეზე დაიწყებდა მოჭმელებას და წივილით დასწევდა
 სოფლის სიმართლეს.
 გლეხები გადიონენ სამუშაოზე და ბრუნდებოდნენ იქიდან გარდაქმნილი.
 ანთებულ იმედებით უბრუნდებოდნენ კერიას, რომ მერე სამუდამოდ მოს-
 წყვეტოდნენ მას, ამ წყეულ სოფელს, სადაც ხსნა არ იყო და საშველი.
 უშვილობა გახშირდა.
 ციებით იყვნენ დედაკაცები წამხდარნი და ტყირპით დამაკებულნი.
 ვაჟებს უნარი არ ჰქონდათ ქალებთან ურთიერთობისა.
 ურიები ჰყიდდნენ შვილოსნობის წამალს, მაგრამ დაბერწებულ დედაკაცებს
 და უნაყოფო ყმაწვილებს საშველი არ დაადგათ.
 ორპირი ნახევარზე მეტი წყალმა წაიღო.
 ყოველდღე ჰხეთქდა ცხენიწყალი უხარმაზარ ფლატეებს და მიჰქონდა.
 მკითხავეები აფუსფუსდნენ.
 ბარათელიხე მარჩიელი დადის და ულოცავს ავადმყოფებს უეჭურთა-უე-
 წურისას.

ულოცავს ბონდოს:

სახელითა ღვთითა,
 მამითა,
 ძითა,
 სულითა წმინდითა
 მოვილოცავ დღესა ღვთისასა!..
 წამაყენე ბონდოსა!..
 მე ვარ მლოცავი,
 ქრისტე მხსნილია!..
 წამაყენე ლოცვა ჩემი.

ბონდო ქრისტესია,
 ქრისტე მისია!..
 ბეჭდით შებეჭდილი ვარ!..
 ცხრა ხატო, ცხრა კლიტოსანო,
 აკობე სახელი ხარო, —
 მომეხმარე!..

მაცდურო ჩამომეთხოვე,
 არ ვარ შენსა ნებასა!..
 მამა მაცვია,
 ძე მარტყია,
 სულიწმინდით ვარ შემოსილი!..
 წმინდაო გიორგი,
 შენ მიბოძე
 შენი დაშნა და სარტყელი,
 ამოვიღო
 და შემოვკრა
 გავაყრევინო თნა-წვერი
 უემურთა-უემურსა!..
 წმინდაო გიორგი,
 შენ გამყარე უემურთა-უემური!..

მე ვარ მლოცავი,
 ქრისტე მხსნელია!..

ელუსამედს ყანა მქონდა,
 ყანაშიდა ლოდი იღვა,
 ლოდსა ქვეშე დევი იწვა,
 ცალთა
 თვალთა
 წყალი უღვა,
 ცალთა
 თვალთა
 ცეხლი ენთო.
 დეიქცა წყალი,
 დეიფსო ცეხლი, —
 დეეფსო თვალი და ყური
 ბონდოსა ავი თვალთა შემხედვარეს!

ეს ივანე ანგელოზი, — მივდიოდით მე დღესა ღვთისა გზასა.
 (შემხეთა წითელი კაცი).

შემოეყარა წითელსა კაცსა წმინდა გიორგი:



ქართული
 ბიბლიოთეკა

— სად მიხვალ შენ, წითელო კაცო?..

არ გაგიშობ მე, წმინდა გიორგი ბონდოსა ავთაგანს!

თვალთა ლახვარი!..

გულთა ბოძალი!..

ვაი და ვუი!..

ქვაი და კუი!..

ასკილისა კილი,

წმინდა გიორგის

ლახვარ-ბოძალი

ბონდოსა ავთაგანს!..*)

ბ. უჩა ღართამ ბატონი**)

გვალვა ზუზუნობს.

გულშეღონებული ბაყაყები ტბის დაღეჭილ მწვანე ლორწოში განართხუ-
ლან და გრილდებიან.

მყუდროებაა და სიცხე.

ტბის ლელიანი არ მოძრაობს.

დამპალ წყალმცენარეებში ჩაწოლილი უქმურთ-უქმური მწვანე ბუშტებს
აკურკუშებს წყლის ზედაპირზე.

გვალვა ჩაემხო ყარამანის ოდის გვერდით ამწვანებულ ბოსტანში: დააცხ-
რა კიტრებს, ნესვს, ომბალოს, ქინძს, ლობეზე გასულ მწარე ხაპერებსა და
ფელოზს.

მძაფრი სურნელებაა ავარდნილი და თვრება ყველაფერი.

ღობეზე მიბმულ თხას გატენილი ძუძუები ბაყვებში ამოუდვია, დასწოლია,
რძე მიწაზე წვეთავს და ზარმაცი ცოხნით თვალები ელულება.

ანწლებიდან გამომძვრალ გველს რძის სუნი ეცა და ანერწყვებული მიცუ-
რავს მისკენ.

თხილებ ქვეშ ნოტიო ჭურებთან ანურებული გომბეშო გაბარდლულა და
გრილდება.

ღვინის ამოსაღებ ხრიკაში ჩამწყვდეული გვალვა ბზუის კრაზანასავით.

მწიფე კიტრები და ნესვები წვანან მიწაზე და იბერებიან ხაშმით და ცი-
ებით.

ხვატი ყვითლად ასიებს მათ.

მწითდებიან უქმურთა-უქმურის ვნებიანობით.

გატენილი არიან ტყირპიან ლორწოთი და ქვირითით.

ზოგი საშოსავით ბილწად გადახეთქილა და გადმოუღვრია ბიწიერება ბა-
ლღამისა და თესლი ციებისა.

წვანან ისინი სურნელოვანნი და მანკიერნი.

*) სოფ. ორპირში ჩაწერილი უქმურის შელოცვა.

***) სამეგრელოში გველს პირდაპირ არ იხსენიებენ (ტაბუ), მას უჩა ღართამს უწოდებენ,
რაც ქართულად შავ ჩოხოსანს ნიშნავს.



აღერებული ყარამფილი ოქროს ქვასავით ბზინავს მზის ნიაღვარში.
მაკდება დედამიწა უქმურთა-უქმურით.

უკრუნეულნი
ზიზღნიქითუქა

გაგანია შუადღე გადაირია ბოსტანში.

მზეზე დაწოლილი შეციებული ალი ძიგძიგებს, კბილებს არაკუნებს და
ჰხვევს გალურჯებულ ძუძუებს, მკლავებს და ფეხებს თმაში, რომელიც დაღვრილ
ოქროსავით ბზინავს მზეზე.

მაღალ ეკლის ჯაგში ახლად რქაამოჭრილ ჭინკას კოლოები დაესია, ჰკბუ-
ნენ, შხამავენ და საცოდავი მოსთქვამს გამწარებით, იქექება, იფხანს დაკბენილ
გამხდარ ბარკლებს.

ლობის ძირებში აყრილი ანწლი და წალიკა აფიცხებს გახელებულ მაღალ
შუადღეს.

თაკარა სიცხე დამბლასავით დაეცა მიწას.

დადგა გველის ამინდი, გველის შუადღე.

.
.
.
.
.
.
.
.

მაღლა, სულ მაღლა ცის კენწეროზე, ჭიმჭიმელში აზიდულა
ოქროს კლდეები.

მათი კალთები ზოდებად მისცურავს ძირს, ნაპრალებში.

ცა ლურჯ კათხასავით ახურავს სერებს და ზედ გადმოკიდებუ-
ლი მწიფე ბროწეულივით გადაფატრული მზე ჰფანტავს სისხლის
ფერ ლალებს.

იისფერი ვენახი ეტმასნება პიტალო კლდეებს და ქარვის ტკბი-
ლი მტევნებითაა დატვირთული მისი ლერწები.

ყურის სიღრმესავით არის გარინდებული ყველაფერი.

დაყურსულია ჰაერი და დრო წუთით შეისვენებს ოქროს სე-
რებზე.

უეცრად მოსკდება ღვარი იისფერ გველებისა.

ივსება ყველაფერი.

გველთა ზმორებით იტვირთება მიდამოები.

ოქროს ქედები ვერ უძლებენ მათ სიმძიმეს და იზნიტებიან
შტოებივით.

იისფერ გველთა მტევნებით დაიყუწება ჭიმჭიმელი და ამარ-
თული იისფერ კაბით შემოსილი უნასი გველი, ნობრძანდება დინჯი
რონინით.

ოქროს ფათარი შარავანდედათ ჩამოჰღვრია ქერტიან ყელზე.

ბნედაშეპყრობილი მზე ცოფს აყრის დედამიწას.
იღვრება ყარამანის ბოსტანში ცხელ ბალღამივით და ჩიანხმო სურნელო-
ვანი ცერეცო.

აღერებული მზესუმზირა ვერ ძღება აღმურითა და პაპანტქებით.
ასეთ შუადლით აიმართება გველი გვალვაში.
დიდი გველი სანავარდოზე და მისი ჩრდილი გადააწვევა ყარამანის ოდას.
სვეტივით ატყორცნილი აელვარებს მზის თესლივით ანთებულ ხვითოს.
თვალდაწკურული იცქირება ყელმოღერებით.
ენატეხილი სცემს კედს მიწაზე და დადამიწა იბნიდება ვნებაანთებულ
დედაკაცივით.

თავაღებული შეეგებება მზის გადმოყრილ ძუძუებს და სწოვს გვალვას,
სთვრება აღმურით.

გახელებული მზე ჰკბენს მის ქერტიან სხეულს.

ტანი მისი ეფენებივით არის ასხმული

მიწის სუნი ასდის...

იგი შავია, შავჩოხოსანი, აღსავსე სიბრძნითა და ბოროტებით.

ასე სდგას გველი სანავარდოზე, რომელ არს მოციქული და ცხადება წმ.
ფალოსისა.

შუადლის გუგუნში შემოვა იგი ყალყზე ამდგარი, ვით მოჩვენება, და აი-
მართება შავჩოხოსანი შუა ოდაში,

— რა გინდა შენ, უჩა ღართამი?..

გველი დგას ამართული და სტებს ბონდოს წკვარამ თვალებით.

ბონდო გააგდებს ძველ კარაბადინს:

— ქიქემალუ სირენე!..

ვაი და ბოროტი თვალიწკურია!..

შიაკონია,

დამიწერია,

დამიკარქია

გვერ მაწამალაია!.. —

სადადიოში გვერშაპია, —

წყარ იყოს, ღვინ იყოს, —

თუდუმალი თუ არ დალია,

თუ არა მოციქულია!..*)

სამჯერ იკივლებს სულწასწრებული და გველი იგი, უჩა ღართამ ბატონი
იშმუშნება, —

ჰქრება მისი ლანდი.

არ არის გველი.

ბონდო, კედელს ატმასნული, ზარდაცემულ თვალებს აცეცებს.

— არ არის გველი!..

*) გველის შელოცვა.



ქართული

- არ არის გველი!..
 — მაშ რათ არის გველის სუნი ოდაში?!.
 — დასუნულია ყველაფერი, დასუნული! — და გულმოდგინებით გაიშლება იატაკზე იქ, სადაც დიდი გველი იყო ამართული.
 ბოსტანში ისევ ისე ბორგავს თაკარა სიციხე და სუნელის მოსაკრეფად გასული ლიზიკია ჰგრძნობს, რომ გვალვამ დაჰკრა თავში.
 — ვინ ხარ შენ?.. — შეეკითხა იგი მოვრალი, შიბნედილი და სიღრმეებიდან მოესმა ჭიხვინი ანთებული და სიახლოვე წმ. ფალოოსისა.
 მუხლებში მოსხლეტილი და მორჩილი მძიმე სუნთქვით წაწვა იქვე.
 უსაზღვრო მოლოდინით გაშალა ხელები, გაშალა ფეხები და მან გუჯუ ლაბახუა იგრძნო მკლავებში.
 წევს იგი განაბული მწიფე კიტრებში და ნეტარებით უსმენს, როგორ რეკს დედამიწა დიდი გველის კუდის უნიან დარტყმით:
 — ფალო!.. ფალო!.. ფალო!..
 — მოდი გუჯუ, მოდი ჩემო სურვილო!.. — ბუტბუტებს ლიზიკია და წევს მწიფე კიტრებში სუნთქვაშეკრული...

გ. ქვა უშვილობისა — ხულეიმანი

- იყო და არა იყო რა.
 ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!?.
 იყო ერთი ყორანი.
 ყვანჩალა იყო მისი სახელი.
 ჩხაოდა ისე დათარსულად, როგორც არცერთი ყორანი.
 ნავსი იყო იგი და ყიამყრალი.
 ალიონზე ავარდებოდა და დასჩხაოდა სანაგარდოს.
 — გძლიე!.. გძლიე!.. მიაძახებდნენ პირდაბანილი მწყემსები.
 დედაკაცები სწყევლიდნენ მას.
 მოსპო სანაგარდოში წიწილები.
 სინსილა გაავლო.
 უიღბლო იყო ყვანჩალა.
 სულ მთლად ყმაწვილი დაქვრივდა იგი.
 დიდხანს იტირა უბედური ქმარი, მაგრამ განათხულმა მაინც თავისი გაიტანა.
 ერთ დღეს, როდესაც ის მინდორში გატანილ ცხენის ლემს აძლებოდა, ნახა ერთი მამალი ყორანი.
 შავი იყო იგი, ურწყვი შავი.
 და ყვანჩალას მოეწონა მამალი.
 ჩაკუნა ერქვა მამალ ყორანს.
 გულმა ტოკვა დაუწყო.
 კუჭში სიმამლრე სასიამოვნოდ უღიტინებდა.

ნისკარტი ცხენის ძუაზე გაიწმინდა და კოპწია ეშმაკობით თვალები მოუ-
ლულა.

სისუფთავე უყვარდა ყვანჩალას და არშიყობა. ქრქინეშუქი
მამალმა გადმოხედა და მერე ისევ განაგრძო ჭანა. ზიზღიქითუქა
მას ღვიძლის დიდი ნაჭერი ჰქონდა გასათავებელი და არ ეცალა.
ყვანჩალას გული ელეოდა.

იღვა და მოუთმენლობით ადგილზე ფეხის მონაცვლებას მოუხშირა.
მამალი გაძლა, როგორც იქნა, და სულელურად, ირიბად გადმოხედა ყვან-
ჩალას.

ყვანჩალას მეტი არ შეუძლია, გოგმანობს ერთ ადგილას და სულ განაბუ-
ლი ელის მის მოახლოვებას.

— რა კარგია მისი ზურგზე შეჯენა!..

— ის ისე ვნებიანად სჩხავის!...— ჰფიქრობს იგი და ვნებით ტვინგათხე-
ლებული უცდის ჩაკუნას.

ყორანმა დაიჩხავლა.

ფრთები აათათქუნა, გაისწორა და მერე გამოემართა ნისკენ.

ცალ ფეხზე ბუქნით ჩაუარა ყვანჩალას, ჩამოუარა...

იფოფრება ვნებიანად, ღუღუნობს და უეცრად შეაბტა ზურგზე.

ყვანჩალა გაინაბა მის ქვეშ, ბოლო ასწია და შეცურდა თავდავიწყებაში.

და ასე დაიწყეს ერთად ცხოვრება.

ერთ მაღალ ალვის ხეზე გაიკეთეს ბუდე.

ყვანჩალამ ჩასდო შიგ კვერცხები და მოკრუხული დააჯდა.

გამოსჩეკდა პატარა ბაბალებს და დასტკბებოდა შვილების ალერსით.

გამრავლდებოდა ყორანთა მოდგმა.

ჩაკუნას მოჰქონდა სარჩო.

ყვანჩალა მსუნაგად სჭამდა და ძელებს ბუდიდან ჰყრიდა.

უკარებელი კრუხი გახდა იგი.

მუდამ კრუხუნობდა, სწუხდა.

ქმარი ვერ ეკარებოდა.

დიდ ამბავში იყო ყვანჩალა, თითქოს ქვეყნის ბედნიერებას აჯდა.

ხანდახან გაფრინდებოდა წყლის დასაღვეად და ქმარს დააჯენდა კვერ-
ცხებზე.

ღამით ჩაკუნას მის გვერდით ეძინა შტოზე და ძიგძიგებდა შეციებული.

ერთ დილით გაფრინდა მისი ქმარი და საღამომდის დაავკიანდა.

ყვანჩალას გული ელეოდა სიმშვილით.

წყურვილით პირი გაუშრა, მაგრამ ბუდეს ვერ ჰშორდებოდა.


გაცივდება კვერცხები და არ ეყოლება ბაბალები.

მას კი ისე უნდოდა დედობა!

ბევრი ითმინა, მაგრამ ვერ გასძლო.

ამოვარდა ბუდიდან.

გაფრინდა წყლისკენ, დალია და ისევ მოფრინდა ქაქანით.



ქართული
საბჭოთაო

ქმარი მაინც არ სჩანს.
ზის და უცდის.
— რამე ხომ არ დაემართა?... — ჰფიქრობს იგი და დაინახა მოფრინავს ჩაკუნა და მოაქვს ნისკარტით ამირანის გულ-ღვიძლი.

ყვანჩალა ჩხავის სიხარულით, უშნოდ პირს აღებს და იფოფრება ბუდეში.
მეტად უყვარდა ჩაკუნას ცოლი.
მოუტანა ამირანის გულ-ღვიძლი.
ყვანჩალამ დაუწყო წიწკნა და მსუნაგად ჰქანქავდა მას.
და ასე შესჭამა სანავარდოს ყორანმა ამირანის გულ-ღვიძლი.
ტკბილი იყო იგი, მეტად ტკბილი.
ჩაკუნა ტკბებოდა მეუღლის სიხარულით და უამბო: როგორ მიაგნო ამირანის ქვაბს გერგეტის მთაში.

უკვე შებინდდა.

ყვანჩალა ყურს უგდებდა ამბავს და ნაზად მიეძინა ბუდეში.

ასე ცხოვრობდნენ ისინი ბედნიერად.

მოვიდა დრო კვერცხების გამოტეხვისა, მაგრამ არ იჩეკებოდნენ.

ყვანჩალას თავზარი დაეცა.

ავარდა ზევით და ნისკარტის რაკუნით დაუწყო სინჯვა.

მერე ისევ დააჯდა და უცდის.

სამ დღეს უცადა და, როცა მაინც არ გამოტყდა, მაშინ გაფრინდა ჩაკუნა სულეიმანის ქვის საპოვნელად.

ორ დღეს უცადა ყვანჩალამ ქმარს, მაგრამ იგი მაინც არ სჩანდა.

მესამე დღეს ისიც გაფრინდა.

ბევრი იფრინა, თუ ცოტა, — მიადგა ერთ პიტალო კლდეს და ნახა საცოდავი ჩაკუნა ისრით განგმირული.

იქვე, მის გვერდით, სულეიმანის ქვა ეგდო.

შორს კი სერებზე ყაბალახ გაფრიალებული თეთრი მხედარი მიფრინავდა.

იტირა ქმარი, იღარდა...

მერე თვალები ამოჰკორტნა, შეჭამა, მაგრამ არ იყო გემრიელი.

აიტაცა სულეიმანი და წამოვიდა ბუდისკენ.

ჩაავლო ბუდეში და კვერცხები დასკდნენ.

ნახა: — დალაყებულიყვნენ.

ყვანჩალამ ერთი შესჩხავლა და გულვახეთქილი ალვის ხის კენწეროზე შემოჯდა.

სიო არხევდა ალვის ხესა და საცოდავად მოფუყული ყვანჩალა ქანაობდა. მის ქვეშ გადაშლილიყო: სანავარდო, ორპირი, საჭილაო, ქორეისუბანი და მისი მიდამოები.

ბავშვები ელიოდნენ ეზოებში.

ხბოები კუნტრუშობდნენ ქართაში.

წიწილები წიაქობდნენ ბოსტანში.

და გამწარებულმა ყვანჩალამ დასჩხავლა ნავსიანად, სანავარდოს, მერე ჩა-
ვარდა ბუდეში და შეაჩვენა ქვა სულეიმანი.

დააბედა მას უშვილობა და უნაყოფობა.

სულეიმანი გამწვანდა, დაჰკარგა ფერი და მისი დანახვა მოშლიდა დედა-
კაცებს, წაახდენდა ვაჟკაცებს.

გამოიტირა ყვანჩალამ ბედი და, უკვე გამოკრუხებული, გაფრინდა ახალი
ქმრის საძებნელად.

ალვის ხე გაახმო უნაყოფობის ქვამ.

ბუდე ჩამოლპა ხეზე.

უშვილობის ქვა დაეარდა მიწაზე და მოიწვა მის ირგვლივ ბალახი.

მას მერე დაბერწდა სანავარდო.

უშვილობა მოედო ახლო-მახლო სოფლებს.

ფეხმძიმეებს მუცელი ეშლებოდათ.

მაკე საქონელი უდროვოდ იგებდა.

კვერცხები სკდებოდა საბუდრებში.

სკაპცების ამინდი დადგა სანავარდოში.

ასეთი ბედი მოუტანა ყვანჩალა ყორანმა სანავარდოს.

— ყვაა!.. ყვაა!.. ყვაა!.. — დასჩხავის იგი ნიშნის მოგებით და ქოქოლას
აყრის ქვეყანას.

— ვაგიხმა ყვაა!.. — შიამახებენ სოფლის დედაკაცები და იფოფრებიან,
იკრულებიან მონაზვნებივით...

(დასასრული იქნება)

ალ. ქუთათელი



ზ ა მ თ ა რ ი

უმწეოდ წვება წყებანი:
ფიფქი მუნჯი და უსულო.
ასე კვდებიან ყველანი...
ფიქრი სრული და უსრულო.

მტრედების გუნდი. არშია,
ჰკანკალებს ფარდა ნაქსოვი.
ცისფერი ხმების მარშია
მდუმარე ზამთრის სახსოვი.

თოვს ვარსკვლავები ათასი,
მოჰქრიან, მოვლენ, გვეხება.
ჰაეროვანნი ცით ასე
როკავს თეთრ დების ფეხები...

გადაიხლართენ ციბრუტით,
სულ აირიენ, ტოკავენ.
თეთრი ხელები მიბრუნდა
ათასი ვაჯის ტოგაზე...

გონების ენების, მგოსანი.
კვდება პენტეუს სალამოს,
ძარღვ გადაჭრილი ხბოსავით
სისხლშია დედა — აღავოს.

ნელა წვებიან წყებანი:
ფიფქი მუნჯი და უსულო.
ასე კვდებიან ყველანი...
ფიქრი სრული და უსრულო...

მტრედების გუნდი. არშია,
ჰკანკალებს ფარდა ნაქსოვი.
იქ შორეული მარშია
ძაწეულ ცათა სახსოვი..

თოვს ვარსკვლავები, ციბრუტი,
 ალესილ თვალით ტოკავენ,
 თითქო დანების ჩხო, ბრუტი,
 ჩხარუნით ცეზრის ტოვაზე...



შეგვეშინდება ყვირილის.
 გმირი. Moira. ელადა.
 საქმე მეფეთა გვირგვინის.
 ბელადი. სისხლი ღელავდა..

ისევ წვებიან წყებანი:
 ფიფქი მუნჯი და უსულო.
 ასე კვდებიან ყველანი
 ფიქრი სრული და უსრულო..

რომში სძინავენ თეთრ სვეტებს
 და სარკოფაგებს ცეზარის,
 ხოლო ტოვაზე ნაწვეთებს
 მოაქეთ საყვირი და ზარი..

გონება, ნება, იმედი
 და განზრახვებით უჩვევით,
 შორს განისვენებს ხიმერი,—
 მონღოლი სქელი ტუჩებით...

მუნჯ ტვინზე სისხლი ანათობს,
 წითელ მოედნათ ელავდის.
 ჰლვიძავს დარაჯ — კრემლს დანაოოვს
 რუსეთის საფლავს ბელადის...

იყო ქარხნების საყვირი,
 ბორბლის ღვედები ელავდა.
 ალი, ბელადი, საკირე,
 მუშები, სისხლი ღელავდა...

მტრედების გუნდი. არშია,
 ჰკანკალებს ფარდა, მოსკოვი...
 იქ შორეული მარშია
 ძოწეულ ცათა სახსოვი...

წარმართი ველი და ქრისტე...
 დარეკავს კრემლი გაფრენით
 (ველად ყაყაჩო სჩანს ისთე);
 მძაფრი — ფრთიანი არ.ფები!..

ივ. იოსელიანი



ღ უ ე ლ ი

თენდებოდა. მეეტლეს უბრძანა: „გასწი“ და გაჰყვა ქალაქის ბინდიან ქუჩებს. როგორ უყვარდა ეს განარებული ცა, ბალების სიჩუმე და ფიქრი ამ ხავსიან ტაძრების: თუ ტყვიამ დაინდო — ეს ალიონი სამუდამოდ დარჩება ხსოვნაში. ახლა ჩუმია ქალაქის მძინარე ქუჩები. ეტლი ქარივით მიქროლავს და პოეტს მიყვება ერთი სინანული:

ქალაქს სასწაულს პირდებოდა, ქვეყანას — ფერისცვალებას, მოჰქონდა ახალი, ჯერ უბილავი სამყარო და არ დააცალეს... მაშ ასე! ყველაფერს გადაწყვეტს ამ დილის დუელი...

— იჩქარე მეეტლე!

დატოვეს თეატრები, „ძველი დამოუკიდებლობის“ გაშორდენ „გმირების მოედანს“ და, როცა ქალაქი დაილია, — თავზე დაათენდათ...

გამოჩნდა ტიალი ველი. ბალახის ბიბინმა ცხენები გააცქვიტა. გაიჯირითეს...

ეს ველი ნაჩვევია სისხლის ღვრას. ძველად სავანე ყოფილა გმირული ლეგენდების და მერე დაივიწყეს. ბოლოს ჰქონიათ ყაბაბი. მოცლილი თავადები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს თვალის სიმარჯვეში და, როცა გადაშენდენ, დატოვეს ერთი ნასახლარი დანგრეულ კოშკით...

შორიდან შენიშნა:

— დააკვირდი! კოშკის ახლო რაღაც სჩანს — მგონი გვიცდიან?

მიმართა ეტლში მჯდომ სეკუნდანტს.

— სამწუხაროდ!.. მე ახლა მჯერა, რომ დუელი უნდა მოხდეს. ნუ თუ ასე ძნელია თქვენი შერიგება?

— ეს იქნებოდა უნიჭო ნაბიჯი, რომელიც მე არ მჩვევია.

— პირველი ტყვია ხომ მას ეკუთვნის?

— ფიქრი ნუ გაქვს! ის უთუოდ ამაცდენს, რომ ჩემგან გადილოს სწორი დამიზნება...

შერიგება არ მოხდა. სეკუნდანტებმა გახომეს მანძილი და კვალი გაავლეს. როცა გასინჯული დამბაჩები დარიგდა — ერთმა განმარტა დუელის წესი:

ორივე მოპირდაპირე დაუცდის საერთო ნიშანს. შემდეგ გასწევენ წინ და ხახებთან დადგებიან... ხახის გადალახვა აკრძალულია.. პირველად გაისვრის დუელში გაწვეული... დამიზნებისთვის 5 წამი...

ჰაერი თითქო დამძიმდა და არ იყო არც ღრო, არც სივრცე. იყო მხოლოდ დამიზნება და სიკვდილის მოლოდინი. ვიღაცას საათი ეჭირა და ითვლიდა: ერთი.. ორი.. სამი...

ხელი აცახცახდა: რად არ იშორებს ამ დამცინავ ღიმილს ალბად სიკვდილი არ სჯერა... უმიზნებს. შუბლი მაღალია... შუბლი თუ — მკერდი?..

დასცალა.

უცებ გაყრუვდა გარემო. ტყვია წივილ-წივილით გაფრინდა ჰაერში, გადაიხუზუნა მზიანი დილა და გადაიკარგა.

აჰ, დააცილა... ახლა მას დაუმიზნებენ.. მოემზადა. უნდა გარღიშოს და ვერ ახერხებს.

ამ დროს დასჭეჭა რალაცამ და უსულს სხეული მჩვარივით ჩაიკეცა.

იმ დღეს ქალაქი პირველად დასნეულდა საერთო მწუხარებით. ეს იყო დღეელი ორი პოეტის და ერთი მათგანის უდროო სიკვდილი...

მკვლელის სახელი დადიოდა ქუჩიდან ქუჩაზე, შეჰქონდათ კაფეებში და ისმოდა ყოველ სუფრიდან.

ერთმა ცნობილმა მწერალმა კაენი უწოდა მას და ეს სახელი ხარბად დაიტაცეს...

ექებდენ მიზეზს და აღმოაჩინეს: თურმე ქალი ყოფილა დამნაშავე. ეს ქალი უნდა გაძევდეს ამ ქალაქიდან! კმარა! ეყოს ამდენი მსხვერპლი მის სახითათო სილამაზეს. რესპუბლიკის მოხუცი პრეზიდენტიც ხომ საკმაოდ გამოატვინა!..

მკვლელს დასჯიან. მას ვერ დაიხსნის ბედნიერი ნიჭი და დიდი სახელი...

ასამართლებდნენ. დარბაზი სავსე იყო ცნობისმოყვარე ხალხით: მოვიდნენ ქალები მონოკლებით, პოეტები, მწერლები, დარბაისელნი მელოტი თავებით და ახალგაზრდობა. მოსამართლეებს შეენოდა სიღინჯე და სახის მრისხანება.

მოისმინეს ბრალდებულის ოქმი. დამცველის მქუხარე სიტყვას ელოდნენ, მაგრამ დამნაშავეს სკამიდან აღგა დაქანცული სხეული და ნელის ხმით დაიწყო:

— მასამართლებენ... მე ჩავიდინე იშვიათი დანაშაული: არ არის ურიცხვი ლექსების ავტორის, რომელიც დაეცა იქ, ძველი კოშკის ახლო, ჩემთან ბრძოლის დროს. კანონის და თქვენს წინაშე თავის გამართლება არ მინდა, მაგრამ იმ ახალგაზრდობისთვის, რომელიც აქ მოსულა, მე არ დავფარავ ერთ საიდუმლოს:

ბავშობიდანვე ბედი მაწვალებდა. ხშირად მეწვეოდა ის, როგორც მოჩვენება, და არ ვიცოდი რა იყო... ვხარობდი უმიზეზოდ და ვაქებდი ვილაცას, — სიხარულით რომ მავსებდა. ეს იყო ჩემი პირველი ლოცვა — პირველი ლექსები.

სიზმარივით დაედიოდა მე, ბედნიერი, ბედნიერ ცის ქვეშ და ჩუმად ვთხზავდი. წერისთვის არ მეცალა, მაგრამ მახსოვს ჩემთვის უბედნიერესი დღე, როდესაც ვიგრძენი, რომ არავის არ ვგავდი.

იმ დღეს ჩემს ღარიბ ქვეყანას მე ვაჩუქე ლექსი, რომელიც არ მოკვდება... მერე თქვენ ყველაფერი გახსოვთ... მე მრწამდა ჩემი და თქვენი უკვდავება, მაგრამ შუაში ჩადგა ის, აჩრდილივით, და ყველაფერი გააიაფა...

მიჰქონდა ჩემი გრძნობა, ჩემი ფიქრი, მთელი სტრიქონები და რითმაც კი, ღამეებს რომ ვათენებდი მათი ბრწყინვალეებისთვის.

რა ადვილად უღირდა!

ის ყაჩაღივით იჭრებოდა ჩემს სამეფოში და არ იყო დამცველი. რედაქტორების უნიჭობა ხომ მუდამ ხელს უწყობდა...

ღამდებოდა, როცა დამნაშავე ციხეს დაუბრუნეს. კანონმა დასაჯა პოეტი, მაგრამ ახალგაზრდობამ ყველაფერი აპატია.

ინდო სოსანიშვილი



ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ე ბ ი

I

ქალაქში ცას არაეინ უცქერის. მაგრამ საღამოს მე ვშორდები ქალაქს და პირისპირ ვხვდები მზის დასავალს... ლიმონისურად დაქცეულ ტბაზე დღეს დამბუდა აქ განწირულ სახლების შავი სილუეტები და გამოუთქმელი სევდა... თითქო საუკუნოდ ჩადიოდა მზე...

მოვედი ულონო ლასლასით. შევალე ჩემი ბინის კარები. უნდა შევსულიყავი, როცა ჩემს ახლო დავინახე გლახა — მათხოვარი.

— მაჩუქე რამე... ორი დღეა არ მიჭამია! —

— ეჰ, მომაბეზრეთ თავი! — მიუგე მე და ხელი ჩავიქნიე.

უცნაურმა ძალამ შემაჩერა. თვალეში შევატყვე: ის არის, ვისაც უხმოდ აძლევენ უკანასკნელ გროშს. მაგრამ მაინც ვოქვი:

— არა მაქვს, ძმაო, არა მაქვს არაფერი! — სიჩუმე.

— არა მაქვს!.. თუ არ გჯერა, გამსინჯე...

მეორე სახე გაჩნდა პირველის გვერდით. მოიღუნა, თეთრად მოციალე თვალეების კაკლები დააბრიალა და ცივად წასჩურჩულა:

— ნახე!

ფულის ქისა გაუწოდე და დაციხვით უთხარი: თუ ორ ნაკუწ ქალაღზე მეტი ნახოთ...

— არაფერია! — იღიმებიან ისინი. ქისა ცხვირთან მიუტანიათ და ბეჯითად სინჯავენ უმწეო ტლანქი თითებით.

— ყაჩაღებია! — ვფიქრობ მე და რალაცას ველი.

II

— ამ ყოფაში ვართ! — შეუბნება გლახა იმის შემდეგ, რაც ჩემს ქისაში ვერაფერი აღმოაჩინა, — უნდა გვიშველო!.. ჩვენი შველა შენც გამოგადგება... აი, ეს შეინახე... —

— დაეხსენ! — აწყვეტინებს მეორე, — სიტყვები რა საჭიროა!.. გადაეცი ეხლავე! —

და მომესმის საიდუმლო და ჩქარი:

— ... უნდა იცოდეთ: გზები შეკრულია!.. გმართებს, სიყვარული... ისინი დაძრწიან ყოველგან... გინახავს მოკამკამე მუზარადები? ~~უბუბუნებენ, უბუბუნებენ~~ და... —

— იმათ შებრალება არ იციან, — ამბობს მეორე, — მაგრამ შენ გასწი და იმღერე... სულ ერთია!.. —

და გადმომცეს მოგრძო, კუბოს მზგავსი ყუთი, დაკეტილი და გარდი-გარდმო თოკით შებანდული.

— რა არის აქ? — ვეკითხები და ხელები მიკანკალებს.

— ბრილიანტები...

— ბრილიანტები???

— ჰო, ბრილიანტები!..

სდუმს ღამე და წუთი ფარავს საუკუნეს.

მერე დინჯად, დარწმუნებით, და თითქო სიბრაღულითაც, ერთი მათგანი იმეორებს გარკვევით:

— მსხვილი ბრილიანტები, როგორიც ჯერ არ დასიზმრებია მზის ამოსავალს! —

— მერე? — ვეკითხები სრულიად დაბნეული.

— ეხლა გასწი! —

— გასწი! — მაწყვეტინებენ კითხვას და ჩემი ბინის კარებს თვითონვე ხურავენ.

III

ო, ეს ღამე, როცა არ იცი სად წახვიდე და შაინც მიღიხარ! როცა ყოველ ნაბიჯზე სიკვდილს ხედავ და დაბრუნება ვაშინებს სიკვდილზე უარესად!..

უცნაური ცხოველების ლანდები იშლება ყოველ მოსახვევში. გარბის უკუნეთში და ისევ წინ მხვდება.

მურის სპირალებად დაფრინავს უკუნეთი.

არც ერთი ვარსკვლავი ცაში.

— ჰეი! —

ფეხების მძიმე და მწყობრი ბრაგუნა. მერე სიჩუმე.

— ვინა ხარ?! —

ხმა არ გავეცი. დადლილობა და ზიზღი. მომაჯადოვა სასტიკმა სიტყვებმა: „იმათ შებრალება არ იციან, მაგრამ შენ გასწი და იმღერე... სულ ერთია!“

სულ ერთია, მაგრამ... სიმღერა არ შემოძლია!

შესდგენ. ბუტბუტებენ. ჩხრეკენ ირგვლივ ყველაფერს... აყურებენ.

გვერდი ამიარეს.

დაბლა დავეშვი და ჩაბნელებულ ღელეს მივადექ. აქა-იქ ნაკადი მირბის შტოებათ დაყოფილი. წყალი დავარდნილი უნდა იყოს. წამბმარი ძენწი სოკოსავით კიმკიმებს. ფეხ და ფეხ მინდა გადავიარო.

— სად მიიღუბები, ვერა ხედავ, აქ ბორანია! — შემომძახის გამწყრალი ხმა.

— მერე რა?

— რა, რა! — ბუზღუნით მაჯავრებს ხმა, — ვის გაუგონია აქ ფეხით გასვლა, მტკვარი გგონია თუ ალაზანი?! —

მიუახლოვდი... ბრგე და შევწვერა მენავე მომჩერებო, როგორც ქარონი უკანასკნელ სამზადისში. ჭრაქის სინათლეზე ლაპლაპებს ქუში სახე, ბთასი წლის წინ რვალიდან ჩამოსხმული...



მივცურავთ...

ქარონის დაბრილი სახე იღმიჭება, თითქო ჩემს გულუბრყვილობას დასცინისო. ჭრაქის სინათლეზე კბილები უციალებს...

ბრაზი მომივიდა. წამოვიჭერ და მიუახლოვდი:

— იცი, აი ამ ყუთში მე ბრილიანტები მაქვს... მსხვილი ბრილიანტები, როგორც ჯერ არ დასიზმრებია მზის ამოსავალს... და არც დასავალს! —

— შესაძლებელია... არ დასიზმრებოდეს... მაგრამ დასავალს რაღად უმატებ! — თავაუღებელივ მიპასუხებს იგი, — სად დაიბადე, ნეტავ, ჰა! სულელი ხარ! —

და ისევ... ნიჩაბს დაყრდნობია და სდუმს. მე რე თითქო თავისთვის ბუტბუტებს.

— ამ ბოლო დროს ძალიან მოიმატა... ეტყობა იქ ახალი მანქანა გამოიგონეს. —

— რამ მოიმატა? —

— მდინარემ. აი, დახედე... შენ იცი, ახალი მანქანა?.. ყური მომიკრავს, მარა არ მაგონდება მისი სახელი... —

საშინელი ეჭვი იპყრობს მთელ ჩემს არსებას. მე ვეკითხები ძრწოლით, თითქო სიკვდილის განაჩენის წინ:

— რა ჰქვია ამ მანქანას... ტყვიის მფრქვეველი? —

— არა... უფრო ახალი. სხივივით შიდის ტყვია... —

— მაშ ეს მდინარე... —

— ჰო, სისხლია! —

და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე სისხლის ბურუსი. სქლად და მცონარედ მიიზღაწნება მდინარე და მიაქვს გულის შემზარავი ნადავლი...

და არა სჩანს დასასრული და ნაპირი....

IV

გამომეღვიძა უსაათო წითელ ღამეში. ჩემს წინ დგას ქალაქი ჩირალდანი, მობურული ანთებულ ღრუბლებით. ქალაქი იწვის, მაგრამ ქალაქიდან გარბის მხოლოდ ლანდები.

სიცოცხლეს არ შეუძლია ქალაქიდან გაქცევა.

ეს კარგად იცის მან, ვინაც დაანთო აქ ჯოჯოხეთი.

იცის — სიცოცხლეს ჯოჯოხეთის არ ეშინია, რადგან მის თვალებს არასოდეს არ შორდება სამოთხის კარები.

ქალაქისკენ მიიმართება ყოველი სულდგმული. ქალაქისკენ მივდივარ მეც, და მიმაქვს ჩემი ტვირთი — ჩემი კუბო ბრილიანტებით...

ნაცნობი მენავე წამომეწია მგლური სირბილით... მომადახა და გამაჩერა:

— შენ უსათუოდ გეცოდინება... მითხარი, როგორ ისერის ახალი მანქანა? ვერ მომესაზრებია.

— ხა... ხა!.. — პირი დაბჩენილი, თვალები ანთებული, ყელში უღუყლოყებს ბელზებელის ხარხარი.

— შეიძლება ათასი კაცი ერთად დააფინო?..

— ???

— შეიძლება თუ არა, მდინარე ზღვად გადაიქცეს, გაიშალოს დედამიწაზე და ჩააქროს ყოველი ცეცხლი და ხანძარი?

მხოლოდ ეხლა მივხვდი ამ უგვანო ნადირის წადილს, გული შემილულდა ბოლმისაგან, სასოწარკვეთის ძლიერება ვიგრძენ მკლავებში, შმაგად მივარდი და გამეტებით ავწიე ხელი...

გამომელვიძა და გამეცინა ჩემი სიზმარის.

ნამდვილად კი: ტრამალი მინდორი, და ვხედავ, თითის ოდენა რომ სჩანს, პატარა კაცი უახლოვდება ანთებულ ქალაქს. იგი მიათრევს ზურგით ვეებერთელა კუბოს, რაიც ასჯერ მასზე დიდია. კუბო ბრილიანტებითაა სავსე, მსხვილი ბრილიანტებით, როგორიც ჯერ არ უნახავს მზის ამოსავეალს.

ის კაცი მე თითონ ვარ.

მე ვჩქარობ, რადგენ კვალდაკვალ მომდევს ღამე წითელი და უსაათო.

V

არ ვიცი ვის ვეძებდი.

ვიწრო კედლებით გარშემორტყმული მივდიოდი მთვარეულის ხეტებით. ვეძებდი ვილაცას.

და აი, მოჩვენებასავით გამოჩნდა იგი, ჩქარი და ფრთხილი ნაბიჯით მომიაბლოვდა ბრმასავით მიმავალს და ნაზი მფშვინვარება შემომახვია.

— ჩქარა... ჩვენებს სძინავო! —

სახეზე ვგრძნობდი ცხელ სუნთქვას და ჩუმად ვიყავ, როგორც სევდის ტაძარში...

დამწვდა, თვალები თვალეებთან მოიტანა, ნერვიულად შეირხა და ძლიერ ჩამჭიდა ხელი:

— წავიდეთ! —

თითქო იღრჩობოდა.

კარები გავიარეთ.

დიდი ხნის შემდეგ მკითხა:

— შენ დაინახე ჩვენი სახლის კარები?! —

— დავინახე... ცოცხი ეკიდა! —

— ეხლა მოვლენ და აგვაწიოკებენ...

განთიადს უცდიან მხოლოდ. შენ ხომ იცი, განთიადს ყველაზე მეტი ცოდვა მიუძღვის სიცოცხლის წინაშე! —

— არ შემიძლია განუგეშო, ჩემო ძვირფასო! — არ ვიცი ვთქვი, თუ მხოლოდ ვიფიქრე. და ამ ფიქრს ჰკავდა კოსმიური სისწრაფე, რომლითაც მოგვაქროლებდა უსაქეო ავტომობილი...

სულს მიხუთავდა ტყვიასავით მძიმე ჰაერი. ვრცელი ტრამალით მიდიოდა

ჩვენი გზა, — ციაგებისკენ უჩინარი ზარები გადასძახოდენ ერთმანეთს, თითქო ვიღაც უპატრონო ყუფდა, ღმუოდა, საშინელს ელოდა და საშინელს ამხადებდა.

VI

ჩემს სიცოცხლეში მეორედ ვნახე იგი, კურთხეული მოხუცი.
ძველი პატრიარქი.

ტრიბუნი და მეუფე.

ერთად ერთი.

მალლიდან ლომივით დაჰყეფს მოზღვავებულ ხალხს.

ნათელი სიტყვები, აზრების მღვლევარე მუსიკა და სიყვარული, დამათრობელი, როგორც ძველი ღვინო, ანათებს და ატკობს აქაოსებულ სულს.

და ისევ მოდის ძალა, რწმენა და იმედი, როგორც ქრისტე აზვირთებულ წყალთა უდაბნოში.

მინდა მუხლებზე დავეცე, ათასი სიბრაღულით ნაგვემი ფიქრი ავატორო.

— სად იყავ ამდენ ხანს... ხედავ, რა საშინელია სიცოცხლე, ჩვენ კი გვაწამებს მირაჟები და არ ვიცით სადაა ნაპირი?!

მოჯადოებული ხალხი მწიფე ყანასავით ტორტმანებს. თავშეკავებული აღტაცება და გმინვა ტორტმანებს მასში...

მაგრამ როდის იქნება ნამდვილი სიტყვა?

— ჩვენ მზადა ვართ!!! —

— რად აყოვნებს ტრიბუნი?!

მე ვხედავ მოწყურებულ ხელების ტანჯვას და უკვე მომესმის შორი ქუხილი.

ჩემ თვალ წინ წყდება მარადისობის ჯაჭვი. მერე სიჩუმე და ამ ჯაჭვიდან გამოვარდნილ რგოლის ზუფილი.

მოხუცი შემომცქერის.

არასოდეს არ დამავიწყდება მისი საბუ. თვალებს ვხუჭავ უამრავი ტანჯვის წინაშე. მიწა ტორტმანებს და, როგორც სიზმარში, მომესმის შორი, შეუცნობელი:

— დასწიე მაგრად! —

— სადაა თოკი? —

— ეშმაკმა წაგიღოს!..

და მიღებული ხმა საბრალოდ მიჩურჩულებს ყურში:

— ხედავ შენ, ძვირფასო, სად იყავ ამდენ ხანს? საშინელია უფსკრულის ღრიალი... ჩვენ კი გვაწამებს მირაჟები და არ ვიცით სადაა ნაპირი!

თვალებს ვახელ:

ვებერთელა გული, ჯერ კიდევ მთრთოლვარე, ჯერ კიდევ ცოცხალი ტანაობს თოკზე. ზღვასავით ირევა ხალხი და ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდება, ესვრის და უმიზნებს... ერთი მეორეს, აქეზებს, უწონებს, ეჯიბრება.

და ისე გატაცებული არიან ამ ვარჯიშობით, რომ ვერ ამჩნევენ: აბლოვდება სინათლე, მზის კი არა, — ხანძარის: იწვის სოფლები და ქალაქები და გამოუთქმელ საშინელებაში ღმუის ზარები.

გული კი ქანაობს, ქანაობს და უსუბივით აპკურებს სისხლს წვეთებს.

VII

— შენ ასე დიდხანს, დიდხანს იტანჯე! ეხლა მოიხვეწე, სიყვარულსო, იყავი წყნარად. ხედავ, რა სინათლეა ირგვლივ! რა საუცხოვოდ კაწკაშებს თეთრი ხრიზანტემები, ხრიზანტემები... შენ ყურს არ მიგდებ. იცი როგორი ქათინაური გავიგონე? არა? შენ არ იცი?.. ამ ყვაეილებს შორის, თითქო მეც ისეთი ვარ, როგორც ხრიზანტემა... საგვირგვინო ტანსაცმელი მე ძლიერ მიხდება... მითხარი ხომ გიყვარვარ. არა, მითხარი, არ გიყვარვარ? — თვალებში შემომცქერის ალერსით.

— როგორ არა, ძვირფასო! — და ოფლი მოვიწმინდე...

ოთახში დიდი სინათლეა, მოალერსე და მხიარული. ვაზები ვერ იტევს ყვაეილებს, ჰაერი გაქლენთილია დამათრობელ სურნელებით. როკვა და მუსიკა. ჯენტლმენები გახამებულ საყულოებით და მელოდირ კისკისით ავარჯიშებენ ყელს ახალგაზრდა ქალები... შავიდას კი თეთრი სპეტაკი სუფრით უსხედან აქ სულ ნაცნობი და მახლობლები.

მხოლოდ ერთი შეგებიანი დედაკაცი უზის ფანჯარას და თვალს არ აშორებს განუხომელ რყევით აღსავსე ღამეს.

ვილაც მომიახლოვდა ზურგიდან. რბილი ხელებით თავი დამიჭირა და თვალები ამიხვია:

— გამომიციანი! —

და მოგონებამ დამიწვა სული:

სასწაულს ველოდი. ბრბო ღრიალებდა: — ვერ მოგცემთ, ვერა... შენ დამალავ და გაიპარები. — მე ვთხოვდი ბრბოს მხოლოდ გულს, რომელიც მას სათამაშოდ გადაექცია. იგი კი გულის გარდა არაფერს შურავდა... მოდიოდა ძვირფასი თვალი და უხილავი განძი. ბოლოს ყვირილით გაიშალა წრე და ჩემს წინ დადგეს ნაცნობი კუბო, ისევე მძიმე და თოკით შებანდული... „ინებე!“ ყვიროდა ბრბო. შევლას ვეძებდი, როგორც სიკვდილის წინ, და მოვიდა ჩემთან მოულოდნელად, როგორც ფრთები დავრდომილის სიზმარში და სიყვარულით სავსე თვალებით მომჩერებოდა. ხედავ ჩვენს განსაცდელს? — უთხარი მე. ძვირფასო, განსაჯოს შენმა გულმა, რომლის სამართალი მრწამს და გადასჭრას შენმა ხელმა, რომელსაც ვენდობი, როგორც მეუფეს! — რაა ამ ყუთში? — იკითხა მან. — ბრილიანტები. — თავი დახარა... და უკვე მაშინ ცივმა ლაბვარმა გამიარა მკერდში. — ხალხი ბრძენია! — სთქვა მან. — მაშ შენ არჩიე ბრილიანტები? — სახე გაუფითრდა და იქვე ჩაიკეცა.

ეხლა კი აქ დგას და მეთამაშება.

ვერ გამიგია, რა უნდათ ჩემგან? რად მართობენ, რად მიყურებენ, როგორც ავადმყოფს? მე ხომ ბავშვი არა ვარ!

და განა შესაძლებელია დამიშალო ის, რაც ფანჯრებს იქით ხდება, როცა იგი გაპკივის და აზვირთებულ ტალღააავით ასკდება ჩემი სულის კარებს!

— შენ მშვენიერი ხარ! — მიუვცე მე და ავდექი.

VIII



— მოხუცო, მითხარი რას ხედავ?

— არაფერს შვილო!

მაგრამ მე ვიცი რომ ხედავ! —

— დაწყნარდი, შვილო, თვალთ ისე დამაკლდა, რომ დღისითაც ვერაფერს ვხედავ.

განა მე თვალეზე გეკითხები?..

— რად გადაიქცა ჩვეულებათ ეს განვაში ფანჯრების იქით? განა არ გესმის შენ სიკვდილის ქეითინი და იმათი კრიმანჭული, ვინც ვერაფერს ხედავს?.. შეშლილები კი ცეკვავენ ამ ღამეს, შეშლილებს ქორწილი აქვთ... მაგრამ ერთ დროს ხომ დაწყნარდება ყველაფერი და მაშინ ვინ გაუძლებს გაშიშვლებულ სიჩუმეს.

მე ავწიე ხელი და ქერს მივაბჯინე...

რა საბრალო იყო ეს ხალხი ჩემს წინ!

— გააღეთ ფანჯრები! მე ვიცი ვინცაა დამნაშავე... და სანამ მოვბრუნდებოდე შემოიტანეთ ყუთი, რადგან მე ვარ ჩემი სიმდიდრის მეუღლე! —

— ???

გაფითრებული სახეები, ყველაზე წინ ის, ვინც ერთ დროს ჩემი სულის მესაჭე იყო, ჩემი ერთად ერთი და ცისკროვანი სიყვარული. თეთრი ტანისამოსი და სრულიად თეთრი, კედელფით თეთრი სახე... და ასე მგონია, მისი შავი და უცნაურად ცოცხალი თვალები ამ მკვდარ სახეზე არარაობის სიღრმით მომჩერებია. განუზომელ სიშორიდან და მაინც საშინლად ახლო. მე პირდაპირ შეესცქერი ამ თვალებს და ვეკითხები:

— ყუთი! —

იმავე დროს ოთახში შემოაჭვთ კუბო. ჩუმად დაასვენებენ იატაკზე, როგორც მიცვალებულს, და მელოდებიან.

ნაღვლიანი ხელით ვალებ სახურავს.

და მოისმის ათასი მკერდიდან ამოხეთქილი განცვიფრების კენესა.

ათასი თვალია მოწამე: ცოცხალია ბრილიანტები, წმინდა, დიდრონი და მოციმციმე, როგორც აგვისტოს ვარსკლავები...

მაგრამ რა მოგდის შენ, ჩემო სულო!

ჩემო სულო, რად ცახცახებ უბრალო ბრილიანტის წინაშე?..

იგი ხომ ნახშირია!!!

განა შემოქმედს არა აქვს უამრავი სხვა ნახშირი უფრო მშვენიერი და სასწაულმომქმედი?

რა გაათბობდა სიცოცხლეს, რომ ყოველი ნახშირი ასე უკვდავი იყოს?

და განა იქ, სადაც საგნები უკანასკნელად ქრება, ბრილიანტი უფრო მეტ სიბოხს დასტოვებს ქვეყნად, ვიდრე უბრალო ნახშირი?..

მაშ მოხდეს სასწაული!

IX

ღამე მოაწვა გაღებულ ფანჯრებს. მაგარმა ქარმა ქაჯების ლაშქარი მორეკა სასახლის ზღუდეს და მძაფრი კივილი გაისმა ფანჯრების ქვეშ.



კუბოში მიცვალეხულს გამოელევიდა. ამოისუნთქა და წყაროები-ბრილიანტები. დაღეწილი ცისარტყელა სხივების მარაოდ გაიშალა და ისევ განცვიფრების ოხვრა გაისმა.

მე ველი სასწაულს და იგი არაა! ცახცახებს ჩემი სული მოლოდინში. ფანჯრების ქვეშ კი ავსულები ნობასა სცემენ.

ათასი თვალთა მოწამე: ბრილიანტები ჩანჩქერად გადმოიქცა კუბოდან.

მაგრამ სასწაული არაა!

მე ავიღე პეშვებით მოკაშკაშე ცოცხალი ბრილიანტები და ფანჯარაში გადავყარე დაუზოგავათ.

კიდევ პეშვები გადავყარე და იქ, დაბლა, განგაში მიწყნარდა.

მოვბრუნდი.

დახრილ მდუმარე თავეების ზევით ცისარტყელა ვნახე მთლათ მეწამული და მღელვარე, როგორც ჭაღლები.

თვალეზზე — ბრილიანტები.

საკირესავით ანთებულ კუბოში იწოდა გულები.

და იქ, დაბლა ფანჯრების ქვეშ იყო დიდი სიჩუმე...

ჟამთა დენა გადაჭრა უხილავმა მახვილმა.

უასაკო მარადისობამ დაალო საშინელი პირი.

და მოხდა სასწაული:

გაიხსნა ათასი მკერდი და ანთებულ კუბოს წინაშე ყოველმა გულმა სთქვა თავისი საიდუმლო.

და არ იყო ქვეყნად ბოროტება, რომელიც გულს არ გამოეცადა.

ხოლო უფრო დიდი იყო იმისი ცეცხლი! გაუწყნარებლად დღევდებოდა იგი და სულ მალლა და მალლა იწვედა კოცონი მკერდში და კოცონი კუბოში...

დაჭკრა ყოველი სხვა ცეცხლი და ხანძარი. დაჭკრა მზე და მსოფლიო გაანათა და გაავსო სიყვარულმა...

.

მაშინ ჩემი გული მოემზადა აღსარებისათვის. ჩემს გულს უნდოდა ეთქვა თავისი საიდუმლო... და უკვდავების საზღვარზე მე ვიგრძენ უკანასკნელი სიტყვის ტკივილები.

ასე გათავდა ჩემი სიზმარი.

გულის ცემამ გამომაღვიძა.

ლოგინზე ვიჯექ და ეხლა უკვე ცხადში შევყურებდი ფანჯარაზე მომდგარ ორ აჩრდილს.

— დრომ მოაწია... დაგვიბრუნე ჩვენი კუბო! მემუდარებოდნენ ისინი.

და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ მათი ტანების სამჭვირვალეში მე გავარჩიე მჭრთალი გარიჟრაჟი.

მიხეილ ალაშვილი-ჯავახიშვილი



დ ა ზ ლ ვ ე ვ ა

კვაჭის გაუჭირდა, მეტის მეტად გაუჭირდა: ფული გამოელა.

ფულის გამოლევას მოჰყვა ტოლ-ამხანაგებში ჩამორჩენა და გავლენის შემცირება. მეგობრები წინანდებურად აღარ ეხვეოდნენ, აღარ ელაქუცებოდნენ, აღარ აქებდნენ და აღიდებდნენ: ქალებიც შემოეფანტნენ; ყავახანებს, რესტორანებსა და შანტანებშიც ჩანისიავება ძლიერ გაძნელდა; თერძი, მეჩექმე და მრეცხავი წუწუნებდნენ, მეეტლე საჩივრით იმუჭრებოდა. უფულო კვაჭი ჰგავდა უწყლო თევზს, უფრთო არწივს, უფეხო რაშს.

სილიბისტროს შეატყობინა თავის გაჭირვება. პასუხად ქუთაისიდან მიიღო მხოლოდ თვრამეტი მანეთი და ამდენივე თაბახი საყვედური, დარიცება და წუწუნი.

ისევ სედრაკა მიეშველა.

— ვააა, გაგიჭირდაა? გინდა ფული მომაგებინო? მაშ ყური მიგდე და ყველაფერი დამიჯერე. ნადინკა არმელაძე და ვერიჩკა კალოშვილი შენი კარგი ნაცნობები არიან, არა? ერთ კარგ ვახშამზე დამიპატიე, ჰამ იქეიფებ, ჰამ ხუთ თუმანსაც გაიკრავ... ჰამე? დანარჩენი მე ვიცი.

მეორე დღეს ერთი ბერძენი, სედრაკა, კვაჭი და ორი ქალიშვილი „ოლიმპიის“ მიყრუებულ კაბინეტში ეახშობდნენ.

შუალამეს რომ გადასცდა, მანაკაცები რომ კარგად შეხარხოშდნენ და ქალებიც აჭიკჭიკდნენ, სედრაკამ კვაჭის თვალი უყო და თვებში თვები წაჰკრა. კვაჭი კაბინეტიდან შეუმჩნეველად გამოიპარა, ქუდი დაიხურა და სახლისკენ გასწია.

კარგად რომ გათენდა, ნადინკა და ვერიჩკა „ოლიმპიის“ მორთული ოთახებიდან ფეხაკრეფით ჩამოვიდნენ, ქურდულად ჩამოიპარნენ და მიყრუებულ ქუჩებით თავთავიანთ ოთახებში დაბრუნდნენ.

იმ ღამეს ძალიან ავად გაეხდი, კილამ გული წამივიდა, ამიზა წამევედი — ეუბნებოდა კვაჭი ნადიას რამდენიმე დღის შემდეგ.

კვაჭიმ ორიოდე კვირით სული მოითქვა, მაგრამ მალე ისევ/ ენა გად-
მოიგდო.

ისევ სედრაკა მოიშველა: ერთი დასტა ახალი ფულბი მოსტანაჲსთან ჰკან-
კალებდა და თვალებს აბრიალებდა:

— ჰა, კნიაზჯან, ფრთხილად, თორემ დაილუბები და მეც დამლუბავ. დიდ მალაზიაში ან კარგ რესტორანში არ დაახურდავო. წვრილფეხა ვაჭრებში იარე, ხან „სემიჩკა“ იყიდქ, ხან პაპიროსი, ხან ფაეტონით გაისეირნე. მეოთხედი შენია ჰა, ფრთხილად, თორემ...

კვაჭიმ ის ფული ორ დღეში დაახურდა, მაგრამ კინალამ თავი დაილუბა: ორ ალაგას ფული დაუბრუნეს. სედრაკა დაფრთხა:

— აკი გითხარი, კარგ ალაგას ნუ შეხვალ მეთქი, შენ კი თავი ვერ შეი-
მაგრე და ფრასკატის ყავახანაში შიახეჩე ეგ ფული. მორჩა, მეტი აღარ არის. ჰამე? როცა იქნება, კიდევ მოგიტან, მაშ!

კვაჭი ისევ წელში გასწორდა, მაგრამ მალე ისევ მოილუნა და მოიდრიკა.

— სედრაკ, მიშველე!

— ჰამე? მაშ გიშველო? გიშველი. ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო. ვა-
ლოდია შეარიძეს იცნობ, არა?! ფრთხილად მოელაპარაკე, გიმნაზიის დიპლომს
დაეძებს... ჰამე? ან 'მუშის გიმნაზიის იქნება, ან ფოთისა, ან დერბენდისა, ოცი
თუმანი ეღირება. შუაზე გავიყოთ. საშა ბელუროვსაც უნდა? მაშ გააკეთე. მუშ-
ტარი შენი, საქმე ჩემი.

გააკეთეს. ორივეს ორ დღეში ნამდვილი დიპლომები ჩააბარეს.

— იცი, რას გეტყვი კნიაზჯან?! — უთხრა ერთხელ სედრაკამ. — სახიფათო
საქმე ფათერაკით თავდება. მოდი ერთი სუფთა ხელობას მოჰკიდე ხელი. ჰკვი-
ანი და მოხერხებული კაცი ხარ. მაკლერობა ხედგამოჭრილია შენზე. ერთი საქ-
მე მაქვს. ყური მიგდე...

* * *

ორიოდე დღის შემდეგ კვაჭი ოჯახიდან ოჯახში და მალაზიიდან მალაზია-
ში დადიოდა. მეტის ყბედობისაგან ყბები ასტკივდა, ენა დაება, თავი გაუბრუ-
ვდა. კვაჭი მაისის დამდეგს „ჰელიოსის“ ახალი სისტემის ფეჩებს ჰყიდდა. სა-
ქონელს აქებდა, ჰბერავდა, აზვიადებდა, მყიდველს არწმუნებდა, ტერმოქიმიის
ლექციებს უკითხავდა.

— მომითმინეთ, ყური მიგდეთ... აქ ნავთს ჩაასხავთ.. ამას აუწვევთ.. ამას
დაუწვევთ... ეს ტერმოსკოპი გახლავთ... დღეში ნახევარი გირვანქა ნავთი ხუთ
ოთახს გაათბობს.. იანგარიშეთ ეკონომია..

— არ გვინდა, ბატონო, ხუთივე ოთახში მშვენიერი ბუხრები მაქვს.. რა
დროს ფეჩია მაისში!. ბოდიში, არა მცალიან.

— მოითმინეთ! ხუთი წუთი მაჩუქეთ... იანგარიშეთ ეკონომია...

კვაჭის ანგარიშით საჭირო იყო მხოლოდ ფეჩის ყიდვა, ისიც თითქმის
უფასოდ, ხოლო მისი გამოყენება და ხუთი ოთახის გათბობა წლიურად რაღაც
ორიოდე მანეთი ეღირებოდა.

ერთ კვირაში ათიოდე ფეჩი მაინც გაყიდა.

ბოლოს ვინმე ჰოფშტეინს ეწვია. შეიბნენ და შეიტაკნენ. ჰოფშტეინი ცივად დაუხვდა, მტკიცე უარზე გაიჩხირა, ქუდიც კი აიღო, ვითომ წასასვლელად ემზადებოდა, ბოლოს ყვირილიც მორთო:

უჩინებელი
ზიზღიერება

— არ მინდა! არ მინდა მეთქი!

კვაჭიც გაკერპდა, გაჟინიანდა. არც ჰოფშტეინის ქუდს ჰხედავდა, არც მისი ნერვიული მოუთმენლობა ესმოდა. თითქოს ამბობდა: უნდა იყიდო ეს ფეჩი, მორჩა და გათაედა! სანამ არ მოგყიდი, აქედან არ გავალო! დაუპატიუებლად დაჯდა და მტკიცედ მოიკალათა.

ჰოფშტეინი მეორე ოთახში გასახლტა. ვაჭკაცი გაჰყვა.

ჰოფშტეინი გაზეთის კითხვას შეუდგა. კვაჭი მოთმინებით უცდიდა. ბოლოს ჰოფშტეინი დაიღალა, მოღბა და გატყდა:

— რამდენი გერგებათ? — მორჩილებით ჰკითხა.

— 17 მანეთი და 25 კაპ.

— ინებეთ, ოღონდ თავი დამანებეთ.

— აი კვიტანცია. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ჰოფშტეინი კვაჭის კიბეზე დაეწია:

— მოითმინეთ.. ორიოდე სიტყვა.. მობრძანდით... დაბრძანდით... ეხლა თქვენ მიგდეთ ყური. აი ეს წიგნი აი ამ კატას უფრო გამოადგება, ვიდრე მე ვგ ფეჩი. ნუ გამომიგზავნით. თქვენ თვითონ დაიდგით, ან გაყიდეთ, ან გადაადგდეთ, ან ღარიბს აჩუქეთ. ასეთი უვარგისი და ყოვლად გამოუსადეგარი ნივთი ჯერ არავის მოუყიდნია ჩემთვის. ქება და პატივი თქვენს სიმტკიცეს, ეინს და უნარს! თქვენ აგენტობის ხალისი, შნო და ნიჭი უნდა გქონდეთ. გესმით რამე დაზღვევის საქმისა? არა?... არც საჭიროა. ერთი საათის შემდეგ ყველაფერი გეცოდინებათ. კარგად დამიგდეთ ყური. მე დაზღვევის ინსპექტორი გახლავართ. ვმსახურობ „სალამანდრას“ საზოგადოებაში. უდიდესი და უმდიდრესი კომპანია გახლავთ მთელს რუსეთში... ასი მილიონი ძირითადი თანხა... 10 მილიონი სუფთა მოგება... აქციის ნომინალური ფასი — ასი მანეთი, საბირჟო კურსი დღეს — 341 მ. და 40 კ. აი, ჩაიხედეთ დღევანდელ გაზეთში... „სალამანდრა“ იყიდის და გაჰყიდის „რუსეთს“, „ღუზას“, „ჩრდილოეთის საზოგადოებას“, „ვოლგას“ და „მოსკოვს“... თქვენ დაგნიშნავთ სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევათა დაზღვევის აგენტად.. ჯამაგირი? არაფერი. საკომისიოდ იმუშავებთ... ზოგი აგენტი თვეში ორი ათას მანეთს აკეთებს.. დიად, ორი ათასს!... ეხლა აგინხნით დაზღვევის წესს, კანონებს, ტეხნიკას...

იმ დღეს კვაჭიმ ჰოფშტეინთან ისაძილა, მერე ერთი გაკვეთილი კიდევ წიილო და საღამოზე ტარიფებით, პლაკატებითა და ცხრილებით დატვირთული დაბრუნდა.

ბინის პატრონი კაპიტანი სიდოროვი სახლში დაუხვდა.

— როგორ, აქამდის დაზღვეული არა ხართ? ზღვის კაპიტანი და დაუზღვეველი! ყოველ დღე დახრჩობის ხიფათი თავს დაგტრიალებთ; ან ავადმყოფობა გადაგიტანთ, ან სიბერე.. მერე რას უპირებთ თქვენს ქვრივსა და ობლებს? რა პირით შეჰხვდებით ერთმანეთს საიქიოს?.. რაო, სიკვდილს არ აპირებთ? კე-

თილი და პატიოსანი. თუ ოცი ან ხუთმეტი წელიწადი იცხოვრეთ, თქვენს ფულს უკანვე მიიღებთ სარგებლით. დაზღვევა ერთად ერთე საშვალდებაა ფული გადადებისა და დაგროვებისა. მოკვდებით თუ იცოცხლებთ, მაინც მოგვებაში იქნებით... რაო, ათჯერ გირჩიეს? მაინც ვერ დაგითანხმეს? სიკვდილისა გეშინიანთ? უფრო კარგი, არხეინად მაინც მოკვდებით, ცოლშვილს სამათხოვროდ არ გაუხდით საქმეს... ეხლავე გეშინიანთ?! სისულელეა! წელიწადში ხუთასი მანეთის გადახდა გაგიჭირდებათ?! ტყუილია! თქვენ სხვებს ნუ შესცქერით, პირიქით, თქვენ უნდა მისცეთ სხვებს მაგალითი... მცირე ცნობა: ამერიკაში დაზღვეულია მოსახლეობის 99,7⁰/₁₀₀, ინგლისში — 97,9⁰/₁₀₀, გერმანიაში — 94,3⁰/₁₀₀, ხოლო რუსეთში — 00,1⁰/₁₀₀. აი როგორ ჩამოვრჩით კულტურულ ქვეყნებს! აი ესეც ერთი ნიშანი და ნიმუში ჩვენი გაუნათლებლობისა და უკულტურობისა! არა, ბატონო ჩემო, მე თქვენს ოჯახს დღეს კეთილ ანგელოზად მოვევლინე, და სანამ არ ჩაგწერთ, არ მოგეშვებით. გეჩქარებათ? ეგ არაფერია, არ დაგიგვიანდებათ... ეხლა არა გაქვთ? არა უშავს რა, ასი მანეთი მეყოფა, დანარჩენი მერე იყოს, როცა პოლისს გამოგზავნიან პეტერბურგიდან. ექიმები? ხვალ გაგსინჯავენ. აი, ვწერ... თქვენი სახელი.. გვარი... როდის დაიბადეთ?.. დაზღვეული იქნებით ათი ათას მანეთად... აი კვიტანციაც... აქ მოაწერეთ ხელი... ეხლა ასი მანეთი მიბოძეთ.. მადლობელი... ეხლა მიბრძანდით.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ნახევარ საათში „გააიმაქნა“ კვაჭიმ სიდოროვი, რომელსაც სხვა აგენტები ათი წელიწადი დასდევდნენ.

— სიდოროვმა კვაჭი ივანოვთან გაგზავნა, ივანოვმა — პეტროვთან, პეტროვმა — პავლოვთან, პავლოვმა კიდევ — სმირნოვთან.

— როგორ, აქამდის დაზღვეული არ ბრძანდებით?! საკვირველია!.. საოცარია!.. აი კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი ჩამორჩენისა!.. ამერიკაში დაზღვეულია 89,7⁰/₁₀₀, ინგლისში — 81,3⁰/₁₀₀, საფრანგეთში — 79,4⁰/₁₀₀, ხოლო რუსეთში 000,7⁰/₁₀₀...

დაიქინებდა, ჩააცივდებოდა, ჰსდევნიდა, დაჰლლიდა, დაჰქანცავდა და იქამდე არ მოასვენებდა თვალში ამოღებულ მსხვერპლს, სანამ არ ჩასწერდა და არ გააბავდა.


კვაჭი დატრიალდა, დაფაცურდა. დილიდან საღამომდის დარბოდა, ერთსა და იმავეს ყბედობდა, დახეპირებულს იმეორებდა, ტყვილსაც მრავალს წაუმატებდა; ზოგს სიკვდილით აშინებდა, ზოგს ფულის მოგროვებას ახარბებდა; განცხადებებს და კვიტანციებს სწერდა, ფულებს აგროვებდა, კლიენტებს პოლისებს აბარებდა, თან თავის მოქიშპე აგენტებს და ფირმებს ჰლანძლავდა:

— „რუსეთის“ საზოგადოება? დღეს თუ ხვალ დაილუპება. „ვოლგა“? უკვე ვაკოტრდა.. „მოსკოვი“? დაზღვეულებს პრემიას არ აძლევს. აგენტი კარპოვი? ჯიბგირია! კაცმანი? ვიცნობ, დიდი ჟულიკია! სიხოვიჩი? შარშან დაატუსაღეს ფულის გაფლანგვისათვის... არ ენდოთ! მოერიდეთ! დამიჯერეთ, თორემ ინანებთ!

ყველგან გაშინაურდა, ყველას დაუნათესავდა:

— ა-ა-ა, კნიაზ ნაპოლეონ აპოლონიჩს ვახლავართ! როგორ გიკითხოთ, როგორ ბრძანდებით? გვეწვიეთ კნიაზ, გვეწვიეთ.

და კვაჭიცი ხან პეტრეს დასდებდა პატივს, ხან პავლეს; ხან ივანესთან სა-
დილობდა, ხან სიდორთან ვახშობდა, ხან კუზმასთან ქეიფობდა და უსუსუგას უქდა,
გამოკეთდა და გადიდკაცდა.



ათიოდე სუბაგენტი გაიჩინა, უტლი ისევ თვიურად დაიჭირავა, სედრაკას
ვალი დაუბრუნა და დანარჩენი ამხანაგებიც მუშაობაში ჩააბა.

მაგრამ კვაჭის მაინც ერთი სატკივარი ჰქონდა, ერთი ჰაზრი აწუხებდა,
ერთი საზრუნავი ჰქონდა: ხედმეტი ფული არ ჰქონდა.

რასაც შოულობდა და იგებდა, დიდი შრომით და ჯაფით იყო ნაშოვნო;
გუშინ აღებული დღესევე იხარჯებოდა, ხოლო ხვალ, ზეგ და მაზეგაც ისევ საჭი-
რო იყო სირბილი, ახალი მუშტარის შოვნა, ახალი ყბედობა, დაჯერება, ერთი
სიტყვით — საჭირო და აუცილებელი იყო ყოველდღიური ზრუნვა, გარჯა, მუშაო-
ბა, ოფლის დაღვრა, შრომა და ბეჯითობა.

კვაჭი კი სულ სხვანაირ ცხოვრებაზე ოცნებობდა, ამ სოფლისგან მეტს
მოელოდა და მოითხოვდა: თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ნებივრობას და
განცხრომას. ხოლო ერთიც, მეორეც და მესამეც იშოვებოდა მხოლოდ ფუ-
ლით, — ეს კვაჭიმ ძალიან კარგად იცოდა — დიდძალი და უთვალავი ფულით,
რომელიც უნდა ინახებოდეს ბანკში, მიმდინარე ანგარიშზე: კვაჭი მხოლოდ ჩე-
კებს უნდა სწერდეს და მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდეს. ამდენი ფული კვა-
ჭის არ ჰქონდა, და მისი საზრუნავი, საფიქრებელი და სადარდელიც სწორედ
ეს იყო.

— რატომ თქვენ თვითონ არ ჩაწერებთ? — ჰკითხა ერთხელ კვაჭის პოფ-
შტეინმა.

იმავე დღეს კვაჭიმაც ჰკითხა თავის თავს:

— მართლა, რატომ არა ვარ ჩაწერილი? რატომ სილიბისტროს არ ჩავწერ?
იმ დღიდან კვაჭის ტვინი აუდულდა.

* * *

— კვაჭი, გუშინ ლექცია წაიკითხა პეტრიაშვილმა საქართველოს მეღვი-
ნეობის შესახებ. რატომ არ მოხვედი?

— აჰ! მკვდარი ბუნება მკვდრების საქმეა. მე ღვინო მიყვარს, თვარა მეღ-
ვინე რას მეკითხება.

— კვაჭი, გერმანიიდან მომავალი კიტა მოხსენებას კითხულობს ნიკო ბა-
რათაშვილის შესახებ. მოდი.

— აჰ! ყველა ქართველი რომე ფილოსოფიას და პოეზიას გამოუდგეს,
აშენდება საქართველო!

— კვაჭი, ხვალ ჯავახიშვილი ლექციას კითხულობს საქართველოს ისტო-
რიიდან. გელით.

— აჰ! წარსული ჭირივით მეზარება.

— კვაჭი, ზეგ დიდი დისკუსია გაიმართება ესერების და ესდეკების შო-
რის გვეწვიე.

— აჰ! პოლიტიკას თავი დაანებეთ, თვარა ყველას ციმბირი აქეთ დაგრ-
ჩებათ.



— კვაჭი, კვირას ავალიანი თავის ახალ ნაშრომს წაიკითხავს საქართველოს მეურნეობის შესახებ. რას იტყვი?

— აჰ, მაგაზე მოსაწყენი კილო იქნება რამე?

— კვაჭი, პროფესორის მულიქიშვილის წიგნი დაიბეჭდა... აკადემიკოსის მარჩის ახალი თხუზულება გამოვიდა...

— აჰ! თუ იქინე ვინმეს თავგადასავალია აწერილი, ან რომანია, მიშოვე, იქნება წასაკითხად მევიცალო.

— კვაჭი, რატომ არ გკალიან, რას აკეთებ?

რატომ კვაჭის არ სცალიან?! კვაჭი რას აკეთებს?! აბა რა საკითხავია! ჰკითხეთ ადესელ ვაჭრებს და ფულიან ხალხს, იმათ კარგა იციან, ისინი გეტყვიან.

კვაჭი წინანდებურად დაძვრება და დარბის, დარბის და ფიქრობს, ფიქრობს და ზომავს, სწონავს, აფასებს და ანგარიშობს. იანგარიშა და დასწერა:

ჩემო ძვირფასო მამა,

ჩემო კეთილო სილიბისტრო!

აი განცხადება სისწორით გაავსე, კოლია ცალიქაძეს დააწერიე. ათი ათასში უნდა „დაგსტრაბო“. მიზეზს ნუ მკითხავ, მალე განახავ და ყოლისფერს გეტყვი. ქუთაისში სცხოვრობს „სალამანდრას“ აგენტი ვალოდია შარიძე. მიდი მასთან და დანარჩენს ის გაგიკეთებს. უთხარი, რომე კვაჭიც აგენტია თქვა, ამიტომ საკომისიო აფერი მისცე. გიგზავნი ხუთას მანათს. ასი აგენტს მიეცი, ასი შენ შეიხმარე, დანარჩენიც აგენტს მიეცი, როცა პეტერბურგიდან პოლისი მოგვია, პოლისი რომ ჩეიბარო, დეპეშა მომეცი, პოლისი მევიდა თქვა. მერე მეც ჩამოვალ და ყოლიფერს გავაიძასქნეფ. აფერი არიო, ისთე შეიქეცი რავარც გწერ. გარდა ამისა, საჩქაროდ დასტრაბე „მოსკოვის საზოგადოებაში“ ჩვენი სახლები ძალიან დიდ ფასში. ჩემი დარიგება არ გინდა, ვიცი რომე მოახერხეფ, აგენტს გააიძასქნეფ.

მე კარგად ვარ, ჩემი დარდი ნუ გექნება. შეწყინა ტვიჩიას სიკვდილი. ძალიან გამეხარდა რომე შენ ძლივს პრაპორჩიკობა მიიღე. მეტის ღირსი იყავი, მარა, არა უშავს-რა, დანარჩენი მერე იყოს. ცოტა ვალი გამოძევა ერემოსი, ლაითაძესი და დანიელა ურიასი. ყველანი მომიკითხე და უთხარი, რომე კვაჭი მალე ჩამოვა თქვა და ვალს მოგცემთ თქვა. აბა, შენ იცი, აფერი არიო.

ცხარე ცრემლით ვსტირი, რო შე აქანამდის ვერ ვნახე ჩემი საყვარელი ძაბულია, ხუხუ და ნოტიო. გკოცნით ყველას. ვინ იცის, თუ ბედი მაქვს, შეიძლება მაი ქუჭყიან ქუთაისიდან ტფილისში გადავასახლოთ. ღმერთი ილოცეთ, დაგვეხმარება.

შენი შვილი კვაჭი.

P. S. შემატყობიე, ცოცხალია თუ არა ვოლკოვის დედაკაცი, სახლი რომ მოგვეყიდა. ორი კურსი გავათავე, კილო ორი დამრჩა. არა კაცს არ უთხრა ჩემი ჩამოსვლა.

შენი კვაჭი.

ამავე ხანებში კვაჭიმ ჰოფშტეინს განცხადება წარუდგინა „სალამანდრას“ სახელზე, შესახებ იმისა, რომ მას—კვაჭის—ჰსურს თავი დაიხლვიოს უბედური შემთხვევისაგან ოცი ათას მანეთში.

— სიცოცხლის დაზღვევას არ აპირობთ?

— აჰ, მეშინიან.. არ მინდა, ჯერ ახალგაზრდა ვარ. უბედური შემთხვევა შეიძლება მეც დამემართოს.. ბევრს დავდივარ, ვინ იცის, ^{ქვეყნებს ქვეყნი} დამეჯახოს, ან ეტლმა გადამიაროს, ან სახლს აგური მოსწყდეს და დამეცეს.

ორი კვირის შემდეგ პოლისი ჩაიბარა. მერე დეპეშა მიიღო ქუთაისიდან. ეწერა: „პოლისი მივიღე. სილიბისტრო.“

გავიდა რამდენიმე თვე. ერთ დღეს კვაჭიმ განუცხადა თავის ამხანაგებს, რომ მისი მამა სილიბისტრო ავად გამხდარა, ამიტომ ხვალ კვაჭი ქუთაისში მიდის.

საჩქაროდ ავიდა გემზე და მეხუთე დღეს მოულოდნელად შევიდა თავის საკუთარ სახლში, ტფილისის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც მან გაატარა უკანასკნელი გიმნაზიური წელიწადი, და რომელიც კვაჭის ბიძამ, ხუხუ ჩიჩიამ და სილიბისტრომ „მეტად ძვირად იყიდეს“ ვოლკოვის ქვრივისგან.

ასტყდა სილიბისტროს ოჯახში ჟრიაბული, მხიარული წივილ-კივილი, კოცნა, ხვევნა და ლხინი. კვაჭის დედას ძაბულის მოულოდნელი სიხარულისგან კინალამ გული შეუღონდა, დაბერებული ხუხუ და ნოტიო ატირდნენ, ხოლო სილიბისტრო ილიმებოდა და იბლინძებოდა: იმის მოსულ მხარ-ბეჭს „პრაპორჩიკის“ ბჭყვრიალა ეპოლეტები ამშვენებდნენ.

ერთმანეთი რომ მოიკითხეს და გულის პირველი ფრიალი დაიმშვიდეს, კვაჭი და სილიბისტრო კაბინეტში ჩაიკეტნენ. დიდხანს იჩურჩულეს, იბაასეს და იფიქრეს.

სამი დღე ზომეს, სწონეს და იანგარიშეს ის საქმე. კვაჭიმ ჩაიკითხა და დაიხეპირა სილიბისტროს სიცოცხლისა და მისი სახლის დააზღვევის პოლისები. იამა და ესიამოვნა, რომ ოთხი ათასიანი სახლი სილიბისტრომ ათი ათას მანეთად დააზღვია.

მეოთხე დღეს სილიბისტრო ლოგინიდან ველარ ადგა. შივნეულობას იტკიებდა, ჰკვნესოდა და სჩიოდა.

გავიდა ორი კვირა. ექიმებმა სილიბისტროს ხან მალღარია აღმოუჩინეს, ხან კუჭის ანთება, ხან დიაბეტი, ხან კიბო.

— აჰ, ქუთაისელ ექიმს რავა დეეჯერება რამე, — ამბობდნენ სილიბისტრო და მისი ოჯახის წევრები. — მადლობა ღმერთს, კვაჭი ჩამოგვესწრო, ან ადესაში წეიყვანს ავადმყოფს, ან ტფილისში.

კვაჭიმ იმ ხანებში ერთხელ კიდევ გადაატრიალა ქუთაისი, ერთხელ კიდევ მოიგიჟიანა თავი და გაიხსენა გაბერილი ერემო, ლაითაძე და დანიელა ურია.

არც შოლია და მისი ერთგული მეუღლე ცვირი დაივიწყა.

— თვითონ შოლია სახლში არ დაუხვდა, რაც კვაჭის არ სწყენია, ხოლო ცვირი ამის გამო სიხარულით თეხზე აღარ იდგა. ერთხელ კიდევ გაიხსენეს და მოიგონეს ცვირიმ და კვაჭიმ უწინდელი დროება და ერთხელ კიდევ იგემეს დაბაესებული და დაობებული სიყვარულის ნათხეკი.

ვოლკოვის ქვრივმა რომ გაიგო კვაჭის ჩამოსვლა, ჩაიკეტა თავის ბნელსა და ნესტიან ოთახში და ლოცვა-მარხვაში გაატარა ის დრო, სანამ კვაჭი ქუთაისში ქეიფობდა. ისე ერთდებოდა და ეკრძალებოდა კვაჭის, თითქო მან, უკვე

გამოჩერებულმა დედაკაცმა აწყენინა კვაჭის, მოატყუა იგი, გაჭქურდა, გაატყავა და ხელცალიერი დასტოვაო.

ბოლოს კვაჭიმ დასუსტებული და შიბნედილი სიღმისტყვეობის სახლად შეახვიო და ტფილისში წაიყვანა.

* * *

კვაჭიმ და სილიბისტრომ ერთი მიყრუებული სამოთახიანი სახლი დაიქირავეს დიდუბეში და მეორე დღიდანვე შეუდგნენ საქმეს.

კვაჭი ცხვირს აოამაშებდა, თვალებს აბეცებდა, ჰაერს ჰსუნავდა, დარბოდა, ცნობებს აგროვებდა, რაღაცას ეძებდა. ბოლოს კვალი იპოვნა, ნაძებარს მიჰყვა და მიაგნო.

ერთ დღეს კვაჭი ერთ ოთხმოცი წლის რუსს ეწვია.

— ამ სახლის პატრონი თქვენ ბრძანდებით?

— დიალ, მე გახლავართ.

— თქვენთან სცხოვრობს ოვანეს შაბურიანიცი?

— ჩემი მეუზოვე გახლავით. ძალიან ავად არის.

— ავად არის? რა დაემართა?

— აგერ ორი კვირა იქნება რაც დამბლად არის დაცემული. წართმეული აქვს მარჯვენა ხელ-ფეხი და ენა.

— ღმერთო ჩემო, რატომ აქამდის ვერ გავიგე! იქნება მეშველა რამე. ნუ გიკვირთ... ერთხელ დიდ წყალში ვირჩობოდი; მაგან ამომიყვანა.. სიკვდილს გადამარჩინა... კინალამ თვითონაც დაიღუბა... მერე ერთმანეთი დაგკარგეთ. მხოლოდ ეხლა ჩამოვედი რუსეთიდან... შემთხვევით გავიგე...

— ღვთისნიერ საქმეს ჩაიდენტ, თუ მოუვლით როგორმე. მთელ ქვეყანაზე არც ნათესავი ჰყავს, არც პატრონი, არც მომვლელი. ოსმალეთიდან არის გადმობეჭვილი.

— ვიცო, ვანელი სომეხია.. ცოლშვილი ოსმალეებმა დაუხოცეს.. ღმერთო ჩემო, ეს რა მომივიდა, როგორ დავიგვიანე! მაჩვენეთ ის უბედური, თუ ღმერთი გწამთ.

— წამობრძანდით. არ ვიცი რა ვუყო, როგორ მოვუარო. მე თვითონ მოსავლელი ვარ.. დღეს ვაპირებდი საავადმყოფოში წასვლას და თხოვნას, იქნება მიიღონ.

— არა, არა, მაგას ნუ იზამთ. მე თვითონ ვუპატრონებ.

ბნელს, ნესტიან და ჭუჭყიან სარდაფში თავს წაადგნენ მყრალ ძონძებში გახვეულ უძრავ გვამს.

— ბარი ლუსტი, ოვანეს! როგორა ხარ? მიცანი, განა! აი, მოვედი... ძლივს გიპოვე.. ერთხელ შენ დამიხსენი სიკვდილისაგან, ეხლა ჩემი ჯერია... აბა, უნდა წამომყვე... ნუ გეშინიან, ორ კვირაში ფეხზე წამოგაყენებ... აბა სად არის ამის პასპორტი და ქალაქდები? თქვენა გაქვთ? მიბოძეთ.

მუშები მოიყვანეს, გაოცებული ოვანესა ეტლში ჩასდეს და კვაჭის ბინაზე წაიყვანეს.

ორივენი გახარებულნი და კმაყოფილნი იყვნენ. — კვაჭი კვაჭანტირაძეც და მოხუცებული რუსიც.

იმავე დღეს კვაჭიმ ექიმი მოიწვია.

— ექიმო, მიშველეთ.. თუ ღმერთი გწამთ, მიშველეთ, რა უბედურება დამატყდა, რა ღვთის წყრომა დამემართა.. — წუწუნებდა და ღრმად ეფიქრებოდა კვაჭი.

— დამშვიდდით, ბატონო ჩემო, დამშვიდდით და მიამბეთ, რა მოხდა, როგორ მოხდა? ვინ არის ეს ავადმყოფი?

— მამაჩემია, სილიბისტრო კვაჭანტირაძე.. ერთი თვე იქნება, რაც ტფილისში დავსახლდით. ჯანმრთელი ადამიანი იყო, აფერი ეტყობოდა.. იქნება თქვენც გახსოვთ, ათიოდე დღის წინათ ბაზარში რომ ყუმბარა გაყარდა?

— როგორ არა, მახსოვს, კარგათ მახსოვს.

— მე და ეს საწყალი იქინე ვიყავით. ის ყუმბარა თითქმის ფეხქვეშ გაგვივარდა. როგორ გადაერჩით, — მხოლოდ ღმერთმა უწყის. ნამდვილი სასწაული მოხდა ჩვენს თავზე. იმავე წამს ჩავსხედით ეტლში და წამოვედით. დღევანდლამდის მამა ჩემი სულ ცახცახებდა, ჰკანკალებდა. მინდოდა ექიმი მომეწვია, მარა არ ენა, მის დღემჩი ექიმთ ან არ ვყოფილვარო, არც აწი მინდაო. დღეს უცებ წვერთვა ყოლიფერი, ენაც დეება. ღმერთო, დამიხსენ ხიფათისაგან! ღმერთო, მომკალი!

— დამშვიდდით, ნუ აღელდებით. ავადმყოფს გავსინჯავ, იქნება საიმისო არაფერი სჭირს.

დიდხანს ჰსინჯა ავადმყოფი. ოვანესა გაოცებული თვალებით ათვალერებდა ორივეს და ტუჩებს აცმაცუნებდა; თან გუნებაში ფიქრობდა:

— ასტვაც! ვინ არის ეს ახალგაზრდა? რა უნდა ჩემგან, ან ამ სახლში რათ მომიყვანა?

კვაჭის შიშისგან თითქმის გული მისდიოდა: ეგონა, საცაა ავადმყოფი ენას ამოიდგავს და ალაპარაკდებაო.

— ბოლოს ექიმმა სთქვა:

— არ დაგიმალავთ, ვაჟკაცი ბრძანდებით, უნდა გაუძლოთ და მოემზადოთ. შეიძლება მამა თქვენი მალე გათავდეს, თუმცა შეიძლება კიდევ დიდხანს იცოცხლოს.

ექიმის ნუგეშმა კვაჭი დააფრთხო და შეაშინა. თმებში ხელი წაივლო, ამოიკვნესა და სკამზე დაეცა:

— ღმერთო ჩემო!.. ღმერთო დიდებულო!..

ექიმმა რეცეპტი დაუწერა, დარიგება მისცა და წავიდა.

იმავე დროს სილიბისტრო შემოვიდა გარედან:


— რაეაა საქმე?

— ძალიან კარგად. შეიძლება მალე გათავდესო. ვაჟკაცი ხარ, უნდა გაუძლო და მოემზადოო.

გაიღიმეს და ჩაიცინეს.

— აფერი აჭამო, არც წამალი მისცე.

— აბა, ამიზა დავხარჯავ ფულს! თუმცა წამლის მოტანა საჭიროა, ექიმი კიდო მოვა... აფთიაქში მივდივარ.. ხვალ შენ წაგიყვან საავადმყოფოში, თავი შეიავადმყოფე, ენა დეიბი.. მეითმინე ერთი კვირა..



— კაი, კაი; წადი წამლი'ხა. მალე დაბრუნდი.

მეორე დღეს ტფილისის ერთ დიდ საავადმყოფოში, ჩასწვრივად, „ოვანეს კარაპეტას ძე შაბურიაძე... 45 წლისა... ქალაქ ვანიდან... ქვეშევრდომი... ნიშნები სიღამბლისა“...

* * *

ორი კვირის შემდეგ ერთ ქართულ გაზეთში შავარშიანის განცხადება დაიბეჭდა.

ა/წ. 27 სექტემბერს ქ. ტფილისში ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა

ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო კ ვ ა ჯ ა ნ ტ ი რ ა ძ ე .

რასაც უფდიდესი მწუხარებით აცხადებენ მისი ქვრივი ძაბული, დაობლებული შვილი კვაჭი, (ანაპოდისტე), სიმამრი ხუხუ ჩიჩია და სიდედრი ნატო ჩიჩიასი. ცხედრის გამოსვენება მოხდება დღეს, 12 საათზე, განსვენებულის ბინიდან (დიდუბე, საგურამოს ქ. № 84).

მცირე გაუგებრობა მოხდა. სამგლოვიარო განცხადება რედაქციის დაუდევრობის გამო მხოლოდ დასაფლავების დღეს დაბეჭდეს, ხოლო რადგან გაზეთი იმდროს საღამოობით გამოდიოდა, ამიტომ განსვენებულ სილიბისტროს პანაშვიდს და გამოსვენებას ის ორიოდე შორეული ნაცნობიც არ დაესწრო, რამელიც კვაჭანტირაძის ოჯახს ჰკავდა ტფილისში.

საწყალი „სილიბისტრო“ მაგრად იყო კუბოში ჩაკეტილ-ჩალურსმული, რადგან, როგორც კვაჭი ამბობდა, უცნაური მიზეზის გამო სილიბისტრო ერთ დღეში გაიხრწნა, სუნი აუშვა.

მღვდელი და დიაკვანი მობეზრებულ სამგლოვიარო საგალობელს ხანტად და ცალი ყბით აჭიანურებდნენ:

გაანუსვენე უფალო-ო-ო, სულსა მიცვალებულისა მონისა, შენისასა-ა-ა-ა...

ა-აწ და მარადის და უკუნითი-ი-ი, უკუნისამდე-ე ა-ა-ამინ...

ძაძებით შემოსილი ძაბული და ნოტიო ნამტირალნი, ღრმად დამწუხრებულნი, მისუსტებულნი და მიბნედილნი იყვნენ. თმები გაწეწილი ჰქონდათ, „ღაწენი-დაჭკობილ და თვალნი-ვითარცა გუბე დაუშრეტელს;“ ხუხუ და კვაჭი თავჩაკიდულნი იდგნენ. პირსახე მოლუშული ჰქონდათ, წარბები—შეკრული, თვალეები—გასიებული და დაწითლებული მეტის დარდისგან, უილაჯობისგან, ცრემლისგან და უძილობისგან.

პანაშვიდი რომ გათავდა, „სილიბისტროს“ კუბო ბალდახინზე დასდეს და ჩქარის ნაბიჯით კუკიის სასაფლაოსკენ გაუტიეს.

ჭირისუფლები წუწუნით, ოხვრითა და კვნესით მისდევდნენ, თან ჩუმ-ჩუმად ირგვლივ თვალეებს აცეცებდნენ, მავალეებს ათვალეებდნენ, ზოგჯერ მიუუჩღებოდნენ, ზოგჯერ სამგლოვიაროს შესძახებდნენ:

— შვილო სილიბისტრო! რეიხა გამისწარი! რა გაწყეინეთ, რა დაგიშავეთ მისთანა. რომე ასთე ადრე დაგვანებე თავიი!-გაჭკიოდა ნოტიო და პირსახეში ოდნავ ხელეებს იშენდა.



— შეილო ჭიპიი!—გააგრძელებდა ხუბუ. —შენისთანა ვაქცევი რეიზა მეიტა-
ცა უფალმა? ვილას დოუმშვენებს მხარ-ბექს აწი შენი პრანოლიტის ეპალეტები?
ვინლა გაუწევს აწი თავადაზნოურებს მამობას და მარშლობას? რეიზა დაგვასხი
კერიაზე წყალი? რეიზა დამიდსე სანთელიი?..

— უი მე უბედურსა! უი მე დაქცეულსა!—შესძახებდა ძაბული. —ვინლა წავს
აწი ბაზარში? ვინლა იყიდის სამწვადეს და მწვანილსა, შენ რომე ასთე გიყვარ-
და, სილიბისტროოო!.. ვინ დამიხურავს აწი ამ უბედურ თვალებსა, შენ რომე ას-
თე მოგწონდაა! ერთათ ვიცხოვრეთ იქინე, ერთათ წვევიდეთ იქინეეც. ასთე
გვქონდა პირობა, სილიბისტრო, ჩემო ერთგულოოო!..

— ვაი მე საწყალსა!—იციმდა თავში ხელებს კვაჭი. —ვინ მომივლის აწი!
ვინ მომცემს სწავლის ფულსააა! ვინ გამათავებებს უნივერსიტეტსააა! დევიტსი
მე უბედურიიი.

ჩქარის ნაბიჯით აირბინეს კუკიის სასაფლაოზე, კუბო სამარეში ჩააგდეს,
მიწა მიაყარეს და თავჩაქინდრულნი დაბრუნდნენ. იმავე საღამოს „ოვანესა შა-
ბურიანცი“ საავადმყოფოდან გამოეწერა და ნავთლულის სადგურზე გავიდა.
კვაჭიმ „ოვანესა“ გააცილა.

დიდხანს იჩურჩულეს სობნელეში, მერე დაჰკოცნეს ერთმანეთი და დაშო-
რდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ კავკაეის პოლიციაში გადამწერი სქელ წიგნში
სწერდა:

„ოვანეს შაბურიანცი, 45 წლისა.. ოსმალეთის ქვეშევრდომი.. ჩამოვიდა
ტფილისიდან.. დასახლდა ბაზრის ქუჩაზე, № 16..“

* * *

დაკვეთილი

„სალამანდრას“ დამზღვევი საზოგადოების საოლქო ინსპექტორს მიხეილ
ჯავახიშვილს

ქ. ტფილისში, ვერის დაღმართი, № 21,
ბინა № 2,

კვაჭი (ანაპოდისტე) სილიბისტროს ძე
კვაჭანტირაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

პატივისცემით გაუწყებთ, რომ ა/წ. პირველ ოქტომბერს საღამოს ცხრა
საათზე ველოსიპედით მოვდიოდი დიდუბეში. ეკლესიის მახლობლად რომ გა-
მოვიარე, სობნელეში ეტლი დამეჯახა და წამაქცია. შედგენილ იქმნა შესაფერი
ოქმი, რომლის ასლს ამასთან ერთად გიგზავნით. დაშავებული მაქვს მარჯვენა
ხელი და მარჯვენა ფეხი. დაზღვეული ვარ უბედურ შემთხვევისაგან ოქვენს სა-
ზოგადოებაში პოლისით № 124392 ა/წ. 11 მაისის თარიღით.

გარდა ამისა, მწუხარებით გაუწყებთ, რომ ა/წ. 25 სექტემბერს დილის 4^{1/2} საათზე ქ. ტფილისში ჩემს ბინაზე მოულოდნელად გარდაიცვალა ჩემი ძვირფასი მამა სილიბისტრო კვაჭანტირაძე, რომლის სიცოცხლე დაზღვეული იყო ვერეთე თქვენს საზოგადოებაში ათი ათას მანეთად პოლისით № 475663 ა/წ. 4 ივნისის თარიღით.

ამასთან ერთად გიგზავნით სამი მოწმობის ასლებს შესახებ: 1) ავადმყოფის წამლობისა, 2) სიკვდილისა და 3) დასაფლავებისა.

გთხოვთ მიიღოთ შესაფერი კანონიერი ზომები.

პატივისცემით კვაჭი კვაჭანტირაძე.

2 ოქტომბერს, 19... წ.

ქ. ტფილისი, საგურამოს ქ., № 84.

თანახმად სამსახურის წესებისა და არსებული კანონებისა, ამიერ-კავკასიის საოლქო ინსპექტორი მიხეილ ჯავახიშვილი მეორე დღესვე გავიდა საგურამოს ქუჩაზე და თავს წაადგა მელოგინე კვაჭი კვაჭანტირაძეს:

ბატონი კვაჭანტირაძე თქვენ ბრძანდებით? ჯავახიშვილი გახლავართ. თქვენი განცხადების გამო ვიახელით.

დაფაცურდნენ და დაფეთდნენ ხუხუ ჩიჩია, მისი მეუღლე ნოტიო და კვაჭის დედა დაბული. თვითონ კვაჭი ლოგინში ატოკდა, აშფოთდა და აკენესდა.

— დიდათ სასიამოვნოა თქვენი მობრძანება. ბატონო მიხეილ... დაბრძანდით ბატონო.. აქანე დაბრძანდით.. აქ გირჩევნიათ...

ხუხუმ ჩალის სკამი მიართვა, დაბულიმ პატარა ლბილი სკამი მიუდგა, ნოტიო სავარძელის მოთრევას ჰლამობდა.

— ნუ სწუხდებით, ბატონებო, ნუ სწუხდებით... დიდი მადლობელი, დიდათ გმადლობთ...

— შორიდან გიცნობთ, პატივცემულო ბატონო მიხეილ სავიჩ.. თქვენიზა ბრავალი ქება გამიგია. ყოველი კაცი თქვენზე კარგს ლაპარაკობს. — დაიწყო კვაჭიმ.

— მადლობა უფაღსა! — ჩაურთო ხუხუმ. — ცუდს ხომ აფერს ლაპარაკობენ, კარგი უთქვამთ.

— სახელი სჯობია ყოლიფერს, შვილო. — ჩაიოხრა ნოტიომ.

— თუ ასეთი ახალგაზრდა ვაქვს ასეთი დიდი სახელი გიშოვიათ, სიბერეში ხომ მთელი რუსეთი თქვენზე ილაპარაკებს. ჩაიკენესა ქვრივმა დაბულიამ.

ასე დაუხვდა კვაჭანტირაძიანთი ოჯახი ინსპექტორს: ქვეშ ბუმბული გაუშალეს, თავი მოუქონეს და სულში ნელსასუნებელი ჩაუწვეთეს.

ჯავახიშვილმა თავაზიანობის მახვილს ასეთივე ფარი დაუხვედრა:

— არ დაუჯეროთ. თუ კარგი უთქვამთ ჩემზე, — მოუქორიათ, გაუხვიადებიათ; თუ ერთი ავი უთქვამთ — ასი დაუმალნიათ. მეც შორიდან გიცნობთ, ბატონო კვაჭი. გაგახსენებთ: ორი წლის წინად მე და თქვენ ერთად ვიმგზავრეთ ადესამდის.

— იმე, დემეტრო თვალი! — ერთ წუთით გამოცოცხლდა კვაჭი. — მახსოვს,

რავა არ მახსოვს! უცხოეთში მიბრძანდებოდით მაშინ, არა? მაშინაც მთელი გემი თქვენზე ლაპარაკობდა. ამისთანა ინჟინერი მთელ რუსეთში ერთიც არ შეიპოვებო. — იტყუა კვაჭიმ, რადგან ჯავახიშვილს სწორედ იმდენივე კვაჭებოდა ინჟინერობისა, რამდენიც კვაჭის — ასტრონომიისა ან სანსკრიტული ენისა.

ერთმანეთის მოკითხვა და ქონის მოსმა გაათავეს.

— გადავიდეთ საქმეზე, რა დაგვემართათ, რა მოგვივიდათ?

აკრემლდა, აწუწუნდა და აკვნესდა ის ოჯახი. ერთმანეთს აღარ აცლიდნენ:

— რალა რა დაგვემართა, ბატონო მიხეილ! თქვენ მტერსაც ნუ მოუვა, რაც ჩვენს თავს მოუვიდა!..

— რაცხა ღმერთი გაგვიწყრა, თვარა ასე უცებ რალა ჩვენ მოგვივიდა ყოლიფერი!..

— დევილუბეთ და დევიფსეთ! დევილუბა ყოლიფერით საფსე ოჯახი!

ძაბული ატირდა და მეორე ოთახში გავიდა, ნოტიომ ცრემლი მოიწმინდა, ხუხუმ თავი ჩაჰქინდრა.

— ყოლიფერით საფსე ოჯახი გვქონდა, — განაგრძო გულაჩუყებულმა კვაჭიმ, — ავადმყოფობას ჩვენს ოჯახში რა უნდოდა! გუშინამ მამა მომიკვდა, ისთე უცებ გათავდა კაკალი კაცი, რომე ხმაც ვერ ამეილო, მეორე დღეს ქუთაისში სახლი დაგვეწვა, ეხლა მე დამემართა აი უბედურება.

— სახლი დაზღვეული არ იყო?

— აჰ, მაგას ვინ ჩივა! შარშან იმ სახლში ორმოცი ათასი შენაძლიეს, მარა არ მივეციოთ; აწი ათი ათასი უნდა ევილო. მე მამას ვტირი, თვარა სახლიც ეშმაკებს წოულიათ, ეს ხელიც და ეს ფეხიც.

— ძალიან დაშავდით?

— აა, თქვენ თითონ ნახეთ.

ნოტიომ დიდი სიფრთხილით გახსნა და გაშალა არტახებში გახვეული კვაჭი, რომელიც ჰკნენესდა, სწუხდა, და კბილებს აკრაქუნებდა.

ხელის მაჯა და ფეხის კოჭი დაღურჯებული და დასიებული ჰქონდა.

— ა, საწყალი მამა ჩემის პოლისი. რაცხა ათი ათასი გვერგება.

— ნეტა არ მომკვდარიყო, თვარა პირიქით დოვუმატებლი მაი საზოგადოებას ასი ათასს. — წაიბურტყუნა ხუხუმ.

— ა, ჩემი პოლისიც. რაცხა ოცი ათასში ვარ დასტრახული. არ ღირდა, არ მინდოდა, მარა ადესის ინსპექტორმა ჰოფშტეინმა გამაბრიყვა. იცნობთ თუ ჰოფშტეინს?

— დიალ, ვიცნობ.. ვიცნობ.. — თან პოლისებს და სხვა საბუთებს ჰსინჯავდა. ყველაფერი თავის რიგზე და წესზე აღმოჩნდა.

— ვინ გწამლობთ? ვინ არის თქვენი ექიმი?

— ბედოვი. იმაზე უკეთესი ექიმი კავკაზში არ შეიპოვება. არ იცნობთ თუ?

— არ ვიცნობ, არ განიგია. საზოგადოებას აქ თავისი ექიმები ჰყავს, ერთ-ერთს გამოგიგზავნიოთ.

კვაჭიმ თვალები გაიციოცხლა:

— რომელს? ვის?



ქართული

საქართველოს კვავი

— თუნდ როდენბაუმ. ცნობილი ექიმია.

— აჰ, შენი ჭირიმე, მაგას ნუ იზამთ.

— მიზეზი?

— უხერხულია მაის თქმა, მარა... — შეყოყმანდა და წაიბოროსიკა კვაჭიმ.

— მაინც?

— იცნობთ როდენბაუმის ცოლს?

— მინახავს, ცნობით კი არ ვიცნობ.

— აჰა მოგახსენებთ, მარა პატიოსანი სიტყვა უნდა მომცეთ, რომ კაკალი კაცი არ გეიგებს.

— კეთილი. ბრძანეთ.

— მინდოდა მაი ექიმის დაძახება მამა ჩემის საჩვენებლად. შინ არ დამიხთა. მისმა ცოლმა მნახა. დაუტოვე ჩემი ადრესი და წამოვედი. ერთი საათის შემდეგ ექიმის მაგიერ მისი ცოლი მევიდა. მეტს აფერს გეტყვი... აჰ, ნუ მკითხავთ, აფერს გეტყვი. რაღა გავასინჯებ თავს ექიმს, თუ მისი პატივისცემა არ მაქვს. გამოგზავნენ ლაბიძე, მგონი ისიც თქვენი ექიმია.

— ჩვენი იყო, ეხლა ჩვენი აღარ არის... მიზეზი? არ ვიცი. იმის მაგივრად დანიშნულია შაბიშვილი, იმას გამოგიგზავნით. ეხლა გიახლებით.

— აჰ, მაი რა სათქმელია!.. საით მიეჩქარებით, ბატონო ჩემო!. მეითმინეთ, ყავა დავლიოთ... რეიზა არ გვკადრულობთ! მეითმინეთ კილო პაწია..

— უკადრისობა რა სათქმელია. შეჩქარება, თორემ დიდის სიამოვნებით გიახლებოდით.

— ბატონო მიხეილ! — შეეხვეწა კვაჭი. — ადრე გამითავეთ აი საქმე, ნუ გამაწვალებთ, თვარა მივაფურთხებ მაი ფულს და ჩემს გზას გოუდგები. რაცხა ორიოდ გროში მერგება, არ ღირს მაგიზა გაწვალება და გაცთენა.

— ნუ შესწუხდებით, ბატონო კვაჭი. მამა თქვენის გარდაცვალების საბუთებს დღესვე გავგზავნი პეტერბურგში. ძალიან არ დაიგვიანებს, ერთი თვის შემდეგ ათი ათას მანეთს ჩაგაბარებთ. რაც შეეხება თქვენს ხელს და ფეხს, ჯერ უნდა მოითმინოთ. როცა მოგიჩებათ, ვიანგარიშებთ დღიურად ოც მანეთს და მაშინვე მოგართმევთ.

— თუ არ მომიჩა?

— აჰა ეგ რა საფიქრელია! რა თქმა უნდა, მოგიჩებათ.

— მაინც, თუ არ მომიჩა? ბრველი ყოფილა ასეთი შემთხვევა, რომე უბრალო, სულ უბრალო მიზეზის გამო ხელიც გახმობია ადამიანს და ფეხიც.

— თუ ხელიც გაგიხმათ და ფეხიც, რა თქმა უნდა, პრემია მოგეცემათ. მაშ არხეინად და მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო ჩვენო, მშვიდობით!.. გვნახეთ ბატონო, კილო გვნახეთ.. ნუ დაგვივიწყებთ ჩვენო ბატონო, გვაკადრეთ კილო თქვენი თავი...

ინსპექტორი რომ გავიდა, ერთმანეთს გადახედეს, ერთმანეთს თვალებით დაეკითხნენ.

ბოლოს ხუხუმ წვერებში ჩაიბურტყუნა:



ქვემოთაა
განმარტებული

— აჰ, მაი კაცი ვეფერს გეიგებს.

— ვეფერს გეიგებს. — ჩუმი ხმით დაუდასტურა კვაჭი.

* * *

ექიმი შაბიშვილი ეუბნებოდა ინსპექტორს ჯავახიშვილს:

— არათერი მესმის კვაჭანტირაძის ხელ-ფეხისა. რასაც მე ვაკეთებ, ვი-
ლაც უცნობი აფუჭებს. წამალს რომ დავადებ და არტახებს შევკრავ, საიდუმლო
ნიშანსაც გავუკეთებ ხოლმე. მეორე დღეს ნიშანი ხელუხლებელია, მაგრამ და-
შავებული ხელ-ფეხი უფრო დამდნარია და მოკრუნხული. ცხადია, ჩემს გარდა
სხვა ვილაც უნდა მუშაობდეს.

— მე ცნობა მაქვს, რომ კვაჭანტირაძესთან ჩვენი წინანდელი ექიმი და-
ბიძეც დადის ღამ-ღამობით. გარდა ამისა, კვაჭის ბებიას — ნოტიო ჩიჩიასაც ამ
საქმეში ხელი ურევიანო; თურმე ამ დედაკაცსაც კარგად ესნის ტრავმატიული
ავადმყოფობა. ჩვენ უფლება გვაქვს კვაჭი საავადმყოფოში დავაწვინოთ და მუდ-
მივი ზედამხედველობა გავუწიოთ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთს უუკიდურეს სა-
შვალეებას არ მივმართავ, რადგან იგი მითქმა-მოთქმას გამოიწვევს; სხვა საზო-
გადოებათა აგენტები ამ ამბავს ხელზე დაიხვევენ, ყბად აგვიგდებენ, განგაშს
ასტეხენ, პრესტიჟს დაგვიმცირებენ. ყოველ დღე იარყთ, თვალყური ადევნეთ,
ვნახოთ ამიერიდან საქმე როგორ წავა. კვაჭის როგორმე აგრძნობინეთ, რომ
ჩვენ მიხედვრილნი ვართ... უკვე იცის? გააგებინეთ? ძალიან კარგი გიქნიათ.. კე-
თილი, ეგრე სჯობია.. ნახეამდის! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ერთი კვირის შემდეგ ჰოფშტეინი, ჯავახიშვილი და ექიმი შაბიშვილი მოუ-
ლოდნელად თავს წადგენენ კვაჭი კვაჭანტირაძეს.

კვაჭი გაოცდა, აირია, გაფითრდა და გაწითლდა. გამხდარიყო, გაყვითლე-
ბულიყო, ჩამომდნარიყო.

— ნაპოლეონ აპალონიჩს ჩემი სალამი! — მხიარულად მიაძახა ჰოფშტეინმა.

— ვახლავართ ბატონს კვაჭის!

— გამარჯვება.. დილა მშვიდობისა.. დაბრძანდით.. სკამი მოართვით...

დაფაცურდნენ და აირ-დაირივნენ.

— როგორ ბძანდებით?.. როგორ გიკითხოთ?..

კვაჭი ძველებურად აწუწუნდა, აიცრემლა, აკნავდა:

— დევილუბე... დევიფსე.. მამა მომიკვდა... სახლი დამეწვა... ოჯახი და-
მენგრა... აწი მეც წავხდი...

— ვიცი, ვიცი. ყველაფერი ვიცი, უფრო მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ გგო-
ნიათ, — ხაზგასმით, ნათლად და გარკვევით მოუჭრა ჰოფშტეინმა. — ბატონო ექი-
მო, გაუხსენით დაშავებული ხელ-ფეხი.

ისევ აკვნესდა და აყვირდა ტკივილებიდან კვაჭი.

ხელიც და ფეხიც დაუდნა, გაუხმა, ჩხირებივით დაეღია.

— აჰა, ის არის!. სწორედ ის არის!. მინახავს, ვიცი რაც არის! — ნაწყვეტ-
ნაწყვეტად ისროდა ჰოფშტეინი. — შეუკარით! — მერე მიბრუნდა და — სანამ
ექიმი არტახებში აბეუდა კვაჭის, თანჯარას აკაკუნებდა.

— ეხლა საქმეს შეუდგეთ. მოკლედ, მკაფიოდ და პირდაპირ მოგახსენებთ. გავათავოთ კეკემაღულობის თამაში, არ შეგვეფეროს, ბავშვები არ არა ვართ. თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სამივე საქმის კლინიკა მე მაქვს მონდობილი.. დიახ, სახლის დაწვის საქმეც. თავიდან დავიწყებ.

— პირველი: ადესიდან თქვენ ისე გამოიპარეთ, რომ ანგარიში არც კი გაგისწორებიათ, ათას მანეთამდის გამოიყოლეთ... მოითმინეთ, მოითმინეთ. ჩვენ არც შიქიას ვიცნობთ, არც ჩიკინჯილაძეს, არც ჰაელაბრიანს, არც კაცმანს. ჩვენ მხოლოდ თქვენ გიცნობდით და მხოლოდ თქვენთან გვქონდა საქმე. მეორე: თქვენ იმდენი მუშტარი მოგიტყუებიათ, რომ ეხლა მთელი ადესა თქვენზე ლაპარაკობს... რაო, ვინ მოვატყუეო? აი სია, ინებეთ, წაიკითხეთ. ყველას თქვენ მაგივრად ჩვენ დავუბრუნეთ ფული, სულ 2.675 მანეთი. მესამე: თქვენი სახლი შარშან მამათქვენს ბანკში დაუგირავებია 1.400 მანეთად, ბანკს იგი შეუფასებია სამი ათასად, თქვენ კი ათი ათასში დააზღვიეთ. აგენტი ხელში მყავს, თქვენი ბიძა თუ პაპა — აი ეს მოხუცი, ხუბუ ჩიჩიაც ვერსად წამივა... მომითმინეთ, ნუ ჩქარობთ და ნუ სცხარობთ. მეოთხე და უმთავრესი: მე ექიმი გახლავართ, ძველი ინსპექტორი ვარ, დაზღვევის საზოგადოების სამსახურში დავბერდი. ძნელია, შეუძლებელია ჩემი მოტყუება. ათასი რამე მინახავს და გამომიცდია. ეგრე დაშავებული ხელ-ფეხიც შემხვედრია. საკვირველი, იშვიათი შემთხვევაა! ერთი გამაგებინეთ, ისე კობტად როგორ წაიქეციოთ, რომ ფეხი შიგნითა კოჭთან დავიშავდათ, ხოლო ხელი — გარეთა მხრიდან? საკვირველია! გაუგებარია! გარდა ამისა, რა მაზეხია რომ ხელ-ფეხი დაგელიათ და გაგიხმათ? ამ მიზეზს საავადმყოფოში გამოვიკვლევთ. ხვალვე უნდა გადმობრძანდეთ სამკურნალოში... რაო, არ გნებავთ? ნუ პღელავთ, დამშვიდდით. არაფერს დაგაკლებთ, უფრო უკეთ მოგივლით, ვიდრე აქ გივლიან. დღე და ღამ ორი ზედამხედველი თავს დაგადგებიან... რაო, არ მოგწონთ? არ კადრულობთ? ხომ იცით, რომ ამის უფლება გვაქვს... მაინც არ გნებავთ?.. რაო, აყალმაყალს ასტეხავთ? ქვეყანას დასძრავთ, ვაზეთებსაც აალაპარაკებთ? ეგ თქვენი საქმეა. თუ არ გენანებათ არც თქვენი სახელი, არც ეს მოხუცი, არც ჭუთაისელი აგენტი, მაშინ ჩვენი აქ ყოფნა ზედმეტია, წავალთ. და წამოდგა.

— მოითმინეთ, მოვილაპარაკოთ... იქნება მოვრიგდეთ.

— კეთილი, ვცადოთ. მოკლეთ მოვქრათ. აი, ხომ ხედავთ ამ ფულს, — და უბიდან ხუთასიანების ერთი დასტა ამოიღო. — ეს ფული თქვენს ჯიბეში გადმოვა თუნდ ათი წუთის შემდეგ, თუ... გონიერად მოიქცევით და ზომიერებას გამოიჩინოთ.

კვაჭის თვალები დაეწვა და აუჭრელდა. ყელში ნერწყვი გაუშრა; ატოკდა და აცქმუტუნდა:

— მე... მე ხარბი არა ვარ, არც დავა მიყვარს... აყალმაყალსაც ვერიდები, სკანდალისტი არა ვარ...

— მაშ ვიანგარიშოთ. ათი ათასი მამის პრემია გვრგებათ, ეს უდავოა.

კვაჭის გული გაეხსნა, თითქო ზედ ათფუთიანი ლოდი ედვა და ვიღაცამ მოხსნაო.

— თქვენი სახლი, ძალიან რომ გავაზვიადო, ოთხი ათასი ჰქონდა. ხუთი ინებეთ. ეს ხუთმეტი. შემდეგ: წართმეული, თუნდ მოჭრილი ხელ-თხუნი დაზღვეული გაქვთ ოციათასად. ამ თანხას გამოგვედავებით, თუ ხელ-ფეხი მართლა გაგიხმათ, მაგრამ პატიოსან სიტყვას გაძლევთ და გარწმუნებთ, რომ არც ხელი გაგიხმებათ, არც ფეხი. ერთ თვეში ისე მოგარჩენთ, რომ ცალ ფეხზე იხტუნავევით. ეს დაგვიჯდება ოთხასი-ხუთასი მანეთი. ათჯერ მეტს მოგართმევთ, — ხუთი ათასი ინებეთ.

— მაშ რა მოცი ათასის მაგიერ სულ ოცი ათასს იძლევი, არა?

— დიალ, ოცი ათასს. ან ეხლავე მიიღეთ ფული, ან მოემზადეთ სამკურნალოში წამოსასვლელად.

— ცოტაა, უარს ვამბობ.

— მაშ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— მოითმინეთ, ნუ ფიცხობთ! სამი დღის ვადა მომეცით მოსაფიქრებლად.

— ერთს დღესაც ვერ მოგცემთ.

— არ შეიძლება ასე ადამიანის დახრჩობა.

— არ შემიძლიან. თუ გნებავთ, ერთი საათი მომიცია. გავალთ, მუშტაიდში, გავისეირნებთ და დავბრუნდებით.

— პროტესტს ვაცხადებ. სხვა გზა არა მაქვს, გემორჩილებით.

— მაშ ჯერ-ჯერობით! არ გემშვიდობებით.

სამნი გავიდნენ, ოთხნი დარჩნენ.

ასტყდა ქრიამული, ფიცხელი კამათი, თითებზე ანგარიში.

გავიდა ერთი საათი.

— მოითმინეთ? გადასწყვიტეთ?

— ოცდახუთმეტი მაინც მერგება. თანახმა ვარ ოცდაათზე.

— ეს არის თქვენი უკანასკნელი პასუხი?

— ეს არის.

— მაშ ვერ მოვრიგდებით; თუ ინანეთ, მე ნულარაფერს დამაბრალებთ, მშვიდობით იყავით!

გავიდნენ. კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ძაბული გამოვარდა:

— მოითმინეთ!. დაბრუნდით!. ორიოდე სიტყვა...

დაბრუნდნენ.

— ოცდარვას ერთს მანეთსაც ველარ დავაკლებ.

— საჭირო არ იყო ჩვენი დაბრუნება.

— მოითმინეთ, სად მირბიხართ? — ოცთახუთი...

— ოცი. ან ჰო, ან არა... ვიცვი. ყველაფერი ვიცი, რა საჭიროა ზედმეტი ლაპარაკი! ჰო თუ არა?. მაშ მშვიდობით იყავით.

ისევ გავიდნენ. ქუჩის ბოლოში ხუხუ ჩანჩალით დაეწია:

— ნუ ინებებთ, ბატონებო, ჩვენს წყენას... თუ გაწყვიტეთ რამე — გვაპატიეთ...

დაბრუნდით... კვაჭი დათანხმდება.

ისევ დაბრუნდნენ.

— იმედია, ვაჭრობა აღარ იქნება. ოცზე ვათავებთ.



— კი, მარა რაცხა ანგარიში რომ შეგიდგენიათ, მაგას ხომ არ დეიკავებთ?
 — ამას არ ჩაგითვლით, მოვშალოთ. მელანი და კალაში...
 — მაშ გაათავეთ. — და აწრიპინდა, აწუწუნდა: — დევილუბე... დევიფსე.. რაეა შეიძლება ამათთან საქმის დაკავება! არც პატიოსნება, არც სინდისი, არც პირობა! სად ვეთრიო, როგორ ვდიოთ სამართალში ორი ან სამი წელიწადი!

ჰოფშტეინმა ვრცელი ბარათი დასწერა:

— ოთხივემ მოაწერეთ ხელი...

წაიკითხეს და მოაწერეს, შერე თვალები დაიბრიცეს და დაიხეთქეს იმ ფულზე, რომელიც ჰოფშტეინმა ორჯერ ჩაუთვალა

— დევილუბე... დევიფსე — ისევ წუწუნებდა კვაჭი, თან ის ფული ბალიშის ქვეშ ამოიდო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ღმერთმა კეთილად მოგახმაროთ ეგ ფული.

— მშვიდობით, ბატონო ჩემო, მშვიდობით!

კიბემდის ჩამოაცილეს. ჰოფშტეინმა წაიბურტუნა:

— მოვტყუვდი, გადავაჭარბე. ხუთმეტსაც დათანხმდებოდა.

კვაჭის სახლში ყველანი ერთმანეთს დაეტაკნენ. ხუბუ და ძაბული მეტად კმაყოფილნი და გახარებულნი იყვნენ, ნოტიო და კვაჭი ჯერ იწმუშვნებოდნენ და იგრიბებოდნენ, მერე ყველანი სიხარულით, ლხენით და შვეებით აყაყანდნენ და აჟრიანულდნენ.

კვაჭის არტახები მოჰხსნეს, ხელ-ფეხი რაღაც წამლით მოჰბანეს და ახალი მალამო წაუსვეს. ტკივილს აღარ იმჩნევდა, აღარ ჰკენესოდა.

კვაჭიმ დებეშა დასწერა:

კავკავი, ბაზრის ქუჩა, 16

შ ა ბ უ რ ი ა ნ ც ს

ოცად გაეათავე. ხუთს გივხაენი. სახლი იყიდე. მალე ამოვალთ.

ანაპოდისტე

— აი ფული და დებეშა გოუგხაენე სილიბისტროს, — უთხრა ხუბუს, — ხვალისა ქუთაისში წასასვლელად მოემზადე. გაყიდე, რაც იქინე დაგვრჩა, ალაგიც და ავეჯიც.. რაო, ვოლკოვის ქერიეს რა უყოო? აჰ, აწი იმ დედაბერს ევითრეუ სიკვდილამდე! კაი, კაი, მიეცი ასი მანეთი, ეყოფა. ყოველ კაცს უთხარი, რომე ჩვენ ვარშავაში მივდივართ თქვა... მეიცა, ა კიდო ფული. იყიდე მარტელის კონიაკი, რედერერის შამპანური, მარსალა, ხერესი ან პორტვეინი.. ერთიც შიპრი ან შარტრეზი.. სიგარები „ვიკტორია“.. არ დეივიწყო სახელები. ძაბული, ჩოუწერე, გენაცვა, ყოლიფერი.. ხილიც მომიტანე.. ანანასიც.. რაო? კაცი დაბერდი და აქნობამდის არ იცი რა არის მარსალა, ხერესი, შიპრი, შარტრეზი და ანანასი?.. კაიეს შოკოლადიც, ან შიუშარისა.. თუ ნამდვილი შიპრი და შარტრეზი არ არის, მეიტა ბენედიქტინი და აბრიკოტინი.. თქვენც გერგებათ კაი-კაი საჩუქრები, მარა მე თითონ გიყიდით, როცა ავდგები... რა სთქვი ნოტიო? ათ დღეში ამაყენებ? აჰა კაი, მადლობა ჩემზე იყოს: აწი ცოტა დამასვენეთ.. დევილაღე...

ორი კვირის შემდეგ ინსპექტორმა ჯავახიშვილმა კვლევის სადგურზე შორიდან თვალი მოჰკრა ერთს ლამაზს, ტანადს, კობტად ჩაცმულს სასტაგარდას. როცა ერთმანეთს წააწყდნენ, ჯავახიშვილმა ძლიერ მოიგონა იმ ვაჟის ენაობა.

— ბატონს კვაჭის ვახლავარ!

— სალამი პატივცემულს ბატონს მიხეილს! რაღა გიკითხოთ?! რაღა ბრძანდებით თქვენის მეუღლით?!


და მაგრად, ენერგიულად ჩამოართვა ხელი თავის მარჯვენა ხელით, იმ ხელით, რომელიც ორი კვირის წინათ დამდნარი, დალეული და გამხმარი ჰქონდა.

— გმადლობთ. თქვენ როგორ გიკითხოთ?

— ასეთე.. არც ისეთე კარგად, რაღაც მე მინდოდა, მარა არც ისეთე ცუდათ, რაღაც ჰოფშტეინს უნდოდა.. აფერი უშავს, კიდო შეეხდები სამე იმ ყაზილარს.. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ! გზა მშვიდობისა!

და თვალი გააყოლა რხევით და მარდათ მიმავალს „გაშტიკინებულ“ კვაჭის. მერე გაიღიმა, თავი გააქნივ-გამოაქნია და თავის გზას გაუდგა.



84



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



უცხოეთის ლიტერატურა



მ ჯ ე ღ ე ლ ი

სადაც ქალაქი თავდება ყანით
 და განაპირა სახლის კედელით,
 იქ წარბშეკრული, ვეება ტანით,
 მოხუცებული მუნჯი მჭედელი,
 მას შემდეგ, რაც რომ აენთო ქურა
 ოქროს ღველფად და სისხლიან ზოლად
 და გრდემლის მკერდზე დაგდებულ ფოლადს
 გაუმაძლარი დაეცა ურო. —
 მას შემდეგ ურტყამს... და მკვეთრი ბგერით
 სკედავს მახვილებს მრისხანე კვერი. •
 შუბლი იმისი ოფლმა დაღარა,
 მაინც ჰკენესიან გრდემლზე რკინები:
 მოხუცი მუნჯი და თმებ-ქალარა
 განდიდებულა ღრმა მოთმინებით.

მახლობელ სოფლის მცხოვრებლებმა იციან კარგად,
 (არა აქვს ბოლო მათ მუქარას და მათ გინებას)
 თუ რად აიღო მან ეს შრომა უმძიმეს ბარგად
 და ან რა აძლევს მას მოთმინებას,
 რომ მწარე გმინვას დაუყენოს კბილები მცველად!
 მათი ამაო სიტყვები კი, ვინც სცხოვრობს ველად,
 მხოლოდ ყუფაა ცარიელი ბუჩქის წინაშე.
 ხან გატაცებით, ხან შემკრთალნი უჩინარ მახით,
 ჩასჩერებიან მას ისინი იჭვნეულ სახით
 მხიბლავ სიჩუმით განათებულ თვალთა მინაში.

და ურტყამს უროს, ურტყამს მჭედელი
 ვით ქარავანი განუწყვეტელი



მიჰყვება უკან წელიწადს წელი.
 შურისძიებით, ტანჯვით, ტკივილით
 და საუკუნო წყევლის კივილით
 მან თავის ქურა გაავსო მწველი.
 მან ჩააქცია თავის ქურაში
 ზიზღი, ნალევლი, ზღვა მღელვარება,
 რომ მისცეს იმათ მზის ელვარება
 და ფოლადის ხმა ცეცხლის ბურანში.

აჰა, სდგას იგი
 იქვეს მოკლებული და სიმტკიცით სავსე თვალებით,
 ცეცხლზე დახრილა უეცარი გაბრწყინვალებით,
 და წინ აღი თრთის, ვით გვირგვინთა ცოცხალი რიგი
 მისმა კუნთებმა არ იციან რა არის დალლა:
 აი მან ურო ხელგაქნევით შეავდო მალლა,
 დაჰკრა, გასწორდა, დაიხარა და კვლავ შემართა
 ურო, რომელიც ნაპერწკლებით მკერდს ივარაყებს,
 ურო, რომელიც მადნებიდან ჰქმნის იარაღებს
 მისგან შემჩნეულ სამერმისო გამარჯვებათა!

მის წინ გაშლილა ბოროტება ათას ფერებით:
 მშიერ მათხოვრებს — ცარიელი სიტყვების ძღვენი,
 ბრმანი, რომელნიც სხვებს უძღვიან წინ დაჯერებით,
 ცრუ მოციქულნი ცბიერი და მგესლავი ენით.
 ყოველ აზრს თავზე ამოსვლია სიმბდალის რქები;
 ახლავს სამართალს პირობები დახშულ კარებად;
 არც ქალაქის ხმა, არც მინდვრების ყრუ მდუმარება
 მონების ხელებს არ ახარებს საჩუქრის რგებით.
 აი სოფლები დაფლეთილნი შავი ჩრდილებით,
 საყდრებიდან რომ წამოშლილან, ვით მანდილები;
 და მთელი ხალხი, დამცირებას მუდამ ჩვეული,
 თავის საკუთარ სილატაკეს ფეხქვეშ ეგება,
 არ იცის ქენჯნა სინანულით გამოწვეული
 და ლესავს დანას, შემდეგში რომ სისხლი შეღებავს;
 და არსებობის უფლებები კარჩაკეტილი
 ყალბად გაგებულ კანონების საპურობილეში;
 კაცთა სახეზე სიხარულის შუქი კეთილი,
 პირფერ ზნეობას რომ ჩაუკლავს ღრმა ნაჩრდილებში.
 და მოწამლული წმინდა წყარო, — კაცის გონება
 ჯერ კიდევ იმას აიაზმად დიდხანს ისხურებს...
 და ეს ყოველი მაშინ, როცა წილად მის ყურებს
 ათასი ფიცის და პირობის ხედა გაგონება!



მკედელს ვინ გასტეხს ხელშეკრულებით, —
 იგი დადუმდა ისე ვით მკვდარი.
 ან დაბრუნდება ომიდან ფარით,
 ან აღარ მოვა იგი სრულებით.
 ვაჟკაცის ჯილდოს, ამპარტავენებას,
 აღარ ელევა დაჭერილს კბილით.
 იმის ერთ სურვილს მუდამ თავენებას
 ძალუძს გახადოს თიხაზე რბილი
 მტკიცე აღმასის დაბრკოლებანი;
 ძალუძს მომავალ წელთა აფურცვლა,
 რომ ახალ ქვეყნებს მისცეს საფუძვლად
 სულ სხვა კანონი და სჯულდებანი.

ხედავს: ზღვა თვალებს ცრემლები სდის განუწყვეტელი,
 უამრავ გულებს საუკუნო ტკივილი არბევს, —
 და განრისხებულ "შუბლსა და წარბებს"
 უფრო და უფრო ანაოჭებს მკაცრი მკედელი.
 სჯერა მხურვალედ, რომ ქვეყანა — ბოროტი, მდორე —
 ყრუდ დამარხული "შურისგების გახდება კერძი,
 და შებრუნდება პირუტყლმა მსოფლიოს ღერძი,
 როცა ველური ამბოხება დაარტყამს ტორებს!
 რომ საჭიროა იარაღის ხელში ალებით
 მტკიცედ დაიცვან ბნელ ღამეში ნაშობი წამი,
 რომ მებრძოლ სულებს არ მოედოს გათიშვის შხამი
 და შუღლის ქარმა არ დაფლითოს ბაირალები!
 რომ სიტყვის ნაცვლად საჭიროა საქმის კეთება
 და წამის ნელი მდინარების გარჩევა ბნელში;
 არც აქ, არც ცაში სასწაული არ აენტება,
 გამარჯვება კი ჩუმ მებრძოლებს შერჩება ხელში.
 იცის: თუ ერთხელ ბრბოს აღმოხდა ყიყინა ცხელი
 (ო, საშინელი ძალა, რომლის ბრწყინვალე სხივი
 ზვიადად მდგომი ბედისწერის სახეზე ღვივის)
 შესძლებს ერთბაშად დაუნდობარ, დაკოჟრილ ხელით
 ახალი მხარე გამოსტაცოს სისხლსა და წყვდიადს.
 ბედნიერება აყვავდება ვარდის ნერვებად,
 იგი ცხოვრებას და ოცნებას უხვად ერგება
 და იგრძნობს მაშინ ყოველივე სიხარულს დიადს!

ის ნათლად ხედავს ამ დღეების მხიარულ ფერებს,
 თითქოს აენტენ მის წინ უკვე მათი დიღები:
 როდესაც ძმობის სულ უბრალო გაკვეთილები



ჰქმნიან სამართალს და უძღვნიან მშვიდობას ერებს.
 მაშინ ყველანი იცხოვრებენ ტკბილ შეთავსებით
 აღარ ივლიან ძაღლებივით პირდაპირნილი, *ბიზუნიქსუქა*
 დი სიყვარული ლაყვარდიდან ძირს დაფრენილი,
 რომლის ღვთიურ მადლს ჩვენ არ ვიცნობთ ჯერღა სავსებით,
 იმედს მოუტანს დავიწყებულს, დაჩაგრულს ბედით;
 და დღე სიმართლის ცეცხლოვანი, მაგარი მკერდით
 დაეჯახება შესამუსრად გაბერილ ყუთებს,
 სადაც ოქროებს უქმად სძინავთ ცივ განათებით;
 დაინგრევიან და დაშლიან დაჭიმულ კუნთებს
 ბანკები, ციხე, სასახლენი და პალატები.
 სიტყვები (წიგნებს ჯერ არ ძაღუძს მათი ვაგება)
 გააშუქებენ და ახსნიან იმას სრულიად,
 რაც ჯერ-ჯერობით ბნელია და დაბურდულია.
 სუსტნი შევლიან ერთეულში ამხანაგებად,
 და საიდუმლო ღვთაებისა ეგება მაშინ
 ნივთიერებამ გახსნას თავის იდუმალ ხმაში.

და ურტყამს უროს, ურტყამს მქედელი.
 ვით ქარავანი განუწყვეტელი,
 მიჰყვება უკან წელწადს წელი.
 სადაც ქალაქი თავდება ვრცელი,
 იქ თითქო სულებს იმისი კვერი
 სჭედაუს მადნისგან მრისხანე ბგერით.
 თითქოს აენტო ეამთ, უკუნეთი
 და მის საბეზე შუქი დაღვარა;
 მქედელი მუნჯი და თმებ ქალარა
 განდიდებულა ღრმა სიჩუმეთი.

კონსტანტინე კიკინაძე



ვალერიან გაფრინდაშვილი



ექსპრესიონისტული ლირიკა

მთავარი, რაც ახასიათებს ამა თუ იმ ლიტერატურულ სკოლას, არის მისი მისვლა სინამდვილესთან, ობიექტიურ ქვეყანასთან, საგანთან მიღება, ან არ მიღება სინამდვილის.

ფოტოგრაფიული ასახვა სინამდვილის ცნობილია, როგორც ნატურალიზმი, რომელიც დღეს არ აკმაყოფილებს რეალისტებსაც.

იმპრესიონიზმი თავის დროზე მოეწვინა მხატვრობას და შემდეგ პოეზიას, როგორც ახალი სიტყვა.

იგი იყო პროტესტი ნატურალიზმის წინააღმდეგ, რადგან იცავდა პირველი შთაბეჭდილების სიწმინდეს, თუნდაც ეს შთაბეჭდილება არ იყოს ქეშმარიტი.

ეს მეთოდი ჰქმნიდა ხანდისხან ფეერიულ და უშუალო სახეებს, მაგრამ იმპრესიონიზმი თავის განვითარების პროცესში იქცა ქაოტიურ შთაბეჭდილებათა კინემატოგრაფად და როლი ხელოვანის, რომელიც სარგებლობდა ამ მეთოდით, იყო მექანიკური.

ყოველ შემთხვევაში იმპრესიონიზმს ჰქონდა თავისი დინამიკა და მან დიდი სამსახური გაუწია ხელოვნებას.

იგი წარმოშვა ლათინთა რასის გენიამ, ეს არის რასა ფლობერის, ტეოფილ გოტიესი და ლეკონტ დე-ლილის, რომელთათვის ესთეტიური ფენომენი ფორმისა ღირსია რელიგიურ თაყვანისცემის.

იმპრესიონიზმის შემკვიდრე არის ექსპრესიონიზმი, რომელსაც გაცილებით უფრო დიდი პრეტენზიები აქვს.

მას არ უნდა უბრალო ასახვა საგნების, ან პირველი შთაბეჭდილების; მას უნდა სულიერი გარდაქმნა და ფურისცვალება საგანთა.

იმპრესიონიზმი სტოვებდა საგანს უცვლელად, მხოლოდ ინახავდა მისგან მიღებულ წმინდა შთაბეჭდილებას. მას არ უნდოდა რაიმე რეკომენდაცია გაეკეთებია საგნისათვის მკითხველის წინაშე. ერთი წუთით აღდგენილი საგანი: ისევ იკარგებოდა უსახელო ქაოსში.

ექსპრესიონიზმი ხელმიწევნით აქტიურია. ის ნათლავს საგანს სახელით

შენ ხარ ტყე, შენ ქალაქი. ამ შემთხვევაში მაქს პიკარის სიტყვით უოლტ უიტმენი არის წინამორბედი ექსპრესიონიზმის („შენი მისისიფიქსი“).

საჭიროა ქაოსის დაძლევა, ამიტომ აუცილებელია შემოქმედებელი საგნებთან, რომ მოვიტაცოთ ისინი ქაოსიდან.

პათოსი, როგორც აქტიური ძალა, როგორც განცდის ინტენსივობა, არის ქვაკუთხედი ექსპრესიონისტულ პოეტიკისა.

შეუძლებელია ქეშმარიტების ძიება, შემოქმედება და თვით სიცოცხლე ამ პათოსის გარეშე.

ტიუტჩევი აღიღებდა ქაოსს, როგორც სულისა და ბუნების გარდაუვალ სტიქიას, მაგრამ ბუნების დიონისიურ სახის გარდა, მან იცოდა სახე აპოლონიური, სახე კურთხეული დღის და არა დემონიურ ღამის. მან იცოდა სახე მედუზის, მაგრამ იცოდა აგრეთვე სახე მადონის.

ექსპრესიონისტებისათვის დამახასიათებელია ინტენსიური გრძნობა ქაოსისა და იმავე დროს სურვილი ქაოსის დაძლევისა.

მათ არ უნდათ, რომ ადამიანი, ეს „მოაზროვნე ლერწამი“, იყოს მოვლენათა მონა; მათ სურთ გააბატონონ აბსოლიუტური „მე“ მთელ მსოფლიოში.

მეტად დამახასიათებელია ექსპრესიონისტულ ლირიკისათვის კრებული „ხარება“, ახალგაზდა ლირიკოსების ანტოლოგია, რომელიც გამოვიდა 1920 წელს ნიჭიერ კრიტიკოსის რუდოლფ კაიხერის რედაქციით.

ამ კრებულში მონაწილეობენ ახალგაზრდა გერმანიის ყველა ძალები.

ამ ჯგუფის მრწამსი არის გამოთქმული კაიხერის წინასიტყვაობაში.

„ჩვენი დრო არის დრო სევდისა და ლირიკა ყველაზე უფრო შესაფერი ლიტერატურული ფორმაა. დიდი დრამატურგია თვისებაა კლასიკურ ეპოქების, როდესაც შეხედულება მსოფლიოზე და ხელოვნებაზე ბეჯითია და სწორი. დიდი ეპოსი გულისხმობს თვალსაზრისს, რომელის წინაშე იშლება ფართე პორიზონტები. არ არის შემთხვევა, რომ წიგნი ლირიკის ბედავს იყოს ჩვენი დროის წარმომადგენელი: თვით შინაარსი ჩვენი დროისა არსებითად ლირიულია. ჩვენი დროის ლირიკა დაიბადა მომავლის წყურვილიდან. ის ეძებს ახალ სამშობლოს და ახალ სარწმუნოებას. ის რელიგიურია. მას უნდა აღმოაჩინოს ახალი გზები ღმერთისადმი, უცნობ წარმართულ და ქრისტიანულ ღმერთისადმი, რომელსაც არ სჭირდება ჯოჯოხეთი და სამოთხე, მაგრამ, რომელიც დაპირებაა შველისა და გამოსყიდვისა“.

იმავე ავტორის სიტყვით, ახალი გერმანია არ უარყოფს სტეფან გეორგეს, მარია-რილკეს, ჰოფმანსტალს, როგორც ფორმის ოსტატებს, მაგრამ თავის მასწავლებლებლად აცხადებს დოსტოევსკის, სტრინდბერგს, რიხარდ დემელს და უოლტ უიტმენს.

ექსპრესიონისტების პოეტური შემოქმედება სავსეა მორალურ პათოსით. ახალ თაობას სურს დაამსხვრიოს ძველი ფორმულები და აგრეთვე ფორმულა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. იმავე კაიხერის სიტყვით, მათ არ უნდათ დაბატონ ის, რაც არის,

„ჩვენი მთრთოლვარე ბავშური ხელებით ჩვენ ვეტანებით თვით მსოფლიოს

სიღრმეს, ჩვენ ვმღერით, ვწინასწარმეტყველობთ, ვლოცულობთ, ჩვენ ჯდგავართ უდაბნოსა და დაპირებულ ედემს შუა“.

მათის აზრით, თანამედროვე პოეზია უნდა იქნეს პულტერბერგის პოლიტიკური პოეტი უყვართ იმიტომ, რომ მას არ შეუძლია ლოდინი. ეს პოეტი ცოცხალი აჯანყებაა. ევოლიუცია კი შესდგება კატასტროფიდან. პოეტი მემბოხე უნდა შეიქრას რეალურ პოლიტიკის სფეროში. წინად ხელოვნება, შეზღუდული ესთეტიზმის ჩარჩოებით, ამტკიცებდა ქვეყანას და არ გარდაქმნიდა მას.

ვალტერ ჰაზენკლევერის ლექსი „პოლიტიკური პოეტი“, იმის გარდა რომ იძლევა სოციალურ აჯანყების ვერხარნისებურ სურათს, აღადგენს პოეტს ტრიბუნის როლში:

ის არ ოცნებობს მოლურჯო ზღვებზე,
 ჰხედავს მაგარსა შთამომავლობას,
 სირცხვილის მტვერსა ფეხქვეშა სთელავს
 და ერებს ჰმოსავს შარავანდედით.

ნეიშტადის სიტყვით, ეჭვს გარეშეა, რომ ლაშქრობა გერმანელ პოეტებისა ესთეტიზმისა და სიმვოლიზმის წინააღმდეგ, წყურვილი რესპუბლიკანურ პოეზიისა, ცდა ახალი ესთეტიური ფორმისა. ბრძოლა ძველ ფორმებთან არა ესთეტიურისათვის სწარმოებს ახალი ესთეტიური ფორმების საშუალებით.

უცილოა კავშირი ექსპრესიონიზმისა რომანტიზმთან.

იგი აყენებს პირველ ადგილზე საკუთარ „მე“-ს, რადგან სუბიექტივიზმი არის პირობა ყოველივე შემოქმედებისა. თავის განცდების დარგში „მე“ უნდა გამეფდეს და არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილოს საგნებს.

„თანამედროვე პოეტები ისე არიან დაჯერებული თავის ქმედით ინტუიციისაში, როგორც მეცნიერები თავის მათემატიკურ გონებაში“.

სამოცი წლის წინად ბოდლერი აღიარებდა ამავე აზრს თავის „მაქსიმებში“. პოეტის განცდიდან იბადება ახალი ქმნილება, რომელიც გადავარდება შემდეგ მსოფლიოში.

ყველაზე უფრო ძვირფასია ის რწმენა, რომლითაც პოეტები უცქერიან თავის დანიშნულებას. პოეზიას ისევ სწყურია დადგეს თავის ლეგენდარულ სიმალლეზე და წარუძღვეს კაცობრიობას.

უეჭველია აგრეთვე ექსპრესიონისტებს კავშირი „გრიგალისა და ამბოხების გენიალურ ჭაბუკებთან“. ეს ეპოქა „Sturm und Drang“-ის იყო ერთი სახე რომანტიზმისა და მას ეკუთვნოდნენ თავის ახალგაზრდობაში შილლერი („ყაჩაღები“) და გოეტე („ვერტერი“), ჰენრიხ კლაისტი და ლენცი. მე ხაზს უსვამ იმას, რომ „გრიგალის და ამბოხების“ პერიოდთან და განსაკუთრებით შილლერთან ექსპრესიონისტებს დიდი კავშირი აქვთ. მათი კულტი რევოლიუციის და კატასტროფის, მათი მორალური პათოსი, თითქოს აღდგენაა შილლერისა და რომანტიზმის პირვანდელ რევოლიუციური ხანის, როცა მისი აჯანყება ძველი ლიტერატურისა და ცხოვრების წინააღმდეგ იყო თავშეუყავებელი და უსაზღვრო.

აგრეთვე არ დასმულა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა ჰქონდა რომანტიკოს გოტმანს ექსპრესიონისტებზე, ეს გავლენა კი უეჭველია და ცხადია.

არის მათ ლირიკაში ძიება „მშვენიერ დამის“ — (ლიბტენშტეინ — „ხუთი სიმღერა მარიაზე“).

აგრეთვე არის მათ ლირიკაში დაბრუნება ბუნებასთან, რომანტიული გატაცება ველურ ცხოვრებით და პეიზაჟით. (მარტინ გუმბერტ — ლექსი „ტაიტი“). ცნობილია, რომ რომანტიზმის ერთი ფრთა მაღიღებელი იყო საშუალ-საუკუნეების. ექსპრესიონისტები ისევ აცოცხლებენ ატავისტურად საშუალ-საუკუნეების სახეებს.

პოეტ გეორგ გეიმს აქვს ლექსი: „ქალაქის დემონები“, რომელშიაც ის ძალიან დეტალურად აგვიწერს ამ დემონებს.

მეორე პოეტის ერნსტ დრემის ლექსი „ქორწილი“ იძლევა ადამიანისა და ეშმაკის ეროტიულ ჩვენებას.

მათ ლირიკაში სჩანს გავლენა ვერლენის ნიუანსების და ლათორგის ირონიის — სასოწარკვეთის: — „ლტოლვის ქარავანი“:

ჩვენი ლტოლვების გრძელი ქარავანი
ვერ ნახავს უდაბნოში ჩრდილსა და ფერიებს.
გვწვავს სიყვარული, წამების ფრინველნი
ჩვენს გულს საცოდავს ყოველთვის ჰკორტნიან.
ახ! კარგად ვიცნობთ ქარებს და წვიმებს.
ყველგან შეიძლება იყოს ელიზიუმი,
ჩვენ კი დავებეტებით მარად ლტოლვაში.
სადღაც ფანჯრიდან გადაეარდება ადამიანი
ვარსკვლავის დასაქვრად და კედება ამისათვის.
ვიღაც დაეძებს პანოპტიკუმში
სანთლის ოცნებას და უყვარს იგი.
მაგრამ ჩვენს გულში არ ცხრება ცეცხლი...
ჩვენ რომ დაგვეფარონ ნილოსმა და ნიაგარამ —
ჩვენ დავიკვივლებდით წყურვილისაგან მაინც.

(ივან პოლლ).

საგულისხმოა მათი პორტრეტები — მოთავსებული ვლადიმერ ნეიშტადის წიგნში. ჩვენ წინ, თითქოს დგებიან მედგარ პოეს გმირები გარუჯული და შეშლილი სახეებით.

საინტერესოა პეიზაჟი ექსპრესიონისტების — უნუგეშო, მკრთალი და მოქანცული, როგორც ვერლენის საღამო, მაგრამ ისინი ხშირად მოათავსებენ თავის სულიერ დრამას გრიგალის, ზღვისა, აღულებულ შუადღის, ან გატეხილ მთვარის ფონზე.

პოეტი ერნსტ დრემი მთელ ლექსს უძღვნის „აფრიკანულ ჰორიზონტს“ დამწვარს, უიმედოს, მაგრამ ყოველთვის სავსეს მირაჟებით.

პარნასელების უდაბნო — ქანდაკებაა, — ექსპრესიონისტების — ფატა-მორგანა.

ქარი დაქრის დემონებთან ერთად მათ ლექსებში, მაგრამ პოეტები ანელენენ თავის „მსოფლიო სევდას“ საღამოს ზეფირებში.

ვერლენი აღარებდა ადამიანის სულს პეიზაჟს და სწორედ ასეთ საკვირველ პეიზაჟს ქმნიან ექსპრესიონისტები.

მათი ლექსების სათაურებიდან ჩვენ მივიღებთ ნათელ „წიწილადგენას“ მათ ლექსიკონზე და სახეებზე. ეს თითქოს ლაფორგის სათაურებია:

- „მასხარა თოვლში“.
- „შომაკვდავი უნტერ-აფიცერი გალიციის ლაზარეთში“.
- „მკვლელები სხედან ოპერაში“.
- „გამოთხოვება აპაშთან“.
- „კვირა-დღის დასასრული“.

ხშირად ექსპრესიონისტების ლექსები დაწერილია თავისუფალი (vers liber) და თეთრი ლექსითაც. აშკარაა ტენდენცია სინტაქსისის გარდაქმნისა. პოეტი იოან ბეჰერი, რომლის ენა უფრო განსხვავდება კლასიკურ ენიდან, ასე მოგვითხრობს ენის რევოლიუციის შესახებ:

„მოულოდნელად მე ავმეტყველდი ახალი ენით, ვგრძნობდი, ვწერდი, ვყვიროდი და ვისროდი სრულიად ახალს და უცნობ სიტყვებს, დასაწყისი და დასასრული გერმანულ ენისა. ამაზედ მეტი: ეს უკვე მე არ ვიყავი! აჯანყება! წინაღობა, გამოცხადება! ბებერი პერიოდები სკდებოდნენ... ყველა ელემენტები ზეიმობდნენ. ფანატიური განადგურება... წარღვნა! სამოთხე! ო, კალეიდოსკოპი! მიწის ქვეშ მყოფი რიტმები! მჭრელი ელვარება თანამოვანების, ო, რას არ ეუმღეროდი მე! ვამახინჯებდი და ვასხვანაირებდი...“

შეიძლება ეს იყოს ახალი რენესანსი გერმანულ ლირიკის. სიმბოლიზმის შექმნაში გერმანელებმა ეპიგონების როლი ითამაშეს.

ლირიკა ექსპრესიონისტებისა ეკლექტიურია. ის ბევრ რამეში ენათესავება ფრანგ სიმბოლისტების პოეზიას. ლექსი მაქს ბროდის „ოქროს თევზები საწერ მაგიდაზე“ არის დაწერილი სიმბოლიურ მეთოდით.

თითქოს ამ ლირკას არა აქვს თავისი გარკვეული სახე განუმეორებელი და მთლიანი. ეს სათუთი ლირიკა ხშირად არის მოგონება და რესტაურაცია პოეზიის წინანდელ ფორმებისა. მაგრამ ორიგინალურია მათი გულწრფელობა, რომელიც დიდი ხნის ანტრაქტის შემდეგ ისევ ვვლინება პოეზიას და ანოყიერებს მას.

თითქოს მათი ლირიკა უკანასკნელი აღსარებაა სიკვდილის წინ და იქ არავითარი ადგილი არა აქვს დათმობილი პოზას. პოეტს ისევ უნდა გახდეს ქურუმი და წინასწარმეტყველი.

განცდების გამძაფრება — ძირითადი თვისებაა ექსპრესიონისტულ ლირიკის. მათი ლექსების წაკითხვის შემდეგ — სიტყვები გავიწყდებათ, მაგრამ ხსოვნაში რჩება ქვითინის მწვავე და გარმონიული ხმა.

იმათ არ შეუქმნიათ ახალი სახე მშვენიერების, თუ საშინელების, იმათ არ გაუმდიდრებიათ ხელოვნების ცა ახალი ვარსკლავებით, მაგრამ მათ უთუოდ შექმნეს ახალი თრთოლვა, რომლის შესახებ სწერდა ვიქტორ ჰიუგო შარლ ბოდლერს.

ისინი ქადაგებენ ბრძოლას იმპერიალისტურ ევროპასთან და უმღერიან ამბოხებას, რომელიც გაანადგურებს თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადეობას. მა-

თი პესიმიზმი არის გამოწვეული იმ დამარცხებით, რომელიც ნახა გერმანიამ უკანასკნელი ომში. ბევრი ამ პოეტებიდან კიდევაც დაიღუპა ომში (იყვნენ ჯოლლი, ~~ალფრედ ლოსტენშტეინი და სხვები~~) და მათი ლექსები — რეკვიემია.

მათი პესიმიზმი სავსეა პათოსით. პოეტი იოან ბეჭერი სწერს ლექსს, რომელშიაც ესალმება ერესეფესერს:

ოქროს ნამგალი და ჩაქუჩი მოოქროვილი!
აისის ცეცხლი და ხორბალთა თაიგულები!
ო, ფილისტერო, მუხლმოდრეკით სცანი ყოველი:
ხანძარი ბრძოლის—საზეიმო ცეცხლთა მთოველი,
დაღვარე ცრემლი მწუხარების და უძღურების!

მათი ლირიკა სავსეა „სიყვარულით მოყვასისადმი.“

ფრანც ვერფელი ასეთი ვედრებით მიმართავს მკითხველს თავის ლექსში „მკითხველისადმი“:

ყველას ვეკუთვნი და შენი ვარ, მკითხველო, შენი!
შე გვედრები, ო, მითხარი: ჩვენი ხარ, ჩვენი!
ნეტავი ერთხელ ახდებოდეს ნატერა ფარული,
რომ ჩვენ ერთმანეთს ჩავეხუტოთ ძმურ სიყვარულით!

ეს ქრისტიანული ხაზი მეტად ძლიერია და თვალსაჩინოა ექსპრესიონისტების ლირიკაში. ამ სიყვარულის ძეგლია შესანიშნავი ლექსი იმავე ვერფელის „ცრემლები“.

გერმანელი პოეტები დოსტოვესკისთან ერთად აღიარებენ წამების კულტს. დავიწყებულია ნიცშეანური იდეალი ზეკაცისა და პოეზია ისევ აღიარებს ნაზარეველის იდეალს.

პოეტი—ვაზაა უწმინდესი ცრემლების. ექსპრესიონიზმი კიდევ არ არის დასრულებული სკოლა. ამ სკოლის კონსტიტუცია ჯერ კიდევ არ დაწერილა. ეს ლირიკა — ფრაგმენტია. იგი არ არის დატვირთული ისტორიულ და მითოლოგიურ სახელებით და მით უფრო უახლოვდება სიმღერას.

ეს ლირიკა ინდივიდუალურია, მაგრამ ხოროს შთაბეჭდილებას სტოვებს. თვითონ პოეტებს ექსპრესიონისტებს იმედი აქვთ, რომ მათი ლირიკა უვერტიურაა დიდი სიმფონიის.

და ეს იმედი მართლდება ფრანც ვერფელის და ვალტერ ჰაზენკლევერის დრამატიულ შემოქმედებაში, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს მათ ლირიკასთან, მაგრამ ეს ცალკე ექსკურსის საგანია.

ფრანც შერველ

ც რ ე მ ლ ე ბ ი

აუ კაფეებში, ზეცის ქვეშ, სადაც არ სჩანან ფრინველნი.
 ჩვენ ხშირად ვზივართ, სევდიან წუთში,
 როცა მუსიკის გუნდები აიშლებიან
 თოლიების მსგავსად
 და ყურის ახლოს მიჰქრებიან სიმაღლეში.
 კედლებს არსად არ აწვება სივრცე.
 იდუმალად ყვავიან უცხოეთის ყვავილები.
 დახუჭავ თვალებს და ათრთოლდებიან
 პოლიუსის ყინულები,
 და აქვითინდება მოხუცი ფიორდი.
 დაუგდე ყური! რა მოხდა? გააღე თვალები,
 რა შემოიჭრა ხმაურში? რა ეძახის ალიაქოთს, გაჩერდი!?
 იქ ზაგიდასთან შავი დამა
 მოულოდნელი დაკვნესებით
 ატირდა, სახით ჩაიღუნა თითებში.
 რაც იყო მარტოობა, ის ერთმანეთს ესაღმება.
 ის მტირალი გვაერთიანებს, როგორც ახალი კანონი.
 ყველა აღამიანები დგანან და სტირიან.
 წმინდა ნიაღვარები!
 კელნერსაც აუკანკალდა ხელში ფინჯანი.
 ჩვენ ყველა, ნატეხები, ტირილში ვიქცევით ჭურჭელად.
 ვინც განიცადა ცრემლები, მან იცის ნივთების არსი.
 ძმებო, ჩვენ ვართ ოკეანე — და მივექანებით,
 მუდამ მივექანებით
 ჩვენ, — ნავები გულთა მსოფლიო ზღვაზე.
 მარტოობის ტკივილო, შენ ხარ უკვდავების ასული!
 ღვთაების ძვირფასი სისხლი, იფრქვევა ჩვენი ცრემლი.
 აბ! ჩვენ ვრწყავთ ცრემლებით
 ნეტარ სარეცელს,
 და სამოთხე იქცევა ჩვენთვის ნაყოფიერი.

ვალტერ ჰაზენკლევერი**შურის მაძიებელი**


ქალბატონმა კაიომ. საფრანგეთის მინისტრის ცოლმა,
მოკვლა 16 მარტს 1914 წ. გაზეთ „ფიგაროს“ დირექტორი.

როცა დარბახი სალამოს ეამს ერთბაშად გააჩაღეს:
იტალიურ საელჩოში მზადდებოდა საზეიმო სადილი, —
ის იდგა ტელეფონთან — იმალებოდა, როგორც ყაჩაღი,
უხილავ მტრებისაგან, მკვლელობის წადილით.
ლაპარაკობდა აპარატში ხმით დამშვიდებულით.
ტროადის ომში ის მოჰქროდა ღრუბლებზე ერთი.
უკვე ესმოდა ტყვიების მუსიკა დიდებული.
ის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ვერ დაჯდება ამალამ გვერდით.
მარმარის კიბეებით, ტანსაცმელში პუარესაგან, ის მიდის ზევით
შურისძიებით ღამურ თმებში ის მიდის — მშვენიერი.
მას მეგაზეთის არ აშინებს სიმღერა გამომწვევი.
უახლოვდება რედაქციას — მოთენთილი და ძლიერი.
ვის შეუძლია მოზიარე მისი წამების გახდეს,
სანამ მისი ქურჭიდან რევოლვერმა დაივრიალა.
რომელმა ჩვენგანმა, ვინც სახლში სადილობს და კალმებს ახდენს,
იცის მისი ვარსკვლავი — დღეთა უბედური ტრიალი.
სანამ პალატებს აუწყებენ ტელეგრაფის მათულები
პარიზში მკვლელობის შესახებ: მოხდა მეთექვსმეტე მარტს.
ვაკმიოთ საკმეველი. ავატიროთ ჩვენი გულები.
ვადიდოთ ქალი-გმირი, რომ არ უდიდებიათ არსად.

იოჰან ბახერ

შ ე ვ ი ჳ რ ო ე ბ ა

ქვეყანა ვიწროა. ქალაქი მოგვწყინდა.
სულშემბუთავია ზღვები და ქვეყნები.
მთერალ შხამებისაგან გამოფიტულია
სხეული ჩამჰკნარი და გადამტვერილი.



ქართული
საბჭოთაო

ცასა ვგრძნობთ, აქაფდა სისხლი ბოროტებით,
 ჯოჯობხეთს, სამარეს აანგრევს ექსტაზი;
 ჩვენ ვკვნესით ნესტიანს და ბნელ სარდაფებში,
 რომ რისხვა მოვარდეს და გადაგვარჩინოს.
 რალა შეგვიძლია, ჩვენ რო გავაკეთოთ,
 ქვეყანა ვიწროა, სულშემხუთავია.
 და პოლიციამაც შეიტყო მიწისა
 ყოველი ადგილი, ყოველი დარაბი.
 უნდა გავიკოჭლოთ ყველა ქალაქებში,
 ქალები, მკვნარები ჭანგებში კვნესიან;
 კაფე და კინოში ნებიურობს „მეშჩანი“
 და ბრწყინავს გოეტე ოქროს ჩარჩოიდან.
 იყავი წყეული, ქუჩის სიღარიბეც,
 ლორწო და ტალახო, ქუჩებში გამდგარო,
 ო, ნეტამც ხანძარი გზას გაგვინათებდეს.
 ყვითელი ტატნობი მრისხანედ ღრიალებს.
 წინად გაღერებზე ვოფლიანდებოდით
 და იზნიქებოდა ხელებში ნიჩაფი,
 ეხლა კი ვლპებით მალალ პაუპიტრებზე,
 შეშინებულები ვიწვევით შიშით.
 ჭეჭა საყვირების მოისმის მგრგვინავი.
 გვინდა არ ნახული ცეცხლები ომისა;
 აბჯარი რკინებით ყურებში ჩაგვწივის.
 ბრძოლა-ზარბაზანი ბრწყინვალეს შორიდან.
 ასტეხეთ განგაში და აფორიაქდით,
 ქვეყანა ვიწროა, სულშემხუთავია,
 გლახები სასახლის წინ არა მღერიან.
 იქცა ნაფოტებად კარი ალაყაფის.
 ჩაიმსხვრა ფანჯრები. კედლები შეინძრა,
 ცხელ ტყვიებისაგან გადაცხრილულები.
 გვიყვარდა ჩვენ მწარეთ — დავკარგეთ სატრფონი,
 როცა ჩავძალღდებით, ჩვენ მოგვიგონებენ.
 წყვდიადი სხივებით. საღამო პირქუში,
 ეტლები, მგზავრები ტალახში ჩათლული.
 ბავშვები ღვთისმშობელს ემუდარებიან
 და სთხოვენ საფარველს ახალს და გემრიელს.
 ჩვენ ღმერთი არ გვინდა! იმან გამოგვტაცა
 ყოველი ძალები. ძონძებით დაგვფანტა,
 სიშშილით, სიკვდილით ჩვენ დაგვაძაბუნა.
 ავსილი ძარღვები! ვიწროა ქვეყანა...

გავარღვევთ ლაქაშებს, ჭაობს და ზღუდეებს:
 ტალახში, წვიმაში მიდიან ჯარები.
 ვიწროა ქვეყანა. გვცოვა და ვკანკალებთ
 დამპალ და ნესტიან, დანგრეულ უბნებში.
 ვყვიროთ, ვიმუჭრობით, ვიღრწობით, ვიწყევლებით!



მამს ბროლი

სამოთხის თევზები საწერ მაგიდაზე

ჩვენს ირგვლივ შინა, შინის გარეშე
 რალაც უცნობი ქვეყანა ჩნდება.
 ვით ბოროტება ყრუთ მოთარეშე
 ბნელი მუჭარით ჩვენ გვემუჭრება.

აქ ჩვენთან არის მწვანე ფოთლები,
 აქ არის ხავსი, სხივთა არშია.
 წყლის ბალახებში სკურავენ დები.
 სდუმბარ და უსმენ, რომ გაარჩიო
 ზღვების სიმღერა. გული ცვარშია.

კვლავ მოძრაობა. შინა მგზნებარე.
 და ისევ მხარე გაუგებარი,
 რომელიც არის მიუწდომელი,
 თუმც იმას ელტვის გული მდომელი.

ბროლის ქურჭელში ჩუმი რკალები,
 ჩვენ ვიცქირებით უძრავ თვალებით,
 და ჩვენებათა მირაჟებს ვხედავთ,
 მიახლოებას ველარ გაგებდავთ, —
 იმ ქვეყნისაკენ გზა იყოს ნეტავ!

ბნელ მირაჟებში ჩვენ დაჯინაბეთ
 გვიახლოვდება რალაცა თეთრი,
 ადამიანის ეს არის სახე,
 ეს არის სახე გამხდარი, მკვეთრი.

იგი სითეთრით ჰგავს თვითონ მთვარეს,
 თვალნი აფრქვევენ სხივებს მწუხარეს.
 ის ორი თვალი ეტრფის შორ მხარეს,
 როგორც თევზები, როგორც ჩვენ, ვინაც
 ვერ გადალახავს ამ შუშის ბინას.



მარტინ გუმბერტ

ტ ა ი ტ ი

მძიმე ნაწნავებით მიდიან ზღვასთან ტაიტის ქალწულები,
 დახრიან შავგვრემან კისერს, უსმენენ ნიჟართა ხმაურს.
 მიწის ნიადაგი იქნება უთუოდ ნაყოფიერი
 შუე ადგება დილით, დასწვავს გაცივებულ ლამეს.
 ტაიტზე ზღვის ქართან დაფრინავენ თეთრი ფრინველები,
 და მათი ფრთები სცვივიან მოცეკვავე ბავშვების ფეხებთან,
 და ნაზი თითები იჭერენ ბეწვების სინაზეს,
 თეთრი კბილები კრიალებენ სიამით,
 ხელები კი ამართული არიან ზევით და იცდიან.
 შრომა არ დარაჯობს ჭიშკართან განახლებულ დილას.
 სიზმარი დაგესიზმრება ბოლომდე.
 ქალწულები დამწიფდებიან და უნდათ მამაკაცები.
 მიზინოებით ნადირობა მუდამ იღბლიანია,
 მტრები არ გაურბიან შიშით ერთმანეთს,
 ყოველდღიურ თამაშთა შორის ისმის ჭიანური,
 უქმეებში კი ტკბილი თარის ნელი ჟღერა.
 წყლის ყვავილები ნაპირთან სავსე არიან სურნელებით,
 და ფერადი ნავეები ფრთხილად სრიალებენ,
 შავი ტყე დინჯათ ხმაურობს
 ქვევით კი ტანმალალი ბალახები ჩურჩულებენ.
 ტაიტზე რაკრაკებენ წყაროები მდუღლოში,
 და მსუბუქი ტირიფები დახრილნი ფალერსებიან მათ,
 წვრილი ფეხები მირბიან სილასე და მინდორზე,
 ყოველი ადგილი გაცდენს, რომ დარჩე სამუდამოთ,
 და ყოველი სიშორე გიზიდავს და გაჩქარებს.
 იქ იშვიათი ადამიანები მუშაობენ დაუღლელად.
 ხეებს სჭრის კაჟიანი ნაჯახი.
 მამაკაცები ჩუმად უცქერიან ქალების ფუსუფუსს
 და ისმის სიყვარულის ვნებიანი სიმღერა.

ელზა ლასკერ ფიულერ

ქ რ ო ნ ი კ ა

ღედა და მამა განისვენებენ ცაზე.
ამინ.

დილის იდუმალ სიზმარიდან
სამი სული ესალმება

ღვთაებრივ მიწას თავისი სევდიო.

იმიტომ რომ ჩვენ ვართ სამი და:

ორი ჩემამდე სფინქსების სახით

ოცნებობდა ფარაონების ეპოქაში.

მე კიდევ მკვეთდა მსოფლიოს საშოში

შემოქმედის ძლიერი ხელი.

იცით, ვინ არიან ჩემი ძმები?

ისინი იყვნენ-სამი ხელმწიფე და წავიდნენ აღმოსავლეთში,

ღმერთის შეილისგან რომ ეთხოვათ თეთრი ვარსკვლავი.

მაგრამ რვა მოდგმაში განადგურდა ჩვენი სისხლი.

ოთხი გვაწვალებს საღამოს ეამს, როგორც ვეშაპი,

ოთხი გვიბნელებს დილის სიწმინდეს,

იმათგან არის ჩვენი ტანჯვა განუსაზღვრელი:

შიმშილი, სევდა და სიკვდილი.

ასე იქნება:

ისინი ცხოვრობენ ჩვენს უკანასკნელ სამარეზე,

ყველა ქვეყნებისათვის დართავენ კრულვას.

ჩვენ გავიხარებთ იმათი ბრაზით.

მაგრამ ოდესმე ქარები გადარეცხავენ მტვერს

ჩვენს კუბოებიდან.

სატანა! შეგვიბრალე შენ!

ალფრედ ლიხტენშტაინ

კვირა ღლის დასასრული

სახლები სდუმან, როგორც უქმი ნაკვები ზღვიდან,
მათ კუბებს ზევით მზის წითელი ბურთი ტრიალებს,
გიჟი პუდელი, დაეარცხნილი, მაღალ თალიდან
შიშით უცქერის უზარმაზარ დაისის ალებს.

ბავში ბუხს იჭერს და აწვალებს ერთ ფანჯარაში,
ჩვილი, გასვრილი, გათხუპნული უსაზღვროდ სტირის,
და ცაზე, სადაც გრივალების არის თარეში, ჟიჟიჟი
მატარებელი გამოჩნდება, მზგავსი ვამპირის.

ვით რემინგტონი ახმაურდა ეტლების წყება,
შევარდნელების მტვერიანი გამოჩნდა რაზმი,
მოქეიფეთა დუქნებიდან ისმის გინება,
მაგრამ ზარები იმღეროიან სევდას გულდასმიო.

მოჭიდავენი მოედანზე იბრძვიან მწარეთ.
მოდის სალამო შუბლშეკრული ბინდის ქსელებით,
ისმის არლანი, მზარეულნი მღეროიან გარეთ,
და ცოლს ავადმყოფს მთვრალი ქმარი სცემს გაბელებით.

† ქრანც ვერველი

მკითხველისადმი

მე მინდა ვიყო შენი მოძმე, ადამიანო,
ვინც უნდა იყო — უბედური, თუ იღბლიანი.
ვინც უნდა იყო, აკრობატი, მენავე, ლოთი.
ან ჯარისკაცი უშიშარი და ან პილოტი.

შენ ბავშობისას თამაშობდი პატარა თოფით,
თუმცა ის იყო გატენილი მხოლოდ საცობით.
ძმაო! წარსულის მოგონება ახლა მაწუხებს...
ნუ ხარ სასტიკი და ცრემლებით შენც მიპასუხე!

მე ყველა გზები გაეიარე, მაქვს თვალი ორბის,
ვიცი გრძობები დამკვრელების და ტენორების,
გუვერნანტკების და ძიძების, ბავშებს რომ ჰრდიან,
დებიუტანტების, სცენაზე რომ შიშს განიცდიან.

ვცხოვრობდი ტყეში, და რკინის გზის ვიყავ მოხელე,
სალაროს წიგნზე დაღუნული — ვეტროფოდი ველებს.
და მე დიდ ქვაბებს ვადულებდი — გემის მსახური.
ვიყავი მუშა. ნასუფრალს ვჭამდი მე — უსახური.

ყველას ვეკუთვნი და შენი ვარ, მკითხველო, შენი!
მე გევერდებით, ო, მითხარით: ჩვენი ხარ, ჩვენი!
ნეტავი ეროხელ აბდებოდეს ნატვრა ფარული,
რომ ჩვენ ერთმანეთს ჩავეხუტოთ ძმურ სიყვარულით!

3. ტარასოვ-როდიონოვ



უ რ კ რ ლ ა დ ი

(დასასრული)

ქარ-ბუქი ჩადგა. თოვს. ცა ცივ ბამბასავით გამოიბერა. ბეწვებიან ფუნთულა ბურთულებად ეცემა თოვლი ქვაფენილებზე. კარიბჭეებთან მუშაობენ რკინის ლაფათქით და მოისმის ხმა დაყინულ წვეთზე ფოლადის დარტყმის. ფლაგები გვანან გამოხუნებულ ჩვრებს. თეთრი თათებით მათ თანდათან ფარავს თოვლი.

რაშია მიზანი? თბილ ორთქლათ იკლაკნება მორჩილი კითხვა.

მაგრამ, პასუხის ცივი ფრაზები თითქო ლამობენ თოვლის ბურთულებათ გადაეფარონ კითხვას და ჩააქრონ მისი ცეცხლი.

— როგორ თუ რაშია მიზანი? უნდა გავიმარჯვოთ!

— შემდეგ?

— შემდეგი არც ასე მალე იქნება.

— მაშასადამე, მტერი ძლიერია... არა?!

— თქვენ იცით, ვინ არიან ჩვენი მტრები?

ასეთი კითხვის დასმაში ვალც გრძნობს აშკარა დაცინვას და გულმოსული ბუტბუტებს.

— თეთრგვარდიელები, ქარანის პატრონები, მემამულეები, ფინელები, პოლონელები.

— მიქარვაა! ეს ყველა წვრილმანია! ჩვენი მტრები გაცილებით სერიოზული არიან.

— გაცილებით სერიოზული? მაშასადამე, თქვენ არ გითქვამთ, რომ თქვენი მიზანია მთელი ქვეყნის დაპყრობა?

და ისევ ამოცანა ნაცვლად პასუხისა:

— რას ეძახიან თქვენ ქვეყანას?

— გეოგრაფია მე არ დამვიწყებია!! საფრანგეთს, ინგლისს, გერმანიას, ამერიკას, ჩინეთს, ერთი სიტყვით, ყველა მხარეებს.

მაგრამ ის დღეს სრულიადაც არ არის მუსაიფის ხასიათზე.

— ისინიც რომ დავიპყრათ, ჩვენ მაინც არ ვიქნებით მთელი ქვეყანა. ელენე გრძნობს უხურხულობას, ის ჩუმდება... ისევ და ისევ ახალი მოსაზრებები დგებიან კითხვებით.

— კარგი კი იქნება იფიქრო, რომ ჩვენ დავიპყარით მთელი ქვეყანა და ჩვენ ვართ რუსეთი!

— სისულელეა! ჩვენ ასეთი დაპყრობა არ გვინდა!

— მაშ როგორ-ღა გინდათ, ალექსი ივანოვიჩ?..

ზუდინი მისჩერებია ვალცს და გაჩუმებულია. ღირს განა ასეთი წვრილმანი პროპაგანდით დაინტერესება. ან თუ ეს დასაშვებია, იქ მაინც იყოს, ნახევრად ბნელ სარდაფის კუნჭულში, წვირიანი სახეების, ღინიანი მზერის გაღებული პირების, სერიოზულ მუშების წინაშე. ისეთ მუშებთან, როგორც თითონ არის, და ისე, როგორც ხშირად მას განუცდია. ის სულ სხვაა. ის შენი ძმაა. ის გაიგებს შენსას, თუნდაც ნახევარ სიტყვებით რომ ილაპარაკო. და ზუდინი გაკვირვებით მისჩერებია მშვენივრად ჩაცმულ ნახ ქალიშვილს, რომელიც მის გვერდით მიიჩქარის, თითქო მიცოცავს და ემალება თოვლის ბურთულებს, ჭვაფენილის მოკენჭვას რომ აპირებენ.

— თქვენ გინდათ იცოდეთ სად არიან ჩვენი მთავარი მტრები? მე გიპასუხებთ: ისინი ჩვენივე არსებაში იმალებიან.

პასუხის ნაცვლად ზუდინი ამჩნევს ალერსიან, შოკოლადის თვალების, ეშმაკურად მიმზიდველ თვალების შეკითხვას.

— დიახ, ჩვენსავე არსებაში! — ლელდება ზუდინი, იმ შინაგან მიმზიდველობაში, რომელიც თვითეულ ჩვენგანს აკავშირებს წარსულთან, წარსულ ყოფასთან, წარსულ ჩერებთან, წარსულ ჩვეულებებთან. აი სად არიან ჩვენი მტრები!! ახ! რომ იყოს შესაძლებელი, რომ ხალხი ქვეყანას შეხედავდეს ახალი გაგებით, მაშინ ქვეყანაც გახდებოდა ახალი და უკეთესი.

— თქვენ ლაპარაკობთ თითქო სახარებიდან.

— სახარება აქ არაფერ შუაშია. ჩვენ ხსნას მაღლიდან არ ველით. ჩვენ თვითონ ღმერთები ვართ.

მისი სიტყვები, როგორც რახტი, რკალავენ რალაც ნახს, ფაფუკს, ალერსიანს, და ზუდინს უნდა, საოცრად უნდა გასაქანი მისცეს მის უდრეკ და ვადამჭრელ სიტყვებს.

— თქვენ გული მოგდით? — ლაპარაკობს ვალც რბილად, მორჩილად და ზუდინი გრძნობს მის ცივ ხელზე პატარა, თბილი ხელის შეხებას.

— რად მოგდით გული, ალექსეი ივანოვიჩ? კარგი, მე ვარ განუვითარებელი, სულელი... განა ამიტომაც არ გეკითხებით?

ზუდინს უკვე რცხვენია. ნათესაური, როგორიღაც ამღვრეული გრძნობა, ღვივდება მიმალულ სიღრმეში. ამავე დროს საოცრად რცხვენია თავისივე თავის, ამ გრძნობის და ყოველი შემხვედრის, რომელიც მიჩერებია მას, ქალს მის გვერდით, მშვენივრად გამოწყობილ ვალცს მანტოში, სურნელებაში, თითქო შეშინებული რამ მიცოცავს.

— მაშინ არ იყო საჭირო მანიფესტაციიდან სამსახურში მასთან ერთად

დაბრუნება — თავიდან არ უნდა ექნა ასე. ხომ წამოვედი და როგორი ხალისითაც. ეხლა კი ხმას იმაღლებს წინასწარი მსჯელობა, ყალბეჭყეჭყრუბული, — შანს უგებს თავის თავს ზუდინი.

ზ ი ბ ლ ი მ ი თ ე შ ა

— მე კი დავრწმუნდი, — ეუბნება მას ვალც, — რომ სახარებაში და თქვენ სიტყვებში არის გატარებული ერთი და იგივე დედააზრი, არსების სრულყოფაზე თითონ ადამიანში: მტერი ადამიანშივე. მაშინ, როგორ-ღა უნდა მივალწიოთ სრულყოფას.

— სულელი დედაკაცი როდია, სწორედ იმ წერტილში სცემს! — ზუდინი გაოცებაშია.

— სრულყოფას მივალწევთ ჩვენ მხოლოდ ახალი წყობილების დროს, როდესაც გავანთავისუფლებთ მუშას კაპიტალისტების ექსპლოატაციისაგან და მონობისაგან.

— მანანდე?

— როგორ თუ მანამდე?

— რა უყოთ ჩვენ შინაურ მტერს?

— ჩვენში ის უკვე აღარ არის და ეისშიდაც ჯერ კიდევ დარჩენილა, ჩვენ ვეცდებით მათშიდაც დაეძლიოთ და ზუდინი უეცრად მომართულ მუქს მოიქნევს ჰაერში.

ვალც გაჩუმდა, ის თითქო მოილუნა და ჩაფიქრებულია.

— მე არ მწამს ასეთი შესაძლებლობა! — ეჩინიანი თავის ქნევით და გამოკვეთილი ხმით ლაპარაკობს ვალც.

— ყველანი რომ პირში ეუბნებოდენ ერთმანეთს სიმართლეს, ალექსეი ივანოვიჩი, ისინი მალე გამოტყდებოდენ, რომ ეს ინტიმური გრძნობა თვითმოყვარეობისა და სიყვარული უკეთ მოწყობის, რაც გინდათ დაარქვით, თუნდაც ჩვეულებები, რომელიც ჩვენ ათას წინაპართაგან დაგვრჩენია, — ერთი სიტყვით მთელი ეს სიყვარული, კულტურა, კომფორტი, რომელიც თქვენ გეჯავრებათ... — ნუ აქნევთ თავს: მე ვგრძნობ როგორ გეჯავრებათ თქვენ ის... მთელი ეს კულტურა, — ეს ხომ ჩვენი „მე“-ს ნაწილია, ჩვენი სხეულის მოკვლა... მოკვლა მისი არ შეიძლება! — აი რისთვის მოხდა, რომ თითქმის შეჩერდა ელენე და სხივები თვისი გამოხედვისა ზუდინის თვალთა სიღრმემდე ჩაუშვა, — მე პატივს გცემ თქვენ, თქვენ წმინდანის სიმაღლეს, მაგრამ თქვენი კომუნიზმი არა მწამს, არა, არა მწამს...

მისი მზერა ნელი-ნელ ჩამოცოცდა ქვაფენილზე.

— განა თქვენ თითონ, თქვენ თავთან განმარტოებით არ გრძნობთ, რომ გაქვთ რაღაც კერძო ინტერესები, კერძო ამოცანები, კერძოდ მხოლოდ თქვენთვის გამოსადეგ საგანზე ფიქრი? და განა მათზე ფიქრით არ ფერბდება ცხოვრება? და მე, პირდაპირ შემეცოდებოდა ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ყველა ამათ გარეშე. ასე რომ იყოს, ჩვენ მივიღებდით მზგავსებას რაღაც ყალბი სიცალიერისას, მხოლოდ ნაჭუქს, და რაც მთავარია, გული — გული კი არ იქნებოდა. და რა არის წმინდათა-წმინდა ადამიანის — თუ არა უკანასკნელი. ჩემშიდაც და თქვენშიდაც... აი, მაგალითად, თქვენი ოჯახი, მის ხმაში შეიპარა ცივი გრძნობა.

— თქვენი მეუღლე, ელიზავეტა ვასილიევნა, საუცხოვო ქალია თქვენი ბავშვები... განა ეს თქვენი კერძო და ვიწრო სიყვარულის წრე არ არის? განა შესაძლებელია ეს იყოს სხვანაირად? ეს კერძო საკუთრება ბევრს ხელს უწყობს ჩვენ შიგნით, ვიდრე ეს ჩვენ გვეჩვენება, მაგრამ რატომღაც ვხედავთ ამიჩნეულია სირცხვილად. თქვენ ხომ არ დამიწყებთ ეხლა იმის მტკიცებას, რომ თქვენთვის სულ ერთი იქნება, რომელიმე შემხვედრმა ხელიგანმა რომ მოგხადოთ თქვენი კარაკულის ქუდი და თავისი ცხვრის ტყავისაგან შეკერილი დაგხუროთ.

— მოსახმარ კერძო საკუთრებას ჩვენ არ უარვყოფთ, — უბასუხა მორცხვად ზუდინმა. მას ეწყინა აგრეთვე ის რომ ვალცმა ახსენა მისი მეუღლე. გული თითქო სივდება ათასჯერ ნააზრევით: რად არის რომ ქალები ასე მალე უმეგობრდებიან ერთმანეთს? მისი ღიზა და ვალც: — რა აკავშირებთ მათ? მაგრამ მას შემდეგ, რაც ერთხელ შემთხვევით, ელენემ მის ბინაზე მოიტანა ქალაღლები, ხშირად საღამოობით ის დადის მის მეუღლესთან, როდესაც ზუდინი სამსახურშია. რაღაც იზიდავს ვალცს ღიზასთან, ღიზაც კი ერთიანად გამოიცვალა. როგორც ზღვიულო ხმა ხშირად ემჩნევა მის სიტყვებს. აი მოდის ელენე მის გვერდით, მთლად აყვავებული, ბეწვიან მანტოში, საუცხოვო აქურის ჩულტები, თითქო თან დევდეს მუნჯი სურნელება გამოუცნობი, რომელიც ასე იზიდავს ზუდინს თავისკენ და ისევ გრძნობს უხერხულობას. აი ეხლა უნდა ავიდნენ სამსახურში, კიბეზე ათეული თვალის გაყოლება, რომელიც შეხვედრისას პატივისცემით მიესალმება, დაშორებისას ბოროტად გააცილებს და უეჭველად შეთხზავენ რაიმე ქორს.

წინ კი ნაცნობი, ნაცრისფერი კუთხე, ქეაფენილი, რომელზედაც ხალხი არასოდეს არ ჩერდება, ალბად შიშისაგან; შესავალთან მორიგე, კარებთან მეორე... ზუდინი მეტად უხერხულ მდგომარეობაშია; მაგრამ, ოი იღბალო, — კარბჭეებთან ავტომობილი!

— ელენე ვალენტინოვნა, გადაეცით ზევით, რომ მე სადილისთვის წავედი სახლში და მალე დაებრუნდები.

— პანტელევი, წავიდეთ სახლში!

მთლად დაფარული სოველი თოვლით, შოფერი პანტელევი, ხელს უჭერს საყვირს. საყვირის ხმაზე მორბის მისი თანაშემწე ისეთივე ქურთუკით, გაცვეთილ ტყავის ქუდში და... ტყავი სქელი, შავი ხელთათმანებით. შეძერა ავტომობილში. თანაშემწე მართავს მოტორს, ნერვიულ ერუანტელით ათამაშდა გული მანქანის. კარები იხურება. სწრაფი გაქანება წინ. მიიმაღენ.

თოვს, ბურთულები ეცემიან ჯვარედინ ხაზებად. იშვიათი მათგანი ეცემა თვალებს, ტვინში კი მოსაზრებების ხროვას, ერთმანეთზე მოაქვთ იერიში, თითქო ეჯიბრებიან ერთმანეთს სირბილში, როგორც ბურთულები, იზრდებიან და მიჭრიან განუსაზღვრელობაში.

— მომიცადეთ ცოტა, მე ოცი წუთის შემდეგ დავბრუნდები.

მორთულა ღიზა; საუკეთესო კაბა, ღია თმის ხვეულები ოდნავ აწეწილია.

— ეს რომელ დღესასწაულისთვის?

იცინის ხალისიანად: — გამარჯვების გამო!..

— ესეც მართალია. მე კი, იცი, როგორც ვიყავი ისე, გამოუძინებლად, სამსახურიდან, დილითვე შევერიე ხალხში. წავედი ცენტრალურ ერთეულთან ერთად „განთიადის“ მოედნისკენ, ყველა ჩვენები იქ იყვნენ — სახეობა-სახეობა სხდომაზე არ წავსულვარ. ძალიან ბევრი საჩქარო სამუშაოა. და, აი, პირდაპირ აქედან ვალცთან ერთად დაებრუნდი სამსახურში. შემდეგ მე აქეთვე წამოვედი. ავტომობილი ძირს იცდის.

— იცი, ლიოშა, მე და ვალცი გუშინ დიდხანს დავრჩით ერთად; მინდობა და დამეტოვებინა აქ დასაძინებლად, მაგრამ არ დარჩა, შერცხვა თუ მოერიდა არ ვიცი. ის ხომ მართლა გულკეთილი ქალია!

ლაპარაკობს აჩქარებულად, მზიარულად და თან საინებს ალაგებს. მიტიამ და მაშამ უკვე მოასწრეს მაშოს მუხლებზე აფორთხება.

— ვა, ეს რა არის, როგორ დაუსვრია პირი ორთავეს?

— რით დასვრილან?

— მაშა, ჩვენ დეიღამ მოგვცა შოკოლადი! ალტაცებული ლაპარაკობს მიტია, მაშას კი დაუღია პირი, შოკოლადის დიდი ნაჭერით ამოვსებული პირი. ლიზას სახე აუწითლდა. კოუხები ხელიდან დაუცვივდა.

შენ გული მოგდის ლიოშა? ელენა ვალესტინოვნა ისეთი გულკეთილია: მოგვიტანა ორი გირვანქა ნამდვილი, საზღვარ-გარეთის შოკოლადისა, — გასინჯე — ეს ბავშვებსო; მათვე მოუტანა თითო წყვილი საუკეთესო ფილდეკოსის ჩულქებისა, მერე რა სიგრიძისა, თითონ შეხედე!.. და მე იცი რა.. (მან თვალები დახარა დამნაშავესავეთ) მე ისე უხერხულად მიმაჩნდა, მაგრამ უარი მაინც ვერ უთხარი. მას ხომ მართლაც გული მოუვიდა. მან მე მაჩუქა ორი წყვილი აბრეშუმის, ისეთი საუცხოვო ჩულქების — შეხედე!

— რა უხერხული მდგომარეობაა, ძლივსძლივობით ამბობს ზუდინი. ჰო!?! ეს უხერხულია, არ არის ლამაზი; ის ხომ ჩემთან მსახურებს, უკეთესი კი იქნებოდა ლიზა, რომ არაფერი არ მიგელო! ამას ხომ ქრთამის სუნი სდის — და ზუდინმა სიბრაზისაგან ხელები გაიქვია.

— რას ნიშნავს ლიოშა, ასეთი სიტყვები, როგორ არ გრცხვენია. შემომხედე სწორად თვალეებში და მითხარი: ლიზიკო მაპატიე, მე ეხლა თითონ მრცხვენია ჩემი სიტყვების, ლიოშა! შენ გაჩუმებული ხარ? თითონ განსაჯე, ადამიანო! ვალი და ქრთამი! რატომ? რისთვის? მაშასადამე ვინც შენ ხელქვეით მსახურებს მასთან მეგობრობაც არ შეიძლება. სიტყვის ბანზე აგდებაც ხომ არ ვარგა. ან იქნებ შენ ფიქრობ, რომ მე პირველად უარზე არ ვიყავი? მაგრამ ის ხომ სულ ამას იმეორებდა: თქვენ დამიჯერეთ, რომ მე ბალერინა ვიყავი, არტიტკა, მე ასეთი ძველი ჩულქების სავსე ყუთები მაქვს. ეხლა ვმსახურებ და სად უნდა წავილო ამდენი რამე? წინად მე ვყიდდი და ნუ თუ ეხლა თქვენ შეგრცხვებათ ასეთი უმნიშვნელო სამაბსოვროს მიიღება...

— როგორ თუ უმნიშვნელო? რა ეღირება ეხლა ყველა ეს?

— ლიოშა! მას ესენი ნაყიდი არა აქვს. თითონ ირწმუნება, ყველაფერს იფიცებს: ჩულქები ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროიდან აქვს დარჩენილი, დაიჯერე ქალო, თითონ ტრაბახობს. შოკოლადი კი, საბავშვო ტყბილეულია, ის

ლაპარაკობს, რომ ვიღაც მსახიობმა ჩამოუტანა, რომელიც ეხლა დაბრუნებული არხანგელსკიდან არმიის დასთან ერთად. ერთი ფუთი მომიტანაო, ასე ამბობს და შენ რაღაც წვრილმან გულისთვის მიჯავრდები! ლორწო! გულმოსული ხარ მართლა? მე ხომ ვაძლიე მას საფასური, ის არ დათანხმდა, გული მოუვიდა კიდევ.

ღიახ, ღიახ, ის ამაყია, ის შენ არა გგავს! შეუყვირა ისევ ზუდინმა.

— ლიოშა, ლიოშა, აი როგორი ყოფილხარ შენ?! აი რამდენად გყვარები-ვარ? სხვა ვინმეს შენს ადგილზე გაეხარდებოდა კიდევ, რომ ცოლმა მიიღო საჩუქარი და ბავშვებმაც პირი ჩაიგემრიელეს. შენ კი? მაშკა, მიტკა, გადუგდეთ მაშას შოკოლადი! მას ენანება. როგორც ძაღლი, არც თითონ ჭამს არც სხვას აჭმევს.

მიტიას თვალები აუცრემლდა, გამოწია პატარა ხელი და შოკოლადის ნაჭერი მაგიდაზე ჩამოდვა. მაშუტკა კი გაწითლდა და სტიროდა. გაღებულ პირიდან გადმოდრიოდა შოკოლადის ლორწი და ზუბლზე სჩანდა ოფლის ცვარები.

— შვილო... არა... გენაცვალე... ნუ ტირი ჩემო სიხარულო! — მივარდა ბავშვებს ზუდინი, საჩქაროდ აიყვანა ხელში და რამოდენიმე ნაბიჯი გადადგა ოთახში წინ და უკან.

— მიტია, აიღე ვეთაყვა შოკოლადი, ჭამე გენაცვალე, ბავშვების რა ბრა-ლია? ბავშვები აქ არაფერ შუაში არიან, — ბურღულულებდა ზუდინ, ვიდრე ცოლი წვეს ასხამდა.

მაშ ამიერიდან გვეცოდინება, რომ არ შეიძლება ბავშვებისთვის ტკბი-ლეული გამოართვა მეგობარს, სრულიად უბრალოდ, ამხანაგურად.

— „ამხანაგურად“? — გააგრძელა ხმა ზუდინმა, — დიდი ხანია მას შემდეგ რაც შენ მას დაუამხანაგდი?

ღიახ, მას შემდეგ, რაც მან შენთან სამსახური. იშოვა, — მოკლეთ გადუ-ჭრა ცოლმა და ჩანგალი დააგდო სუფრაზე. — ან, იქნება, თქვენ არამზადებს იღებთ სამსახურში? — დაუმატა ბრაზმოსულმა ლიზამ. რამდენიმე წუთის შემდეგ ზუდინი ხმაამოუღებლივ წამოდგა, დერეფანში ჩაიკვა პალტო და საჩქაროდ გა-მოეარდა გარედ.

მხოლოდ მაშინ, შეამჩნია რომ უკვე აღარ თოვდა და ქალაქს თანდათან ბინდი აწვებოდა. აქა-იქ ციმეციმდენ სანთლები.

ავტომობილი გაჰყვა უსწორო ქუჩებს.

— მართლაც და, ფიქრობდა ზუდინი, — ნუ თუ მე სრულიად არ გამეხარდა, რომ ბავშვებმა მიიღეს საჩუქრად შოკოლადი. როგორი სიხარული სჩანდა მათ თვალებში. ცოლმაც მიიღო ჩულქები მეგობრისაგან საჩუქრათ — მაგრამ, აი, წამოიჭრა შედარება.

— მე რომ არ ავიღებდი, მაგრამ ის?! დედაკაცები ყველა ასეთები არი-ან. მაშ რად გაუწყრა ის ლიზას, რისთვის მოექცა ასე უხეშად. მას ხომ უნ-დოდა ყოფილიყო ყოველთვის მისი პატივისმცემელი.

— ჰეე! პროლეტარული მარკის სიმტკიცე მაინც ვერ გაამართლა: ჩულქე-ბით მოატყვილეს, ჩულქებით; ალბად ყველა ქალები ასეთი ხასიათის არიან — თორემ ლიზა ვიცი...

და ზუდინი გადავა მეორე მხარზე; გადისროლა პაპიროსი; გულმოსულს მოაგონდა შხამიანი ფრაზა ცოლის:

-- შენ სამსახურში არამზადებს იღებ განა?

— ის?! არამზადებს?!

მოტორი მიუახლოვდა საგანგებო კომისიის შენობის კიბეს. იქ ჩვეულებრივად იდგა შორიგე დარაჯი

— ვალცი? მაინც რად ჩაიდიანა ეს ვალცმა? ფიქრობდა ზუდინი.

ოთახების დამლაგებელს, მოხუც აგაფიას, გამორთვა კლიტეები და გააღო კაბინეტის კარები.

— ვინ შორიგეობს დღეს? — იკითხა მან.

— აი, ის ქალბატონი, რა ქვია?. — ვალცი.

ზუდინი შევიდა კაბინეტში. მის სახეს მოწყენის დალი აჩნია. ოთახი გაანათა, ხადასინჯა რამდენიმე ყდა, ბოლოს შეჩერდა ერთ სქელტანიან საქმეზე, წარბები შეკმუნხნა და ყურადღებით დაუწყო ფურცვლა.

ფანჯარასთან მთელი ხროვა ეწყო საიდანღაც გამოგზავნილ ხმლების და ვინტოვკების, მთელი შეკვრა წერილების ეყარა დიდი ნაფრაშის გვერდით და ათიოდე დამტვერილი ბოთლი დიდი ხნის წინად ჩამორთმეულ ღვინოების.

ფურცვლის ხმა, ხანდახან ფანქრით დანიშნავდა რომელიმე ადგილს; იჯდა დიდხანს, შემდეგ დაამთქნარა, გააწოდინა ზარმაცად და მთელი არსებით მიეცა მდუმარებას.

მე დავიღალე, გაიფიქრა მან, — კარგი იქნება, რომ დამასვენა... მალე იქნება გაზაფხულიც. რა უშავს, შევებულებაც რომ ავიღო და წავიდე სადმე მყუდრო სოფელში, სადაც ბალახის და ჩაღის სურნელი ქათმების კაკანთან ერთად ირევა ჰაერში, სადაც ჩრდილში შეიძლება კარგად დაძინება, გლეხურ ფართო ბალიშებზე თავის დადება. ძილშიც კი გაიგონებ მოთამაშე გოგოების მხიარულ სიცილს. მან წარმოადგინა კიდევ: თავის სოფელში თბილი მზე ეთამაშება მის სახეს, დარბის მის სხეულში როგორც მხიარული, ცელქი თვალები... თვალები... ვალცი?!

რისთვის შეკრთა ზუდინი ასე? რად მოხდა, რომ უკანასკნელმა მოსაზრებამ, როგორც ნაკადმა გაუელვა ოცნებაში? აგაფიამ შემოიტანა შეშა და დაყარა ღუმელთან.

— სამუშაო რაღაც ვერ ეწყობა. ან იქნებ ეს იმის ბრალია, რომ დღეს ჩვეულებრივზე მეტად ვისუნთქე სუფთა ჰაერით? ეკითხებოდა თავის თავს ზუდინი.

— ან იქნებ უსიამოვნებამ დამალა ასე? როგორ მინდა მივწვე და მიმეძინოს ტკბილ ოცნებაში. — ზუდინმა გადაიარა ნოხი, მივიდა აბლო ღუმელთან, სინათლე ჩააქრო და ტახტზე მიწვა. მხოლოდ მაგიდას ისევ ათეთრებდა ლამპის სინათლე.

— შორიგე კითხულობს შეიძლება დეპეშების პირდაპირ თქვენთან მოტანა, თუ მდივანს მოუცადოს. — ლაპარაკობს კარებიდან აგაფია.

— მოიტანოს.

ზუდინი ზმორებით წამოდგა: და მივიდა მაგიდასთან. სრულიად მე შუმჩნევ-

ლათ, თითქო სიბნელიდან ლუმელთან, რომ იყო გაწოლილი, განოიკვეთა ვალცის ფიგურა. ვალც აბრეშუმში, ვალც სურნელებაში.

— ექვსი დეპეშაა! — ლაპარაკობს ძლივს გასაგონრ ხმით [ვალცობა]

— კარგი, დაჯექით.

ის უხმოდ ჯდება პირდაპირ სავარძელში მაგიდასთან. ზუდინს გარკვევით ესმის ელენეს გულის ძგერა. ზუდინი ზის და ათვალღერებს დეპეშებს.

— ეს უნდა გადასცეთ გორსტს, ეს პლასტოვს, ეს კაცმანს, ეს ორი კი ფომინს. მხოლოდ დილით მიეცით პეტროვას, ის ჟურნალში გაატარებს, ეს კი შემდეგ ჩადევით როზენბლატის საქმეში. ის ჩემ მაგიდაზე დევს. მე ის გადავათვალღერე და ხვალ კოლეგიის სხდომაზე გამოვიტანთ დადგენილებას. თვითონ ლაპარაკობს და თვითონვე აგრძელებს სიტყვას, რადგან გრძნობს, რომ ვალცს არ უნდა წასვლა. აუჩქარებლად შეკრიბა ერთ ყდაში დეპეშები.

— თქვენ გადაეცით რამდენიმე ნივთთაგანი ჩემს მეუღლეს, მე ამისთვის, უნდა გითხრათ სიმართლე, ძალიან მადლობელი ვარ. ჩემი მეუღლეც მეტად განარებულია, მაგრამ მე ვფიქრობ რომ თქვენ არ მოისურვებთ უფასო საჩუქრით ჩვენ დაჯილდოვებას? ნება მიბოძეთ გადავიხადო ღირებული.

ვალც დგას და მთელ მის ფიგურას ფარავს მოწყენა.

— თუ თქვენ ასე უწყალოთ გადაწყვიტეთ ფულით უპასუხოთ ჩემ გულწრფელ განცდას? ალბად მე ასე დავიმსახურე, მაგრამ მე არ ვიცი მაინც ასეთი წვრილმანების ფასი; მე ისინი არ მიყიდი! — ამ სიტყვებით ვალც გავიდა ოთახიდან.

— ქალი კი არა — ეშმაკია! გაიფიქრა ზუდინმა, თვალები გააყოლა და როგორ უნდოდა როგორც ბავში დადევნებოდა ვალცს და ჩაკვროდა მას ფუნთულა ყელში.

— როგორც სჩანს, დღეს ვერც დავჯდები სამუშაოთ: დედაკაცებზე ფიქრს მოუნდი; მივიდა ლუმელთან, გაალო კარები და ხარბად შეისუნთქა ნაკვერჩხლების ცხელი ორთქლი.

კარგი კი იქნება, რომ არევდნენ ნაკვერჩხალს, უფრო დაიწვის, — გაიფიქრა ზუდინმა და დაურეკა მოხუც აგაფიას.

კარებთან მოულოდნელად გამოჩნდა ვალც. ის მთლად ანთებული იყო.

— თქვენ რეკდით? აგაფია არ არის, სადღაც წავიდა ერთი წუთით.

— ნუ სწუხდებით, მე მოუცდი, გადაეცით, რომ მომიტანოს ასტამი.

— მე მოგიტანთ.!

ზუდინმა პასუხის მიცემაც კი ვერ მოასწრო, რომ ელენე უკან დაბრუნდა ხელში ასტამით.

— ნუ წუხდებით, მე ავკრეფ ნაკვერჩხალს!

და დაჯდა ვალც ლუმელის წინ. მარაოებათ გაწალა კაბა. სიჩუმე, სითბო ნახევრად ბნელი, ასეთი რბილი და კარგი ტახტი. ლამაზი ქალი ქვეშ ნაკვერჩხლებს შლის. ეს მეფის ქალია სიხმარეული. ზუდინი მოთენთილი და უნებო წამოწოლილია ტახტზე.

— რა კარგია აქ! — გადისროლა სიტყვა სიჩუმეში ვალცმა და რჩინა კუთხეში მიაყუდა.

— ასე დავტოვო? — შეეკითხა ზუდინს და თვალგზიდან ^{ქრქინეშუქი} ~~შეეხრქინეშუქი~~ გაღებულ კარებზე.

ზუდინმა ნელა დაუქნია თავი. მას უნდოდა, რომ ყველაფერი: ღუმილი, ბინდი, ცეცხლი და სითბო, ვალცთან ერთად დარჩენილიყო ასე სამუდამოდ, როგორც სურათი სამუდამო ცოცხალ ლეგენდის, როგორც ნაწყვეტი ცოცხალი ლამაზი სიზმრის.

— დარჩით! — ჩაილაპარაკა მან უხმოდ, — დაჯექით... აი ტახტი და აი სავარძელი, რომელიც გნებავთ!

— თუ თქვენ ნებას მომცემთ? — და კაბის შრიალით დაჯდა მის გვერდით, ხელის განძრევას მოყვა სასიამოვნო შეგრძნება: ეს იყო ელენეს პატარა, თბილი ხელი. ზუდინს ხელი არც გაუწევია. ვალცის თბილი ხელები ეალერსებოდნენ მას.

— ალიკ! ჩემო კარგო! რად მომაცვანინე გული? — ესმის მას ვალცის ფუჩუნა

— ალიკ, მე შენ მიყვარხარ უზომოდ, ალიკ!

და ვალც ხელს უჭერს ზუდინს აღტაცებით.

— შენ ჩემი ღმერთი ხარ, ჩემი კერპი. შენ ერთად ერთი მბრძანებელი. ო, ნუ გეშინია, მე შენ თავს არ გამოვტაცებ ოჯახს. იყოს ისეთივე ოჯახი, იყოს ისეთივე წრე მეგობრების, რევოლიუცია, მუშაობა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რითაც შენ სუნთქავ. მე კი ისე ცოტა მინდა: მე მხოლოდ შენი ნდობით შემოხედვა მინდა, შენი ალერსი და რაღაც მშობლიური, რომელიც გვაერთებს. შენ ერთად ერთი ხარ მთელ ქვეყანაზე, რომელმაც გაიგე ის, რაც მე მაწუხებდა, ალიკ, მე უშენოთ ხომ სრულიად მარტოდ მარტო ვრჩები. მე ყოველთვის ვიყავი მარტო — შენამდე. მხოლოდ შენ, ჩემო ერთად ერთო რაინდო, საყვარელო და საშინელო, შენ გაიგე ის რაც მე მაწუხებდა, რაც ვიყავი მე... ან შენ... განა შენ, მარტოკა არა ხარ?! ვიცი, რასაც მიპასუხებ: რევოლიუცია, პარტია, საქმე... მაგრამ იქ, გულის მიმალულ ხეულებში, მითხარ გრძნობ ბედნიერებას? განა ნახულობ შენ ვისმეში თანაგრძნობის ნაპერწკალს. ო, არა! ისე, როგორც იქ, ამხანაგ ზუდინთან, არც ალექსი ივანოვიჩთან, ან კიდევ ალიოშასთან, მიჩვეულ ქმართან თუ მამასთან, არა მე სულ სხვაზე ვლაპარაკობ, როგორც საყვარელ ალიკთან. არა მხოლოდ შენი ღირსებით, არამედ მთელი ცოდვებით, ნაკლულოვანებით, სისუსტით, ეჭვით, დარდით! ოჰ! რომ მქონდეს მე უფლება სწორედ ასე შეგიყვარო: ვინც უნდა იყო შენ, შენზე ყოველგვარ უფლების უქონლად. ხედავ რა ცოტას ვითხოვ მე და რამდენს ნიშნავს ის ჩემი ცხოვრებისათვის. მხოლოდ ნუ გამაგდებ მე, ალიკ, თუ მე ვაჩუქე შენ ოჯახს რაიმე, ეს მხოლოდ მისთვის რომ მე მინდოდა შენი ბავშებისთვის, შენი ცოლისთვის მეცა პატივი. შენ კი როგორი სიმკაცრით გადამიხადე. ეხლა თქვი ჩემო კარგო, საყვარელო ალიკ, მე ხომ შენ გეკუთვნი სრულიად? მითხარი...

ზუდინი თითქო შეშინებული წამოდგა. ნერვიული ხელის ცახცახით თმა გაისწორა და გაიარა ოთახში ნელი ნაბიჯით.

— რა ულაზათობაა, რა ულაზათობაა!.. — იმეორებდა ზუღინი და ხმაში აქრობდა აღელვების ნიშნებს.

— ნუ თუ მე მოვტყუვდი? ნელი ხმით შეეკითხა ^{ქრქვენი} ~~ქრქვენი~~ ქრქვენი პასუხის ნაცვლად ტყავის სავარძელში ჩაჯდა, პაპიროსი მოსწია, და დაიწყო:

— მე არ ვიცი მოტყუვდით თქვენ თუ არა, მაგრამ მე მინდა თქვენ ამაცილოთ ასეთ შეცდომას. მე მჯერა თქვენი, რომ თქვენი საქციელი უბიწოა და გულის ნაკარნახევი, მაგრამ დამიჯერეთ რომ მე არ შემძლია გრძნობების სადავე მიუშვა. მე არ შემძლია... მე არ უნდა ვქნა ეს, ერთი სიტყვით... მერწმუნეთ რომ მე მართლაც მეცოდება ჩემი თავიც და თქვენც, მაგრამ დაიჯერეთ: — სიყვარული არ არის ჩვენთვის...

ვალც ზეზე წამოიჭრა, გაიარა ორიოდ ნაბიჯი ნოხზე და დაეშვა იქვე მათრამაზე.

— თუ თქვენ გეწყინებათ... ეს სულ ტყუილი ამბავია, მე მინდოდა გამეფროთხილებინეთ სულელურ შეცდომის თავიდან ასაშორებლად. ცხადია, არც მე ვარ წმინდანი და ჩემ გულშიაც არის ჩვეულებრივი გრძნობა, გრძნობა უბეში, ყველაფერი, რაც ახასიათებს ხალხს, არც ჩემთვის არის უცხო. მაგრამ არის ელენ ვალენტინოვნა ჩემში ის, რასაც თქვენ ვერ გაიგებთ, — როგორ ავიხსნათ?

— გრძნობა კლასისა. ეს საუცხოვოა, მარად ცოცხალი და ძლიერი წყარო, მისგან ვიღებ მე მთელ ძაღლონეს, მხოლოდ მისგან ვსვამ მე პირადს, მაღალ ბედნიერებას.

— როგორ ჩაისახა ის ჩემში? არც მე მახსოვს თვითონ, მხოლოდ ქუჩიან და ბნელ სარდაფში, სადაც ჩემთან ერთად ცხოვრობდა ჩემი დედა, მრეცხავი დედა, დაბალ ფანჯრიდან უყურებდი გამვლელთა თეხებს და მე ჯერ ბავშვა — ჩამოხეულმა გავიგე რომ ქვეყნად არის ლამაზი ხალხი, მათი კალოშები პრილობენ, მათ შეხედვისას გრძნობ სისუფთავეს, მაგრამ სული წვირიანი და შავი აქვთ. და არის ბევრი ისეთი, რომელიც მუდამ ფეხშიშველი ტალახში დადის, მაგრამ გული მათი ანათებს გულწრფელობით. შემდეგ, როდესაც მე ქარხნის მუშა გავხდი, დავინახე როგორ გვაერთებდა ჩვენ, ყველა მუშებს ერთი და იმავე მანქანის ზეთი, გავიგე რომ ოდესმე დადგება დრო ჩვენი განთავისუფლების, ჩვენი ხსნისა მე მაშინ გავიგე ამხანაგებისაგან გზა ამ ბედნიერებისაკენ.

არ არის აღვილი ამ გზით სიარული. ბევრი სიმძიმე და უფსკრული არის წინ... ბევრი რყევა, დაღლა და დაეჭვება. ხანდახან გინდა მიწვე ტახტზე, რომ დაივიწყო ყველაფერი... მაგრამ ელვასავით ჭრის ღრუბლებს რაღაც და გვამხნევებს ჩვენ!. ეს არის მუშათა კლასი. მისი ძაბილი ჩვენ საუცხოვო ალტაცების გვირგვინს გვიმზადებს. მის წინაშე ხშირად გულის დარდებია და დედაკაცის სისულელეები. ის ისმის ჩვენ გულში ძლიერი აღფრთოვანებით! მის სისრულიდან ძლიერდება ჩვენი გრძნობა-გონება. და განა შეიძლება მისი ჩაქრობა? გაცვლა, ან დაივიწყება? ისიც... ქალის სიტყვა სულისთვის. ბევრი ტკბილი რამ არის ქვეყანად.

ბევრია მოკოლადი, მაგრამ ჩვენთვის ის არ არის მისაღები მე არ შევ-

ჩვევივარ მას სრულიად მისი სინაზე მხოლოდ ხელს შეგვიშლის ჩვენ გადამწყვეტ ბრძოლის დროს: და თუ ეს ასეა, მაშინ ის ჩვენთვის საჭიროც არ არის მე მჯერა ეხლა, თქვენ ვაიგებთ რომ მე თქვენი მშვენიერი, თქვენი საყვარელი არ შეიძლება გავხდე. მაშასადამე ამიერიდან დავიჭიროთ ერთადვე თავი და გამოვემშვიდობოთ ერთმანეთს, იმ პირობით, რომ დავრჩებით ძველებურადვე მეგობრულ განწყობილებაში.

ვალცს თავი კალთაში ჩაედვა და კბილებით კბენდა ცხვირსახოცს, გულში კი იზრდებოდა მწარე და მხურვალე ნაღველი, რომელიც ცრემლებად გადმოღვრას ლამობდა. ის ნელა ადგა, არაფერი არ თქვა და ტუჩებ მოკუმული გამოვიდა გარეთ, ნელა გაიხურა კარები.

სიწყნარე იყო და ზუღინსაც ჩაეთვლიმა. მან თავქვეშ დაიდო პალტო და გადასწყვიტა ტახტზე დაძინება. შემდეგ ნახევრად მღვიძარეს ესმოდა მხოლოდ, როგორ კეტავდა აგაფია ლუმელის კარებს.

IV

ქალაქში ქორები იზრდებოდა ყველაზე მეტად.

ლაპარაკობდნენ მეფე ბელინდერ მექსიკანელზე, მის შეტევებზე, ომზე და რისხვაზე. მაგრამ სჭელ კედელს იქით, ნაცრისფერ სახლში, წინ ყარაულით, როგორც ძველად, სწარმოებდა მუშაობა.

ზუღინი წარბ-შეკმუხნილი უსმენს კაცმანს.

— დიახ, ალექსი ივანოვიჩ, სოკოლმა და ზვონიკმა თავიანთი თვალებით ნახეს მისტერ ხეკკეი. დიახ, მე ვლაპარაკობ, მისტერ ხეკკეი, სწორედ ის, აქ ქუჩაზე, სასტუმრო სახლის ახლოს. გაეკიდენ.

ხეკკეი ეზოში შევარდა და გაიქცა. ესროლეს, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა. დაათვალიერეს შემდეგ მთელი ეზო. გადასულა ეზოს გალავანზე და გაპარულა. კალოში დარჩა მხოლოდ. ვაი რომ სურათი არა გვაქვს, თორემ ანაღამ დავასუვდით მთელ აგენტურას და ერთ წუთში გაებაწრავდით. ეხლა კი შემთხვევის საქმეა, თუ ისევ წააწყდება ხეკკეი სოკოლს წინდაუხედობით. მისი პოსტი ეხლა სასტუმროსთანაა. აი ყველაფერი ხეკკეიზე. ჯერ-ჯერობით გაგვექცა, თუმცა აქ არის.

— ეხლა, იცი რა გითხრა! მე მაინც მგონია, რომ პავლოვი თავიდან უნდა მოვიშოროთ. მისი წინანდელი ფოკუსები ბოჩარკინთან, გახსოვს? ის მეტად საექვო პიროვნებაა. ეხლა კიდევ რალაც ბრილიანტების საქმეა, რომელიც მან ფომინს გამოართვა ჩემგან ნებართვის აუღებლად. მას უნდოდა ეს საქმე ჩაექრო. აშკარა საქმეა: პავლეს უნდა მიუჩინოთ ვინმე თვალ-ყურის მდევნელი და შემდეგ, თუ რაიმე გამოირკვა, უთუოდ გავგზავნოთ ღუხონინთან შტაბში. — და კაცმანი ეშმაკურად იღიმება.

— კარგი აბრამ, ისე მოიქეცი, როგორც ჯობდეს! დაუმოწმა ზუღინმა.

— აი კიდევ რა, ამხ. ალექსევი ივანოვიჩ! — თითქო დარცხვენით ამბობდა კაცმანი— პავლოვთან ერთად კარგი იქნება კიდევ სხვა ვინმე რომ გაგვეშვა ჩვენ სამეფოდან. შენ, როგორც გინდა თქვი, და მე კერძოდ ლიპშაევიჩი არ მომწონს როგორღაც.

— აი, აი! — დაუქნია თავი ზუდინმა მე თითონ დიდხანია ვაპრობ მაგას. მე მინდოდა ეს შენთვის შეთქვა.

— შემდეგ იცრ, აი ის ვალც? — და კაცმანმა ერთი ^{ქრქქქქქქქქქქ} ~~კრქქქქქქქქქქ~~ დაბამების შემდეგ ზუდინს ღრმად ჩახედა პირდაპირ თვალებში.

— ვალც? — მე... არ ვფიქრობ... გაიცინა ზუდინმა და თან გაწითლდა.

— ძალიან ენდობი შენ იმ ქალს, არ მოსტყუვდე! —

— კარგი ერთი აბრამ! მე ვიცი, რასაც შენ ფიქრობ და გარწმუნებ, რომ ყველა ეს სისულელეა. მართალია, ის რალაცას ცდილობს. მაგრამ მე არ ვტყვილდები; — ეს ერთი. შემდეგ ამისა კიდევ ის რომ, ის ჩემი მადლიერია, რომ მოცეკვავეობიდან ამოვიყვანე და სამსახურში დავაყენე. ის ჩვენთვის, ძმაო, წყალს და ცეცხლს შეეომება. შენ ყურადღება მიაქციე რამდენი ახალი საქმე გამოძებნა ჩვენ „დასრულებულ“ საქმეებში! ზუდინმა გაიცინა.

— არა, აბრამ, მე ვალცზე პასუხს ვაგებ. შენ ფიქრობ მასზე, როგორც გლახა დედაკაცზე... დაანებე თავი მაგეთ მოსაზრებებს.

პატარა, ნაცრისფერ ოთახში კი ვალც დაღუნულა და არჩევს საქმეებს, ქაღალდებს. ფართო უბრალო კაბა, იაფფასიანი ქსოვილის ნაჭრებით.

— პეტია ჩოტკინ, მეგობარო, შენც აქა ხარ?

იცინის გაკვირვებით და მხიარულათ. პეტია ჩოტკინი დგება წარმოდგენაში, როგორც ცოცხალი. გრძელი, დიდი ყურებით, უკანასკნელ მოდის ფრაკით, ყოველთვის ოფლიანი ხელებით.

— ჰო, ეს ის არ არის? პეტრ ივანოვიჩ ჩოტკინ, მამა ვაქარი. აგონდება მისი ხმამაღალი სიცილი, მოუხეშავი ქვევები. უმაღლეს წრის, მოქეიფე „ოქროს აბალგაზრდობაში“ ის მიღებული იყო. თუმცა მეტად მოსაწყენი პიროვნებაა. ამას ქონდა თავისი გამართლება: ის იყო შვილი მილიონერის, მამამისს ქონდა ძვირფასი ნივთების ქარხანა.

— პეტრ ივანოვიჩ ჩოტკინ? ვალც ათვალთვრებს საჩქაროდ ქაღალდებს: დაქერილია, ზის სამი თვეა, ვალცი სტვენს კიდევ ცნობის მოყვარეობისაგან, რათ, რისთვის ნეტავი? ერთმა ძველმა მეგობარმა, რომელიც ოფიცერი იყო დენიკინის აგენტებისა, გაათია მასთან ღამე, რადგან იმ დღეს ერთად სვამდენ დაკითხვის დროს გამოტყდა. აი ყველაფერი. სხვა არავითარი ბრალდება. გამოძიება დიდი ხანია დამთავრებულია, არის გამომძიებლის დასკვნაც. საქმე შესწყდეს და ჩოტკინი განთავისუფლებულ იქნას! მაგრამ შენიშვნა უკანასკნელის შესრულებისა არსად ჩანს, სწორედ ასეც არის. გამომძიებელი ვერცხლევი მაშინ სასწრაფოდ გაიძახეს მოსკოვში. საქმე გადადებულია გათავებულ საქმეებში და დაპატიმრებული პეტია კი ზის და ზის მივიწყებული.

ვალც წამოხტა და გაექანა შალენკოს ოთახისაკენ.

— სად გაქვთ თქვენ დაპატიმრებულთა ალფაბეტი. აი სწორედ „ჩ“, ჩოტკინ პეტრ ივანოვიჩ. კამერა 45 გამომძიებელ ვერცხლევეზე.

როდესაც შალენკოს ოთახიდან წამოვიდა, ფიქრობდა:

— არაფერია ძმაო, ძველის ხსოვნის პატივისცემის ნიშნად დაგეხმარები.

ხვალ თავისუფალი იქნები. ეხლავ ვაჩვენებ საქმეს ზუდინს და წაშორებ მისგან რეზოლიუციას! — და ისევ გაიცინა.

— ხვალ ირბენ, როგორც ჟირაფი, დედისა და მამის სასწრაფო! უცებ ჩაუფიქრდა, რაღაც უჩვეულოდ ფიქრებმა დაფარეს მისი სახე. შემდეგ აუჩქარებლად და ფრთხილად საქმე ამოდვა სხვებთან ერთად, მოიხედა შეძრწუნებული სახით.

— არავინ! — თავისუფლად ამოისუნთქა და წავიდა კაცმანის ოთახისაკენ.

— აბრამ მოისევეიჩ! მე დღეს ძალიან ცუდათ ვარ, გამიშვით სახლში და, თუ უკეთ ვიქნები, მოვალ საღამოთი. ეხლა ძალიან მეძნელება ჯდომა.

შეიძლება?

მაგრამ აბრამს ვალცისთვის სად სცალია?

— კარგი, კარგი, წადით!

15 წუთის შემდეგ ვალც უკვე ჩოტკინების სახლის კარებთან იყო.

მე უნდა ვნახო ივან პეტროვიჩ ჩოტკინ... შეტად სასწრაფო საქმეზე.

— ის არ არის სახლში — ივან პეტროვიჩი წასულია.

— მაინც, რა საქმეზე ხართ მოსული?

— მე გამოგზავნილი ვარ იმათ შვილისაგან. ასე გონიათ ძალიან მაინტერესებს. ნუ გეშინიათ, — ნუ თუ ვერ არჩევთ ქალის ხმას?!

გასაღები ახმაურდა. კარები გაიღო.

— შემოდით!

აღებს მოსამსახურე, ბებერი ქალი თავშალში. მეორეს პირში ბულკი აქვს. ორივენი ათვალღერებენ ელენეს გამოწყდელ თვალებით. რამოდენიმეჯერ აზომეს კიდეც.

— ივან პეტროვიჩ მეუღლითურთ წირვაზე წავიდნენ. აქვე ახლოს, სამების ეკლესიაზე — მალე უნდა დაბრუნდნენ, — დაბრძანდით, თუ თქვენ პეტრ ივანოვიჩის შესახებ ხართ მოსული. თავს იკლავენ სწორედ შვილისთვის.

— თქვენ ვინ ბრძანდებით თვითონ? შეეკითხა რგვალი ფიგურის ქალი, რომელიც ეხლა მოუახლოვდა ელენეს.

— მე ნაცნობი ვარ პეტრ ივანიჩის. ეხლა კი ძლიერ საჭირო და სერიოზული რამეები გავიგე მის შესახებ! მხოლოდ ამისთვის მე უნდა ვნახო მისი მამა ივან პეტროვიჩი.

— ხომ არაფერი მომხდარა?... ძლივს ამბობს ნობუცებული.

— არა, არაფერი მომხდარა, პირიქით, მე გავიგე, რომ შეიძლება პეტრ ივანიჩი მალე განთავისუფლდეს, და მოვედი აქ მისთვის რომ მოველაპარაკო მის დედ-მამას.

— ო, მადლობა ღმერთს! მაშ დაბრძანდით, გეთაყვა, ივან პეტროვიჩ კარგა ხანია უნდა მოსულიყო და არ მოვიდა. ეხლა, სადაცაა მოვა, მობრძანდით სასადილო ოთახში! იწვევს მას ქალი თავსაფარით, აღერსიანათ უღებს დერეფნის კარებს და იქედან მიყავს სასადილოში.

შორიდან, კარებიდან ისმის ორი ხმა, — ეს სამხარეულოშია, უთუოდ მოვიდნენ, და მართლაც აღელვებით მოხოხავს საზამთრო წამოსასხამში თითონ ჩო-

ტკინი. გაუპარსავი, მელოტი, მალალი, ნაოქიანი სახით. მის უკან, როგორც იხვი, მოყვება ცოლი. დამფრთხალი უცქერიან ვალცს.

— თქვენ შვილისაგან ხართ? როგორაა ის ეხლა? — თქვენ რომელია გამოუ-
შვებენ?

— დიახ, გამოუშვებენ, — მე მინდოდა ამის შესახებ მოგლაპარაკებოდით ცალკე, თუ ნებას მომცემთ.

ყველანი გაჩუმებული არიან.

თუ ასეთი საიდუმლოა, — ლაპარაკობს ჩოტკინი ყრუთ და აღელვებით, — მაშინ წამოზრდნით ჩემთან კაბინეტში.

გაიარეს ოთახი. შევიდნენ კაბინეტში. ჩოტკინი დაჯდა დიდ მაგიდასთან. ვალცს მიუთითა სკამზე.

— იცით რა, დაიწყო ვალცმა, მე ძველი ნაცნობი ვარ თქვენი ვაჟის... ესე იგი, ხშირად შევხედრივარ მას ნაცნობებთან... წინად ვიყავი მსახიობი და თეატრში გავიცანი პეტრ ივანოვიჩი, — დაიბნა ვალც, — ერთის სიტყვით, თქვენ შეიღს შე ვიცნობ დიდი ხანია და სიკეთის გარდა მისთვის არაფერი მინდა.

— ეხლა კი, იცით რა? მე გავიგე რომ მას მოელის დიდი საფრთხე. მე მყვანან საგანგებო კომისიაში ნაცნობები და მათ გადმომცეს...

ჩოტკინი ჩასჩერებია მას პირდაპირ თვალეზში.

— თქვენ ნუ შეგეშინდებათ, მართალია, თქვენ ვაჟს მოელის დიდი საფრთხე, მაგრამ... ხედავთ საქმე ასეა: ხვალ შეიძლება ის დახვრიტონ, ან შეიძლება გაანთავისუფლონ, ეს დამოკიდებულია ერთ ადამიანზე, რომელზედაც თქვენ შეგიძლიათ გავლენა მოახდინოთ.

— ვინ არის?

— თითონ ზუდინი, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე.

ჩოტკინი მთლად მოიკუმშა. თავი დამალა წამოსასხამში, როგორც ლოკო-
კინამ. ორი წვეთი ცრემლის დაეცა გაუპარსავ ნიკაპს.

— რა შენიძლია მე აქ გავაწყო? — ჩაიბუტბუტა მან.

— რა საკვირველი რამ ყოფილხართ თქვენ? მე თქვენ გელაპარაკებით: თქვენი შვილის ბედი, თქვენსავე ხელთ არის. თქვენ შეგიძლიათ გადაარჩინოთ ის ხვალინდელ საშინელებას. უნდა მოიმარაგოთ მხოლოდ, რასაც მე გეტყვით, და გადასცეთ ხვალ თორმეტ საათისათვის.

— რა უნდა მოვიმარაგო?

— ოქრო ოცი გირვანქა.

მოხუცი ადგა და პირი თავისით გაიღო.

— ოცი გირვანქა... ოცი გირვანქა... ოცი გირვანქა... ბუტბუტებდა ჩოტ-
კინი. — ოცი გირვანქა ოქრო... ღმერთო ჩემო! ეს ხომ სრულიად მოუბერებე-
ლია!..

— თქვენი ვაჟი ჩარეულია ერთ საშინელ საქმეში. მე გავიანგარიშე ყველა გზები, რითაც შეიძლება მისი გადარჩენა, მაგრამ სხვა გამოსავალი ვერ ვნახე. რასაკვირველია, თუ თქვენ არ შეგიძლიათ, მე ძალას არ დაგატანთ, მე წავალ მხოლოდ შემდეგ შე ნუ გამამტყუნებთ. მე თქვენ გაგაფრთხილეთ.

და ვალც ზეზე წამოდგა...

— სად მიდიხართ, ღმერთო ჩემო რა ამბავია ჩემ თავეზე დღეს? აცრემ-
ლდა ჩოტკინი და მაგიდაზე დაემხო თავით.

— პეტჩიკა, ჩემო საყვარელო შვილო! რა ამბავია ჩემ თავეზე, ქრისტე ღმერთო, ეს რა დამემართა პეტჩიკა!

კარებში შემოიჭრა ჩოტკინის მეუღლე, დანაოჭებული სახე ამღვრეოდა. მთლად ცახცახებდა საბრალო დედაკაცი.

— ივან პეტროვიჩ, რა დაგვემართა?

— რა მოუვიდა პეტჩიკას?! მივარდა ვალცს.

— ანიუტა, გეთაყვა, ჩვენ პეტჩიკას, ხვალ დაა-ა-ა-ხერეტენ! — ზღუქუნებდა ჩოტკინი.

მოხუცი დედაკაცი, როგორც მოკლული დაეცა იატაკზე და ხმა მალლა აქვითინდა...

ვალც უხერხულ მდგომარეობაშია.

— მე მართლაც არ მესმის, მდიდარი ხალხი ხართ, ოქრო გქონდათ ფუ-
თობით, ეხლა კი ტირით რალაც ოც გირვანქაზე, არ გინდათ გაიმეტოთ თქვე-
ნი შვილის გადასარჩენად. მშვიდობით და ვალცი ხელმეორედ წამოდგა.

— ნუ ოუ ნაკლებ არ შეიძლება, მტირალი ხმით ეკითხება მოხუცი ივან პეტროვიჩ.

— ოც გირვანქა ოქროს ითხოვენ, ანიუტა, ოც გირვანქას...

— საოცარი კაცი ხართ, ივან პეტროვიჩ, თითქო დახლში იყოთ და ვაჭ-
რობდეთ. განა შეიძლება ასეთ დროს ვაჭრობა?

— ერთბაშად მაინც არ მოინდომებდენ!

— ხვალ თორმეტ საათისთვის უნდა იყოს სრულად! ლაპარაკობს ვალც გარკვევით.

— ივან პეტროვიჩ! წაიღეთ ჩემი სამაჯურები, ბეჭდები საათები, თქვენი საათი ჯაჭვით, რად გეინდა... შვილი ყველაფერს გვირჩევნია, ივან პეტროვიჩ!.. და ისევ აქვითინდა.

— არ გვეყოფა მოხუცო! ან იქნებ ნაცნობებმა გვასესხონ? როგორ ეთხო-
ვო? არ დამთანხმდებიან!

— მე უკვე გითხარით რომ ეს სავაჭრო საქმე არ არის! — უპასუხებს ვალც გულმოსული.

— ვის უნდა მივცეო, რომ მომატყუილონ!

— მაგაზე ნუ იჯავრებთ, მე მოვახერხებ, მე ვიღებ თავს და გავაკეთებ კიდევ საქმეს.

— ან როგორ უნდა მოვახერხო, გაიფიქრა ელენემ, რათ არ მოვიფიქრე ეს ამდენ ხანს?

— თქვენ მოაშხადეთ ოქრო, ხვალ თორმეტ საათისათვის და ჩვენ გამოუ-
შვებთ იმ დროისთვის პეტრ ივანოვიჩს.

— მაშასადამე, როდესაც გამოვა, მაშინვე გადვიბდით.

— არა, რისთვის, — გასწორდა ვალც, ჩვენ საგანგებო კომისიაში მოვამზადებთ ორდერს და ორდერზე გადიხდით თქვენც ფულს.

— იცით რა, მადამ თუ მადმაზელ, მაპატიეთ მე მოხუცებს, მე ვის საქმეები კარგად არ ვიცი, მაგრამ ჩემ სახლში დგას ერთი ჩემი ძველი მეგობარი, თქვენ ნუ შეგეშინდებათ! — დაუმატა ჩოტკინმა, როცა შენიშნა ელენეს უკმაყოფილო გამოხედვა. თქვენ დამიჯერეთ, ის ისეა ჩვენთან, როგორც ღვიძლი ოჯახის წევრი. ჩვენ მისგან არაფერს ვმალავთ. მე ამ წუთში, ამ წუთში... და მოხუცი ჩოტკინი კარებში მიიმალა.

ჩამოვარდა სიჩუმე.

— როგორ თუ რად? ფიქრობს ვალც, ვანა ცოტა სიამოვნებას მივიღებ მე ამ ფულებით, ოცი გირვანქა ოქრო!..

— ეუნში! — გაეცნო ახლად შემოსული.

— ივან პეტროვიჩის დავალებით, მე მიინდა მოველაპარაკოთ! მე არ ვიცი როგორ შევიძლიათ თქვენ ასეთი კონკრეტული პირობის დასმა ამათი ვაყის შესახებ.

— მაგათი ვაყი, პეტრ ივანოვიჩ, — მშვიდათ დაიწყო ვალცმა, — ზის უკვე სამი თვეა საგანგებო კომისიის სარდაფში. ხვალ მას დახვრეტენ, — მოისმის ორი ამოთხვრა. — ესე იგი... დახვრეტენ... თუ მშობლები არ გადააარჩენენ. გადარჩენა კი ადვილია, თანდათან იმართება ვალცი საჭიროა ზოგიერთების მოქრთამვა და პეტრ ივანოვიჩ ხვალვე თავისუფალი იქნება.

— რამდენია საჭირო?

— ოცი გირვანქა ოქრო, ნივთებით, თუ ფულით, ეს სულ ერთია.

— ო-ჰო-ო!

— თქვენ, იცით რა? მაპატიეთ, მაგრამ ერთი რამ უთუოდ უნდა გითხრათ. ასეთ საქმეებს, როგორც მოგეხსენებათ, სჭირდება სერიოზული დაკვირვება. არ შეიძლება გავიგოთ ვინა ხართ თქვენ? თქვენი დოკუმენტი? თქვენი წინადადება ძალიან საყურადღებოა, მაგრამ საჭიროა ვისთან გვაქვს საქმე თუ არა?

— მე თანამშრომელი ვარ აქაურ საგანგებო კომისიის. პირადი მდივანი მისი თავმჯდომარის!.. და ვალც აწოდებს მოწმობას.

— ეხლა ალბად გაიგეთ რაშია საქმე!.. თითონ თავმჯდომარე ხომ არ მოვა თქვენთან?

— ო, მართალია, მართალია! ძალიან კარგი, — ეხლა ჩვენ გვესმის, — ლაპარაკობს ეუნში და უბრუნებს მოწმობას ფოტოგრაფიული სურათით.

— როგორ მოვიქცეთ? — მიუბრუნდა ეუნში ჩოტკინს.

— თვითონ იცით, რომ მაგდენი მე არა მაქვს.

— ხვალ თორმეტ საათზე უნდა გადმომცეთ მე ეს ფული სავსებით და სალამოზე თქვენი ვაყი უკვე თავისუფალი იქნება.

— კი, მაგრამ გარანტია იმისა რომ თქვენ მას გაანთავისუფლებთ ოქროს მიღებას შემდეგ?

— რომელი სულელი დაგთანხმდებათ მასეთ პირობაზე, თუ არ იქნება დარწმუნებული რომ ფულს მიიღებს უთუოდ სრულად.

— თქვენ არაფერს კარგავთ, ის ყოველთვის თქვენ ხელშია, თქვენ შევიძლიათ ის მეორე დღესვე დააპატიმროთ.

— თქვენ ვერ გაიგეთ ჩემი: თავმჯდომარეს არ შეუძლია კატორგებს აყვეს. დღეს განთავისუფლოს, ხვალ დაიჭიროს და ასე შემდეგ. — საერთოდ, მე არ მესმის, რა საჭიროა ამდენი ლაპარაკი! ჩემი წინადადება მარტივია და ნათელი!

— ჩვენ შევეცდებით მოვამზადოთ ხვალისთვის, მაგრამ თუ ცოტა დააკლდეს... ხმას აგრძელებს ჩოტკინი.

— მე იმედი მაქვს, თქვენ არ იქნებით იმდენად გულქვა! — უმატებს ვუნში.

— ჩვენ მოვიტყევით ასე, — ლაპარაკობს ვალც, — თქვენ მოამზადებთ ოქროს, მე კი ხვალ მოვალ და მოვიტან დუბლიკატს პეტრ ივანოვიჩის განთავისუფლების ორდერისას, რომელიც თქვენ დაგრჩებათ გარანტიათ, სალამოს კი აქ იქნება თქვენი პეტრ ივანოვიჩი.

— კარგი! — ჩაიბუტბუტა ვუნში.

— კარგი — ჩაილაპარაკა ჩოტკინმა.

— კარგი! — ტუჩების დაუხმარებლათ წარმოსთქვა ანნა ზახარიენამ.

— მაშ ასე, ნახვამდე, ხვალ თორმეტ საათამდე, — და ვალცი წავიდა კარებისაკენ.

— მხოლოდ, გეთაყვათ, მხედველობაში მიიღეთ ერთი საჭირო პირობა: პეტრ ივანოვიჩის განთავისუფლების შემდეგ ნუ ილაპარაკებთ მის განთავისუფლებაზე.

— დამშვიდებული იყავით! — ჩაილაპარაკა ვუნში.

ვალც განოეთხოვა ყველას და სასწრაფოდ გავიდა. ჩაირბინა კაბე ქუჩაზე თავისუფლათ ამოისუნთქა. თმა გაისწორა და წავიდა ნელი ნაბიჯით.

— მთელი ღამე არ უძინია.

არ ახსოვდა როგორ მოვიდა სამსახურში.

როცა ქალაქდებით ხელში მოაკაკუნა ზუდინის კარებს:

— შეიძლება?

— მე ერთ სერიოზულ საქმის შესახებ მოველ, ალექსეი ივანოვიჩ! დილა-მშვიდობისათ!

— ვაგიმარჯოსთ...

— აი გათავებული საქმე ჩოტკინისა... შეწყვეტილია... დიახ... ჩოტკინი კი ზის.

— როგორ თუ ზის?

— არის დასკვნა გამომძიებელ ვერხლევის განთავისუფლების შესახებ... და საქმე შეწყვეტილია... მთელი სამი თვეა ზის ჩოტკინი ტყუილ-უბრალოთ.

— ყოჩაღ! — გააგრძელა სიტყვა ზუდინმა, — კარგი, თქვენ დატოვეთ საქმე, მე გავარჩევ. ვალცს შეაკანკალა სიცივემ.

— მხოლოდ ერთი წუთი ყურადღების, ალექსეი ივანოვიჩ! შეიძლება ეხლავე გადახედოთ? დასკვნა არის, თქვენ წავიკითხავთ კიდევ და დავვიწყებიათ რეზოლიუციის დაწერა. საცოდავია კაცი, რომელიც ამოდენ ხანს ტყვილათ ზის.

როგორი შემპარავი, გულწრფელი და ალერსიანი ხმა ვალცს თვითონ

გაუკვირდა ვინ ლაპარაკობდა მისი ენით: თვალები გაუბრწყინდა / კმაყოფილებით.

— კალმით ნახატია. — ფიქრობს ზუდინი.

— აი შეხედეთ! — და ქალაქლების ყდა დევს მის წინ.

— აი... აი... წარწერა: — „ვეფიქრობ გასანთავისუფლებელია... გამოძიებული ვერეხლეევი“. — ზუდინი ამთქნარებს და წითელი მელნით აწერს ხევით: „საქმე შეწყვეტილი იქმნას“.

— მისი გვარი?

— ჩოტკინი.

— ა, ჩოტკინი! — ის თვითონ არჩევს პატიმარის გვარს

— „ჩოტკინი გაანთავისუფლეთ, მაგრამ რად ცდილობს ასე ვალც? ზუდინი ჩასჩერებია მას თვალეში და აკვირდება“.

— „საქმე სწორია, შეწუხება უნიადაგოა“. ჩოტკინი ზის შემთხვევით. ვალც მართალია.

კარებთან გამოჩნდა გორსტი, ალექსეი ივანოვიჩი, — ხელების ცახცახით ლაპარაკობს ახლად მოსული.

— კაცმანი მოკლულია, დაგნის დაჭრილია, კაცმანი კი მკედარია... ეხლავე მოიტანენ...

— როგორ თუ მოკლულია? ირგვლივ ყველაფერი ბრუნავს რგოლებათ, — ზეზე წამოიჭრა ნადირივით. ყდა ქალაქლებით გადისროლა ბოთლებისაკენ და გამხეცვებული მივარდა გორსტს.

— როგორ თუ მოკლულია... სად?!

— ეხლა დამირეკეს სადგურიდან კუნელებიჩმა, რაზმის უფროსი. კაცმანი მოკლულია დღეს დილით ესერების რაზმის წინააღმდეგობის დროს — სენნიკოვში. დაგნისი დაჭრილია. მოკლულია მათგან ერთი, დანარჩენები მიიშალენ ჯერ-ჯერობით, მიღამოები შემორტყმულია ჩვენი რაზმის მიერ.

— ახ, არამზადები!

— არამზადები, მითხარით როგორ არ დაეხვრიტოთ ეს იუდეები... კაცმანი მკედარია!.. აბრამ ალარ არის, ის მოკლეს! — ღრმად ამოიოხრა.

— ახ, როგორ მეცოდება, როგორ მეცოდება გორსტ, კაცმანი, ალარ არის ჩვენთან აბრამი! და ზუდინი ერთ კედლიდან მეორესაკენ მიექანება.

გორსტ გაჩუმებულია.

— კარგი მოიცათ, მე მოუწყობ მათ ზეიმს!.. მე ეხლავე წავალ სადგური-საკენ, თქვენ კი შეადგინეთ საჩქაროდ დებეში მოსკოვში, ც.კ-ში გასაგზავნათ. მე ეხლავე მოვაწერ ხელს და კიდევ რა იცით? იგნატიევს უნდა დაურეკოთ, სად არის ფომინი? მომეცით ეხლავე სია დაჭერილთა, რამდენი ზის ეხლა ჩვენთან? ასი კაცი უნდა დახვრეტილ იქმნას. აი ბრძოლის ასპარეზი. საცოდავი აბრამი! მოიცათ თქვე არამზადებო, თქვენ გაიგებთ როგორ უნდა მუშაობა კლასის ბელადების მოკვლა!.. აი აქ რამოდენიმე საქმეა...

ზუდინმა გაბოროტებით გადისროლა საქმის ყდები მაგიდიდან იატაკზე.

— არ გაუწვათ, არც ერთი ამათგანი! ტერორს უბასუსებთ ტერორით, პიროვნების მსხვერპლისთვის, ჩვენ დავარტყამთ პირდაპირ კლასს.

ვალცს გული თითქო გაეყინა კაცმანის სიკვდილი და მასთან უცარი გაბრაზება ზუდინის საშიში იყო საქმის ვითარებისთვის.

აქ კიდევ ქალაქდებთან ერთად ჩოტკინის საქმეც იატაკზე აგდია. ნუ თუ აქაც ყველაფერი ჩაიშლება? რაღაც სულელურ შემთხვევისათვის? ვალცს გააფრთოლა...

ზუდინი განრისხებული გამოვარდა გარეთ. მხოლოდ გორსტი დაილუნა და დაუწყო აკრეფა კუთხეებში გაბნეულ ქალაქდებს.

— ერთი ჩემია, — თქვა ვალცმა და ხელი გასწია ათასჯერ გადათვალიერებულ ყდისაკენ.

— მან ბრძანა ყველა დატოვებულ იქნას.

— კი, მაგრამ ამ საქმეზე უკვე არის რეზოლიუცია. ეს ძველი საქმეა. მართლაც და არ შეიძლება ასეთ ველურ შემთხვევის გამო, დახოცო განთავისუფლებული, სრულიად უდანაშაულო ხალხი.

მან გამოსტაცა გორსტს ხელიდან საქმე და გავიდა.

— ეხლა კი ჩქარა, რაც შეიძლება ჩქარა, რომ კიდევ ასალი უბედურება არ გაჩნდეს! და გაიქცა პირდაპირ შალენკოსაკენ.

— კონსტანტინ კონსტანტინოვიჩ! ჩქარა, გეთაყვა, დამიწერე ორდერი. ზუდინის რეზოლიუცია არის უკვე, მხოლოდ, გეთაყვა, ასლიც თან დაურთე. დაბლა უცდის მოხუცი დედა ტუსალის, უნდა გავაზარო ერთი... უნდა ვაჩვენო!

— რა საჭიროა ასლი? ეს არასოდეს არ მომხდარა განთავისუფლებენ და ის იქნება...

— რა არის, მართლა და მართლა, რა ძნელი საქმე ეგ არის, შე ვკითხე და მან ნება დამართო.

— მაშ კარგი, კარგი, გაუაკეთებ, დავწერ ამ წუთში, მხოლოდ ტყვილად კი გეცოდებათ თქვენ ისინი, ელენა ვალენტინოვნა. აი აბრამ მოისეიჩ მოკლეს, როგორ მეცოდება საბრალო, ნამდვილი პატიოსანი კაცი იყო და როგორ მუშაობდა!

შალე დაკრავს საათი. ელენეს ეჩქარება, უკვე ყველაფერი მზად არის, მირბის... აი ჩოტკინის სახლიც, შესამე სართული. თვითონ ჩოტკინი გამოდის შესახვედრათ, თვალებით ეკითხება:

— როგორ, როგორაა საქმე?

— ყველაფერი მზად არის, აი ორდერი, დუბლიკატიც ხელთა მაქვს, ამ სალამოს თავისუფალი იქნება. და რაც შეიძლება შალე გაემგზავროს სოფელში, ხომ შეიძლება რომ რაიმე შეხედეს ისევ?

მოხუცი დედა პირჯვარს იწერს.

მხოლოდ ეხლა ამჩნევს ელენე უძილო თვალებს და გაფითრებულ ლოყებს ივან პეტროვიჩისას...

ხელების კანკალით გამოაქვს ჩოტკინას ტოპსიკა ოქრო.

— აქ ცხრამეტია, აი აწონეთ და სამზარეულოდან მოათრევს საწონს.

— ღმერთს გეფიცებით, მეტი ვერსად გავახერხეთ, ^{მთელი ღამე მე და} ეს მოხუცი დედაკაცი მუხლებზე დაჩოქებული ეთხოვდით ^{ნაცნობებს, სამაგიეროდ აქ სამ გირვანქაზე მეტი 72 ყალიბისაა.}

— შედით ჩვენ მდგომარეობაშიაც, თუ ღმერთი ^{გწამთ, თქვენ შაინც შე-} დით ჩვენს მდგომარეობაში.

ვალც იღიმება: — როგორ გაინთავისუფლოს თავი. აქ ეხლა საქირთა რა-
ლაც სულელური როლის გათამაშება.

საჩქაროდ გადმოყარა მაგიდაზე ოქრო.

— ღმერთო ჩემო, რამდენი სიმდიდრე!.. იძახის ვილაც გულის სიღრმიდან.

— კარგი, ვინც მიიღებს, ის გადასინჯავს კიდევ. მხოლოდ რაც შეეხება დანარჩენს, ის ამ რამოდენიმე დღეში უნდა იშოვოთ და სასწრაფოდ გამოვიდა, წავიდა ჩქარი ნაბიჯით, ტყუებს ადგამდა ფრთხილად, რომ არ დაცემულიყო. ტოპსიკა მიქონდა მანტოს ქვეშ. კუთხეში მიიმალა...

კუთხესთან ხედებიან მომკვლევები. უხნოდ უყურებენ ერთმანეთს. მორჩი-
ლად მისჩერებიან გამვლელს:

— თქვენ გაიგონებდით, სენნიკოვში მოკლეს ვილაც ებრაელი, სავანგებო
კომისიის წევრი ყოფილა.

— რას ლაპარაკობთ?!

— დიახ, დიახ! — ამბობს მხიარული ტონით, — უკანასკნელი ახალი ამბავია!

— ის კი არ გაგიგონიათ რომ ჩვენზე მოდის მეფე ბელინდერ მორავიე-
ლი წყალქვეშა ძალით! არ გაგიგონიათ? მართლა? მაშ იცოდეთ, ერთი კვირის
შემდეგ ბოლშევიკები აღარ იქნებიან! ეს ცნობა ნამდვილ წყაროებიდან ვიცი.

ზუდინი ჩაფიქრებული ზის კაბინეტში.

ეს აშკარაა, მის წინააღმდეგ მუშაობს ფომინი, ეს მისი ინტრიგებია. იგ-
ნატივეიც გლახად უყურებს ზუდინს. ზუდინი, რასაკვირველია, გრძნობს, რომ
ამხანაგები პარტიულ კომიტეტიდან მას აღარ უყურებენ ძველებურად, პირ-
დაპირ თვალეში.

— ნუ გეშინია, გამაგრდი ალექსეი! — ელაპარაკება ზუდინი თავის თავს მა-
ლალი ხმით, — შენი თავი მუდამ შენ გახლდეს და აჩვენე მათ, რომ შენ ყველაზე
მაღლა ხარ.

ამ სიტყვების შემდეგ ის მშვიდდება. დამწვიდებული გაიარს ნოხზე ოთა-
ხის კუთხემდე.

— და რა ჩუმად აწარმოებენ კამპანიას არამზადები, შუოთავს ზუდინი,
თვალეში ამხანაგურ-ფარისევლური და საუბარი, ზურგს უკან კი საძაგლობა,
ნუ თუ კანონი მექიშპეობის, ბოროტი კონკურენციის და ეშმაკურ, წვრილმან
კარიერიზმის, რომელიც ძირს უთხრიდა ძველ, ფესვებამდე დამძალ საზოგადოე-
ბრივ ცხოვრებას, რომელსაც ასე ებრძოდა ზუდინი ყოველთვის! — და ზუდინი სი-
ბრაზისაგან მუქს ამართავს პაერში, ნუ თუ ის საშინელი კანონი იმდენათ ძლი-
ერია, რომ გაანადგურებს ყველაზე წმინდას, ყველასე მაგარს, რაც კი არსებობ-
და ზუდინისათვის, — პარტიას?

ის მოწყენილად და ბოროტად იღიმება.

— კმარა, უყვირის ის ვილაცას, კმარა, მე მოუღებ ყველა მას ბოლოს! კარებზე ვილაცა ნელა აკაკუნებს. შემოდის ლიპშაევიჩი.

— ნება მომეცით თქვენთან მოლაპარაკებისა, ^{ქრქვენი} ~~ქრქვენი~~ ^{ქრქვენი} ქალექსეი ივანოვიჩი, მე მინდა თქვენ ერთ რამეზე მოგელაპარაკოთ. — ის იხედება ირგვლივ შეშინებულ თვალებით.

— მე თქვენ უნდა გაგაფრთხილოთ, — ის ახლოვდება და განაგრძობს ფუჩუნს ზუდინის ყურთან, — თქვენ წინააღმდეგ შენდება რაღაცა. თქვენ მოსპობას ცდილობენ, ღმერთი ხედავს, რომ მე თქვენთვის ცუდი არა მინდა-რა; უთქვენოთ ჩვენც დავიღუპეთ. გაუფრთხილდით ფომინს: ის რაღაცას ცდილობს, წუხელი, არ ვიცით ვისი ბრძანებით, დააპატიმრეს პავლოვ და ვალც.

ზუდინი ითანგება. ის არ ენდობა ლიპშაევიჩს. მან იცის, რომ პავლოვი არ არის პატიოსანი კაცი და რომ ის დიდი ხნის წინად იყო გასაგდები საგანგებო კომისიიდან, მაგრამ ლიპშაევიჩის სიტყვები მას მაინც საგონებელში აგდებენ. დააპატიმრა? რისთვის, რატომ? და, რაც მთაფარია, მისდა დაუკითხავად, მაშასადამე მას, ზუდინს, აღარ ენდობიან, ძალიან კარგი! ეს იყოს უკანასკნელი წვეთი მოთმინებისა. ასეთი ცნობების შემდეგ ეს თამაში ველარ გაგრძელდება.

ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ლაპარაკობს ზუდინი და იყურება ფანჯარაში.

— მე კი არ მესნის თქვენ რა გაწუხებთ, მიუბრუნდა ის ლიპშაევიჩს, მე არ მეშინია ინტრიგების, ჩემი სინდისი წმინდაა და დამშვიდებული.

ლიპშაევიჩი ჩუმი ნაბიჯით მიიპარება კარებისაკენ.

ზუდინი მარტო დარჩა კაბინეთში. ის მივარდა ტელეფონის მილს.

— მე უნდა მოგელაპარაკოთ ერთ აუცილებელ საქმეზე. ნებას მომცემთ ეხლა მოვიდეთ ქვენთან?

— კარგი, სწორედ კარგი დროა, გიცდი.

— ძალიან კარგი.

ზუდინი დამშვიდებული სუნთქავს. ის გრძნობს რაღაც შინაგან სიამაყეს, ეს არის მისი სიმართლე. შეუკვეთა მანქანა, იღებს სუფთა ქაღალდის ფურცელს და სწერს დეპეშას:

„მოსკოვი. სრ. რუს. საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს. ასლი რუსეთის კომპარტიის ცეკას. საჩქაროდ, საიდუმლოთ.“

„გთხოვთ საჩქაროდ შემცვალოთ მე ვინმეთი. თავი მომაბეზრა მითქმა-მოთქმამ. ზუდინი“.

შემდეგ კეცავს დეპეშას, იღებს მარცხენა გვერდის ჯიბეში და გარეთ გამოდის.

ცოტა ხნის შემდეგ მანქანა გაჩერდა აღმასკომის ფართო კარებთან.

— ერთი წუთით ნოითმინეთ, ეუბნება მდივანი და ცხვირს წინ მოაბურთა კარები. ზუდინი შეშფოთებულია ასეთი მიღებით, ის ეხლა ყველას წინააღმდეგ ბოროტად არის განწყობილი, ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც აქამდე მას ეპყრობოდა ნდობით, უბრალოდ და ეხლა ასე მიჩერებულია.

— შედით! ეუბნება მდივანი.

იგნატიევი, როგორც ყოელთვის, ზის თავის სავარძელში დიდ მგვიდასთან ცოტა მოშორებით კი, შავი ტყავის ტახტზე ზის და შემოსულს ათვალთვლებს პატარა კაცი, ნაცრისფერ ქუროთუქში. ეს არის ამხ. შუსტრი.

- დიდი ხანია მოსკოვიდან?
- მესამე დღეა.
- როგორაა იქ საქმეები?
- რა უშავს.

საუბარი ვერ ეწყობა. თუმცა ზუდინს არც სცალია სამუსაიდოდ, ის ხომ სულ სხვა საქმეზე მოვიდა აქ, მაგრამ რათ არ ისტუმრებს ამხ. შუსტრის მეორე ოთახში. არა, ზუდინი აღარ მოერიდება, ის ყველაფერს იტყვის თუნდაც საჯაროთ.

— მე მოვედი თქვენთან, ამხანაგო იგნატიევ, ლაპარაკობს მშრალად და ხმა მიღლა, შუსტრის გასაგონათ, მისთვის რომ ჩაგაყენოთ თქვენ განსაზღვრულ მდგომარეობაში, მე მინდა შეგატყობინოთ, რომ მე ვტოვებ ჩემს თანამდებობას! და ის ხელს იყოფს ჯიბეში დეპეშის ამოსაღებათ.

— ჩვენ ეს ვიცით, ლაპარაკობს დამშვიდებით იგნატიევი.

— ვიცით? ჩვენ? წონის ამ სიტყვებს ზუდინი და ორივეს ათვალთვლებს თვალებით.

— მით უმეტეს. თუ თქვენი ამხანაგები, იმდენად დახელოვნებულნი არიან თავიანთ ბოროტ ენატანიობაში, რომ წინასწარ იციან მისი შედეგები, — ეს ვინმეს ალბად სასიქადულოდ გამოადგება! — ის ბოროტად იცინის, — მე დეპეშას ვაძლევ სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიას და ორგბიუროს: იქ ვარჩიონ.

— ორგბიურომ იცის უკვე ეს საქმე, ამხ. ზუდინ, — მალალი ხმით ლაპარაკობს იგნატიევი, — აი სწორედ იქედან არის გამოგზავნილი ამხ. შუსტრი, საქმის გასარჩევად.

შუსტრი კმაყოფილი სანასავად უწოდებს მანდატს. დიახ, ხელს აწერენ დიდი პირობი, რა უნდა ქნა. მაშასადამე მის მტრებს არ ეძინათ და არც ხუმრობდნენ. მოუსწრიათ უკვე „საქმის“ შედგენა. მოუხდება გულ-უბრყვილო, ალაღმართალ ადამიანს, რომელიც ენდობა ძნურ პატიოსნებას პარტიულ ამხანაგებისას. თურმე აქაც საჭიროა: ომში, როგორც ომში.

— მე მზადა ვარ, — ლაპარაკობს ზუდინ ხნიამაღლა, — მაგრამ წინდაწინვე უნდა ვითხრათ რომ ეხლა, ჩემს იქ არ ყოფნის დროს, მე არ ვიცი რა ხდება საგანგებო კომისიაში. წუხელი დაუპატიმრებიათ ერთ ჩემი თანამშრომელი; ფომინს თავიც არ შეუწუბებია.

— ფომინი აქ არაფერ შუაშია, თანამშრომლები დავაპატიმრე მე! — ლაპარაკობს შუსტრი, — ამხ. იგნატიევ. სად იქნება აქ ერთი თავისუფალი ოთახი, სადაც მოვილაპარაკებთ, როგორც საჭიროა, ხელშეუშლელად.

— ოთახები აქ გვაქვს, — რეკავს, — მდივანი გაჩვენებთ ეხლავე.

— იცი რა? — ეუბნება შუსტრი ზუდინს და თვითონ კი ვაიყურება იგნატი-

ვეისაკენ; მაჩვენეთ მე ერთი, მე უნდა ვნახო თქვენი რეკლამური და როდესაც ზუდინმა გაუწოდა ბრაუნინგი, შუსტრიმ შარვლის ჯიბეში ჩაიდო.

— მეორე არა გაქვთ?

— არა.

კარებამდე მიაცილებს ზუდინს, შემდეგ ისევ მოიბრუნს იგნატიევთან და რალაცას ჩასჩურჩულებს ყურში. ისიც თავს უქნევს.

— რა სიმდაბლეა! — ფიქრობს ზუდინი.

— ცეკაში შემოვიდა საქმე, — შემპარავი ტონით ელაპარაკება შუსტრი, რომლის შესახებ ალბად თქვენ უკეთ იცით.

— მე ქუჩყიანი კორების გამომცნობი არა ვარ.

— აი ეხლა, გამოვარკვევთ ჩვენ, ჭორია ეს თუ სხვა რამე! დასცინის კიდევ შუსტრი.

— აი თქვენ მითხარით მე, ამხანაგო ზუდინ, და სიტყვა „ამხანაგო“ წარმოიქმნის ისეთი სიყალბით, რომ ზუდინი გრძნობს შეუჩერებელ ქრუანტელს აღშფოთებისას თავის სხეულში.

— აი თქვენ მითხარით მე, ამხანაგო ზუდინ, როდის და რამდენი ქრთამის აღება მოგიხდათ თქვენ?

ზუდინისთვის რომ პირდაპირ სახეში ესროლათ ტყვია, ისიც კი ასეთი სისასტიკის და სიძლიერის არ იქნებოდა. ზუდინი ცახცახებდა თვითყული კუნთით.

— როგორ მოვიქცევთ ამხ. ზუდინ, მიპასუხებთ პირდაპირ, თუ ჯერ დაფიქრებაა საჭირო?

— თქვენ კითხვას მე ვთვლი ჩემ მიერ დაუმსახურებელ შეურაცხოვან მოყენებას! უპასუხებს ზუდინი თითქო ჩავარდნილი, თითქო სხვისი ხმით.

— აჰა, დიახ, დიახ, იცინის შუსტრი, მე მართლა დამავიწყდა რომ თქვენ გამოცდილ მოსაქმე ხართ. რომელი სულელი აიღებს ეხლა ქრთამს ისე, უშუალოდ, როდესაც ამისთვის ეხლა არსებობს ინსტიტუტი მდივნების და უნთავრესად ქალების მდივნობაა მიღებული. ძალიან კარგი ინსტიტუტია: მშვენიერი ქალიშვილი, ასე ვთქვათ, საქმეებსაც კერავს და ქალაქებსაც უღებს ქვეშ, ყველაფერი თავის რიგზეა, — ის საწოლშიდაც გამოდგება, თუ საჭირო შეიქნა, და რაც მთავარია, მისი საშუალებით ისე ადვილია ფულების აღება და ჯიბის შევსება; ასე არ არის განა, ამხ. ზუდინ?!

— მე არა მყავს მდივნათ ქალი და, საერთოდ, მე არ მესმის რაზე ლაპარაკობთ თქვენ. თუ თქვენ მოგეპოებათ კონკრეტული ფაქტები ჩემი დანაშაულობისა, კეთილ ინებეთ და გადმომეცით მე ისინი, რომ მე შევძლო პირდაპირი პასუხის გაცემა. ეს უკეთესი იქნება, ვიდრე ამოცანებით თავის გართობა! — დამშვიდებით უპასუხებს ზუდინი, თავში კი მეორე აზრი უტრიალებს: — სიზმარი ხომ არ არის ეს, ასეთი სულელური და ფლაზათო სიზმარი...

— ახ ასე? ვერ დაიჭირეს? არ არის ქურდი? კარგი მაშ წავიდეთ სხვა გზით. მაგრამ თქვენ ხომ პატარა არა ხართ, თქვენ ხომ ახალი შემოსული არა

ხართ პარტიაში, გულწრფელი აღსარების წინააღმდეგ ლაპარაკი თქვენ სხვანაირად გახასიათებს ცეკას თვალში: მაშასადამე მე არ მოვტყუებულვარ.

— რა შუაშია აქ ცეკა? და ზუდინს უნდა ამ გაპარულს მოეგონებინა გაუტეხოს ბილიარდის ბურთივით მრგვალი თავის ქალა.

— მე ხომ ცეკას დავალებით ვარჩევ ამ საქმეს? კმაყოფილებით ლაპარაკობს შუსტრი.

უკანასკნელი იღებს პორტფელიდან ფურცელ ქაღალდს და, როგორც მეკუბოვე ზომას რომ იღებს მიცვალებულიდან, იწერს პასუხებს.

— არ გახსოვთ შემთხვევები, როდესაც თქვენ მიგიღიათ საჩუქრები, ნივთები, თქვენ თანამოსამსახურეთაგან.

— არ მახსოვს.

— ძალიან კარგი. ასე ჩავწერთ; არ მახსოვს. აი მაგალითა ვალც. ვალცისაგან არ გახსოვთ? როგორ არ გაახსენდა ეს? ეშმაკმა იცის, როგორ მიიღებენ! — ფიქრობს ზუდინი...

— რასაკვირველია, ქრთამის აღება სრულიად არ არის სავალდებულო პირადათ რომ მოახდინოთ. უფრო ადვილია ამ საქმის მოგვარება შინაურების დახმარებით. — უმატებს შუსტრი.

— მე ვიცი, რომ ცოლმა მიიღო ერთხელ ჩემ დაუკითხავად რაღაც წვრილმანი! — და ენა ებმება ზუდინს.

— „ჩემდა დაუკითხავად“, ეს საუცხოვოა! რათ არ მოგაფიქრდათ ამ წვრილმანის უკან დაბრუნება. მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის, თქვენ კი მითხარით ამხანაგო ზუდინ, რას ეძახით თქვენ წვრილმანს?.. გირვანქა ოქრო მაგალითად თქვენ წვრილმანი გგონიათ ოუ არა? და შუსტრი ისევ ეძებს თვალებით ზუდინი მოლად ცახცახებს.

— მხოლოდ ეხლა გავიგე რაშია საქმე! აქ რაღაც საშინელი გაუგებრობაა აშენებული უბრალო, სულელურ ფაქტებზე! — ძლივს-ძლივობით ლაპარაკობს ზუდინ. ვინ ააშენა ეს და რატომ? ეს უნდა იქნეს განორკვეული. მე არ ვიქნებოდი ძველი, 1903 წლიდან მომუშავე პარტიაში, რომ არ მჯეროდეს პარტიის სამართლიანობა და განსჯა.

შუსტრი ბოროტად იღიმება.

— შეიძლება თქვენ მაინც მიპასუხოთ სწორად კითხვაზე: როდის, ვისგან, ან რის მიღებაში თვლით თავს დამნაშავეთ?

— ო, ნუ შეწუხდებით! მე თქვენ მიპასუხეთ სრულიად გულწრფელად!

— ამდენ ხანს გეჭნათ ასე. მხოლოდ თქვენი გულწრფელობის ხარისხზეა დამოკიდებული თქვენი ბედი.

— მე არ მაინტერესებს ჩემი პირადი ბედი. მე ღირებულებას ვაძლევ საერთო, ჩვენ ბედს...

— ეს უკვე ძალიან კარგია და ამას მე ახლავ ავლნიწნავ ოქმში თქვენ პლიუსად. შემდეგ?

— შემდეგ, მე ვიცი რომ ცოლმა მიიღო ერთხელ ვალცისაგან ერთი წყვი-

ლი აბრეშუმის ჩულქები, არ ვიცი კარგად, მგონი, ორი წყვილი იყო... დანამდ-
ვილებით არ მახსოვს! და ზუდინს აგონდება ნახევრად გახდილი ფეხი...

— ანას გარდა მან გამოართვა ვალცს ორი წყვილი პარტიულუების წინ-
დებისა და რამოდენიმე ნაჭერი შოკოლადის, რომელიც შექამეს ბავშვებმა. აი
ყველაფერი. მე არ მახსოვს სხვა რამე, არც ვალცისაგან და არც არავისგან და
არც ვფიქრობ რომ ასეთი რამ განმეორებულყო!

— ძალიან კარგი. პირველად არავისაგან არაფერი, შემდეგ აღმოჩნდა
ვალცისაგან ცოლის შუამავლობით, ჯერ ერთი ჩულქი, შემდეგ მოაგონდა მეო-
რე წყვილი, მერე კიდევ ორი. კარგი მეხსიერება გქონიათ, ეს ისე სიტყვამ მო-
იტანა.

— იცით ანხ. იუჟანინ! — ძველი პარტიული გვარი შუსტრისა იყო იუჟანინ
და სწორედ ეხლა მოადგა ზუდინს ენაზე: —

— მე ძველი ბოლშევიკი ვარ, არასოდეს აქამდე და არც შემდეგ რომე-
ლიმე სხვა მიმართულებას არ ვეკუთნოდი და არც ეხლა მიგვეკედლები... და მე
გეუბნებით თქვენ გულწრფელად და დარწმუნებით, როგორც ამხანაგს, და რო-
გორც ცეკას წარმომადგენელს: თუ არ დაიჯერებთ — თქვენი საქმეა... შუსტრი
გრძნობს, რომ მას გადაკრეს და თითებს ათამაშებს პორტფელზე.

— მე კი, როგორც მოგეხსენებათ, ვიყავი მენწვეიკი, მაგრამ იცით რა
არასოდეს არც პირადათ, არც დაახლოებულთა საშუალებით, არც ჩულქებით,
არც კონფეტებით, არც ოქროთი ქრთანი არ ამიღია. აი რა, მაგრამ ეს სხვათა
შორის. მაგრამ ნაინც, როგორ იყო ოქროს შესახებ... ინებეთ თუ არ ინებეთ
აღება?

— კიდევ ერთხელ ვაცხადებ, არავითარი ოქრო მე არ ამიღია და...

— თქვენ ცოლს?

საოცარი ეჭვი.

— არ შეიძლება, არას გზით!

— თქვენ იღებთ მის მაგიერ პასუხისმგებლობას?

— იღებს პასუხისმგებლობას? ტყვილად გასჩერებია შიშველ კედლებს.

— მაშასადამე, თქვენ ვერ აგებთ პასუხს მის მაგივრად?

— გამობრძმედილი ეურნალისტი, ფიქრობს ზუდინი. ო, ამ სპილენძის
შუბლს, ვერ გაარღვევს ვერავითარი ტრალეღია.

— მაშ კარგი, რა იცით თქვენ პავლოვის შესახებ? ის თქვენთან, ან და
შუკრავად თქვენ მეუღლესთან ხომ არ იყოფდა რაიმეს? თუ თქვენ დაგავიწყ-
დათ? თუ ამაზედაც არ შეგიძლიათ მიპასუხოთ მათდა დაუკითხავად.

ზუდინი უკვე ნესამედ იკბენს ტუჩზე და იმ ზომად რომ სისხლი გამოდის
და რამოდენიმე წუთი გაჩერებულია:

— ვიმეორებ ერთხელ და სამუდამოთ, რომ გარდა ჩემ მიერ უკვე დასა-
ხელებულ შემთხვევისა, ჩემი ცოლის მიერ ვისმესგან ფულის ან ნივთის აღების
შესახებ მე არაფერი არ ვიცი და არც მგონია რომ ასეთი რამ ყოფილიყო,
რამდენადაც მე ვიცნობ ჩემ ცოლს და მჯერა მისი. მე გთხოვთ ჩაწეროთ ასე.

— აბა ერთი მოიგონეთ, არ მიგიითითებდათ თქვენ კაცმანი პავლოვის და

ვალცის დათხოვის აუცილებლობაზე და არ გაგიწევიათ თქვენ მისთვის წინააღმდეგობა? ზუდინი ცდილობს მოიგონოს.

— არ გაგონდებათ? აი ამხანაგი ფომინი კი იგონებდა და სიტყვა-სიტყვით იმეორებს განსვენებულ კაცმანის სიტყვებს. რა ანგარიში აქვს ფომინს? რად უნდა მოგვატყუილოს მან?

— პავლოვის შესახებ მე მახსოვს, რომ მე პირველმა ჩემი შეხედულება გაუზიარე ამხ. კაცმანს. რამდენიმე ხნის შემდეგ მე და კაცმანს გვქონდა ლაპარაკი და მან მომცა წინადადება დამეთხოვა პავლოვი და მგონია ვალც.

— თქვენა გგონიათ?

— დიახ, მე მგონია! — გაწითლდა ზუდინი... მე მას უპასუხე, რომ პავლოვის შესახებ მე თანახმა ვარ, რადგან მაშინ გამოაშკარავდა კიდევ რალაც მახინაცია ბრილიანტების შესახებ, სადაც პავლოვი იყო ჩარეული, მხოლოდ, რაც შეეხება ვალცს, მე ამხ. კაცმანის საბუთები ვცანი უნიადაგოთ და შემდეგ მასზე ამხ. კაცმანიც დამეთანხმა.

— რასაკვირველია, „უნიადაგოა“ მას შემდეგ, რაც ცოლმა საჩუქრები მიიღო. არა, ეს ისე სიტყვამ მოიტანა. თქვენ ნუ აქცევთ ყურადღებას. მაშასადამე, ვალცის შესახებ თქვენ არ დათანხმდით. პავლოვის შესახებ კი დათანხმდით. ასე ჩავწერთ. ეხლა კი არ შეგიძლიათ თქმა, თუ ამ შეთანხმების შემდეგ რად მოხდა რომ პავლოვი ისევ მსახურებდა?

— მართლა და რათ არ გავაგდე? ფიქრობს ზუდინი და პასუხს ვერ ნახულობს.

— ეს ჩემი შეცდომაა! ჩემი დანაშაულია! ფუჩუნებს ზუდინი.

— საუცხოვოა! ეხლა, ამხანაგო ზუდინ, ვერ მეტყვით თქვენ რა დამოკიდებულებაში იყავით თქვენ და ვალც? მე გეკითხებით, რასაკვირველია, სქესიურ დამოკიდებულებაზე?

— მე ვფიქრობ რომ ამას არა აქვს საკმესთან კავშირი...

— ა, თქვენ ფიქრობთ? კარგი, რა უნდა ვქნათ, ჩავწეროთ ისიც, რასაც თქვენ ფიქრობთ, მე კი მაინც მოვითხოვ კატეგორიულ პასუხს!

— ჩემსა და ვალცს შორის არ ყოფილა არავითარი ახლო დამოკიდებულება.

— ასე რომ, ღამით, ტახტზე, თქვენ გვერდით ვალცის ყოფნას, როგორც გადმოგვცემს თქვენი შიკრიკი, თქვენ არ თვლით ახლო კავშირათ?

— ეს რა საძაგლობაა! ძლივს იმაგრებს თავს ზუდინი და მთლად წითლდება სიბრაზისაგან და სირცხვილისაგან, — მე ვთქვი, რაც გაიგონეთ უკვე, ამ თემანზე მე მეტს არ ვილაპარაკებ...

— ძალიან კარგი! მაგრამ არ გახსოვთ თქვენ შემთხვევები, როდესაც თქვენ კაბინეტში დაწყობილ ჩამორთმეულ ღვინოებს სვამდით, ან რომელიმე თანამშრომელს აძლევდით. აი, მაგალითად, პავლოვი ლაპარაკობს, რომ ღვინოები, რომელიც ნახეს მის ოთახში, წამოღებულია თქვენი კაბინეტიდან. რას იტყვით თქვენ ამასზე?

— ღვინოები შემთხვევით მოხვდა კაბინეტში სხვა ნივთებთან ერთად. მე

მას არ ვსვამდი და არც არავისათვის მიმიცია. თუმცა მაგონდება რომ ერთხელ, როდესაც ძალიან დავიღალე დავლიე, ერთი ბოთლი რბილი ღვინისა. როგორ მოხვდა ღვინო პავლოვის ოთახში, ეს მე არ ვიცი... კაბინეტი ურველთვის დაკეტილია და კლიტეები შიკრიკს აქვს.

შუსტრი სწრაფად სწერს ყველაფერს.

— ეხლა კმარა. არ გინდათ წაიკითხოთ და ხელი მოაწეროთ? და შუსტრი აწოდებს დაწერილ ფურცელს. შემდეგ მისი პატარა ფიგურა გამოირბენს გარეთ და ვილაცას უძახის დერეფანში...

— საუცხოვო ბრიყვი კი ყოვილხარ ამხ. ზუდინ! რა იყო ის, პირველად რომ დაიწყეთ ეშმაკობა!..

— მე?.. ეშმაკობა?..

— ნუ იმართლებთ, ნუ იმართლებთ თავს, თქვენთვის სჯობს... იცოდეთ ეს, არის ჩემი პირადი შეხედულება. განაჩენს კი გამოიტანს საგანგებო კომისია სასამართლოსი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა და, სხვათა შორის, მოისმენს ჩემ მოხსენებას. ჩემი მოვალეობა სულ უბრალოა და პატარა. მე უნდა ვიყო სრულიად ობიექტიური. თქვენ ხომ ხედავდით. მე ჩავწერე ყველაფერი, რაც, ჩემი შეხედულებით, ლაპარაკობს თქვენ წინააღმდეგ. მე ჩავიწერე ისიც, რაც თქვენ სასარგებლოთაც ლაპარაკობს. მე სრულიად ობიექტიური ვარ. ეხლა კი ნება მომეცით თქვენ დაპატიმრებულად გამოგაცხადოთ და ყარაულ ქვეშ დაგაყენოთ.

შეწუხდა.

— მე არსად არ გავიქცევი! — გაიღიმა ზუდინმა, ოჯახის ნახვის უფლებას მომცემთ თუ არა?

— არავითარ შემთხვევაში, წერილები შევიძლიათ მისწეროთ, ისე, ბინათ აქ იქნებით. თქვენ ნუ ღელავთ საბოლოო გადაწყვეტილება სულ რამდენიმე დღეში იქნება. ასე ორ-სამ დღეში. ქალაქს და ფანქარს მე უბრძანებ მოგცენ. ისადილებთ აქვე აღმასკომის სასადილოში. თუ რაიმე მოგაგონდეთ თავის გასამართლებელი, დაწერეთ და გამომიგზავნეთ იგნატიევის მდივანის ხელით. ჩემი საქმეა ვიყო სრულიად ობიექტიური, მომხსენებელი.

შუსტრი წავიდა... ზუდინი იცქირებოდა ფანჯარაში. გულის სიღრმეში გრძნობს სინათლეს, თავისუფლებას და ზუდინი ბრწყინავს თბილი გრძნობით.

ეს იზრდება სწორედ შიგნით. მაგრამ ეს არ არის დიდხანს. ქუსლების ბრაზუნით მიდის მორიგე დარაჯი. ათვალეურებს მას, საკეტავენს და კარებთან დგება, მოისვის ვინტოვკის კონდახის იატაკზე დარტყმის ხმა. შემდეგ შემოდიან ორი თანამშრომელი სასადილოში თეთრ წინსაფარებში, აღებენ ორივე ნახევარკარებს და შემოაქვთ რკინის ლოგინი, ჩალით გატენილი დიდი ნაალი, ერთი მათგანი ბრუნდება და შემოაქვს შალის ზეწარი, ჩალით გატენილი ბალიში და მაგარი საბანი. ეკითხებიან უნდა თუ არა საქმელი. საქმელი არ უნდა, ქალაქი და ფანქარი კი უნდა.

ქალაქი და ფანქარი მოაქვს თითონ იგნატიევის მდივანს. მას თითქო სცხვენია ზუდინის და არ უეკურებს თვალებში. ზუდინი უფრო ღელავს და გრძნობს თავის უმწეო მდგომარეობას.

— მე მივწერ წერილს ჩემ მეუღლეს და თუ შესაძლებელი იქნება, რაც შეიძლება საჩქაროდ გადაგზავნეთ ის ბინაზე. ეს შესაძლებელი იქნება?

— დიახ, ექვს საათზე აპირებდა მოსელას აძხ. შუსტლინი, ის ნაზავს და ალბად მაშინვე გაგზავნის.

— გმადლობთ!

ზუდინს უნდა რომ საჩქაროდ დატოვონ ის ლოგინზე.

— დაწყნარებაა და გარკვევა საჭირო. რაში ამტყუნებენ მას? დაბოლოს ეს ერთი ცხადია რომ პავლოვი და ვალც გაებენ რაღაც უბედურებაში. მაგრამ რა ჰქონდათ ისეთი? რომელ ოქროზე იყო ღაპარაკი. ან იქნებ ოქრო აიღო ვალცმა და გაუზიარა ლიზას? და მან აიღო?

— ზუდინს სუნთქვა უხშირდება და უძნელდება.

მას ხომ უნდა ქონდეს მაინც მუშური შეგრძნობა, სინიდიის კლასიურ ბრძოლის. როგორც არ უნდა ვთქვათ, ის ხომ კომუნისტკაა. მაგრამ ის ილიმება საცოდავით, საიდან უნდა ქონდეს მას სინიდიის კლასიური ბრძოლის, პრაქტიკა აქტიურ ბრძოლის მას არ გადაუტანია, ის შეილია თავისი კლასის, მაგრამ ის ცოლია თავისი ქმარის და დედა თავისი ბავშების. რომ ორივე დავდოთ სასწორზე ნეორე გადაწონის და ვერავის გაამტყუნებ ამაში. — ფიქრობს ზუდინი.

— მაგრამ ნუ თუ ამისთვის მას დახვრეტენ? მას თმა ყალყზე უდგება. მას აგონდება წყნარი, ნელი ღიმილი ლიზასი, ლიზას ქალიშვილობისას, ლიზა ცხვირსახოცით, ლოყებზე პატარა ორმოები; ასეთივე გაზაფხული იყო...

— ლიზოჩკა! ვიცხოვროთ ერთად, ერთად ვიბრძოლოთ, ერთად ვიტანჯოთ, გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც ქმარს და ცოლს!

რამდენი ხანია მას შემდეგ, ეს რამდენი ხანია მას შემდეგ? შემდეგ შეასრულა მან თავისი სიტყვა? არა, მან დაინახა, რომ მოტყვილდა, საშინლად მოტყვილდა. ლიზა აღმოჩნდა ერთგული, ქმრის მოყვარული, ნაზი ცოლი და სხვა არაფერი. ზუდინს ავიწყდებოდა, რომ მას ექნებოდა დალი ათასწლოვან მონობის, ის ხომ წარსულში უხეში ბატონი იყო, ელვის დაქვეა უნდოდა. განა ლიზას შეეძლო გაეგო ყველა მისწრაფებები და გრძნობები ზუდინის. ზუდინს ერთს უხდებოდა გამკლავება ცხოვრების საშინელების წინააღმდეგ. ის მარტო იბრძოდა, ლიზასთან კი ის მიდიოდა დასასვენებლათ, საჭმელად, თავის გართობისათვის, მიდიოდა მისთვის, რომ ენახა პატარა ბავშები, მათი ხელის გაშვერა... გაეგონა მათი მა...ნა, მამა... სიმფონია საუცხოვო სიყვარულის, რომელზედაც ოცნებობდა ბატონი ზუდინი, აღმოჩნდა უბრალო, საცოდავი შარმანკა. — ან ეხლა ის რომ წაიყვანონ დასახვრეტათ, — ეს მხოლოდ ნისი, მისი ბრალი იქნება, ის არის ზუდინი, ის არის მკვლელი.

მაგრამ შეეძლო მას სხვაგვარად მოქცევა? შეეძლო მას დედაკაცის, ამ შემთხვევაში ლიზას გულისთვის, დაეთმო გზა საკაცობრიო იდეისათვის თავგანწირვისა? განა ცოტა იყო ის, რომ ოჯახის შექმნით ნაწილობრივ ჩამორჩა კიდევ საერთო საჭის ნაჩვენებ გზას, განა ეს ბავშების, მშვიერი ბავშების წრიპინის გამო არ მოხდა? რა კარგი იქნებოდა რომ მუშას სრულიად არ ყავდეს შვილი!

— ვინ არის დამნაშავე?

ლიზა ხომ მაინც დაიღუპა.

— რა იქნება თუ მაინც სრულიად არ მიუღია ოქრო?

ზუდინს ახარებს ასეთი შესაძლებლობა.

ზუდინი დგება კიდევ და რამოდენიმე ნაბიჯს გადადგამს ფანჯრებისაკენ.

ნუ თუ მას პასუხს აგებინებენ მისთვისაც, რომ მან ჩულქები აიღო, რომ აიღო შოკოლადი, რომ არაფერი არ ესმის პოლიტიკაში და ბოლომდე დარჩა ქმარ-შვილის მოყვარე ერთგულ ქალად: ან მეც კიდევ როგორი ველური პასუხი მივეცი: აიღო ჩემდა დაუკითხავად.

რას ნიშნავს „ჩემდა დაუკითხავად“. თუ მან გაიგო და დაკმაყოფილდა მხოლოდ საყვედურით, მაშასადამე აიღო მან და არა მისმა ცოლმა. რათ თქვა მან ასე უხეშად? ნუ თუ შეეშინდა თავის თავზე პასუხისმგებლობისა. ამ წუთ-შივე უნდა მისწეროს მას მომხდარის შესახებ, მან მაინც გამოასწოროს დაკითხვის დროს.

მაგრამ გაახსენდა, რომ წერილი უნდა გასინჯოს შუსტრიმ და გახსენებაც საკმაო იყო. მას როგორღაც ეწყინა. ვისგან უნდა დაბალოს? ამხანაგებისაგან, რომელთანაც მუშაობდა მთელი თავისი სიცოცხლე? დახედა საათს.

— ეშმაკმა წაიღოს. უკვე ექვსი საათია. შუსტრი ალბად მოვიდა და შეიძლება მალე წავიდეს კიდევ. ეხლავ უნდა მისწეროს წერილი ლიზას.

— რა მისწეროს?

— როგორ მისწეროს?

— ან იქნებ სრულიად არ არის საჭირო წერილის გაგზავნა?

— მაგრამ შესაძლოა ის დიდხანს ვერ დაბრუნდეს სახლში?

შეიძლება ვერასოდეს? რას მოიფიქრებს ის მარტოდ მარტო? ან იქნებ რომელიმე ბოროტი ენა მოუყვეს რაღაც ოქროებზე, ღვინოებზე? ვალცის სიყვარულზე? როგორ გადიტანს ის ყველა ამას?

ზუდინი ჯდება საწერ მაგიდასთან და საჩქაროდ წერს!

„ძვირფასო ლიზა,

საშინელი შემთხვევა და გამოძიება რომელიც შეეხება პავლოვის და ვალცის დანაშაულის გამოაშკარავებას, მე მაიძულებს რამოდენიმე დღე დავრჩე ყარაულის ქვეშ, აღმასკომში. შენ ნუ იჯავრებ და ნუ აღელდები. რამოდენიმე საცოდავი ბრალდება, რომელიც მე წამომიყენეს, რაღაც ოქროს, ღვინოების და სიყვარულის ინტრიგების შესახებ, გაითანტება როგორც კვამლი.

საჭიროა მხნეობა და მოთმინება. ნუ მოიწყენ, გამაგრდი. აკოცე ჩემ მაგივრად ბავშვებს. ვალცს ჩაურევია აქვე ჩულქები და შოკოლადი შენ რომ გაჩუქა. ყველა ეს რასაკვირველია მიქარვია.

გკოცნი. ახლო შეხვედრანდის. შენი ალექსეი.

— სხვა გზა არ არის: უნდა მოვატყუილო, უნდა მოვატყუილო, ფიქრობს ზუდინი და სვამს წერტილს.

მორიგეს სთხოვს დაუძახოს მდივანს. მორიგე რამოდენიმე პატარა ნაბიჯს გადასდგამს და არახუნებს პატარა კარებზე. დიდი ხნის ცდის შემდეგ შემოდის შიკრიკი.

— მხოლოდ, გეთაყვა, ეს წერილი თქვენ გადაეცით საჩქაროდ ამხ. იგნატიევის მდივანს. წერილი ძალიან საჩქაროა.

შიკრიკი თავის ქნევით ცილდება. ზუდინი კი დგას ერთსეულად, როგორც ქვის ბოძი მტვერიან გზების გზა-ჯვარედინზე.

VI

ხუთი დღე იჯდა ზუდინი და არავინ მასთან არ შედიოდა. ხანდახან ის ფიქრობდა, რომ ყველას მიავიწყდა, სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში პატიმარი ზუდინი. გაზეთებს არ აძლევდენ. ყოველდღე შიქონდათ სადილი, რომელსაც ხანდახან ის ხელსაც არ ახლებდა. — ზუდინი გახდა. თვალები და ლოყები მოხუცივით ჩაუცივიდა. ის უკვე სრულიად არანორმალურ ცხოვრებას ეწეოდა: ტანზე არ იხდიდა, როდესაც შეზღუდებოდა — ჩაეძინებოდა და გამოღვიძებაც შემთხვევას ეუბნებოდა და მოკიდებული. ხშირად მას ეშლებოდა დღე, რიცხვი; ერეოდა დილა და საღამო. ასეთ შემთხვევაში ის მიდიოდა ფანჯარასთან და მზის საშვალეებით, თუ ის ანათებდა, არკვევდა განვლილ დროს. შემდეგ გასჩერებოდა წყალგაღმა სახლების მტვერიან ოხრას, ან მკრთალ სინათლეს, პატარა ფანჯრის შუშებიდან რომ სანდა; როდესაც ზუდინი ფანჯარაზე ჩამოჯდებოდა და თვალებს დაბლისაკენ დაბრიდა, ის ხედავდა პატარა ბაღს, რომელსაც ფარგლავდა ყვითელი ქვის კედელი. ამ კედელთან დადიოდა მორიგი ყარაული. მაშასადამე ის არ დავიწყებიათ.

ხშირად ის ყურს უგდებდა ქალების ხმაურს, ცდილობდა გაეგო რა კეთდებოდა იქ, დატოვებულ ქვეყანაში. როდესაც ერთხელ შემთხვევით კარი გაიღო და მან გაიგონა ყრუ ყვირილი და ხმაური, ეს გავდა რისხვისაგან გაშავებულ ზღვის ტალღებს.

საბჭოს სხდომაა — სთქვა მოსამსახურემ, რომელმაც ყახშაში შემოიტანა მენშევიკები და ესერები არ ისვენებენ. მოითხოვენ საგანგებო კომისიის დათხოვას. ქალაქში კი გაფიცვებია ულუფების გამო.

ზუდინმა ამოიხვნეშა. მეხუთე დღეს, სრულიად მოულოდნელად, როდესაც უკვე შეზღუდდა და ელექტრონის სინათლე მოვიდა, ოთახში შემოვარდა შუსტერი თავის მოკლე ქურთუკით.

წავიდეთ! — და მას უკან გაყვა ზუდინი. ზუდინს კი აცილებდა მორიგე ყარაული თოფით. ისინი შევიდნენ ერთ ოთახში, სადაც უკვე ისხდნენ ზუდინის დიდი ხნის ნაცნობები. ძველი პარტიული მუშაკი ტკაჩევი, რომელსაც ზუდინი პირადად და ახლო არ იცნობდა, მაგრამ ხშირად შეხვედრია ყრილობებზე. ეს ყველაზე მეტად იქცეოდა ყურადღებას დამშვიდებული ფიგურით. მაგიდის მეორე თაროზე იჯდა ძველი მეგობარი ზუდინის, ხარატი ლითონის დარგში ამხ. ვასია წიგნლოვი. შუაში კი იჯდა თითონ მრისხანე ამხ. სტეფანე. კიდევ ერთი ახალგაზრდა, რომელსაც წინ ეწყო ქალაქლები და როგორც ჩანდა მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

ზუდინს უნდოდა ხელი გაეწოდებინა, მაგრამ საკმაო იყო პატარა დაეჭვება იმის შესახებ, რომ შესაძლო იყო ამხანაგებს მიეღოთ ეს, როგორც თხოვნა სასჯელის შემსუბუქებისა და ზუდინმა თავი დახარა, ხმა ამოუღებელივ დაჯდა



სკამზე, რომელზედაც იქ მყოფთა თვალები მიუთითებდნენ, მის პირდაპირ მაგი-
დის მეორე მხარეზე დაჯდა შუსტრი.

სტეფანე არავის არ უყურებდა და ისევ განაგრძობდა ხატვას, შჩეგლოვი
კი ცდილობდა თავი დაეხწია უხერხულობის გამომხატველ ღიმილისაგან და
გვერდზე აცეცებდა თვალებს, თითქო უნაროდა, რომ დაბოლოს შეხვდა თავის
ძველ მეგობარს ზუდინს. ბოლოს, აი სტეფანემ დაანება ხატვას თავი და გადა-
ხედა შუსტრის. შჩეგლოვი ბავშური თვალებით მისჩერებოდა ხან შუსტრის, ხან
კიდევ ზუდინს და მხოლოდ ტკაჩევი იყურებოდა მაგიდაზე, როგორც ბუდდას
ქანდაკება.

— ეს საქმე, ამხანაგებო, — დაიწყო შუსტრამ, — ეს საქმე არის უჩვეულო
მოვლენა ჩვენი პარტიის ცხოვრების და რევოლიუციონურ ბრძოლის პრაქტიკაში.

— თქვენ წინაშე აქ ზის არა ჩვეულებრივი მუშაკი, არა გამოუცდელი
აბალგაზრდა, არამედ ერთი ძველი წევრთაგანი პარტიისა, რევოლიუციონერი 1903
წლიდან, — აგრძელებს ხმას შუსტრი, — და აი, რევოლიუციის გადამწყვეტ მომენ-
ტში, ეს გმირი მივიდა იქამდე, რომ საგუბერნიო საგანგებო კომისიის თავმჯ-
დომარის თანამდებობით და სახელით, რომლითაც მოქ. ზუდინი სარგებლობდა.
თავის პირადი, ბინძურ, უმზგავსო მიზნებისათვის მან მოატყვილა ნდობა მუშათა
კლასის, მან გარყვნა და დაშალა პროლეტარული დიქტატურის ფბიზელი თვა-
ლის აპარატი, მან თითონ პირველმა უჩვენა მაგალითი ქრთამის აღებისა, გარ-
ყვნილებისა, სიმთვრალისა და გარს შემოიკრიბა ღირსეული თანამშრომლები
ჩვენი უსასტიკეს მტრების, კონტრევოლიუციონერების ბანაკიდან. ჯერ კიდევ
ბევრი რამ მოქ. ზუდინის მოღვაწეობიდან არ არის გამოაშკარავებული, მაგრამ
ისიც, რაც ჩვენ ვიცით, სრულიად საკმარისია მისთვის, რომ დღესვე იქნეს გამო-
ტანილი თქვენი სამართლიანი რევოლიუციონური მსჯავრი.

— მე ბოდიშს ვიხდი, რომ ცოტა ვლელდები და გამოვდივარ ობიექტიურ
მომხსენებლის საზღვრებიდან, მაგრამ, ამხანაგებო, როდესაც გიხდება ლაპარაკი
ასეთ საზიზღარ რამეზე, მოგეხსენებათ, ძნელია თავის დაჭერა.

— ჩემგან შეკრებილ ცნობებით, რომელიც მე მივიღე მთელ რიგ დაკით-
ხულთაგან და მათ რიცხვში ამბ. ზუდინისაგან, უდავოთ რჩება ის ფაქტი, რომ
ზუდინმა, ისარგებლა რა გუბერნიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის განუ-
საზღვრელი უფლებით, სამსახურში მიიღო აქტიური კონტრევოლიუციონერი,
მოქ. ელენე ვალც, რომელიც სამსახურში მიღებამდე იჯდა საგანგებო კომისიაში
და სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი. დაიახლოვა ის, დანიშნა თავის პირად
მდივნათ და საყვარლად აირჩია. ჰქონდა რა ახლო კავშირი ზუდინს მოქ. ელენე
ვალცთან, არ შეეძლო არ სცოდნოდა უკანასკნელის მეგობრული განწყობილება
ინგლისის ჯაშუშთან და თეთრგვარდიელთა გამოსვლების ორგანიზატორ მის-
ტერ ხეკკეისთან, რომელსაც გამწარებით და უნაყოფოდ ეძებს სრულიად რუსე-
თის საგანგებო კომისია, მაშინ, როესაც ის სრულიად დამწვიდებული ორჯერ
მაინც ათევეს ლამეს ელენე ვალცთან, რაშიაც მოქ. ვალც იძულებული იყო თი-
თონ გამოტეხილიყო. ხეკკევი დღეს-დღეობით გაპარულია აქედან და ამისათვის
მთელი რიგი ჩვენი პასუხისმგებელ ამხანაგების მხეცურ მკვლევლობათა, ყოველ-

შემთხვევაში უკანასკნელი მკვლელობა პატიოსან მუშაკის და ამხანაგის — მე ვლა-
პარაკობ კაცმანზე — არ მომხდარა, ასე ესთქვათ, ამხ. ზუდინის ხელშეწყობლათ.
ასეთი საარაკო პროვოკაცია ჯერ ქვეყანას არ უნახავს, მაგრამ მოქალაქე ზუდინი
არც ამით დაკმაყოფილდა. მიუხედავად იმისა, რომ მან ულალატა პარტიას და
რევოლიუციას, სიკვდილის კლანჭებს შეატოვა მისი ძველი, ერთგული ამხანაგე-
ბი, მან დაიჯერა, რომ ამ საშინელ ქცევებში ის არ ხელმძღვანელობდა პოლი-
ტიკურ მოსახრებებით, თუმცა ჩვენთვის ესეც ნათელია. ზუდინის მთავარი მი-
ზანი იყო ესარგებლნა თავისი უფლებით და ნდობით ისე, როგორც მას მოესურ-
ვებოდა და, რაც მას მოესურვა, ეს იყო თავისი ჯიბის გამდიდრება. როგორც
სრულიად ობიექტური მომხსენებელი. მე აღვნიშნავ, რომ ზუდინი არ დაკმაყო-
ფილდა ქრთამით, რომელსაც იღებდა მისი ერთგული თანამშრომლისაგან — ვალ-
ცისაგან. ო, ამ დარგში ზუდინი მეტად წინდახედული გამოდგა. ის არ
დაკმაყოფილდა პირველდაწყებითი ქრთამით, როგორც იყო ოჯახში მოსახმარი
საგნები და სანოვაგე, რომელსაც ვალც უიღულობდა ზუდინისთვის გადასაცემად
აღებულ ქრთამების თანხიდან. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ: ქალის
აბრეშუმის ჩულქები, რომელიც უყიდეს ზუდინის ცოლს. ხშირად ვალც იღებდა
თეთრგვარდიელებისაგან ქრთამს ნატურით, როგორც მაგალითად ნახევარი ფუ-
თი შოკოლადისა ინგლისელ ჯაშუშის, იმავე ხეკეისაგან. მაგრამ, მე ვიმეორებ,
ზუდინი არ დაკმაყოფილებულა ამით. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მფარ-
ველობით ვალც ძარცვავს ოქრომრეწველს, წარსულში ქარხნის პატრონს, ჩოტ-
კინს, რომლის შეილი სრულიად უმიზეზოდ ზუდინის ორდერით დაიჭირეს და
ოთხი თვე გაატარა საგანგებო კომისიის სარდაფში. ემუქრება რა ვალც ჩოტკი-
ნის მშობლებს ვაჟის დახვრეტით, ის იღებს მათგან 20 გირვანქა ოქროს ფუ-
ლით თუ ნივთებით; თუმცა ვალც ეხლა უარზეა. ის ლაპარაკობს, რომ ამ საქმე-
ში ზუდინს ბრალი არ უდევს, მაგრამ ეს აშკარად მტკიცდება იმ ფაქტით, რომ
პირველად ყოვლისა ჩოტკინი განთავისუფლებულ იქნა კერძოდ ზუდინის განკარ-
გულებით, სწორედ იმ დღეს, როდესაც მოკლეს ამხ. კაცმანი, ესე იგი მას შემ-
დეგ რაც ვალც წინა დღით მოელაპარაკა ჩოტკინის მშობლებს მისაღებ ფულის
რაოდენობაზე; მეორე ფაქტი ის არის, რომ ზუდინის განკარგულებით საგუბერ-
ნიო საგანგებო კომისიის კანცელიარიის გამგემ ამხ. შალენკომ მისცა ვალცს
დუბლიკატი ჩოტკინის განთავისუფლების ორდერისა, რაც ჩვეულებრივად არა-
ვის არ ეძლევა. ეს, რასაკვირველია, მოხდა შანტაჟის მიზნით და, მესამედაც ის,
რომ მიღებული ოცი გირვანქა ოქროს უთუოდ გადაეცა ზუდინს, რადგან ვალცს
ეს ოქრო არ აღმოაჩნდა და ეხლა ის იბნევა: ამბობს, რომ მას მოპარეს, როდეს-
საც ის ბინაზე არ იყო და სხვა. ესეც რომ არ იყოს ბუნებრივი და ლოგიურია
ასეთი დასკვნა: ქრთამის აღების წადილი ვერ შეჩერდებოდა მარტო აბრეშუმის
ჩულქებზე და შოკოლადზე, რომლის შესახებ, როგორც გამოირკვა მთელმა სა-
განგებო კომისიის მოსამსახურეთა შტატმა იცოდა ვალცის გრძელი ენის წყა-
ლობით, მაგრამ ყველანი გაჩუმებული იყვნენ, რადგან ეშინოდათ ზუდინის ტე-
რორის, — ამაზე შემდეგ... თუმცა თითონ ზუდინი დაკითხვაზე ცდილობდა უარი

ეთქვა მიღებულ ჩულქებზე, შოკოლადზე და ოქროზე, მაგრამ აშკარა ფაქტის წინაშე გაჩუმდა და იძულებული იყო ეთქვა, რომ მიიღო ცოლმა და არა მან.

ზუდინი ცდილობს ეხლა ყველაფერი ცოლს გადააბრუნოს, მაგრამ ის მაინც ვერ აუხვევს გვერდს იმ ფაქტს, რომ მან ქრთამი აიღო ვალცის შუამავლობით აბრეშუმის ჩულქებით და ოქროს სახით.

— ოქრო? — ნელი ხმით ლაპარაკობს ზუდინი.

— უკაცრავად, შევცდი — შოკოლადის სახით ზუდინს თითქო აციებს. მისი ფიგურა იღუნება. რაზე ფიქრობს ის? ის არაფერზედაც არ ფიქრობს, მის გაფითრებულ სახეზე შესამჩნევად კრთის საცოდავი ღიმილი; ის დაბნეულად და უიმედოდ გამოიყურება. ის გრძნობს სრულ უილაჯობას, შიშს. მას ერვენება რომ ხანდახან მის სახეზე გადირბენს ვისიღაც ჟინიანი და ურცხვი მხერა, შემდეგ, შემდეგ ის არაფერს არ გრძნობს. მას მიაქანებს ქარტეხილივით შუსტრის სიტყვების ნიაღვარი.

— დიახ, ამხანაგებო, როგორც მომხსენებელმა, რომელიც ცდილობს იყოს სრულიად ობიექტიური, მე უნდა ვსთქვა, რომ მოქალაქე ზუდინ არ არის გულწრფელი ადამიანი.

— როგორ? გულწრფელი? ეკითხება სტეფანე, რომელმაც ვერ გაიგონა კარგად შუსტრის სიტყვები.

პირიქით, — აქნევს თავს შუსტრი, — მე კიდევ უთხარი მოქალაქე ზუდინს, ის ვერ უარყოფს ამას. მართლაც და უნდა ითქვას რომ, ზუდინი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ვალცის თანამშრომლობით. მისი მფარველობის ქვეშ საგანგებო კომისიაში თავს იყრის ყოველგვარი ნაგავი: მექრთამეები, შულერები და თითქმის ყველა გამვლელი, რომელსაც კი აღმოაჩნდა ბნელი რეპუტაცია. ისინი რასაკვირველია შიგნიდანვე სტეხდენ სინაგრეს და სრულიად აქარწყლებდენ ერთგულ ამხანაგებას მუშაობას, რომელთაც ქონდათ უბედური შემთხვევა მოქალაქე ზუდინთან თანამშრომლობისა, რომ თქვენ ეს ცარიელი სიტყვები არ გეგონოთ, ამისათვის მე ვასახელებ მოქ. პავლოვს. ზუდინმა ძალიან კარგათ იცოდა რაც შეიღო იყო მოქ. პავლოვი. არა მარტო მას შემდეგ, რაც მის საგანგებო კომისიიდან დათხოვნის აუცილებლობაზე მიუთითა ზუდინს ამხ. კაცმანმა... არა მანამდე... სხვათა შორის ამას მოწმობს ამხ. ფომინი. მოქალაქე ზუდინი დღეს არ უარყოფს ამას, პირიქით, ის ლაპარაკობს, რომ პავლოვის თავიდანვე მოშორებაზე ის პირველი ელაპარაკებოდა კაცმანს. ასეთი ტყუილი იმიტომაც აშკარადდება, რომ კაცმანის მოკვლის შემდეგაც ზუდინს არ შეუწყუბებია თავი პავლოვის დათხოვნით. უფრო მეტიც: ეხლა როდესაც ჩვენ დავაპატიმრეთ პავლოვი და ვალც, მოქალაქე ზუდინი პროტესტს აცხადებს და იცით რა უწოდა ჩვენს ასეთ ნაბიჯს ამხ. იგნატიევის კაბინეტში? „საგანგებო კომისიის დარბევააო“. საქმეებში არის სათანადო ჩვენება იგნატიევის და, მე მგონია, მოქ. ზუდინიც არ უარყოფს ამ ფაქტს. მაგრამ ამხანაგებო, არის კიდევ ერთი ხაზი, რასაც უნდა მიექცეს ბრალდების ყურადღება. მოქალაქე ზუდინის გაუმადლარი და გამყიდველი ბუნება სავსე არის მხეცური ჟინიანობით და სისასტიკით. მიუხედავად იმისა, რომ ზუდინი იყო ერთი იმ დამხმარეთაგანი, რომელიც გააჩნდათ ამხ. კაც-

მანის მკვლევებს, მას მაინც არ გასჭირებია ყაჩაღური ეზიანობით/მოეთხოვა დახვრეტა ასზე მეტი ცნობილი ბურჟუებისა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში უდანაშაულო ხალხის, რომელნიც კაცმანის მოკვლის დღეს ისინი დაკავშირებულნი იყვნენ კომისიის სარდაფში. მე მგონია, ახსნა იმისა, თუ როგორი საპროვოკაციო მასალა მივეციოთ ჩვენ ამ ფაქტით თეთრგვარდიელებს, თქვენთვის არ იქნება საიდუმლო და ასახსნელი.

— რა გინდათ თქვენ ეხლა? სთქვა ზუდინმა ხმამაღლა.

— გამარჯვება რევოლუციონურ სამართლიანობისა და სხვა არაფერი... მაგრამ არსებობს ასეთი რამ?

— ამას ჩვენ დავინახავთ!

— მე მეტს არას გეტყვით, ამხანაგებო. მე ვფიქრობ, რომ მოგაწყინეთ კიდევ თავი გრძელი სიტყვით ისეთ ნათელ და უბრალო საქმეზე, რომელიც საყურადღებოა მხოლოდ იმზომად, რამდენადაც ეხება ჩვენს პარტიულს, პასუხისმგებელ ყოფილ ამხანაგს. ამისათვის მე არ დაუმატებ ჩემს მოვონებას იმ ორგიაზე, რომელიც იმართებოდა ჩამორთმეულ ღვინოების სარდაფში. ამ შემთხვევაში მოქ. ზუდინის კაბინეტში, რასაკვირველია, მოქ. პავლოვი ეშმაკური გზით ახერხებდა ღვინის გატანას, მიუხედავად ზუდინის განცხადებისა, რომ კაბინეტი ყოველთვის დაკეტილი იყო. მე არ მოგავონებთ აგრეთვე ზუდინის და ვალცის ურთიერთ დამოკიდებულებას საგანგებო კომისიის თავმჯდომარის კაბინეტში, ტახტზე. ამ ამბის შემთხვევითი მოწმე იყო შიკრიკი, რომელსაც კაბინეტის კარებთან მდგომს ესმოდა მათი საუბარი. ეს ყველაფერი მხოლოდ მკროთალი ხაზებია იმ დიდი დანაშაულისა, რაშიც მოქ. ზუდინს ბრალი ედება.

დადგა ხანგრძლივი მყუდროება. ყველა მიაჩერდა ზუდინს.

— არ ინებებთ განმარტების მიცემას? — შეეკითხა სტეფანე.

— დიახ დიახ, როგორ არა! — ისეთი ხმით წამოიყვირა ზუდინმა, რომ ახლად გამოღვიძებული გეგონებოდათ.

— მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს განმარტება არ გადიქცეს ტყუალ-უბრალო დროს ვაჭიანურებად. უნდა განისაზღვროს დრო! — წამოიღულღულა შუსტრიმ.

— კარგი, კარგი, ჩვენ თვითონ შევატყობთ! — გულმოსული ხმით მოუჭრა სტეფანემ.

— მაშ ასე, ჩვენ გისმენთ — მიმართა მან ზუდინს, მაგრამ მას გონება, ყოველთვის ფხიზელი და ნათელი, თითქო ჩვრად გადაქცევია

— როგორ დაიწყოს?

— ამხანაგებო! და მთელი ფიგურით ინძრევა, — თქვენ შეგიძლიათ დამიჯეროთ და შეგიძლიათ არ დამიჯეროთ, ყოველ შემთხვევაში, მე ვიქნები თქვენთან გულახდილი, როგორც ყოველთვის ვიყავი მე ამხანაგებთან. ნუ თუ გრძელი წლები ჩვენი ერთად მუშაობისა, არ არის ჩემი სიმართლის დასაბუთება?!

ზუდინი გრძნობს, რომ ლაპარაკობს რაღაც სისულელეს, ეს სრულიადაც არ გავს იმას, რის თქმაც მოუფიქრებულნი ქონდა ზუდინს, მის ალელვებას ერ-

თვის ბოროტი ღიმილი შესტრის, რომელსაც ზუდინის დაბნეული ლაპარაკი იწვევს ალბად.

— წარსულს ვთხოვთ ნუ შეეხებით, ის თვითვე უნდა განმა ძალიან კარგად იცის. ჩვენ ვთხოვთ მოგვცეთ ნათელი და სხარტი განმარტება მომხსენებლის მიერ წამოყენებულ ბრალდებების მიხედვით. ცნობთ თუ არა თავს დამნაშავეთ? — ცივი ხმით ეკითხება მას ამხანაგი სტეფანე.

— დიახ, დიახ, ამ წუთში, ამ წუთში, — კიდევ უფრო იბნევა ზუდინი. აქ უკვე იბადება შიში არა სიკვდილისა, არამედ მეორე, შიში იმისა რომ მას ვერ გაიგებენ, რომ მას არ მისცემენ უფლებას სიტყვას მთელი თავისი სიმართლე, ან ის რომ მას შეაწყვეტინებენ სიტყვას და დარჩება ყველაფერი აუხსნელი, დარჩება ჩირქი გარდუვალი.

ზუდინს ესმის, ზუდინმა იცის როგორ უნდა მოიქცეს. საჭიროა უკანასკნელი ძალ-ღონის მოკრეფა, შეჯახება რაღაც ბნელ, გაუვალ სიმძიმესთან და ყველაფერი მოეწყობა, როგორც საჭიროა; მაგრამ ვის დაეჯახოს? ვის წინააღმდეგ? ირგვლივ ხომ ყველა თავისიანებია, მისი ძველი ამხანაგები, აქამდე ბოროტად რომ იცინის, ის, ის ამხანაგი ზუდინი. მაშ, როგორ? განა უნდა მოკვდეს ისე, რომ ხმაც არ ამოიღოს თავის სიმართლეზე?

— მე არა ვარ დამნაშავე! დაჯერებით ლაპარაკობს ზუდინი, — მე არა ვარ დამნაშავე! — იმეორებს ის დაჯინებით და მისი ხმა თანდათან მაგრდება.

არ არის მართალი ბრალდება, თითქო ვალცი ყოფილიყო ჩემი საყვარელი, თითქო მას მისჯილი ჰქონდეს სიკვდილით დასჯა და მე ჩემი პირადი ნდომისათვის გადამერჩინოს ის. ეს ყველაფერი ტყუილია, ის იყო დაპატიმრებული, როგორც შენთხვევითი სტუმარი მიტანოვისა, რომელთანაც იმალებოდა სავინკოვის შეთქმულების ერთი-ერთი აგენტი ფინიკოვი. ვალცს ამ საქმეში არ ჰქონდა ბრალი, ჩემი ღრმა რწმენით. მე ის შემეცოდა. მე ვფიქრობდი, რომ პატიოსანი ცხოვრება მას აღადგენდა, როგორც ადამიანს, მე ვფიქრობდი რომ ჩემთან სამსახურით ის თავს დააღწევდა ბურჟუაზიულ ჭაობს, მაგრამ მე შევცდი! როგორც ვხედავ, შოკოლადი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

— რა აღმოჩნდა უფრო ძლიერი? — შეეკითხვნენ ერთხმად.

— შოკოლადი! — გაიცინა შესტრიმ.

— დიახ, შოკოლადი! ის აღმოჩნდა ძლიერი... ხეკვეისა და ვალცის კავშირის შესახებ მე დღეს პირველად გავიგონე. ეს მე მაკვირვებს. ასე უცებ ყველა ამის ახსნა არ შეიძლება. ეს მართალია, რომ ვალცს მოეტანა ერთ დღეს ჩემ ბინაზე ჩულქები ცოლისათვის და შოკოლადი ბავშებისთვის. იქვე აეხსნა, რომ მას, როგორც მსახიობს, — ის ხომ ყოფილი ბალერინაა, — ეს სამკაულები დარჩენილი აქვს მშვიდობიანობის დროიდან. შოკოლადზე ეთქვა, რომ ის ჩამოუტანა მას ვიღაცამ ფრონტიდან. სიმართლე ვითხრათ, მე დავიჯერე. მე რომ ცყოფილიყავი სახლში, ამ საჩუქრების მოტანისას, მე დარწმუნებული ვარ, რომ არ მივიღებდი, მაგრამ, რადგანაც ცოლმა, მიიღო ის ჩემი არ ყოფნის დროს, ჩემთვის უხერხული იყო უკვე უკან დაბრუნება ნაჩუქრის. არც ის მინდოდა, რომ ცოლს გული მოსვლოდა ჩემ საქციელზე. ჩემი სისულელე იყო, ალბად, რომ ყვე-



ლა ამას, მე ყურადღებასაც არ ვაქცევდი. ის რომ, ვალცმა აიღო ჩოტკინებიდან ოცი გირვანქა ოქრო ქრთამად შეიღის განთავისუფლებისას, მე დღეს პირველად გავიგონე. მახსოვს, რომ ვალც ჩოტკინის საქმეზე განსაკუთრებით მონდომებული იყო. ჩემში მაშინ პატარა ეჭვიც შეიპარა, მაგრამ ჩოტკინი იჯდა სრულიად უდანაშაულოდ, ჩვენი კანცელიარიის საქმეების არევის გამო, რომელიც გამოიწვია გამომძიებელის მოულოდნელმა წასვლამ, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ვალცი არა, კიდევ დიდხანს იქნებოდა დაპატიმრებული ჩოტკინი.

— თქვენი სიტყვით, ისე გამოდის თითქო ვალცმა აიღო ქრთამი საქმისთვის? — ირონიულად წამოიძახა შუსტრიმ.

— თავი დაანებეთ! ხელი ჩააქნია სტეფანემ.

— ამდაგვარადვე, არასოდეს არ მოვიხდენია მე განკარგულება ორდერის დუბლიკატის გაცემის შესახებ. ერთის სიტყვით, ყოველგვარი ეჭვი ჩემი ხეკვისთან კავშირის შესახებ, ოქროს ალებახე და ვალცთან ბინძურ დამოკიდებულებაზე, ეს არის მხოლოდ სისულელე და სხვა არაფერი. ერთ საღამოს, მართლაც ცდილობდა რაღაც ამდაგვარს, დაჯდა ჩემ ახლოს ტახტზე და დაიწყო ლაპარაკი სიყვარულზე, — მე მაშინ მეჩვენა, რომ ეს იყო გულწრფელი თქმა, მაგრამ მე მაინც იმთავითვე ჩამოვიცილე. თუ შიკრიკმა ყური მოკრა ჩვენ ლაპარაკს, ის დაამოწმებს მასვე, რასაც მე ეხლა ვლაპარაკობ. ასეთივე სულელური ამბავი შეუქმნიათ პავლოვის შესახებაც. მე ის ყოველთვის საეჭვო პიროვნებათ მიმაჩნდა. ამაზე ლაპარაკიც მქონდა კაცმანთან. გადავწყვიტეთ პავლოვის სამსახურიდან დათხოვნა. მაგრამ საქმეები ირგვლივ ისე მიმდინარეობდნენ რომ, უბრალოდ რომ ვთქვათ, არც გვცალოდა მისთვის. აი ყველაფერი. სამწუხაროა, ამხანაგებო, რომ ყველა აქ ჩამოთვლილმა ამხანაგ იუჟანინის ობიექტიურ მოხსენებაში მიიღო რაღაც გრანდიოზულ დანაშაულის სახე.

— ასევე უნდა ითქვას ორგების შესახებ, — განაგრძო მან. — რომელ ორგებზეა ლაპარაკი? სად ხდებოდა ორგია? თუ ჩვენთან მოაქვთ ჩამორთმეული დვინოები და ისინი იკარგებიან უკვალოდ, ეს ცუდია და უფრო მეტიც, ეს სამარცხვინოა. მაგრამ ყველაფერს, ხომ ვერ შეამჩნევ! აქ არაფერ შუაშია იგავები ორგების შესახებ, რომელსაც ამხანაგ იუჟანინი მოყვა. როგორც არ უნდა აიღოთ: მე ხომ ზუდინი ვარ, მე ხომ მოარშიყე ბუნება არა მაქვს! გადაკრა ზუდინმა შუსტრის.

— მით უმეტეს! წამოიყვირა, როგორც ნემსებზე მჯდომმა — უკანასკნელმა.

— გეყოფათ! — ჩაუქნია ხელი ორთავეს სტეფანემ.

— მაგრამ! რაც ყველაზე მეტად უბეში და აუტანელი ბრალდებაა, ეს არის ჩემი გამტყუნება ტერორში, რომელიც მე თითქო საპროვაცაციო მიზნით ჩავიდინე მგონი, ასე განმარტა ეს ბრალდება ამხანაგმა იუჟანინმა, მე დაეხვრიტე, როგორც ყაჩაღმა, ასეული უდანაშაულო მოქალაქეთა, ამხანაგ კაცმანის მკვლელობის საპასუხოდ?! რაც გინდათ თქვით ამხანაგებო, მაგრამ მე ეს ბრალდება ვერას გზით ვერ გამიგია; პირველად ყოელისა, — ეს იყო არა პირადი ჩემი დადგენილება; ეს დაადგინა მთელმა კოლეგიამ და იმ სხდომას დაესწრენ აგრეთვე ამხ. თომინი

და იგნატიევი. მართალია, მე პირველი მოვითხოვედი მათ დახვრეტას, მაგრამ მაშინ განა ეწინააღმდეგებოდა რომელიმე მათგანი ჩემ შეხვედრას?

— თქვენ ყველა ტერორ ქვეშ გყავთ! ჩაუმატა შუსტრი.

— ან იქნებ, გვიანი მონანიება, — ბოროტად ილიმება ზუდინი — ატანს ვისმე ძალას და მიუთითებს უკან დახვეაზე? რა უყოთ, იქნებ დადგეს დრო და ჩვენვე გავასამართლოთ ჩვენი ამხანაგები ჩვენივე ლუზუნგების და დირექტივების ენერგიულად გატარებისთვის? მაგრამ მე არ მეშინია პასუხისმგებლობის და თუნდაც კიდევ რომ განშეორებულყო ისეთივე მდგომარეობა, მე მოვიქცეოდი ისე, როგორც პირველ შემთხვევაში და არა სხვაგვარად.

— რასაკვირველია, ეს სისულელეა! — ბურღულეებს სტეფანე და ტკაჩევიც ნელ-ნელა წევს თვალებს ზუდინისაკენ.

— მე მოვკალი ასეული დატუსაღებულთა, — გარკვევით ლაპარაკობს ზუდინი, — და სრულებითაც არ გამიწევია ანგარიში მათი დანაშაულის ხარისხისათვის. განა არსებობს საერთოდ დანაშაული? განა ბურჟუა დამნაშავეა რომ ის ბურჟუაა, ან ვეშაპი დამნაშავეა იმაში, რომ ის გაჩნდა ვეშაპათ? განა ჩვენ არ ვიღებთ ჩვენ რიგებში, ჩვენი მხეცურად მოწინააღმდეგე კონტრრევოლუციონერებს, თუ ისინი დგებიან ჩვენ პლატფორმაზე? და განა ჩვენვე არ ვსვამთ სარდაფებში მეტად ნიჭიერ მუშაკებს, რომელთაც წარსულში ბევრი რამ გაუკეთებიათ, მაგრამ ესლა ზედმეტია? გულწრფელობით თუ სისულელით ემსახურებიან კაპიტალისტებს? განა ასე არ არის?!

თქვენ გინდათ თქვენი თავიც მათ რიცხვში მოაქციოთ? ილიმება შუსტრი.

— ჩემი თავი?! — უცვირს ზუდინს! — არა, მე ვლაპარაკობ, რომ უფლება მქონდა დამეხვრიტა ასეული დატუსაღებულთა, იმისდა განურჩევლად, იყვნენ თუ არა ისინი დამნაშავენი, რადგან დანაშაული ასეთი მეშჩანური გაგებით, ჩემთვის არ არსებობს. აი ყველაფერი, მაგრამ არ იფიქროთ აგრეთვე, ამბ. იუჟანინ, რომ მე მინდოდა შური მეძია ჩვენი მტრებისა ამ პატარა ხროვაზე. შურისძიება ყველაზე ნაკლებ მალფრთოვანებს მე. შურისძიება უბრალო თავის მოტყუილებაა! და მე მაინც, თუ თქვენ გინდათ იცოდეთ, დავხვრიტე სრულიად უდანაშაულო ტუსაღები!

— საოცარი მსჯელობაა! — ვერ ისვენებს სკამზე შუსტრი.

იქამდე ტკაჩევემა შეხედა ზუდინს გამოცოცხლებულ მხერით, შჩეგლოვი კი სულ ერთიან გაწითლებული მისჩერებოდა მას პირში. მხოლოდ სტეფანე განაგრძობდა ფანქრით ხაზვას ქალაღზე.

— კაპიტალისტების ორგანიზაციამ მოკლა კაცმანი. არ არის საინტერესო, თუ ზოგიერთი ბრიყვი ესერები თავიანთ თავს კაპიტალისტების მტრებად სთვლიან. ეს სრულიად არ არის საინტერესო. საქმით ისინი კეთილსინდისიერად ემსახურებიან ბურჟუაზიულ ბანაკს და მის წარმომადგენლებს. მათი პირადი შეხედულებანი სრულიადაც არ ცვლიან საქმის ვითარებას, ჩვენ კი, ჩვენ ვაწარმოებთ კლასიურ ბრძოლას მსოფლიო მასშტაბით. დარტყმისთვის ჩვენ უნდა გვეპასუხა კონტრ-დარტყმით. მათ მოგვიკლეს პიროვნება, რადგანაც მათ არ ესმით საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი კანონები. მე კი ავიღე და დავარტყი პირდა-

პირ კლასს. მე მოესპე, რომელიც შემხვდა მათ რიგებში, მხოლოდ პირველი შემხვედრი, არც მეტი, არც ნაკლები. არ გინდათ კიდევ გაიმეორონ დაცემა? ნუ შეწუხდებით, მეტს ველარ გაბედავენ! იციან რომ მათვე დაუფრთხილებენ, ძვირათ.

მაგაში თქვენ არ გამტყუნებენ, — აწყვეტიანებს სტეფანე, — იქნებ თქვენ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე, მე აი აქ დავწერე და სტეფანემ გაუწოდა ქალაქი, რომელზედაც სხდომის დაწყებიდანვე სწერდა.

— რათ არ ყავდა ვალცს მიჩენილი თვალყურის მდევნებელი? როგორ შთაბეჭდილებას მიიღებენ ეხლა საგანგებო კომისიის თანამშრომლები და ფართო საზოგადოების წევრები, როდესაც მათში გავრცელდება ხმა, რომ ზუდინი იღებდა ქრთამს ცოლის საშუალებით?

— მართალია, ეს ჩემი დაუდევრობაა! ლაპარაკობს ზუდინი ხმა დაბლა.

— როგორ შთაბეჭდილებას? — მეტად ცუდს, კიდევ უფრო ნელი ხმით ლაპარაკობს ზუდინი.

— გაქვთ თუ არა თქვენ რაიმე კითხვები? მიმართავს სტეფანე ამხანაგებს. შეკითხვები შეწყდა. მხოლოდ შუსტრის უნდა რაღაც სთქვას, მაგრამ, როდესაც ხედავს რომ ის ითხოვს ლაპარაკის უფლებას, საქციელ წამხდარი იფარებს ხელს გაღებულ პირზე. სტეფანე ჯერ რაღაცაზე ფუჩუნებს ამხანაგ ტკაჩევეთან, შემდეგ შჩეგლოვთან და ისინიც ეთანხმებიან.

— განკარგულება გაეცით, ამხანაგო შუსტრი, ჯერჯერობით მოათავსონ ამხ. ზუდინი იქ, სადაც აქამდე იყო!

— კომისია გამოგიძახებთ თქვენ და გამოვიცხადებთ თაყის გადაწყვეტილებას! — თავს უქნევს სტეფანე ზუდინს და თან საათს დასჩერებია.

ისევ რაღაც სიმძიმე დაეცა ზუდინს სხეულზე. ის დაბნეული ეძებს პალტოს სკამზე და არ აგონდება რომ მოვიდა უპალტოთ. როგორღაც უხერხულად გამოდის კარებს გარეთ. სრულიად ულონო და დამტვრეული. იგივე მორიგე აცილებს ძველ ოთახში, სადაც გაატარა წამების ხუთი დღე და ღამე.

რაღაც გრძელი, მძიმე ჯაჭვი ქაჩავს ზუდინს ხელზე და წინააღმდეგობის ღონეც აღარ არის. ის საცოდავად კვნესის და აღებს თვალებს. ნაცრისფერი დილა იხედება ფხიზლად; საწოლთან კი ასე მოულოდნელად დგას ამხანაგი ტკაჩევეი. ზუდინი ზეზე წამოიჭრება. ის გრძნობს როგორღაც სითბოს... თითქმის სიცხეს და გული სცემს, როგორც ტყვიისმტრქვეველი.

— მე გაგაღვიძეთ თქვენ, ამხანაგო?! როგორი რბილი ხმით ლაპარაკობს ის. ზუდინს სხეულის კანი ეწვის ალელვებისაგან და ოფლი გამოდის შუბლზე.

— მაგრამ ღრო არ არის მოცდის. უნდა ავჩქარდე. მე მომანდევს გადაწყვეტილების შეტყობინება. ის ჯდება ზუდინთან ერთად საწოლზე. ზუდინი ხარბად ეწაფება ტკაჩევეის მძიმედ დაშვებულ თვალების გამომეტყველებას.

— დიას! — დახვრეტა — უპასუხებს ის მოწყენით, რბილად და შეხედავს თვალებში.

— მე ეს ვიცოდი! — ფუჩუნებს ზუდინი და ალერსიანად იღებს ტკაჩევეის მარჯვენა ხელს, — მე ეს ვიცოდი.

ტკაჩევეი ხვნიშის.

— უნდოდათ თქვენთან შჩეგლოვის გამოგზავნა, იქამდე სტეფანესაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ ძალიან დიდი ხნის ნაცნობები ხართ. კარგი ადამიანიაო, ამბობენ:—ძალიან გვეცოდებაო, და ვერ წამოვიდენს! მეც კარგად არ ვიცნობთ და აი მე წამოვედი. ძნელია, ამხანაგო ზუდინ, ეს საქმე! თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ ჩვენ შურისძიების მიზანი, ან და კიდევ სხვა რამ გვექონდა მხედველობაში. არა, სხვა გამოსავალი არ არის! და ტკაჩევმა შეხედა ზუდინს თავისი ღრმად ჩაფარდნილ თვალებით.

— რასაკვირველია, ეს შუსტრის ბრაღია, — ყველას მოგვაბეზრა თავი, მაგრამ ისიც კარგი ბიჭია, პატიოსანი, დარწმუნებული, გულწრფელი, მართალია შორს მჭვრეტელი ვერ არის, მაგრამ ყველა ვარსკვლავებს ხომ ვერ გამოეკიდება. რასაკვირველია, ჩვენ მას არ დავეთანხმეთ.

— მე კი მგონია... თითქო შეშინებული კრთის ზუდინი.

— არა, ჩვენ ვმსჯელობდით უბრალოდ, ისე როგორც შენ, დანაშაული არ არის. არავითარი დანაშაული არა გაქვს. მეორე მხრიდან შეხედავ საკითხს და არც ასე დატოვება შეიძლება. უთუოდ რალაც უნდა მოხდეს, თუ არა და ჩვენი საქმე დაიღუპება. შენ გესმის: ჩვენ კი არა, ჩვენი საქმე! ან და რისთვის შეგეცოდა შენ ის დედაკაცი? განა ცოტა მივიღეთ მემკვიდრეობით ასეთი არამზადები. მერმე შენ ხომ ძველი რევოლიუციონერი ხარ?! შენ უნდა გეყურებინა მხოლოდ მთავარ მიზნისათვის საქმისათვის. დანარჩენისათვის გვერდი უნდა აგეხეია. მაგრამ, ცხადია, ჩვენ შენ არ გამტყუნებთ. განა ჩვენ არა გვყავს ჩვენი კერძო, საკუთარი ცოლები, საკუთარი შვილები? ხშირად ძმაო, მეტიც გვემართება. ჩვენ მოვათრევთ ხალხს, ჩვენ ბელადები ვართ! ხანდახან დგებარ ნიტინგზე, მოუდანზე, მოჭუტავ თვალებს: რამდენი თავია, რამდენი თავი შენ ქვეშ, თითქო ტალღებია ზღვაზე—ვერ ხედავ მათ დასასრულს. და ხომ იცი, რევოლიუციას, ქვეყნის გარდაქმნის საქმეს, სწორედ ისინი აკეთებენ და არა ჩვენ. ეს, ამხანაგო, მირაჟია, თავის მოტყუილებაა, თითქო ჩვენ ვაკეთებთ მას, რაც გვინდა მათი საშუალებით. სულელებმა იფიქრონ ასე. ჩვენ მხოლოდ მას ვაკეთებთ და მისი ვაკეთება შეგვიძლია, რაც ეთანხმება ზღვა თავების ნება-სურვილებს. ყველაზე მაღალი იდეა უნდა დაუკავშირო და დააყრდნო მასის გაუმაძღარ ინტერესებზე.

— ბიჭებო, გინდათ თეთრი ფრანგული ბულკები? აი ასეთი! — და ესერის ერთს, ორს გასაქინჯათ. იწყება ღრიალი, ტურბზე ქათვი გადმოსდით.

— მე გეტყვიო თქვენ, როგორ ვიშოვით ამას, იმდენს, რომ ყველას გეყოთ. მოწყევით უკან! შემოკარით ამ ბოძებს! დაანგრეთ ეს! — და ინგრევა თუჯის კედელი, როგორც დამპალი ფარატინა, მისთვის რომ ამას ჩადიან მასები, რომელთაც თითონ არაფერი არ იციან, მაგრამ სჯერათ, რომ აი ეხლა ისინი მიიღებენ ნანატრ ფრანგულ თეთრ ბულკს, მაგრამ კედელი დანგრეულია და ბულკი სულ არ არის და არ არის. მთელ ასეულობით იჭერ უნდოთ თვალის შემოხედვას, მაგრამ განა შენ მათ ატყუილებ? განა შენ თითონ არ გჯერა რომ გზა ბულკისაკენ მაინც იცი? და შენ უყურებ მათ დაჯერებით, გულწრფელი დაჯერებით მიჩერებისარ თვალებში, რადგანაც შენ მართალი ხარ, შენ არ

სტყუი. შენ ერთად ერთი, ერთგული ხარ ამ უდიდესი ინტერესის. — ნელი-ნელ წყნარდებიან.

— სად არის ბულკი?

— ამხანაგებო! თქვენ მეტად მოუთმენლები ხართ. თქვენ აღით ჯერ მხოლოდ პირველ საფეხურზე. აივსეთ ზიზლით და სიბოროტით თქვენი მტრის მიმართ და ასე მეგობრულად წაეიდეთ წინ. ან იქნებ თქვენ არ ხედავთ, რომ შეპირებული ბულკი თქვენ თანდათან გაახლოვდებათ...

— ვხედავთ, ვხედავთ, რასაკვირველია! — ყვირიან ისინი ალტაცებულნი, მაგრამ ისინი სრულიად არაფერს არ ხედავენ. არ შეუძლიათ მათ ასე მალე დანახვა მათ მხოლოდ გულწრფელად სჯერათ რომ ყველაფერს ხედავენ.

— შენ ისინი მიგყავს და მათ შენ ბრმათ უყვარხარ, თითქმის გაღმერთებს. შენ ხარ მათი გმირი, მათი ორდენის კავალერი, მათი ღმერთი, დიქტატორი, კეთილი ეშმაკი, ერთი სიტყვით ყველაფერი. შენ ანგრევ მათთან ერთად ყველა დაბრკოლებებს, და ეს მასსა, როგორც ერთი კაცი, მზად არის შენი გულისთვის თავი დასდოს. ბულკისთვის? შენ გახსოვს დანაპირები, მაგრამ მასსას ის თანდათან აფიწყდება! ის გატაცებულია უჩვეულო გაქანებით, თვითონ ბრძოლის პროცესით, მაგრამ არ იფიქრო, რომ შენ შეგიძლია გაიყოლო ეს მასსა, მხოლოდ გატაცებით. კანდელი ამ ბულკისა უნდა ანათებდეს ყოველთვის; უფრო ნათლად და უფრო ახლო უნდა ჩნდეს იგი. მაშინ, მხოლოდ მაშინ უზრუნველყოფილია ჩვენი გამარჯვება. მხოლოდ მაშინ მზად იქნება მასსა შენთვის თავგანსაწირავად, შენი იდეისთვის თავდასადებათ, რომელიც, შეიძლება, არც ესმის, მაგრამ მშვენივრად იცის თავისი წინაღობით. ის გრძობს შენ იდეას შენში, შენ გულში, შენ ფორმაში, შენ წმინდა სიყვარულში. აი მაშინ ხდება პულსი, გული, ტვინი მთელი ამ წმინდა, დიდი ბრბოსა. და შენ შეგიძლია მასთან ერთად ახვიდეთ საზღაპრო მიღწევებამდე, რომელიც ჯერ კიდევ არ უნახავს ქვეყანას. მხოლოდ უყურე, თითონ არ შეცდეს. ყველაფერი გაიანგარიშე, აწონ-დაწონე, გასინჯე თითოეული პირადი თუ საზოგადოებრივი ნაბიჯი. შენ უნდა ამოიკნო საქმის დედააზრი, რომ შემდეგ, ახალ მოულოდნელ წინააღმდეგობის წინაშე, არ იგრძნო ნახევარ ჩრდილი უხერხულობისა, შენ მაშინ მზად უნდა იყო დასაყვირებლად: მზადა ხარ?!

— აი, შეხედე შენ თავს, როგორ მზარულად გამოიყურებიან შენი თვალები, როგორ მზარულად ისმენ ჩემ სიტყვებს. ეხლა კი შენ წარმოიდგინე, რომ ერთი ამ ძლიერ წინამძღოლთაგანი, რომელიც უკვირს მშვიერ და გაუმაძღარ წამებულთა მასსებს ბრძოლისაკენ, დანგრევისაკენ და მიღწევებზე მიუთითებს, — შენ ხომ გესმის ჩემი ნათქვამი? მიღწევა! — უცებ ილუნება და მალავს, არაფერზე არ ფიქრობს, ისე, მაშინაღურად, რაღაც ძველი ბრწყინვალეების ნაკუწს მალავს თავის ჯიბეში და ყველა ამას, გესმის, ხედავენ! შენ მხოლოდ იფიქრე!

ტკაჩევი ისევ ხვნეშით განაგრძობს:

— ძალიან მალლა ავედით ჩვენ ამხანაგო! ვერსად დაინალები! როგორ უნდა მოიქცე აქ? მთელი ბრბო იხევს უკან და ტყესავით იმართება მუჭი მასისა.

— მოლალატე, გამყიდველო! შეიძლება?... მაშ როგორ გგონია, ყველა

თქვენ ასეთები ხართ. დაარტყით მაგათ! — გაისმის საღლაც მხოლოდ ერთი ცივი ხმა. ან იქნებ შენ ფიქრობ, რომ ბრმა რწმენა ბრბოისე, მატყურადღურ თანასწორობაზე დღესდღეობით ამოწურულია?! აი თქვი, რუგორ იწითე ქვეყნით?! მხოლოდ ერთი წუთი დაგვიანების და ჩვენ ნაკუწ-ხაკუწად გავგხდით. აქ ახსნა გვიანიც იქნება და შეუძლებელიც. ბრბო არასოდეს არ გაიგებს თავის გამართლებას. ბრბოს ესმის მხოლოდ მარტივი: კი, ან არა. და მთელი საქმე, გესმის მთელი დიდი საქმე, საქმე მილიონების ბედნიერებისათვის ბრბოლისა, ის სულ უკვე მოპოებულია დიდი მსხვერპლით, რამოდენიმე თაობის სისხლით, უცებ უნდა გაქრეს, როგორც კვამლი, როგორც საპნის ბუშტი, ერთი პატიოსან ამხანაგის ბავშურ გაუფრთხილებლობისათვის, რომელიც დაიღალა და დაავიწყდა სად იმყოფება. ეხლა თქვი, რა უყოთ ამ ამხანაგს, რომ გადავარჩინოთ დიდი საქმე?!

— მოკალით! — ყრუდ წარმოსთქვა ზუდინმა.

— დიან, მოკალით! — ამოწმებს ტკაჩევი. და ჩვენ გკლავთ შენ მისთვის, რომ გადავარჩინოთ საერთო საქმე და გულწრფელად გამოგიწოდებთ ხელს გამომშვიდობებისას. — ტკაჩევი მაგრად ჩამოართვა ხელი ზუდინს და ადგა.

— რასაკვირველია, ეს ყველაფერი მეტად სამძიმოა, საშინელებაა, რომ გაერკვიო ამ საქმეებში, ისე, როგორც ეს საჭიროა. აი, მაგალითად, ამხანაგი შჩეგლოვი ამბობდა ასეთ რამეს. არ გადაგვეწყვიტა შენთვის დახვრეტა და სადმე მიგვემალეთ, საზღვარგარეთ არალეგალურ სანუშაოზე ან, სადაც იქნებოდა, ისე კი ყველასათვის გვეჩვენებინა, რომ შენ დაგხვრიტეს. მაგრამ ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელია, ამხანაგო ზუდინ, ასეთი საქმის დამალვა, უთუოდ გაიგებენ... ძალიან ვჩანდით, ამხანაგო ზუდინ, ეხლაც შეგვამჩნევენ ყველაგან. და ასეც რომ არ იყოს, ჩვენ ხომ პარტია გვაქვს და პარტია კოლოსალური სიმტკიცის. და ვინ არა გვყავს ჩვენ? ნუ ვილაპარაკებთ საექვო პირებზე გალიფეში და ვენგერული ფეხსაცმელებით, რომელნიც ხარბად აცეცებენ თვალს აქეთ-იქით და, რომელთაც სჭირდებათ თვალის დევნება და კიდევ როგორი! რამდენია ჩვენთან ისეთი, რომელიც ხელი-ხელ ჩაკიდებული მოდის ჩვენთან ერთად, მაგრამ საკმაოა გამოჩნდეს პატარა დაბრკოლება, რომ შიში აღიბეჭდოს მათ სახეზე და აი, ეხლა, რომ გაუცხადოთ ჩვენ იმ ამხანაგებს: იცით რა, ზუდინი სრულიადაც არ არის დამნაშავე. როგორ ფიქრობთ, გაიგებდნენ ისინი რამეს? დაგვიჯერებდნენ?! ნუ იფიქრებ, რომ ეს ხდება მაშინ, როდესაც ჭვეყნის გადაკეთებისთვის ისინი გადააკეთებენ თავიანთ ტვინებსაც, არა ეს ხდება ეხლა, გესმის?! არავინ არ დაიჯერებს! მოიგონე შესტრი მაინც და, იცი შენ, რას იფიქრებენ?! — ტკაჩევი ხელი ჩაიქნია გულმოსულად: ეშმაკმა იცის რას იფიქრებენ!..

— შენ კი როგორ გგონია, ასეთი საფრთხე, შოკოლადის, აბრეშუმის, ბალერინების, ოქროს, ღვინოების, მუსიკის, კონფეტების და სხვების სახით, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენენ დიდ სახიზლოვებას და პირიქით, — მაგრამ ეხლა, დღეს-დღეობით ყველა ეს, არ არის მისაღები მისთვის, რომ მთელ მასსაც ის არ ეყოფა. ან იქნებ შენ ფიქრობ რომ ცდუნება არც ისე დიდია? ან და ჩვენ შეგვიძლია დავიკვებოთ, რომ ჩვენ შორის არიან ისეთები,



რომელთაც ბერის მოთმინება აქვთ? თუნდაც ასე... რას იტყვიან დანარჩენები მაშინ, როდესაც გაიგებენ რომ ძველი, გამოცდილი და, როგორც სწავლის, პატიოსანი ზუდინი, რომელმაც ასე „ურცხვად მოატყუილა“ თვალსაზრისით, ძმაო, უთუოდ „მოატყუილა“ და, რაც მთავარია, „ურცხვად მოატყუილა“, რადგან აიღო ქრთამი შოკოლადით, აბრეშუმით და ოქროთი, უკანასკნელშიაც ვერ დაარწმუნებ შენ მათ, მისთვის რომ საუკუნეებით მათ უხდებოდათ ეჭვის თვალით ყურება და უცებ, წარმოიდგინე ამხანაგო, რომ ზუდინი გადაწყვეტილებით დახვრიტეს, საქმეზე კი არა... მას მალავენ... ვინ მალავს?... ბელადები მალავენ!!.. აი ბელადებიც!!..

— თუ ეს მოეწონებოდა ზუდინს, ჩვენც მივიღებდით ამას, მაგრამ სწორედ ამისათვის ვყვირით ხმამაღლა.

— შეუბრალებელი ტერორი! სისხლის საშინელება ყველა მათ, ვინც დაიღლება, ყველა მათ, ვისაც გყოფა სულელური გამბედაობა ჩაუდგეს მილიონებს სათავეში და ძალას თავისას წინასწარ არ გაზომავს.

— და შენ შეხედე, დააკვირდი, სწორედ ამის შედეგია ის რომ ჩვენ შეუდარებელი სისწრაფით და ძლიერებით მივდივართ წინ. რა უყოთ, თუ მცირე ნაწილი ჩამოგვშორდება, დაიმსხვრევა ბრძოლის დროს. ბრძოლა მსხვერპლს ითხოვს.

— შენ იცი, რომ ჩვენ მალე მივალწვეთ მიზანს, თუ დაერჩით მხოლოდ გულწრფელი, პატიოსანი და შეუბრალებელი, სხვების და ჩვენივე თავის მიმართ! აი როგორია ზუდინი, ჩემი და შენი ხვედრი!

— ეხლა კი სხვა წვრილმანებზე! ჩვენ დავადგინეთ სასჯელი სისრულეში მოყვანილ იქნას დღესვე, საღამოს. ასე არ არის?—და ტკაჩეევმა ისევ ჩამოართვა, ხელი.—ვალც და პავლოვ ალბად დახვრიტეს კიდევ ამ დღით.—ის გაჩუმდა. ამას გარდა, ამ დღეებში ითხოვდა შენ ნახვას შენი ცოლი, თან ახლდა ბავშვები. ჩვენ უარს ვუბნებოდით დღემდე. ისინი ეხლა უნდა მოვიდნენ ძირს კომენდანტთან და შენ გადაწყვიტე, მიიღებ მათ თუ სჯობს უარი უთხრათ?

ზუდინი დაიბნა და თვალეებზე ხელი დაიფარა.

— მოვიდნენ!— ჩაილულულა მან.

— მაშ ნახვამდის!

— ნახვამდი!

გული ნუ მოგივა, ძმაო, ყოჩაღათ იყავი!

მაგრამ ზუდინს მეტი აღარ შეეძლო და უღონოთ დაეშვა საწოლზე. დიდხნის წინად, ჯერ კიდევ ბავშობისას, ისე როგორც ეხლა, წოლილა ის ხშირად ასე, მაგრამ ის არ მისჩერებოდა მაშინ ჭერს. ის უყურებდა რაღაც ახლობელს: ცისფერს, უძირო ცას, მაშინ პატარა ხელები, ჩაჭიდებული იყო მიწას, მას ეშინოდა გადავარდნის, მაგრამ ისეთი სიმშვიდე იყო ირგვლივ, ისეთი მხიარული განწყობილება და ამავე დროს გრძნობდა რაღაც მოწყენისს, საშინელ მოწყენის და სრულიადაც არ უნდოდა ეფიქრა, რომ იქ, პატარა ტახტში, ელის დედა, მრეცხავი დედა, რომელსაც პატარა ლიოშა მიუტანს დუქნიდან ლილას. სწორედ ასეთი მოწყენა იგრძნო ზუდინმა. არ იცის კი რად. არ იცოდა რად მოვიდა ეს

მოწყენა მაშინ, ან რად არ მოდის ეხლა, მაგრამ კორიდორში ისმის ხმამალალი და ნაცნობი ხმები. ზუდინი ზეზე წამოიჭრა, ლოგინი გასწორდა და მალდატანებითი გაღიმებით ტუჩებზე ხედავს, როგორ უახლოვდებიან მის ლიზას. კაპის კალთებზე ხელი უჭირავს მიტიას და მაშას.

— იმავე ძველ ტანსაცმელში, ძველ ჩუსტებში, გაიფიქრა ზუდინმა და თითქო მხიარულად გაუწოდა ხელი.

— მაშ ასე, გამარჯვებათ! მოგწყინდათ ალბათ!.. შეგეშინდათ? გამომცდელი თვალებით ჩახედა ლიზას, რომელიც სკამზე ჩაიკეცა.

— ლიოშა გენაცვალე! რა არის, რა მოხდა? და ქალი აქვითინდა.

— ეხ ლიზა, რა მტირალა ხარ! რა მოხდა ასეთი? დამაპატიმრეს ორიოდ დღით. მე მგონია, უნდა მიეჩვიოთ ასეთ რამეს?! რა არის აქ გასაკვირველი?

— კი! მაგრამ, მაშინ უანდარმები იყვნენ და ეხლა... ეხლა ხომ ყველა ჩვენებია!.. და ყველანი ლაპარაკობენ რომ ჩვენ დავიღუპეთ, რომ შენ უკვე დაგხვრიტეს, თითქო შენ გინახეს რალაც ოქრო, შოკოლადი... ლიოშა, გეთაყვა! — ეს გცდიან ხომ. გეთაყვა... გცდიან გენაცვალე, გაიგე... — და ლიზა ისევ ისე აქვითინდა... ცახცახებდა მთელი სხეულით.

— რა უყოთ, რას არ იტყვიან, შენ ხომ იცი თვითონ სიმართლე? მაშ რა გაშინებს?! ეს დედაკაცური ქორებია. — მაშ რა გგონია; კარგი, კარგი, ნუ ტირი, გეყოფა... ეხლა უკვე ყველაფერი გათავდა და სატირალი აქ არაფერია!.. აბა გაიღიმე გენაცვალე, რა დაგემართა?..

— მიტია, მაშა, მოდით, დაჯექით მამას მუხლებზე, მე თქვენ გაჩვენებთ როგორ მიაქენებენ ცხენებს ყაზახები. ნუ გეშინიათ, აი ასე. ეხლა ხელი მაგრად ჩაკიდეთ ჩემ სახელოებს. — მიდიოდა ყაზახი, ერთი, ორი!..

მაშინვე ჩამოუშვა ბავშვები დაბლა.

— რა დაგემართა ლიზა, შენ კიდევ ტირი? ასე დაუსრულებლათ უნდა იტირო? რაზე თორემ, კიდევ იტყოდა კაცი!

— ლიოშა, მე შეშინია, მე არაფერი არ მესმის; რა?! რისთვის?!

— არაფერი არ არის აქ გასაგები. თეთრგვარდიელებმა ისარგებლეს იმით რომ მე და შენ მივიღეთ საჩუქრად შოკოლადი და ააშენეს ამაზე ერთი ამბავი, და აი მეც დამიჭირეს, რომ გაეგოთ ეს ასე იყო თუ არა; ჩხრეკა მოახდინეს, ეხლა გამოარკვიეს რომ ყველაფერი ტყუილი ყოფილა და საქმეც გათავდა.

— ეხ, ლიოშა, ლიოშა, მე კი ისე შეშეშინდა. მეც ხომ დამაპატიმრეს იმ დღეს! მთელი ბინა გაჩხრიკეს და ორი დღე და ლამის განმავლობაში მე ბინიდან გამოსვლის უფლება არ მქონდა, — კარებთან ყარაული იდგა. ჩვენ ეზოში ყოველ კუთხიდან მოგროვდა ხალხი და ფანჯრების ჩამტვრევას ლამობდნენ: — ბურ-უუიცი და ჩვენიანიცი. ძლივს-ძლივობით გარეკეს. შემდეგ მოვიდა ვილაც პატარა, სულ ერთიან გაპარსული, ხელში პორტფელით; სულ მეკითხებოდა ავიღეთ თუ არა მე ან შენ ოქრო. მე სულ ვცახცახებდი! — თითონ არ ვიცი რატომ. ყველანი ლაპარაკობდნენ, რომ შენ უკვე დაგხვრიტეს. შემდეგ ყარაული მოხსნეს და მითხრეს, რომ უფლება ნაქვს თავისუფლად სიარულის. მხოლოდ, აი, შენთან

არ მიშვებდენ. მეც, სიმართლე რომ ვთქვა, მეშინოდა ჩვენ ეზოდან გამოსვლი-
სა და სახლში როგორ უნდა გამეძლო?..

შემდეგ იცი რა საძაგელ ხმებს ავრცელებდენ შენს ^{შესახებ} შენ...
ცხოვრობდი... ვალცთან!— და ღიზა გაწითლდა...

— ღიოშა, როგორ დავიჯერო, რომ ეს სიმართლეა? შენ?— შენ მომატყვი-
ლე მე?

— რას ლაპარაკობ ღიზა, რა სისულელეა! მე ისევ ის ვარ, შენი ერთგუ-
ლი ალექსეი!

ღიზამ ამოიოხრა.

— რა იქნება ამის შემდეგ? შენ ლაპარაკობ რომ საქმე გათავდა? მაშასა-
დამე შენ გამოგიშვებენ ისევ, არა? თორემ უშენოთ ჩვენ დავიღუპეთ. ღმერთო,
როგორ გამხდარხარ ღიოშა! ნუ თუ შენ აქ არაფერს არ გაქმევენ?!

— დაწყნარდი: მაქმევენ ძალიან კარგად, გამხდარი კი იმისთვის ვარ, რომ
გავცივდი და ავადაც ვიყავი. ეხლა კი კარგად ვარ. ხვალ თავისუფალი ვიქნები
მხოლოდ იცი რა, ღიზა, ეს მეტად საწყენი საქმეა. აღმოჩნდა, რომ ვალცი ყო-
ფილა უბრალო თეთრგვარდიელი და ქურდი. მე მან ისე მომატყვილა, რომ ამის
შემდეგ მე არც შემიძლია დაურჩე რუსეთში. ცეკა სასწრაფოდ მაგზავნის მე
საზღვარგარეთ, ავსტრალიაში სამუშაოდ. ეს ძალიან შორს არის და მივლინება
გასტანს მეტი რომ არ ვთქვათ, ერთი წელი; შეიძლება მეტიც, არ ვიცი კარ-
გად. ეს მით უფრო საწყენია, რომ ამ ხნის განმავლობაში მე ვერ შევძლებ წე-
რილების გამოგზავნას. ავსტრალია ხომ ოკეანეს იქეთ არის, დედამიწის ბურ-
თის მეორე მხარეს. შესაძლებელია რამდენიმე წელიც დავყო, ათი წელი ან იქ-
ნებ მეტი. და რა უნდა ვქნა, განა რევოლიუცია და მთელი ქვეყნის ბედნიერე-
ბა ჩემთვის უფრო ძვირფასი არ არის? შენ თითონ თქვი?!

და ის ალერსიანად ჩაყურებს ღიზას აცრემლებულ თვალებში.

— ღიოშა, შენ ხომ იცი, რა უბედურება იქნება ეს ჩემთვის, დაობლდე,
დარჩე მარტოდ-მარტო მთელ ქვეყანაზე, უშენოთ?! ღიოშა, ჩემო საყვარელო
ღიოშა, უარი განაცხადე როგორმე! განა შენ თითონ ძალიან გინდა წასვლა?
ნუ... ნუ... ნუ წახვალ, გეთაყვა!

— რა სისულელეს ლაპარაკობ, შენ რომ გკითხონ: რევოლიუციონერის
ცოლი ვარო, იტყვი. შენ უნდა იამაყო იმით, რომ შენი ქმარი სტოვებს ოჯახს,
სტოვებს სამშობლო მხარეს, ასე დიდი ხნით, იქნებ სამუდამოთაც, მისთვის რომ
ქვეყნის მეორე მხარეზე იბრძოლოს თავისუფლებისთვის და სიმართლისთვის.
ღიზიკო, გენაცვალე, შენ მხოლოდ წარმოიდგინე ეს, განა ეს არ არის საამაყო?!

ჩამოვარდა ყრუ სიჩუმე, მხოლოდ ხანდახან ისმოდა ღიზას ამოსუნთქვა.

— შენ აქ არ დაგტოვებენ: ბავშვებს დაეხმარებიან, ერთი სიტყვით შენ
არ დაიკარგები. მართლაც და იქნებ მე სრულიადაც არ დაებრუნდე. მე არ მე-
წყინება თუ შენ გათხოვდები, ოღონდ კაცი უნდა ნახო გამბედავი და პატიო-
სანი. პირიქით, ეს იქნება უფრო ბუნებრივი, ვიდრე დამყავება მონაზონივით
წარსულის მოგონებებში. ბავშვებს, რასაკვირველია, არ დაივიწყებ. მათგან უნდა

შექმნა კარგი და მაგარი ხალხი, რომელთაც შეეძლებათ ცხოვრების სადაუს თავისებურად ხელში აღება.

— ლიოშა მე მეშინია: შენ ისე საოცრად ლაპარაკობ ხარ, თითქო მართლა გვემშვიდობები, ან იქნებ მიმაღავ რაღაც საშინელ ამბავს?

— აი სულელი! რა უნდა დაგიმალო? დიდი საფრთხე მე არ მომელის, ასე რომ იყოს ხომ იცი სხვა გვარად დავიჭერდი თავს, მე ისევ ფხიზელი თვალით უყურებ საქმეს და გეუბნები: ძალიან მალე მე უნდა გავემგზავრო ავსტრალიაში, ასე რომ შეიძლება შენი ნახვაც აღარ შემიხვდეს. მე მეშინია, რომ ბრძანება ჩემი გამგზავრების შესახებ მოვა დღესვე ან ხვალ დილით მაინც. მაშინ ეს შეხვედრა იქნება, რასაკვირველია, უკანასკნელი. ამისათვის, მოდი, გამოვემშვიდობოთ კიდევ ერთმანეთს თითქო სამუდამოთ. უფრო სასიხარულო იქნება ახალი შეხვედრა, თუ კი ის მოხდება. აი ყველაფერი! — და ისინი ერთმანეთს გადაეხვიენ

უცებ ზუღინი წამოდგა და ბავშვებს დაუწყო ფერება. ხელებს უსვამდა თავზე, ხან ერთს, ხან მეორეს.

— ეხ ლიოშა, შენ რომ შეგეძლოს წარმოდგენა იმისა, რა მძიმეა ჩემთვის ყველა ეს, თითქო მთელი ჩვენი ცხოვრება უცებ დაიხურა. რასაკვირველია, მე შენით ვამაყობ და მერე როგორ, რომ იცოდე! შენ ხომ ჩემი სინათლე ხარ ერთად-ერთი! შენ ხომ ისეთი არა ხარ, როგორც ყველანი არიან. ამისათვის მიყვარხარ და ეს სიყვარული ცილდება მონობის საზღვარს. მაგრამ ცხოვრებ უშენოთ მე ვერ წარმომიდგენია. ისიც მაშინ, როცა იცი, რომ სადღაც შორ დახეტიალობს ის, შეიძლება მოკვდა კიდევ და მე ეს არ ვიცი... ახ, ლიოშა ლიოშა! ნუ თუ ეს სიმართლეა. მე კიდევ მგონია, რომ ჩვენ გვცდიან. შენ გესმის! — მთელი სიცოცხლის განმავლობაში, დღიდან შენთან შეხვედრისა, მე, როგორც შეჩვენებულს, დამდევს ყველგან წამება. ეხლა კი საბოლოო გადაწყდა..

ლიზა გაჩუმდა, იატაკს დააჩერდა; თითქო უნდოდა იქ მოეძებნა რაღაც, მაგრამ ვერაფერი ვერ მოენახა.

— ლიზა, აქ ვადა ნახვისა გრძელდება სულ ათი წუთი, ასეთია წესდება, ხომ იცი. მე ვშიშობ, რომ ჩვენ ბევრი გადავაცილეთ კიდევ. ადექი, წადი, ჩემო სიხარულო. ხვალ დილით კი ისევ მოდი, ხოლო წინასწარ შეეკითხე კომენდანტს ჩემი წასვლის შესახებ?

ლიზა ადგა. მოიძებნა თბილი თავსაფარი, რომელიც იქვე ეგდო.

— იცი კიდევ, ლიზა, როგორ დამავიწყდა მეთქვა შენთვის ის, რაც მთავარია ამ საქმისთვის. ის, რაც მე შენ გითხარი აქ, არის პარტიის უდიდესი საიდუმლო. ამის შესახებ არავინ, არასოდეს არ უნდა იცოდეს! — შენ გესმის? შენ უნდა შემომფიცო მე, რომ არავის, არასოდეს ამის შესახებ არ ეტყვი არაფერს, წინააღმდეგ შემთხვევაში მე დაგილუპები. შენ გესმის? არავის გარდა შენისა და ცეკას სამი წევრისა არ ეცოდინება ეს. ყველა დანარჩენებს გამოუცხადებენ, რომ თეთრგვარდიელების მინდობისათვის ზუღინი დახვრიტეს. გესმის, ასე იქნება ყველგან დაბეჭდილი: მინდობისათვის, ქრთამისათვის, სხვაგვარად არ შეიძლება. მაგრამ ყველაფერი ეს იქნება ტყუილი. შენ ეხლა იცი ნამდვილი სიმართლე, რომ მე ცოცხალი ვარ, მაგრამ გავემგზავრე შორს, აი ყველაფერი.

— მშვიდობით ლიზიკო!.. იყავი შეუდრეკელი და ღირსი შენი სახელისა! — მან საჩქაროდ გადაკოცნა ბავშვები, მაგიდაზე იდაყვ დაყრდნობულოდ მიჩერებოდა როგორ გავიდა დერეფანში, ტირილისაგან მოხრილბ [ცოცხალი] ხეხარ ეკვროდნენ მის კაბას ბავშვები და შემდეგ... შემდეგ საღლაც დაბლა გაისმოდა ნაცნობი ძვირფასი ხმები.

მხოლოდ მაშინ ველარ მოითმინა ზუდინმა, დაეცა საწოლზე და უხმოდ აქვითინდა.

ეხლა ყველაფერი გათავებულია. წინ არის მხოლოდ პატარა მოსაწყენი და ცბიერი დრო სიკვდილისა.

— „ყველაფერი გათავებულია“! — რამდენ ხალხს უთქვამს ეს სიტყვები და არ ესმით რომ სტყუიან; ფიქრობენ რაღაც საშინელზე, რომელიც აი ახლა უნდა დაიწყოს ნაცვლად ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებისა. განა უკეთესი არ იქნება რომ თქვან: „იწყება რაღაც საშინელი“, არა, ისინი ამბობენ: „ყველაფერი გათავებულია“.

— აი, აქ კი გათავებულია, მართლაც გათავებულია, გაიფიქრა მან, — წინ აღარ არის არაფერი, სრულიად არაფერი, იქამდე სიკვდილიც არ არის, რადგან მე მას არ ვიცნობ. ვიგრძნო, შეიძლება, ტკივილი, ფიზიკური ტკივილი და ისიც წუთის ერთი მეთაედის განმავლობაში. მაგრამ სიკვდილს, თითონ სიკვდილს — მე ვერ ვიგრძნობ, რადგანაც ის არ არსებობს. ცოცხალი ადამიანისთვის ის არ არსებობს და მიცვალებული კი მას არ გრძნობს. რასაკვირველია, თავისი, პიროვნების თვალთახედვით, დაშორდე სიცოცხლეს ეს დიდი საშინელებაა! — და ის დაფიქრდა.

— საწყენია აგრეთვე ისიც, რომ დამხვრეტენ და ყველას ეტყვიან რომ, ის არამზადაა, ზუდინი, ყოფილი თავმჯდომარე საგუბერნიო საგანგებო კომისიისა, მოხვდა ხაფანგში ქრთამის აღებისათვის და დახვრიტეს რევოლუციონურ სამართლიანობის სახელით.

მას მოაგონდა შუსტრი და გაიღიმა.

— როგორი აუტანელი შეურაცყოფა იქნება ბავშვებისათვის გაგონება ყველასაგან შენაძაგებ სახელის. გაიგებენ ყველაფერს დაწვრილებით და გაკიცხავენ მშრომელ მასას. ნუ თუ არ შეიძლებოდა უამისოთ?! რათ არ შეეხო ამ კითხვას ტკაჩევთან ლაპარაკის დროს! არ მოიფიქრა. არ შეიძლება, გვერდის ახვევაც არ შეიძლებოდა არას გზით. მთელი დედააზრი ხომ იმაშია, რომ რაც შეიძლება მალე გაკეთდეს საქმე საერთო ბედნიერებისა, აი ერთად ერთი, რასაც აქვს თავი სი ღირებულება, დანარჩენი კი... — და ზუდინი ჩაფიქრდა.

— ან და რა უშავდა რომ ის დაეხვრიტათ და შემდეგ გამოეცხადებიათ, რომ დახვრიტეს უპატიოსნესი ამხანაგი? როგორი სისულელე გამოვიდოდა. ვერაინ ვერაფერს ვერ გაიგებდა ამ საქმეში. იტყოდნენ: — თუ დამნაშავე არ იყო, რად კლავდნენ, ალბად ვერ იყო კარგად საქმეო. — და ყველანი დაიწყებდნენ ფიქრს იმაზე, რაც სრულიად არ არის საფიქრებელი.

— რამდენია ისეთი ამხანაგებიც, რომელნიც ხელოვნების სიყვარულისთვის სიამოვნებით კრებენ შოკოლადის ნარჩენებს, ყველა ამ ბალერინებს და მთელ

ნაგავს, როგორც ძველი კულტურის სიწმინდეს და ამ „კულტურისათვის“, ეც-
ლება უკანასკნელი ძარღვი არსებობისა ახალგაზრდა და უკეთესი ანთებულ
გულებს. როგორ არ შეუყვიროთ ამ მეძველეებს უხეშად, გაბედულად ჰერში, ისე
რომ შეყვირება გადიქცეს სისხლიან სილად.

— შეხედეთ ზუდინს! რა იყო ისეთი, წარსულის მოგონებამ დაავიწყდა
მომავალი. ის ჩვენ მოვკალით, როგორც ძალდი, ქუჩის ძალდი!

მაშ მიაწვებთ თავი ძველის ძველ ნაგავს, როგორი ძვირფასი და ლამაზიც
არ უნდა იყოს ის. იფიქრეთ მხოლოდ მომავალზე, მხოლოდ მომავალზე.

— ან იქნებ მოიძებნოს ისეთებიც, რომელნიც მუშაობითაც და ყოფითაც
დაშორდებიან მასას და დაიწყებენ ფიქრს იმაზე თუ როგორ გადაარჩინონ რე-
ვოლიუციის მასებიდან მუშებიდან, აჯანყებებიდან, მოიფიქრებენ, მივლენ შო-
კოლადიან ბალერინამდე და დაიყვირებენ:

— ჩვენ, კომუნისტები ვართ!..

— რა?! ზუდინი?! ან იქნებ თქვენ დაგავიწყდათ ის არამზადა?

— არა, ეს უმნიშვნელო, საცოდავი პიროვნება იყოს თქვენთვის სიმბოლო
გამყიდველობისა, სიმდაბლისა მუდმივ და მარად რევოლიუციის, პატიოსან საქ-
მის მიმართ. ამ ჟინიან მარად მოძრაობაში სულ წინ, მხოლოდ მომავლისათვის,
მხოლოდ საცოდავთა ბედნიერებისათვის ბრძოლაშია მთელი კომუნიზმი, ამისათ-
ვის ღირს სიცოცხლეს და დაცემაც.

ზუდინი მხიარულად და ამაყად გაიმართა. საჩქაროდ დაჯდა ისევ მაგი-
დასთან და მოუთმენლობისაგან აათამაშა თითები.




მ ნ ა ტ ვ ლ თ ბ ა



ჯანტყმის ქაიფი

პ. ანდიაშვილი



სამსახურის
სამსახურის

სამსახურის
სამსახურის

ი. ტოფაძე



ეროვნული სამხატვრო გალერეა

დღევანდელი ეროვნული სამხატვრო გალერეა ეკუთვნის ძველ მხატვრობას, დაწყებული მე-XV-ტე საუკუნიდან XIX-მდე. გალერეას აქვს დიდი ღირსება; აქ მოგროვილია, როგორც ევროპის მხატვრების კლასიკური ნაწარმოებნი, ისე ქართული და სპარსული.

გალერეის რესტავრაციის უკანასკნელ ხანაში ადმინისტრაციას მარჯვენა ოთახი დაუთმია თანამედროვე მხატვრობისათვის, სადაც მოუთავსებია ის სურათები, რომლებიც მთავრობის განკარგულებაში იყო.

თანამედროვე მხატვრობიდან აქ წარმოდგენილია:

მხატვარი გიგო გაბაშვილის 5 სურათი (ზეთის საღებავებით): ორი „სამარყანდი“. ორი — „ხევსური“ და ერთი — „წვიმიანი დღე“. გაბაშვილი მიუნქენის სკოლის დამთავრებული მხატვარია. აქ წარმოდგენილია ორი სურათი სამარყანდისა, სადაც დიდი ოსტატობით რუხფერებში და ნამდვილ ტიპებში ფეხზე დგება ზანტი აღმოსავლეთის ბუნება. მაგრამ ეს სურათები არ ჩაითვლება გიგო გაბაშვილის სამარყანდის სურათების საუკეთესო ნიმუშებათ. სამარყანდი მას უფრო ძლიერად აქვს გადმოცემული სხვა სურათებში. შესანიშნავია მისი ხევსურის ტიპი, მზით დამწვარ სპილენძის ფერ სახით და ლოთი თვალებით. აქ არის ბევრი პირველყოფილობა. გაბაშვილს აქვს თავისებური მიდგომა საგანთან. იგი ყოველ სახეს აძლევს ხავერდის ბუსუსებს, მაგრამ ეს ბუსუსები არ არის მტვერი, — იგი კოლორიტია. აქ წარმოდგენილ მის სურათებს შორის ყველგან განირჩევა მისი „წვიმიანი დღე“. ეს სურათი არა ჰგავს არც ერთ მის შემოქმედებას. აქ ფერებით გადმოცემულია შხაპუნა წვიმა. ამ სურათით იამაყებდა ბევრი სამხატვრო გალერეა. ყველაზე უფრო სუსტია მისი პატარა სურათი „ხევსური“. აქვე მის გვერდით მხატვარ ალექსანდრე მრეველიშვილის მცხეთის რამოდენიმე სურათებია. სურათი „დაბალი ღობე“. ეს უკანასკნელი განირჩევა აქ წარმოდგენილ ყველა მისი მხატვრობიდან, ის შესანიშნავია თავისი ეტნოგრაფიულ ხასიათით.

გლახის ოჯახში მოცვენილან სოფლის იასაულები, ხარკის ფულში გაუტაცნიათ ნობები, ქვაბები და სხვა ოჯახის ნივთები. გლახი იქვე ფარდულში ნა-

ცემი გღია (ალბათ წინააღმდეგობა გაუწია მცარცველებს), დედგაცო ქოქოლას აყრის გვიზიან სოფლის წურბელებს და ნაცემი ძალი ექვ დაბაფილობის ძირას წკავწკავებს, ბავშვი წაქცეულ მამას შველის და სხვეგუნდოქრექვს: მრევლიშვილის მხატვრობას ამართლებს ასეთი ჟანრი. ის ახლოს დგას ხალხთან მათ სოციალურ მდგომარეობის განოსახატავათ მაგრამ, რამდენათაც ის ამ მხრივ იმარჯვებს, იმდენად ფერების გადმოცემაში სუსტობს.

იქვე მის გვერდით არის უდროვოდ დაკარგული მხატვრის, შალვა ქიქოძის მიერ დახატული კაკი წერეთლის პორტრეტი (ზეთის საღებავით), რომელიც ტექნიკურად ვერ არის დაძლეული. ვალერიან სიდამონ-ერისთავის აქ წარმოდგენილია ორი სურათი (ზეთის საღებავით) ერთი პატარა ეტიუდი და მეორე დიდი სურათი „თამარ მეფე“. ვალერიან სიდამონ-ერისთავი ნიჭიერი მხატვარია. მისი მხატვრობა ფერებიდან გამომდინარეობს და ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხაზვის სიმტკიცეს. მისი სურათი „თამარ მეფე“ ინდივიდუალური გაგებაა მხატვრის.

თამარი ამალით განთიადისას, მდიდარია ფერებით და, უნდა ითქვას, თეატრალურ დეკორაციების ზელი ატყვია.

აქ წარმოდგენილია მოსე თოიძის სამი სურათი (ზეთის საღებავით). ორი პატარაა: სურათია: ერთი — „მოვარიანი ლამე“ და მეორე „სასიძო“. ეს სურათები იმპრესიონისტულად არის შესრულებული. კარგი ღირსებისაა. მესამე მისი დიდი სურათი „ქეიფი მცხეთაში“ დახატულია მხატვრის მიერ აკადემიის დასამთავრებლად, რისთვისაც მხატვარი დაჯილდოებული იქნა. ამ სურათში ბევრი ძვირფასი ადგილებია. მ. თოიძის ნაწარმოებთა შორის ეს სურათი საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს.

აქ მოთავსებულია დავით კაკაბაძის ოთხი სურათი (ზეთის საღებავით. „ჩემი დედა“, „ავტობორტრეტი“, «Natur mort» და „იმერეთი“. დ. კაკაბაძე ამ სურათებით გვევლინება კარგ ოსტატათ, მას აქვს დიდი კულტურა მხატვრობის.

ლადო გუდიაშვილი აქ წარმოდგენილია ხუთი სურათით (ზეთის საღებავით) „შოთა რუსთაველი“, „პირიმზისა“, „დღეობა“, „კინტოების ქეიფი“ და ერთი პატარა ესკიზი.

ვ. გუდიაშვილი დეკადენტია: იგი გამომდინარეობს ძველ ქართულ ფრესკებიდან.

თუმცა ის ნიჭიერი მხატვარია, მაგრამ ასეთი გზა ხელოვანს არასოდეს არ გაამართლებს.

ქეშმარიტი ხელოვნება არის ყველა დროისათვის და ყველა ხალხისათვის. მისი აქ წარმოდგენილი სურათები სტილიზაციაა. ისინი მეტს მოიგებდნენ ერთი ფერით რომ ყოფილიყვნენ დახატულნი, ვინაიდან თვალი ვერ ურიგდება ასეთ კოლორიტს.

გუდიაშვილი ისწრაფის პრიმიტივისაკენ, როგორც ფიროსმანი, — მაგრამ გუდიაშვილის ეს პრიმიტივი კულტურული, გაწვალებული ხაზებიდან არის აშენებული. გუდიაშვილის აქ წარმოდგენილ სურათებს შორის საუკეთესოდ უნდა




ქართული
საქმიანობა

მ. თაბიძე

მცხეთაში





საქართველო

საქართველო


ჩაითვალოს მისი „კინტოების ქეიფი“, რომელიც ფიროსმანის მანერით შავ ფისის ტილოზე არის შესრულებული..

უდროვოდ გარდაცვალებული მხატვრის რომანოზ გვგელაშვილის ეტიუდი მოცემული (ზეთის საღებავით), პორტრეტები ძლიერია ტექნიკურად.

საყურადღებოა აგრეთვე გარდაცვალებული მხატვრის ალ. ბერიძის ქალის პორტრეტი (ფერადი ცარცებით), რომელიც ამჟღავნებს მხატვრის დიდ ცოდნას. ქეთო მაღალაშვილის მიერ დახატული მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი კარგია, მას ეტყობა პორტრეტების სიყვარული და ფერების უხვი გრძნობა.

ვ. სუდეიკინის სურათი „კარნავალი“ (ტემპერა) შესანიშნავია მსუქანი და გამჭვირვალე ფერებით. კარგია სორინის პეიზაჟი (ზეთით), კ. ზდანევიჩი აქ წარმოდგენილია სამი სურათით: მოცეკვავე ქალი და ორი „Natuur mort“, რომლებიც ფუტურისტული უპასუხისმგებლობით არის შესრულებული. შემდეგ მის გვერდით ჰკიდია ხალილ-ბეგ ნუსაევის ქალის სურათი (აკვარელი). სურათი ტექნიკურად ძლიერია, ძალიან ფაჭიზია ზალცმანის „მანდილოსანი შალით“ (ტემპერა). ა. ზალცმანი ნიჭიერი მხატვარია და სამწუხაროდ გალერეიაში მისი ერთი სურათის შეტი არ არის. ძლიერ სუსტია სარიანის „ქუჩა“. ამ სურათში თითქმის არ არის ელემენტარული ცოდნა მხატვრის. ბ. ფოგელის სამი ეტიუდი: „ბათონი“, „ვენეცია“ და „ნალიები“. მისი სურათები იმპრესიონისტულადაა შესრულებული, ნალიებში არის გარკვეული ფერების შეხამება. ფოგელს საერთოდ, ეხერხება ეტიუდების წერა.

ძალიან სუსტია ხაჩატურიანის „სომხის ქალები“. კარგია ტადეოსიანის სომხის ბაზარი. სურათი იმპრესიონისტულად არის დახატული და ძლიერად გადმოცემს იმ ტალახიან და ჩრდილებით დაბინდულ ვიწრო ქუჩებს, რომლითაც არის ეს უბანი მოცული. იაკობ ნიკოლაძის პატარა ქანდაკება „ქარი“, რომელიც მოხდენილ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს მის ესკიზებში. ამ ოთახიდან გადიხართ მეორე განყოფილებაში, აქ მოთავსებულია ძველი ქართული მხატვრობა მე-XVII საუკუნიდან მე-XIX-დე, მაგრამ ამაზე შემდეგ.





მ თ ნ თ გ ზ ა უ ი ა

რომელთაც ბერის მოთმინება აქვთ? თუნდაც ასე!.. რას იტყვიან დანარჩენები მაშინ, როდესაც გაიგებენ რომ ძველი, გამოცდილი და, როგორც ეგონათ, პატიოსანი ზუდინი, რომელმაც ასე „ურცხვად მოატყუილა“ თვალსაზრისით, ძმაო, უთუოდ „მოატყუილა“ და, რაც მთავარია, „ურცხვად მოატყუილა“, რადგან აილო ქრთამი შოკოლადით, აბრეშუმით და ოქროთი, უკანასკნელშიაც ვერ დაარწმუნებ შენ მათ, მისთვის რომ საუკუნეებით მათ უხდებოდათ ეჭვის თვალით ყურება და უცებ, წარმოიდგინე ამხანაგო, რომ ზუდინი გადაწყვეტილებით დახვრიტეს, საქმეზე კი არა... მას მალავენ... ვინ მალავს?.. ბელადები მალავენ!!. აი ბელადებიც!!.

— თუ ეს მოეწონებოდა ზუდინს, ჩვენც მივიღებდით ამას, მაგრამ სწორედ ამისათვის ვყვირით ხმამაღლა.

— შეუბრალებელი ტერორი! სისხლის საშინელება ყველა მათ, ვინც დაიღლება, ყველა მათ, ვისაც ეყოფა სულელური გამბედაობა ჩაუდგეს მილიონებს სათავეში და ძალას თავისას წინასწარ არ გაზომავს.

— და შენ შეხედე, დააკვირდი, სწორედ ამის შედეგია ის რომ ჩვენ შეუდარებელი სისწრაფით და ძლიერებით მივდივართ წინ. რა უყოთ, თუ მცირე ნაწილი ჩამოგვშორდება, დაიმსხვრევა ბრძოლის დროს. ბრძოლა მსხვერპლს ითხოვს.

— შენ იცი, რომ ჩვენ მალე მივალწვეთ მიზანს, თუ დავრჩით მხოლოდ გულწრფელი, პატიოსანი და შეუბრალებელი, სხვების და ჩვენივე თავის მიმართ! აი როგორია ზუდინი, ჩემი და შენი ხვედრი!

— ეხლა კი სხვა წვრილმანებზე! ჩვენ დავადგინეთ სასჯელი სისრულეში მოყვანილ იქნას დღესვე, საღამოს. ასე არ არის?—და ტკაჩეევმა ისევ ჩამოართვა, ხელი.—ვალც და პავლოვ ალბად დახვრიტეს კიდევ ამ დღით. —ის გაჩუმდა.

— ამას გარდა, ამ დღეებში ითხოვდა შენ ნახვას შენი ცოლი, თან ახლდა ბავშვები. ჩვენ უარს ვუბნებოდით დღემდე. ისინი ეხლა უნდა მოვიდნენ ძირს კომენდანტთან და შენ გადაწყვიტე, მიიღებ მათ თუ სჯობს უარი უთხრათ?

ზუდინი დაიბნა და თვალეებზე ხელი დაიფარა.

— მოვიდნენ! — ჩაილულლულა მან.

— მაშ ნახვამდის!

— ნახვამდი!

— გული ნუ მოგივა, ძმაო, ყოჩაღათ იყავი!

მაგრამ ზუდინს მეტი აღარ შეეძლო და უღონოთ დაეშვა საწოლზე. დიდინის წინად, ჯერ კიდევ ბავშობისას, ისე როგორც ეხლა, წოლილა ის ხშირად ასე, მაგრამ ის არ მისჩერებოდა მაშინ ჭერს. ის უყურებდა რაღაც ახლობელსა ცისფერს, უძირო ცას, მაშინ პატარა ხელები, ჩაქიდებული იყო მიწას, მას ეშინოდა გადავარდნის, მაგრამ ისეთი სიმშვიდევ იყო ირგვლივ, ისეთი მხიარული განწყობილება და ამავე დროს გრძნობდა რაღაც მოწყენისს, საშინელ მოწყენის და სრულიადაც არ უნდოდა ეფიქრა, რომ იქ, პატარა ქობში, ელის დედა, მრეცხავი დედა, რომელსაც პატარა ლიოშა მიუტანს დუქნიდან ლილას. სწორედ ასეთი მოწყენა იგრძნო ზუდინმა. არ იცის კი რად. არ იცოდა რად მოვიდა ეს

მოწყენა მაშინ, ან რად არ მოდის ეხლა, მაგრამ კორიდორში ისმის/ხმამალალი და ნაცნობი ხმები. ზუდინი ზეზე წამოიჭრა, ლოგინი გაასწორა და ძალდატანებითი გაღიმებით ტუჩებზე ხედავს, როგორ უახლოვდება მან ლიზა. კაბის კალთებზე ხელი უჭირავს მიტიას და მაშას.

— იმავე ძველ ტანსაცმელში, ძველ ჩუსტებში, გაიფიქრა ზუდინმა და თითქო მხიარულად გაუწოდა ხელი.

— მაშ ასე, გამარჯვებათ! მოგწყინდათ ალბათ!.. შეგეშინდათ? გამომცდელი თვალებით ჩახედა ლიზას, რომელიც სკამზე ჩაიკეცა.

— ლიოშა გენაცვალე! რა არის, რა მოხდა? და ქალი აქვითინდა.

— ეხ ლიზა, რა მტირალა ხარ! რა მოხდა ასეთი? დამაპატიმრეს ორიოდ დღით. მე მგონია, უნდა მიეჩვიოთ ასეთ რამეს?! რა არის აქ გასაკვირველი?

— კი! მაგრამ, მაშინ ჟანდარმები იყვნენ და ეხლა... ეხლა ხომ ყველა ჩვენებია!.. და ყველანი ლაპარაკობენ რომ ჩვენ დავიღუბეთ, რომ შენ უკვე დაგხვრიტეს, თითქო შენ გინახეს რაღაც ოქრო, შოკოლადი... ლიოშა, გეთაყვა! — ეს გცდიან ხომ, გეთაყვა... გცდიან გენაცვალე, გაიგე... — და ლიზა ისევ ისე აქვითინდა... ცახცახებდა მთელი სხეულით.

— რა უყოთ, რას არ იტყვიან, შენ ხომ იცი თვითონ სიმართლე? მაშ რა გაშინებს?! ეს დედაკაცური ქორებია. — მაშ რა გგონია; კარგი, კარგი, ნუ ტირი, გეყოფა... ეხლა უკვე ყველაფერი გათავდა და სატირალი აქ არაფერია!.. აბა გაიღიმე გენაცვალე, რა დაგემართა?..

— მიტია, მაშა, მოდიოთ, დაჯექით მამას მუხლებზე, მე თქვენ გაჩვენებთ როგორ მიაქენებენ ცხენებს ყაზახები. ნუ გეშინიათ, აი ასე. ეხლა ხელი მაგრად ჩაკიდეთ ჩემ სახელოებს. — მიდიოდა ყაზახი, ერთი, ორი!..

მაშინვე ჩამოუშვა ბავშვები დაბლა.

— რა დაგემართა ლიზა, შენ კიდევ ტირი? ასე დაუსრულებლათ უნდა იტირო? რაზე თორემ, კიდევ იტყოდა კაცი!

— ლიოშა, მე მეშინია, მე არაფერი არ მესმის; რა?! რისთვის?!.

— არაფერი არ არის აქ გასაგები. თეთრგვარდიელებმა ისარგებლეს იმით რომ მე და შენ მივიღეთ საჩუქრად შოკოლადი და ააშენეს ამაზე ერთი ამბავი, და აი მეც დამიჭირეს, რომ გაეგოთ ეს ასე იყო თუ არა; ჩხრეკა მოახდინეს, ეხლა გამოარკვიეს რომ ყველაფერი ტყუილი ყოფილა და საქმეც გათავდა.

— ეხ, ლიოშა, ლიოშა, მე კი ისე შემეშინდა. მეც ხომ დამაპატიმრეს იმ დღეს! მთელი ბინა გაჩხრიკეს და ორი დღე და ლამის განმავლობაში მე ბინიდან გამოსვლის უფლება არ მქონდა, — კარებთან ყარაული იდგა. ჩვენ ეზოში ყოველ კუთხიდან მოგროვდა ხალხი და ფანჯრების ჩამტვრევას ლამობდნენ: — ბურ-უიცი და ჩვენიანიცი. ძლივს-ძლივობით გარეკეს. შემდეგ მოვიდა ვიღაც პატარა, სულ ერთიან გაპარსული, ხელში პორტფელით; სულ მეკითხებოდა ავიღეთ თუ არა მე ან შენ ოქრო. მე სულ ვცახცახებდი! — თითონ არ ვიცი რატომ. ყველანი ლაპარაკობდნენ, რომ შენ უკვე დაგხვრიტეს. შემდეგ ყარაული მოხსნეს და მითხრეს, რომ უფლება მაქვს თავისუფლად სიარულის. მხოლოდ, აი, შენთან



ო. ვ. მაჩაბელი

არ მიშვებდენ. მეც, სიმართლე რომ ვთქვა, მეშინოდა ჩვენ ეზოდან გამოსვლი-
სა და სახლში როგორ უნდა გამეძლო?..

შემდეგ იცი რა საძაგელ ხმებს ავრცელებდენ შენს შესახებ? ღიჯიკო შენ...
ცხოვრობდი... ვალცთან—და ლიზა გაწითლდა... ბიზ-ნიქოსეკა

— ლიოშა, როგორ დაგიჯერო, რომ ეს სიმართლეა? შენ?—შენ მომატყვი-
ლე მე?!

— რას ლაპარაკობ ლიზა, რა სისულელეა! მე ისევ ის ვარ, შენი ერთგუ-
ლი ალექსეი!

ლიზამ ამოიოხრა.

— რა იქნება ამის შემდეგ? შენ ლაპარაკობ რომ საქმე გათავდა? მაშასა-
დამე შენ გამოგვიშვებენ ისევ, არა? თორემ უშენოთ ჩვენ დავიღუპეთ. ღმერთო,
როგორ გამხდარხარ ლიოშა! ნუ თუ შენ აქ არაფერს არ გაქმევენ?!

— დაწყნარდი: მაქმევენ ძალიან კარგად, გამხდარი კი იმისთვის ვარ, რომ
გავცივდი და ავადაც ვიყავი. ეხლა კი კარგად ვარ. ხვალ თავისუფალი ვიქნები
მხოლოდ იცი რა, ლიზა, ეს მეტად საწყენი საქმეა. აღმოჩნდა, რომ ვალცი ყო-
ფილა უბრალო თეთრგვარდიელი და ქურდი. მე მან ისე მომატყვილა, რომ ამის
შემდეგ მე არც შემიძლია დავრჩე რუსეთში. ცეკა სასწრაფოდ მაგზავნის მე
საზღვარგარეთ, ავსტრალიაში სამუშაოდ. ეს ძალიან შორს არის და მივლინება
გასტანს მეტი რომ არ ვთქვათ, ერთი წელი; შეიძლება მეტიც, არ ვიცი კარ-
გად. ეს მით უფრო საწყენია, რომ ამ ხნის განმავლობაში მე ვერ შევძლებ წე-
რილების გამოგზავნას. ავსტრალია ხომ ოკეანეს იქეთ არის, დედამიწის ბურ-
თის მეორე მხარეს. შესაძლებელია რამდენიმე წელიც დავყო, ათი წელი ან იქ-
ნებ მეტი. და რა უნდა ვქნა, განა რევოლიუცია და მთელი ქვეყნის ბედნიერე-
ბა ჩემთვის უფრო ძვირფასი არ არის? შენ თითონ თქვი?!

და ის ალერსიანად ჩაყურებს ლიზას აცრემლებულ თვალებში.

— ლიოშა, შენ ხომ იცი, რა უბედურება იქნება ეს ჩემთვის, დაობლდე,
დარჩე მარტოდ-მარტო მთელ ქვეყანაზე, უშენოთ?!. ლიოშა, ჩემო საყვარელო
ლიოშა, უარი განაცხადე როგორმე! განა შენ თითონ ძალიან გინდა წასვლა?
ნუ... ნუ... ნუ წახვალ, გეთაყვა!

— რა სისულელეს ლაპარაკობ, შენ რომ გკითხონ: რევოლიუციონერის
ცოლი ვარო, იტყვი. შენ უნდა იამაყო იმით, რომ შენი ქმარი სტოვეებს ოჯახს,
სტოვეებს სამშობლო მხარეს, ასე დიდი ხნით, იქნებ სამუდამოთაც, მისთვის რომ
ქვეყნის მეორე მხარეზე იბრძოლოს თავისუფლებისთვის და სიმართლისთვის.
ლიზიკო, გენაცვალე, შენ მხოლოდ წარმოიდგინე ეს, განა ეს არ არის საამაყო?!

ჩამოვარდა ყრუ სიჩუმე, მხოლოდ ხანდახან ისმოდა ლიზას ამოსუნთქვა.

— შენ აქ არ დაგტოვებენ: ბავშვებს დაეხმარებიან, ერთი სიტყვით შენ
არ დაიკარგები. მართლაც და იქნებ მე სრულიადაც არ დავბრუნდე. მე არ მე-
წყინება თუ შენ გათხოვდები, ოღონდ კაცი უნდა ნახო გამბედავი და პატიო-
სანი. პირიქით, ეს იქნება უფრო ბუნებრივი, ვიდრე დამკვება მონაზონივით
წარსულის მოგონებებში. ბავშვებს, რასაკვირველია, არ დაივიწყებ. მათგან უნდა

შექმნა კარგი და მაგარი ხალხი, რომელთაც შეეძლებათ ცხოვრების საღაღის თავისებურად ხელში აღება.

— ლიოშა მე მეშინია; შენ ისე საოცრად ლაპარაკობ, ეხლა თითქო მართლა გვემშვიდობები, ან იქნებ მიმაღავ რაღაც საშინელ ამბავს?

— აი სულელი! რა უნდა დაგიმალო? დიდი საფრთხე მე არ მომელის, ასე რომ იყოს ხომ იცი სხვა გვარად დავიჭერდი თავს, მე ისევ ფხიზელი თვალთ უყურებ საქმეს და გეუბნები: ძალიან მალე მე უნდა გავემგზავრო ავსტრალიაში, ასე რომ შეიძლება შენი ნახვაც აღარ შემიხვდეს. მე მეშინია, რომ ბრძანება ჩემი გამგზავრების შესახებ მოვა დღესვე ან ხვალ დილით მაინც. მაშინ ეს შეხვედრა იქნება, რასაკვირველია, უკანასკნელი. ამისათვის, მოდი, გამოვემშვიდობოთ კიდევ ერთმანეთს თითქო სამუდამოთ. უფრო სასიხარულო იქნება ახალი შეხვედრა, თუ კი ის მოხდება. აი ყველაფერი! — და ისინი ერთმანეთს გადაეხვიენ უცებ ზუღინი წამოდგა და ბავშვებს დაუწყო ფერება. ხელებს უსვამდა თავზე, ხან ერთს, ხან მეორეს.

— ეხ ლიოშა, შენ რომ შეგეძლოს წარმოდგენა იმისა, რა მძიმეა ჩემთვის ყველა ეს, თითქო მთელი ჩვენი ცხოვრება უცებ დაიხურა. რასაკვირველია, მე შენით ვამაყობ და მერე როგორ, რომ იცოდეს! შენ ხომ ჩემი სინათლე ხარ ერთად-ერთი! შენ ხომ ისეთი არა ხარ, როგორც ყველანი არიან. ამისათვის, მიყვარხარ და ეს სიყვარული ცილდება მონობის საზღვარს. მაგრამ ცხოვრებ უშენოთ მე ვერ წარმომიდგენია. ისიც მაშინ, როცა იცი, რომ სადღაც შორ დახეტიალობს ის, შეიძლება მოკვდა კიდევ და მე ეს არ ვიცი... ახ, ლიოშა ლიოშა! ნუ თუ ეს სიმართლეა. მე კიდევ მგონია, რომ ჩვენ გვცდიან. შენ გესმის! — მთელი სიცოცხლის განმავლობაში, დღიდან შენთან შეხვედრისა, მე, როგორც შეჩვენებულს, დამდევს ყველგან წამება. ეხლა კი საბოლოო გადაწყდა..

ლიზა გაჩუმდა, იატაკს დააჩერდა; თითქო უნდოდა იქ მოეძებნა რაღაც, მაგრამ ვერაფერი ვერ მოენახა.

— ლიზა, აქ ვადა ნახვისა გრძელდება სულ ათი წუთი, ასეთია წესდება, ხომ იცი. მე ვშიშობ, რომ ჩვენ ბევრი გადავაცილეთ კიდევ. ადექი, წადი, ჩემო სიხარულო. ხვალ დილით კი ისევ მოდი, ხოლო წინასწარ შეეკითხე კომენდანტს ჩემი წასვლის შესახებ?!

ლიზა ადგა. მოიძებნა თბილი თავსათარი, რომელიც იქვე ეგდო.

— იცი კიდევ, ლიზა, როგორ დამავიწყდა მეთქვა შენთვის ის, რაც მთავარია ამ საქმისთვის. ის, რაც მე შენ გითხარი აქ, არის პარტიის უდიდესი საიდუმლო. ამის შესახებ არავინ, არასოდეს არ უნდა იცოდეს! — შენ გესმის? შენ უნდა შემომფიცო მე, რომ არავის, არასოდეს ამის შესახებ არ ეტყვი არაფერს, წინააღმდეგ შემთხვევაში მე დავილუბები. შენ გესმის? არავის გარდა შენისა და ცეკას საში წევრისა არ ეცოდინება ეს. ყველა დანარჩენებს გამოუცხადებენ, რომ თეთრგვარდიელების მინდობისათვის ზუღინი დახვრიტეს. გესმის, ასე იქნება ყველგან დაბეჭდილი: მინდობისათვის, ქრთამისათვის, სხვაგვარად არ შეიძლება. მაგრამ ყველაფერი ეს იქნება ტყუილი. შენ ეხლა იცი ნამდვილი სიმართლე, რომ მე ცოცხალი ვარ, მაგრამ გავემგზავრე შორს, აი ყველაფერი.



— მშვიდობით ლიზიკო!.. იყავი შეუდრეკელი და ღირსი შენი სახელისა! — მან საჩქაროდ გადაკოცნა ბავშვები, მაგიდაზე იდაყვ დაყრდნობილი მიჩერებოდა როგორ გავიდა დერეფანში, ტირილისაგან მოხრილი ცოლი. როგორ ეკვროდნენ მის კაბას ბავშვები და შემდეგ... შემდეგ სადღაც დაბლა გაისმოდა ნაცნობი ძვირფასი ხმები.

მხოლოდ მაშინ ველარ მოითმინა ზუდინმა, დაეცა საწოლზე და უხმოდ აქვითინდა.

ეხლა ყველაფერი გათავებულია. წინ არის მხოლოდ პატარა მოსაწყენი და ცბიერი დრო სიკვდილისა.

— „ყველაფერი გათავებულია“! — რამდენ ხალხს უთქვამს ეს სიტყვები და არ ესმით რომ სტყუიან; ფიქრობენ რაღაც საშინელზე, რომელიც აი ახლა უნდა დაიწყოს ნაცვლად ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრებისა. განა უკეთესი არ იქნება რომ თქვან: „იწყება რაღაც საშინელი“, არა, ისინი ამბობენ: „ყველაფერი გათავებულია“.

— აი, აქ კი გათავებულია, მართლაც გათავებულია, გაიფიქრა მან, — წინ აღარ არის არაფერი, სრულიად არაფერი, იქამდე სიკვდილიც არ არის, რადგან მე მას არ ვიცნობ. ვიგრძნო, შეიძლება, ტკივილი, ფიზიკური ტკივილი და ისიც წუთის ერთი შეათედის განმავლობაში. მაგრამ სიკვდილს, თითონ სიკვდილს — მე ვერ ვიგრძნობ, რადგანაც ის არ არსებობს. ცოცხალი ადამიანისთვის ის არ არსებობს და მიცვალებული კი მას არ გრძნობს. რასაკვირველია, თავისი, პიროვნების თვალთახედვით, დაშორდე სიცოცხლეს ეს დიდი საშინელებაა! — და ის დაფიქრდა.

— საწყენია აგრეთვე ისიც, რომ დამხვრეტენ და ყველას ეტყვიან რომ, ის არამზადაა, ზუდინი, ყოფილი თავმჯდომარე საგუბერნიო საგანგებო კომისიისა, მოხვდა ხაფანგში ქრთამის აღებისათვის და დახვრიტეს რევოლუციონურ სამართლიანობის სახელით.

მას მოაგონდა შუსტრი და გაიღიმა.

— როგორი აუტანელი შეურაცყოფა იქნება ბავშვებისათვის გაგონება ყველასაგან შენაძაგებ სახელის. გაიგებენ ყველაფერს დაწვრილებით და გაკიცხავენ მშრომელ მასას. ნუ თუ არ შეიძლებოდა უამისოთ?! რათ არ შეეხო ამ კითხვას ტკაჩევთან ლაპარაკის დროს! არ მოიფიქრა. არ შეიძლება, გვერდის ახვევაც არ შეიძლებოდა არას გზით. მთელი დედააზრი ხომ იმაშია, რომ რაც შეიძლება მალე გაკეთდეს საქმე საერთო ბედნიერებისა, აი ერთად ერთი, რასაც აქვს თავი სი ღირებულება, დანარჩენი კი... — და ზუდინი ჩაფიქრდა.

— ან და რა უშავდა რომ ის დაეხვრიტათ და შემდეგ გამოეცხადებიათ, რომ დახვრიტეს უპატიოსნესი ამხანაგი? როგორი სისულელე გამოვიდოდა. ვერაფერს ვერაფერს ვერ გაიგებდა ამ საქმეში. იტყოდნენ: — თუ დამნაშავე არ იყო, რად კლავდნენ, ალბად ვერ იყო კარგად საქმეო. — და ყველანი დაიწყებდნენ ფიქრს იმაზე, რაც სრულიად არ არის საფიქრებელი.

— რამდენია ისეთი ამხანაგებიც, რომელნიც ხელოვნების სიყვარულისთვის სიამოვნებით კრებენ შოკოლადის ნარჩენებს, ყველა ამ ბალერინებს და მთელ

ნაგავს, როგორც ძველი კულტურის სიწმინდეს და ამ „კულტურისათვის“, ეც-
ლება უკანასკნელი ძარღვი არსებობისა ახალგაზრდა და ~~ქუჩის~~ ანთებულ
გულებს. როგორ არ შეუყვიროთ ამ მეძველეებს უხეშად, ~~გზებზე~~ ქარში, ისე
რომ შეყვირება გადიქცეს სისხლიან სილად.

— შეხედეთ ზუდინს! რა იყო ისეთი, წარსულის მოგონებამ დაავიწყდა
მონაველი. ის ჩვენ მოვკალით, როგორც ძალღი, ქუჩის ძალღი!

მაშ შიანებეთ თავი ძველის ძველ ნაგავს, როგორი ძვირფასი და ლამაზიც
არ უნდა იყოს ის. იფიქრეთ მხოლოდ მომავალზე, მხოლოდ მომავალზე.

— ან იქნებ მოიძებნოს ისეთებიც, რომელნიც მუშაობითაც და ყოფითაც
დაშორდებიან მასას და დაიწყებენ ფიქრს იმაზე თუ როგორ გადაარჩინონ რე-
ვოლიუციის მასებიდან მუშებიდან, აჯანყებებიდან, მოიფიქრებენ, მივლენ შო-
კოლადიან ბალერინამდე და დაიყვირებენ:

— ჩვენ, კომუნისტები ვართ!..

— რა?! ზუდინი?! ან იქნებ თქვენ დაგავიწყდათ ის არამზადა?

— არა, ეს უმნიშვნელო, საცოდავი პაროვნება იყოს თქვენთვის სიმბოლო
გამყიდველობისა, სიმდაბლისა მულმივ და მარად რევოლიუციის, პატიოსან საქ-
მის მიმართ. ამ გინიან მარად მოძრაობაში სულ წინ, მხოლოდ მომავლისათვის,
მხოლოდ საცოდავთა ბედნიერებისათვის ბრძოლაშია მთელი კომუნისმი, ამისათ-
ვის ღირს სიცოცხლეს და დაცემაც.

ზუდინი მხიარულად და ამაყად გაიმართა. საჩქაროდ დაჯდა ისევ მაგი-
დასთან და მოუთმენლობისაგან აათამაშა თითები.



მ ნ ე ტ ვ ზ თ ბ ე



კახეთის ქეიფი

ფ. გუდიაშვილი

სამშენებლო სამუშაო



სამშენებლო სამუშაო

ი. ტოფაძე

ეროვნული სამხატვრო გალერეია

დღევანდელი ეროვნული სამხატვრო გალერეია ეკუთვნის ძველ მხატვრობას, დაწყებული მე-XV-ტე საუკუნიდან XIX-მდე. გალერეიას აქვს დიდი ღირსება; აქ მოგროვილია, როგორც ევროპის მხატვრების კლასიკური ნაწარმოებნი, ისე ქართული და სპარსული.

გალერეიის რესტავრაციის უკანასკნელ ხანაში ადმინისტრაციას მარჯვენა ოთახი დაუთმია თანამედროვე მხატვრობისათვის, სადაც მოუთავსებია ის სურათები, რომლებიც მთავრობის განკარგულებაში იყო.

თანამედროვე მხატვრობიდან აქ წარმოდგენილია:

მხატვარი გიგო გაბაშვილის 5 სურათი (ზეთის საღებავებით): ორი „სამარყანდი“. ორი — „ხევსური“ და ერთიც — „წვიმიანი დღე“. გაბაშვილი მიუნქენის სკოლის დამთავრებული მხატვარია. აქ წარმოდგენილია ორი სურათი სამარყანდისა, სადაც დიდი ოსტატობით რუხფერებში და ნამდვილ ტიპებში ფეხზე დგება ზანტი აღმოსავლეთის ბუნება. მაგრამ ეს სურათები არ ჩაითვლება გიგო გაბაშვილის სამარყანდის სურათების საუკეთესო ნიმუშებათ. სამარყანდი მას უფრო ძლიერად აქვს გადმოცემული სხვა სურათებში. შესანიშნავია მისი ხევსურის ტიპი, მზით დამწვარ სპილენძის ფერ სახით და ლოთი თვალებით. აქ არის ბევრი პირველყოფილობა. გაბაშვილს აქვს თავისებური მიდგომა საგანთან. იგი ყოველ სახეს აძლევს ხავერდის ბუსუსებს, მაგრამ ეს ბუსუსები არ არის მტვერი, — იგი კოლორიტია. აქ წარმოდგენილ მის სურათებს შორის ყველგან განირჩევა მისი „წვიმიანი დღე“. ეს სურათი არა ჰგავს არც ერთ მის შემოქმედებას. აქ ფერებით გადმოცემულია შხაპუნა წვიმა. ამ სურათით იამაყებდა ბევრი სამხატვრო გალერეია. ყველაზე უფრო სუსტია მისი პატარა სურათი „ხევსური“. აქვე მის გვერდით მხატვარ ალექსანდრე მრეველიშვილის მცხეთის რამოდენიმე სურათებია. სურათი „დაბალი ღობე“. ეს უკანასკნელი განირჩევა აქ წარმოდგენილ ყველა მისი მხატვრობიდან, ის შესანიშნავია თავისი ეტნოგრაფიულ ხასიათით.

გლეხის ოჯახში მოცვენილან სოფლის იასაულები, ხარკის ფულში გაუტაცნიათ ნოხები, ქვაბები და სხვა ოჯახის ნივთები. გლეხი იქვე ფარდულში ნა-

ცემი გდია (ალბათ წინააღმდეგობა გაუწია მცარცველებს), დედაკაცი ქოქოლას არის გვიზიან სოფლის წურბელებს და ნაცემი ძალდი კუქტებელი ლობის ძირა წკავეწკავეებს, ბავშვი წაქცულ მამას შველის და სხვა უნდაყოფას: მრევლიშილის მხატვრობას ამართლებს ასეთი განრი. ის ახლოს დგას ხალხთან მათ სოციალურ მდგომარეობის გამოსახატავათ მაგრამ, რამდენათაც ის ამ მხრივ იმარჯვებს, იმდენად ფერების გადმოცემაში სუსტობს.

იქვე მის გვერდით არის უდროვოდ დაკარგული მხატვრის, შალვა ქიქოძის მიერ დახატული კაკი წერეთლის პორტრეტი (ზეთის საღებავით), რომელიც ტექნიკურად ვერ არის დაძლეული. ვალერიან სიღამონ-ერისთავის აქ წარმოდგენილია ორი სურათი (ზეთის საღებავით) ერთი პატარა ეტიუდი და მეორე დიდი სურათი „თამარ მეფე“. ვალერიან სიღამონ-ერისთავი ნიჭიერი მხატვარია. მისი მხატვრობა ფერებიდან გამომდინარეობს და ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხაზების სიმტკიცეს. მისი სურათი „თამარ მეფე“ ინდივიდუალური გაგებაა მხატვრის.

თამარი ამალთ განთიადისას, მდიდარია ფერებით და, უნდა ითქვას, თეატრალურ დეკორაციების ხელი ატყვია.

აქ წარმოდგენილია მოსე თოიძის სამი სურათი (ზეთის საღებავით). ორი პატარაა: სურათია: ერთი — „მთვარიანი ღამე“ და მეორე „სასიძო“. ეს სურათები იმპრესიონისტულად არის შესრულებული. კარგი ღირსებისაა. შესამე მისი დიდი სურათი „ქეიფი მცხეთაში“ დახატულია მხატვრის მიერ აკადემიის დასამთავრებლად, რისთვისაც მხატვარი დაჯილდოებული იქნა. ამ სურათში ბევრი ძვირფასი ადგილებია. მ. თოიძის ნაწარმოებთა შორის ეს სურათი საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს.

აქ მოთავსებულია დავით კაკაბაძის ოთხი სურათი (ზეთის საღებავით. „ჩემი დედა“, „ავტობორტრეტი“, „Natur mort“ და „იმერეთი“. დ. კაკაბაძე ამ სურათებით გვევლინება კარგ ოსტატათ, მას აქვს დიდი კულტურა მხატვრობის.

ლადო გუდიაშვილი აქ წარმოდგენილია ხუთი სურათით (ზეთის საღებავით) „შოთა რუსთაველი“, „პირიმზისა“, „დღეობა“, „კინტოების ქეიფი“ და ერთი პატარა ესკიზი.

ვ. გუდიაშვილი დეკადენტია: იგი გამომდინარეობს ძველ ქართულ ფრესკებიდან.

თუმცა ის ნიჭიერი მხატვარია, მაგრამ ასეთი გზა ხელოვანს არასოდეს არ გაანართლებს.


კემმარიტი ხელოვნება არის ყველა დროისათვის და ყველა ხალხისათვის. მისი აქ წარმოდგენილი სურათები სტილიზაციაა. ისინი მეტს მოიგებდნენ ერთი ფერით რომ ყოფილიყვნენ დახატულნი, ვინაიდან თვალი ვერ ურიგდება ასეთ კოლორიტს.

გუდიაშვილი ისწრაფის პრიმიტივისაკენ, როგორც ფიროსმანი, — მაგრამ გუდიაშვილის ეს პრიმიტივი კულტურული, გაწვალებული ხაზებიდან არის აშენებული. გუდიაშვილის აქ წარმოდგენილ სურათებს შორის საუკეთესოდ უნდა



მ. თაბიძე

მ. თაბიძე



ბათუმის ქუჩა

ბათუმის ქუჩა


ჩაითვალოს მისი „კინტოების ქეიფი“, რომელიც ფიროსმანის მანერით შავ ფისის ტილოზე არის შესრულებული..

უდროვოდ გარდაცვალებული მხატვრის რომანოზ გვერდისაგან ორი ეტიუდი მოცემული (ზეთის საღებავით). პორტრეტები ძლიერია ტენიკურად.

საყურადღებოა აგრეთვე გარდაცვალებული მხატვრის აღ. ბერიძის ქალის პორტრეტი (ფერადი ცარცებით), რომელიც ამჟღავნებს მხატვრის დიდ ცოდნას. ქეთო მაღალაშვილის მიერ დახატული მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის პორტრეტი კარგია, მას ეტყობა პორტრეტების სიყვარული და ფერების უხვი გრძნობა.

ვ. სუდუბკინის სურათი „კარნავალი“ (ტემპერა) შესანიშნავია მსუქანი და გამჭვირვალე ფერებით. კარგია სორინის პეიზაჟი (ზეთით), კ. ზდანევიჩა აქ წარმოდგენილია სამი სურათით: მოცეკვავე ქალი და ორი „Natur mort“, რომლებიც ფუტურისტული უპასუხისმგებლობით არის შესრულებული. შემდეგ მის გვერდით ჰკიდია ხალილ-ბეგ მუსაევის ქალის სურათი (აკვარელი). სურათი ტენიკურად ძლიერია, ძალიან ფაქიზია ზალცმანის „მანდილოსანი ზალით“ (ტემპერა). ა. ზალცმანი ნიჭიერი მხატვარია და სამწუხაროდ გალერეიაში მისი ერთი სურათის მეტი არ არის. ძლიერ სუსტია სარიანის „ქუჩა“. ამ სურათში თითქმის არ არის ელემენტარული ცოდნა მხატვრის. ბ. ფოგელის სამი ეტიუდი: „ბათონი“, „ვენეცია“ და „ნალიები“. მისი სურათები იმპრესიონისტულადაა შესრულებული, ნალიებში არის გარკვეული ფერების შეხამება. ფოგელს საერთოდ, ეხერხება ეტიუდების წერა.

ძალიან სუსტია ხაჩატურიანის „სომხის ქალები“. კარგია ტადეოსიანის სომხის ბაზარი. სურათი იმპრესიონისტულად არის დახატული და ძლიერად გადმოცემს იმ ტალახიან და ჩრდილებით დაბინდულ ვიწრო ქუჩებს, რომლითაც არის ეს უბანი მოცული. იაკობ ნიკოლაძის პატარა ქანდაკება „ქარი“, რომელიც მოხდენილ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს მის ესკიზებში. ამ ოთახიდან გადიხართ მეორე განყოფილებაში, აქ მოთავსებულია ძველი ქართული მხატვრობა მე-XVII საუკუნიდან მე-XIX-დე, მაგრამ ამაზე შემდეგ.





მთებგადაჭრა



ოვ. მახაძე



ივანე მაჩაბელი*)

მასალაში ნიუტონისადაც

ქარი პირველი თავი I

სამაჩაბლო. გვარი მაჩაბლების. წინაპრები. სემონ მაჩაბელი.

ივანე მაჩაბელი დაიბადა ქართლში, სოფელ თამარაშენს, რომელიც ორ ვერსით დაშორებულია დაბა ცხინვალს.

თამარაშენი — ქალაქი დაარსებულია მეთორნეტე საუკუნეში მეფის თამარისაგან, რომელიც ყოფილა მისი ერთერთი საზაფხულო რეზიდენცია და სულ მალე გამხდარა მსხვერპლი ჯალალ-ედ-დინის მძინვარების. მაგრამ ეს ჩრდილო სტრატეგიული და კომერციული პუნქტი შემდეგაც ყოფილა მნიშვნელოვანი და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ისევ იხსენიება ქალაქად, იუმცა „მცირედ“ ქართველობასთან ერთად სომხური და ებრაული მოსახლეობით.

ამ კომერციულ ელემენტების აქ დაბინადრებითაც აიხსნება, რომ თამარაშენი, ყოფილა დიდი ღიახვის ეკონომიური ცენტრი, რომლის ფარგლებშიც შედიოდა: ხევისკარი და რაჭის მთეულეთი.

თამარაშენიდან ექსპორტი გადიოდა დვალეთში.

თამარაშენი ერთეულია იმ მძლავრი ფეოდალური ოლქის, რომელსაც ძველი საქართველოს ადმინისტრაციულ წყობილებაში **სამაჩაბლო** ერქვა და, რომლის ტერიტორიასაც შეადგენდა: დიდი ღიახვის და ფაცის ბასსეინები კავკასიონის მთავარი ხეობებით. (საზღვრები: აღმოსავლეთით და სამხრეთით — ქსანის საერო სთავო და საამილახვარო. დასავლეთით რაჭის ხაზი და ჩრდილოეთით ხოხის მთები.)

სამაჩაბლოს მოსახლეობას შეადგენდა: ოსები და მთიდან ჩამოხვეწილი ელემენტები, დაკავშირებულნი საქართველოსთან ეკონომიურად, პოლიტიკურად და რელიგიითაც, მაგრამ აქ, ჩრდილოეთში, სადაც ქრისტიანობა უმეტესად მახვი

*) იბეჭდება სრულიად უცვლელად.

ლით ვრცელდებოდა, სადაც საშუალო საუკუნეებშიც ჰყვავდა წარმოშობის კულტი, ამ შრისხანე და მეომარ თემში, ეკლესია შესამჩნევ როლს არ თამაშობდა.

ამიტომ აქ ხშირი მოვლენა იყო საეკლესიო ქონებისა და ქვეყნეულების უზურპაცია ადგილობრივი ფეოდალებისგან, რაც სამეფო კარს შეეძლო დასუსტებულ დავას იწვევდა მათსა და კათალიკოსატს შორის.

სამაჩაბლოს უძველესი მემკვიდრეობით განაგებდნენ თავადი მაჩაბლები, — ფეოდალები მეორე რანგის. მიუხედავად დიდი ძლიერებისა, ისინი მაინც არ ითვლებოდნენ ქართულს ოლიგარხიაში, რომელსაც უმეტესად გაუყრელი ერისთავები და სამეფო დინასტიის წევრები შეადგენდნენ.

მაგრამ უძველესი მთავრის შთამომავლობა, საკუთარი დროშა, ციხეჭალაქი და ხეობანი და ბოლოს მათი სპეციალური თანამდებობა „ხევისუფალის“ ანუ პროკონსულობა, აიძულებდნენ ტახტს მათზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევას.

„ხევისუფალს“ (ოლქის გამგებელს) რამოდენიმედ ჰქონდა ერისთავის მსგავსი ფუნქციები, რომლის დეტალები, სამწუხაროდ, გამოურკვეველია, მხოლოდ ცნობილია, რომ უკანასკნელი მსაჯულთუხეცვის აპარატს ექვემდებარებოდა.

მაჩაბლების ძლიერების განმტკიცებას ხელს უწყობდა მათი დანათესავებაც იმერეთ-სამეგრელოს დიდებულებთან და ჩერქეზბატონებთან, რომელთა სახლიდანაც საქართველოს სამეფო კარს მრავალი დედოფალი ჰყოლია..

ჯერ კიდევ გასულ საუკუნის დასაწყისში მაჩაბლების საბატონოში შედიოდა ექვსი დიდი ხეობა: ლიახვის, ჯავის, როკის, უშოარის, ქვეშეთის და ზროგის, რომლის მოსახლეობა ხუთმეტ ათას სულს უდრიდა, ხოლო 1470 წელს, საქართველოს მოსახლეობის ოფიციალური აღწერით, მარტო „მაჩაბლის ოსი“ 860 კომლს აღემატებოდა.

ამას დაუმატეთ ქართველ ყმათა მფლობელობაც და ცხადათ წარმოგიდგებათ ძლიერება ამ ისტორიული გვარის, რომელსაც ქართულ ფეოდალურ ჰერალდიკაში ჰქონდა ტიტული „ბრწყინვალე თავადის, ლიახვისბატონის და ხევისთავის“.

იქნებ ზედმეტი იყოს ეს პატარა ისტორიული ექსკურსი გვარის გენეალოგიისთვის. იქნებ არ არის საჭირო გამოწვევა წინაპართა ლანდების, როცა ივანე მაჩაბელი სრულიად დამოუკიდებელია თავისი გვარისგან, სრულიად უწინაპარო, თვითონ თავისი წინაპარი, თითონ გამართლებული თავისი დიდებით და არა გრძელი გენეალოგიური ტაბულით, მაგრამ საერთო ფონისთვის, შემდეგი დამტკიცებისთვის, დავხსნათ სახსრები მისი სისხლის.

გვარი მაჩაბელი თავისი წარმოშობით პრეფიქსით მ დამოკიდებულია **აჩაბეთის ხევისაგან**, რომელიც მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარის სომხური ანონიმური გეოგრაფიის (ს. კაკაბაძის აზრით, გადათარგმნილია ქართულიდან) დანაწილებით იბერიის ერთი ჩრდილო ოლქს შეადგენდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იბერიის ოლქობრივ დანაწილების გენეტიურ კავშირს, პატრიარქალური წყობილების ნორმებთან, შეგვიძლიან დაუშვათ, გვარის წარმოებისათვის ხმარებულს ძველი ქართულს ენის პრეფიქსის მ გათვა-

ლისწინებით, რომ გვარი მაჩაბელი უძველეს დროიდანვე დაკავშირებულია აჩაბეთისხევის სახელწოდებასთან.

ამიტომ არ უნდა იყოს პრობრონიზმი, თუ მაჩაბლების გვარის გენეზისი უფრო უძველეს დროს მივაკუთნეთ, ვიდრე ჰგონია 1783 წლის ქართულს ჰერალდიკას, რომლის მიხედვითაც:

„ამათნი (ე. ი. მაჩაბლების) უკვე გვარნი არიან უფრორე ძველად კავკასიის მთით შთამოსრულნი ანჩაფაძეთ წოდებულნი თავადნი, რომელნიც მოსახლეობდნენ აფხაზეთსა შინა. ხოლო დროსა მეფის ალექსანდრესა, განიყო რა საქართველო სამ სამეფოდ, და მართვიდენ ძენი მის ალექსანდრესი და უკანასკნელ რა მოკვდა ძე ალექსანდრესი ვახტანგ და დაიპყრეს იმერეთი შთამამავალთა რუსუდანისათა, იქმნა მაშინ აღრეულობაი, რომლისა გამო აიყარნენ ანჩაფაძეები, გადმოვიდნენ ქართლსა, დაეშენნეს აჩაბეთს ადგილსა და მერე მეფემან გიორგიმ მიიღო ანჩაფაძეები ესე და მიუბოძა ადგილი ლიახვის ხეობასა შინა და შესცვალა გვარი მათი მაჩაბელად, ვინაიდან მაჩაბელი ნიშნავს სახელსა, რომელ არის ხევისბერი, ხოლო თათრულეზ სულტანი, რომელ ესენი ავაზაკთა და ქურდთა კაცთა იყვნენ შემპყრობელ და დამსჯელ და ჯარიმათა გარდამხდევინებელ. ხოლო შემდგომად ამისა უმეტეს წარჩინებულ იქმნენ დროსა მეფის თეიმურაზისა და ირაკლისა, წელსა 1733 სა, რომელ ჟამსა ამასა შინა, ეპყრათ ქართლი ოსმალთა, მაშინ არა მცირდესა ვნებასა აძლევედა ზაალ მაჩაბელი და სხვანი თათართა არცა მორჩილებდნენ და ბრძოდენ ნიადაგ, რომლისა გამო. ხოლო აწ არიან მაჩაბელნი მოსახლედ.

1. ზაალისშვილები
2. გიორგიშვილები
3. რევაზიშვილები
4. და სხვანი კიდევ მდებლათ გვართა ამათგან.

პირველსა აქვს ადგილი და ხარისხი პირველისავე თავადისა, ხოლო სხვათა მეორისა და მესამისა, ეგრეთვე ამათნი გვარისანი არიან ბორტისშვილები თავადნი, ესენიცა ქრცხინვალის ხეობაზედ არიან ორ სახლად...

1. ბარძიმისშვილები ხოლო
2. ზაზასშვილები
3. და სხვანი ბელელასშვილნი დაბალნი“...

ჩემის აზრით, მაჩაბლების გენეალოგიური შეთავსება ანჩაფაძეებთან, გამოწვეულია მხოლოდ გვარების ხმოვანობითი მსგავსებით და მოკლებული უნდა იყოს ისტორიულ საფუძველს.

თუმცა, შეიძლება, ან ჰერალდიკის გამართლებით, ან გეოგრაფიული დაშო-

რების გამო მაჩაბლები მართლაც არ სჩანან ამ დრომდის და მხოლოდ 1504 წლის ერთ სიგელში ისინი იხსენიებიან, როგორც მთის ერთ-ერთი მფლობელნი.

სწორედ ამ გეოგრაფიული ჩამოშორებით აიხსნება საქართველოს წყობილების გამწვავება. ხშირად, უფრო კი მეფეების უძლურების დროს, მაჩაბლები დიდი ვადასახადებით ავიწროებდნენ მოსახლეობას და მათს სამთავროზე ვადაშავალ სავაჭრო გზას დიდი ბაჟებით აბრკოლებდნენ, რაც მუდამ ქაქერიის ხასიათის აჯანყებებს იწვევდა.

მოგზაური გიულდენშტეტის (1772 წ.) სიტყვით, გაბეზრებულმა ოსებმა ველარ გაუძლეს მაჩაბლების ბეგარას და მეფესთან უჩივლეს. საქმის გარჩევის შემდეგ ირაკლი მეორემ ლიახვის ხეობა დროებით ჩამოართვა მაჩაბლებს და თავის მემკვიდრე გიორგის გადასცა.

მაგრამ ფეოდალურმა ტირანიამ უმეფობის დროს აპოგეის მიაღწია. ჩრდილოეთში მაჩაბლებმა დაბეგრეს თავისუფალი მთის ხალხიც და „მტკიცე მორჩილებაში“ მოიყვანეს, მაგრამ მთიელებმა მთავრობასთან უჩივლეს და ამ სამართლიანმა დავამ თითქმის ბატონყმობის გადავარდნამდე გასტანა.

საზოგადოდ, როგორც დევალეთში, ისე სამაჩაბლოს მთეულეთში იყო გავრცელებული მონებით ვაჭრობა. ადგილობრივსა და უცხოელ კომერსანტებს აქედან გაჰყავდათ მონების დიდი პარტიები სტამბოლის და ალეირის ბაზრებზე. ქართველი მეფეებიც ხშირად სპარსეთისგან შემოაწერილ ხარკს, აქაური ოსებით და მთიელებით იხდიდნენ.

რაც შეეხება მაჩაბლების გვარს, დამახასიათებელია მათი ერთგულობა მეფობისადმი. არც ერთ პოლიტიკურ კრიზისის დროს, ისინი არ გამდგარან მეტროპოლისგან.

პირიქით, ისტორიას ახსოვს მაჩაბლები თავისი მძიმე დღეებში: **ცხრა ძმა მაჩაბელი** — დაღუპულნი მარაბდაში.

თამაზ მაჩაბელი შეფიცული ძმა დიდი მოურავის, რომლის ბრძანებით გასწმინდა ქაშური და მალრანდვალეთი მთიელებისგან, რომელნიც ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილს ავიწროვებდნენ.

ზაალ მაჩაბელი — გმირი ოსმალებთან ბრძოლაში.

ზაალ მაჩაბელი-ბორტიშვილი ეკუთვნის ირაკლი II-ის დროის ოთხი უგმირესი ზაალის პლეადას, რომელსაც გრიგოლ ორბელიანმა უმღერა ირაკლისავე სიტყვებით!

„და მეფის ძალნი, ოთხნი ზაალნი,

„თითო ერთ ჯარად დაფასებულნი“.

დავით მაჩაბელი, რომელმაც ირაკლი მეორე კრწანისის ომში სპარსელებისგან შეპყრობას გადაარჩინა.

თამაზ მაჩაბელი პირველი რეჟისორი ირაკლის თეატრის და ტირტი კრწანისის.

ბარძიმ, ზაზა (ასპინძის გმირი), ბაადურ და ლუარსაბ მაჩაბლები

{ ცნობილი მემბოხენი რუსების წინააღმდეგ. ზაზა და ბაადურ რუსებმა დახოცეს ციხეში 1816 წ. ლუარსაბი სვიმონთან ერთად მონაწილეობდა კახეთის და მთიულეთის ამბოხებაში.

ასევე ერთგულობდნენ ტახტს ივანე მაჩაბლის პირდაპირი წინაპრები: **იასე მაჩაბელი**, რომელსაც ირაკლი II უწოდებს „**დადიანი**“, დიდათ იმედმისაჩენელს-მისახედავს და არაოდეს დასაფიცვარს“. **ფარსადან მაჩაბელი** ირაკლის და გიორგი XIII-ის კარისკაცი: ოსების ჯარის სარდალი და სახასო ხარკის მომგროვებელი.

ივანე მაჩაბლის გვარის იდიოლოგიური შტო:

16000 წლიდან

თავადი იასე მაჩაბელი XVI საუკ.

ქვაბულ ზაალ იოთამ XVII საუკ.

ზ ა ზ ა

ი ა ს ე

ზ ა ა ლ

XVIII საუკ.

ი ა ს ე

ფ ა რ ს ა დ ა ნ

ს ვ ი მ ო ნ

XIX საუკ.

გ ი ო რ გ ი

ივანე მაჩაბელი

მაგრამ უფრო ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ი. მ-ის პაპა — ცნობილი სვიმონ მაჩაბელი — ერთი გმირთაგანი 1832 წლის შეთქმულობის, არხაიული პოეტი, იმპროვიზატორი და ნაყოფიერი ავტორი ფანტასტიური ჟანრის რომანების.

საშუალო მკითხველისათვის ეს სახელი თითქმის უცნობია. იგი „გამორჩენილებსა და დავიწყებულებს“ ეკუთვნის:

უპირველესად ეს იყო ფეიერვერკი ელეგანტურ ჰკვუმახვილების, ბრწყინვალე მოსაუბრე ოცდაათიანი წლების სალონების, მკვეთრი ეპიგრამისტი და ჰკუით, ერუდიციით, სიმახვილით საერთო საყვარელი მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის.

როგორც მეორე ხარისხოვანი პოეტი, ეს იყო უკანასკნელი ეპიგონი რუსთაველიზმის, რომელზედაც ისვენებდა ექვსი საუკუნის საქართველო. მისი მითოლოგიური „როსტომიანის“ ტიპის პოემები და რომანები რაინდული ელემენტებით, უშინაარსო, მაგრამ ფორმით მშვენიერი, იმ ძველი სტილის და კომპო-

ზიციის, საშუალო საუკუნეთა ესთეტიური ემოციებით და ჰიპერბოლებით, ერთი სიტყვით, სრული კომპილიაცია ირანულ პოემების, რომელთა ეფთხი და რჩა შტამპათ ქართულ პოეზიაში — არის დასრულება უძველესი პოეტური მხატვრული რესტავრაციისა.

ამასთან ს. მ. ტიპიური წარმომადგენელია იმ გარდამავალი, რიტმიული ეპოქის, როცა თავის დღეებს ათავებდა ისტორიული პათოსით სავსე ქართული რომანტიული ეპოპეა, როცა ძველმა ქართულმა ლიტერატურამ უცხო გავლენით დაკარგა თავისი სულიერი მთლიანობა და ასკეტიური იდეების მატარებელი პოეზია ფხიზელი ხელოვნებით შეიცვალა.

ეს დროა საზოგადოებრივი აღორძინების დაწყების, როცა თბილისის ჰაერი ივლინებდა „საუკუნის იდეებით“ და ხვეული გზებით შედის ახალი ფილოსოფიური და სოციალური სისტემები, ერთი სიტყვით, როცა საქართველომ დაიწყო თანაბარი სიარული საუკუნესთან.

ამ დროს ქართულ სალონებში უკვე მკაფიოდ ისმის არეული სახელები: რასინ, მონტესკიე, კორნელი, პუშკინი, მიცკევიჩი, ბაირონი, შილლერი, ვიქტორ ჰუგო, გიოტე, ვოლტერი. — აქ ორი სიტყვა ვოლტერიანობაზე საქართველოში, რომელიც ტემა იქნება ცალკე წიგნის.

ვოლტერის იდეები საქართველოში, ჯერ კიდევ ირაკლის ეპოქის მოდია. „ვოლტერის შედგომა“ როგორც მაშინ ეძახდნენ, უკვე ცნობილი მოვლენაა და ქართველი ვოლტერიანებიც წარმომადგენენ საკმაო ძალას, რომელსაც, როგორც ახალ ერესს, სასტიკი ოპოზიციაში უდგება ორტოდოქსალური სამღვდელთა და თვით გიორგი XIII, რომელნიც ვოლტერიანობას განმარტავდნენ, როგორც „უკეთურობას სწავლას, ურწმუნოებას, ნათესავთა დაუნდობლობას და მეზობელთა მტრობას“ მეფე გიორგიმ დასწვა ვოლტერის სურათი, რომელიც სასახლის დარბაზში დაჰკიდა ტახტის მემკვიდრე დავითმა, ცნობილმა ვოლტერიანმა ეკატერინე II-ის კარიდან.

ვოლტერის მოძღვრება მთელი სიძლიერით შემოდის XIX-ს ოციან წლებში და მისი დიდი მიმდევარი ხდება პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

სვიმონ მაჩაბელს წვრილ ლირიკულ ლექსებსა და სხვა ლიტერატურულ ნაწერებთან ერთად (იხ. „ცისკარი“, „კრებული“ ან 40-ანი წლების ხელნაწერი ანტოლოგიები) სხვათა შორის, ეკუთვნის ებრაული სიუჟეტების გავლენით დაწერილი ზღაპრული რომანი „გულასპიანი“, რომელშიც არის სიმბტომები ახალი გარდატეხის.

ამ ნაწარმოებს, მდიდარს სიუჟეტით, ენით და აღწერებით, თავის დროზე საკმაო რეპუტაცია ჰქონდა, სამწუხაროდ, უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მის მახვილ ექსპრომტებსა და კალამბურებს, ვიდრე მის მწერლობას.

დაბოლოს, ცნობილია, ს. მ. — ის მჭიდრო მეგობრობა ქართველ მოლიერთან, რომლის აღსანიშნავად გიორგი ერისთავმა დასტოვა ლექსი:

ს ვ ი მ ო ნ მ ა ჩ ა ბ ე ლ ს

„გახსოვს, როს, ძმაო, ბედისა მწარით
შეგვხვდა პატიმრად ერთად სხდომანი?“

მტკიცისა გულით კავშირით მყარით
 ვსთქვით ურთიერთის მეგობრობანი!



მე აწ სოფელი მოყვასთ მაშორებს,
 დამიხშავს კლიტით მამულის კარებს,
 ველარ ვისუნთქავ ჰაერით ტკბილით,
 მისთვის მიბრალე გულით ღმობილით.
 მივალ გარნალა სული აქ მრჩების...

შენ უწყვი რომ ვისთვის ვცხოვრებდი,
 შევენების ღმერთად აღვიარებდი,
 ვიდრემდის სული ცოცხლად მექნების,
 მინამდის ტრფობა არა განქრების.

ნუ თუ შენ მისი ხილვა შემოგხვდეს
 და მქუნვარებით მომიგონებდე,
 თუ ვარ ცოცხალი შემატყობინე
 და თუ ვარ მკვდარი სულს აგრძნობინე“.

1 სექტემბერს 1833 წელსა
 ქალაქის ციხეში, უამსა პატიმრობისა.

პოლონეთიდან დაბრუნებული გიორგი ერისთავი პირველად სვიმონ მაჩაბელს ატყობინებს თავის განთავისუფლებას:

ბედმან კვალად, ძმაო, ხშული გამილო კარი,
 მოვედი, გნახე მე მოყვასი და მეგობარი.
 მსურის მოხვეენა, გარდაკოცნა წვერის ჭალარის,
 ექვსი წლის უსმენს შენის ენის მოჭიკჭიკარის
 მშიის ვით მომყბარს მოვისმინო ხმა შენი ტკბილი,
 მოგელი ესრედ, ვით მიჯნური ტრფობით შეწლილი,
 ნულარ იყოენი, მოისწრაფე ნახვით მახარე;
 მარილმოყრილის შენის ენით მო, მახარხარე;

25 აგვისტოს, 1838 წ.
 ს. არცვეს.

გიორგი ერისთავს გარდა მას მეგობრობენ ყველა მაშინდელი კოლოსები ქართული აზროვნებისა: სოლომონ ღოდაშვილი, პლატონ იოსელიანი, გრიგოლ ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხ.

ოჯახში ს. მ. არის გვარის უკანასკნელი პატრიარხი, შემნახველი გვარის ძველი ტრადიციების, როცა დგება საფრთხე უკანასკნელის დაცვის; დაბადებული მეამბოხეთ.

დღესაც ბევრს ახსოვს ეს ექსტატიური პიროვნება და აპოლოგეტი რაინდული საუკუნეების. — გმირი იმ ეპოპეის როცა საქართველოში კიდევ ერთხელ გაიარა თავგანწირვის სულმა.

როგორც პატრიოტი ბაგრატიონების დინასტიის, ^{1832 წელს} ის ერევა შეთქმულებაში და ტფილისზე ოსების ჯარის წამოყვანას აპირებს, მაგრამ იმსხვრევა ქიმერიული იმედები „ფარული საზოგადოების“ და ს. მ., როგორც უახლოესი წევრი კონსპირაციისა და სახემწიფო მოლაღატე — გიორგი ერისთავთან, სოლომონ დოდაშვილთან და გრიგოლ ორბელიანთან ერთად ზის „ავლადრის ყაზარმებში“.

ურჩი და მტკიცე არ უშინდება კაზემატის რეჟიმს. დანაშაულში ვერ სტეხენ და მის „დაუმტკიცებლობისათვის“ სტოვებენ საქართველოში სასტიკი თვალყურის ქვეშ.

ეს მრისხანე მემამობე ბოლომდე რჩება პრინციპიალური და სიკვდილამდის არ ურიგდება ახალს მმართველობას, როცა მას, გვაროვნობის მიხედვით, მაშინდელ ადმინისტრაციულს იერარქიაში დიდი ადგილის დაქერა შეეძლო, როგორც ეს შემდეგში ჩაიღინეს მისმა ამხანაგებმა შეთქმულებიდან — მონარქისა და ტახტის ერთგულობით.

პოლიტიკური ვნებისაგან გაყინული მისი სულის მრისხანება გადადის ოჯახზე, ყმებზე, სახლში ყველას ეშინიან, მაგრამ უფრო ყმებისთვის არის ძნელი ასატანი ტირანი.

მოუხედავით ამისა, მისი საყმოს ერთი ნაწილი, სარგებლობს რა შემთხვევით, რომ მისი ბატონი „შენიშნულია“ და მოთავრობა არა სწყალობს, ახერხებს სრულიად განთავისუფლებას მისი მფლობელობისაგან.

მომსწრე, რომელიც დღესაც ცოცხალია, გვიამბობს: როდესაც ნაყმევი ოსები — სიმღერით ჩამოივლიდნენ სვიმონის სასახლეზე, იგი ცრემლით სტიროდა ხშირად უყვარდა ასეთი ლაპარაკი:

— დღეს ძალიან ცუდათა ვარ, ყმები არა მწყევლიან!

— როცა ყმები მწყევლიან, მაშინ ყოჩაღათა ვარ!

თავისებურია მისი რუსოფობაც, რომელიც ჰანნიბალის ფიცივით აქვს მიღებული, დღესაც ახსოვთ ქართლში, როდესაც ის აივანიდან გადმოიძახებდა:

— აბა, ბიჭო, გაიხედე, რუსები წავიდნენ თუ აქვე არიანო!

მისმა უკანასკნელმა დღეებმა მეტად უფერულად ჩაიარა. გადიტანა რა ყოველნაირი დამცირება დამხოვბილი დანასტიის, ოჯახის და სამშობლოსი, მას, სასიკვდილო სარეცელზე მდებარეს, ბატონყმობის მოსპობის ხმა დაეცა, როგორც აპოპლექსიური წვეთი და შეასვა უკანასკნელი ფიალა სიმწარისა.

ჩვენ ზედმეტად შევჩერდით ს. მ.—ის პიროვნებაზე, რადგან ივანე მაჩაბელი დავალებულია მისი ტემპერამენტით, ამბოხების სულით, კულტურით და ფიზიოლოგიური „მემკვიდრეობითი ტანჯვით“ ლიტერატურისა და შემოქმედების.

ამ ტრადიციულ-ფეოდალურ ოჯახის ატმოსფეროში შემზადდა მომავალი სახელი ივანე მაჩაბელის. აქ გაიღეს ის ხანჯალი, რომელიც შემდეგ დაუნდობლათ ჩაესო ქართული საზოგადოებრიობის დამპალ სხეულს.....

თ ა ვ ი ი



ეროვნული

საბიბლიოთეკო

დედ-მამა. პირველი აღზრდა. პირველი სიყვარული. პირველი ნაბიჯები. ეპიზოდები
ბატონ-ყმობიდან.

ივანე მაჩაბელი დაიბადა 1854 წელს, 27 იანვარს, (ძველი სტ.) სვიმონის-გან აშენებულ სპარსული სტილის სასახლეში, რომელშიც ნებივრობდნენ ჩვენი ძველი მიმბაშები, ნახირები და იარაღები,

ეს ვიწროთაღებიანი სასახლეები როსტომ მეფის დღეებიდან ბრწყინავდა ქართლში თავისი მოზაიკური მინებით, ჭრელი საარკეებით, „შაჰნამეს“ ეპიზოდებით მოხატულ კედლებით და მოხარატებულ ლურსმული. ქაოტიური ჩუქურთმებით.

მაგრამ ახალი მემკვიდრის დაბადების დროს, სასახლეს უკვე შეხებოდა ხელი ეგვიპტის აზრაილის. დაფარული მტვერით და დობას ქსელით, კარებ-შემპალი და ჭერმინგრეული, ის იყო ცხადი მოწამე ფეოდალური კატასტროფის.

შემდეგში მის გვერდით ივანე მაჩაბელმა ააშენა ევროპიული სტილის სახლი, რომელშიც დღეს სამხრეთ-ოსეთის პარტკომს უპატრონო ბაეშვთა თავშესაფარი მოუწყვია.

მამა—გიორგი მაჩაბელი—ფლეგმატიური პიროვნებაა, უპრინციპო, ფუქსავატი, გაგიჟებული ყომაართა და ნარდით, უნიჭო მემკვიდრე კავალერიის შტაბ-როტმისტრი, შემდეგ მაზრის უფროსის თანაშემწე, მერე დიამბეგი—მოკლებული ყველა იმ საჭირო თვისებებს, რომლითაც მას, შთამომავლობითი ფეოდალს შეეძლო დაწინაურებულიყო უმაღლეს საზოგადოებაში.

ის ტიპიური შვილია შერყეულ ფეოდალიზმის, რომელსაც ისტორიის ისარმა აჩვენა მწუხრი.

ახალგაზრდობაში ფლანგავს მდიდარ მამულებს, რის გამოც მუდამ კონფლიქტში იმყოფება გონიერ მამასთან, რომელიც ჰხედავს მასში ტრადიციული ოჯახის დამამხობელს, მაგრამ წინ მაინც ვერ უდგება.

ივანეს დაბადების დროს კი, თავისი ოსების ასეულით რიონის რაზმში, იბრძვის ოსმალთა წინააღმდეგ ჩოლოქხე და გიორგის ჯვართ აჯილდოებენ.

ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ, როცა ვანო ოთხი წლისაა, იპატიუებს მეომარ კახელებს ორას კაცამდის თავისი სარდალის ივანე ანდრონიკაშვილის ვაჟის მეთაურობით და მას დიდი ცერემონიალებით ანათვლინებს თავის შესამესა და უკანასკნელ შვილს, რომელსაც სარდალის პატივსაცემად, მისივე სახელი უწოდა.

ერთხანს გ. მ. ჩერდება სახლში, მეურნეობის გაუმჯობესებას აპირებს, მაგრამ სულ მცირე ხნის შემდეგ წაჩხუბებული მამასთან, ყმებთან აშლილი, ბრუნდება ტფილისში და ტრიალებს მთავარმართებლის კარზედ.

ახალგაზრდობის მთელი თავდავიწყებით, ის ეწაფება ტფილისის ცხოვრებას და მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართავს პიკანტურ

ხერხს, რომელიც გაღარიბებულს თავადაზნაურობაში მუტად მიღებული იყო: სახელდობრ მდიდარი საცოლის შოვნა „მეჯღანუაშვილის წრიდან“.

მისი და მისივე მაქანკლების არჩევანი მიდგა დაბძლის არსებობა ერევან-ცოვის ქალზედ, რომელსაც სიმდიდრის ხმა ჰქონდა დაეარდნილი. სიძამოს, რომელიც კლასიკური ტიპია გიორგი ერისთვის კომედიების, მაინცა და მაინც არ გაჭხარებია ქართველი თავადის დამოყვრება, მაგრამ რომანტიულ ქალის სურვილს ვერ აღუდგა და სიძეს დიდი მზითვები დაჰპირდა.

მართლაც და ქორწინების შემდეგ, გიორგის ყმებმა ათი ურემი მზითვეი გაიტანეს ტფილისიდან, მაგრამ გახსნილ სკივრებში, მარგალიტის, ოქროქსოვილის და ძვირფასეულის მაგივრად უბრალო ქამბა და ზოგან აგურის ნატეხებიც აღმოჩნდა.

ეს ამბავი არ გამოეპარა ქართლის სატირიკოსებს და გამოითქვა მწარე ლათაიები, რასაც დღესაც დიდის იუმორით მღერიან.

შეურაცყოფილმა და ოჯახზე გაცრუებულმა თავადმა გული აჰყარა ოჯახს და ისევ მოაშურა ტფილისს, მაშინდელ ცენტრს თავაშეებულ ორგიების და ვაკხანალიების. ხუთ წელიწადში ერთხელ თუ ავიდოდა სახლში, ისიც შემოსავლის მოსაკრებად.

მაგრამ გიორგის კიდევ გამოუჩნდა ახალი სახსარი: სწორედ ამ დროს, ევრონცოვის ცივილიზატორულმა პოლიტიკამ, თავადაზნაურობას, როგორც კულტურის აღორძინების წუამავალს, „პრიკაზის“ სესხი გაუხსნა.

თავადაზნაურობაც გაგიჟებით მიესია მდიდარ სესხს, რომელსაც თავიდანვე აღლო ვერ აუღო და, რომელიც მისივე გამანადგურებელი აღმოჩნდა.

— აღარც თოფი, აღარც ხმალი, ვმადლობთ ღმერთსა, — იძახის ალექსანდრე ორბელიანი, — მაშ რა არის საჭირო? — სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაქრობაა აუცილებელი, გამამდიდრებელი კაცისა, დამიჯერეთ, რომ ყველას ეს ფიქრი უნდა გქონდეს ეხლა, თორემ ისე გავღარიბდებით, რომ გლეხკაცობაზედ უფრო მომატებით“.

მაგრამ არავინ დაუჯერა მის სწორ დიაგნოზს. მამულის კულტურისათვის გახსნილი ფული, რასაკვირველია, არც მამულს და არც ოჯახს არ მოხმარებია. მხოლოდ ამ აუარებელმა ოქრომ ერთის შეხებით, ძველი, პატრიარქალური, მძიმე ტფილისი გარდაქმნა პარიზის კვარტალად; — ბალებით, მასკარადებით და ზვიადი სათავადო დღესასწაულებით.

ბალების კოსტიუმებში, ლანცკნეტის თამაშში, ფავორიტების, კრეატურების შენახვაში და „ფერშინგის მალახინის“ ატლასებში დაიხარჯა ის უხარმახარი მთები და მინდვრები, როგორც იწინასწარმეტყველა დემონიურმა პატრმანიკოლამ:

— მკვდარნი თქვენნი დაიმარხებიან მუხიკითა და მამულები გაიყიდება ბარაბანით.

ამ უპრინციპო ხალხმა მალე უღალატა ეროვნულ დინასტიას, რომლისთვისაც ასე მწარედ იბრძოდა ბაგრატიონების სამეფო კარი „მეფური, დიდებული, განცხრომითი და მხიარული“ თავის ბრწყინვალე ეტეკეტებით გასცვალა მას-

კარადზე ისე, როგორც დიდი წოდებანი: მოურავების, სარდლების, შისკარბა-
შების, სახლთუხუცესების, — რუსეთის სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა
წერილს მოხელეობაზე.

მათი ბრძოლის ვნება მიყუჩდა და ეს მრისხანე შეამბოხენი, გავარდნილები
მთებსა და ხეობებში, მოთვინიერებულები, ეხლა მოოქროვილს ლოცვებში სრუ-
ლიად გულდამშვიდებით უსმენდნენ იტალიურ ოპერას.

გიორგი მაჩაბელიც, როგორც ორგანიული წევრი ამ პარაზიტისმის, კიდევ
აგირავებს დარჩენილ მამულებს, რომ არ ჩამორჩეს ვორანცოვის სალონს...

მაგრამ მასკარადი თავდება. ბრწყინვალე ინტერმედიებიც სრულდება... დიდი
ფეოდალური მანქანის უკანასკნელი ჩარხი-ლა ტრიალებს... ფეოდალური არის-
ტოკრატია სისწრაფით აჩქარებს თავისი დაღუპვის დღეებს... აღარავითარი იმე-
დი აღარ არის თავადაზნაურობის პოლიტიკური მნიშვნელობის და ისტორიულ
უფლების დაბრუნების.

გრიგოლ ორბელიანმა პირველად იგრძნო აღსასრული თავისი კლასის და
პირველმა შეჰყვირა გამწარებით:

— მოვიდა ჩვენზედ რისხვა ღვთისა და არსად სჩანს ნოეს კიდობანი, სა-
დაცა შევაფაროთ თავი ჩვენი, არსად სჩანს გამომხსნელი!

„სულ ტყუილია ჩვენი მეცადინეობაც, ჩვენი სურვილიც; ცხადად სჩანს,
რისხვა ღვთისა ჩვენზედა მოვლენილი და ვიღუპებით! აღარავინ გვებადება,
აღარავინ გვეზრდება; ხმა საიდუმლო მესმის: აქამდის იცოცხლეთ, კმარა, გეყო-
ფათ, აიყარენით!“

„ეჰ, იღუპება, იღუპება საქართველოს თავადაზნაურობა! საცაა მოვა წარ-
ღენაც და შთანთქავს ყველას. იქნება ერთი-ორი ბედნიერი ოჯახი მოყვეს ნოეს
კიდობანში, თორემ სხვა ერთიანად უნდა გაჰქრეს დედამიწიდან, ღვთის რი-
სხვა არის ჩვენზედ მოსული, ღვთის რისხვა!..“

წარღვნამ, რომელიც იგრძნო გრ. ორბელიანმა, თავის მორევებში ყველაზე
ადრე გიორგის სახლი ჩაიხვია.

განადგურებულ ოჯახს დააწვა ის დიდი ვალები, რომელსაც მერე მისი
შვილები დიდხანს იხდიდნენ. ი. მაჩაბლის სტუდენტობის პირველ პერიოდის წე-
რილებში ხშირად შეხვდებით ასეთ ჩივილს:

„გუშინ მოვალე თათარი მოვიდა. №-მა გამიჭირა საქმე, მაგრამ როგორც
იყო დავაშოშმინე“. „კიდევ ორი უცნობი მოვალე გამოგვიჩნდა, ერთი ვიღაცა
თუმანიშვილი გვედავება, ექვსი თუმნის ვექსილი ჰქონია მამიჩემისგან. მეორე
ვიღაც მამიჩემის სახლის პატრონია“... „ყველანი მშვიდობითა ვართ, ეს არის
მამაჩემის მოვალეები გვაწუხებენ. ახლა მამაჩემს უნდა სესიაშვილის მამული და-
აგირავოს და იმით ყველა მაწუხებლის ვალები გაისტუმროს“ სწერს თავის უფ-
როს ძმას ვასილს.

გიორგის სიცოცხლე ლოლიკურად თავდება. უკანასკნელ გალატაკებამდე
დასული, ის კვდება გორში, „ბელტიულაპიას“ ტრაქტირის ჭუჭყიანს ნომერში,
მაგრამ მკვდარიც დავალიანებული აღმოჩნდება და ვიდრე „ბელტიულაპია“ პე-

ტერბურგიდან არ ჩაიბარებს ნომერში დანახარჯს ოთხმოცდაათ თუმანს, მანამ ჩაკეტილ ცხედარს ქირისუფლებს არ ანებებს.

მე გადმომცეს, რომ გიორგი მაჩაბელი, — ეს უკანასკნელი ნებბიჭვი ფეოდალიზმის, — არის პერსონაჟი ანტონ ფურცელაძის რომანის „ჩვენებური საქმის ბოლო“.

მიუხედავად ასეთი ქარიშხალიან ცხოვრებისა, გ. მაჩაბელი მაინც ერთგულია ოჯახში დაცულ ლიტერატურულ ტრადიციების და იმის სახლში თავს იყრიან ვალები და ლექსები, კრედიტორები და პოეტები. მისი ოჯახის ხშირი სტუმრები არიან მაშინდელი პროვინციალური პოეტები: მამამხე ერისთავი, დავით მაჩაბელი, გიორგი ერისთავი, აბესალომ მაჩაბელი, ივანე კერესელიძე, ნინო ყარანგოზიშვილი და სხ.

მყუდროობის დროს, რაც ასე იშვიათია მის ცხოვრებაში, ერთობა გმირულ პოემების გადაწერით. ასე 1895 წელს პეტერბურგში უთვლის პროფ. ჩუბინაშვილს, რომ „ქართული ზღაპრები ათას ერთი ღამისა“ გადასაწერად ათხოვოს.

ძველი ფეოდალური ტრადიციებისავე მიხედვით, განაგრძობს მთარველობას ეკლესიისადმი. ცხინვალში ის აშენებს სომხურ ეკლესიას, ალბად მეუღლის რწმენის პატივსაცემათ, რომელსაც სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება არ გამოუცვლია.

დედა მაჩაბელი — სრული ანტიპოდია ქმარის. ენერგიული და მაგარი ხასიათის, პირდაპირი ტიპი „ოთარაანთ ქვრივის“.

ეს უსახელო მეტყავის ქალი ამაოდ სცდილობს, განწირული ოჯახის გამობრუნებას.

როგორც ალექსანდრე მაჩაბელი გადმოგვცემს, ქმარისგან სრულიად თავმინებებული „დედა ნატალია გაწყალებული ჩითის კაბის კალთებით ყოველდღე ნათოტსა და ჩინჩხვარს აგროვებდა, რომ შეიღებისთვის ღოღოს შექამანდი მაინც მოებარშა“.

უმცროსი შვილი ივანე გაგიჟებით უყვარდა და სიკვდილამდე (1914 წ.) მისი დაკარგვა არა სჯეროდა ის დანდობილი იყო, რომ „მისი ჭკვიანი შვილი სხვათა ქვეყანაში წაუვიდა დიდი საქმეების გასაკეთებლად“.

— „მუდამ აღდგომას მის მოლოდინში იყო და მუდამ შემოდგომას ჩურჩხელებს უმზადებდა. გეწერს იგივე მაჩაბელი, — ერთ შემოდგომას ატეხილი წვიმები იყო და ჩურჩხელები არა შრებოდა. შეწუხებულმა დედამ მოურავს შესჩივლა: „დარი არ გამოდის და ვანოს ჩურჩხელები უობდებაო“. მოურავმა ასწავლა: დედა-ადამიანმა წვიმაში ცხენით უნდა გაიაროს, მაშინვე გადიღებსო“. დედამაც საჩქაროთ შეაკმაზინა ცხენი და კოკისპირულ წვიმაში გაიარა.“

სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, — „დედა დარწმუნებული იყო, რომ ვანო ამერიკაშია წასული და უბიძამ არ იშორებდა ხელსახოცს, რომელზედაც მისი პორტრეტი იყო დაბეჭდილი“.

„შვილსაც უნაზესი სიყვარულით უყვარდა დედა. ყოველ აღდგომის დღე-

სასწაულებს დედასთან ატარებდა. ყოველ ამ დღეს ბავშური სიხარულით მიჰქონდა დედასთან სხვა და სხვა საჩუქრები“.

„მარიამ ამილახვრის თქმით, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ვანო გაკვეთილებიდან ნაშოვნს ფულს დედას უგზავნიდა“.

მართალია, დედა ქართულად იყო აღზრდილი, მაგრამ, როგორც მდაბიომ, ოჯახური საქმეები უფრო იცოდა, ვიდრე მწიგნობრობა და ამიტომაც ბავშისთვის გონებრივი ხელმძღვანელობის გაწევა ვერ შესძლო. მამასაც სულ არ ეცალა ბავშისათვის, პაპა სვიმონიც უკვე მიცვლილიყო და შეიძლება მიტოვებული ბავშის ბედი სხვანაირად წასულიყო, რომ მას არ აღმოსჩენოდა კეთილი ჰენია — მოხუცი პაპიდა ელენე დიასამიძის ქვრივი, რომელიც ქმარის სიკვდილის შემდეგ ისევ სახლში დაბრუნებულია.

ამ წმინდა არსებით სამუდამოდ დავალებულია ივანე მაჩაბელი.

ეს ჰარმონიული ნატურაა. XVIII საუკუნის სრული ფსიხიკის ადამიანი. ნაციონალურ ტრადიციებზე აღზრდილი, კონსერვატორი, ქართული ცხოვრების კატეხიზის სასტიკი დამცველი, ლიტერატურაში კლერიკალური მწერლობის მიმდევარი, მაგრამ თაყვანისმცემელი ბესიკის და რუსთველის.

იგი მოესწრო ილია ჭავჭავაძის პირველ ოპოზიციას და, როგორც სასტიკი დამცველი ქართული კლასიციზმის მკაცრი ფორმების, უარყოფელი „თერგდალეულების“ ცივილიზაციის, სხვებთან ერთად სდგას მისივე მეგობრის ბარბარე ჯორჯაძის პოზიციებზე.

მის ელემენტარულ სკოლაში ივანე მაჩაბელი იღებს პირველ განათლებას.

პაპიდას „პანსიონი“ გამართულია მხოლოდ შინაურებისათვის. სწავლას იწყებენ ხუთი წლიდან, გძელდება სამი წელიწადი. პანსიონის რეჟიმი სასტიკადაა დამყარებული რელიგიურ პრინციპებზე.

პირველი გაკვეთილი ხუცური ანბანი ბეჭხე.

პირველი ლოცვა: „ამინ და დიდება შენდა“. პირველი წიგნები: „დაკითხნი“, „განნი“, „სახარება“, „სამოციქულო“.

შემდეგ „წყობილსიტყვაობა“ და „ვეფხის ტყაოსანი“, — ეს სამუდამო ანდერძი ქართველის. სკოლის საზოგადო პროგრამას შეადგენს: ანბანი, საეკლესიო ტექსტების გარჩევა და დეკლამაცია. სავალდებულოა იამბიკოების იმიტაცია. ვარჯიშობა „თხზვაში“ და „ხელთა ანგარიშიც“ — (წლების გამოთვლა თითებზე).

პანსიონის რეჟიმში შედის ყოველ დღე ტუჩების გაზომვა ძაფით. რათა მოწაფეებმა ბევრი არ ილაყბონ და მეტი დრო სწავლას მოახმარონ.

პირველ კურსზე სასტიკად აკრძალულია რომანების, ზღაპრების და ჟურნალ „ცისკარის“ კითხვა. მაგრამ მეორე პანსიონერის სიტყვით, პატარა ვანო „ცისკარში“ ჩუმად კითხულობს რასინის „ცინნას“, ბესტუჟეე-მარლინსკის „მოლლანურს“ და მოთხრობას „კალიოსტრო ჰერცოდ რიშელიესთან“.

ამ „უდროო“ ცნობისმოყვარეობისათვის პატარა მოწაფე სასტიკად ისჯება.

ასევე ფარულად ეცნობა სამხარეულოში გადაყრილ ზღაპრულ ლიტერატურის რეპერტუარს, რომელსაც შეადგენს: „ბარამიანი“, „ყარამანიანი“, „დავრი-

შიანი“ და სხ. ეს ანემიური მწერლობა, ეს აბსურდული მითები, ბავშვზე არაფერ შთაბეჭდილებას არ ახდენენ.

მაგრამ ოსტატის ნებართვით იხსნება პაპის მდიდარეზერვუარეა, რომელსაც უმაწვილი ახალს, რომანტიულს ქვეყანაში გადაჰყავს, წიგნთსაცავი საგსეა ქართული ანნალებით, ძველი და ახალი ლიტერატურით. დამტვერილ თახჩიდან გადმოდის დამაბრმავებელი სახელები: ბესიკი, მიცკევიჩი, ბარათაშვილი. აქვე ნაწყვეტები: პუშკინის, ლეიზევიცის, გიოტესი, ვოლტერის „ზაირა“ და საიდუმლოდ შენახული რილევის. — „ნალივაიკოს აღსარება“.

ყოველივე ეს, არეული, შეუკავშირებელი, ზოგი „უდროოც“. ა თვისებულია ცნობისმოყვარე ბავშისვან, მაგრამ ამ ახალის და რეტროსპექტიული ლიტერატურიდან პაპიდას პროგრამით სავალდებულოა დაბეპირება სახარების თავების და რუსთაველის.

შემდეგ ეს გასაკვირველი ცოდნა საფუძვლათ დაედო მის შექსპირის თარგმანებს, როცა მან გააგრძელა გზა თავისი პირველი ავტორების: გიორგი შთაწმინდელის, მიქელ მოდრეკილის და სხ.

შვიდი წლის ბავში, უკვე პანსიონის ლაურეატი განთქმული ქართლში ფენომენის სახელით, ეკლესიებში დაჰყავთ საღეთო წერილის მკითხველათ.

და რადგან ფიზიკურათ სუსტს, საყდარში დიდხნით დგომა არ შეუძლია, არც სქელი წიგნის დამაგრება, მას სეამენ ანალოვზე და ბავში ენტუზიაზმით, წყნარი რეჩიტატივით, როგორც ელლინური ქლეიტა განაგრძობს კითხვას.

შემდეგ შორეულ სოფლებს და ქალაქს ევლინება, როგორც ბავში საეონაროლა. მისი მრეკავი ხმა უკვე სატახტო ქალაქშიც ისმის. ქაშუეთის და ორბელიანების ეკლესიაში, მოწიწებით უსმენს მოხუცი გრიგოლ ორბელიანი, რომლისაგანაც იღებს უმაწვილი პირველს აღერსა და დაფასებას.

ამ „კითხვის“ პერიოდიდან ერთს საინტერესო ჭპიზოდს მწერს ეკატერინე გაბაშვილისა, რომელიც მომყავს უცვლელათ და მთლიანად.

„ცხრა თუ ათი წლისა ვიქნებოდი, როდესაც პირველად ვნახე ვანო მაჩაბელი.

„იმ დროს, ციებამ დამიგდო და ბებია ჩემმა მკითხავის რჩევით გერისთავში წამიყვანა. ეკლესიის ეზო სავსე იყო ხალხით და დაჩარდახული ურმებით. აქა-იქ დიდი ლხინები იყო გაჩაღებული და ჩვეულებრივი ჯვარობის ყრიაბული-საგან ყურთა სმენა აღარ იყო.

„მამაჩემს ხელმოკიდებული დავყავდი ერში და მიხსნიდა გერისთობის ბაზრობის მნიშვნელობას ზემო ქართლის ცხოვრებაში. ეკლესიაში წირვა იდგა. ხალხი შედიოდა ხატის სამთხვევად და პარაკლისის გადასახდელად. ჩვენც იქითკენ ვიწვევდით, რამდენადაც ხალხის ტალღა ნებას გვაძლევდა.

„უცებ ხმა გაეარდა, სამოციქულოს სულ პაწაწინა ბავში კითხულობსო, და ხალხი უფრო აჩოჩქოლდა და ეკლესიის შესავალს მიაწყდა. მამაჩემმა ფეხი აუჩქარა, ხელი უფრო მაგრად ჩამჭიდა და რამდენიმე წამის შემდეგ ეკლესიაში შემიყვანა.

„ხატების წინ მრავალი სანთელი ენთო, მაგრამ ეკლესიაში მაინც ბნელოდა

პატარა საყდრის ვიწრო სარკმელებიდან საკმაო სინათლე არ შემოდის და ხალხს ვერ ატანდა. ამ ბინდში მკაფიოდ მოჩანდა მხოლოდ ხელში აყვანილი რვა წლის ბავშვი, რომელსაც მარჯვენა ხელში დიდი კელაპტარი ზჭირა და წინ გადაშლილ უშველებელ წიგნს კითხულობდა.

„სიზმარივით ჩამრჩა ეს სანთლის შუქით განათებულში მშვენიერება ბავშვის გაფითრებული სახე, დიდრონის, მომწვანო თვალებით შემკული და ქერა ხუჭუჭი, თმით გადაფენილი სპეტაკი შუბლი.“

„ის არა ბავშური სახის გამომეტყველებით დაშტერებოდა წიგნს და მაღალის ხმით, გარკვევით კითხულობდა სწორედ იმ კილოთი და ტონით, რომლითაც ჩვეულებრივ სამოციქულოს კითხულობენ. ხალხი გაკვირვებული, თითქმის ცრუმორწმუნობამდე მისული, უცქეროდა და უსმენდა.“

„მე თან სიამოვნებით და თან შურით შევცქეროდი არა ჩემოდენას, მაგრამ გასაოცარ ბავშს და ვკვირობდი იმის თავისუფლად თავის დაჭერას და ხმის რიხიანობას.“

„— როგორ მოგწონს? — წამჩურჩულა მამაჩემმა.“

„— მიკვირს, ამოდენა ხალხში როგორ ბედავს, არა კრთება... — ჩურჩულითვე მიუგე მამას და უფრო ჩავაკვირდი მის გაფითრებულ სახეს, ამაყურად მოღერებულ ყელს, მწვანე კატიის თვალების მაგვარ თვალებს, მორკალულთ ქერა წარბებით, წვრილწვრილ ტუჩებს, ცოტად ჩავარდნილ ბაგეზედ და მაშინდელიი ვრი უცვლელად შერჩა ვანოს, რომლის სიცოცხლემ, მართლაც რომ, ჩემს თვალწინ გაიარა.“

„— ვინ არის? ვისი შვილია? გაისმა კითხვა. ყველას უნდა უფრო ახლო დაენახა ეს არაჩვეულებრივი, იშვიათი ბავში, მაშინდელ დროს თითქმის უმაგალითო მოვლენა.“

მამაჩემმაც კითხვით მიმართა ჩვენს ახლო მდგომ მანდილოსანს და იმან სიცილით მიუგო:

„— კნიაზო რევაზ, ნუ თუ ვერ მიცან ელენე, დიასამიძის ქვრივი?“

„ჩემი ძმისწულია, ვანო და თან ჩემი საამაყო და საყვარელი მოწაფე.“

„— ეხლა კი მესმის, თუ საიდან შეისწავლა ამ პატარამ ასე მკაფიოთ სამღრთო წერილის კითხვა. თქვენი სიბრძნე განთქმულია მთელს ქართლში.“

„— კარგი, კარგი! შენგაზრდას, ქათინაურებს ნუ მოჰყვები! — და წინ წამოაყენა მასთან მოახლოებული, ეხლა მთლად გაწითლებული ვანო.“

„— აი ჩემი იადონი და მომავალი საქართველოს პატრიარქი! — სიცილით დაუმატა მოხუცმა ელენემ.“

„ბავშვი ტუჩებმოკუმული, სახე კუშტათ იდგა და პაპიდის ალერსი თითქოს ღირსეულად შეიფერა და ამაყად გადმოგვხედა, და ეს ამაყური გამოხედვა ვანოს ვაჟკაცობამდის შეჰყვა.“

„ვანო ერთი იმათგანი იყო, რომელთაც სწამთ თავიანთი მოწოდება და თავი ყოველთვის ღირსეულად უჭირავთ.“

(შემდეგი იქნება).



თ ე ნ ტ ლ ი

ახალი თეატრი

ცხოვრების გარდაქმნასთან ერთად თეატრიც განიცდის გარდატეხას. არა თუ თეატრი — ხელოვნების ყველა დარგი.

თეატრის სფეროში კი ღირსშესანიშნავი და მთავარი არის ის, რომ იგი იბრძვის დამოუკიდებელ არსებობისთვის. თეატრი ყალიბდება ხელოვნების ცალკე დარგად. ლიტერატურისა (დრამატურგიის) და ყოფის მორჩილებისგან სურს იხსნას თავი თეატრმა.

ეს არის მიზეზი, რომ დღევანდელი თეატრი სცდილობს აღადგინოს ჩატეხილი ხიდი Comedia de l'arte-სი.

„დღიურ სიტუაციით გულ დაჩაგრულ“ თეატრს სწყურია სანახაობა, სიცულქე, გადავარდნა.

ეს არის მიზეზი იმ ცალმხრივობისა, რომელსაც ადგილი აქვს დღევანდელ სცენაზე.

ფორმა, გარეგანი ვირტუოზობა შეიქმნა იდეალი დღევანდელ აქტიორისა. ტრიუკიზმი, სხვადასხვა სასცენო ფოკუსები ჩრდილავენ არსებით მხარეს დღევანდელ სასცენო შემოქმედებისას. თეორიაში სცენის ბატონად აღიარებული აქტიორი გამეჭვანიკების გზას ადგას.

ცბრება ცოცხალი სიტყვა და იშრიტება გრძნობათ ნაკადი.

მეტყველება და ტემპერამენტი, — ეს ორი დედაბოძი სცენისა, საფრთხეშია.

ლოზუნგი სინტეტიურ თეატრისა ცალმხრივია. იგი უდრის მხოლოდ ყოველმხრივ გაწვრთნილ მსახიობის ჯამს.

სინტეზი, როგორც მთლიანობა, არ არის ანგარიშში მიღებული.

ცბადია, ასეთი მდგომარეობა გარდაბნავალია. დღევანდელ უცნაურობათაგან სცენას კოტა რამ შერჩება, ისიც დახვეწილი.

მხოლოდ გამართობი სანახაობა, როგორიც დღეს არის, მალე მობეზრდება ყველას და საზრიანი, მიზანშეწონილი გაერთიანება ფორმისა და შინაარსის,

გამართობი სანახაობის და იდეისა, ცხოველი სიტყვის და გრძნობის სალტეო შერკინულისა, მალე დაიჭერს კუთვნილ ადგილს.

ცხადია ერთი რამ: დღევანდელი დრამატურგია ვერ დაეჭვებულა იმ თეატრს, რომელიც თვითად ხელოვანის პრეტენზიებს და ცხოველს მხერისთვის ეს პრეტენზიები მიუღებელია, რადგანაც თეატრს გულისხმობენ არა, როგორც დამოუკიდებელ ხელოვანს, არამედ, როგორც ინტერპრეტატორს.


დრამა (ამ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით) იქმნებოდა, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები და, როგორც ასეთისაგან, მოითხოვდნენ მის სასცენო განსახიერებას. დღევანდლამდის თეატრი, როგორც ასეთი, კისრულობდა ამას, მაგრამ მომავლისათვის მას არა ჰსურს ეს და ეძიებს მხოლოდ სცენარებს, რომ თავისი ქმნადობა ფართედ გადაშალოს.

ეს დიდი და საპატიო მიზანია. ცხადია, ეს მიზანი ვერ განხორციელდება ისე, როგორც ამას ძველად სჩადიოდნენ, მაშინ, როდესაც აქტიორი იყო სცენარის ავტორი და მისი განმასახიებელი, მაგრამ დღეს რომ გადაჯგუფება უნდა მოხდეს სცენის შემავალ ელემენტთა შორის — ცხადია.

ლოზუნგი: **თეატრი თვითადი ხელოვანია** (ისევე, როგორც მხატვრობა, ქანდაკება, მწერლობა და სხვა), უნდა იქნეს პაროლი. ვინც ამ პაროლის საიდუმლოებას გაიგებს და შეიცნობს — აქტიორი იქნება ეს, რეჟისორი, დრამატურგი, თუ სხვა, მხოლოდ ის შევა ახალ თეატრში. ამიტომაც გვმართებს ყველას, ვისაც აქვს რაიმე დამოკიდებულება, ან უნდა იქონიოს თეატრთან, გარდაქმნა, გადახალისება, ან და ხსენებულ ლოზუნგის აღიარება.

განსაკუთრებით ეს ყურადსაღებია ჩვენი თეატრის მესვეურთათვის.

ასეთ ხაზებში მეჩვენება მე დღეს თეატრი ზოგადად და კერძოთ ახალი ქართული თეატრი.



მ. ქოჩელი

ჩვენი თეატრის დღეინდელთნის კატალოგი

დღეს ჩვენს წინაშე თეატრის კრიზისის საკითხი მწვავედ დგას.

თეატრალური ხელოვნება ჩვენში მეტად პოპულიარულია, საყვარელი და ამიტომაც ყველა, სპეციალისტი და არა სპეციალისტი, ჩემულობს ამ კრიზისის დიაგნოზს და მისი ხლართის გახსნას.

კერძო ლაპარაკში, დისპუტებზე, პრესაში — ამის მაგალითებს ყოველთვის ვხვდებით. ამ საკითხის ყველა იდეოლოგი მეტის ან ნაკლების რიზით, ცოდნით და მომზადებით ხსნის თეატრის პრობლემის ფრჩხილებს და იდეალად ისეთ თეატრს ისახავს, რომელიც მხოლოდ მის პირად ესთეტიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

ზოგი მოითხოვს ექსპრესიონისტულ ფორმის და შინარსის თეატრს. ზოგი გასართობ სანახაობას ეძებს მასში, ზოგი სდევნის თეატრიდან ლბტერატურას და იტოვებს თეატრს სადას, თეატრს, როგორც ასეთს.

ზოგი, მხატვრული წინადაგონებით გამსჭვალული, თეატრს ფუტურისში-საკენ მოუწოდებს. ზოგი ხელოვნებათა სინტეზს მოითხოვს თეატრში.

ზოგი — ანგრევს, ფეხით სთელავს ყოველ აწმყო და წარსულ ღირებულებას, ნანგრევთა შორის ამაყად სდგას და სრულებით არ იცის რა გააკეთოს, რა ააშენოს ნანგრევთა ნაცვლად. ურიცხვია ჩვენში ყოველნაირი დებულება და მოსაზრება.

ყველა ამათ ახასიათებს: დებულების ვიწრო ფარგლებში წამოყენება და ავიწყდებათ, რომ ყოველ მათგანის დებულებათანი თეატრის მხოლოდ ერთ ნაწილს შეადგენს. არც ერთი არ ცდილობს უფრო ფართოდ, უფრო ღრმად შეეხოს საკითხს, ე. ი. — **განიხილოს თეატრი, როგორც საზოგადოებრივი, ხალხური, სახელმწიფოებრივი დაწესებულება** (როგორც ეს იყო, მაგალითად, ძველ საბერძნეთში).

დასმულ საკითხის ვიწრო ფარგლებში, შესაძლებელია, ზოგი იდეოლოგი მისებურად მართალიც იყოს; მაგრამ, როდესაც თეატრის საკითხი ფართოდ და ღრმად დაისმება, მაშინ მათი დებულებები უმნიშვნელო ხდება და არა თუ კრიზისის ნასკვს არ ხსნიან, არამედ უფრო ართულებენ მას.

ერთი სიტყვით, ყველა **სუბიექტიურად** უყურებს საქმეს. საჭიროა კი, რომ საკითხი განხილულ იქმნეს **ობიექტიურად**.

როდესაც თეატრის საკითხს ხალხის უმრავლესობის ინტერესთა თვალსაზრისით შევხედავთ, მაშინ ჩვენს დასკვნაში შესაძლებელია — გვხვდეს შემართნიც და, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, სამართლიანიც.

ასე უნდა დაისვას დღეს თეატრის კრიზისის საკითხი.

არ დავიჩემებ ამ საკითხის საფუძვლით ამოწურვას; მსურს მხოლოდ მის ერთ მნიშვნელოვან მხარეს შევებო — სახელდობრ, რამდენად მისაწვდომია და მისაღები ხალხისათვის თავის შინაარსით და ფორმებით დღევანდელი ქართული თეატრი. თუ ამ საკითხის განხილვას, აწმყო მდგომარეობის შეცვლა-გადახალისება მოჰყვება, ეს იქნება ის აუცილებლად საჭირო „რევოლიუცია“, რომელსაც დაჟინებით მოითხოვს ჩვენი თეატრი. რევოლიუცია დინჯი მოფიქრებით, და საქმიანობით გამსჭვალული და გამართლებულიც.

ამ სახით, ამ გაგებით ერთ-ერთ დისპუტის დროს თეატრს მხოლოდ ორი მოქალაქე შეეხო: ერთი მტკიცე, დასაბუთებული მოსაზრებით ამტკიცებდა თავის აზრს, მეორე კი გაკვირით, ბუნდოვანად, **არც ერთის დებულება განხილული არ იქნა**. ეს კიდევ ერთხელ ხაზგასმით ამტკიცებს იმას, როგორ ცალმხრივად და ვიწროდ უყურებს თეატრის საკითხს სპეციალურის, ხშირად პროფესიონალურის იდეით გატაცებული დიდი უმრავლესობა.

დღეს ქართული თეატრის აუდიტორიას რომ თვალი გადაავლოთ, თქვენ იქ ნახავთ სხვა და სხვა დარგის ხალხს.

აუდიტორია ქრელი თავის შემადგენლობით, მაგრამ გაერთიანებული საერთო სურვილით: ეზიაროს მაღალ აზროვნებას, განიცადოს ამამაღლებელი, განმასპეტაკებელი ემოციები.

რომ დააკვირდეთ წარმოდგენის დროს ამ აუდიტორიის ცალ-ცალკე სახეებს და მათ გამომეტყველებას, დაინახავთ სამწუხარო სურათს: აგერ მეტის მეტად სერიოზული გამოხედვა, დანაოჭებული შუბლი და **დაუკმაყოფილებელი** ყურადღება. ეგერ — სახე, — ინტერესს მოკლებული, მტრულად განწყობილი იმისადმი, რაც სცენაზე ხდება, ან კიდევ — ძილ მორეული, დაღლილი გამოხედვა. იქით გაანჩხლებული სახე მშრომელისა, რომელიც თეატრში იმისათვის მოვიდა, რომ დიდი განცდა განიცადოს და ვერ ჰპოვა ეს. ან კიდევ სახე, რომელსაც ყველაფრის გაგების ნილაბი აფარია, ნამდვილად კი ანტრაქტის დროს ყურს უგდებს ნაფიც მსაჯულთა — კრიტიკოსების წარმოთქმულ აზრს პიესის შესახებ და შემდეგ თავისად ასაღებს: მას რაცხენია აღიაროს, რომ ვერ გაიგო ის, რაც სცენიდან მოისმინა.

მრავალია და მრავალი ასეთი, რომელსაც არ გაეგება ის, რასაც ხედავს სცენაზე, რასაც ისმენს სცენიდან, არ გაეგებათ არა იმიტომ, რომ უვიცნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ის, რაც სცენაზე ხდება, უმრავლეს შემთხვევაში მართლაც სრულებით უცხოა მსმენელისათვის, არ მისაღები და ვერ მისაღებიც შინაარსით და განსაკუთრებით კი ფორმით.

თანამედროვე ქართული თეატრის რებერტუარის შინაარსი უმეტეს შემ-

თხვევაში არ ეგუება ქართველი ხალხის ფსიქიურ წყობას, მის მსოფლმხედველობას, ის აღმოცენებულია და აღზრდილი უცხო ნიადაგში.

რამოდენიმე მაგალითი:

ჩვენი თეატრის რეპერტუარში არის ექსპრესიონისტული პიესები: „Spiel-meneh“, „დილიდან შუალამემდი“.

ამ პიესების იდეური შინაარსი შემდეგია: შინაგანი ბრძოლა ადამიანის სულისა, მისი გაორება, იდეალის ძიება. ეს ძიება სრულდება გამოსავალის იმედის დაკარგვით, სასოწარკვეთილებით და ბოლოს თვითმკვლელობით. პესნიმისტური ბოლო. ეს პესნიმში გასაგებია გერმანულ ექსპრესიონიზმში, რომელიც შედეგია და ნაყოფი ისტორიულ ობიექტიურ მიზეზებისა.

მაგრამ ეს პესნიმში სრულებით არ შეეფერება სულისკვეთებას ქართველისას, რომლის ბუნება მეტად მხნე არის, ქართველის, რომელიც მუდამ ხალისიანია, მებრძოლი, იმედიანი, ამიტომაც სასოწარკვეთილება, თვითმკვლელობა მისთვის უცხოა და, რაკი უცხოა, არც გასაგებია, არც მისაღები, თუნდაც სცენიურ მკვეთრ და ძლიერ ფორმებში ჩამოსახოთ იგი. მისი ბუნება სულ სხვაა.

ავილოთ პიესა „გმირი“ სინგისა.

თვით ამბავი—ანექდოტიური ხასიათისაა:

ლენჩმა და ხარმაცმა ყმაწვილმა, გაბრაზებულმა—ბარი დაარტყა მამამისს და მოქუსლა. მას ის მკვდარი ჰგონია. შორეულ სოფელში, სადაც ამ ყმაწვილმა თავი შეათარა, ამ ამბავს აღტაცებით ეგებებიან. მამის მკვლელი ეს არა-ივეულებრივი ადამიანია, გმირია. მას ხელით ატარებენ, ქალები ირევიან მისთვის, თავს ევლებიან. ხოლო, როცა ირკვევა, რომ მას მამა ვერ მოუკლავს, რომ ის ცოცხალია და შეილსაც ეშინია მისი, მაშინ ხალხის თვალში ყოფილი გმირი მატყუარა—ლაჩრად იქცევა და იგივე ხალხი ფეხით სთელავს მას.

ჩვენს ხალხს გმირი ცოტა სხვანაირად აქვს წარმოდგენილი: მისი გმირი ჩსეთი საქმის მომქმედია, რომელსაც სარჩულად ხალხის სიკეთე და კეთილდღეობა აქვს.

იგი მსხვერპლს იღებს: მეგობრისთვის, სოფლისთვის, ქვეყნისთვის: მოიგონეთ ხალხის თქმულებები: ამირანი მთა-კაცი, ოზელაშვილი არსენა, ჯორჯიაშვილი და ურიცხვი სხვა, რომელთაც ხალხის მიერვე შეთხზული ლექსები ასხივოსნებს. ხალხი ყოველთვის უტყუარ აღლოს აუღებს ნამდვილ გმირს და არ შეცდება მის დაფასებაში.

სინგის გმირი კი—ისევ სინგის გმირია, მისი მახვილი და მოსწრებული გონების ნაყოფი და არა ხალხის შვილი. აქ უფრო ორიგინალობაა, ვიდრე სინამდვილე.

ასეთი პიესა საინტერესოა თავის ორიგინალობით, ტექნიკურის შეგნებით, საინტერესოა სხვათაშორის, მაგრამ ძლიერ ემოციებს, ამამალლებელ გრძნობებს, გმირულ განწყობილებას ვერ შეჰქმნის მაყურებელში, მით უმეტეს ფართო აუდიტორიაში.

„გააზნაურებული მდაბიო.“

მოუხედავად იმისა, რომ პიესა ისეთ ბუმბერაზს ეკუთვნის, როგორც არის

მოლიერი და მის სახელსაც სავსებით ამართლებს, იგი დღეს, დღევანდელ სოციალურ საკითხების წინაშე თავის შინაარსით უმნიშვნელო და უკარგადად საინტერესო. მისი ღირებულება ამ თვალსაზრისით სანაწიფებელი და უკიდვილი არ სცილდება. მოლიერის „მდაბიო“ მისი მისწრაფებით ჩვენთვის ხორცშეუსხმელი, სულჩაუდგმელი ჩონჩხია.

ასევე უმნიშვნელოა წარსულში მოქცეული „მზის დაბნელება“.

„ცისფერი ობობაც“ ვოდვეილის ტიპისაა და მაყურებელის არც გონებას არც გრძნობას არაფერს არ ვუბნება.

ხალხში ბუნებრივად და თანდათანობით იქმნება მისი ფსიქოლოგია. როცა ხალხი თითონ დაამუშავებს თავის მსოფლმხედველობას, ან მის დამუშავების ამშენებლობითი პროცესში იმყოფება და თქვენ ამას სცენიურ ფორმებში განსახიერებულს აჩვენებთ, მაშინ ხალხი ამას ადვილად მიიღებს, მიხვდება და თანეზიარება სცენიურ შემოქმედებას.

მაგალითისათვის ავიღოთ პიესა „მსხვერპლი“ (I და III მოქ.) (მე ვეხები პიესების მხოლოდ შინაარსს და არა მხატვრულ მიღწევებს). თვით ამბავი, პიესაში მოყვანილი, მისი განვითარება და დასრულება, მომქმედ პირთა ხასიათი, მათი ნამოქმედარი, ამ ნამოქმედარის ფსიქოლოგიური მოტივები, შექმნილ მდგომარეობის განხილვა სოფლის მიერ, სოფლის დამოკიდებულება სისხლის მწოველ ვაჭრისადმი და განსაკუთრებით დიადი მსგვერპლი ერთეულისა სოფლის კოლექტივის ინტერესებისთვის — ყოველივე ეს თვით ჩვენი ხალხის ფსიხიკაა, მისი მსოფლმხედველობა, მისი საკუთარი, მის მიერ შექმნილი, საუკუნეთა განმავლობაში. ამიტომაც ის სულის კვეთება, ის ემოცია, რომელიც მაყურებელში იბადება განმასპეტაკებელია, ამანაღლებელი, გმირულ მოქმედების გამომწვევი.

ასეთი ემოცია ნაყოფიერია.

„სინათლე“ — ზღაპარი — პიესა.

იდეალის ძიება, ბრძოლა ბნელ ძალებთან, გამარჯვება, მიღწევა იდეალისა, სინათლისა.

„ავგაროზი“ — ზღაპარი-პიესა.

იგივე ბრძოლა ბნელ ძალებთან და სიკეთის გამარჯვება.

ხალხის სიბრძნე ლამაზ ზღაპრის ჩარჩოში. მისი ურყეველი რწმენა სიმართლის გამარჯვებისა. ხალხის აზროვნება, ოპტიმისტური ფილოსოფიით შეიარაღებული, ყოველთვის გამარჯვებას ჰპოულობს.

„სისხლი სინათლემდე“.

უბრალო გლეხი, იმპერიალისტურ ომში ჯარის კაცად ჩათრეული, დაჭრილი, სულთმობრძავი, ახლობლებს მოშორებული, მაგრამ სულით მათთან მყოფი, მარადისობის კარებთან ძდგომი, ღმერთთან გაბედულად მოსაუბრე, ტანჯვათა ხლართში მომწყვდეული. მთელი ეს რთული სურათი გასაგებია ყველასათვის, მოხუცისთვის და ჯველისთვის, ქალისთვის და ვაჟისთვის, რუსისთვის და ქართველისთვის. გასაგები იმდენად, რამდენადაც გასაგებია ყველასთვის ომი და მისი საშინელება, ადამიანის სული და მისი სიღრმე.

ავიღოთ სხვა სარჩულზე აგებული პიესები.

„ექიმი შტოკმანი“.

ქლიერი, ნათელი პიროვნება, რომელიც მის გარშემო გამეფებულ რუტინასთან და ინერტობასთან ბრძოლაში არავითარ კომპრომისს არ ეძღებოდა და ბოლოს მორალურად გამარჯვებული რჩება.

„სოფლის ექიმი“.

პიესა, რომელშიაც უბრალო და მარტივი ამბავია მოყვანილი, სოციალური ხისიათის. სადაც მოქმედ პირთა ბრძოლა აფერადებულია ცეცხლოვანის, წარმტაცის დრამატიზმით. სადაც საზოგადოებრივი გრძობა პირადულზედ იმარჯვებს.

თუ „ილიადა და ოდისეა“ ასეთ სიყვარულს პოულობდა ძველ ელინთა გულში, ეს ადვილი გასაგებია: მთელი ეს ნაწარმოები ხალხის მიერ შექმნილია, მისი გენიით, ამ ნაწარმოებში ყოველივე ხალხის სულის კვეთებით არის გამსჭვალული. მასში ბერძენი თავის თავს ხედავდა, ჭკუამახვილს, ცხოვრებაზე გამარჯვებულს.

„ოიდიპოს მეფის“, „ანტიგონეს“ წარმოდგენები იმიტომ იყო სასწაულებრივ სასიხარულონი ელინისთვის, რომ პიესის დრამატიული კოლიზია და მისი ფილოსოფია ადვილი გასაგები იყო მისთვის.

ბრავალი ნაწარმოები შილლერისა, შექსპირისა და სხვათა იდეითაც და ფაბულითაც მისაწვდომი და გასაგებია თანამედროვე სადა მსმენელისათვის იქ მოყვანილი სულის კვეთება და განცდანი საერთოა ყველა ადამიანთათვის.

ასეთია ჩვენს თეატრში „ცხვრის წყარო“, ყოველ მხრივ მაღლიანი, აზრით, გრძობით და სილამაზით სავსე წარმოდგენა.

ერთი სიტყვით, თეატრი, როგორც რეპერტუარი, მხოლოდ მაშინ ჰპოვებს თავის გამართლებას, მიაღწევს მიზანს, როდესაც თავისი შინაარსით აუდიტორიას, მის ფსიხიკას, მსოფლმხედველობას შეეფარდება. მანამ თეატრი არ იქნება ხალხური, არ იქნება ნამდვილი სახელმწიფოებრივი.

ექვი არ არის, რომ საერთოდ ხელოვნებაში და კერძოდ თეატრშიაც ფართო აუდიტორიისთვის მისაღებია მხოლოდ გასაგები საგანი გასაგებ ფორმაში. ძალიან ღრმა ფილოსოფიური აზრი შეიძლება ძალიან უბრალოდ და გასაგებად გამოითქვას. უდიდეს პოეტების და დრამატურგების ნაწარმოებნი მარვენებელია ამისი.

იბადება ბუნებრივი საკითხი: აქვს თუ არა ქართულ თეატრს ამგვარი პიესების საკმარისი ორიგინალური რეპერტუარი? ეს ცალკე კითხვაა. შესაძლებელია სულაც არა აქვს, შესაძლებელია, ძალიან მცირერიცხოვანი იყოს. საქმე ის არის, რომ სწორედ ამნაირი ძირითადი რეპერტუარი აუცილებლად საჭიროა ქართული სახელმწიფო თეატრისთვის. უნდა შეიქმნეს კიდევ. ზოგი პიესა უკვე არსებობს, ზოგი მოსაძებნია, ზოგიც დაიწერება, ამის თავდება ჩვენი ქართული მწერლობა.

ამბობენ: „რაკი ქართული პიესები მხატვრულად არ გამართლდება, სხვისა ავიღოთ“. სხვისა ბევრი რამ კარგია, ავიღოთ კიდევ, გამოვიყენოთ, მაგრამ ჩვენსას ნუ დავივიწყებთ. განვაფიქროთ ჩვენი ხალხური დრამატურგია, იმიტომ რომ სწორედ ასეთ დრამატურგიას ექნება სალი ნაყოფი.

მე მოვიყვანე პიესების ნიმუშები მხოლოდ დასმულ პრინციპიალურ დებულების დასასაბუთებლად.

ამ დებულებას რომ მეორე მხრით მიუდგეთ, ე. ი. სცენიური განსახიერების ფორმების მხრით, აქაც იგივე პრინციპი უნდა იყოს დაკრული: **გაუბრალობა ფორმისა იმდენად, რომ იგი გასაგები და მისაღები იყოს ფართო აუდიტორიისთვის.**

არაფერს არ ვიტყვი იმაზე, რომ გარეგნული ფორმა მხატვრულ ნაწარმოებში შინაარსს უნდა შეეფერებოდეს, ის, გარდა ამისა, ანგარიშს უნდა უწევდეს მაყურებელ-მსმენელის, ასე ვსთქვათ, შთაბეჭდილების მიქცებ თვისებებს, აუდიტორიის მხედველობას და ყურთა სმენას ეხმატკბილებოდეს.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

პიესა „გაზი“ და იქ დასახული „თეთრი საშინელება“.

არაჩვეულებრივი თეთრი ფიგურა, მომავალი საშინელების სიმბოლო.

მაყურებელი ხედავს სცენაზე ადამიანს ჩვეულებრივს, ჩვეულებრივის ხმით მოლაპარაკეს, ჩვეულებრივის, მხოლოდ უკურო დინჯი მოძრაობით, თავიდან ფეხამდე თეთრ საღებავში მორთულს, მაყურებელი უნდა მიხვდეს, რომ ეს არის სახე განყენებულ მცენების, სახელდობრ — საშინელებისა, სწორედ „თეთრი“ საშინელების.

ინდოეთის თეატრში მიღებულია აღნიშვნა სხვა და სხვა დრამატული მღვთმარეობის, ან მოქმედ პირთა ხასიათისა სხვა და სხვა ფერადებით.

ინდოეთის თეატრში ეს ტრადიციის შედეგია, საუკუნეთა ფიქრის ნაყოფია. ინდოელ მაყურებელისთვის სრულებით არ არის გაუგებარი ტრაგედიას მოვლოდეს იქ, სადაც შავ ფარდას, ან შავში მორთულ მსახიობს დაინახავს. ხოლო ჩვენთვის ეს გაუგებარი და მიუღებელი იქნებოდა.

გავლენა ფერებისა ადამიანზე დამყარებულია ფიზიოლოგიურ კანონებზე. მაგრამ ერთი და იგივე ფერი ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა გავლენას ახდენს ჩრდილოეთის და სამხრეთის ადამიანზე, იმიტომ რომ ეს ფიზიოლოგიური კანონი, ასე ვთქვათ, მოძრავია. ამიტომ მე ვიკითხავ: „საშინელება“ — რატომ მაინც და მაინც თეთრი და არა ყვითელი ან სხვა რომელიმე? ბოლოს და ბოლოს იმიტომ, რომ ასეთია ავტორის სურვილი (მისი რემარკა), იმ ავტორის, რომელშიაც სხვანაირი ტემპერამენტია, რიტმი, რომელიც სხვანაირად გრძნობს, ვიდრე ჩვენი აუდიტორიის მსმენელი.

ასეთი ფორმით განსახიერება არ აღწევს მიზანს. მეტიც: განზრახვის გავებას აფერხებს.

იმავე „გაზ“-ში — აზრის გადმოცემის საშუალება სიტყვიერი ფორმით: „ფორმულა სწორეა — არც არის სწორი“. „ინჟინერი დარჩება — არც დარჩება“.

აზრი გასაგებია, მხოლოდ წინასწარ მოუჭიქებას თხოულობს საშუალო მსმენელისაგან. სანამ გაიგებდეს, რის თქმაც უნდოდა ავტორს, მოქმედება გაუსწრებს წინ და მაყურებელი ძალაუნებურად ჩამორჩება. თუ ასეთი ბუნდოვანი ადგილი მრავალია პიესაში, ცხადია — მსმენელი მესამე მოქმედების დროს ჯერ კიდევ მეორე მოქმედებაში იქნება გაჩხირული.

რისთვის არის საჭირო მსმენელის ამ მდგომარეობაში ჩაყენება, არ ვიცი. ერთი რამ კი ცხადია: მსმენელი და ავტორი ცალ-ცალკე უნდა იქნებოდნენ, ერთი მეორესათვის სრულებით უცხონი.

ავილოთ პიესა „ლონდა“. ნუ შევეხებით სრულებით მის იდეურ და მხატვრულ ღირებულებას და მივაქციოთ ყურადღება ამ პიესის სტრუქტურას: პიესაში უეტველად მტკიცე და ურყევი განვითარებაა მოქმედების, ამბავი იზრდება და მიექანება კატასტროფისაკენ. ასეთია პიესის ტექნიკური შენება. პიესაში მოყოლილ ამბავს უნდა მისდევდეს მსმენელი (მაყურებელი), მისი ყურადღება უნდა ძლიერად დაჭიმული იყოს, ის მოქმედების განვითარებას უნდა ესაიარებოდეს, მთელ პიესასთან ნერვიულ კონტაქტში შევიდეს. სწორედ ასეთი კონტაქტია ნამდვილი თეატრის ნიშანი.

ქართულ თეატრის დადგმამ ვერ მიაღწია ამ მიზანს: მაყურებელი არ იყო გატაცებული, პიესის მიერ დასახულ ემოციას ვერ განიცდიდა. ის აღუშფოთებლად, მღელვარება მოკლებული, თითქოს მოწყენილი, ისმენდა პიესას.

ამის მიზეზი იყო პიესის სცენიური განსახიერების ფორმა, ჩვენთვის უჩვეულო, გაუგებარი და, შესაძლებელია, არა ჭეშმარიტიც.

შექმნილი იყო პირობითი უესტი, მოძრაობა, პირობითი ბგერა ხმისა, ცდა იყო ეს ძლიერი იარაღი მსახიობისა, ხმა—მოეშორებინათ ცხოვრებას, ბუნებრივობას, შეექმნათ სქემა. ასეთი სქემატიურობით სიცხოველეს მოკლებული პიესა იქცევა ფორმულად, ის თითქო მშრალია, მას ნაჯა არ უცემს და კვდება კიდეც.

ზოიგონეთ ამავე პიესის დადგმა რუსულ დრამაში, უბრალო, ბუნებრივ ფორმებში. შთაბეჭდილება პიესამ მეტი მოახდინა. მაყურებელი სულ განაბული მიყვებოდა მოქმედ პირობა სულის კვეთებას. განსახიერების ფორმა ბუნებრივი იყო, მაყურებელის სულთან და გულთან ახლო მდგომი.

კიდეც ვიმეორებ — კითხვა ეხებოდა თეატრალურ განსახიერებათა ფორმებს. „კაცი-მასსა“.

მომქმედ პირობა მოძრაობა, მათი ჯგუფური პოზები სქემატიურია, უძრავი. ასეთი უძრავობა სცენიურ ნაწარმოებში აღუწებს პიესას, მაჯის ცემას ართმევს მას. იგი მოსაწყენი ხდება, თუმცა ცალკე მომენტები განყენებულად აღებულნი, ხშირად სილანაზეს შეიცავენ. სურათში, ქანდაკებაში ეს კარგია, გამოდგება პიესის პაუზებშიაც, ხოლო ცხოველ მოქმედებაში, სადაც ამბავი იშლება, უძრავი პოზების გამეფება პიესას და მოქმედებას მეტად ამძიმებს.

„ცისფერი ობობა“.

ეს პატარა პიესა, თუმცა გაკვირით იყო დადგმული, მაგრამ მაინც ახასიათებს ჩვენი თეატრის სახეს.

დეკორაცია დადგმულია თავდალმა: იატაკი ქერის ადგილას არის მოქცეული და მასზე თავდაყირა მიკრულია მაგიდა, სკამები, გრაფინი. გამართლება ამისი შემდეგია: მოქმედნი—ბუხებია, რომელნიც ჩვეულებრივიდ ქერზე ბინადრობენ. ხოლო რეალურ არსს, მსახიობს—ქერზე ვერ ატარებ. ამიტომ ჩვენ ვაყირავებთ ოთახს და ამითი ვითომ ბუნებრივობას ვიცავთ, ნამდვილად კი ეს

მხოლოდ ორიგინალობაა. ორიგინალობა ფორმისა კი ვერ გამართლებს პიესის გაბუნდოვანებას. თეატრი უფრო ღრმა და სამართლიან ნიჭდაგუნე უნდა იდგეს.

სცენიურ ფორმების გაუბრალოებას ელემენტარულმა ნიჭმა კანონი მოითხოვს. თუ ქართველისთვის, სომეხისთვის, რუსისთვის აუცილებელია რომელიმე საგნის მშობლიურ, მაშასადამე, გასაგებ ენაზე შესწავლა და ეს სწავლების ძირითადი კანონია, რატომ არ უნდა იყოს საჭირო რომელიმე მხატვრული საგნის შეთვისება გასაგებსავე ფორმებში? მხოლოდ ამ კანონის დაცვით შეიძლება ხელოვნებამ, კერძოთ თეატრმა, მიაღწიოს დანიშნულებას: სცენა და აუდიტორია გააერთიანოს, ემოციებით განსსკვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნების ნაწარმოები, მისი თანხიარება და მისით დატკობა კერძო, ვიწრო ჯგუფის პრივილეგიით იქნება.

ეს არა სამართლიანია.

ქართულ თეატრს რომ გავცილდეთ, იმავე ამბავს დავინახავთ.

მოსკოვის სტუდიამ თბილისში გვაჩვენა შილლერის ყაჩაღები ახალ ფორმებში.

მსახიობები კულბიტებს აკეთებდნენ, არაჩვეულებრივ, ტეხილ ხაზის მსგავს პოზებს იღებდნენ, არაჩვეულებრივ კილოთი ლაპარაკობდნენ. კარების მაგიერ თანჯარაში გადიოდნენ. დეკორაცია გეომეტრიის ფიგურებს და სხეულებს წარმოადგენდა.

ყოველივე ეს უშლიდა მაყურებელს პიესის აზრის გაგებას, ღალატდა მის ყურადღებას და ჩრდილავდა დიდებულ ნაწარმოების დიად აზრს.

* * *

ხელოვნების სხვა დარგებშიაც იგივე მოვლენაა: გაუგებარი ფორმები.

თვალი გადაავლეთ დავით კაკაბაძის ბრო შიურას (პარიზის გამოცემა, ფრანგულ ენაზე) სახელად „კონსტრუქტიული სურათები“. იქ მოთავსებულია რამოდენიმე სურათი.

ძალიან მინდოდა სიტყვით გადმომეცა, ამეწერა ამ სურათების შინაარსი, მაგრამ ნიუხედავად ჩემი სრულიად ობიექტიური სურვილისა, მე ეს ვერ შევძელი. საგნები, რომელნიც ამ სურათებზეა მოთავსებული, არც ერთ ჩემთვის ნაცნობ საგანს არ წააგავს. ასე რომ მათ გადმოსაცემად შესაფერი სიტყვები ვერ მიპოვნია. თვალსა და გონებას რომ ძალა დაატანოთ, შეიძლება იფიქროთ, რომ ამ სურათების სხვა და სხვა ნაწილები რენტგენის სხივებით გადაღებულ ადამიანის სხეულის რომელიმე ორგანოებია. სურათებს სახელი არ აქვთ. მოკლედ არის მოჭრილი: „სურათი“ ამითი გეძლევათ სრული თავისუფლება, როგორც ვნებავთ ისე ახსნათ ის ამოცანა, რომელიც ავტორმა ტილოზე გადაწავა.

ქართულ ეროვნულ გალერეიაში არა ნაკლებ უჩვეულო და საინტერესო ამბავს დაინახავთ: კირილე ზდანევიჩის სურათს. მონრდლ ტილოზე მხატვრის მიერ მიმობნეულია მრავალი სიბრტყეები ყოველნაირ გეომეტრიულ ფორმისა. მაყურებლისათვის ამ სიბრტყეების ტილოზე მიმობნევის სისტემა არ სჩანს. ეს სიბრტყეები გაფერადებულია ყავის ფერ ფერადით და მსხვილი შავი ხაზებით არის მოვლებული. ავტორი აწერს სურათს: „ბალერინა“ და თითქოს ამბობს:

შეხედეთ და თუ ვერ დაინახავთ „ბალერინას“, ეს თქვენი გაუნვითარებელი მხედველობის და გონების ბრალია. მწუხარებით დუმდებით ^{ხალხის} ^{და} ^{გონების} ^{ბრალია}.

ხალხის დიდ უმრავლესობისათვის ამ ტიპის ფორმები ^{გაუგებარია}. ^{მაშ რად} ^{იხარჯება} ^{ამდენი} ^{ენერჯია} ^{ხელოვანისა} ^{და} ^{მაყურებლისა?}

იმიტომ, რომ ახალ ხელოვნებას აქვს თავისებურად დასაბუთებული თეორია, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „მეოთხე განზომილება ხელოვნებაში“.

აი რას ამბობენ ამ თეორიის მიმდევარნი — ხელოვანნი: მეტცინგერი — მოუწოდებს მხატვრებს შეისწავლონ რიმანის*) ზოგიერთი თეორემები.

ბურლიუკი ჰქადაგებს მსოფლიოს „ინფილტრაციას“ მეოთხე განზომილებით.

ლარიონოვი ამბობს: „ჩემი მხატვრობა მოსრიალეა, ვარე სივრცისა და დროის გრძნობას ჰბადებს; მასში იქმნება ის გრძნობა, რასაც შეიძლება მეოთხე განზომილება ვუწოდოთ“.

ახალგაზრდა კუბისტი (გვარი არ მახსოვს) — „კუბიზმმა ახალი ზომის, დროისა და სივრცის შეერთების დროშა ააფრიალა“.

ბოჩჩიონი (მოქანდაკე) — „ჩემი ქანდაკებანი წარმოადგენენ: სივრცეში პლასტიურ მოძრაობათა ცენტრს“. თავის ქანდაკებებს ის შემდეგ სახელებს აძლევს: „მოთლის განვითარება სივრცეში ფორმის საშუალებით“, „ადამიანის კუნთები მოძრაობაში“.

რას წარმოადგენს ეს თეორია?

ის ემყარება მათემატიკოს „რიმანის“ კვლევას მეოთხე განზომილების შესახებ. ეს მათემატიკურ-მეტაფიზიკური თეორია ძალიან თანამედროვეა. მით უმეტეს აინშტაინის შემდეგ. ის ამტკიცებს, რომ მეოთხე განზომილება არის დრო და სივრცე მოძრაობაში შეერთებული. ახალი მიმართულების მხატვრებს სურთ როგორმე გამოსახონ საგანი მოთხე განზომილებაში, ე. ი. სივრცესა და დროში მოძრავი. საგანი ისე უნდა იყოს დახატული, რომ გვეჩვენებოდეს ისეთი, როგორიც არის ის დროსა და სივრცეში მყოფი. მათთან ერთად მოძრავი.

მართლაც და უბრალო საქმე ხომ არ არის ასეთი მიზნის მიღწევა. მაგრამ ადამიანი გამბედავია. რაკი მიზანი მის გონებაში თეორიულად მაინც დაისახა, დანარჩენი ჩირად ჩასაგდებიც არ არის. გამოვა რამე ასეთ განზრახვისაგან, თუ არ გამოვა, ეს ხელოვანს ნაკლებად აინტერესებს.

Si non e vero, e ben Trovato!

მიხვდება, იგრძნობს მის ნაწარმოებს მსმენელ-მაყურებელი, არც ეს არის ხელოვანის საქმე: ის რეალობაზე, ანგარიშზე, ყოველდღიურ ნეშჩანობაზე მალლა სდგას, მას იღვია, შეთაგონება ხელმძღვანელობს, მდაბიოს კი სარგებლიანობა, ანგარიში. ვერ გაიგებს მაყურებელი ხელოვანის ნაწარმოებს, ის მაშინვე გაუნვითარებელ არსად, უვიცად არის მონათლული.

მოქალაქეს კი სცხვენია, ეშინია ასეთი მონათვლისა და მორჩილად ან ხნას არ იღებს, ან ცალყბა ღიმილით პირზე თავი ისე მოაქვს, თითქოს ყველაფერი გაიგო და ხელოვნების გაუგებარ ნაწარმოებით ძალიან ნასიამოვნებია.

ასეთ შემთხვევებში მეფის და მისი პერანგის ამბავი მაგონდება ბოლშე.

*) მეოთხე განზომილების მკვლევარი მათემატიკოსი.

ვერაინ ვერ ბედავდა თქმას, რომ მეფეს არაფერი არ აცვია: მაშინვე სულელად მოინათლებოდა. და აკი თამამად იყვნენ მეფის ვეზირები, ვერცხვები, პერანგის შემქმნელნი. დავაკვირდეთ და გაესინჯოთ, რა გზით აღწევს ჩვენი ხელოვანი მეოთხე განზომილების განსახიერებას.

ამითი ოდნავად მაინც მოეფინება ნათელი მხატვრულ ფორმების გაუგებრობის სამწუხარო ამბავს და მის მიზეზებს.

გარდა იმ სამი განზომებისა — სიგრძის, სიგანის, სიმაღლის — რომელიც ყოველი საგნის აუცილებელ თვისებას წარმოადგენს, არსებობს მეოთხე განზომება: დრო-სივრცე, და ესეც ყოველი საგნის აუცილებელი და განუშორებელი თვისებაა.

მეცნიერულ თეორიისათვის ოთხივე განზომება ფასეულია, მისაღებია, რადგან ლოღიკის სფეროში იმყოფება. ხოლო ადამიანისთვის, მისი ფიზიკური და ფსიქიკური წყობისთვის მეოთხე განზომება რეალურად სრულებით მიუწვდომელია. ადამიანი, თვით სამზომიანი რეალობაა და იმას ადვილად შეუძლია შეითვისოს, შეიგრძნოს. ისეთივე რეალური სამზომიანობაა — სიგრძე, სიგანე და სიმაღლე. ხოლო დრო-სივრცე, განყენებული მცნება, სრულებით აღემატება მის ფიზიკურ თვისებებს, მხედველობის, ყურთა სმენის ორგანოებს, მის გონებასაც.

(ცნობილი გერმანელი მათემატიკოსი, ავტორიტეტი, მეოთხე განზომილების მკვლევარი — მინკოვსკი ამბობს, რომ დრო-სივრცე ერთიანი მცნებაა და მათი ცალკე საზრების ცდა — **აბსურდია**. დრო-სივრცე — ერთეულს).

დავაკვირდეთ ჩვენს თავს და დავრწმუნდებით, რომ ასეთი განყენებული მოსაზრება მართლაც აბსურდია:

მოვინდომებთ თუ არა წარმოვიდგინოთ დრო, მაშინვე წარმოვიდგინოთ საათს, დღე-ღამეს, წელიწადს, საუკუნეს. სივრცე იქცევა მაშინვე მანძილად, ვერსებად, კილომეტრებად. პირველსა და მეორე შემთხვევაშიაც რეალობას ვებლაუქებით. ბუნებრივად არის: რეალური არსი, განსაზღვრულ ფიზიკურ თვისებებით შემოსილი, ადამიანი, მით უმეტეს ჩვეულებრივი, თვით ბუნებისაგან შეზღუდულია ფიზიკურივე თვისებებით.

ამ თვისებების გადალახვა მის ხელთ არ არის. ახალი ხელოვანი ჩემულობს ამ გადალახვას. ის აცხადებს, რომ მეოთხე განზომილების დანახვა შეიძლება.

„კუბიზმმა ახალი ზომის, დროისა და სივრცის შეერთების დროში აათრიალა“.

„ბოთლის განვითარება სივრცეში ფორმის საშუალებით“, ასე აცხადებენ კუბისტები.

ახალი ხელოვანი ხედავს იმას, რაც დასანახად მიუწვდომელია. ის ხედავს ახალი „ზეგონებით“. ყოველი საგანი მოძრაობს: ან თვით, ან დედამიწასთან ერთად მისი ღერძის გარშემო, ან მის ორბიტზე, ან მზის სისტემასთან ერთად. მოძრაობაც საგნის განუშორებელი თვისებაა. ამიტომ, თუ ხელოვანს უნდა საგნის განსახიერება ტილოზე ან ბრინჯაოში მთელის სინამდვილით მან, აუცილებლად უნდა გადმოგვეცეს ეს საგანი მოძრაობაში მყოფი. მოძრაობა კი მოითხოვს სივრცეს და დროს.

რთული ამოცანაა, მაგრამ მოთმინებით დავაკვირდეთ ხელოვანს ამ ამოცანის რეალიზაციის დროს.

ავილოთ მხატვარი და მის წინ ლექურის მოცეკვავე. მოძრაობაში მყოფნი. მათი მოძრაობა ხდება სივრცეში და დროს მოითხოვს. თვითუფლის ტანი მოძრაობის ყოველ წუთში სივრცის სხვადასხვა ადგილს იკავებს, სხვადასხვა მდგომარეობაშია, პოზაში: ყოველი მისი პოზა უეჭველად სხვადასხვა დროს ხდება. პოზა მრავალია, მრავალია აგრეთვე დროის მომენტები, რომლებსაც თვითუფლი პოზა მოითხოვს.

ერთი სიტყვით, მხატვარის წინ იმყოფება საგანი (მოცეკვავე, მოჭიდავე) მოძრავი დროსა და სივრცეში მყოფი ერთდროულად, საგანი, რომელშიაც მოძრაობის, დროსა და სივრცის სინტეზია, საგანი, რომელიც თავის მოძრაობით სხვადასხვა მდგომარეობათა ან პოზათა განუწყვეტელ რიგს შეადგენს. საგანი-მეოთხე განზომილებაში მყოფი.

მხატვარი, მოჭიდავე არჩევს ამ მოძრაობათა რიგიდან რაბოდენიმე მომენტს ლექურისა ან ჭიდაობისათვის დამახასიათებელს და, ხლართის სახით ათავსებს მათ ტილოზე ან ბრინჯაოში. ის არ მისდევს რეალურ მიზანს, რომ მოჭიდავის ტანს ჰქონდეს თვალეები, თმები, ან მთელი სხეულის სწორი კონტური. არა, მისი მიზანი ცვალებადი მოძრაობაა, როგორც ასეთი, მოძრაობის მიმართულება, რიტმი, მისი სიძლიერე, სიციხველე ან სიზანტე. ამის დასახვისათვის საჭიროა და საკმარისიც ხაზები ყოველნაირ გეომეტრიულ ფიგურებად ქცეული.

ასეთი ლოლიკური მსჯელობის ნაყოფი არის ზოგიერთი თანამედროვე ახალი ხელოვნების ნიმუშები. (მაგალ. ზდანევიჩის „ბალერინა“), სხვათა შორის, უნდა ვიცოდეთ, რომ ახალი ხელოვნებისთვის (ფუტურისტული მანიფესტი) მატერიალური სამყარო არ არსებობს — მოძრაობა სპობს მას.

ერთად ერთი რეალობა ხელოვნებისთვის არის საგანთა რიტმი, რომელსაც ის ალლოს უღებს თავის ზეგანვითარებულ გონებით. საგნობრივი შეგრძნობა არ არსებობს. ხელოვანმა უნდა გადმოგვცეს მხოლოდ წარმოდგენის ტრანსცენდენტალობა.

მე ვეხებოდი მხატვრობას და ქანდაკებას იმ მოსახრებით, რომ ამ დარგებს ძალიან მჭიდრო კავშირი აქვთ სასცენო ხელოვნებასთან. რა თქმა უნდა, ახალი მუსიკა და მწერლობაც ახალ ფორმებს და ახალ შინაარსს ატარებენ. ორსამ ნიმუშს მოვიყვანთ საკითხის ნათელყოფისათვის.

ამერიკელი ახალგაზრდა კომპოზიტორი ჯორდ ანტელი, ნეოფუტურისტად აცხადებს თავს. აი რას ამბობს ის: ახალ მუსიკაში „უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ახალი დროის მეტაფიზიკას“... „...მუსიკას შეუძლია მეტაფიზიკად გახდეს“.

„მუსიკალურ ნეოფუტურიზმის პირველი ცდები აუცილებლად ისტერიას იწვევენ, როგორც მოსდის ხოლმე ადამიანს, როცა ის უჩვეულო სისწრაფით მიეჭანება საღმე“.

„მუსიკალური ნეოფუტურიზმი მუსიკალურ სივრცეთა ახალი შეგრძნობა არის“.

მაშასადამე: მუსიკა, მეტაფიზიკად ქცეული მუსიკალური სივრცეთა ახალი შეგრძნობაა.

ეს ახალი მიზნებია.

მეორე მხრით:—ყოველი ბგერა ხმისა, დამოკიდებულია ხმიანობის ტალღათა რაოდენობაზე, მათემატიკურ სისწორით გამოანგარიშებულზე. ეს ყველამ დიდი ხანია ფიზიკიდან იცის.

აქედან ადვილი წარმოსადგენია, რომ, — შეიქმნეს წინასწარი, აპრიორული, მეტად მოსწრებული თეორია: „მეოთხე განზომილება მუსიკაში“.

მაგრამ ისიც ადვილი წარმოსადგენია, რომ თანამედროვე საშუალო ადამიანის სმენის ორგანო ასეთ თეორიის ნაყოფ მუსიკას ვერ იგრძნობს, ვერ მიიღებს, ასეთი მუსიკა მისთვის უცხო დარჩება.

რამოდენიმე ნიმუში თანამედროვე მემარცხენე მწერლობისა:

„უან კოკტო“ აპპოლინერის ჯგუფის წევრი.

რომი (ნაწყვეტები)

მელანქოლიათა აღმზრდელი, —

—მატარებელი მიათრევს თავის მელოდიას

და სჭრის ახალ მონეტებს

მშვენიერი შადრევანისთვის...

Addio Roma per Sempre.

საღამო მშვიდობისა, პაწია მარია!

მთვარე დომინოს თამაშობს.

სახლები იწყებენ ღამეს.

ვარსკვლავთა თაიგული. — შენი ღიმილი.

სიროკო მცელავს მე. გლეჯს

ჩემი გულის ფოთლებს ქართა ვარდი.

ღამით კარგათ სჩანან შენობები.

სჩანს, როგორ

ეყრდნობიან ისინი დედამიწას.

წყნარზე უწყნარესი წყლის გრივალი

და

მთვარე.

ღამით მამლები ჰყეფენ პალატინის გორაზე.

მე მოვიპარე ღიმილი პაპის ბალებში.

მესიზმრებოდა, რომ პაპი მსდევს

ვატიკანის კორიდორებში.

.....

„ბლუზ სანდრა“ (იმუე ჯგუფის წევრი)

პორტრეტი



სძინავს.

გაილვიდა.

უცებ: სწერს.

იღებს საყდარს — და საყდრით სწერს,

იღებს ძროხას — და ძროხით სწერს,

სარდინით,

თაგვებით, ხელებით, დანებით.

სწერს ხარის ძარღვით.

.....

სწერს ხავის ბარძაყებით,

და უცებ: — ეს — თქვენი პორტრეტია,

ეს — შენ ხარ, მკითხველო,

ეს — შე ვარ.

ეს — ის არის,

ეს — საცოლუა მისი.

ეს — პრუსიის მცხოვრებელია,

მოსარეცხე,

ბებია ქალი.

აგერ ტაშტები სისხლით,

სადაც ახალშობილებს ჰბანენ.

შეშლილობის ცანი.

თანამედროობის დინგნი.

კოშკი ბოთლის ბურღი.

აქ ერთი რამ იპყრობს ყურადღებას, სახელდობრ: — ის სისწრაფე, რომლითაც ავტორი ერთი საგნიდან მეორეზე ხტის. ის სწრაფი სხვაობა საგნებისა, რომელიც ელვისებურად მიჰქროლავს ჩვენი გონების თვალ წინაშე. ახალ სისწრაფის თავის მანიფესტში მარინეტტი ჰქადაგებს:

„სისწრაფე = (უღრის) მოძრაობაში მყოფ გამბედავობის სინტეზს“.

სისწრაფე — „სწორი და მჭიდრო ლირიკა. გეომეტრიული მშვენიერება“.

„ჰაეროპლანის და ავტომობილის სრული სისწრაფის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია სწრაფად თვალნი მიმოვაელოთ ქვეყნიერების სხვადასხვა ადგილებს და ამგვარად მექანიკურად შევასრულოთ ის შრომა, რომელსაც პოეტები ეწევიან“.

„დიდი სისწრაფე ანხორციელებს არტისტის ისეთსავე სწრაფ ინტუიციას“.

მაშასადამე, სისწრაფე ყველაფერში, ყველგან, აზროვნებაში, გრძნობაში, მოქმედებაში და ამით განმასახიერებელ ფორმებში. სისწრაფე სივრცესა და დროში. გადალახვა ჩვეულებრივ მიჯნებისა, საუკუნოებისა, მანძილ-სივრცეებისა, საუკუნოების საათებად და წუთებად ქცევა და ამნაირად ადრე მიღწევა უკანასკნელ მიჯნისა, გაბედული ახლა იმ ფარდისა, რომლის იქით მარადი საიდუმლოება იფარება. ნაბიჯი გაბედული და შეუპოვარი“.

ახალი ხელოვნებაც ამ ფერხულშია ჩაბმული და ახალი გონებით, რითმით, საშუალებებით შეიმოსა. ხოლო ამ გაბედულ და შეუპოვარ ნაბიჯს გადადგმაში მან გადააჭარბა: რეალურ სამყაროს გასცილდა, ადამიანის მიეფარა, უცხო გახდა მისთვის. თითონაც ობლად დარჩა, — მისი ^{წარმართული} ~~წარმართული~~ ^{წარმართული} ~~წარმართული~~ გაუგებარი ფორმა სუდარისებურ ჩადრივით გადაეფარა შინაარსს. იგი თავსატეხ რებუსად იქცა. მაყურებელი ხედავს გეომეტრიულ ფიგურათა ხლართს, მას ესმის სმენის მომჭრელი, არა ბუნებრივი ხმაური, უცნაურად მოპრუნებული აზრი და სიტყვის ცდილობს გაიგოს ყოველივე ეს, თავს იმტვრევს, იღლება და სასტიკად დამარცხებული ბრუნდება შინ ცარიელი სულით და ცარიელი თავით. ახალი ხელოვნება, თეორეტიკოსთა კაბინეტურ გამოგონების ნაყოფი, აპრიორული და სხოლასტიური, მოსწყდა ხალხის ცხოვრების ფესვებს და ამ ცხოვრების გრძნობა დაჰკარგა. ასეთ გზაზე დამდგარი იგი თვითმიზნობის სამოსელში ეხვევა და ეგოცენტრიზმითაც იმსკვალება.

ნურავინ იფიქრებს, ვითომ სიახლეს უარეყოფდეთ. სრულებითაც არა: გაიცანით კუბისტი მხატვარი დევისონი. მისი სურათები ადვილი გასაგებია ყველასათვის, თუმცა გეომეტრიულ პრინციპზეა აშენებული. დააკვირდით მაიაკოვსკის თხზულებებს — ახალი შინაარსი და ახალი ფორმა, მაგრამ უბრალო გლუხისთვისაც და ხელოვნებაში გამოყვანილ ინტელიგენტისთვისაც გასაგები. მათ მხატვრული ზომიერების ალლო აქვთ და ამ ალლოს წყალობით მათი ნაწარმოები — ხელოვნებაა კემარითი, იმიტომ რომ ამ ხელოვნების თანზიარება ხალხის დიდ უმრავლესობას შეუძლია. სიახლე აუცილებლობაა, მაგრამ „მემარცხენეობის“ ბავშვური სენი უკუსაგდება.

თუ სათეატრო წერილში სხვადასხვა ახალ ხელოვნებათ ვებებოდი, ეს იმიტომ, რომ ამ ხელოვნებათ დიდი ადვილი აქვთ თეატრში, ან კიდევ იმიტომ, რომ ყოველი მათგანი ცდილობს, რაც შეიძლება უფრო ახმაურდეს, ყველას თავი მოაწონოს.

გაუგებარი ფორმა ფეხს იკიდებს თეატრში და თუ დღეინდებლობა თეატრისა ასეთია, მისი ხვალისდებლობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს: იქ დამყარდება სოციალური უსამართლობა.

ქართული თეატრი სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა. ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს წავიდეს იქ, რათა ინტელექტუალური და სულიერი ემოციები განიცადოს.

ეს ასე უნდა იყოს. ყველას უფლება აქვს ხელოვნებას ეზიაროს.

ყველა ხელოვანი, ხელოვნების ნაწარმოების შემქნელი, მოვალეა ასეთი ზიარების საშუალება მისცეს მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას შესაფერის შინაარსით და მისაწვდომ ფორმით.

ყოველი მწარმოებელი, ორგანიზატორი, პატრონი — მოვალეა იცოდეს, ვისთვის აკეთებს საქმეს, რა საზრდოს აწვდის იმათ, ვისთვისაც საქმე კეთდება.

კანონმდებელი მაშინ არის ბრძენი, როდესაც იცის, როგორ და რა სახით უნდა გამოსცეს კანონი, როდესაც მან იცის რომ კანონის შედგენაში იგი პირადობა კი არ არის, არამედ მთელი მასის რჩეული ერთეული.

თუ ასე არ იქნება, თეატრი სოციალურ უსამართლობის მაგნი ნიადაგზე დადგება, ის იქნება ვიწრო ჯგუფის კუთვნილება.

თეატრს უნდა ჰქონდეს სახელმძღვანელო იდეა, მკაფიო — დაწინაურებული, უამისოდ იგი იქცევა უიალქნო და უსაჭო ხომალდათ. უამისოდ არავითარი ძიება არ შეიძლება. კოლუმბს რომ ინდოეთისკენ გზის მონახვის იდეა არ ჰქონოდა და განზრახ დასაეღეთისკენ არ ევლო, იგი უაზრო ხეტიალში გაატარებდა დროს და ამერიკასაც არ წააწყდებოდა. რევოლიუციას რომ კაცობრიობის ხსნის და სოციალიზმისკენ სვლის იდეა არ ჰქონდეს, ის იქნებოდა უაზრო განგაში, ამბოხი და არა რევოლიუცია.

თეატრი ერთგვარი რუბორია. ამ რუბორის საშუალებით გადაეცემა მოქალაქეთ ცხოვრების სინტეზი, მისი მთრთოლვარე მაჯისცემა, გადაეცემა და სიმხნევის სულით გამსჭვალავს მას, წაახალისებს სულით დაცემულს, განამტკიცებს ძლიერს წინსვლის გრძელ გზაზე.

თეატრის მთავარ სიძლიერეს ის შეადგენს, რომ მას აქვს საშუალება დიდი ემოციების გამოწვევისა. ემოცია, ერთის მხრით აერთიანებს თვით აუდიტორიას, მეორე მხრით — სცენას და აუდიტორიას. ნამდვილს, ძლიერ თეატრში მაყურებელი ავი და კეთილი, გონიერი და უგნური, ძლიერი და სუსტი — ერთის გრძნობით, ერთი განცდით იმსჭვალებიან და ამის გამო აუდიტორია იქცევა ერთეულად, უძლეველ კოლექტივად. ამიტომაც თეატრი, დიადი იდეით გამსჭვალული, უნდა სცდილობდეს შესაფერი ემოციები გამოიწვიოს ამ კოლექტივში, ემოციები ინტელექტუალური და გრძნობისა, ემოციები დადებითი და ამშენებლობითი ხასიათისა, სიხალისე და სიხარული ცხოვრებისა, სიმხნევე ბრძოლისა, ამაყი ზეიმობა გამარჯვებისა, სიყვარული ადამიანისადმი, ტანჯვა განმწმენდი, წინსვლა შეუბოვარი, — ყოველივე ეს სოციალური მასშტაბისაა.

ასეთი იდეით გამსჭვალულ თეატრს ბევრის შექმნა და მიღწევა შეუძლია. ასეთი გზაა საჭიროა ჩვენი თეატრისთვის. რალა თქმა უნდა, ასეთი მიღწევისათვის საჭიროა მსახიობი ამ სიტყვის ღრმა და ფართო მნიშვნელობით: მოქალაქე, მჭვრეტი, განვითარებული, მშრომელი, ტანმოქნილი, დიდი ოსტატი.

დასკვნა ჩემი მსჯელობისა შემდეგია: თეატრი ფართო აუდიტორიისათვის, მისაწვდომი და გასაგები შინაარსით და ფორმით.

თანამედროვე ცხოვრების პასუხისგამცემი, ხალხურ მსოფლმხედველობის და შეგრძნობის ნიადაგზე მდგომი.

თეატრი — ძლიერის და ღრმა ემოციების გამომწვევი: ინტელექტუალურისა და გრძნობისა. თეატრი, რომელშიაც ფორმა არ სჭარბობს შინაარსს, არამედ შეზავებულია მასთან ჰარმონიულად.

თეატრი, რომელიც მხოლოდ ვიწრო ჯგუფის კუთვნილებას არ წარმოადგენს.



მ ე ც ნ ი ი ზ ი ბ დ

B.

საერთო რელატივიზმის თეორია

• 11. ცოტა რამ სივრცის შესახებ.

სივრცის პრობლემა მეცნიერებისათვის ახალი საკითხი არ არის. ჯერ კიდევ ძველ დროში სწერდნენ ფილოსოფოსები მეცნიერულ ტრაქტატებს სივრცის ბუნებისათვის. არის სივრცე რეალურად არსებული რამ, თუ ძარტო ცარიელი სიტყვა, ან რისიმე ფორმული ცნება. ყველასათვის ცხადია, რომ სივრცე და დრო ისეთი რეალი საგანი არ არის, როგორც ქვა, ან ხე, მიუხედავად ამისა, ყოველ დროს იყვნენ მოაზროვნენი, რომლებიც მას (სივრცეს) რეალურად არსებობისთვის ანიჭებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც კანტიმა 18 საუკუნის ბოლოში დროსა და სივრცეს რეალურად არსებობის უფლება წაართვა და მათ მხოლოდ იდეალი, ანუ უბრალოდ ფორმული არსებობა. მიანიჭა, მეცნიერება მთელი ასი წლის განმავლობაში, დრო და სივრცის ადგილზე მხოლოდ ცარიელ ჭურჭელს გულისხმობდა, რომელიც მხოლოდ მაშინ აივსება ამა თუ იმ წინაარსით, თუ რეალი საგნებით ავავსებთ მათ. კანტი ფიქრობდა, რომ დრო და სივრცე ჩვენი ინტუიციის ე. ი. მჭვრეტელობის აპრიორულ ფორმებს შეადგენს და, როგორც ასეთი, აუცილებელი პირობაა ყოველ მოვლენისათვის.

კანტის შეხედულება ემყარებოდა ნიუტონის მეცნიერებას და საფუძვლად ღებულობდა აბსოლიუტს, უძრავს და ყოველ სისტემისაგან დამოუკიდებელ დროისა და სივრცის არსებობას. ნიუტონის მეცნიერების საფუძვლის შერყევასთან, რასაკვირველია, შეირყა თვით კანტის ფილოსოფიური სწავლა სივრცის ბუნებისათვის, რაიც უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის მას შემდეგ, რაც საერთო რელატივიზმის საფუძვლებს გავეცნობით. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ საერთო რელატივიზმის თეორია ნიშნავს სივრცის თვალსაზრისზე ამაღლებას. ამ თქმას უნდა გახსნა.

ჩვენ გვაქვს მეცნიერება, რომელიც უმთავრესად სივრცეს შეისწავლის: ეს არის გეომეტრია. გეომეტრიის თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ სივრცეს. ვეკლიდეს გეომეტრია ამბობს, რომ სივრცეს აქვს სამი განზომილება; მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსმა მეცნიერმა ლობაჩევსკიმ აღმოაჩინა, რომ ვეკლიდეს გეომეტრიის საფუძველი, სახელდობრ პარალელი ხაზების აქსიომა, ერთად ერთ შესაძლებელ კეშმარიტებას არ გამოხატავს და მის გვერდით შესაძლებელია სხვა გეომეტრიების აშენება, გეომეტრიის მეცნიერება ახალი გზებით წავიდა: სივრცემ სამი განზომილების მაგივრად მიიღო უთვალავი განზომილებანი. გეომეტრიულად სივრცის რელატივობა აინშტაინამდისაც არსებობდა, ხოლო, როდესაც ამ რელატივობაში ფიზიკალური შინაარსი ჩაიღო, მაშინ გახდა ხელსახები თვით რელატივობის საზრისი.

მდგომარეობის ნათლად წარმოდგენისათვის განვიხილოთ ცნობილ მათემატიკოსის ჰანრი პუანკარეს მიერ სივრცის რელატიური ბუნების ასახსნელად მოყვანილი მაგალითი. წარმოვიდგინოთ, რომ წუხელის ღამით მთელი მსოფლიო გაიზარდა 100-ჯერ. დილით თქვენ ნახავთ, რომ თქვენი ოთახი, რომელიც გუშინ 6 არშინი იყო უკვე 600 არშინი გამხდარა, თქვენ თვითონ ხართ 100-ჯერ უფრო მაღალი, ვიდრე გუშინ. თქვენი კალმის ტარი არის 25 არშინი, ამ კალმით თქვენ სწერთ თითო არშინიანი ანბანით და სხვ. მთელი ქვეყანა ამრიგად 100 ჯერ გადიდებულია, მაგრამ გეომეტრიულად ისევ ის არის, რაიც გუშინ იყო. პუანკარე კითხულობს, თუ რას ვიტყვით ჩვენ დილით ქვეყნის ასეთი დეფორმაციის მნახველი და თვითონვე უპასუხებს, რომ ჩვენ ასეთი ამბების შესახებ არაფერი გვეცოდინებოდა. ეს თავისთავად ცხადია. რომ გაზრდილი უნივერსი ისეთივე და იგივე უნივერსია, როგორც გაუზრდილი. აქედან პუანკარე დაასკვნის რომ, რადგან სივრცე რელატიურია, ამიტომ ქვეყნად არავითარი ცვლილება არ მომხდარა და 100-ჯერ გრძელი უნივერსი ისეთივეა, როგორც 100-ჯერ მოკლე. ასე ამტკიცებს პუანკარე სივრცის რელატივობას. მეტრიულ გეომეტრიის თვალსაზრისით. ასეთი მტკიცება უნაკლოა და მისაღები. თუ ასეთი ქვეყნის დეფორმაციის ფიქციას მივსცემთ ფიზიკალურ შინაარსს, მაშინ საქმე გაცილებით რთული იქნება, თუმცა მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება.

რა დაემართება ამ შემთხვევაში რეალურ საგანს ბუნებაში, როგორი დარჩება მასსა?

თუ ყოველი სხეულის მასსა იგივე დარჩა, რაც ქვეყნის 100-ჯერ გაზრდამდის იყო, მაშინ ცხადია, რომ გუშინდელი საგანი დღეს 10.000-ჯერ უფრო მჩატე იქნება. რა საშუალება გაგვაჩნია ჩვენ ამის დასამტკიცებლად? არაფერი. რა გზითაც არ უნდა მიუდგეთ საქმეს, შინაარსიან პასუხს ვერ მივიღებთ: თუ მე დილას გავაცხადებ, რომ წუხელ მთელი ქვეყანა ასჯერ გაზრდილა, ვერას. საშუალებით ვერ დამიმტკიცებთ თქვენ ამის საწინააღმდეგოს. მე რასაკვირველია, ამას ისიც უნდა მიუმატო, რომ წუხელის ყველა მასსა აგრეთვე 100-ჯერ გაიზარდა, ხოლო მიწის ბრუნვა 100-ჯერ შემცირდა და სხვა. ყველა ასეთ მოფიქრებით ჩვენ ვდგავართ სავსებით ნიუტონის ფიზიკის საფუძვლებზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სივრცის რელატიური ბუნება საკმაოდ ნათელი ხდება. ასეთი

თეორიას ერთად ერთი ნაკლი აქვს, მისი ფიზიკალური შინაარსის გამონახვა შეუძლებელია. აინშტაინის თეორიამ კი უნდა გამონახოს რელატივიზმის ფიზიკალური შინაარსი.

ქართულად

12. გეომეტრია და ფიზიკა. შინაარსი

მოყვანილ მაგალითის მათემატიკური აზრი არის შემდეგი: ორი ქვეყანა, რომლებიც წერტილების ტრანსფორმაციის საშუალებით ერთი მეორეს შეცვლიან, თავიანთი ფიზიკალური საგნობრივობით არის ერთი და იგივე. ამ დებულების უკანასკნელი ნაწილის დასკვნისათვის, თუ ჩვენ ჩვეულებრივ გეომეტრიულ თვალსაზრისს ვატარებთ, ჩვენ საშვალეა არ გაგვაჩნია. არ გაგვაჩნია იმიტომ, რომ სივრცის შესახებ ყოველივე აზრის გამოთქმა, თუ ფიზიკალური შინაარსი სივრცის ცდაში მოცემული არ არის, შეუძლებელია.

ჩვენ უკვე სპეციალი თეორიის განხილვის დროს დავინახეთ, რომ დროსთან ერთად სივრცემ დაჰკარგა დამოუკიდებელი სახე და შეიქმნა იმ საგნის ნაწილი, რომელიც მას ცდაში აძლევს ამა თუ იმ სახეს. აქედან, ცხადია, რომ წმინდა გეომეტრიულ თვალსაზრისით სივრცის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. სივრცე, როგორც ასეთი, არავითარ დასკვნას არ მოგვცემს იმის შესახებ, თუ რომელი გეომეტრია უფრო სწორია სივრცის გაზომის მიზნით. თუ გეომეტრიის თვალსაზრისს დავტოვებთ და ფიზიკის თვალსაზრისზე შევდგებით, მაშინ, აინშტაინის თეორიის მიხედვით, ცხადი იქნება, რომ ასეთი სივრცის გაზომვა ევკლიდეს გეომეტრიის საშუალებით შეუძლებელია. სივრცე, გამოყოფილი საგნობრივი შინაარსიდან, ე. ი. სივრცე, რომელიც მხოლოდ განყენებაში არსებობს და არა სინამდვილეში, მოკლებულია ყოველივე სტრუქტურას და მისთვის სულ ერთია, თუ რომელი გეომეტრიული კონცეპციით განიზომება ის. მაგრამ, რადგან ჩვენ სივრცის შესახებ მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ ცდის შემდეგ და ისიც ფიზიკალური საგნობრივობის მიღებით, ცხადია, რომ თვით სივრცის პრობლემას გეომეტრიული მიდგომა კი არ გადასჭრის, არამედ მხოლოდ ფიზიკალური.

ასე მოაბრუნა აინშტაინმა საკითხი და განაცხადა, რომ ყოველ გეომეტრიულ დებულებას აქვს ფიზიკალური შინაარსი და ასეთი გეომეტრია არის მხოლოდ ფიზიკის ნაწილი და არა დამოუკიდებელი შეცნიერება.

ასეთ ფიზიკალურ თვალსაზრისით შესაძლებელია სპეციალ რელატივიზმის გაფართოება და მის საერთო რელატივიზმით გარდაქცევა. საერთო რელატივიზმამ უნდა დაამტკიცოს, რომ ბუნების საერთო კანონების გამოსაყვანად ყველა დამოკიდების სხეულები, K , K' , K'' და სხვ. არის სრულიად სწორდირებული, მიუხედავად იმისა, დამოკიდების სისტემა იმყოფება მოძრაობაში, თუ არის უძრავი, ამ ფორმულის აზრს გახსნის თეორიის დალაგება.

13. რა არის გრავიტაციის არე?

მკითხველმა, რასაკვირველია, იცის ნივთი ზევდან ქვევით რისთვის ეცემა. თუ მაგ. ვინმე გკითხავთ: ზევით ასროლილი ქვა მიწაზე რისთვის ეცემაო, თქვენ უპასუხებთ, როგორც სკოლაში გასწავლეს: მიწა მიიზიდავს ქვას თავისკენ. თ-

ნამედროვე ფიზიკა კი თქვენ აღარ დაგეთანხმება ამ დებულების სისწორეში. ის გეტყვის, რომ მეცნიერებას არავითარი საბაბი არა აქვს მიიღოს სწორეულის მიმზიდველობის ჰიპოთეზა, მას უფრო სწორი საშუალება გააჩნია ამ მოვლენის განმარტებისათვის. თქვენ იცით, რასაკვირველია, რომ მაგნიტის დევიაცია აქვს რკინა-თავისაყენ მიიზიდოს. ეს მიმზიდველობა განსაზღვრულ სიშორეს იქით არ არის ძალაში. ცნობილმა მეცნიერმა ფარადეიმ წამოაყენა დებულება, რომ ყოველი მაგნიტი მის გარშემო იწვევს ფიზიკალურად რეალურ მედიუმის არსებობას, რომელსაც მან მაგნიტის არე (მაგნიტის ველი) უწოდა. სწორედ მაგნიტის არე არის ის, რაიც რკინას მიიზიდავს, ე. ი. მაგნიტი პირდაპირ კი არ მიიზიდავს რკინას, არამედ მაგნიტის არეს საშუალებით. ასეთი აზრთა წყობა გადააქვს თანამედროვე ფიზიკას გრავიტაციის ფენომენის ახსნისათვის. ქვა იმიტომ მიეჭანება მიწისაკენ, რომ მიწას თავის გარშემო აქვს გრავიტაციის არე, ეს გრავიტაციის არე მიიზიდავს ქვას თავისკენ, ე. ი. მიწისაკენ. რამდენადაც მოვშორდებით მიწას, იმდენად მცირე არის გრავიტაციის არეს გავლენა საგნებზე. შესაძლებელია მიღწეულ იქნას ის საზღვარი, რომლის მიღმიდან ქვა ჩვენს მიწაზე აღარ დაეცემა, ე. ი. აქ მიწის გრავიტაციის არეს გავლენა აღარ ექნება.

გრავიტაციის არეს აქვს ერთი განსაკუთრებული, მაგრამ ფუნდამენტალი თვისება. ყველა სხეული, რომელიც კი სიმძიმის არეში მოძრაობს, ღებულობს დაჩქარებას და ეს დაჩქარება სავსებით დამოუკიდებელია სხეულის მასის თვისებისაგან. ტყვია და პაწია ქალაქის ნაგლეჯი თანასწორი სიჩქარით გარბიან სიმძიმის არეში, ე. ი. უჭაერო სირცეში. ეს თუმცა გასაკვირი, მაგრამ უაღრესად სწორი კანონი არის. ამავე კანონიდან შეიძლება ერთი დიდი აქ საჭირო კანონი გამოვიყვანოთ.

ნიუტონის ფიზიკა ასწავლის რომ:

ძალა = ინერციული მასა \times დაჩქარება. ინერციული მასსაც მიღებულია დაჩქარებული სხეულის კონსტანტათ და, თუ დამჩქარებელი ძალა სიმძიმე არის, მაშინ ცხადია:

ძალა მძიმე მასა \times სიმძიმის არის ინტენსიობა. ამ შემთხვევაში სხეულის კონსტანტი არის მძიმე მასა. ამ ორ ფორმულიდან ჩვენ შეგვიძლია დაჩქარების ფორმულა გამოვიყვანოთ.

დაჩქარება = $\frac{\text{მძიმე მასა}}{\text{ინერციული მასა}} \times$ სიმძიმის არის ინტენსიობა.

ჩვენ ვიცით, რომ სიმძიმის არეში სხეულის დაჩქარება სავსებით დამოუკიდებელია, როგორც ამ სხეულის ბუნებისაგან, ისე მის შემადგენლობისა და მდგომარეობისაგან. აქედან ნათლად გამომდინარეობს, რომ მძიმე და ინერციული მასა ყველა სხეულებისათვის ერთი და იგივე არის. ე. ი. $m = m'$. აინშტაინი ამბობს, რომ მექანიკამ ეს დებულება თუმცა აღმოაჩინა და აღნიშნა, მაგრამ მას ვერავითარი განმარტება ვერ მისცა. ამ მოვლენის ახსნა-განმარტებისა და მისი მნიშვნელობის გაგებისათვის საჭიროა იმის დანახვა, რომ სხეულის ერთი და იგივე თვისება ხან ვლინდება სიმძიმედ, ხან კი ინერციად. სწორედ ეს

დებულება უნდა დაამტკიცოს უპირველეს ყოვლისა საერთო რელატივიზმის თეორიამ.

საერთო რელატივიზმი

11. მიმე და ინერციული მახის თანასწორობიდან გამომდინარეობს საერთო რელატივიზმის პრინციპი.

კლასიკურ მექანიკის ძირითადი დებულება ამბობს, რომ ერთი მეორესაგან ძალიან დაწორებული მატერიალი წერტილები მოძრაობენ ან თანაბრად და სწორხაზოვანად და ან არიან უძრავნი. არც კლასიკური მექანიკა და არც თვით სპეციალი რელატივიზმის თეორია არას ამბობს იმის შესახებ, რომ ამ კანონისათვის სულ ერთია მიმართებითი სისტემის მოძრაობა. როგორც იქ, ისე აქაც არჩეულია ის სისტემა და ის ბუნების კანონი, რომელიც თანაბარ ტრანსლაციის მოძრაობას განიცდის, რისგან გამომდინარეობს, რომ ბუნების კანონი, რომელიც ერთი სხეულის სისტემის მიმართ არის ძალაში, მეორე მიმართებითი სხეულთან არ რჩება ძალაში. ყოველ ადამიანს გააკვირვებს ეს მოვლენა — ამბობს აინშტაინი, — და კანონიერად შეგვეკითხება, თუ რა არის მიზეზი ასეთ არჩევისა და უპირატისობისა ზოგიერთ სისტემების და მათი მოძრაობის მიმართ. არავითარი პასუხი ამ საკითხზე არ მოეპოვება კლასიკურ მექანიკას, არ მოეპოვება პასუხი არც აინშტაინის სპეციალ რელატივიზმს. სინამდვილეში კი პასუხი უსათუოდ უნდა არსებობდეს.

აინშტაინმა აღმოაჩინა, რომ საჭიროა ინერციული მახის თანასწორობის ფაქტს უქნა ინტერპრეტაცია და პასუხს მივიღებთ. პასუხი იქნება საერთო რელატივიზმის პრინციპის არსებობა. აღმოჩნდება თუ არა საერთო რელატივიზმის პრინციპი, ნათელი გახდება, რომ ბუნების საერთო კანონების გამოყვანისათვის თანაბრად ღირებულია ყველა მიმართებითი სისტემა და მათი მოძრაობა, ე. ი. კლასიკურ მექანიკის ძირითადი დებულება ძირიანად შეიცვლება.

ახლა მკითხველმა ჩვენთან ერთად მსოფლიო სივრცეში წარმოიდგინოს ვეებერთელა ცარიელი ადგილი, სადაც ვერ აღწევს ვერც ცის მნათობის რაიმე გავლენა, ვერც ჰაერი და ვერც სხვა რაიმე. ეს სწორედ ისეთი რამ იქნება სადაც კლასიკურ მექანიკის დასახელებული ძირითადი კანონი უდიდესი სისწორით შესრულდება, ე. ი. ამ ცარიელ სივრცეში შეგვიძლია ჩვენ წარმოვიდგინოთ რომელიმე ადგილი, რომლის მიმართ ყოველივე სხეული ან დარჩება აბსოლიუტურად უძრავი, ან და იქნება მხოლოდ თანაბარ და სწორხაზოვან მოძრაობაში. წარმოიდგინეთ ახლა ეს ადგილი. ცარიელ სივრცეში არის დიდი უზარმაზარი ყუთი. ამ ყუთში იმყოფება მაყურებელი, რომელსაც თან აქვს ყველა საჭირო აპარატები. ამ კაცისათვის, რასაკვირველია, არ არსებობს არავითარი სიმძიმე, თუ მას სურს ყუთის იატაკზე იყოს, ამისათვის იატაკზე რამე უნდა მიაჭედოს და მას ხელი ჩასჭიდოს. წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ყუთის ქერზე, ზედ შუა ადგილს მობშულია თოკი. უეცრად რალაც ძალამ მოსწია ეს თოკი, — ყუთი იწყებს თანაბარ დაჩქარებით მოძრაობას, მისი მოძრაობის სიჩქარე, რასაკვირველია, საშინლად იზრდება. ახლა ვიკითხოთ, თუ რას იტყვის ამ მოვლენის შესახებ ყუთში მყოფი კაცი. თუ ის მოძრაობის დაწყებისას ყუთის ქერთან იყო, ის ნელ-ნელა დაეშვება იატაკზე და იქ აღარ დასჭირდება რაიმეს ხელი ჩაჭიდოს; თუ რომელიმე სხეულს

გადმოაგდებს ჰერიდან იატაკზე, ეს სხეული დაეცემა თანაბარ დაჩქარებით და სხ. ერთი სიტყვით, ყუთში მყოფი მაყურებელი იტყვის, რომ მისი ყუთი იმყოფება რომელიმე სიმძიმის არეში. ბოლოსდაბოლოს მას გააკვირვებს ყუთის ყუთი რათ არ ვარდება სიმძიმის არეში და, თუ ამ დროს დაინახავს მას ყუთის მხებულ თოკს, მიხვდება, რომ მისი ყუთი სიმძიმის არეში თოკით დაკიდებული ყოფილა. სინამდვილეში ჩვენ ვიცით თუ რაშია საქმე! თუ როგორ შეცდომაში იმყოფება ყუთში მყოფი კაცი? არა, ის სავსებით სამართლიანად მსჯელობს, მისი მსჯელობა სწორია, როგორც კლასიკურ მექანიკის კანონების მიხედვით, ისე ჩვენი გონების ყველა ძალების გათვალისწინებით. ჩვენ კი ვიცით, რომ ის ცდება. მისი ყუთი დაკიდებული კი არ არის, არამედ იმყოფება აბსოლიუტურად ცარიელ სივრცეში და მას რაღაც ძალა მიაქანებს ზევით.

როგორ უნდა გავართვათ თავი ამ წინააღმდეგობას? აინშტაინი გვეუბნება, რომ საჭიროა სპეციალ რელატივობის პრინციპის გავლენა გადავიტანოთ ერთი მეორესაგან დაჩქარებით მოძრავ სხეულების მიმართ და წინააღმდეგობის მაგივრად ჩვენ მივიღებთ საერთო რელატივობის პრინციპის სინამდვილეში არსებობას. ცხადია თუ საიდან გამომდინარეობს საერთო რელატივობის პრინციპის არსებობა, ის გამომდინარეობს იქედან, რომ მძიმე და ინერციული მასა თანასწორია ე. წ. სიმძიმის არე ყველა სხეულს ანიჭებს ერთსა და იმავე სიჩქარეს და სწორედ ამიტომ არის ინერციული მასა და მძიმე მასა ერთი და იგივე და ამიტომ მიდის ყუთში მყოფი კაცი, მისთვის სწორ, ჩვენთვის კი აბსურდულ დასკვნამდის, რომ ის მისი ყუთით დაკიდებულია სიმძიმის არეში.

მოძრაობის ასეთი რელატივი ბუნება ნათლად შეგვიძლია ავხსნათ გრავიტაციის არეს მიღებით. ინერციული მასის გავლენა სინამდვილეში არის გრავიტაციის არეს გავლენა. აქედან ცხადათ გამომდინარეობს, რომ იქ, სადაც გრავიტაციის არე გავლენას ახდენს, ევკლიდეს გეომეტრია და მისი ზომა არ გამოვადგება. და, რადგან ჩვენ სივრცეში თი თქმის არსად არ შეგვიძლია ისეთი ადგილი აღმოვაჩინოთ, რომელიც გრავიტაციის გავლენის ქვეშ არ იმყოფებოდეს ნათელია, რომ ევკლიდეს გეომეტრიის და მისი სამ განზომილებიანი სივრცის გამოყენების საკითხი თავისი უარყოფითი შედეგით გადაწყვეტილია, რაიც უფრო ხელსახები დარჩება საერთო რელატივობისაგან გამომდინარე დასკვნების გათვალისწინების შემდეგ.

15. დრო და სივრცე გრავიტაციის არეში

წარმოვიდგინოთ ხელ მეორედ, რომ ჩვენ ვიმყოფებით დასახელებულ ცარიელ არეში, სადაც რომელიმე დამოკიდების სხეულის K -ს მიმართ გრავიტაციის არე არ მოქმედობს. ეს K ამ შემთხვევაში, არის გალილეის სხეული და მასზე აქვს ყველა სპეციალ რელატივობის კანონებს გავლენა. წარმოვიდგინოთ ამასთანავე, რომ ეს ცარიელი არე მიმართებაში იმყოფება შორეულ სხეულთან K' , რომელიც თავის თავად K -სთან შედარებით თანახმად ბრუნავს. დაუშვათ, რომ ეს K' რაღაც უზარმაზარი რგვალი რკალის მსგავსი სხეულია, რომელიც ცენტრის ირგვლივ ტრიალებს. თუ ამ რგვალ ტრიალა სხეულზე ვინმე ექსცენ-

ტრიულად იმყოფება. ის განიცდის რადიალი ძალის გავლენას, რომელიც მიმართულია ცენტრიდან ნაპირებისაკენ. თუ ამ მოვლენას ვინმე K -დან უყურებს, მისთვის ეს ტრიალი იქნება ინერციის გავლენა. ჩვენ ვიცი, რომ უწყვეტ მართალია; მათ მხოლოდ ასე შეუძლიათ იმსჯელონ, როგორც მსგავსი შემთხვევაში.

წარმოიდგინეთ ახლა თქვენ, რომ რვეალ ტრიალა სხეულზე მყოფმა კაცმა დაიწყო საათით და მეტრით ექსპერიმენტების მოხდენა, მას სურს დრო და სივრცის პრობლემა გადაწყვიტოს თავის ტრიალა სისტემისათვის. ამისათვის ის K' ცენტრში დადგამს ერთ საათს, მეორეს კი K' ნაპირზე. ორივე საათი მიმაგრებულია ტრიალა K' — ზე და მის მიმართ არის უძრავი. ამუშავდა საათები. რას იტყვის ამის შესახებ მაყურებელი, რომელიც ახლა K -ზე იმყოფება და K' ტრიალს უცქერის? საათი, რომელიც ცენტრში არის, K -ზე მყოფ კაცისთვის არის უძრავი, ხოლო საათი, რომელიც ნაპირას არის — მოძრაობს. ამიტომ (სპეციალი რელატივიზმის მიხედვით) ის იტყვის, რომ ცენტრის საათი უფრო ჩქარა მოძრაობს, ვიდრე პერიფერიის. ასეთივე იქნება K -ზე მყოფი კაცის შეხედულება K' -ზე სივრცითი დაშორების შესახებ. ერთი მეტრი პერიფერიაზე, ერთი მეტრი კი არ იქნება, არამედ ის მოძრაობის მიმართულებით დამოკლდება. ეს ერთი მეტრი ცენტრში კი გამოჩნდება ერთ მეტრად, რადგანაც ის მოძრაობის გავლენას აქ არ განიცდის. წარმოვიდგინოთ, რომ K -ზე მყოფი კაცი მოისურვებს გაზომოს K' წრე (გარსი), შემდეგ კი ის ზომავს მის დიამეტრს. ჩვენ ვიცი, რომ $\pi = 3,14\dots$ K -დან, მაყურებელი კი მიიღებს გაცილებით უფრო დიდ რიცხვს, ვიდრე $3,14\dots$ ცხადია, ევკლიდეს გეომეტრიის კანონები $K-K'$ ე. ი. გალილეის სხეულიდან მოძრაე-ტრიალაზე გადასვლის დროს აღარ რჩება ძალაში. აქვე ცხადია, რომ ის რასაც K -ზე სწორი ხაზი ეწოდება, ტრიალა K' -ზე სწორი ხაზი არ არის; სწორხაზოვანი კოორდინატები, რომლითაც ჩვენ კიდევ სპეციალი რელატივიზმის განხილვის დროს ვმუშაობდით, აღარ გამოგვადგება ტრიალა სისტემის კანონების შესწავლისათვის.

ნათქვამიდან ჩვენ შეგვიძლია ორი დასკვნა გამოვიყვანოთ: ერთი ის, რომ გრაფიტაციის არეში ევკლიდეს გეომეტრიის კანონებს სისწორე და გავლენა აღარ აქვს, მეორე ის, რომ თვით ბუნების საერთო კანონები, რომელიც გალილეის სხეული K -სათვის აბსოლიუტურად სავალდებულო იყო, K' -ზე კარგავენ ყოველი კანონის სახეს და გავლენას.

— როგორ? — შეგვეკითხება კანონიერად მკითხველი, თუ ბუნების კანონის კანონიერება დარღვეულია, თუ ყოველ მოძრაე სისტემას თავისი კანონი ჰქონია, მაშინ ხომ ბუნების მეცნიერულად შესწავლა შეუძლებელი საქმე ყოფილა. ასეთ ახალ ფიზიკას, რასაკვირველია, ძველი აჯობებს, რომელიც შეიძლება ცდებოდა, მაგრამ ბუნების მოვლენების ერთგვარ ახსნას მაინც იძლეოდა და სალი გონების მიზეზობრივობის მოთხოვნას აკმაყოფილებდა. — პატივცემულმა მკითხველმა უნდა მოითმინოს და ის დარწმუნდეს, რომ ყველა ფიზიკა მისი გონების კანონიერ მოთხოვნას კი არ აკმაყოფილებდა, არამედ ხშირად გონებას არწმუნებდა; ახალი ფიზიკა კი სწორედ გონებას და მის მოთხოვნას დააკმაყოფილებს,

დააკმაყოფილებს იმით, რომ მას ახალ სააზროვნო საშუალებებს აღმოსაჩენად გზას უჩვენებს.

ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი მთავარი დებულება ევკლიდეს სივრცისა, სახელდობრ ის, რომ $n=3,4,\dots$ ტრიანგულარული სისტემაზე K^n ალგებრულად შეუძლებელია და, რადგან ჩვენ შეგვიძლია ტრიანგულარული სისტემის მაგიერ გრაფიტაციის არე ვიგულისხმოთ, ამიტომ ჩვენ უფლება გვქვია დებულების გაფართოებისათვის.

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ გრაფიტაციის არეში ევკლიდეს გეომეტრიის კანონები ძალაში არ დარჩება, ე. ი. გრაფიტაციის არე, ის, რასაც საერთო რელატივობა იხილავს, არ არის ევკლიდეს კონტინიუმი.

ჩვენ უნდა მოვიგონოთ, რომ ევკლიდეს სივრცეში, რომელსაც სამი განზომილება ქონდა, ყველა მიმართულების განზომილება შეიძლებოდა ე. წ. კარტეზის სამხაზოვან კოორდინატით და, თუ გრაფიტაციის არეს ჩვენ არა-ევკლიდისებურ კონტინუუმად გამოვაცხადებთ, მაშინ, ცხადია, რომ თვით კარტეზის კოორდინატების სისტემა ჩვენთვის გამოსადეგი აღარ იქნება. დიახ, საერთო რელატივობის თეორია ამას მოითხოვს, მისი კანონების გამოსაყვანად არ გამოდგებიან არც ევკლიდეს გეომეტრია და არც კარტეზის კოორდინატები. წმინდა მათემატიკისათვის ეს პრობლემა დიდი ხანია გადაწყვეტილი იყო. პირველი დიდი მათემატიკოსი, რომელმაც სულ სხვა კოორდინატების სისტემა იხმარა, ვიდრე კარტეზის სწორხაზოვან კოორდინატები, იყო გაუსი. გაუსმა აიღო ასეთი სიბრტყე ელიპსოიდზე და ზედ ააშენა ორგანზომილებიანი გეომეტრია, ამის ამშენებლად ის გულისხმობდა ისეთ არსებას, რომელსაც ქონდა მხოლოდ ორი განზომილება, ე. ი. თვით იყო სიბრტყე და მივიდა დასკვნამდის, რომ მშენებელად შესაძლებელია ელიპსოიდის სიბრტყეზე ორგანზომილებიანი გეომეტრიის აშენება, რომელსაც არ ექნება არავითარი ევკლიდისებური სახე, და რომელზედაც კარტეზის კოორდინატი ძალში არ დარჩება. მრუდხაზოვანი კოორდინატები, რომელნიც ასეთი სისტემის განზომისათვის უნდა ვიხმაროთ, იქნება ე. წ. გაუსის კოორდინატები. ამ კოორდინატების და გაუსის ნაშრომის ნიადაგზე მისმა დიდმა მოწაფემ რიმანმა გამონახა მრავალგანზომილებიანი სივრცეები და ევკლიდეს გეომეტრიის მანამდე უძლევი სიმკაცრეები საბოლოოდ შეანგრია. კარტეზის კოორდინატის სისტემა გადაიტყა მხოლოდ პატარა ნაწილად გაუსის კოორდინატთა სისტემაში და ევკლიდეს სივრცე, ასე ვსთქვათ, ერთ ნაგლეჯად რიმანის მრავალ განზომილებიანი სივრცეებში. ე. ი. ევკლიდეს კონტინიუმის დაუკმაყოფილებელი სახე და მისა გაფართოება ფორმალურად მათემატიკოსების მიერ აინშტაინამდის უკვე გარკვეული იყო. აინშტაინმა ფიზიკაში გადაიტანა ეს თვალსაზრისი და აქაც დაამტკიცა, რომ სინამდვილეში ბუნების სივრცეს არ აქვს სამი განზომილება, ე. ი. მასში ყველა მიმართულების დახასიათება კარტეზის კოორდინატების საშუალებით არ შეიძლება. აქედან რელატივობის თეორიის დრო-სივრცის კონტინიუმი არ არის ევკლიდეს კონტინიუმი.

16. საქმის მდგომარეობა სპეციალ რელატივობის თეორიაში.

დრო-სივრცის კონტინიუმი, რომელსაც სპეციალ რელატივობა იხილავს, არ არის სავსებით არა ევკლიდური. ჩვენ ვიცით, რომ სპეციალ რელატივობის ქვე-

ანა არ არის სამ განზომილებიანი, არამედ მას აქვს მეოთხე, ანუ დროს განზომილება, მიუხედავად ამისა, ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ეს ოთხგანზომილებიანი ქვეყანა თავისი დანარჩენი თვისებებით ჩამოგავს სამგანზომილებიან ქვეყანას. ე. ი. ის არის ევკლიდეს კონტინიუმი ოთხი განზომილებით. მასში ჩვენ მივიღეთ გალილეის კოორდინატთა სისტემა, რომელსაც ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ყოველივე საერთო ბუნების კანონი მისი კოორდინატებით განიზომებოდა. ოთხგანზომილებიანი კოორდინატები, რომლითაც მინკოვსკი ე. წ. ლორენცის გარდაქმნის ფორმულას ამუშავებდა, ბოლოსდაბოლოს ოთხდიმენსიონალი კარტეზის კოორდინატები იყო. სპეციალ რელატივიზმის თეორიაში საქმის ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ იქ დატოვებულია სინათლის სხივის სიჩქარის კონსტანტობა. ჩვენ თავის ადგილზე უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ სინათლის სხივის სიჩქარე სპეციალ რელატივიზმაში რჩება უცვლელი და ზღვარმდებელი სიდიდე, რომ მან გარელატივებულ დროს საშვალეებით ყოველივეს მისცეს ცვალებადი და განუსაზღვრელი სახე. აქედანვე გამომდინარეობს იქ გარელატივებული სივრცის თავისებური ბუნება, ის, რომ ასეთ სივრცეს, მიუხედავად მისი ოთხი განზომილებისა, მაინც ევკლიდეს კონტინიუმის სახე შერჩა. სხვა გვარად არის საქმე საერთო რელატივიზმაში, სადაც რელატივიზმის თვალსაზრისი უკვე სივრცის სიმაღლეზე სდგას. აქედან, ცხადია, რომ წინააღმდეგობიდან თავის დასაღწევად და საერთო ბუნების კანონის დასაბუთებისათვის, საერთო რელატივიზმს სჭირია სხივის სიჩქარის უცვლელ სიდიდეს გაუსწოროს ანგარიში, ე. ი. ის უნდა მოიხსნას, როგორც კონსტანტი სიდიდე.

17. სინათლის სხივი სწორხაზოვანი არ არის.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ის კანონები, რომლებიც გალილეის სისტემაზე K ძალაში არიან, ტრიალა სისტემაზე K' აღარ რჩებიან ძალაში; აქ ჩვენ დავინახეთ, რომ გალილეის სხეულზე უცვლელი კანონი $n=3, 14\dots$ ტრიალა K' არ არის უცვლელი, ე. ი. n აღარ არის $13, 14\dots$, ხაზი, რომელიც K' -სთვის იყო სწორი, K' -ზე არის მრუდე და სხვ. ჩვენ შევიტყვეთ, მაგალითად, რომ სხეული, რომელიც K -ს მიმართ სწორხაზოვან და თანაბარ მოძრაობაში იმყოფებოდა, ტრიალ K' მიმართ იმყოფება დაჩქარებულ და მრუდხაზოვან მოძრაობაში. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ჩვენი ტრიალა სისტემა K' სხვა კი არაფერია, ვიდრე ჩვეულებრივი გრავიტაციის არე. როგორ უნდა განვიზილოთ ჩვენ სინათლის სხივი გრავიტაციის არეში?

გალილეის სისტემის მიმართ სინათლის სხივი მოძრაობს თანაბრად და სწორ ხაზოვანად. მისი სიჩქარე არის უცვლელი $c=300,000$ კ. ლ. სეკ. როგორღა გავრცელდება სინათლის სხივი ჩვენი ტრიალა სხეულის მიმართ? ცხადია, რომ მისი გზა სწორხაზოვანი არ იქნება. აქედან ჩვენ გამოვვეყავს საერთო დასკვნა, ის, რომ სინათლის სხივი გრავიტაციის არეში მრუდხაზოვანად ვრცელდება. ამ დებულებას, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აინშტაინის თეორიისათვის. გადამწყვეტი იმიტომ, რომ შესაძლებელია მისი სინამდვილესთან შედარება და მოვლენის ექსპერიმენტალურად გადასინჯვა. ამ კანონის მიხედ-

ვით, თუმც სხივი ყოველნაირ გრავიტაციის არეში ილუნება, მაგრამ ის არე, რომელიც ჩვენი ცდით შეგვიძლია გავსინჯოთ, სიმრუდის სისტემა კოეფიციენტს იძლევა, რომ მისი რიცხვობრივად დაკერა ჩვენს მხრეზე შეგვიძლია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვაქვს ერთი საშუალება ჩვენი თეორიის სისწორის დამტკიცებისათვის. სახელდობრ ის, რომ აინშტაინმა რთულ მათემატიკურ ანგარიშის საშუალებით აღმოაჩინა, რომ ხუთ ვარსკვლავიდან მომავალი სინათლე, რომლებიც მზის ახლო იმყოფებიან, მზის გრავიტაციის არეში გავლისას მრუდდება 1,7 სეკუნდით. ამ მოვლენის ექსპერიმენტალურად გადასინჯვა შეიძლება მზის საესებით დაბნელების დროს. აინშტაინმა განაცხადა რომ, თუ მართალია მისი მეცნიერული კონცეპცია, მაშინ ეს ეფექტი მართლაც უნდა აღმოჩნდეს, თუ არა და მთელი სისტემა **არარაობა** იქნებაო. დღეს ჩვენ ვიცით, რომ აინშტაინმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და ცდებმა, რომელიც მას შემდეგ სხვადასხვა მეცნიერულმა საზოგადოებებმა მოახდინეს, აჩვენა აინშტაინის მიერ წინასწარ გამოანგარიშებული ეფექტი.

თუ ეს ფაქტი მიღებულია უდავო დებულებად, ცხადია, რომ აქედან ღირს-შესანიშნავი დასკვნები გამომდინარეობს: უპირველეს ყოვლისა ის დასკვნა, რომ სპეციალ რელატივობაში უცვლელ სიდიდეთ მიღებული ვაკუუმში სინათლის სხივის გავრცელება აღარ არის უცვლელი სიდიდე. შემდეგი დასკვნა იქნება ის, რომ სპეციალ თეორია აღარ არის უცვლელი რამ, მისი კანონები იმდენად სწორი არის, რამდენად გრავიტაციის არე ნაგულისხმევი არ არის. გრავიტაციის არეში სპეციალ რელატივობის ძირითადი კანონები აღარ არიან კანონები, მათ სახე უნდა შეიცვალოს.

ამით, რასაკვირველია, სპეციალ თეორიის დებულებანი უარყოფილი არ არის, არამედ სპეციალ თეორიის დებულებანი გადაქცეულია საერთო რელატივობის ერთ და კერძო შემთხვევად. მის კანონებს აქვს გავლენა, როგორც კერძო კანონებს, საერთოს კერძო შემთხვევებში. სპეციალ რელატივობის თეორია გვაძლევს ბუნების აღწერას და კანონების ჩამოყალიბებას მხოლოდ უპირატესობაშიცემულ სისტემებისათვის. ყველა სისტემისათვის მას პასუხი არ გააჩნია, ეს პასუხი უნდა მოგვეცეს საერთო რელატივობამ. ბუნების საერთო კანონი, რომლის ვალდებულობის და აუცილებლობის განსჭვრეტის უნარი ჩვენ დავკარგეთ გრავიტაციის არეში ბუნების მოვლენების განხილვის დროს, უნდა აღდგეს ამავე გრავიტაციის თეორიულ საფუძვლებზე გამონახვის შემდეგ — უფრო მეტი მთლიანობით და ერთეულობის ხასიათით, — ამას კი მივალწევთ ჩვენ დრო-სივრცის კონტინიუმის გარკვევის დროს ახალი თვალსაზრისის მიღებით.

15. საერთო რელატივობის დრო-სივრცე.

გრავიტაციის არეს განხილვის დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ სინათლის სხივი აქ ვრცელდებოდა მრუდხაზოვნად, ამით საბოლოოდ გადაწყდა დრო-სივრცის კონტინიუმის საკითხი. გრავიტაციის არე ამტკიცებს, რომ დრო-სივრცე არის ოთხგანზომილებიან გაუსის კოორდინატებზე აშენებული კონტინიუმი. ამ კონტინიუმში ჩვენ მხოლოდ ოთხი რიცხვის (კოორდინატის) საშუალებით შე-

გვიძლია ყოველივე მიმართების ამოწურვა, ეს იქნება X_1, X_2, X_3, X_4 , რომელიც მათემატიკურ წერტილებს (ე. ი. ადგილს) წარმოადგენენ თხიზიკალურ კონტინიუმზე და არა თვით თხიზიკალურ შინაარსს. ყოველივე მასის წერტილის მოძრაობა თხიზიკურ კონტინიუმში განსაზღვრულია ამ ოთხი X_1, X_2, X_3, X_4 კოორდინატებით. არავითარი მოძრაობა, როგორც ასეთი, აღარ არსებობს, არამედ მასის წერტილის რელატიური მოძრაობა კონტინიუმის ოთხგანზომილებიან არეში. ე. წ. თხიზიკალური ქეშმარიტება სინამდვილეში არის მატერიალი წერტილების მოძრაობის დროს კოორდინატთა ღერძების შეხვედრა. კოორდინატთა ღერძები, მათი მოძრაობა და გადახლართვა სავსებით ამოწურავენ რეალი ქვეყნის არსებობის საკითხს. კლასიკურ თხიზიკაში, და აგრეთვე სპეციალ რელატივიზმის თეორიაში, დრო-სივრცის მოძრაობის ახსნისათვის მიღებულია მატერიალი წერტილის რელატივი მოძრაობა რომელსამე მიმართულებითი სხეულისაკენ, აქ კი დრო-სივრცე თვით ვლინდება, როგორც სინამდვილის კოინციდენცია და ასეთი გარემდებარე თხიზიკალური მიმართებით სხეულის მონახვა საჭირო აღარ არის.

თვით აინშტაინის სიტყვებით თუ ვიტყვით, გამოთქმულ აზრის საქმის ვითარება იქნება შემდეგი: „ყოველი თხიზიკალური აღწერა ბოლოს და ბოლოს არის გამოთქმების განსაზღვრული რიცხვი, ყოველი მათგანი (გამოთქმა) ყოველთვის ორი მოვლენის A-და B-ს კოინციდენცზე არის დაყრდნობილი. ყოველი ასეთი გამოთქმა გაუსის კოორდინატებში იხატება, როგორც თანხმობა ოთხ X_1, X_2, X_3, X_4 კოორდინატთა. ამრიგად დრო-სივრცის კონტინიუმი უნაკლოდ აღიწერება გაუსის კოორდინატების საშუალებით და ეს აღწერა სჯობია მიმართებითი სხეულის საშუალებით მოხდენილ აღწერას.

აქ უნდა გავიხსენოთ ჩვენ, თუ როგორ დავიწყეთ საერთო რელატივიზმის თეორიის დალაგება. მაშინ ჩვენ ვსთქვით, საერთო რელატივიზმის თეორია დაამტკიცებს, რომ ბუნების საერთო კანონების აღწერისათვის თანალირებულია ყველა მიმართებითი სხეული, მიუხედავად იმისა, მოძრავი იქნება სისტემა თუ უძრავი. ჩვენ მაშინ შევნიშნეთ, რომ საჭიროა ამ თქმის აზრის გახსნა, ეხლა კი ეს აზრი გახსნილია და თვით თქმა უნდა მოხსნილ იქნას, უნდა მოხსნილ იქნას იმიტომ, რომ ის ძალიან მკრთალად და არა სწორად გამოხატავს იმას, რის თქმა ჩვენ მაშინ გვინდოდა. მკითხველი უკვე შეამჩნევდა, რომ საერთო თეორიაში ჩვენ უკუ ვავდეთ, როგორც მიმართების სხეული (Bezugskörper), ისე მისი სისტემა. მის ადგილზე ჩვენ მივიღეთ გაუსის კოორდინატთა სისტემა, ამიტომ საერთო რელატივიზმის სწორი ფორმულა იქნება ასეთი: „საერთო ბუნების კანონის გატართობისათვის (Formulierung) პრინციპიალურად თანალირებულია ყველა გაუსის კოორდინატთა სისტემა“ (იხ. აინშტაინი: Ueber allg. und spec. R. K. გვ. 66). სპეციალი რელატივიზმის თეორია ბოლოს და ბოლოს მხოლოდ ყველა თანაბარი მოძრაობის თხიზიკალურ რელატივიზმას ასწავლიდა. ეს იმას ამბობს, რომ ყველა ბუნების კანონი გალილეის სისტემა K-სათვის უბრალო და ნათელია და მისი აღწერა შეიძლება K-ზე, მაგრამ ამ აღწერისათვის K-სთან თანალირებულია მეორე სისტემა K', რომელიც K-ს მიმართ სწორხაზოვან და თანაბარ მო-

ძრაობაში იმყოფება. ასეთი მიმართულებითი სხეულისათვის ქონდა რელატივობის პრინციპს თავისი გავლენა. ის იყო სპეციალური იმეტომ, რომ თავისი კანონების აღსაწერად ირჩევდა სისტემას და სისტემის მოძრაობას მათემატიკურ ფიზიკის ენაზე თუ ვიტყვით: სპეციალ რელატივობის თეორიაში დრო-სივრცის ვარიანტები x, y, z, t ღირებული გალილეის სხეულზე K , ჩვენ გადაგვაქვს (ლორენცის ტრანსფორმაციის საშუალებით). ახალ მიმართებითი სხეულზე K' და ვღებულობთ თანაღირებულ ვარიანტებს x', y', z', t' . როგორც სისტემა K , ისე K' სინამდვილეში არის გალილეის სხეული, რადგან აქ გრავიტაციის არე არ არის ნაგულისხმევი (წინააღმდეგ შემთხვევაში სხივის გავრცელების კანონი აღარ იარსებებდა).

სულ სხვა ვეარად არის საქმე საერთო რელატივობის თეორიაში, აქ ნაგულისხმევია განურჩევლად ყოველი სისტემა და ყოველი გაუსის კოორდინატი. აქ გამონახულია საერთო კანონი ბუნების ყოველგვარი სისტემისათვის. ის, რაც იყო სპეციალ თეორიაში ლორენცის ტრანსფორმაცია, ის აქ არის გაუსის ერთი კოორდინატთა სისტემის მეორე კოორდინატთა სისტემაში გადასვლის მომენტი. მკვრივი და უძრავი მიმართებითი სხეულის ფიქცია საბოლოოდ უკუგდებულია და ბუნების კანონები აზროვნების ისტორიისათვის უჩვეულო გენიალურ ინტუიციით ერთ მთლიან ქცევადათ განსჭვრეტელი უცანური და უნივერსალური კანონი აღმოჩენილია, რომელიც არსის და სინამდვილის საკუჭნაოში აზრის ნათელი უჩინელით შედის! ბუნებას და სინამდვილეს აღარ რჩება არც ერთი იაკუჭნაო, რომლის პრინციპიალი დაკანონება შეუძლებელი იყოს.

ძიების ამ სიმაღლეზე ალბერტ აინშტაინი მარტო გენიალური ფიზიკოსი კი არ არის, არამედ გენიალური ფილოსოფოსიც.

19. საერთო თეორიიდან გამომდინარე კოსმოლოგიური დასკვნები. მათემატიკური ფორმულა.

დაინტერესებულმა მკითხველმა ნამდვილად უკვე გაიგო ახალი თეორიის ძლიერი ძარღვი და მისი გენიალობა. რაშია საქმე? ამ საკითხისათვის პასუხი ჯერ მას არ ექნება, ის ნამდვილად ბუნდოვანად სცნობს რაღაც დიადს და ამალღებულს, უსათუოდ განიცდის ამ ამალღებულის რაღაც ესთეტიურ გავლენას, მაგრამ მან არ იცის თუ რაშია საქმე, თუ რა საჭიროა ამოდენი რთული თეორიები.

მკითხველთან ერთად ჩვენ მისული ვართ იმ წერტილზე, სადაც პირველად პოპულიარობას უნდა უღალატოთ და მათემატიკურ ფორმულის არისტოკრატიზმს მსხვერპლი უნდა მიუტანოთ. ის მკითხველი, რომელიც მათემატიკურ აზროვნების მტერია (თუმცა ასეთ მკითხველისათვის აინშტაინის თეორიის სასახლის კარები მაგრად გადარახულია დეე ნუ წაიკითხავს ამ თავს და გადავიდეს უკანასკნელ თავზე, სადაც მსოფლიოს მთლიანობას იხილავს განადგურებისაგან გადარჩენილს.

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ გვინდა ჩვენი ოთხდომენსიონალ კონტინუუმზე რომელიმე მოვლენა აღენიშნოთ. ამისათვის ჩვენ ავიღებთ რომელიმე მსოფლიო წერტილს A . ამ სისტემის კოორდინატები იქნება X_1, X_2, X_3, X_4 . წარმოვიდ-

გინოთ კიდევ, რომ რომელიმე დაუბოლავებლად მუდმივი მოვლენა ჩვენს დრო-რიცხვის კონტინუუმზე არის B, ამის კოორდინატების დასადგენად დიფერენცებით განიჩევა A-ს კოორდინატებისაგან: dx_1, dx_2, dx_3, dx_4 . ეს დაშორება ჩვენს ორ წერტილს (A-სა და B-ს) შუა ჰქვია მსოფლიოს ხაზი. ეს დაშორება ჩვენ შეგვიძლია მათემატიკურად შემდეგი უბრალო ფორმულით გამოვხატოთ:

$$ds = dx_1^2 + dx_2^2 + dx_3^2 - dx_4^2.$$

ეს მსოფლიო წერტილების დაშორება, რომელიც მსოფლიო ხაზის ცნებას განსაზღვრავს არის დრო-სივრცის ხაზობრივი ელემენტი, როგორც ასეთი, ის არის ფიზიკალურად მოძრაობის მოვლენის გამომხატველი და ds სიდიდე არ იცვლება არც ერთ კოორდინატთა სისტემის არჩევიდან.

ახლა ჩვენი სისტემიდან გადავიდეთ სხვა სისტემაზე, დაუშვათ რომ ამ ახალი სისტემის კოორდინატები არის x_1, x_2, x_3, x_4 . A-სა და B-ს დაშორება ამ ახალ სისტემაში იქნება კოორდინატის დიფერენცები dx_1, dx_2, dx_3, dx_4 . ჩვენ შეგვიძლია ძველი სისტემის კოორდინატის დიფერენცები dx ახალი დიფერენცებით dx გამოვხატოთ:

$$dX_1 = \frac{\partial X_1}{\partial x_1} dx_1 + \frac{\partial X_1}{\partial x_2} dx_2 + \frac{\partial X_1}{\partial x_3} dx_3 + \frac{\partial X_1}{\partial x_4} dx_4;$$

$$dX_2 = \frac{\partial X_2}{\partial x_1} dx_1 + \frac{\partial X_2}{\partial x_2} dx_2 + \frac{\partial X_2}{\partial x_3} dx_3 + \frac{\partial X_2}{\partial x_4} dx_4;$$

$$dX_3 = \frac{\partial X_3}{\partial x_1} dx_1 + \frac{\partial X_3}{\partial x_2} dx_2 + \frac{\partial X_3}{\partial x_3} dx_3 + \frac{\partial X_3}{\partial x_4} dx_4;$$

$$dX_4 = \text{გამოიყვანება ამავე წესით.}$$

თუ ასე გარდაქმნილ dx -ს ჩავდებთ dx ფორმულაში, მივიღებთ მსოფლიო ხაზის ახალ ფორმულას:

$$ds^2 = g_{11} dx_1^2 + g_{22} dx_2^2 + g_{33} dx_3^2 + g_{44} dx_4^2 + 2g_{12} dx_1 dx_2 + 2g_{13} dx_1 dx_3 + 2g_{14} dx_1 dx_4 + 2g_{23} dx_2 dx_3 + 2g_{24} dx_2 dx_4 + 2g_{34} dx_3 dx_4.$$

g -არის x -ის კოორდინატების ფუნქცია და სავსებით დამოუკიდებელი ყოველგვარი ადგილობრივი სისტემიდან დრო-სივრცის კონტინუუმზე. g -ს მნიშვნელობა ფორმულაში მეტად დიდია, ის გამოხატავს მთელი ფორმულის დედა-აზრს. ჩვენი შეთანასწორება არის სახე მსოფლიო ხაზის გრავიტაციის არეში მოძრაობისათვის, სადაც g ის სიდიდეა არესი, რომელიც თვით გრავიტაციის არეს განსაზღვრავს. დაახლოვებით g -ს როლი გრავიტაციის არესათვის ისეთივეა, როგორც გრავიტაციის პოტენციალის როლი ნიუტონის თეორიაში.

საინტერესოა ის მოვლენა, რომ, ისე როგორც ყოველივე ადგილობრივ სისტემაში, მსოფლიო ხაზი არის სწორი ხაზი, რომელსაც ელემენტარი გეომეტრია უმოკლეს ხაზს უწოდებს ორ წერტილს შორის, ასე არის x^1, \dots, x_4 მსოფლიო ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ ის მრუდეა და არა სწორი. ფორმულა ნათელყოფს, რომ ეს მსოფლიო ხაზი (geodätische Linie) სავსებით დამოუკიდებელია ყოველივე მიმართებითი სისტემისაგან, ანუ, როგორც მათემატიკური ფიზიკა იტყვის, ყოველგვარ ტრანსფორმაციისათვის არის კოვარიანტი. ამიტომ დაასკვნის

აინშტაინი, რომ „მატერიალ წერტილის მსოფლიო ხაზი არის გეოდეტიური ხაზი დრო-სივრცის კონტინუუმში“. ამ ფორმულით საბოლოოდ მტკიცდება სპეციალ რელატივიზმის თეორიაში დაწყებული ენერჯის და მსტრუქტურის გაერთიანების საქმე. ეს ფორმულა სწყვეტს აგრეთვე გრავიტაციის ნაკრის და ნიუტონის თეორიას უნაკლოდ იძლევა: შეთანასწორების პირველი მიახლოება იძლევა იმას, რაიც ნიუტონის ფორმულა იყო, მეორე შეთანასწორებაში კი მოცემულია ასტრონომიაში დიდი ხნით ცნობილი მერკურის პერიპელი მოძრაობის ახსნა-განმარტება. ამისათვის სწორედ საერთო რელატივიზმის დაკანონების ბოლოში, განაცხადა აინშტაინმა, რომ საერთო რელატივიზმიდან გამომდინარე მათემატიკური შეთანასწორებანი პირველ დაახლოებაში იძლევიან ნიუტონის ატრაქციის კანონს, მეორეში კი პასუხს ლევერიეს მიერ აღმოჩენილ მერკურის პერიპელ მოძრაობაზე. (იხ. Grundlage der allg. Relativitätstheorie გვ. 43, Leipzig, 1916.)

თუ საერთო რელატივიზმის შეთანასწორებას განვიხილავთ სუსტ გრავიტაციის არეში მოძრავი მასებისათვის და ეს მოძრაობა მცირე იქნება, ვიდრე სხვის სიჩქარე, ჩვენ მივიღებთ ფორმულას, რომელშიაც ახსნილია ნიუტონის კანონი. ეს შეთანასწორება იქნება პირველი დაახლოება. თუ ანგარიშს უფრო გავასწორებთ მაშინ მივიღებთ ნიუტონის თეორიის საწინააღმდეგო შეთანასწორებას, ეს იქნება მეორე დაახლოება ქვეშარტებასთან და სხ. ეს წინააღმდეგობა ნიუტონის კანონის მიმართ ჩვენს ცდებში განსაზღვრავს მოვლენებისათვის ძალიან მცირეა და მას ჩვენ ვერ ვამჩნევთ. ყოველ შემთხვევაში, არსებობს ერთი მოვლენა, სადაც ეს „წინააღმდეგობა“ ნათლად მოცემულია. ეს არის მერკურის მოძრაობის გზა. ნიუტონის თეორიიდან გამომდინარეობს, რომ ყველა პლანეტების გზა მნათობის მიმართ არის ე. წ. ელიპსე, მაგრამ უკვე ლევერიემ აღმოაჩინა, რომ ეს კანონი მერკურის გზის მიმართ არ მართლდება; თუმცა ნელა, მაგრამ მაინც მერკური მზის არეს გზაზე როტაციის განიცდის. ეს როტაცია მერკურისათვის ასი წლის განმავლობაში უდრის 43 სეკუნდს. კლასიკურ მექანიკაში ამ ანომალიის ასახსნელად არავითარი კანონი არ არსებობს, რელატივიზმის თეორიის შეთანასწორების მეორე დაახლოება კი იძლევა მოვლენის პირდაპირ ახსნას და ამტკიცებს, რომ ეს სწორედ ასე უნდა იყოს.

ამით ახალი ფიზიკის დიდი შენობის საფუძვლები ჩაყრილია და, აღრე თუ გვიან, სავსებით გამართლდება მისი მთავარი დებულება: ბუნების ყველა საერთო კანონებმა ისეთი სახე უნდა მიიღონ, რომ ისინი ყოველგვარ ტრანსფორმაციის მიმართ დარჩენ ინვარიანტი.

— დრო და სივრცე ამით დაპყარგავს ფიზიკალურ საგნობრივობის უკანასკნელ ნარჩენს, იტყვის აინშტაინი.

აზროვნება კი, რომელიც მათემატიკურ ოპერატორის ძლიერი საშუალებით ასე ღრმად ჩასწვდა არსის სინამდვილეს და ასე უნივერსალურად გამონახა ბუნების საერთო კანონის რელატივისტური პოსტულატი, თვით შეიძენს არსის საიდუმლოებაში ჩამარბულ რელატივისტურ ბუნებას და შეეფარდება რე-

ლატივისტურ ფიზიკას შემეცნების შარა-გზაზე შეუჩერებელ სხეულად. ასეთი რელატივიზმი არის პრინციპიული ობიექტივიზმი.

20. დაბოლოებული, მაგრამ განუსაზღვრელი ქვეყანა

როგორ არის შენებული ეს ჩვენი სამყარო? ეს საკითხი ადამიანს აინტერესებდა კულტურის ყველა საფეხურზე. ანტიური კულტურის აზროვნება მივიდა იმ დასკვნამდის, რომ სამყარო განსაზღვრულია ერთ უზარმაზარ სფეროთი; აქედან გამომდინარეობდა ღარიბული მსოფლმხედველობა, რომ სამყაროს შუაში იდგა ჩვენი დედამიწა. ეს გეოცენტრიული თვალსაზრისი უღმობლად დაანგრია კოპერნიკის ახალმა თეორიამ, მაგრამ მსოფლიოს სურათის სფეროთი განსაზღვრა მაინც ძალაში დარჩა, რადგან კოპერნიკის სისტემაში სამყაროს ცენტრში მოთავსებულია მზე და სხვა მზის არსებობა უნივერსში ნაკულისხმევი არ არის. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ჯორდანო ბრუნოს სწავლას, რომ სამყარო დაუბოლოებელია, სადაც უთვალავი მზეები არიან გაბნეული და სხ. თუ ვინმე მოისურვებდა ბრუნოს დაუბოლოებელ ქვეყანაში მოგზაურობას, მას წინ დაუხვდებოდა ურიცხვი მნათობები, რომლებიც ჰარმონიული წყობით მობნეული არიან მსოფლიოს დაუსრულებელ სივრცეში. განუსაზღვრელ მსოფლიოს სივრცეში დასცურავს მატერიის ქვეყანა, მაგრამ საერთოდ აღებული მატერიის სისქე ერთი და იგივეა და არსად ნული არ იქნება, ე. ი. უმატერიო, ან ცარიელი სივრცე არ არსებობს. ბრუნოს შემდეგ ასეთ სურათს უკრიტიკოთღებულობდა ჩვენი აზროვნება. მისი წინააღმდეგი არ ყოფილა არც ნიუტონის თეორია. მიუხედავად ამისა, ნიუტონის თეორიით ასეთი ქვეყნის განხილვის დროს საშინელი წინააღმდეგობის წინ დავდგებით. მათემატიკურ გამოანგარიშების საშუალებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ნიუტონის თეორიისათვის მატერიის საშუალო სისქე დაუბოლოებელ მცირედ უნდა გადაიქცეს და მის ქვეყანას მატერიალი ცენტრი უნდა ჰქონდეს. ასეთი ქვეყანა კი საცოდავად აშენებული უნდა ყოფილიყო, რადგან მატერიის გამოსხივება დაუბოლოებელ სივრცისკენ მოდის და იქ იკარგება. ცხადია, მსოფლიოს ენერჯია აკლდება და მისი მატერია ინგრევა და ილევა. უამთა მსვლელობაში ასეთი ქვეყანა უნდა მომკვდარიყო უსახელო სიკვდილით. ასეთი არის ნიუტონის კოსმოლოგია. ცნობილმა ასტრონომმა ზელიგერმა ნათლად დაინახა ეს უკუღმართობა და სპეციალი ჰიპოთეზების საშუალებით შეეცადა ქვეყნის სიკვდილისაგან გადარჩენას. კოსმოლოგიას ახალი გზა აქაც აინშტაინმა უჩვენა. ხანგრძლივი ცდის და მუშაობის შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ საერთო რელატივიზმის ფორმულაში საჭიროა კიდევ ერთი პატარა გაერთიანება მოვახდინოთ და ჩვენ წინ გადაიშლება კოსმოლოგიური დედა-საკითხის გადაწყვეტა. აღმოჩნდება, რომ ქვეყანა არის თუმცა განუსაზღვრელი, მაგრამ დაბოლოებული.

მე ვიცი, რომ დაბოლოებული ქვეყნის სურათი პირველი შეხედვით ძალიან მკრთალ სურათს იძლევა, მაგრამ შევიტყობთ თუ არა რაშია საქმე, ხელად შეიკვლება ჩვენი შეხედულება. მკითხველმა წარმოიდგინოს რომ ბურთის სიბრტყეზე იმყოფებიან ბრტყელი ორგანზომილებიანი არსებანი, ისინი ზომავენ

თავიანთ ქვეყანას. რას იტყვიან ისინი ბურთის სიბრტყეზე სწორი ხაზის არსებობის შესახებ. ცხადია, რომ, როგორც ზომაც არ უნდა მოახდინონ, სწორ ხაზს ისინი ვერ მიიღებენ, რადგანაც მათი ბურთის სიბრტყეზე უახლოესად მანძილი ორ წერტილს შორის იქნება ყოველთვის მრუდზე ხაზი. ეს მათი ორგანზომილებიანი ქვეყანა უსათუოდ დაბოლოვებული, მაგრამ უსაზღვრო სიბრტყეა, ერთი სიტყვით ევკლიდის ქვეყნის არც ერთი კანონი ბურთის სიბრტყეზე ბრტყელ მცხოვრებისათვის ძალაში არ არის.

ჩვენ ვიცით მაგ. თუ რას ეწოდება π ევკლიდეს ქვეყანაში მცხოვრებლისთვის. ეს არის წრის და დიამეტრის დამოკიდება და უდრის $3,14\dots$ თუ ჩვენი ბრტყელი ბურთის მცხოვრები მოინდომებს ამ კანონის თავის ქვეყანაზე გადასინჯვას, ის ამისათვის შეაერთებს ბურთის სიბრტყის ორ აქეთ-იქით მდებარე ხაზს, მაგრამ მათი π იქნება $\pi \sin\left(\frac{r}{R}\right)$ ე. ი. იქნება გაცილებით უფრო მცირე

$$\left(\frac{r}{R}\right)$$

რიცხვი, ვიდრე π . მათემატიკურათ შეიძლება გამოანგარიშება, რომ რამდენად წრის რადიუსი r დიდია შედარებით ბურთის რადიუსთან R , იმდენათ $\pi \sin\left(\frac{r}{R}\right)$


$$\left(\frac{r}{R}\right)$$

მცირე რიცხვია ვიდრე π . აქედან ჩვენ უბრალოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბურთზე მცხოვრებლისათვის წრის მოცულობა რადიუსთან ერთად ქვეყნის მოცულობად იქცევა, შემდეგ კი რადიუსი კიდევ იზრდება, მაგრამ წრის მოცულობა ნელ-ნელა ნულათ იქცევა. ასეთია ქვეყანა ბურთის სიბრტყეზე მცხოვრებ ბრტყელ არსებისათვის. ეს ორგანზომილებიანი ქვეყანა არის დაბოლოვებული, მაგრამ უსაზღვრო. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მათემატიკურად შესაძლებელია დავამტკიცოთ, რომ სამდომენსიონალი სფეროიული სივრცე ანალოგიურად შენეებულია, როგორც ორდომენსიონალი ბურთის სიბრტყის ქვეყანა, ისიც დაბოლოვებულია, მაგრამ განუსაზღვრელი. აქედან დაასკვნის აინშტაინი, რომ შესაძლებელია წარმოვიდგინოთ სივრცე, რომელიც დაბოლოვებულად კარებ ჩაკეტილია, მაგრამ მაინც განუსაზღვრელი. საერთო რელატივობის თეორია კი ამტკიცებს, რომ თვით სამყარო ანალოგიური ბუნებისა არის ე. ი. დაბოლოვებულია, მაგრამ განუსაზღვრელი. მატერია ბუნებაში არის საშუალო სისქის და ის არც ერთ დაშორებისას არ მცირდება და ასეაი ქვეყანა წარმოუდგენელია, რომ ენერჯის გამოლევიდან და მატერიის გამოუიტვიდან მოკვდეს. საერთო რელატივობა სწორ მათემატიკურ ფორმულის საშუალებით ანგარიშობს მსოფლობში მატერიის საშუალო სისქეს. ის კი არა რიცხვებით გამოანგარიშებულია მსოფლიო ვოლუმენის (მოცულობის) სიდიდე. საბოლოოდ მოხსნილია სივრცის არსებობის პრობლემა. სივრცე არსებობს იმდენად, რამდენად მატერია არსებობს. და ასე აშენებული სფეროიული ქვეყანა არის დაბოლოვებული უნივერსი. ავიღებთ უნივერსის რომელსამე წერტილს და ამ წერტილიდან გაუშვებთ ყველა მიმართულებით სწორ-ხაზებს, ესენი სულ უფრო და უფრო დაშორდებიან ერთი მეორესა

ბოლოს კი ყველანი მოიყრიან თავს ერთ წერტილში. მსოფლიოს სივრცე არის ამ ხაზების თავყრილობა და მისი მოცულობა უდრის $V = \frac{4}{3}\pi r^3$ რის ამატერიის საშუალო სისქე, რადგან ის მსოფლიოსთვის მცირე რიცხეა, ნათლად სჩანს, თუ რა უზარმაზარი რაიმე ყოფილა ჩვენი მსოფლიო! აზროვნები ამაზე მეტი გამარჯვება წარმოუდგენელია: აქ სამყაროს მოცულობა უბრალოდ გამოანგარიშებულია. ნათელია, რომ ის არ არის დაუბოლოვებელი, როგორც ეს აინშტაინანდის ეგონა შეცნიერებას და აზროვნებას.

ასე გადაარჩინა აინშტაინმა ჩვენი ქვეყანა სიკვდილს და გატიალებას. ქვეყანას არასოდეს არ დაეპნევა ენერგია დაუბოლოვებელ სივრცეში, რადგან სივრცე დაბოლავებულია და მასში ერთი მიმართულებით მიმავალი ენერგია საზღვრებთან მისვლისას მობრუნდება უკან და მოვლინდება ქვეყანაში ახალი ჰარმონიით და ახალი შემოქმედებითი ძალით.

არა მარტო მათემატიკოსი და ფიზიკოსია აქ აინშტაინი, არამედ დიდი ფილოსოფოსი და, თუ ვნებავთ, გენიოსი-მგოსანიც.



ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე



საქართველოს ეკონომიურ ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში

(ს ა ზ ა გ ა დ ა მ ი მ ა ს ი ლ უ ა)

I

საქართველოს მე-18 საუკუნის, როგორც მეცხრამეტე საუკუნესთან და, მაშასადამე, აწინდელ ხანასთან უფრო ახლოს მყოფ ეპოქის ისტორია იწვევს თავის შესასწავლად განსაკუთრებულ ინტერესს. ეს ინტერესი გამოწვეულია, სხვათა შორის, იმითაც, რომ სწორედ მე-18 საუკუნეს ახასიათებს ცნობილი გარდატეხა საქართველოს ცხოვრებაში, გარდატეხა, რომელსაც შედეგად ჰქონდა აღმ. კულტურულ სამყაროსთან სპარსეთ-ოსმალეთთან კავშირის გაწვევტა და ამის ნაცვლად მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, რუსეთის გზით და შუაობით, ევროპიულ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამ ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესის გასაგებად საჭიროა შეძლებისდაგვარად გარკვეულ იქმნას ის ძირითადი ფაქტორები, და უპირველეს ყოვლისა ეკონომიურ ხასიათისა, რომელნიც განსაზღვრავდნენ ქართველი ხალხის სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკურ ვითარების ახალ გეზით მომართვას. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მოხდეს სწორი და რეალურ სინამდვილესთან ახლოს მდგარი შეფასება იმ ფაქტებისა, რომელთაც გამოიწვიეს მე-18 საუკუნეში და მე-18—19 საუკუნის მიჯნაზე ჩვენში მომხდარ კულტურულ ორიენტაციის ძირიანად გამოცვლა და პოლიტიკურ მდგომარეობის შეცვლაც ვიდრე რუსეთთან სრულ გაერთიანებამდის. საკითხი არის რასაკვირველია, ისტორიულ შემეცნების თვალსაზრისით, ძლიერ მნიშვნელოვანი, მაგრამ, რამდენადაც ეს საკითხი არის მნიშვნელოვანი და საინტერესოც, იმდენად ის საჭიროებს, თავისი სიახლის გამო, დიდს და ხანგრძლივ მუშაობას მასალების ჯერ არ მომხდარ კლასიფიკაციისა და არსებულ მასალების თითქმის სრულიად შეუსწავლელობის გამო.

მაგრამ ესეც რომ არ იყოს, თვით ამ წერილის განსაზღვრული სივრცე ჩვენ არ გვაძლევს საშუალებას შევებოთ საკითხს ფართო მასშტაბით. ჩვენ ამიტომ,

ეკონომიურ ვითარების საფუძვლებზე დაყრდნობით, დავეყრდნობით ქართველ ხალხის მე-18 საუკუნის ცხოვრების მთავარ დამახასიათებელ მომენტების აღვნიშნავ და ისიც უმთავრესად მაშინდელ ქართულ სამშენებლო-სამთავროებისათვის ისტორიულად გეზის მიმცემ ქართლ-კახეთის ცხოვრების პროქტიკის მიხედვით.

მაგრამ მე-18 საუკუნის საქართველოს და მისი ტონის მიმცემ პროვინციების—ქართლ-კახეთის ეკონომიური ვითარება შეუძლებელია გაგებულ იქმნას, თუ მოკლედ მაინც რეტროსპექტიულად თვალი არ იქმნა გადავლებული წინადაგანვიღო საუკუნეების სივრცეზე. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნისთვის საქართველოს მდგომარეობა, ძირიანად გამოცვლილი იყო. ეს უკვე არ იყო პოლიტიკაში და სამხედრო ძლიერებაში დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროის საქართველო, თუნდაც აზროვნებაში იოანე პეტრიწის და სხვა ქართველ სიბრძნის-მეტყველთა ქვეყანა, არც მწერლობაში ჩაბრუნების და ვეფხის-ტყაოსნის, ხელოვნებაში კიდევ — თამარ მეფის დროინდელ ოქროთ-მოქანდაკის ბეჟა ოპიზარის და მე-12—14 საუკუნის ცნობილ მხატვართა საქართველო. მართალია, ქართველი ხალხის ცხოველყოფელი ძალა არ მომკვდარა, ის ცოცხალი იყო, ის კიდევ ხელს უწყობდა ცხოვრების გაუარესების პირობებშიაც ახალ სოციალურ გარდაქმნათა განვითარებას. ქართველ ხალხის სოციალურად წინსვლა ეხლაც, ფეოდალურ წყობილების ფარგლებში, როგორც ირკვევა, ნელო, მაგრამ საკმაოდ მუდმივი თანდათანობით წარმოებდა. გამუდმებულ და ენერგიულ ბრძოლაში თავისი არსებობისთვის ქართველი ხალხი ამაგრებდა თავის პოზიციებს და ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრების საერთოდ დაცემის პროცესშიაც პოულობდა უკეთეს მომავლის ნუგეშს ახალ ნაწილობრივ მიღწევების საბით როგორც ეკონომიურ, ისე სოციალურ და კულტურულ ცხოვრების ასპარეზზე. მაგრამ საერთო მდგომარეობა, შედარებით წინა საუკუნეებთან, მაინც იყო დამაფიქრებელი. 1673 წ., მაგალითად, ქართლსა და ტფილისზე გაიარა ცნობილი ფრანგმა მოგზაურმა შარდენმა. ქართლი ამ დროს, მე-16 საუკუნეში შაჰ-თამაზისა და მე-17 საუკ. პირველ ნესამედში უმთავრესად შაჰ-აბაზ დიდის დროს გამოვლილ აოხრებათა შემდეგ, ცოტაოდნად მოღონიერებული იყო. შარდენზე კარგი შთაბეჭდილება იქონია ქართლის ბუნებრივმა მდებარეობამ. ლამაზად გაშენებულმა სოფლებმა, ჩინებულად დამუშავებულ და ძლიერ ნოყიერმა ყანებმა, მაგრამ იმავე დროს ის აღნიშნავს, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე მას ხვდებოდა ციხეების, კოშკების, საყდრების ნანგრევები — ქართველების დიდების და სპარს-ოსმალების შემოსევათა ნაშთი. ურბნისი, რომელიც ამ დროს ქალაქად ითვლებოდა, 500 კომლს შეიცავდა, მაგრამ წინადა, გადმოგვცემს შარდენი, ამ ქალაქში, ამბობენ, 12 ათასი კომლი მცხოვრები იყო. თუნდაც რომ ეს რიცხვი გადამეტებული იყოს, მაინც ის რამოდენადმე ცხად ყოფს ქართლის მიერ წინა საუკუნეებში გამოვლილ აოხრებათ. ქართლის ახალქალაქი, რომელიც წინადა, როგორც მისი სახელიდანაც სჩანს, ქალაქს წარმოადგენდა, შარდენის დროს მოღად დანგრეული იყო. ეს ფაქტები, საილუსტრაციოდ მოყვანილი, რამოდენადმე მაინც ახასიათებს ქართლის საერ-

თო მდგომარეობას მე-17 საუკუნეში შედარებით არც თუ ისე წარსულთან.

ამ მხრივ ამ უფრო უარესი იყო დროს დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა. დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ამ ხანებში ნანგრძლივ შინაურ ომების ცეცხლით იყვნენ მოდებული და აშკარად მიემართებოდნენ სრულ გალატაკებისა და კულტურულად სავსებით დაცემისაკენ.

მე-18 საუკუნისთვის, ამგვარად, საქართველოს მთლიანად და კერძოდ მის ცენტრალურ ნაწილს ტფილისითურთ უკვე გავლილი ჰქონდა ხანგრძლივი, რამოდენიმე საუკუნის წინად დაწყებული პროცესი ეკონომიურად და კულტურულად უკან დახვევისა. ამ პროცესის დასაწყისი თარიღდება საკმაოდ ძველი დროით და შეიძლება განსაკუთრებული სიცხადით ნაჩვენებ იქმნას მონგოლების ბატონობის საბოლოოდ დამკვიდრების შემდეგდროინდელ ხანიდან. საშუალო, ისე როგორც ძველი საუკუნეების საქართველო, თავისი ეკონომიური და აგრეთვე კულტურულ განვითარების ხაზების მხრივ მჭიდროდ იყო დამოკიდებული წინააზიის მეზობელ ქვეყნებზე და ამიტომაც, თავისთავად იგულისხმება, საქართველოს უკან დახვევის პროცესიც, დაწყებული მე-13—14 საუკუნიდან, არ იყო ადგილობრივი მიზეზებით გამოწვეული, არამედ მას ჰქონდა ფრიად ღრმა საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავდნენ საზოგადოდ წინააზიის ეკონომიურ და კულტურულ ვითარების რეგრესს, დაწყებული მე-13 საუკუნიდან. ეს იყო, თუ ვნებავთ, მსოფლიო ისტორიულ ხასიათის ფაქტორები, რომელნიც თანდათან პირველობას კაცობრიობის ცივილიზაციაში წინააზიის ქვეყნებს ფებ-ქვეშ აცლიდნენ და ნიადაგს ამზადებდნენ დასავ. ევროპის ხალხების ხელში კულტურულ პირველობის და ჰეგემონიის გადასვლისთვის. თუ წინად, მე-9—11 საუკუნეში, კულტურული უპირატესობის დროშა კაცობრიობაში არაბების ხელში იყო, ხოლო მე-12—14 საუკუნეში სპარსელების ხელში, დაწყებული მე-14 საუკუნიდან ჩვენ ცხადად ვხედავთ, თუ როგორ თანდათან წინააზია ჯერ გაჩერდა განვითარების ერთს საფეხურზე და შემდეგ, შემოქმედებითი ძალების მხრივ შესუსტებული, უკვე ვეღარ ახერხებს თავისი წინანდელი პოზიციების შენარჩუნებასაც კი, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპის ხალხები, იტალიელები — გენუელების და ვენეციელების სახით, ხოლო შემდეგ პორტუგალები, ესპანელები, პოლანდიელები და ინგლისელები იწყებენ ევროპის ეკონომიურ შესაძლებლობათა ფარგლების გაფართოებას. საზღვაო მიმოსვლის განვითარება (გენუელები და ვენეციელები, სხვათა შორის, შაეი-ხლვის მიმართულებითაც), ახალ დიდ საზღვაო გზათა აღმოჩენა (პორტუგალები ინდოეთისაკენ), ამერიკის აღმოჩენა და მისი კოლონიზაცია, — ყველაფერი ეს ქმნიდა დასავლეთ ევროპის ეკონომიურ შესაძლებლობათა განვითარებისთვის ახალს, უაღრესად მდიდარ პერსპექტივებს. ხოლო ფრანგების, ინგლისელების და გერმანელების — ახალი საუკუნეების ამ სამ დიდ ხალხის — მიღწევებმა საერთაშორისო კულტურის ასპარეზზე აიყვანეს უკანასკნელ საუკუნეებში საკაცობრიო ცივილიზაცია უნაღვეს წერტილამდე.

არსებითად წინააზია საფუძვლიანად შეტორტმანდა ჯერ-კიდევ მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც თურქების-სელჯუკების მძლავრმა დამპყრო-

ბელმა ქარიშხალმა გადაიარა სპარსეთის და მცირე-აზიის ^{ხეგანებზე} ამ ქარიშხალს ვერ ასცდა მაშინ საქართველოც. თურქებმა, თავის-თავად უკულტუროდ და იმავე დროს საცივილიზაციო შემოქმედების უნარ-მოკლებულ ქვეყანაში, შეარყიეს წინა-აზიის კულტურულ განვითარების საფუძვლები, დასცეს არაბები, გადასჭრეს და არივდარიეს დიდი საქარაენო სავაჭრო გზები და თავისი მოკალათებით მცირე-აზიაში საქართველოსა და ბიზანტიის იმპერიის მეზობლად და, შეიძლება ითქვას, თითქმის მათ შორის—შეასუსტეს ის ძაფები, რომელიც აკავშირებდა საქართველოს ბიზანტიასთან და რომელიც იმავე დროს ასაზრდოებდა ქართველებს ბერძნულ კულტურულ სამყაროდან. მაგრამ წინა-აზია თავისი შინაგანი ძალებით, თავისი ფართოდ განვითარებულ ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებით ძლიერ მდიდარი და ღონიერი იყო, რომ თურქებისთანა უკულტურო და უხეშ ძალას შესძლებოდა მისი კეთილდღეობის საბოლოოდ დაცემა. არაბებს თავისი გვერდით ყავდათ ღირსეული მეზობლები—სპარსელები, რომელნიც ეხლა თანდათან იწყებენ კულტურულ პირველობისაკენ გზის გაკაფვას. სპარსელებმა მალე მოინელეს თურქების ბატონობის შედეგები. თვით გაბატონებული ძალა თურქებისა დაუმორჩილეს თავისს კულტურულ გავლენას და აამუშავეს ის სპარსეთის კულტურისთვის ახალ შესაძლებლობათა მისაღწევად. თურქებმა თავისი მოსვლისას მე-11 საუკუნის მე-80 წლებში არივ-დარიეს საქართველოს განვითარების ნორმალური გზებიც, მაგრამ დროებით: დავით აღმაშენებლის დროს თურქები გარეკილ იქმნენ საქართველოდან და ახლად შექმნილი მთლიანი და ძლიერი საქართველო განაგრძობს მე-12 საუკუნის სიგრძეზე თავის ნორმალურ განვითარებას. მხოლოდ სპარსეთის კულტურულად წინსვლის გამო და ბიზანტიასთან, თურქების მცირე აზიაში მოკალათების შემდეგ, ეკონომიურ და კულტურულ კავშირის შესუსტების მიხედვით, მე-12 საუკუნის საქართველოს თავისი კულტურულ განვითარების გეზი თანდათან გადააქვს უფრო სპარსეთის მიმართულებით. სპარსულ კულტურისკენ გეზის გადახრის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა მე-12-13 საუკუნეში ქართულ საერო ლიტერატურის და პოეზიის განვითარება სპარსულ ლიტერატურულ ნორმების მიხედვით (მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, შესხმა დავით მეფისა, უკანასკნელ ვეფხის-ტყაოსანი).

მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში წინა-აზიას მოეკლინა ახალი დამპყრობელი და განმანადგურებელი ძალა,—ესენი იყვნენ მონგოლები, რომელნიც, ისე, როგორც მე-11 საუკუნის თურქები, თავისი ძირითად ქვეყნებიდან აჭრილნი მოედვნენ ცეცხლითა და მახვილით, სხვათა შორის, წინა-აზიის ქვეყნებსაც. თურქებივით მონგოლები იყვნენ მომთაბარე ხალხი, კულტურულად, მაშასადამე, ძლიერ დაბლა მდგარნი, მაგრამ ახალგაზრდა და ენერგიით სავსე. მონგოლებმა თავისი ჩინებული სამხედრო ორგანიზაციისა და საზოგადოდ მართველობითი უნარის წყალობით შექმნეს დიდი იმპერიები, რომელნიც საკმაოდ ხანგრძლივ განაგრძობდნენ არსებობას. საქართველო მოყვა სპარსეთის და მისი მიმდგამ ქვეყნების ტერიტორიაზე შექმნილ იმპერიის,—ეგრედწოდებულ ილხანების იმპერიის—ფარგლებს ქვეშ. კულტურული სპარსეთი და მასთან ერთად ასეთივე კუ-

ლტურული საქართველო დაემორჩილა დაბალ განვითარების მქონე ძალას. მონგოლების კულტურულ დონეს ახასიათებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ისინი განსაკუთრებულ შემთხვევაში ჯერ კიდევ ადამიანის მსხვერპლად მხურვალე მისდევდნენ. ისტორიული ფაქტია, რომ ილხანების მიერ სპარსეთში დაარსებულ იმპერიის პირველ ყაენის ულუ-ყაენის საულავზე ადამიანის მსხვერპლათ შეწირვის ადგილი ჰქონდა და ეს ხდებოდა, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად უაღრესად განვითარებულ, მაშინდელ კაცობრიობაში პირველ ადგილის მქონე სპარსეთში.

მონგოლების კულტურულ შემოქმედების სიაუსტემ და აქედან გამომდინარე მათ მიერ დაარსებულ იმპერიების უარყოფითი მხარეებმა, მათმა განუსაზღვრელმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ, მუდმივმა ომებმა და სამხედრო პოლიტიკიდან გამომდინარე ეკონომიურ ცხოვრების დეპრესიამ, დიდმა ხარკიანობამ და საწარმოვო ძალების შესუსტებამ, — ყველაფერმა ამან გამოიწვია წინა-აზიის ეკონომიურად და კულტურულად უკანსვლა. მართალია, მონგოლების ბატონობის დამკვიდრებას ჰქონდა ზოგიერთი დადებითი მხარეებიც. წინა-აზიაში დიდ მთლიან იმპერიის დაარსებამ გაადვილა ხალხთა შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, გააფართოვა მსოფლიო-მხედველობის წრე. ამით აიხსნება, რომ საერთოდ ეკონომიურ უკანსვლას არ მოყოლია სპარსეთში და საქართველოში უცბად კულტურულ შემოქმედების ძალთა დაცემა. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე, რომ სპარსეთი და საქართველოც ძლიერ დიდი პოტენციალური ძალის შემცველნი იყვნენ, იმდენად რომ ეკონომიურ ცხოვრებაში დაწყებულ დეპრესიას არ შეეძლო უცბად მათი კულტურულად დაცემა. ამით აიხსნება, რომ მე-13 საუკუნეში და რამოდენადმე მე-14 საუკუნეში სპარსეთში და საქართველოში ჩვენ ვხედავთ კულტურულ შემოქმედების წინანდელ სიმტკიცეს, ჩვენში მიმართულების რამოდენადმე შეცვლით, სახელდობრ აზროვნებისა და მწერლობისთვისაც სპარსეთის ზედგავლენით მეტი საერო ხასიათის მიცემით. ამავე დროს საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაშიც ცხადად სიანს წინსვლა კერძოდ უფლებრივ ნორმების განმტკიცების ცდის მხრივ (სჯულმდებელნი ბეჟა და აღბულა, გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება).

მე-14 — 15 საუკუნეთა მიჯნაზე (1386 — 1403 წლებში) საქართველომ მთელს წინა-აზიასთან ერთად განიცადა მონგოლების ახალ მძლავრ დამპყრობელ და ამოხრებელ ძალის ზედგავლენა. ეს ძალა ისტორიაში დაკავშირებულია თემურლენგის სახელთან. თემურლენგის ეჭვს შემოსევას საქართველოსთვის ჰქონდა საშინელი გამანადგურებელი შედეგები. ქალაქები და სოფლები აოხრდნენ, აუარებელი ხალხი გაწყდა ან ტყვეობაში დაიღუპა, ქვეყნის კეთილდღეობა, რომელიც მე-14 საუკ. გასულისთვის უკვე საკმაოდ შესუსტებული იყო, ეხლა ძირიანად შეირყა. თემურლენგი და მისი სარდლები იყვნენ მონგოლების ამოხრებელ ტაქტიკის საუკეთესო განმახორციელებელნი. დაშენებული ადგილები შეგნებულად აოხრებულნი და ამოწყვეტილ იქნნენ. ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები თუ სხვა შენობები — ნაყოფი რამოდენიმე საუკ. კულტურულ შემოქმედებისა, მრავალი თაობათა ნაოფლარი და ნაამაგარი, — წინდაწინვე განზრახული გეგმით ნგრევას და მოსპო-

ბას განიცდიდნენ. ამ დროს დაიღუპა აუარებელი ძველი ქართულ ხელოვნება-მოდ-
 ლვების და ქართულ ხელოვნებისა განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველო-
 ში, რადგან თემურლენგის რისხვა უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში ვრცელ-
 დებოდა. აობრება იყო საშინლად დიდი. ოფიციალური დოკუმენტები აღექსან-
 დრე მეფის დროისა 1420 წლის და 1440 წლის, ასე ახასიათებენ ამ აობრებას:
 „თემურმა მრავალნი თემნი და ქვეყანანი (საქართველოში) ოხერ ყენა“; „(თე-
 მურს) მრავალი სული მოესრა და თავად დედაქალაქი მცხეთა და რაოდენნი
 საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყვნეს, ყოველნი დაექცი-
 ნეს, საფუძველთურთ დაექცივნეს და სრულიად საქართველო ტყვე ექმნეს და
 ჩვენის მეფობის დაქირვამდე მუდამი ტყვენვა და რბევა იყო საქართველოსა და
 მოხრდა და იავარ იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეზინის ცემა არსით
 ჰქონდა¹⁾“.

თემურლენგის შემოსევებმა მართლაც თვალსაჩინოდ დასცეს, როგორც სა-
 ქართველოს, ისე საზოგადოდ მთელი წინა-აზიის კეთილდღეობა. საქართველო-
 თვის ამ შემოსევით ჰქონდა განსაკუთრებით საბედისწერო შედეგები. ეკონო-
 მიურ გაღარიბებას მოჰყვა სავაჭრო ურთიერთობის შესუსტება, მთავარი სავაჭ-
 რო გზები თავისი მნიშვნელობის მხრივ უკან დახევას იწყებენ, ზოგი კიდევ
 მთლად ქრება. ქალაქი ანისი, მაგალითად, რომელიც მე-12—14 საუკუნეში საქარ-
 თველოს სამეფოს ფარგლებში იყო და მე-13 საუკუნეში მდიდარ სავაჭრო ქალაქს
 წარმოადგენდა (1253 წ. ევროპიულ მოგზაურ რუბრიკისის ცნობით ანისში ით-
 ვლებოდა 100 ეკლესია და ორი შეჩეთი), ეხლა, ჯერ კიდევ მე-14 საუკუ-
 ნეში მონგოლების ხარკიანობის გამო დაწყებულ მის დაცარიელების შემდეგ
 მოკვდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ქალაქი გარდაიქცა მიწით და-
 ფარულ ნანგრევებად, ვიდრე ამ 25—10 წლის წინად წარმოებულ მეცნიე-
 რულმა გათხრამ არ წარმოაჩინა ამ ქალაქის ძველი თვალწარმტაცი სიდიადე. ქა-
 ლაქი ტფილისიც, რომელიც ჯერ კიდევ 1328 წ. რომის პაპის იოვანე XIII-ის
 ერთს წერილში იხსენიება, როგორც „საუკეთესო, მეტად შესანიშნავი, ერთ
 სავსე, მომარჯვებული და სიმდიდრით უხვი ქალაქი“, ამის შემდეგ უკან მიდის
 ასე რომ სპარსეთში გაგზავნილი ვენეციის ელჩი კონტარინი 1475 წ. სწერდა:
 „ტფილისი წინად სახელგანთქმული იყო თავისი სიდიდით და ამ ეამად კი და-
 ცემულია, მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომელიც აობრებას გადარჩენია, ეხლაც
 კარვად არის დასახლებული“-ო.

თემურლენგის დროს გამოვლილ აობრებათა შემდეგ საქართველო დიდ
 აღექსანდრე მეფის დროს (1413—1442 წ.) და შემდეგაც ცდილობდა განმახლე-
 ბელ და აღმაშენებელ მუშაობის განცხოველებას, მაგრამ საერთო ვითარების
 საბოლოოდ გამოსწორება უკვე შეუძლებელი ხდებოდა. მე-15 საუკუნის მეორე
 ნახევრიდან, როგორც საქართველოს, ისე საზოგადოდ მთელი წინა-აზიის ეკო-
 ნომიურ და კულტურულ განვითარების საშუალებანი თანდათან ახალს შემცი-
 რებას და დაკნინებას განიცდიდნენ. ამისი მიზეზი იყო ის დიდათ-დიდი გარ-
 დატეხანი, რომელთაც ადგილი ჰქონდა მსოფლიო მასშტაბით მაშინდელ კულ-

1) თ. ეორ დანია, ქრონიკები II, 226, 248. ს. კაკაბაძე ისტორ. საბ. III, 12.

ტურულ კაცობრიობის ეკონომიურ ცხოვრებაში და რომელნიც დიდ ზედგავლენას ახდენდნენ წინა-აზიის საერთო მდგომარეობაზედაც, ამ გარემოებებში გამოიწვევებოდა შორის აღსანიშნავია ამერიკის აღმოჩენა, რამაც — დასავლეთ ევროპის ხალხების ენერგიას ახალი მიმართულება მისცა, პორტუგალიელ ვასკო-დე-გამას მიერ 1498 წ. აფრიკის გარეშე მოვლით ინდოეთის საზღვაო გზის აღმოჩენა, რამაც ხელი შეუწყო ევროპასა და შორეულ აზიას შორის ახალი დიდ სავაჭრო გზის გახსნას. უფრო ადრე კიდევ ოსმალეებმა მოსპეს ბიზანტიის იმპერია და 1453 წელს დაიპყრეს კონსტანტინოპოლი, და ამით გადასტრეს არსებული დიდი სავაჭრო გზები და მოსწყვიტეს საქართველო და მთელი წინა-აზია ევროპას. ვენეციელებს და გენუელებს ხმელეთა შუა ზღვის ვაჭრობის ფაქტიურად ხელში მჭირავთ — მეტი გზა აღარ დარჩენოდათ, რომ ინდოეთის მიმართულებით ეკონომიური ურთიერთობა უფრო სამხრეთით მდებარე სავაჭრო გზებზე უნდა განეხილათ. შედეგად მოყვა ამას ის, რომ წინა-აზიისა და ინდოეთის ერთის მხრივ და ევროპის მეორე მხრივ დამაკავშირებელი მთავარი სავაჭრო საგზაო ძარღვი გადატანილ იქმნა შავი-ზღვის სანაპიროდან სამხრეთისკენ სირიასა და მესოპოტამიაზე.

ყველა ამ გარემოებისა და მსოფლიო მასშტაბით ცალკე ქვეყნების და ხალხების ეკონომიურ როლის გადაჯგუფების გამო წინა-აზიამ იწყო უკან დახევა და განსაკუთრებით კიდევ საქართველომ, რომელზედაც საერთო მიზეზებს გარდა გავლენას ახდენდა წინა-აზიის დიდ სავაჭრო გზების სამხრეთით გადახრა. სპარსეთშიდაც, მთავარ ეკონომიურ ძარღვის სამხრეთისკენ გადასვლის გამო, თანდათან მე-16 საუკუნის სიგრძეზე ვხედავთ პოლიტიკურ ცენტრის თავრიზიდან სამხრეთისკენ გადატანის მიდრეკილებას, რაც შაჰ-აბაზ დიდმა ამავე საუკუნის დასასრულს დაასრულა კიდევ სატახტო ქალაქად ისპაანიის (სამხრეთ სპარსეთში) გამოცხადებით. მე-16 — 17 საუკუნის სიგრძეზე საქართველო და წინა-აზიაც განაგრძობდა არსებობისთვის ბრძოლას ამ ეკონომიურ და კულტურულ წინსვლისთვის არახელსაყრელ პირობების ზედგავლენით. საქართველოს მიმართ კიდევ ამას უნდა მიმატებოდა ქართლის მიერ მე-16 საუკუნეში შაჰ-ისმაილის და შაჰ-თამაზის დროს გამოვლილი სასტიკი აოხრებანი, კახეთის საშინელი აწყვეტა შაჰ-აბაზ დიდის მიერ 1614 — 1617 წლებში, სამცხე-საათაბაგოს ოსმალეების მიერ დაპყრობა მე-16 — 17 საუკუნეში, ნოსახლეობის იქ მაჰმადიანობაში გადასვლა და ძველ ქართულ კულტურასთან კავშირის გაწყვეტით ქვეყნის კულტურულად მთლად გავერანება, ლიხთ-იმერეთში კიდევ მე-17 საუკუნეში, შედარებით წინახანასთან უფრო ნეტის სიძლიერით განცხოველებული შინაური ანარქია და ომიანობა, ურთიერთ თავდასხმა და საშინელი მასშტაბით ტყვეთა გაყიდვის გაძლიერება. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა საქართველოს თვალსაჩინოდ დაცემას, ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ მნიშვნელობის თვალსაზრისით. მე-17 საუკუნის მეორე მესამედიდან კერძოდ ქართლ-კახეთში დაწყებული მდგომარეობის გაუმჯობესობა საერთო დაცემის სურათს რამოდენადმე აფერადებდა, მაგრამ არსებითად ძლიერ მცირედ სცვლიდა.

ზოგიერთ ციფრებს შეუძლია რამოდენადმე ნათელი სურათი მოგვცეს სა-

ქართველოს მთლიანად და კერძოდ ქართლ-კახეთის ეკონომიურად ციკლის შე-
სახებ მე-13—17 საუკუნის სივრცეზე. 1254 წელს, მე-13 საუკუნის პირველ ნა-
ხევარში გამოვლილ აობრებათა შემდეგ, მთელს მაშინდელ საქართველოს სამე-
ფოში, რომელიც შეიცავდა ებლანდელ ამიერ-კავკასიის ცენტრალურ და და-
სავლეთ ნაწილს ვიდრე არზრუმანდის, ირიცხებოდა დაახლოვებით $2\frac{1}{2}$ მილ.
მცხოვრები, კერძოდ ქართლსა (შიდა და ქვემო ქართლში სომხით-ლორე-ბამ-
ბაკითურთ) და კახეთში (კაკ-ელისენით ანუ—ებლანდელ საინგილოთურთ) ცალ-
ცალკე 360 ათასი სული. ორასი წლის შემდეგ 1459 წლ. ახლოს იმავე პროვი-
ნციებში სათითაოდ დაახლოვებით უკვე 320 ათ. სული ირიცხებოდა. მე-17 საუკ.
ნახევარში კი ქართლში დაახლოვებით 150 ათ. სული ირიცხებოდა და კახეთ-
შიაც 120 ათ. სული. აღსანიშნავია, რომ ამ დროს კახეთის სამხრეთი ნაწილის
მოსახლეობა უკვე მომთაბარე თათრის ელისაგან შესდგებოდა. ანალოგიურ სუ-
რათს ვხედავთ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც. მოსახლეობა ანგვარად დი-
დად დაკლებული იყო¹⁾. ცოცხალი ძალის ეს დაკლება დამოკიდებული იყო ეკო-
ნომიურ მდგომარეობის საფუძვლიანად გაუარესებაზე. ამ გაუარესების დასაბა-
სიათებლად შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქმნას სათანადო ძიებათა შემდეგ
მიღებული ციფრები. მე-1240 წლებში მონგოლები მაშინდელ საქართველოს სა-
მეფოს ახდევინებდნენ წელიწადში ხარკად 40 50 ათას ოქროს. მაგრამ 1254
წლიდან მდგომარეობა ამ მხრივ თვალსაჩინოდ გაუარესდა. ილხანების იმპერიამ
შეიმუშავა ამ დროს ერთი მთლიანი სათინანსო-საბიუჯეტო გეგმა, რომე-
ლშიც მოყვა, როგორც ამ იმპერიის შემადგენელი ნაწილი, საქართველოც.
გარდასახადების პრესი, მონგოლების მიერ წარმოებულ დიდ ომებისა და ფარ-
თო აქტიურ სავარეო პოლიტიკის გამო, საშინლად დამძიმდა, ასე რომ 1259
წლის ერთი საბუთის მიხედვით „ქვეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან, ოქრო
ძვირად იყვის“. აუარებელი ოქრო და ვერცხლი ხარკის სახით გადიოდა საქა-
რთველოდან. ოქრო და ვერცხლი 2 $2\frac{1}{2}$ ჯერ გაძვირდა. იმავე 1259 წლის სა-
ბუთში კახა თორელი ამბობს, რომ გასასყიდად გამოტანილი, მის მიერ ლაშქრო-
ბაში ნაშოვნი ნადავლი „რაიც ხუთი ათას თეთრად²⁾“ ღირდის ორ ათასად ძლივ
დავაჭირვინი და ზოგი სხვაგან დიდებულთ ზედა გავყიდი, რაიც ათი-ათას თე-
თრად ღირდის, ხუთი ათასად ძლივ გავყიდიო“. ამ ხანებში საქართველოს შე-
პქონდა ილხანების იმპერიის ხაზინაში სხვადასხვა გარდასახადების და ბაყების
სახით 500 მონგოლური თუმანი, რომელიც უდრიდა 30 მილ. ღირებებს ანუ
თეთრს და შეიცავდა მაშინდელი ზომის მიხედვით 111 მილ. დანგ ვერცხლს.
ასეთი სიმძიმის გარდასახადის ატანა შეუძლებელი იყო თვით მაშინდელ ეკო-
ნომიურად და კულტურულად მძლავრ საქართველოსთვის და ქვეყანამ გაღარი-
ბება იწყო და მე-1330 წლებში საქართველოს მოჰქონდა მაოლოდ 7,212 ათა-
სი ღირებები, რაც მაშინდელი ზომით უდრიდა დაახლ. $14\frac{1}{2}$ მილიონ დანგ ვე-

¹⁾ ეს ციფრები ამოღებულია სპეციალურ გამოკვლევებიდან საქართველოს მოსახლეო-
ბის შესახებ წარსულში (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართ. ისტორიიდან წ. 1,
ტფ. 1914 წ. გვ. 21—31, მისივე—ძიებანი საქართ. ისტორიის საკითხ. შეს. ტფ. 1920. გვ. 27—56.

²⁾ თეთრი მაშინ შეიცავდა 3,7 დანგ ვერცხლს. დანგი არის მისხალის $\frac{1}{4}$.

რცხლს. განსხვავება 80 წლის მანძილზე არის ძალიან დიდი. მაშინველმა ხარკიანობამ და მონგოლების მცარცველობითი ეკონომიურმა პოლიტიკამ ძირიანად შეარყია წინა-აზია და მასთან ერთად საქართველოც. მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში აუტანელ ხარკიანობის გამო ქალაქები კერძოდ საქართველოში იწყებენ დაცარიელებას. ქალ. ანისმა, მაგალითად, თმოგვემა და სხვა ქალაქებმაც იწყეს დაცარიელება. მართალია, მონგოლეთის მთავრობა ამ დროს უკვე ცდილობდა მდგომარეობის შემსუბუქებას, მაგრამ გვიანლა იყო.

შემოდ მოხსენებულ ციფრებს აქვს ის მნიშვნელობა, რომ რამოდენადმე მაინც გვიხატავს ქართველ ხალხის გარდამხდელობითი შესაძლებლობას მე-12-14 საუკუნეში. მე-15 საუკ. პირველ ნახევარში, თემურლენგის შემოსევათა შემდეგ მდგომარეობა იმდენად გაუარესებული იყო, რომ დიდ ალექსანდრე მეფის სიტყვით, „მას უამსა შემოსავალი ჩვენისა სახლისა (ე. ი. სამეფოსი) არსით რა იყო“-ო. ცხოვრების რამოდენადმე დალაგების შემდეგ საქართველოს რუსურსები ისევ ამოძრავდა, მაგრამ წარსულ საუკუნეების მდგომარეობის დაბრუნება, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო. მე-16 საუკუნეში ქართლის მეფეს სვიმონს კიდევ ჰქონდა იმდენი თავისი სახლის თუ სახელმწიფო — მაშინ ეს ერთი და იგივე იყო — დოვლითი დაგროვილი, რომ 1581 წელს ის ოსმალებს ყოველწლიურ ხარკად 100 ათ. დუკატის გარდახდას პირდებოდა¹⁾. დუკატი იმ დროს ვერცხლზე გადატანით 52,5 დანგ ვერცხლს უდრიდა, 100 ათ. დუკატი მაშასადამე 5 1/4 მილ. დანგ ვერცხლის ექვივალენტი იქნებოდა. ამ ფულის გარდახდას მაშინდელი ქართლი ყოველ წლიურად ვერ შესძლებდა და ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი იმისა, რომ ოსმალები არ ენდვნენ სვიმონს და მისი პირობა არ მიიღეს. მაგრამ თვით ასეთი წინადადების გაკეთება ქართლის მიერ ცხადად ამტკიცებს, რომ ამ დროს ქართლი ეკონომიურად, მაინც მთლად გამოფიტული არ იყო. ამ მხრივ მე-16 საუკუნის მიწურულსა და მე-17 საუკუნის პირველ მესამედში ჯერ ოსმალებთან და შემდეგ სპარსელებთან შედმივ ომების წარმოების გამო მდგომარეობა ქართლშიც თვალსაჩინოდ გაუარესდა. მე-17 საუკუნის მეორე მესამედიდან ქართლმა, როგორც მოხსენებული იყო, ისევ მოლონიერება იწყო, მაგრამ მაინც მე-17 საუკუნის მიწურულში ქართლის სამეფოს მთელი შემოსავალი მხოლოდ 2 1/2 ათ. თუმანს უდრიდა,²⁾ რაც მაშინდელი ზომით ვერცხლზე გადატანით იძლევა 231 1/4 ათ. დანგ

¹⁾ Hammer, geschichte des Osman. Reiches, II, 492.

²⁾ ქართლის სახელმწ. შემოსავალი მე-17 საუკ. მიწურულში გამოანგარიშებულია შემდეგნაირად: ფარს. გორგიჯანიძის სიტყვით ნახარალ-ხანის (ერეკლე I-ის) შემოსავალი მე-1690 წლებში უდრიდა 5 ათ. თუმანს (ქარ. ცხ. II, 560). ამაში, როგორც, ხანს შედიოდა სპარსეთის შაჰის მიერ მისთვის დანიშნული ჯამაგირი 2 ათ. თუმ. და 500 თუმ. კიდევ ხონსრის მალუჯაბთი (იქვე, 553). საკუთრივ ქართლის სახელმწიფო შემოსავალი იყო მაშასადამე 2 1/2 ათ. თუმ. მართლაც ტურნეფორი გადმოგვცემს (II, 131), რომ ქართლის მეფის შემოსავალი იყო: გლეხთაგან 600 თუმ., ტფილ. საბაგო 500 თუმ., ღვინის კელუხი (4 ათ. საბაღნე X რ აბაზი =) 4800 მან. ტფილისის მალი 300 თუმ., სულ 18, 800 მან. ამას უნდა მივმატოთ ხარაფხანის შემოსავალი და სხვა შემოსავალიც (ტურნეფორი იხსენიებს, თითქოს სამეფო შემოსავალს შეადგენდა კიდევ 40 ათ. ცხარი). ტურნეფორის ცნობები საერთოდ არ ეწინააღმდეგება დასტურლამალს და თითქოს, ადასტურებს ზემოთ მოყვანილ ანგარიშსაც — ქართლის სახელმწიფო შემოსავლის უარაუდს 1700 წლის ახლო დროისთვის 25 ათ. მანეთს.

ვერცხლს. მე-13 საუკუნეში ქართლი შეიცავდა დაახლოვებით მთელი მაშინდელ საქართველოს სამეფოს მოსახლეობის $\frac{1}{7}$ -ს. თუ ქართლის წილს მთელი საქართველოს გარდამხდელობის შესაძლებლობაში, სხვა ცნობებში ჩვენთვის გამო, ამავე პროპორციით ვიგულისხმებთ, მაშინ მივიღებთ ქართლის მოსახლეობას 1254 წლ. ახლოს 15,8 მილ. დანგს ვერცხლს, ხოლო მე-1330 წლებში — 2,07 მილ. დანგს. მე-17 საუკუნის მიწურულს კიდევ, როგორც ვნახეთ, ქართლის სრული სახელმწიფოს შემოსავალი ვერცხლზე გადატანით $231\frac{1}{4}$ ათ. დანგ ვერცხლს უდრიდა. მხედველობაში მისაღებია კიდევ ის გარემოება, რომ მე-13 საუკუნის ზემოდ მოყვანილ ციფრებში ნაჩვენებია ილხანების საიმპერიო კასაში შემავალი გარდასახადები და ბაჟები და არ არის ნაჩვენები ის თანხა, რომელიც რჩებოდა საქართველოშივე ადგილობრივ სახელმწიფოებრივ საქართვებათავის. ამ გარემოების გათვალისწინებით ვღებულობთ მე-13—14 საუკუნის და 1690 წლის ახლო ხანის ქართლის ფინანსიურ მდგომარეობას შორის კიდევ უფრო მეტს განსხვავებას. საჭიროა ამასთანავე აღინიშნოს, რომ მსყიდველობითი ღირებულება ვერცხლისა საქართველოში ამ ერთმანეთისაგან დიდად დაშორებულ ეპოქაში სხვადასხვა იყო. სახელდობრ, შედარებით მე-1250 წლებთან 1700 წლის ახლოს ვერცხლი ქართლში გაიაფებული იყო ერთი ოთხჯერ¹⁾.

მაგრამ ამ გარემოების გარეშეც და მე-13—14 საუკუნის ქართლისთვის მართო მონგოლების ხაზინაში შესატან ხარკის ციფრის მხედველობაში მიღებითაც შეიძლება ქართლის ეკონომიური მდგომარეობის გაუარესება, დასაყრდნობ წერტილად მე-1250 და მე-1690 წლების ალებით, გამოხატულ იქმნას კოეფიციენტით 68. ამასთანავე თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მე-1250 წლების საქართველოს ხარკის ციფრი არის შედეგი მონგოლურ მძიმე ხარკიანობის აუტანელ პრესისა, რაც ქვეყნის გარდამხდელობის შესაძლებლობას აღემატებოდა და ხალხს ნივთიერად მიწასთან ასწორებდა, მაშინ შეიძლება მე-1330 წლების ხარკის მე-13 საუკუნის ნახევრისთვისაც გარდამხდელობის ნორმალურ შესაძლებლობად მიღებით ეს კოეფიციენტი მე-1250 და მე-1690 წლების ქართლის ეკონომიურ ვითარების შესახებ გამოეხატათ რიცხვით 9. ამ სრულებით იოლი ანგარიშითაც კერძოდ ქართლის ეკონომიური მდგომარეობა მე-17—18 საუკუნეთა მიჯნისთვის, შედარებით მე-13 საუკუნის ნახევართან, გაუარესებულა ერთი 9-ჯერ.

ხალხის ეკონომიურად დაცემის საილუსტრაციოდ ინტერესს არ არის მოკლებული შემდეგი რიცხვითი ფაქტები: 1260 წლის ახლოს გლეხის ერთი საკომლო მამული ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ „მიწა“, ღირდა ქართლში 1650 თეთრი²⁾, ვერცხლზე გადატანით 6100 დანგი ვერცხლი. „მიწა“ (საკომლო) მაშინ შეიცავდა ორთა შუა რიცხვით 48 დრაჰკნის ღირებულების სახნავსდა 32 დრაჰკ-

1) ეს ურთიერთობა გამოანგარიშებულია შემდეგ ნაირად: რკონის სიგელის მიხედვით 1259 წ. 6 კოკა ღვინო 24 ლიტრიანი კოკით საშუალოდ ქართლში ღირდა 8 თეთრი. ერთი კოკა 12 ლიტრიანი მაშასადამე ეღირებოდა $\frac{2}{3}$ თეთრი, რაც მაშინ უდრიდა 2,4 დანგ ვერცხლს. ვახტანგის სამართალის მიხედვით ღვინო ერთი კოკა, რომელიც ქართლში ამ დროს ორთაშუა რიცხვით 12 ლიტრიანად იანგარიშებოდა, ღირდა აბაზი ანუ მაშინდელი ზომის მიხედვით $9\frac{1}{2}$ დანგი ვერცხლი. ვერცხლი ამჟამად $4\frac{1}{2}$ საუკუნის განმავლობაში გაიაფებულა ერთი ოთხად.

2) სახელდობრ რკონის სიგელის მიხედვით, (ქრონიკ. II, 134—136). $42\frac{1}{2}$ მიწა ღირდა 65 ათ. თეთრი.

კნის ვენახს, სულ 80 დრაჰკნის დამუშავებულ მიწას¹⁾, 80 დრაჰკანი უდრიდა 800 თეთრს. მაშასადამე სახნავი და ვენახი ამ დროს შეადგენდა გლეხის მთელი საკომლოს ნახევარ ღირებულებას. ქართველ გლეხს მაშასადამე მუშაობის საუკუნეში კარგი დოვლათი ჰქონია.

1620 წელს ქართლში კომლი გლეხი—საკომლო უკვე მისი მეპატრონე გლეხთან ერთად ღირდა 5 თუმანი²⁾ ანუ დაახლ. 2 $\frac{1}{2}$ ათ. დანგი ვერცხ. მხედველობაში მისაღებია ამასთანავე, რომ მე-13 საუკუნის საკომლოს ფასში მარტო უძრავი ქონება საგულისხმებელი, ხოლო მე-17 საუკუნეში ყი გლეხი უკვე მამულზე მტკიცედ მიმაგრებულია და მასთან ერთად ფასობს. ვანსხვაგვება მაშასადამე მე-13 და მე-17 საუკუნის ქართლელ გლეხის შემძლებლობას შორის არის ბევრად უფრო დიდი, ვიდრე ეს აქვე მოყვანილ ციფრების მიხედვით შეიძლება ნაგულისხმევ იქმნას.

აღმოს. საქართველომ ამგვარად მე-13—17 საუკ. გაიარა საერთოდ თანდათან გაღარიბების პროცესი.

ესევე შეიძლება ითქვას დასავლ. საქართველოს შესახებაც, სადაც ეკონომიურ მდგომარეობის უკან დახევას გაღატაკებასთან ერთად მოყვა გავლურებაც. იმერეთის სამეფო სახლში თვით მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ იმდენი სიმდიდრე იყო დაგროვილი, რომ, როგორც შარდენისთვის გადაუციათ, სკამებიც კი ქუთაისის სასახლეში ამ დროს ვერცხლისა იყო. 1661 წ. ქუთაისი აიღო სამეგრელოს მთავარმა ვამეყ დადიანმა და გაცარცვა. მარტო რქო-ვერცხლეულობა მეფის სასახლიდან 12 ურმით წაიღეს. ეს სიმდიდრე შემდეგ ქართლის მმართველმა შაჰნავაზ-ხანმა წაართვა დადიანს. 1673 წ. იმერეთის მთავრობას იმდენად უჭირდა, რომ სამეფო გვირგვინს აგირავებდა. ამის შემდეგ იმერეთი სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა სრულ გაღატაკებისაკენ. მე-18 საუკუნეში უკვე იმერეთი ეკონომიურად დაცემულს და ლატაკ ქვეყანას წარმოადგენდა.

იმერეთთან შედარებით უფრო უარეს მდგომარეობაში იყო სამეგრელო. მის ერთ-ერთ მთავარ საექსპორტო საგნად გახდა ცოცხალი ადამიანი. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოდან გაჰყავდათ ოსმალეთის ბაზარზე 10—15 ათასი სული ტყვე ყოველწლიურად, გურიიდანაც 10—12 ათასი სული ტყვე მიდიოდა. ტყვეები იკრიბებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. შესაძლებელია ეს ციფრები რამოდენადმე გადამეტებული იყოს, მაგრამ საერთო სურათის წარმოსადგენად, მათ მაინც აქვთ მნიშვნელობა. ფრანგი მოგზაური ტავერნიე მოგვითხრობს მე-1660 წლებში, რომ მას კონსტანტინოპოლში უნახავს სამეგრელოს მთავრის ელჩი, რომელიც სულთანის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ჩასულიყო 200 კაცით. ხარჯების გასასწორებლად ელჩი ყოველ დღე ჰყიდდა თითო კაცს, ასე რომ უკან დაბრუნებისას მას შერჩა მხოლოდ მდივანი და ორი მსახური³⁾. ცნობა, შეიძლება, აქაც გადამეტებული იყოს, მაგრამ არსებითად ის მაინც ძლიერ დამახასიათებელია.

¹⁾ ს. ჭაკაბაძე, წერილ. და მას. საქართველ. ისტორ. ტფ. 1914 წ., 26.

²⁾ გიორგი სააკაძის საჩივრის წიგნი, საქ. სიძვ. II, 59.

³⁾ Les six voyages de Tavernier, Paris 1692 L. I, 355.

საქართველოს, კერძოდ ქართლის, ეკონომიურად უკან დახევა ცხადად დაეტყო, სხვათა შორის, საქალაქო ცხოვრების ვითარებასაც. ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო საინტერესო არის ქალ. ტფილისის ბედი, მით უმეტეს, რომ ტფილისი იყო მთავარი და იმავე დროს ერთადერთი ადგილობრივ ვაჭრობების მიხედვით დიდი ქალაქი. მე-14 საუკუნეში, როგორც ვნახეთ, ტფილისი განთქმული იყო თავისი სიდიდით. რასაკვირველია, ფეოდალურ დროის ქალაქების სიდიდეზე მხოლოდ შედარებით შეიძლება ლაპარაკი. ქალაქი ანისი, იმ დროის მიხედვით დიდ ქალაქად საფიქრებელი, მე-13 საუკუნის დასაწყისში შეიცავდა დაახლოვებით 20 ათას მცხოვრებს¹⁾. ტფილისის მოსახლეობის რაოდენობის შესახებ მე-13 საუკუნეში ძნელია რისიმე თქმა. დაახლოვებით შეიძლება ამ დროს ტფილისში 50—70 ათას სულამდის იქნას ნავარაუდები²⁾. მე-15 საუკუნეში ტფილისი, როგორც ვნახეთ, შედარებით უკვე დაცემულია. 1597 წელს ტფალისში ირიცხებოდა მხოლოდ 2 ათასი კომლი მცხოვრები³⁾. ცოტათი მეტად ნაჩვენებია ტფილისის მოსახლეობა მე-18 საუკუნის დასაწყისში — სულ 2,600 კომლი 20 ათასი სული მცხოვრები⁴⁾.

მე-17 საუკუნეში ამგვარად, ქართლში საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, ტფილისის მოსახლეობას ცოტაოდნათ უმატნია კიდევ.

საქართველოს და კერძოდ ქართლ-კახეთის ეკონომიურად უკან დახევა, როგორც მოხსენებული იყო, აიხსნებოდა იმით, რომ საზოგადოთ წინა-აზია განიცდიდა ახალ საუკუნეების სიგრძეზე ნელს, მაგრამ მუდმივ დეკადანსს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ოსმალეთის შესახებ ერთი კერძო ცნობა. 1607 წ.

¹⁾ თამარ მეფის მეორე მემატიანე (ვარძიელი ბერი) მოგვითხრობს არდაველის სულთანის მიერ ანისის ამოწყვეტას აღდგომა ღამეა. სულთანი ჯარით მოულოდნელად და ჩუმად მივიდა ანისს. აღდგომა ღამეს ცისკრისას, როდესაც დაკრეს ძელს და ქალაქის კარი გააღეს, ჯარი შევარდა ქალაქში. „უმრავლესი ერი იყო ეკლესიათა შინა“, ხოლო დანარჩენები გამაგრდნენ დარბაზოანებში და ქვაბოანებში. ეკლესიებში ამოწყვეტილ იქმნა, მემატიანის ცნობით, 12 ათასი კაცი. რადგან მისივე სიტყვით ეკლესიებში მოსახლეობის უმრავლესობა ყოფილა, ამიტომ ამის მიხედვით, სხვა ცნობების უქონლობის გამო, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ დროს ანისის მცხოვრებთა რიცხვი დაახლოვებით 20 ათას სულამდის უნდა ყოფილიყო.

²⁾ როდესაც სულთან ჯულალ-ედინმა 1227 წ. აიღო ტფილისი, „უმრავლესი ერი, ვითა ცხოვარნი შეკრიბიანი“ და ზოცავდნენ. ეამთა აღმწერელის ცნობით ტფილისში ამ დროს ამოწყვეტილ იქმნა 100 ათას სულამდის. ეს ციფრი, როგორც ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში ხდება, გადამეტებული უნდა იყოს. მხედველობაში მისაღებია კიდევ ის, რომ ალყა შემორტყმულ ტფილისში აბლომახლო სოფლების მცხოვრებნიც იქნებოდნენ შეხიზნული. ამ მოსაზრებების გამო, ანისის შესახებ ზემოდ მოყვანილ ცნობასთან დაკავშირებით, შეიძლება მიღებულ იქმნას ტფილისის მოსახლეობა მე-13 საუკუნეში სულ ცოტა 50 ათასი სული ამ რამოდენადმე მეტიც.

³⁾ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, კვლევა-ძიებანი, 35.

⁴⁾ ტურნეფორი გადმოგვცემს (Voyage... 131), რომ სპარსეთის შაჰის სასარგებლოდ დადებული გადასახადი (იგულისხმება ტფილისში) იკრიბებოდა 300 თუმანი, თავზე 6 აბაზი. ეს არის „ქალაქის მალი“, რომელიც მომგებ მოქალაქეთ გამოერთმეოდათ. „რომელიც მალის გამოღები კაცი დაბეგრდების, ასრე რომ მოგება აღარ შეეძლოს, იმისთანას მალი აღარ ეთხოვების“ (დასტურლ. § 181). ამისდა მიხედვით შევკვიდრია მივიღოთ ტფილისში 1701 წ. მეკომურთა რიცხვი 2500 და 60 წელზე უზუცესანი სტატისტიკური ცნობების მიხედვით ჩვეულებრივ საერთო მცხოვრებთა 3,3% სულ 2,580 კომლი. ამას უნდა მივმატოთ ვარაუდით ორასიოდე კომლი მაღალ წოდების თუ სხვანი, რომელნიც მალისაგან განთავისუფლებულნი უნდა ყოფილიყვნენ, სულ დაახლოვებით 2,800 კომლი.

ოსმალეთის იმპერიაში ითვლებოდა სულ 553 ათასი სოფელი. 1618 წ. აღწერით კი სოფლების რიცხვი 75 ათასით ნაკლები იყო. ნაწილი სოფლების ამ დაკლებულ რიცხვისა მოდიოდა ქართლ-კახეთზე, განჯა-ერევან-ბაქო-დასტარაზე, რომელნიც ამ ხანებში ოსმალეთმა დაკარგა სპარსეთის სასარგებლოდ, მაგრამ, საერთოდ მოსახლეობის შემცირება და, მძიმე გარდასახადების და ცუდი მართველობის გამო, ქვეყნის გალატაკება ცხადი ფაქტი იყო. ოსმალეთის სახელმწიფო მამულების შემოსავალი წინად 244,100,000 ასპრს უდრიდა (ასპრი მე-16 საუკუნეში 1583 წლამდის 1 დანგ ვერცხლს შეიცავდა). ეხლა კიდევ, მამულების უმთავრესად ჯარისკაცებზე და სულთანის ცოლებზე დარიგების გამო და უფრო მეტად კიდევ მართველობის გაუარესების გამო, ოსმალეთის სახელმწიფო მამულებს ხაზინაში ძლივს 10 მილ. ასპრი შემოჰქონდათ¹⁾.

ასეთსავე მდგომარეობაში იყო სპარსეთი, რომელიც, თუმცა კულტურულ შემოქმედების ერთს წერტილზე გაჩერებულ, თავისი ძველი კულტურის დიადი ღოვლათით მე-17 საუკუნეში კიდევ ახერხებდა, მიუხედავად ეკონომიურად უკანდახევის მუდმივ პროცესისა, გარეგნობით საკმაოდ დიდი სახელმწიფოს როლის შესრულებას, მაგრამ არსებითად უკვე ძარღვებზე შესუსტებული დამბლა დაცემას უახლოვდებოდა.

სპარსეთის თანდათან ეკონომიურად უკან დახევის მაჩვენებელია სხვათა შორის ის ცნობები, რომლის შეკრება შესაძლებელია ქართლ-კახეთის მეზობლად მყოფ ერევნის პროვინციის შესახებ. 1582 წ. ამ პროვინციის შემოსავალი უდრიდა დაახლოვებით 1 მილ. დუკატს, რაც მაშინდელი კურსით ვერცხლზე გადატანით უდრიდა 52,5 მილ. დანგ ვერცხლს. შარდენის დროს 1673 წ. ერევნის სახანოს შემოსავალი ნაჩვენებია 32 ათ. თუმანი ანუ დაახლოვებით 16 მილ. დანგი ვერცხლი. 1701 წ. კიდევ ტურნეფორი ამბობს, რომ ერევნის სახანოს შემოსავალი 20 ათ. თუმანზე მეტიაო. შემოსავალი 30 წლის განმავლობაშიც თვალსაჩინოდ დაკლებულა. ეს ციფრები, საილუსტრაციოდ მოყვანილი, საკმაოდ ცხად ყოფს საქართველოს სამხრეთით მეზობელ ქვეყნების ეკონომიურად სწრაფ უკანდახევას. მე-18 საუკუნის დასაწყისში, ისე როგორც მე-17 და წინა საუკუნეებშიაც, ქართლ-კახეთი ეკონომიურად მჭიდროდ გადაბმული იყო სპარსეთთან. მთავარი საქარაენო გზები მიდიოდა ტფილისიდან ყაზახზე და ბამბაკზე. ყაზახის გზა გადიოდა განჯაზე, ბამბაკისა კი — ერევანზე, რომელიც მე-17 საუკუნეში თვალსაჩინო სავაჭრო და ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. ამ მხრივ ერევანს დაკავებული ჰქონდა რამოდენადმე ძველი ანისის ადგილი. სპარსეთიდან საქართველოსკენ მიმავალი სავაჭრო გზები თავს იყრიდნენ უმთავრესად ტფილისში, რომლის ეკონომიური და სავაჭრო მნიშვნელობა ამიტომ ძლიერ დიდი იყო. ტფილისის ბაზარზე ამ მიზეზით ყოველგვარ ხალხის წარმომადგენელი იყო. შარდენი, მაგალითად, ტფილისის გულისხმობით ვადმოგვცემს, რომ ქართლში შეხვედებით სომხებს, ბერძნებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, მოსკოველებს და ევროპელებსაცო. როგორც დიდი სატრანზიტო და საქართველოსთვის კიდევ საქონლის მიმღებ-განმანაწილებელი ქალაქი, ტფილისი იზიდავდა დიდ ვაჭრებს.

¹⁾ Hammer, Gesch. des Osman. Reiches, II, 837.

დიდი საექსპორტო ვაჭრობა უმთავრესად სომხების ხელში იყო, რაც აიხსნებოდა სომხობის და სომხეთის მიერ ძველიდანვე, საქართველოში დასპარსეთმცირე-აზიას შორის გეოგრაფიულ მდგომარეობის გამო, სწრაფად შექმნილ შორის ბუნებრივად საშუამავლო ეკონომიურ როლის თვის თავზე აღების მაზეზით. ასეთი საშუამავლო როლს ხალხთა შორის ეკონომიურ ცხოვრებაში ასრულებდა სომხობა ახალ საუკუნეებშიც, როდესაც ანისის და სხვა სომხურ ეკონომიურ ცენტრების დანგრევის შემდეგ სომხობა იძულებული იყო თავისი გადარჩენილი თუ განთავისუფლებული ენერჯია სხვა უკვე არსებულ ეკონომიურ ცენტრებში დაებანდებინა. ჯერ კიდევ მე-13 საუკუნის ნახევარში ტფილისში ცხოვრობდა მდიდარი სომეხი ვაჭარი უმეკი, რომელიც არზრუმის დაცემის შემდეგ ტფილისში გადმოსახლებულიყო და დიდი გავლენა და საზოგადო პატივისცემა დაემსახურებინა. სომეხი ისტორიკოსი კირაკოსი (მე-13 საუკ.) გადმოგვცემს, რომ უმეკი „იწოდებოდა საქართველოს მეფის დავითის მამად“, იმდენად დიდი იყო მისი გავლენა. მე-14 საუკუნეში, ანისის თანდათან დაცარიელებისას, ტფილისს მოაწვა ახალი ტალღა სომეხ ემინგრანტებისა უკვე ანისიდან. ეს იყო უმთავრესად ხელოსანი და მოვაჭრე ხალხი, რომელიც, საქართველოში გადმოსულთა სახით, უმეტესად ფეხს იკიდებდა ტფილისში და შემდეგ საქართველოს სხვა ქალაქებშიც¹⁾. მე-17 საუკუნეში და მე-18 საუკუნის დასაწყისშიაც სომხობა ტფილისში შეადგენდა მოსახლეობის უდრიდეს ნაწილს. მე-17—18 საუკუნეში ტფილისის მოქალაქე სომხებს ჰქონდათ ცალკე თავისი მართველობა. მათ საქმეებს მართავდა მელიქი, რომელიც თავისს მხრივ ტფილისის მოურავს ემორჩილებოდა. ისინი იყვნენ ხელოსნები, ვაჭრები და დიდვაჭრებიც. შარდენი პირდაპირ ამბობს, რომ სომეხები ქართლში ქართველებზე ბევრად უფრო მდიდრები არიანო. ის აქ, რასაკვირველია, გულისხმობს ტფილისის დიდ სოცდაგრებს, რომელნიც ფულის მხრივ ქართველ თავადებთან შედარებით ბევრად უკეთეს პირობებში იყვნენ. ტფილისში მე-18 საუკ. დასაწყისში მართლაც ბლომად დაგროვილი იყო სიმდიდრე. სომხის მწერალი ესაია მოგვითხრობს, თუ როგორ 1723 წ. კახეთის მეფის მაჰმად-ყული-ხანის (კონსტანტინეს) მიერ ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ მოყვანილ ლეკის ჯარმა აიღო ტფილისი და საშინლად ააოხრა ის. „დიდი ხნიდან, როგორც ყველამ იცის, ამბობს ესაია, ძლიერ მდიდარი და მშვენიერი ქალაქი ტფილისი დასახლებული იყო შრომის მოყვარე ვაჭრებით. ქალები, ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი, კარგად აღზრდილნი და თავისი სილამაზით ცნობილნი, სარგებლობდნენ შეუდარებელ ცხოვრებით, სიმდიდრით და ფუფუნებით. ავეჯეულობა და ნივთები მათ უხვად ჰქონდათ. სომხების ბატონობის დროიდან (აქ იგულისხმება სომეხ მოქალაქეთათვის ცალკე მელიქის თანამდებობის არსებობა) სპილენძის ჭურჭლეულობა შესცვალა ვერცხლისამ. თავისი ტანისამოსი მოქალაქეთ უხვად ჰქონდათ შეკული ძვირფასი ქვებით, აბრეშუმის მატერია უფრო კარგად აჩენდა მარგალიტების შუქს. დეე თქვენმა ფანტაზიამ წარმოიდგინოს დეტალები, რა უნდა ითქვას ეკლესიათა ბრწყინვალეების შესახებ, მათი

¹⁾ ამის შესახებ, სხვათა შორის, იხილეთ ლ. მელიქსეთ-ბეგის, ტფილ. ვაჭრის დარსების საკითხისათვის, ტფ. უნივ. მოამბე IV, 82—91.

ოქროს და ვერცხლის ნივთების და ფარჩეულობის და სხვა დანარჩენ შემკულობის შესახებ. ყველაფერი ეს ხელში ჩაუვარდა სასტიკად ხარბ, გაუმადლარ, სისხლის მსმელ ბარბაროსებს¹⁾. ლეკები დადიოდნენ სახლიდან სახლში და ცარცვადნენ მცხოვრებლებს. ეკლესიებიც გაცარცულ იქნა, გარდა ამისა მაჰმადყული-ხანმა დაადვა ტფილისს კონტრიბუცია 40 ათას თუმანზე მეტი, რომელიც უმთავრესად დაურთვა ლეკებსავე.

ეს აღწერილობა, საილუსტრაციოდ მოყვანილი, რანოდენადმე მაინც გვიხატავს ტფილისის მსხვილ მოქალაქეთა ნივთიერ შემძლებლობას მე-18 საუკუნის დასაწყისში. ეს ნივთიერი შემძლებლობა დამოკიდებული იყო ტფილისის თვალსაჩინო კომერციულ მნიშვნელობაზე. ტფილისიდან გადიოდა ბლომად კახეთის და ქართლის ღვინო. ბევრი ღვინო მიდიოდა პირდაპირ ისპაანში სპარსეთის შაჰის კარის საჭიროებისათვის (შარდენის ცნობა). ტფილისის მოქალაქეთა დიდ ვაჭრობის დარგს წარმოადგენდა ბეწვეულობა, რომელიც იგზავნებოდა სპარსეთში და არზრუმისკენ კოსტანტინოპოლის ბაზრისთვის (ტურნეფორის ცნობა). ქართლ-კახეთიდანვე გადიოდა ბლომად აბრეშუმი უკვე ოსმალეთის მიმართულებით, არზრუმისკენ და სხვა ადგილებისკენ (შარდენის ცნობა). აბრეშუმი გაქონდათ აქლემის და ცხენის საპალნეებით²⁾. ტურნეფორის ცნობით (1701 წ.), აბრეშუმი როგორც ადგილობრივი, ისე შემახის და განჯისა არ გადიოდა ტფილისზე ბაჟის გარდახდის თავიდან ასაცილებლად. სომეხი-ვაჭრები აბრეშუმს უმთავრესად ყიდულობდნენ სათანადო ადგილებში და შემდეგ ის გაჰქონდათ სპირნისკენ და ხმელთაშუა ზღვის სხვა ნავთსადგურებში ევროპაში გასასყიდად. ტფილისის რაიონიდან და აგრეთვე ქართლ-კახეთის სხვა კუთხეებიდან ყოველწლიურად გადიოდა არზრუმისაკენ 2 ათასი საპალნე ენდრო. ეს ენდრო მიდიოდა არზრუმისაკენ და იქიდან შემდეგ საღებავ მასალად დიურბეკის ქარხნებში, სადაც ამზადებდნენ ტილოებს პოლონეთისთვის. ენდრო ქართლ-კახეთიდან მიდიოდა აგრეთვე ინდოეთშიდაც, სადაც მზადდებოდა საუცხოვო ფერადი ტილოები³⁾.

გარდა ამისა ტფილისიდან გადიოდა კიდევ მატყლი, ერბო, თაფლი და სხვა, ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მიმართულებით, ნაწილი კიდევ საზღვარგარედ. ტფილისში შემოდებოდა ფარჩეულობა თავრიზიდან და ურდვარიდან (ორღუბათიდან), სადაც ფარჩის ქარხნები იყო, გელაქნური თევზი, სხვადასხვა წვრილმანი სავაჭრო საქონელი, ეგრედწოდებული საყათი (სანელებელი, აბრეშუმეულობა და სხ.), მარილი, შაბი, ზეთუნის ზეთი და სხ., გადასახიდი საშუალების მიხედვით იხსენიება აქლემის, ცხენის, ხარის, ჯორის და ვირის საპალნე⁴⁾. საქონელი, მაშასადამე, კარგი გზების უქონლობის გამო გადაჰქონდათ კურტნობით. თუმცა ამგვარად დიდი შარა-გზები, ყოველს შემთხვევაში, ფართო სატრანზიტო ვაჭრობისთვის გამოსაყენებლად ცოტა იყო, მაინც

1) *Укрупняе съемае и саяе къаѣиѣхъ Мелланѣе*, იერუს., 1868, გვ. 56—58.

2) დასტურდამალი § 210.

3) Tournefot, Voyage du Levant, II, 233.

4) დასტურდამალი § 210 და სხვაგან. ხარის საპალნე იხსენიება ქალაქის ბაჟის 1736 წლის ბაჟის ნუსხაში (დასტურდ. ბელნაწ., გადაწერილი 1789 წელს დაეთო რეგისტორის მიერ, ს. კავაბ. კუთვნი.).

მთავრობა ლეზულობდა ზომებს არსებულ გზების დასაცავად ქართლში, მაგ., განსაზღვრული მიმართულების გზების შოვლა მინდობილი ჰქონდა ცალკე გვარებს და სოფლებს¹⁾.

ზემოდ მოხსენებულ ცნობებიდანაც ცხადად სჩანს, რომ ჰქონდა თვალსაჩინო სატრანზიტო მნიშვნელობა. ბევრი ზემოდ ჩამოთვლილ საქონლისაგან და აგრეთვე სხვა კიდევ საგულისხმებელ ნედლ მასალისაგან აღვილობრივ არ ჩერდებოდა, არამედ ტფილისზე გადიოდა ტრანზიტით. მაგ., განჯიდან ოსმალეთისკენ მიმავალ აბრეშუმს ტფილისზე უნდა გაეარა²⁾.

ტფილისში, მისი სატრანზიტო მნიშვნელობის გამო, იყო კარგი ქვის ქარვასლა უცხოელების ჩამოსახტომად. ტფილისს ამშვენებდა აგრეთვე ვრცელი ბაზარი, ქვისაგან გაშენებული და კარგად დაცული (შარდენის ცნობა). ნოღად დუქნების რიცხვი ტფილისში 1705 - 1709 წლებში 200 იყო³⁾.

მთავარი ეკონომიური დამოკიდებულება აღმოსავლეთ საქართველოს და მის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პუნქტს ტფილისს ჰქონდა ამ დროს, ისე როგორც წინა ხანებშიც, სპარსეთთან. მთავარი სავაჭრო გზები, რომელნიც ასახრდობდნენ აღმ. საქართველოს, სწორედ სპარსეთისკენ მიდიოდა ყაზახ-განჯა და ლორე-ბამბაკის მიმართულებით. ყაზახის გზა ერთი მთავარი არტერიათაგანი იყო, რომელიც ტფილისს და მაშასადამე ქართლ-კახეთს აერთებდა საზოგადოდ სპარსეთის ჩრდილოეთ პროვინციებთან. ქართლისა და განჯის სახანოს საზღვარზე მდ. ხრამზე გაშენებული იყო მშვენიერი ქვის ხიდი ქარვასლითურთ. „ეს ხიდი, მოგვითხრობს შარდენი, მდებარეობს ორ გორაკს შუა, რომელთაც ერთმანეთისაგან მდინარე ჰყოფს. ხიდი დანყარებულია ოთხ სხვადასხვა სიმაღლის და სიფართის თაღზე, თაღებს აქვს არასწორი ფორმა, რადგანაც ისინი ამოშენებული არიან წყალში მდებარე ორ კედელზე. განაპირა ბურჯებს აქვთ ღია ნიშები, რომლებში გაშენებულია პატარა ოთახები. ოთახებს აქვს ბუხარი და დერეფანი. მდინარის შუა ნაწილზე მოყოლილ თაღს აქვს გასავლელი ერთი ბოლოდან მეორემდის გამჭვირვალედ. ამ გასასვლელის თავებში მოთავსებულია ორი ოთახი და ორი დახურული აივანი, რომლებიც ზაფხულში ფრიად სასიამოვნოდ დროს გასატარებელი არის. ამ ოთახებისა და აივნისკენ მიდის ორი კიბე, თაღში გაკეთებული. ამ ლამაზ ხიდის გვერდით გაშენებულია ქარვასლა, რომელიც ებლა (1673 წ.) უკვე დაძველებულია და ინგრევა. შენობა ყოფილა საუცხოვო. ის შეიცავს ბევრ ოთახს მდინარის მხარეზე. თითო ოთახს აქვს აივანი. მთელს ქართლში მე არ შევხვედრივარ არც ასეთ ლამაზ ხიდს და არც ასეთ ლამაზ ქარვასლას“-ო, ამბობს შარდენი.

როგორც სავაჭრო გზების მთავარ მიმართულების მიხედვით, ისე ფულის სისტემის მხრივაც ქართლ-კახეთი უფრო მეტად დამოკიდებული იყო

1) დასტურდ. § 42.

2) ქალაქის ბაჟის 1736 წლის ნუსხა. დასტურ. — ხელნაწ. ს. კაკაბ. საკუთრ.

3) ეს ციფრი მოღებულაა შემდეგნაირად: დასტურ. სიტყვით (§ 44). „დუქნის თავს თვეში ერთხელ თითო შაური საბატონოდ ქალაქში მოგროვდებოდა. ეს შაური წლამდინ თორმეტს თუმნამდის მიაღწევს“, თითო დუქანს წელიწადში შემოქონდა 12 შაური, 12 თუმანი კი შემოვიდოდა 200 დუქნიდან.

სპარსეთისაგან. ტფილისში და ქართლ-კახეთში უმთავრესად ტრიალებდა სპარსული ფული ან და ადგილობრივი, მაგრამ სპარსული სისტემის და სახელწოდების დაცვით მოჭრილი საფასე: მინალთუნი, აბასი, მუხრანი, ბისტი, ფული, აგრეთვე თუმანი (როგორც მსხვილი კრებითი სახელწოდებით მცირედ, მაგრამ იხმარებოდა ოსმალური საფასეც. კიდევ უფრო მცირედ, მაგრამ მაინც შემოდიოდა ევროპის სახელმწიფოების ფულიც. ოსმალური საფასე და განსაკუთრებით ოქროს დუკატები (არ'ლანები) შემოჭონდათ ევროპიელ ვაჭრებსაც¹⁾.

აღსანიშნავია, რომ ცოტა ადრე, მე-17 საუკუნეში, სპარსეთს დიდი ეკონომიური ზედგავლენა ჰქონდა დასავლეთ საქართველოზედაც. სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი, იტალიელის არქანჯ. ლამბერტის ცნობით, სპარსულ აბაზებს სჭრიდა.

იმერეთის მეფე მე-1660 წლებში აგრეთვე სპარსული სისტემის ფულს სჭრიდა მხოლოდ ერთ მხარეზე სპარსული და მეორეზე თავისი საკუთარი წარწერით²⁾. მხოლოდ მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან იმერეთი უფროდაუფრო უკავშირდება ეკონომიურადაც ოსმალეთს.

თავისთავად იგულისხმება, რომ ფეოდალურ წყობილების ხანაში, რომელშიაც მე-18 საუკ. დასაწყისს ჯერ კიდევ იმყოფებოდა საქართველო, დიდ საეპროგზებს ჰქონდათ მხოლოდ განსაზღვრული ეკონომიური მნიშვნელობა. არა თუ საგარეო ექსპორტი და იმპორტი, შინაური ბაზარიც ჯერ კიდევ შედარებით სუსტი იყო. ტფილისის საბაჟოს შესახებ არსებულ ცნობის მიხედვით მე-18 საუკუნის პირველ წლებში ტფილისში და ტფილისზე, გარდა პურისა, ღვინისა, ხორცისა და სხვა ხორაგოულობისა, შემოდიოდა და გადიოდა ნედლი მასალა და დამუშავებული ნივთიულობა დაახლ. 120 ათ. მინალ³⁾. მინალ. ამ დროს 8 მის. ვერცხ.

1) ამას ადასტურებს ვახტანგის სამართლის § 16, სადაც ოსმალურ საბუღალტროების ფულის შემოტანად ევროპიელებიც იგულისხმებიან.

2) Tavernier, op. c. II, 365. იმერეთში მოჭრილ ფულს შედარებით სპარსულთან 2% აკლდა. ეს იყო, როგორც სჩანს, იმერეთის ხაზინის მოგება.

3) ეს ციფრი ნაანგარიშევიან შემდგენიანად: ტურნეფორის სიტყვით (Voyage... II, 131) ტფილისის საბაჟოს შემოჭონდა წელიწადში 500 თუმანი. ამ თანხაში შედის არაყ-ხანის და ხილის (ნესვის) ბაჟი (იქვე). არაყ-ხანას, დასტურლამალით (§ 12), შემოჭონდა წლიურად 35 თუმანი, ხილის (ნესვის) ბაჟი კიდევ 6 თუმანს იძლეოდა. საფიქრებელია, რომ ამ თანხაში იგულისხმება სხვა იჯარა და ბაჟებიც. ასეთი დასტურლამალში ჩამოთვლილია: აბანოს იჯარა (§ 11) 12 თუმ., დუქნებისა (§ 44) 12 თუმ., დაბალ-ხანის (§ 48) 28 თუმ., თევზის ბაჟი (§ 68) 16 თუმ., ტყავისა (§ 168) 20 თუმ., ტივისა (§ 169) 2 თუმ. და 2 მინალთუნი, სულ არაყ-ხანის და ხილის ბაჟთნ ერთად 1287 მინალთ. ამას უნდა მიემატოს კიდევ ტყვის ბაჟი (§ 82) და ყასაბ-ხანის იჯარა (§ 197), რომელიც ნაჩვენები არ არის. მთელი ეს იჯარები და ბაჟები იქნებოდა დაახლოვებით 1700—1800 მინალთ. რჩება საბაჟოს შემოსავალი დაახლ. 3200 მან. ამ თანხაში იგულისხმება ყაფნის ბაჟიც. 1801 წლის ცნობებით ტფილისში ყაფნის ბაჟის შესატყვისობა საკუთრივ საბაჟოს გარდასაჩადებთან შეადგენდა 1:16 (Акты казак. архива, ком. I, 479). 3200 მანეთს მაშასადამე უნდა გამოაკლდეს 200 მანეთი და მიეღებთ 3 ათ. მანეთს, რომელიც უნდა იყოს 1702 წლისთვის ტფილისში შემოტანილ და ტფილისიდან გატანილ საქონლის ბაჟი. სხვადასხვა საქონელზე ბაჟი სხვადასხვა ზომის იყო დადებული. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქონელზე დადებულ ბაჟს ჩელიექის (ანუ მეორმოცედის) ბაჟი ერქვა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ბაჟი უდრიდა დაახლოვებით საქონლის ღირებულებებს $\frac{1}{10}$ -ს. ამისდამიხედვით ტფილისში შემოტანილ-გატანილ საქონლის ტრიალი უდრიდა მე-18 საუკ. დასაწყისში დაახლო-

საქონელი და ნედლი მასალა რომელიც აქ იგულისხმება, არის შემდეგი: თავრი-
ხის და ურდვარის (ორდუბაოის) ფარჩა, საყათი (სხვადასხვა წარმოქმნიულობა),
აბრეშუმი, ბამბა, ენდრო, ერბო და თაფლი, წინდულოვანი ქაღალდი, ბრინჯის
რკინა, შაბი, მარილი, ქიშმიში, თამბაქო, ზეთი, ორაგული, გელაქსური, ხმელი
თევზი¹⁾. ამ 120 ათ. მინალთუნში საგარეო ექსპორტს და იმპორტს ეჭირა თვალსა-
ჩინო ადგილი, როგორც ეს ბაჟის დასადებ საქონლის სახელებიდანაც სჩანს.
საკმარისია ითქვას, რომ მარტო ორი ათას საპალნე ენდროს, რომელიც უმთავ-
რესად ტფილისზე მიდიოდა არზრუმისკენ, საბაგოსთვის შემოქონდა დაახლოვე-
ბით 600 მან., ანუ მთელი ტფილისის საბაგოს შემოსავლის ერთი მეხუთედი²⁾.
ტფილისის შემდეგ ქართლში მეორე საკმაოდ თვალსაჩინო სავაჭრო პუნქტს
გორი წარმოადგენდა. გორში შარდენის დროს იყო ქარვასლაც. მცხოვრებლები,
მისივე სიტყვით, ყველა მოვაჭრეები იყვნენ და საკმაოდ შეძლებულნიც. გორი
აწარმოებდა საგარეო ვაჭრობას ახალციხის საფაშოსთან და იმერეთთან. გორის
ეკონომიური წონაობა ტფილისთან შედარებით შეიძლება განიხილოს რიცხვით
1:8. ეს ციფრი გამოხატავს დაახლოვებით ურთიერთთან შედარებით გორისა
და ტფილისის ეკონომიურ შემძლებლობას მე-18 საუკ. დასაწყისში³⁾.

მაგრამ ტფილისი და გორი და სხვა ქალაქები წარმოადგენდნენ არა მარ-
ტო სავაჭრო პუნქტებს. ტფილისში გარდა დიდ და ფართოდ განვითარებულ
ვაჭრობისა რამოდენადმე ფეხმოკიდებული იყო წარმოებაც. მწარმოებელი უმთა-
ვრესად ხელოსნები იყვნენ. ხელოსნებს ჰქონდათ თავიანთი კავშირი, რომელსაც ას-
ნაფი ერქვა (დასტურლ. §24,64). ასნაფი — არაბული სიტყვაა მრავლ. რიცხვით
და ჯგუფებს, წრეებს ნიშნავს. რადგანაც ეს სიტყვა სპარსულში ამ მნიშვნე-
ლობით არ იხმარება, ამიტომ შესაძლებელია ის ძლიერ ძველ, ჯერ კიდევ არა-
ბების დროინდელ მე-8-10 საუკუნის ტფილისის საქალაქო ცხოვრებასთან იყოს
დაკავშირებული. სახელოსნო სახლს სპარსული სახელწოდებით ქარხანა ერქვა.
ტყავის გამოსაყვან ქარხანას სპარსულივე სახელწოდებით დაბალ-ხანა ერქვა,
ქურჭლეულობისას — ქუზი-ხანა. იყო კიდევ სამღებრო ქარხნები და სხვა ანა-
ლოგიური სამრეწველოები⁴⁾.

1707 წლის ახლოს დაიწყო მუშაობა ტფილისში სტამბის გასახსნელად. ამ
სტამბიდან, რომელიც იყო პირველი საქართველოს ტერიტორიაზე, 1709 წელს
გამოვიდა მასში დაბეჭდილი წიგნი — სახარება (ხუცურად), რასაც მიყვა სხვა წიგ-
ნებით 120 ათ. მანეთს წლიურად. ამ თანხაში არ შედის პური და სხვადასხვა ზორაგოულობა,
რომელსაც, გარდა შემოტანილ თევზისა, ბაჟი არ ედვა.

¹⁾ დასტურლ. § 210.

²⁾ ენდროზე დადებული იყო ბაჟი: აქლემის საპალნეზე ორი აბაზი, ცხენიაზე — აბაზი,
ორთ შუა რიცხვით მამასადამე ექვსი შაური. აქედან 2 ათ. საპალნე ენდროს ბაჟი უდრის 600
მანეთს. ხალხი მთლად შემოტანილ-გატანილ საქონლის ბაჟი ტფილისში 3 ათასი მან. იყო.

³⁾ ვახტანგ V-ის დასტურლამალი გადმოგვცემა, რომ სპარსეთის ხელმწიფის ფეშტაშის-
თვის ტფილისს მეფისთვის 100 თუმანი უნდა შეეწია (§ 182). ამავე მიზნისთვის გორს 12 თუმანი
გაეწერებოდა. ეს ციფრები, ჩვენის აზრით, რამოდენადმე მაინც წარმოადგენას გვაძლევს ტფი-
ლისისა და გორის შედარებით ეკონომიურ შემძლებლობის შესახებ.

⁴⁾ დასტურლ. §§ 92, 124, 125. შეად. პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევა —
ქალაქები, საქალ. წესწყობილ. და ცხოვრ. ვითარება საქართველოში მე-17 — 18 საუკ., ჟურნ.
პრომეთე № 1, 1918 წ.

ნებიც როგორც უმთავრესად ხუცურად, ისე მხედრულადაც. 1712 წ. გამოვიდა მხედრულად ვეფხის-ტყაოსანიც. ეს იყო ახალი დარგი წარმოებისა, რომელიც უკვე განვითარებულ მუშაკთ თხოულობდა.

ტფილისი ამნაირად წარმოადგენდა ადგილობრივი მასშტაბით სამრეწველო ცენტრსაც. ამ მხრივ ის თავისი მოქალაქე მოსახლეობით და მდიდარ ვაჭრებით ძირითადად განსხვავდებოდა პროვინციისაგან, რომელიც უშუალოდ ფეოდალურ წყობილების ნორმების ქვეშ ცხოვრობდა. მართალია, ქართველ თავადების მამულები აზნაურებით და გლეხებით უმთავრესად ცალკე ტერიტორიულ ერთეულებს არ წარმოადგენდნენ, არამედ ეს მამულები უფრო ხშირად გადაბმული იყო ქართლში და დანარჩენ ქართულ სამეფო-სამთავროებშიც სამეფო და საეკლესიო მფლობელობასთან, მაგრამ თავადებს და განსაკუთრებით დიდ შემძლე გვარებს ჰქონდათ მაინც ფრიად მნიშვნელოვანი გავლენა. დიდ-დიდი გვარეულობანი ჯერ კიდევ გაუყოფელნი იყვნენ, თითო ასეთ გვარს განაგებდა გვარის უფროსი—თავი ბატონი. მე-18 საუკუნის დასაწყისში ითვლებოდა ოთხი დიდი გვარეულობა, რომელთა თავი—ბატონები დიდებულებად იწოდებოდნენ¹⁾. ამავე გვარების დანარჩენი წევრები მეორე ხარისხოვან თავადებად ითვლებოდნენ. სხვა გვარების თავადები კი მესამე ხარისხისა იყვნენ. აზნაურებიც სამ ხარისხად იყვნენ გაყოფილნი. ამას მიყვებოდა მსახური და შემდეგ გლეხი. საყურადღებოა, რომ დიდ-ვაჭარი უდრიდა მდგომარეობით მეორე ხარისხოვან აზნაურს, თუმცა აზნაური მაინც არ იყო. მეორე ხარისხოვანი ვაჭარი უდრიდა მესამე ხარისხოვან აზნაურს და მესამე ხარისხოვანი ვაჭარი—მსახურს. თავადს თავის საბატონოში რამოდენადმე მოსამართლის ფუნქციებიც ჰქონდა მიკუთვნებული. ზოგ დიდ თავადის სამფლობელოში ძველი დროიდანვე არსებობდა საბაჟო. საორბელიშვილოში, —მაგალითად, ბოლნისში, კიდევ მდ. მაშავერზე მე-16 საუკ. დბანისში, ხოლო მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ქვეშში—იყო ორბელიშვილების საბაჟო²⁾. ასეთივე საბაჟოები იყო მცხეთაში, ქიზიყში, ლიხთ-იმერეთს საწერეთლოში, რაჭაში და სხვაგანაც. ამ საბაჟოებში გამვლელ-გამომვლელი ქარავანი იხდიდა საპალნეების მიხედვით დადებულ გარდასახადს. თავისთავად იგულისხმება, ეს საბაჟოები წარმოადგენდნენ დიდს დაბრკოლებას ეკონომიურ ურთიერთობის განსავითარებლად.

საბაჟოები, სამართლის წარმოების ფუნქციები, საკუთარ სამფლობელოში ჯარის შეკრების უფლება, დაკავშირებული კიდევ მართებლობაში რომელიმე მაღალი თანამდებობის მემკვიდროებით ქონასთან, ყველაფერი ეს აძლევდა დიდებულ თავადს და საზოგადოდ მის გვარს-ძალიან დიდს გავლენას და ძალას. დიდებულ თავადის გვარეულობის შეძლების საილუსტრაციოდ საინტერესოა, რომ მე-1720 წლებში საორბელიშვილო, მაგ., შეიცავდა 93 კომლს აზნაურს, 1118 კომლს გლეხს სათავადოს და სააზნაუროს, 263 კომლს ბოგანოს, 698 კომლი კიდევ აყრილი იყო და სხვაგან გადასახლებული. აყრილ კომლების ეს სიმრავლე

¹⁾ ეს გვარები იყვნენ მუხრან-ბატონის სახლი ბავრატიონთა დინასტიის ერთი შტო და გარდა ამისა არავეის ერისთავის, ქსნის ერისთავის, ამილახორის, ორბელიშვილის, რომელიც შემდეგ ორბელიანად იწოდებოდა, სახლი. ამათ მიეკუთვნა სომხეთის მულიქის სახლიც.

²⁾ ქრონიკ. II, 443, საისტ. შთამ. I, 188, AK¹K. I, 481.

აიხსნება უმთავრესად მე-1720 წლებში ქართლის სამხრეთ პროვინციებისთვის შექმნილ მეტის-მეტად ცუდ მდგომარეობით ოსმალების შემოსვლის და ქართლში მათი დამკვიდრების დროს. ამავე საორბელი შვილსა და მისი ძეგლი მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში შეადგენდა დაახლოვებით 400-500 თემს¹⁾. მაგრამ ასეთივე დაახლოვებით შეძლებული გვარეულობა მხოლოდ რამოდენიმე იყო. თავადების დიდი უმეტესობა ბევრად უფრო ნაკლებ შეძლებისა იყვნენ, ზოგნი ლარიზნიც, აზნაურთა შორის დიდ უმრავლესობას 1-5 კომლი ყავდა²⁾. თავადები ცხოვრობდნენ ციხე-კოშკებში, რაც შეეხება გლეხებს, მათს საცხოვრებელს მე-18 საუკუნის დასაწყისში შეადგენდა მიწურები, რომელიც მიწის სიღრმეში იმყოფებოდა ანდა მიწის ზევით მხოლოდ სანახევროდ სჩანდა³⁾. ასეთი მიწურები თანამედროვე ქართლისთვისაც რამოდენადმე მაინც ნაცნობ სურათს წარმოადგენს.

ქვეყანა ამგვარად ფეოდალურ წყობილების ნორმებში იმყოფებოდა რაც დამახასიათებელი იყო არა მარტო ქართლისთვის, არამედ ქართულ სხვა სამეფო-სამთავროებისათვისაც, და უმთავრესად დაყრდნობილი იყო საშინაო მეურნეობას. საშინაო ხასიათი ჰქონდა წარმოებას ქალაქებშიდაც. მართალია საგარეო ვაჭრობა კერძოდ იმპორტის მხრივ, მარილის და თევზეულობის გარდა, ფუფუნების და ტექნიკურ ნივთებით (ფარჩეულობა, სხვადასხვა წვრილალეულობა) განისაზღვრებოდა, და არც თუ ძლიერ განვითარებულად სჩანდა, მაგრამ მას მაინც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა არა მარტო საქონლის გაცვლა-გამოცვლის თვალსაზრისით, არამედ კულტურულ ღირებულობათა შემოტანის მხრივაც. მე-17-18 საუკუნის მიჯნაზე სჩანს სპარსეთის და ოსმალეთის გარდა ევროპასთანაც თუნდაც სუსტ, მაგრამ მაინც ეკონომიურ და კულტურულ დატვის გაბმის მისწრაფება. ტურნეფორი 1701 წელს გადმოგვცემს, რომ მეფის სასახლის ფანჯრებს ტფილისში ამშვენებდა ვენეციური შუშები. სტამბის გასახსნელად ტფილისში ვახტანგ VI-ის დროს საჭირო ხელოსანი მიხეილ სტეფანოვიჩი გამოწერილ იქნა ვალახეთიდან. ევროპასთან კულტურულ ურთიერთობის გაბმის ცდის მხრივ საყურადღებოა ცნობილ ლექსიკოგრაფის საბა-სულხან ორბელიანის ევროპაში გამგზავრება. ეს მოგზაურობა შემდეგ თვით საბამ აღწერა. საქართველოს უკვე ეწყებოდა ახალ ძიებათა ხანა და ამისი მთავარი მიზეზი იყო კერძოდ ქართლ-კახეთისთვის სპარსეთის იმპერიის დაცემის უკვე აშკარად დაწყება.

სპარსეთის თანდათანობით დაცემა, რომელიც, მიუხედავად გარეგან ძლიერებისა, მე-16 საუკუნიდან ცხადად სჩანს, სხვათა შორის, კულტურულ შემოქმედების უკვე მიღწეულ წერტილზე თითქმის სავსებით გაჩერებითაც, მე-18 საუკუნის მე-20 წლებში დასრულდა სპარსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ცხოვრების კატასტროფით. ეკონომიურ ძალების შესუსტებამ შეარყია სპარსეთის კეთილდღეობა და გამოაცალა ნიადაგი იმპერიის ძლიერებას. იმპერიის, და იმავე დროს სეფიანთ დინასტიის მესაფლავეებად ავღანელები გამოვიდნენ, რომელნიც მე-17 საუკუნის დასასრულიდან მედგარ და მუდმივ აქტივობას იჩენდ-

1) ს. კაკაბაძე, საქართველო. ისტორია, ახალი საუკუნეების ეპოქა, ტფ. 1922 წ., 120.

2) ი. ანთაძე, ყმების მფლობელობას ხასიათი საქართველოში, პეტროგრ. უნივ. სამეცნ. წრის კრებული, ტფ. 1915 წ., 48.

3) Tournefort, Voyage... II, 129.

ნენ სპარსეთის აღმოსავლეთით. სპარსეთი ენერგიულ ბრძოლას აწარმოებდა მათ შემტევ პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას შეეწირა სხვათაგან-სპარსეთის ჯარის ორი სპასალარი (მთავარსარდალი) — ქართველ-მეფე-გურჯი XI († 1709 წ.) და მისი ძმისშვილი ქაიხოსრო († 1712 წ.). 1722 წ. იანვარში ავღანელების ემირი მაჰმუდი დაიძრა ყანდაარიდან. მას ყავდა სულ 25 ათასი კაცი. მაგრამ ამ მცირეოდენი ჯარით მან ნელ-ნელა მოახერხა მთელი სპარსეთის გადალახვა და შემდეგ შიადგა სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპაანს. თუმცა ისპაანს 40 ათ. კაცი იცავდა და გარდა ამისა ამ ქალაქში 600 ათ. მცხოვრები ირიცხებოდა, მაგრამ სპარსეთის სახელმწიფო აპარატის სრული დეზორგანიზაციის გამო მაჰმუდმა თავისი მცირერიცხოვანი ჯარით ალყა შემოარტყა ამ მჭიდროდ დასახლებულ ქალაქს, რომელიც იძულებული გახდა უსურსათობის გამო დანებებოდა მტერს. შაჰ-ჰუსეინმა თითონ დაადგა შაჰის გვირგვინი ავღანელების წინამძღოლს, რომელიც ამნაირად გახდა სპარსეთის მბრძანებელი.

ამის შემდეგ სპარსეთში იწყება ხანგრძლივი ხანა ანარქიისა, შინაურ ომებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაშლისა. მაჰმუდმა დაიწყო თავისი მოღვაწეობა იმით, რომ ამოსწევითა სპეციალურად გამართულ ნადიმზე სპარსეთის 300 ყოფილი ვეზირი და ხანი, თავისი ხელით დაკლა სეფიანთ დინასტიის მამაკაცი-წევრები (39 სული) და საზოგადოდ დაამკვიდრა საშინელი ტერორი. სპარსეთმა ავღანელების შემოსევისა და ამ ტერორის დროს დაკარგა 1 მილ. სულამდის.

ავღანელების ბატონობა სპარსეთში ხანმოკლე გამოდგა. მალე სპარსეთი ისევ იკრებს თავის ძველს ძალას და მოხუცი დაძაბუნებული ლომი ერთხელ კიდევ ცდილობს მრისხანედ ფეხზე წამოდგომას. ნადირ-შაჰის დროს (1736 — 1747 წ.) სპარსეთი ისევ ირაზმება, ანთავისუფლებს ქართლს ოსმალებისაგან, რომელნიც შემოვიდნენ ტფილისში ავღანელების მიერ სპარსეთის დაპყრობის შემდეგ, და სხვათაშორის ილაშქრებს ინდოეთისაკენ, საიდანაც, სახელდობრ ჩრდილ. ინდოეთიდან, გამოაქვს აუარებელი, საუკუნეებით დაგროვილი სიმდიდრე, მაშინდელივე ღირებულების მიხედვით 440 მილ. მანეთად ღირებული. მაგრამ ვერც ამ ნაცარცვმა და თვით ნადირ-შაჰის ავადმყოფურმა გენიოსობამ ვერ უშველა სპარსეთს. ის უკვე განწირული იყო ბედისაგან, მოკლებული იყო განვითარებისათვის საჭირო საფუძვლებს და ცხოველყოფელ ძალას. სპარსეთი ნადირ-შაჰის შემდეგ კვლავ ვარდება ანარქიისა და შინაურ დაშლის ხანგრძლივ პროცესში და როდესაც მე-1780 წლებში სპარსეთი ისევ იწყებს ალა-მაჰმად-ხან ყაჯარის ხელმძღვანელობით მთლიან სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოწყობის ცდებს, ის წარმოადგენდა უკვე მთლად დასუსტებულს და ძალა გამოლეულ ქვეყანას.

თუ როგორ კატასტროფიულად დაეცა სპარსეთი მე-18 საუკუნის სიგრძეზე, ამისი მაჩვენებელია, სხვათა შორის, ის გარემოებაც, რომ მაშინ როდესაც მე-17 საუკუნის დასასრულს სპარსეთი შეიცავდა 40 მილ. მცხოვრებს, მე-1780 წლებში, მართალია ზოგიერთ ჩამოშორებულ პროვინციების ჩამოკლებით (უმთავრესად ავღანისტანის), მაგრამ მაინც ის შეიცავდა მხოლოდ 10 მილ. მცხოვრებს¹⁾. დიდი ქალაქები დაპატარავდნენ და მე-18 საუკუნის დასასრულიდან

¹⁾ ს. კაკაბაძე, საქართ. ისტ. ახალი საუკ. ეპოქა, 216.

სპარსეთის სატახტო ქალაქად გახდა თეირანი, რომელიც მოსაგონრ/დაც ვერ შეედრებოდა ვერც სიდიდით და ვერც გარეგანი ბრწყინვალეობით წინანდელ ისპაანს.

სპარსეთის იმპერიის დამსხვრევას ავღანელების მიერ მოყვა ქართლ-კახეთისთვისაც დიდი შედეგები. სპარსეთის კატასტროფით მოინდომა სარგებლობა ოსმალეთმა, რომელიც ამოძრავდა სხვათა შორის კავკასიის ფარგლებშიდაც. არ იჯდა გულხელდაკრეფილი რუსეთიც, რომელიც მე-17 საუკუნის სიგრძეზე საქმოდ დაახლოვებული იყო ამიერ-კავკასიასთან — დალისტნის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ხაზზე მოკალათებით. პეტრე დიდი თითონ ჩაუდგა სათავეში რუსის ჯარს და აიღო ტერგი, დარუბანდი და ბაქოც. თუმცა დროებით, მაგრამ რუსეთი ამ დროს ფეხს იკიდებდა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზედაც.

დიდ სახელმწიფოების ამ მიწევ-მოწევამ და მათმა ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართულმა პოლიტიკამ საშინლად არია ქართლ-კახეთის საქმეები, გაამწვა ქართველებში შინაური ურთიერთობა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო ქვეყანა. ზემოდ უკვე მოხსენებული იყო, თუ რა ამოხრებელი შედეგი ჰქონდა კერძოდ ტფილისის მიმართ კახეთის მეფის მაჰმად-ყული-ხანის (კოსტანტინეს) მიერ ლეკების დახმარებით 1723 წ. ტფილისის აღებას. ამის შემდეგ ტფილისის აოხრებით დასუსტებული ქართლი ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს ოსმალთ, რომელნიც იკავებენ ტფილისს იმავე 1723 წ. ოსმალნი მკვიდრდებიან აღმოსავლეთ საქართველოშიც, ხოლო ქართლის მეფე ვახტანგი დიდძალი ამალით, რომელშიდაც შედიოდა ქართლის ინტელექტუალური ძალის საუკეთესო ნაწილი, სულ 1200 კაცის თანხლებით მიდის რუსეთს.

ოსმალების ბატონობა ქართლში იყო მეტისმეტი მძიმე პოლიტიკურად და გამაღარიბებელი ეკონომიურად. ახალი ხელისუფლება, რომლის წარმომადგენელთა შორის ბლომად იყვნენ მესხეთის ქართველი მაჰმადიანები, ხშირად ჩადიოდა ძალადობას, აწიოკებდა და არბევდა ხალხს. ოსმალთა ასეთი თვითნებობა და ამით გამოწვეული ხალხის აუტანელი მდგომარეობა დადასტურებულია ოფიციალურ ოსმალურ დოკუმენტებშიდაც. 1726 წელს ოსმალეთის სულთანი თავის ფირმანში ტფილისის და ჩილდირის მმართველის, ვეზირის ისაკ-ფაშის (შთამომავლობით მესხეთის ათაბაგთა სახლის შვილის), სახელზე სწერს, რომ „საქართველოს პატრიარქმა დომენტიმ მოაწოდა ჩვენს წმიდა კარის ზღრუბლს ცნობა, რომ მისი კუთვნილ სოფლების მცხოვრებნი, სხვადასხვა ბოროტმოქმედთა ძალადობის გამო, არეულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ნაწილობრივ კიდევ გაიქცნენ და გაიფანტნენ. ამიტომ საჭიროა მათ შორის წესრიგის დამყარება, ხოლო გაქცეულნი უნდა დაბრუნებულ იქნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე და მათ უნდა დაენიშნოს პატრიარქის მხრივ მოურავი. თუმცა ამის შესახებ ამას წინად გამოცემული იყო ჩვენი უმაღლესი ფირმანი, მაგრამ წმიდა ნება ჩვენი არ იქმნა ადგილობრივ ხელისუფლების მიერ შესრულებული“ და ამიტომ ხელახლავ ვბრძანებთო და სხ. ¹⁾

¹⁾ Акты кавк. археогр. ком. I, 72.

ოსმალების ამ მძლავრებამ ყოველგვარი ძალა გამოაცალია როგორც ქართლს, ისე კახეთსაც. განსაკუთრებით კახეთი ამ დროს საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. „ლეკთა რბევის გამო მრავალი სული გასწყდა, მრავალი დატყვევდა, ხოლო დანარჩენთაგან ბევრმა მუდმივ ძალადობისაგან თავის დასაღწევად არჩია მაჰმადიანობაში გადასვლა. მთელი ქიზიყი და ალაზნის გაღმა მხარი საბოლოოდ გალექებისა და გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი... ჩრდილოეთი ნაწილი კახეთის კი მთლად სიმაგრეებში იყო გახიზნული“).

ასეთი იყო კახეთის მდგომარეობა, როდესაც ახალგაზრდა 15 წლის ერეკლე ბატონიშვილმა (შემდეგ მეფე ერეკლე II) თავისი მამის თეიმურაზ კახ-ბატონის ხელმძღვანელობით დაჰკრა ღონივრად ნეიშინის მინდორზე ქიზიყის წასახდენად წამოსულ ლეკის ჯარს, რომლის შემდეგ სიკვდილის პირზე მისულ კახეთს კვლავ დაეტყო სიცოცხლის ნიშნები.

პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას აძლიერებდა საერთო ეკონომიური გაჭირვება, რომელსაც ხელს უწყობდა სპარსეთის საწარმოვო ძალების დაცემა, დიდ საქარაუნო გზების არევა და, ზოგიერთ უფრო გამწვავებულ მომენტში, მათი სრულიად აღკვეთაც. განსაკუთრებით სპარსეთთან ეკონომიური ურთიერთობა ამის შემდეგ ძალზე სუსტდება. ოსმალების მიერ ქართლის და ტფილისის დაპყრობა, საზოგადოდ არეული მდგომარეობა თვით სპარსეთში, სადაც საშინელი ანარქია ტრიალებდა, ყველაფერი ეს სწყვეტდა იმ ეკონომიურ კავშირის დაფეხს, რომელიც თავიდანვე აერთებდა აღმ. საქართველოს სპარსეთთან. მდგომარეობა ამ მხრივ იყო იმდენად გაუარესებული, რომ როდესაც 1735 წ. ნადირმა ისევ განდევნა ოსმალები ტფილისიდან და ქართლი კვლავ სპარსეთის გავლენის ქვეშ მოექცა, ტფილისს, საერთო გაღარიბებისა და აგრეთვე საქარაუნო გზების შესუსტების გამო, უკვე უჭირდა წინანდელი მასშტაბით სპარსეთთან ეკონომიური კავშირის აღდგენა. ადგილობრივი ხელისუფლება, სპარსეთის მთავრობის სურვილის და, საფიქრებელია, დირექტივების თანახმად, ცდილობდა ამ კავშირის აღდგენის გაადვილებას; სხვათა შორის სპარსეთიდან შემოსატან საქონელზე დადებულ საბაჟო გადასახადის შემცირებით. თავრიზის ფარჩას, მაგალითად, 1736 წ. საპალნეზე 1 აბაზი ედო, მაშინ როდესაც 1705—1709 წლებში ამავე ფარჩაზე 2 აბაზი იყო დადებული¹⁾). მაგრამ ასეთი პალიატივური ზომები მდგომარეობას ვერ შევლოდა. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთი ნადირშაჰის დროს (1736—1747 წ.) გარეგნობით კიდევ ახერხებდა, ყოველს შემთხვევაში საგარეო პოლიტიკაში, ერთგვარ აქტივობის გამოჩენას, ნამდვილად ის უკვე თავისი ძალების სასტიკ და საბოლოო დეკადინსის პროცესში იმყოფებოდა და თან ითრევდა ქართლსაც. ის აუტანელი რეკვიზიციები, ხალხის გადასახლება—ერთ გზობისას, მაგალითად, სპარსელებმა საბოლოოდ გადაასახლეს ქართლიდან სპარსეთს 1300 კომლი და 6¹/₂ ათასი ტყვე, რასაც ადგილი ჰქონდა ქართლში განსაკუთრებით ქართულ თვითმყოფობის ნიადაგზე მეტრძოლ ფეოდალების მეთაურის გივი ამილახვარის წინააღმდეგ წარმოებულ სამხედრო კამპანიის დროს,

¹⁾ ს. კაკაბაძე, საქართველო, ისტორია, ახალი საუკ. ეპოქა, 152.

²⁾ 1736 წლის ბაჯების ნუსხა დასტურლ. ხელნაწ., ს. კაკაბაძის საკუთრ., შუად. დასტურლამა § 210.

და რომელიც ქვეყანას მთლად განადგურებას უქადდა, იყო ნადირ-შაჰის საერთო ტაქტიკის ერთ-ერთი გამოხატულება. რეკვიზიციები, ტერორი მეგნით, მუდმივი ომები გარეთ, — ყველაფერს ამას უფრსკულისაკენ მიყავდა საეროეკონომიურ-კულტურულ დაცემისთვის განწირული სპარსეთი. ასეთს პირობებში ქართლ-კახეთი ან უნდა ჩაყოლოდა სპარსეთს ანდა საკუთარი ძალით ცდილიყო ეკონომიურად უკან დახევისა და კულტურულად გავლურებისთვის თავი დაეღწია. 1744 წლიდან, როდესაც ნადირ-შაჰმა ქართლის მეფედ დანიშნა თეიმურაზ კახ-ბატონი, ხოლო კახეთის მეფედ შვილი მისი ერეკლე, აღმოს. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა, მტკიცე მართველობის დამყარების და სპარსეთთან კიდევ ლოიალურ მორჩილების პოლიტიკის წარმოების გამო, თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. საჭირო იყო მხოლოდ ქვეყნის ეკონომიურ ვითარების თვალსაზრისით სწორწონაობის დაცვა იმდენად მაინც, რომ აღმ. საქართველოს შესძლებოდა წინა აზიის უკან დახევის ღრმა პროცესისთვის რამოდენადმე მაინც გვერდი აეარა. ოსმალეთი დასაყრდნობ ძალად არ გამოდგებოდა, რადგან, როგორც მოხსენებული იყო, ოსმალეთი, მე-16 საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, ეკონომიურად, კულტურულად და აგრეთვე პოლიტიკური ძლიერების მხრივაც გარკვევით უკან დახევის გზაზე იმყოფებოდა. სამაგიეროდ საქართველოს ჩრდილოეთით ამ დროს უკვე საკმაოდ ახლოს იყო მომდგარი რუსეთის იმპერიის, რომელიც მე-18 საუკუნის დასაწყისიდან უკვე მტკიცედ იყო შემდგარი თავისი სახელმწიფოებრივ ცხოვრების და აპარატის გავეროპიელების გზაზე. პეტრე დიდის გამოსვლას 1722—1723 წლებში კასპის ზღვისკენ ჰქონდა ის შედეგი მაინც, რომ რუსეთი წინანდელთან შედარებით ეხლა უფრო ცხოვლად დაინტერესდა ამიერ-კავკასიით და კერძოდ საქართველოთი. სხვადასხვა კუთხის ქართველი მეფეები მე-16 საუკუნის დასასრულიდან ხშირად მიმართავდნენ დახმარებისათვის მოსკოვის მეფეებს. მაგრამ რუსეთი ყოველთვის კმაყოფილდებოდა ზრდილობიანი საპასუხო წერილებით, სხვადასხვა პირადი საჩუქრებით ქართველ მეფეებისადმი და ზოგ შემთხვევაში ხატების და ეკლესიების მოსახატავად მხატვრების გამოგზავნით. რეალური დახმარება არ სჩანდა, რადგან საქართველო უმთავრესად წარმოადგენდა მართლმადიდებლობის მფარველობის პრეტენზიის მქონ დიდ სახელმწიფოს თავმოყვარეობის დამაკმაყოფილებელ ობიექტს. საქართველოც მანამდის თავისს ურთიერთობაში რუსეთთან უმთავრესად ემყარებოდა პლატონურ ლოხუნგებს ერთმორწმენე ხალხის დაცვის ზნეობრივ ვალდებულების შესახებ ისეთ დიდ სახელმწიფოს მიერ, როგორიც იყო რუსეთი. ეხლა კი მდგომარეობა ძირიანად იცვლებოდა. ერთის მხრივ იდგა აღმ. საქართველო, განსაკუთრებით სპარსეთის და აგრეთვე ოსმალეთის ეკონომიურად დასუსტების გამო და თავისი მდგომარეობის სწორწონაობის დასაცავად ახალ ურთიერთობათა მაძებარი და მეორე მხრივ იდგა კავკასიონის ქედის თითქმის კარზე მომდგარი რუსეთი, ძლიერი როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით კულტურული და პოლიტიკური ხასიათის სიმპატიები ქართველებს უკვე კარგახანია აერთებდა რუსეთთან, კულტურული კავშირის გაბმის საქმეც, განსაკუთრებით არჩილ მეფის რუსეთში დასახლების შემდეგ მოსკოვში 1705 წ., ქართული სტამბის გახსნით და ამის შემდეგ კიდევ ვახტანგ VI-ის დიდძალი ამალითურთ რუსეთს

გადასვლით უკვე საკმაოდ მომზადებული იყო, მაგრამ ყველაფერს ამას შერონდა ჯერ-ჯერობით შემთხვევითი და არა მუდმივი ხასიათი. და ჯერ ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ მე-1740 წლებიდან წინაღ ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის არსებული თითქმის მარტოოდენ პლატონურ ხასიათის ურთიერთობანი თანდათან ხორცს იხსამენ, უფრო და უფრო მტკიცდებიან და ბოლოს ღებულობენ ქართველობის კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციისათვის თითქმის გარდამწყვეტ მნიშვნელობას.

საფუძველი ამ გარდატეხას ქართველი ხალხის ცხოვრებაში ჩაუყარა მე-1740 წლებში რუსეთისკენ ახალ ეკონომიურ გზების წარმოჩენამ, რამაც ნელ-ნელა ხელი შეუწყო რუსეთსა და საქართველოს შორის მტკიცე ურთიერთობის დამყარებას. ფრიად საინტერესო ცნობა ამ დიდ მნიშვნელოვან ფაქტის შესახებ გვაქვს თეიმურაზ II-ის ერთს სიგელში, რომელიც ნიციემულია კათალიკოზის და მცხეთის საყდრის სახელზე 1755 წელს. „მოგახსენეთ და შემოგწირეთ, სწერს მეფე თეიმურაზ II ამ თავისს სიგელში, — თქვენ, ცათა მობაძავსა წმიდას მანათობს ყოვლისა საქართველოსასა კათოლიკე ეკლესიის სუეტსა ცხოველსა და მას ზედან მჯდომარესა ყოვლად სანატრელსა დისწულსა ჩვენსა ბატონსა კათალიკოს-პატრიარქს მეფისძეს ანტონის. ოდეს წყალობა ჰყო ღმერთმან ჩვენსა ზედან და ორსავ ტახტისა და სამეფოს გაერთება ინება, ამას წინათ არას დროსა და ეამს არა ქნილიყო, რომ ოსეთზედ ქარაენის გზა ყოფილიყოს და ამ მთის გზაზედ ქარვანი, ვაჭარი და სოვდაგარი მოსულიყო და ამ გზიღამ ქალაქში სავაჭრო მოეტანათ და აწ ღმერთმან ჩვენ გვიმრავალწყალობა და ამ ეამად ოსეთის გზით ქარაევანმან იწყო სიარული და რადგან ღმერთმან ჩვენს მეფობაში უამრავი წყალობა მოიღო ჩვენზედან, ჩვენც ვიგულეთ და ვიგულმოდგინეთ და შემოგწირეთ: რაც ოსეთის გზით ვაჭარნი და ქარაევანი ქალაქს მივიდოდეს, ამ ოსეთის გზიღამ მოსულის ვაჭრისაგან რაც ბაეი აიღებოდეს, ორს წილს ჩვენი მებაეე ჩვენთვის აიღებდეს და მესამედს კათალიკოზ-პატრიარქის მებაეეს მისცემდეს და პატრიარქს მთარომევედეს ამ გზიღამ მოსულს მესამედს ბაეს“¹⁾.

ის აღთროვანებული კილო, რომლითაც სიგელში მოთხრობილია ოსეთისკენ საქარაენო-სავაჭრო გზის გახსნის შესახებ, ცხადად ამტკიცებს, რომ ქართლის ზელმძღვანელ წრეებს ამ დროს ძლიერ კარგად ესმოდათ, მათი ქვეყნის ეკონომიურ ინტერესების თვალსაზრისით, ამ ახალ დიდ მოპოების მნიშვნელობა. ოსეთის მთის გზა დარიალის ყელით საქართველოს აერთებდა რუსეთთან და ჩვენს ქვეყანას უხსნიდა ეკონომიურ შესაძლებლობათა ახალ პერსპექტივებს. შემდეგს დროებში ეს ოსეთის გზა პირდაპირ იხსენიება, როგორც რუსეთიდან მომავალ და რუსეთისკენ წასაღებ საქონლის გზა²⁾. თვით ფაქტი საკათალიკოზო ეკლესიისადმი აღებულ ბაეის ერთი მესამედის შეწირვისა წარმოადგენდა ეკლესიის ინტერესების ერთგვარ კომპენსაციას. მცხეთა მღებარეობდა რუსეთისკენ მიმავალ ამ საქარაენო გზის ყელში და საკათალიკოსო ტახტი სანართლიანად სთვლიდა ადგილობრივ საბაეოს საქმეებში ჩარეულიყო და თავისთვის კომპენსაციაც მოეთხოვებ. საქართველოში ამ დროს ჯერ კიდევ არსებული შინაურ

¹⁾ Акты кавк. археогр. ком. II, 1133.

²⁾ Акти кавк. археогр. ком. I, 481.

საბაჟოების სისტემა, რომლის შემოსავალი ზოგ შემთხვევაში ცალკე დიდგავლენიან გვარეულობათა სასარგებლოდ მიდიოდა და რომელიც წარმოადგენდა ფეოდალურ წყობილების დამახასიათებელ თვისებას, ეკლესიასა და ახალ საქარაენო გზის გახსნის დროს ამ გვარივე მოთხოვნილების წამოყენების უფლებას აძლევდა.

თავისთავად იგულისხმება, რომ რუსეთისკენ მიმავალი საქარაენო გზა თავდაპირველად ძლიერ ცოტა საქონლის მიმღები იქნებოდა. ამით აიხსნება, რომ აქ გატარებულ საქონელზე დადებული ბაჟი პირველად ძლიერ მცირე იყო. მაგრამ შემდეგ, დროთა განმავლობაში, საქარაენო ურთიერთობა რუსეთთან დათან ვითარდებოდა განსაკუთრებით მიახლოვებით 1769 წელთან, როდესაც საქართველოში გენ. ტოტლებენის მეთაურობით მოვიდა რუსეთის ჯარი საქართველოს სამეფო-სამთავროების ოსმალეთის წინააღმდეგ ასამხედრებლად და სამარ ფეხზე დასაყენებლად.

რუსეთისკენ მიმავალ საქარაენო გზის გახსნას საქართველოსთვის და განსაკუთრებით მის მოწინავე და ცენტრალურ პროვინციისთვის—ქართლისთვის ჰქონდა მრავალმხრივი მნიშვნელობა. ის პლატონური იმედები, რომელსაც ამყარებდა ქართველობა რუსეთზე თავისი პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ და აგრეთვე კულტურულად წინსვლის საქმეში, ეხლა, ადგილობრივი შეხედულებით, რეალურ განხორციელებას უფრო უახლოვდებოდა. ასე ფიქრობდნენ, ყოველ შემთხვევაში, ქართლში. რუსეთი თავის მხრივ ფიქრობდა გაუმჯობესებულ მდგომარეობის თავის სასარგებლოდ გამოყენებას და ცდილობდა რეალურ დახმარების გაუწევლად ქართლ-კახეთის ხელმძღვანელ წრეებისთვის პლატონური იმედი—ჩრდილოეთიდან მომავალში მისაღებ შეწყვეტის შესახებ ყოველ შემთხვევისათვის მაინც არ გადაეწყვიტა. საყურადღებოა, რომ ხსენებულ საქარაენო გზის გახსნას მალე მოყვა რუსეთის მთავრობის მიერ ქართველ თავადისშვილის თომა ბარათაშვილის ქართლში გამოგზავნა 1754 წ. ეს ბარათაშვილი ვახტანგ VI-ს გაყოლოდა რუსეთს და შემდეგ იქ დარჩენილიყო. ბარათაშვილს დავალებული ჰქონდა ორი მისია: გადაეცა ქართლის მეფე თეიმურაზისთვის და მისი შვილის კახთ მეფის ირაკლისთვის რუსეთის იმპერატორის ელისაბედის საჩუქრები (სამურის ბეწვები და ოქრო-ქსოვილი ლარნი), სამხედრო დახმარების კიდევ ერთხელ დაპირების აღთქმით და ამასთანავე შეეყიდა რუსეთისთვის ცხენები ქართლში და მეზობელ ქვეყნებში. როგორც სჩანს, რუსეთში მაშინ კარგი აზრი იყო ადგილობრივ ჯიშის ცხენების შესახებ. ბარათაშვილმა შეასრულა ეს დავალება, შეიძინა ბლომად ცხენები ახალციხის მხარეში, იმერეთში, გურია-ოდიშში და წაასხა რუსეთს. ტფილისის მთავრობა რამოდენადმე უსიამოვნო დარჩა ქართლ-კახეთისთვის სამხედრო დახმარების მიღების თვალსაზრისით ამ ელჩობის უშედეგოდ ჩავლის გამო. „დიდი მოხმარებისა და ჯარის იმედი გვექონდა, სწერდა გულუბრყვილოდ პაპუნა ორბელიანი, და დიდსა და მადლისა სანატრელის პეტრე დიდის ანდერძიც იყო. საქართველოს მეფე ვახტანგ რომ რუსეთს მივიდა შესახვერწნელად, ჯარის სათხოვნელად ქართლის მოხმარებისათვის და მეფე ვახტანგ ველარ მიუსწრო, რუსეთის მპყრობელი პეტ-

რე ხელმწიფე რომ შეწუხებულიყო, მაშინ ანდერძი ებრძანა: საქართველოს უჭირსო და რჯულის გულისათვის მოეხმარენითო, ჩემი ხაზინით ჯარი ათხოვეთო. მას აქეთ ვინცა ხელმწიფენი დასხდნენ რუსეთისა ^{საქართველოს}, იმათაც მოინდომეს, რომ პეტრე ხელმწიფის ანდერძს ვერ მოშლიდნენ. მაგრამ ვინცა ქართველთა შვილნი რუსეთსა შინა იმყოფებოდნენ, იმათ ერთმანეთის მტრობა და შური არ მოშალეს და ამათი მიზეზით ქართლის მოხმარება რუსთა აღარ ინებეს¹⁾.

ქართლში ამგვარად რუსეთის მიერ დახმარების გაუწევლობას რუსეთში მყოფ ქართველებისავე ინტრიგებით ხსნიდნენ. ნამდვილად კი, რასაკვირველია, ამგვარი ინტრიგები, კიდევ რომ მათ ადგილი ჰქონოდა, არ შეიძლება გარდამწყვეტი მნიშვნელობისა ყოფილიყო. რუსეთი მხოლოდ ჯერ კიდევ არ იყო თითონ იმდენად დაინტერესებული საქართველოსა და საზოგადოდ ამიერ-კავკასიის საქმეებით, რომ საჩუქრების გამოგზავნასა და სიტყვიერ ნუგეშებს გასცილებოდა.

ეკონომიურ ურთიერთობის, თუნდაც მცირე მასშტაბით, დამყარებას რუსეთთან მოყვა ქართლ-კახეთის ხელმძღვანელ წრეების ცდა რუსეთიდან კულტურულ ცხოვრების და პოლიტიკურ წყობილების ნორმების გადმოღებისა და სესხების შესახებ. 1723 — 1744 წლებში ჯერ ოსმალთა ბატონობის და შემდეგ შაჰ-ნადირის მძლავრების გამო კულტურული მუშაობა ქართშილიდაც შეჩერებული იყო. სტამბა ტფილისში არ მუშაობდა. 1749 წ. სტამბამ მუშაობა ისევ განაახლა. გადადგმულ იქმნა აგრეთვე სერიოზული ნაბიჯები სწავლა-განათლების საქმის მოსაწყობად. 1756 წ. ტფილისში დაარსდა ფილოსოფიის სემინარია, რომლის რექტორთან, ფილიპე ყაითმაზაშვილთან, კერძო გაკვეთილებს ლებულობდა თვით მეფე ერეკლეც. 1759 წლის ახლოს მიღებულ იქმნა ზომები სანართლის საქმის წარმოების გასაუმჯობესებლად. ქართლისა და კახეთისთვის დანიშნულ იქმნენ ცალკე მდივანბეგები. ქართლ-კახეთი ამასთანავე ცდილობდა რუსეთის სახელმწიფო წყობილების ნორმებს ახლო გაცნობოდა ამ ნორმების გამოსაყენებლად თავისი პრაქტიკულ საჭიროებისათვის. ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა, რომ ერეკლე მეფის განკარგულებით რუსეთის წყობილების გასაცნობად და მისთვის წასაბაძავად მღვდელ-მონოხოზმა იოანემ 1760 წ. გადმოიღო ქართულად იმპერატორ პეტრე დიდის დროს შედგენილი რუსეთის სახელმწიფო კოლეგიათა დებულება²⁾. ეს დებულება პრაქტიკულად ვერ იქმნა გამოყენებული. სოციალურ-პოლიტიკურ წყობილების მხრივ ჩამორჩენილ საქართველოში მისი გამოყენება ძლიერ ძნელიც იყო — მაგრამ მისი ქართულად გადმოთარგმნის ფაქტი თავისთავად, როგორც ქართლ-კახეთის ხელმძღვანელ წრეების რეფორმატულ სულისკვეთების დამახასიათებელი, ძლიერ საყურადღებოა.

მალე რუსეთის ინტერესებიც საქართველოს მიმართ იმდენად გაცხოველდა, რომ 1768 წ. პეტერბურგში უკვე სერიოზულად ფიქრობდნენ ქართულ სამეფოსამთავროების გამოყენებას იმ მიზნით რომ რუსეთის მიერ ოსმალეთთან დაწ-

1) საქართვ. ცხოვრება პაპუნა თრბელიანისა, ქართ. ცხ. II, 458—459.

2) ს. კაკაბაძე, საქართ. ისტ., ან. საუტ. ეპ., 181.

ყებულ ომის დროს ამიერ-კავკასიაში ოსმალების წინააღმდეგ ახალი საომარი ფრონტი ამოძრავებულყო, მაგრამ ისე კი, რომ „სული რუსების ყოფილიყო ხორცი კი ქართველებისა“. ასე სწერდა, მაგალითად, რუსეთის მინისტრი გრაფი პანინი საქართველოში გამოგზავნილ რუსის ჯარის მეთაურს გენ. ტოტლებენს 1770 წ. ¹⁾). ამ დროს ქართლ-კახეთში უკვე შემოჭრილი იყო, რუსეთის შუაგობით, ევროპიული კულტურის ნაკადი. „ბევრი დიდკაცების ცოლები სწერდა 1770 წ. რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში იაზიკოვი, უკვე ატარებენ შლიაპებს, რომლებიც თავთით და მარმაშით მობურული და ირგელის ყაითანით მოვლებულია. აქვთ აგრეთვე ქოლგები. შლიაპები და ქოლგები დიდი ხანი არ არის რაც რუსეთიდან ჩამოტანით იქნა შემოღებული... რუსის ჯარის მოსვლის შემდეგ მეფე ერეკლემ გაიკეთა სტოლები და სკანები და გამოიწერა რუსეთიდან სტოლის მოწყობილობა და აგრეთვე ფაიფურის ქურჭლები, ასე რომ როდესაც მეფე ჩემთვის სადილს მართავდა, ეს სადილი უკვე რამოდენადმე ევროპიული იყო გარეგნობისა ბევრი თავადი ეხლა უკვე კოვხით ჭამს, წინად კი ყველა აზიურად სჭამდა, იატაკზე დამჯდარი და უკოვხით. საქმელებს აწხადებენ სპარსული წესის მიხედვით“ ²⁾).

ამ ცნობიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ რუსეთისკენ მიმავალ საქარაენო გზას 1770 წლისთვის უკვე მოესწრო ქართველობის ყოფა-ცხოვრებაში ძირითად ცვლილებების შეტანა. ჯერ ეს ცვლილება მარტო მაღალ წრეებს ეხებოდა, მაგრამ მისი დიდი სიმპტომური მნიშვნელობა ცხადი იყო თვით თანამედროვეთათვის. საქარაენო გზის გახსნამ, გარდა კულტურულ პორიზონტის გაფართოებისა, მოიტანა კიდევ რუსეთის ჯარის შემოსვლაც, ამ ხანად მხოლოდ დროებით, მაგრამ ტოტლებენის გეგმამ 1770 წელს ერეკლე მეფის ტყვედ შეპყრობისა და რუსეთში გაგზავნისა და ქართლ-კახეთის პირდაპირ რუსეთთან შეერთების შესახებ, რასაც, უკეთეს მომხდარი ფაქტი იქნებოდა, პეტერბურგის მთავრობა მხოლოდ ცნობაში მიღებად აპირებდა ³⁾), ცხად ჰყოფდა, რომ რუსეთის იმპერიის პრაქტიკული ინტერესები საქართველოს მიმართ ქართველობის მიერ შესისხლხორცებულ პლატონიურ იმედებზე უკვე ძლიერ დაშორებულად სჩანდა.

1770 წლისთვის ამ გვარად ეკონომიური ურთიერთობა რუსეთთან, ადგილობრივი მასშტაბით, საკმაოდ განვითარებული და ფეხმოკიდებულიც იყო. რუსის ჯარის საქართველოში ყოფნამ 1769—1773 წლებში ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გააცხოველა. ქართლ-კახეთის მთავრობა ეხლა უკვე ზედმეტად სთვლის რუსეთიდან მოსულ საქონლის ერთგვარ დაკანონებულ პროტექციონიზმს მსუბუქი ბაჟის დადებით. ამ მხრივ მდგომარეობა უკვე იმდენად განმტკიცებული იყო, რომ შესაძლებელი ბდებოდა რუსეთთან არსებულ სავაჭრო ურთიერთობის საბაჟო პოლიტიკის მხრივ ჩვეულებრივ პირობებში ჩაყენება, რომ ამით რუსეთთან

¹⁾ А. Цагарели, Грамоты... I, 156, გრაფ პანინის წერილი სივლ. 1770 წ.

²⁾ А. Цагарели, Грамоты... I, 190.

³⁾ А. Цагарели, Грамоты. I, 140.

განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა ხაზინის სასარგებლოდ /ყოფილიყო გამოყენებული. ამას ამტკიცებს ყრეკლე II-ის ერთი ბრძანება, 1771 წ. 24 სექტემბერს გამოცემული:

„ქ. ჩვენი ბრძანება არის. ეს ჩვენმა მეზაქემ ასე იცოდეს, რაც ოსეთის გზაზე საქონელი მოვა და იმაზე ბაჟი აიღება, იმის მესამედი ნეტარხსენებულს მამას ჩვენს სვეტის-ცხოველისათვის მიერთმია და ჩვენც მივართვით. რადგან იმ შეწირულობის უამს ოსეთის გზიდან მოსულის საქონლის რაბტარი¹⁾ მსუბუქათ განწესებული ყოფილიყო და მასუკან ჩვენ ჩელიექი²⁾ განვაწესეთ, ამაზე ლაპარაკი შეიქნა. ახლა ჩვენ ასე განგვიწესებია: ოსეთის გზაზე მოსულის საქონლის ჩელიექს თუმახედ რომ ხუთ შაურს აიღებთ, იმის მესამედი კათალიკოზის მეზაქეს უნდა მისცეთ და ის მისს უწმინდესობას ჩვენს ძმას მიართმევდეს“³⁾.

ამ ბრძანებიდან ჩვენ ვტყობილობთ, რომ 1771 წელს მთავრობას უკვე შესაძლებელად დაუნახავს რუსეთის საქარაენო გზის მიმართ მთარველობითი საბაჟო პოლიტიკის მაგივრად ჩვეულებრივ საბაჟო ნორმაზე გადასულიყო. ფრიად დიდმნიშვნელოვანი ფაქტია, რომელიც გვიჩვენებს, რომ ამ დროს რუსეთის საქარაენო გზა თავისი მნიშვნელობით ტყილისისთვის და ქართლისთვის გაუსწორდა ხვა დიდ საქარაენო გზებს, სპარსეთისა და ოსმალეთისკენ მიმავალს. ამ დროს რუსეთიდან უკვე ბლომად მოდიოდა სახმარი სავნები: — ჩაი, შაქარი, პატარა სარკეები, მაკრატლები და სხვა ამისდაგვარი⁴⁾. ახალ სახმარ სავნებს მოჰქონდა თან ახალი სიო. თანდათან რუსეთთან, პოლიტიკური ურთიერთობის განცხოველებასთან ერთად რუსეთისაკენ მიმავალ საქარაენო გზის მნიშვნელობა უფრო და უფრო იზრდებოდა. ეს გზა არა მარტო აკავშირებდა საქართველოს ევროპიულ კულტურის მატარებელ რუსულ სახელმწიფოებრივობასთან, არამედ ამასთანავე საშუალებას აძლევდა ქართველ ხალხს წინა-აზიის ეკონომიურად და კულტურულად უკანდახევის ღრმა პროცესისთვის გვერდი აევილო და თავისი მომავალ განვითარებისათვის ეზრუნა. ეკონომიურ ცხოვრების ფაქტების განხილვა აქაც იძლევა ამ მხრივ ფრიად საინტერესო სურათს და ცხად ყოფს ჩვენთვის მე-18 საუკუნის დასასრულის პოლიტიკურ ამბების განვითარების თანდათანობას და ამ ამბებს შორის არსებულ მიზეზობრივ კავშირს, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

¹⁾ სპარს. راهداری — ბაჟი მკზავრებზე.

²⁾ ჩელიექი (სპარს.) ნიშნავს მეორე მოცედას. ეს სახელი ერქვა ბაჟს, რომელიც უდრიდა საქონლის ღირებულების 1/40-ს.

³⁾ Акты кавк. археогр. ком. I, 1136.

⁴⁾ А. Цагарели, Грамоты, 188.

ფ. დუღუავა



ლენინის ფილოსოფიური მსჯელობანი

ლენინიზმი, როგორც განსაზღვრული მოძღვრება, განსაზღვრული მიმართულება მუშათა მოძრაობაში, არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური მოძღვრების ხაზებით; იგი ეკონომიურ დოქტრინის ვიწრო საზღვრებს იჭითაც იჭრება: ლენინიზმი მუშათა კლასის ფილოსოფიური მსოფლმხედველობაა და, როგორც ასეთი, მისი პოლიტიკურ პრაქტიკის ფილოსოფიური დასაბუთება. შეუძლებელია ამა თუ იმ პოლიტიკურ მოძღვრების სინამდვილეში საბოლოო განადგება, თუ ის წინააღმდეგობაშია იმ საღ ზოგად პრინციპებთან, რომელზედაც აგებულია მეცნიერების მონაპოვრით გამაგრებული მსოფლმხედველობა. საბოლოო ანგარიშში ყოველი კლასის პოლიტიკური მოძრაობა ჰპოებს თავის თეორიულ გამოხატულებას ანა თუ იმ ფილოსოფიაში და ამ უკანასკნელის პრინციპებისდა მიხედვით წარმართება ყოველი პრაქტიკული პოლიტიკა: თეორიულად ბურჟუაზია სცდილობს დაასაბუთოს კაპიტალიზმი, როგორც მყარი და მარადი ფორმა საზოგადოებრივ ურთიერთობის. ხელოვნება, ფილოსოფია, რელიგია და საზოგადოთ შემეცნების ყოველი დარგი, ბურჟუაზიას გამოყენებული აქვს, როგორც „მეცნიერულად“ გამოკვეთილი იდეოლოგიური იარაღი კაპიტალიზმის „მარადი“ ბუნების „ნათელსაყოფად“; პრაქტიკაში კი კაპიტალიზმი თავის თავს იმპერიალიზმით „ასაბუთებს“; იმპერიალიზმი პრაქტიკული „არგუმენტაციაა“ შესამე წოდების ქვეყნის „მარადობისებისა“.

კაპიტალიზმის გარდუვალობის მტკიცება—ლოლიკური დასკვნაა იდეალისტურ ფილოსოფიის. ფილოსოფიური იდეალიზმი არსებითად თელეოლოგიური მოძღვრებაა. თელეოლოგია კი თავის მხრივ ლოლიკური წინამძღვარია თეოლოგიის: სხვა გზა თეოლოგიაში შესასვლელი არ არსებობს. ასე იყო ისტორიულად ასეა ლოლიკურადაც. იდეალისტურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა კაპიტალიზმის „გარდუვალობის“ ფილოსოფიური „დასაბუთებაა; ამიტომაც, ბუნებრივია—ბურჟუაზია ღებულობს და პრინციპიალურად იზიარებს თეოლოგიას, როგორც უკანასკნელ სიტყვას იდეალისტური აზრისას“.

სულ სხვა გზით მიმდინარეობს მარქსისტული მატერიალიზმი: აქ პრინცი-

პიალურად უარყოფილია თელოლოგიური მომენტი, და ^{ნით} ~~გზა~~ მოჭრილია თელოლოგიისაკენ. მარქსისტული მატერიალიზმი სცნობს ობიექტის პრიმატს შემეცნებაში, მაგრამ ეს ობიექტი მიღებულია, როგორც ~~თავის თავად~~ ^{თავის თავად} გარკვეული მოვლენა, რომლის შემეცნებითი ასახებაში მკაფიოთ სჩანს ~~სუბიექტის~~ აქტივობაც: „ადამიანი, მოქმედებს რა ბუნებაზე, და სცვლის რა მას, იცვლის საკუთარ ბუნებას“ (კ. მარქსი). კ. მარქსის ეს თეზისი მატერიალასტური შემეცნების თეორიის მთავარი ხაზია; პრაქტიკაში გადატანილი ეს დებულება ლოლიკურის აუცილებლობით აღიარებს აქტივიზს, რევოლიუციონიზმს; რევოლიუციონიზმის მომენტით ძირშივე მოკლულია ფატალიზმი, ხოლო ობიექტის (როგორც გარკვეულობის) პრიმატის მიწაბებით—მიღებულია პერმანენტული დიალექტიური განვითარება, როგორც აბსოლიუტი.

ამიტომაც—აქაც ბუნებრივია ის გარემოება, რომ დიალექტიური მატერიალიზმი პროლეტარიატის ფილოსოფიაა, რომლის პრინციპების, უარყოფა ნიშნავს პრაქტიკაში პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლას.

პროლეტარულ იდეოლოგიას ებრძვიან ორ მხრიდან: გარედან მას თავს ესხმის ბურჟუაზიული იდეოლოგია, შიგნით მის დანგრევას სცდილობენ 'ხოგი „მარქსისტები“, რომელნიც დიალექტიურ მატერიალიზმში ხედავენ თავისებური ტრანსცენდენტურ სისტემას, რომლის მთავარი წინამძღვრები პრინციპიალურ წინააღმდეგობაში იმყოფებიან მეცნიერების განვითარებასთან.

ქრონოლოგიურად „მარქსისტების“ ერთი ჯგუფის აჯანყება მარქსიზმის წინააღმდეგ რუაეთში ეკუთვნის 1908 წელს. ამ ჯგუფს შეადგენენ: ბაზაროვი ბოვდანოვი, ბერმანი, სუვოროვი, ვალენტინოვი და სხ. „ყველა ამ პირებს—სწერს ვ. ლენინი—აერთიანებს—მიუხედავათ მათი პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობისა—დიალექტიურ მატერიალიზმის სიძულვილი“. მათ არ შეიძლება არ სცოდნოდათ—განაგრძობს ლენინი—რომ მარქსის და ენგელსი არა ერთხელ უწოდებდნენ თავიანთ შეხედულებებს დიალექტიურ მატერიალიზმს¹⁾.

ამისდა მიუხედავათ მათ მაინც აქვთ მარქსისტობის პრეტენზიები ფილოსოფიაში. მათი გამოსვლა დიალექტიური მატერიალიზმის წინააღმდეგ უტიფარი ფილოსოფიური რევინიონიზმია, ანუ უფრო სწორად—ეს არის ნამდვილი „бунт на каленях“. ეს ჩვენი გაბედული მეომრები, რომელნიც ამაყათ ეყრდნობიან „თანამედროვე შემეცნების თეორიას“, „ახალი დროის ფილოსოფიას“ (ანუ „ახალი დროის პოზიტივიზმს“) და... „შეოცვე საუკუნის ბუნების ნეტყველების ფილოსოფიას“—ეს მეომრები დიალექტიურ მატერიალიზმის „გამმანადგურებელნი“ პირდაპირის გზით უშიშრად ფიდეიზმისაკენ²⁾ მიდიან ფილოსოფიური რევინიონიზმი დიალექტიური მატერიალიზმის გაყალბებაა, მისი ფალსიფიკაციაა; ლენინმა—მუშათა კლასის და მისი იდეოლოგიის გენიალურმა ბელადმა ენერგიულად გაილაშქრა დიალექტიურ უატერიალიზმის ახალი ტიპის რევინიონი-

¹⁾ ლენინი: Материализм и эмпирио-кригицизм. წინასიტყვაობა.

²⁾ ფიდეიზმი ისეთი სწავლაა, რომელიც რწმენას უპირატესობას აძლევს ცოდნასთან შედარებით.

სტების წინააღმდეგ, რომელთაც მარქსიზმის სახელით გააქვეთ წინააღმდეგობებით დაფლეთილი და რეაქციონური შინაარსის დაბნეული მოძღვრება

ლენინის ფილოსოფიური ნაშრომი („Материализм и эмпириокритицизм“) ყურადსაღებია იმით, რომ იქ მოცემულია, თუმც პოლემიკურ ფორმებში, მარქსისტულ ფილოსოფიის მთელი სისტემა: არ არის არც ერთი მომენტი მარქსისტულ მსოფლმხედველობისა, რომელიც არ იყოს გარჩეული და დაპირისპირებული ბურჟუაზიულ ფილოსოფიასთან. გ. ვ. პლენხანოვსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის მარქსისტულ ფილოსოფიის დამუშავების საქმეში, მაგრამ არის ისეთი საკითხი, რომლის მთლიანი მატერიალისტური დასაბუთება პლენხანოვის შრომებში არ მოიპოვება. ასეთია მაგ. ცდის პრობლემა, რომელსაც ლენინი სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგა, ვინემ პლენხანოვი.

ამ მოსაზრებითაც საყურადღებოა ლენინის ფილოსოფიური შეხედულებანი. ლენინიზმი, როგორც აღენიშნეთ, — მთლიანი მსოფლმხედველობაა, ამიტომაც მისი სრული შესწავლა აუცილებლად თხოულობს ლენინის ფილოსოფიურ შეხედულებათა სწორ გაგებას, რომელსაც თანამედროვე ხანაში, ე. ი. ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან პრაქტიკულ ბრძოლის პერიოდში, აქვს განუზომელი პრაქტიკული მნიშვნელობა.

I

ისტორიულად ფილოსოფიურ აზროვნებას საოცარი მრავალფეროვანება ახასიათებს. ფილოსოფიურ პრობლემათა სირთულე თითქოს ჰქმნიდა ნოციერს ნიადაგს სხვადასხვა სისტემების წარმოშობისათვის: სანყაროს შემეცნებამ და „შემეცნების პრობლემა“ ფილოსოფიის ისტორია დაუღლითა და ის ურთიერთ ნებრძოლთა ბანაკათ გარდააქცია: ფილოსოფიის ისტორიის გრძელ მანძილზე აღამიანი ხვდება იდეალიზმს, მატერიალიზმს, ემპირიზმს, რაციონალიზმს, კრიტიციზმს, ემპირიო-კრიტიციზმს და უახლოეს ხანის რეალისტურ შკოლებს: ინტუიტივიზმს, პრაგმატიზმს და შრ. სხ. ამისდა მიუხედავად ფილოსოფიის ისტორიაში იმ თავითვე არსებითად ორი რადიკალური მიმართულება ჩაისახა, რომლის კერძო მომენტებს წარმოადგენენ ეს სხვადასხვა „სისტემები“. ეს მიმართულება **მატერიალისტური** ერთის მხრივ და **იდეალისტური** მეორეს მხრივ. „ახალ ტერმინოლოგიის და სქოლასტიურ სიბინძურის უკან იმალება ყოველგვარ გამოწვევის გარეშე სწერს ლენინი — ორი ძირითადი ხანი, ორი ძირითადი მიმართულება ფილოსოფიურ პრობლემათა გადაჭრაში: არის თუ არა პირველობითი ბუნება, მატერია, ფიზიკური, გარეშე სამყარო და მეორეობითი შექცევა სული შეგრძნება (— ცდა ჩემს დროში **გავრცელებულ ტერმინოლოგიის თანახმად**), ფსიქიური და სხ. — აი ის ძირითადი საკითხი, რომელიც არსებითად ჰყოფს ფილოსოფოსებს **ორ დიდ ბანაკად**“ *).

მიმართულებას, რომელიც სცნობს ობიექტის პრიმატს, ე. ი. გარეშე სამყაროს პირველობას ლენინი ენგელსთან და პლენხანოვთან ერთათ — უწოდებს მატერიალიზმს, წინააღმდეგ იმ მიმართულებისა, რომელსაც გარეშე სამყარო

*) „Материализм и эмпириокритицизм“ партии в философии и философские бою-посы гв. 342

მეორებითი და შემეცნება კი პირველობით მოვლენათ აქვს ნიშნული (იდეალიზმი). „მარქსის და ენგელსის გენიალობა — განაგრძობს **ლენინი** სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თითქმის მთელი **ნახევარ-საუკუნის** განმავლობაში ანვითარებდნენ მატერიალიზმს, ანვითარებდნენ მას, როგორც ერთს ძირითად მიმართულებას ფილოსოფიაში, და იგივე მატერიალიზმი გაჰყავდათ მათ საზოგადოებრივ მეცნიერებაში, სპობდნენ რა ამავე დროს ყოველგვარ ნაგავს, ყოველგვარ სისულელეს და ყოველ ცდებს ფილოსოფიაში „ახალ“ ხაზის „აღმოჩენისას“, „ახალი“ „მიმართულების შექმნისას“¹⁾.

ამ რიგად **ლენინს** აქ გარკვეული აქვს ნაბეჭადი, რომ ფილოსოფიის ისტორია არსებითად ამ ორი ძირითად მიმართულების ისტორიაა, რომ ყოველი ცდა „ფილოსოფიის ამ ორი ძირითადი მიმართულებიდან გადნობტომისა სხვა არაა გარდა შემათანხმებელი შარლატნობისა“²⁾.

ფილოსოფიის ისტორიამ არ იცის არც ერთი შემთხვევა, როდესაც ფილოსოფიური აზრი მატერიალიზმის და იდეალიზმის ზევით აღმდგარიყოს, ფილოსოფიის ისტორიისათვის უცნობია ისეთი სისტემა, რომელშიაც დაძლეულიყოს მატერიალისტური და იდეალისტური „ცალმხრივობა“. პირველი და უკანასკნელი ცდა სინთეტიური ფილოსოფიის შექმნის და მით მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის ისტორიულ უფსკრულის ამოვსებით ახალი სისტემის, ახალი ფილოსოფიური მიმართულების შექმნის იდეა ეკუთვნის **ლეიბნიცს**.

ლეიბნიცის ისტორიული მოწოდება მდგომარეობდა იმ დაუძლეველ დაბრკოლებათა რიგის გადალახვაში, რომელიც ისტორიულად ელობებოდა ფილოსოფიურ შემოქმედებას; ვერც ემპირიზმმა, ვერც რაციონალიზმმა ვერ შესძლეს „მსოფლმხედველობის“ გამომუშავება, რადგანაც ერთიც და მეორეც წინააღმდეგობათა დაუძლეველ რკალში იხლართებოდნენ იმ „უკიდურესობათა“ გამო, რომლითაც ხასიათდება მათი მოძღვრება. **ლეიბნიცს** უნდა გაემთელებია ისტორიულ პერსპექტივაში გაჩეხილი სამყარო და სინთეზისის მეთოდით გამოემუშავებია ახალი გზა, ახალი მიმართულება, სადაც მატერიალიზმის და იდეალიზმის „ცალმხრივობა“ ჰპოებდა თავის „სინთეტიურ გამოხატულებას. ასეთი იყო ფილოსოფიური ინერციის ისტორიული მოთხოვნა, ასეთი იყო ის ბუნებრივი ლტოლვა, რაიც ახასიათებდა ფილოსოფიურ აზრის შინაგან განვითარებას. რამდენათ შესძლო **ლეიბნიცმა** ამ მისიის შესრულება და მით მატერიალიზმისა და იდეალიზმის „ცალმხრივობის“ დაძლევა? ლეიბნიცის მოძღვრების მოკლე სქემატიზაცია ნათელს მოჰფენს ამ კითხვას.

ლეიბნიცი შემეცნების იდეალის საკითხში კარტეზიანულ ფილოსოფიის ნიადაგზე იდგა. კარტეზიანული ფილოსოფია კი შემეცნების სრულჭმნას მათემატიკაში ხედავდა. მათემატიკას სიცხადე და გამოკვეთილობა ახასიათებს. შემეცნება უნდა გახდეს მათემატიკისდაგვარი, რომ მისი მიზანი მიღწეულ დარჩეს. ამიტომ ლეიბნიცი ფიქრობს, რომ შემეცნება მაშინ შეიძლება დახასიათდეს მათემატიკური სიცხადისა და გამაკვეთილობით — თუ შესაძლებელი გახდებოდა

1) Ibid... გვ. 343.

2) Ibid... გვ. 347.

მთელი შემეცნების ერთ დასაბამთან დამკვენიდებარება. ეს დასაბამი უნდა იყოს მეტის-მეტად მარტივი და თან ცხადი დებულება, რომელიც უკვე იღებულადად ყოველადობით უნდა ხასიათდებოდეს, ე. ი. ის ყველასთან ერთად უნდა იყოს მიჩნეული.

ერთი დასაბამის მიღება შემეცნებისათვის ახასიათებს, როგორც რაციონალიზმს (იდეალიზმს) ისე მთლიან ემპირიზმს (მატერიალიზმს), მაგრამ განსხვავება მათ შორის თითონ დასაბამის ბუნებაშია. მატერიალისტური შემეცნების თეორია, როგორც ქვევით დავინახავთ ლებულობს ცდას, როგორც გამოსავალ წერტილს და ცდის მიხედვით ასაბუთებს იმას, რაც ცდის მიღმა იმყოფება. ამაში მდგომარეობს ცდისეულ შემეცნების მთლიანობა. სულ სხვაა რაციონალიზმისტურ შემეცნების დასაბამი. ეს დასაბამი თითონ გონებაა. ისტორიულად (განსაკუთრებით პლატონისა და დეკარტეს მიერ) გონების მთავარ იარაღათ ცნება იყო მიჩნეული. ცნებას წარუვალობა და მარადობა ახასიათებს; ხოლო ცნებათა შეწყობა გზას უკაფავს ჭეშმარიტ შემეცნებას. მათემატიკას სწორედ იმიტომ ახასიათებს გამაკვეთილობა და სისწორე, რომ ის ცნებათა მწყობრ დალაგებას წარმოადგენს. აქედან ცხადია: მათემატიკური შემეცნების იდეალი რაციონალიზმისტურია. ამიტომ, ლეიბნიცს სხვა მომენტებისათვისაც უნდა გაეწია ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სინთეზისის გზა იმ თავითვე მოიჭრებოდა: მატერიალიზმის და იდეალიზმის მორიგების იდეა საბოლოოთ განივდებოდა.

ლეიბნიცი, რომ მდგარიყო თავის ისტორიული მისიის სიმაღლეზე და მით გადაერჩინა ამ ორ ძირითად ფილოსოფიურ მიმართულებათა სინთეზისის იდეა, ანსხვავებს ურთიერთ მოვლენათა სამყაროს და გონების სფეროს. უკანასკნელი რაციონალიზმის კუთვნილებაა, ხოლო მოვლენათა სამყარო მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამოსავალი წერტილია. ჭეშმარიტების თვალსაზრისით ლეიბნიცი უდგება ამ ორ სფეროს მატერიალისტურ და იდეალისტურ აზროვნებისას და ამავე თვალსაზრისით ჰპოულობს მათში განსხვავებას. გარეშე სინამდვილე არ წარმოადგენს მოვლენათა ისეთს მიმართვას, რომელსაც განსაზღვრავდეს ლოლიკური კანონები: გარეშე მოვლენათა მიმართებანი არ არიან ლოლიკური ბუნების. ლეიბნიცი აქ იმიჯნება რაციონალიზმისაგან. მოვლენათა სფეროს ნაკლები გარკვეულობა და სიცხადე ახასიათებს, ამისდა მიუხედავათ მასში მაინც არის ისეთი კავშირი, რომელსაც ემყარება ადამიანი თავის პრაქტიკულ საქმიანობის დროს. გონებრივ მიმართებათა სფეროს კი მტკიცე და შეურყვეველი საფუძველები უდევს. ეს სიმტკიცე და შეურყვეველობა მხილდება იმ გარემოებაში, რომ იქ ყოველივე თავის თავათ გამომდინარეობს ძირითად საფუძველიდან. ეს დამახასიათებელი თვისება გონებრივ სფეროსი ცხად ჰქმნის საწინააღმდეგო მოვლენის შეუძლებლობას; ამდენად მისი ჭეშმარიტება ზედროული, ე. ი. ღირებულია ყოველ დროში ანუ მარადიულია. ამ რიგად მარადიულ ჭეშმარიტებას საფუძვლად უდევს წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი. მოვლენათა სფეროს ჭეშმარიტების ბუნება ხასიათდება დროულობით, ე. ი. ის მოკლებულია მტკიცე საფუძველებს და მით მარადიულობას. ეს ჭეშმარიტება მანამ



არის ღირებული და მძლე, სანამ უზრუნველყოფილია ცვლილებებისაგან/ მისი საფუძვლები ე. ი. საყოველღაობო მოვლენები და ფაქტები.

როგორ უკავშირდება მარქსი სინამდვილის ქეშმარიტებას? ^{ქეშმარიტება} ანუ ^{ქეშმარიტება} **ლეიბნიცმა** ფაქტიური ქეშმარიტება უწოდა, მარადიულ ქეშმარიტებას? ანუ მატერიალისტური ფილოსოფიის ტერმინოლოგიით, როგორია გრძობად სანყაროს დამოკიდებულება გონებასთან? ეს საკითხი ბუნებრივად უნდა წამოჭრილიყო ლეიბნიცის წინაშე, წინააღმდეგ შეხებვევაში სინთეზისის იდეა იმ თავითვე უნდადაგო ოცნებათ გადაიქცეოდა. მაგრამ ეს საკითხი საბედისწერო შეიქმნა **ლეიბნიცის** მთელ ფილოსოფიურ შემოქმედებისათვის.

მარადიული ქეშმარიტება ანალიტიური ბუნებისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველგვარ ცნებაში ჩაქსოვილია ის მომენტი, რაიც შემდეგ მისგან გამოიყენება მკაცრი ლოდიკურის აუცილებლობით, როგორც მისი დანასკვი. ასეთია ლოდიკური ახროვნება. საწინააღმდეგო რამ დაარღვევდა ლოდიკურ კანონს და მით მოიჭრებოდა ქეშმარიტი ახროვნების გზა.

ფაქტიურ ქეშმარიტებაში უარყოფილია მომენტების, ლოდიკური ნიშარტება. ცხადია აქაც არის კავშირი, მაგრამ სულ სხვა ბუნების. ეს კავშირი განმომქლავნებუღია იმ გარემოებაში, რომ ერთ მოვლენას ყოველთვის სდევს მეორე, ანუ ეს უკანასკნელი შეუძლებელია პირველის გარეშე. პირველი მეორე მოვლენის საკმაო საფუძველია; ამ რიგად საკმაო საფუძველიანობის კანონი ფაქტიური ქეშმარიტების ძირითადი პრინციპია. ზევით გაკვრით ვთქვით, რომ ამ ორი სახის ქეშმარიტების გამთლიანების საკითხმა საბედისწერო როლი ითამაშა ლეიბნიცის „სინთეტიური“ ფილოსოფიაში. **ფაქტიურ და მარადიულ ქეშმარიტებათა ურთიერთ მიმართების საკითხში ლეიბნიცმა სუბორდინაციის პრინციპი მიიღო:** ფაქტიური ქეშმარიტება მან მარადიულ ქეშმარიტებას დაუმორჩილა. მარადიულ ქეშმარიტებას სხვაგვარად არ ყოფნა ახასიათებს. ანალოგიურია გარემო სინამდვილევ. ქვეყანა ღმერთმა შექმნა. ღმერთი კი გონიერი არსებაა, როგორც გონიერ არსებას, მას არ შეეძლო მრავალგვარ შესაძლებლობისაგან საუკეთესოს არ აღება. საწინააღმდეგო რამ შეუძლებელი იყო, ვინაიდან მაშინ მისი ცნება, როგორც გონიერი არსების შინაგან ანტინომონიაში გაეხვევოდა, რაიც შეუძლებელია. ამ რიგად ღმერთი მარადიული ქეშმარიტებაა, ვინაიდან მასაც საფუძველად წინააღმდეგობის შეუძლებლობას კანონი უდევს. მსოფლიო მოვლენათა მიმართებებს ლოდიკური კანონები განსაზღვრავენ, რადგანაც ამ მოვლენაშიც განსაზღვრებულია მარადიული ქეშმარიტება. ფაქტიურ ქეშმარიტების სახეს მარადიული ქეშმარიტება იმდენათ იღებს, რამდენად შეუმცნობელია ფაქტიურ ქეშმარიტების აუცილებლობა. ამ რიგად „თავის თავად“ ე. ი. მსოფლიოს მთლიანობის თვალსაზრისით გარეშე მისი შემეცნებითი ასახებისა - განსხვავება ამ ორ სახის ქეშმარიტების შუა მიხსნილია, ვინაიდან არსებობს ერთი მარადიული ქეშმარიტება, რომლის საწინააღმდეგოს დაშვება ეწინააღმდეგება ქვეყნის შემქნელის, ღვთაების შინაგან ცნებას. ფაქტიური ქეშმარიტება შესაძლოა მხოლოდ ადამიანის შემეცნებითი ასახებაში არსებობდეს. **თავის თავად არსებობს მხოლოდ მარადიული ქეშმარიტება.** შემდეგ ლეიბნიცის მოძღვრებაში საკმაო ადგილს იჭერს სწავლა მონადების შესახებ, **მონადოლოგია**, რომელ-

შიდაც საბოლოოდ უნდა ჰპოვოს თავის გამოხატულება ფაქტურ და მარადიულ კემპარიტების საკითხში.

უპრინციპული

ამ შემთხვევაში ინტერესს მოკლებულია აქ მონადირეობის განხილვა. ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ იმ გზის გათვალისწინება, სადაც უნდა მომხდარიყო მატერიალიზმის და იდეალიზმის „ცალმხრივობის“ დაძლევა და მით შუა გაჩენილ სამყაროს ორგანიული გამოვლენა. როგორც დავინახეთ **ლენინიცმა** ეს ვერ შესძლო, მან ვერ გამოიმუშავა სინთეტიური ფილოსოფია, ის უძლური გახდა შეურიგებელთა მორიგების საკითხის წინაშე! **ლენინი** კი ერთი უდიდესი მოაზროვნე იყო რომელმაც პირველმა და უკანასკნელმა სცადა იმ უფსკრულის ამოვსება, რომელიც ისტორიულად გაითხარა ამ ორ ფილოსოფიურ მიმართულებათა შორის.

ამ რიგად **ლენინის** დებულება, რომელიც, სხვათა შორის, საფუძვლად უდევს აგრეთვე **პლენანოვის** ფილოსოფიურ ნაშრომებსაც, სახელდობრ: შეუძლებლობა ყოველგვარ სინთეტიურ ფილოსოფიის შექმნის შესახებ (აღნიშნული ვაგებით) მართლდება, როგორც ისტორიულად, აგრეთვე ლოგიკურადაც. **ლენინის** შემდეგ ფილოსოფიის ისტორიამ არ იცის ერთი პიროვნებაც კი, რომელსაც ისე უართოდ ეკისროს სინთეტიური ფილოსოფიის დამუშავება, როგორც ეს დაიწყო **ლენინიცმა**.

მარქსისტულ ბანაკში გაჩნდნ ისეთი პიროვნებანი, რომლებმაც **ლენინის** იდეის განხორციელება მოიწადინეს და სხვადასხვა „იშემების“ „სახით ჰქმნიან“ (?!—შ. დ.) ისეთ სისტემებს, სადაც „უარყოფილია“ მატერიალიზმის „მეტაფიზიკაც“ და „დაძლეულია“ იდეალიზმის ცალმხრიობაც. ასეთია ბოგდანოვის, ბაზროვის და სხ. ცდები, რომელშიაც **ლენინმა** დაინახა მარქსიზმის დემონტრაცია, რისთვისაც მან ასეთ „ცდებს“ უტიფარი განცხადება უწოდა.

მატერიალისტური ფილოსოფიის გზიდან გადახვევა მარქსიზმის უარყოფაა და მით ფიდეიზმთან დაახლოება. ასეთია **ლენინის** აზრი. **ლოგიკური თანამიმდევრობის** თანახმად ამ შემთხვევაში პრაქტიკულ პოლიტიკაშიაც აღარ რჩება ნიადაგი პროლეტარიატის ბანაკში ყოფნისა. ამიტომ არის, რომ ამხ. **ლენინი** დაუნდობლად და შეურიგებლად ებრძვის ყველა იმათ, ვინც არ სცნობს მარქსიზმის ფილოსოფიას, მატერიალისტურ გნოსეოლოგიას (შემეცნების თეორიას) და ვინც საზოგადოთ უარყოფს მარქსისტულ მატერიალიზმს ფილოსოფიაში.

როგორია **ლენინის** შეხედულება მატერიალისტურ შემეცნების თეორიაზე?

II

მატერიალისტური შემეცნების თეორიის გამოსავალი წერტილი არის ცდა. „ცდით, პრაქტიკით—სწერს **კ. მარქსი**—ადამიანი ასაბუთებს აზროვნების კემპარიტებას“. ცდის მიღების მომენტით მატერიალისტური შემეცნების თეორია ჰკარგავს ყოველგვარ მეტაფიზიკურ ხასიათს. მაგრამ რა არის თვით ცდა? ამ საკითხში მრავალი მიმართულება იბრძვის.

ი. კანტის აზრით, ჩვენი შემეცნება ყოველთვის ცდით იწყება, მაგრამ იგი

ცდით არ ამოიწურება¹⁾. როგორაა შესაძლებელი ცდა **კანტის** მიხედვით? ამ საკითხში **კანტი** იმიჯნება **ჰიუმესაგან**. ცდა სინთეტიური მოვლენაა. სინთეტიურ ბუნებას ნას კატეგორიებიდან ინტუიციის ფორმები განუკანასკნელი მგრძნობელობითი ფორმებია, კატეგორიები კი წმინდა გონების ნიჭიერება. ერთიც და მეორეც აპრიორულ (ცდისაგან დამოუკიდებელი) და თან ტრანსცენდენტალი (ცდის აუცილებელი პირობა) ელემენტებია. ამრიგად ცდა შეუძლებელია გარეშე ინტუიციის ფორმების (დრო და სივრცე) და კატეგორიებისა. აქ არის წმინდა სუბიექტიური გაგება ცდის. ცდამ უნდა ნათელპყოს გრძნობად სამყაროს პრობლემა. **კანტმა** ეს სამყარო (მოვლენათა მსოფლიო) აპრიორულ ელემენტებს დაუშორჩილა. მოვლენათა ანუ საგანთა (არა „საგანთა თავისთავად“) შემეცნება იგივე შემოქმედებაა: **აპრიორული ელემენტის საგანში აღმოჩენა საგნის შემეცნებაა, ხოლო ამ აპრიორული ელემენტების ჩადება საგანში — საგნის შექმნაა**. ამრიგად კანტის ფილოსოფიაში საგანთა და შემეცნების თეორია გაერთიანებულია. ამდენად გაუგებარაი საკითხის ამგვარი დაყენება. რა მოგვცა კანტმა, შემეცნების თეორია თუ შემეცნების საგანთა თეორია? საზოგადოთ ყოველი შემეცნების თეორია იგივე საგნის თეორია. ასე იყო ისტორიულად, ასეა არსებითადაც.

ჰიუმეც ჰუიქრობს, რომ შემეცნება აუცილებლად ცდით უნდა დაიწყოს, მაგრამ ცდაში მან ვერ დაინახა ელემენტთა ისეთი მტკიცე კავშირი, როგორსაც თხოულობს მეცნიერული შემეცნება. ცდაში უბრალო დროული თან მიმდევრობაა და მეტი არაფერი. ამით უარყოფილია საზოგადოთ მეცნიერება და ფართოთ გაღებულია კარი სკეპტიციზმისთვის.

მახისა, ავენარიუსის და ყველა მათი მიმდევართათვის ცდა გათანაბრებულია გარეშე მსოფლიოსთან და ამდენათ ცდა მათთვის არის არა საშუალება შემეცნებისა, არამედ საგანი შემეცნებისა. ანალოგიურია, როგორც შემოთ დავინახეთ, **კანტის** შეხედულებაც.

ე. მახის აზრით გარეშე სამყარო სხვა არაა, გარდა შეგრძნებათა კანონ-შესაბამითი კავშირისა²⁾. გარეშე სამყარო იგივეა რაც ცდა. ამდენად, ასკენიან მახისტები: ცდის გარეშე სამყაროს არსებობაც შეუძლებელია.

ლენინის კერძოთ და საზოგადოთ მატერიალისტური შემეცნების თეორიის მიხედვით, „ცდა არ არის მხოლოდ საგანი განხილვისა, ის ამავე დროს შემეცნების საშუალებაცაა“³⁾. **ლენინი** ეკამათება ამ საკითხში **პლენანოვს**. პლენანოვი თავის წინასიტყვაობაში „ლ. ფეირბახი ამბობს — სწერს ლენინი — რომ ერთი გერმანელი მწერალი შენიშნავს, რომ ემპირიო-კრიტიციზმისათვის ცდა არის მხოლოდ საგანი განხილვისა. თუ ეს ასეა, მაშინ დაპირისპირება მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმისა ჰკარგავს ყოველგვარ აზრს“⁴⁾. **ლენინი** პლენანოვის ამ განცხადებას უწოდებს **დომხალს**. „ავენარიუსის ერთ-ერთი ორტოდოქსალუ-

1) „Критика чистого разума“ ნ ლოსსკის თარგმანი.

2) მახი „Анализ ощущений“.

3) ლენინი „Материализм и эмпиризм“ გვ. 148.

4) Ibid. გვ. 148.

რი მიმდევარი კარსტანიენი, განაგრძობს ლენინი უპასუხებს რა ვუბნის ამბობს რომ „წმინდა ცდის კრიტიკისათვის“ ცდა შემეცნების საშუალებად არ არის არამედ საგანი განხილვისა“. ამ მომენტს ლენინი იმიტომ უხედავს, რომ მეცნიერულმა შემეცნებამ ცდის საშუალებით უნდა ნათელჰყოს გარემოს ობიექტიური არსებობა.

ლენინის შეხედულებათა მიხედვით შემეცნების მთავარი პირობა მდგომარეობს შემეცნების საგნის დამოუკიდებლობაში. შემეცნება რაიმეს შემეცნებაა. ამდენათ შესაცნობი წინ უნდა უსწრებდეს შემეცნებას. რა არის ეს შესაცნობი? ეს არის—უპასუხებს ლენინი—მატერია, მეტერიას ლენინი პლენანოვთან და ენგელსთან ერთად უწოდებს ყოველივე იმას, რაიც მოქმედებს ადამიანთა გრძნობათა ორგანოებზე და იწვევს შეგრძნებებს, რომლის გადამუშავება იძლევა მეცნიერულ შემეცნებას.

ასეთი განსაზღვრა ცნება „მატერიის“—სწერს ლენინი, არ მოსწონთ გამახისტებულ „მარქსისტებს“ (განსაკუთრებით ა. ბოგდანოვს) და თანამედროვე პროფესორულ ფილოსოფიას. მაგრამ რას ნიშნავს თითონ განსაზღვრა? ჰკითხულობს ლენინი და უპასუხებს: „ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრავი ცნება დავიყვანოთ უფრო რთულ ცნებასთან. მაგალითად, როდესაც მე განსაზღვრავ: ვირი არის ცხოველი, ცნება „ვირი“ მე მიმყავს უფრო რთულ ცნებამდე. იბადება კითხვა: არის თუ არა უფრო ფართო ცნება შემეცნების თეორიაში, ვიდრე ცნებები: არსი მატერია, შეგრძნობა ფსიქიური და ფიზიკური? რასაკვირველია, არა. ამით ლენინი იმას ლაპარაკობს, რომ ცნება „მატერიის“ სხვა რომელიმე ფართო ცნებით განმარტვა შეუძლებელია, ვინაიდან მატერია ეს არის უფართოესი ცნება, რომელიც მოვპოვება შემეცნების თეორიას. შესაცნობის დამოუკიდებლობა შემეცნებისაგან სანყაროს ობიექტიობის აღიარებაა. ასეთია ძირითადი მომენტი ლენინის ფილოსოფიურ შეხედულებებში. სრულიად საწინააღმდეგო ნიადაგზე დგას ის ჯგუფი, რომელიც აუჯანყდა მარქსისტულ ფილოსოფიას. ეს ჯგუფი ეყრდნობა მახისა და ავენარიუსის ფილოსოფიურ შეხედულებას. ამ შეხედულებათა მიხედვით გარეშე სამყარო სხვაა რაა, გარდა გრძნობათა კომპლექსისა. ა. ბოგდანოვი უფრო სხვა ფორმებში გამოსთქვამს მახიზმის ამ ძირითად თეზისს: სამყარო სოციალ-ჰარმონიულ, სოციალ-შეთანხმებული, სოციალ-მოწყობილია და¹⁾, ამ რიგად მახისტების აზრით, არ შეიძლება არსებობდეს სამყარო თავისთავად, ე. ი. ყოველგვარ ცდამდის, შეგრძნებამდის. ასეთია ახალი „რეალიზმი“, რომელსაც სამართლიანად უწოდა ნ. ლოსსკიმ ფსიქოლოგიური იდეალიზმი. ლენინი აჯანყებულ „მარქსისტების“ ასეთ შეხედულებაში ჰხედავს უტიფარ პლაგიატობას. ჯერ კიდევ—სწერს ლენინი—1710 წელს მღვდელთმთავარი ბერკლი სწერდა, არ არსებობს არავითარი „საგანი თავისთავად“, არავითარი მატერია თავისთავად. მატერიის არსებობა—გახდება მთავარი დასაყრდნობი პუნქტი ატეისტებისა და ფატალისტებისათვის“²⁾. ამ რიგად, ბერკლის აზრით, გარემო მსოფლიოს ობიექტიური არსებობის მტკიცება ნიშნავს რელიგიის უარყოფას და ატეიზმის მიღებას.

¹⁾ Эмпириомонизм т. III.

²⁾ ლენინი გვ. 17.

სამყაროს წინააღმდეგ არც **კანტი** მიდის, მაგრამ კანტიანთა თვის საწყარო არ წარმოადგენს ობიექტიურ გარკვეულობას, რადგანაც ელემენტები, რაიც აწესრიგებს გარეშე სამყაროს, როგორც ქაოსს, არის სუბიექტიური ხასიათის. ამაშია კანტის კოპერნიკალური პოზიცია: არა სამყარო გონებას, არამედ გონება უკარნახებს კანონებს სამყაროს. სამყაროს კანონიერება მდგომარეობს აპრიორულ ელემენტებში. აპრიორულ ელემენტების გასუბიექტივება სუბიექტიურ იდეალიზმის არსებითი მომენტი. ამ მომენტიდან პირდაპირი გზა სოლიპსიზმისაკენ მიდის.

ლენინი, ებრძვის რა კანტიანელებს ამ საკითხში, სწერს, რომ სამყარო თავისთავად გარკვეულობაა. დრო, სივრცე, კატეგორიები თითონ საგანშია. აპრიორული ელემენტები ობიექტიური ხასიათისაა. გარკვეულობას, საგანს ანიჭებს, როგორც ალენიშენთ, დრო, სივრცე და კატეგორიები. ამ ობიექტიურ გარკვეულობის შემეცნებითი ასახება მეცნიერებაა. არა გონება, არამედ გარეშე სამყარო უკარნახებს გონებას თავის კანონებს. აქ გამიჯვნაა მატერიალისტური შემეცნების თეორიისა კანტის კოპერნიკალურ პოზიციისაგან. საგნის შემეცნება — საგნის გარკვეულობის ასახებაა. შემეცნებამდის საგანი თავისთავად არსებობს. შემეცნებაში ის იჭყვევა საგნად ჩვენთვის. შემეცნებამდის ჩვენ არ ვიცით საგნის შესახებ. შემეცნებისას ჩვენ ვასკვნით საგნის ობიექტიურ გარკვეულობის ამა თუ იმ ხანის არსებობას. ამ რიგად საგანი თავისთავად იჭყვევა საგნათ ჩვენთვის. ასეთია ლენინის, ენგელსის და პლენხანოვის შეხედულება ანალოგიური მდგომარეობაა ჭეშმარიტების თვალსაზრისითაც. მეცნიერული ჭეშმარიტება მხილდება მოვლენათა კავშირის აღმოჩენაში: ჭეშმარიტება სხვა არაა, გარდა ასეთი ურთიერთობის ცხადყოფისა. მოვლენათა ობიექტიური ურთიერთობა, ობიექტიური მიმართება თავისთავად გარკვეულობას წარმოადგენს: **კანტი** სრულის სიმართლით ამბობდა, რომ გარემო ქაოსია, რადგანაც მასში ობიექტიურად არ არის მოცემული აპრიორული ელემენტები*). აპრიორული ელემენტების გაობიექტივებით გარემო ჰკარგავს ქაოტიურ ხასიათს და მით ღებულობს ის მტკიცე გარკვეულობას; გარკვეულობა თავის მხრივ კანონშესაბამებაში მდგომარეობს: აპრიორული ელემენტები აწესრიგებენ გარეშე მოვლენებს. ასე რომ მოვლენათა განვითარება ყოველთვის და ყოველგან წეესაბამება აპრიორულ ელემენტებს, როგორც თავის კანონებს.

როგორც ალენიშენთ სამყაროს ობიექტივობის და საზოგადოთ ობიექტის პრიმატის მიღებით შემეცნებაში, **ლენინმა** ლოლიკურად სცნო ამ ობიექტის გარკვეულობა (კანონშესაბამობა). ობიექტის გარკვეულობის მიღება de facto ნიშნავს ჭეშმარიტების თავისთავად ცნობას: „ჭეშმარიტება არის ის, რაც არის“; ობიექტიურად არის საგნის გარკვეულობა, ე. ი. ჭეშმარიტება თავისთავად. საგნის ზემოქმედება ჩვენს გრძნობათა ორგანოებზე იწვევს შეგრძნებას, რომლის

* გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, აქ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: **კანტი** მართალია იმდენათ, რამდენათ მან სამყაროს ქაოტიურობა დაუკავშირა აპრიორულ ელემენტების არ არსებობას სამყაროში (ობიექტიურად). სულ სხვა საკითხია, თუ რამდენათ სწორია სამყაროს ქაოტიურობის აღიარება.

გადამუშავებით ჩვენ ვღებულობთ საგნის შემეცნებას; შემეცნებაში საგანი მოცემულია ჩვენთვის; შემეცნებანდის თავისთავად. ამით ჭეშმარიტება თავისთავად ლოდიკური წინამძღვარია ჩვენთვის ჭეშმარიტებისა; ეს უკანასკნელი სხვა არაა, გარდა ჭეშმარიტების თავისთავად შემეცნებითი ასახვისა; საგანი და ჭეშმარიტება სინონიმებია, ისევე, როგორც ობიექტი და შესაცნობი.

„ინტუიციის ფორმების“ — დროსა და სივრცის, და აგრეთვე კატეგორიების საგანში თავის-თავად არსებობის აღიარებით, **ლენინმა** შესაძლებლად სცნო განვითარება, როგორც ობიექტიური ფაქტი. **განვითარება საგნის დროულობაში გაშლაა**. თავისთავად ცხადია: ეს გაშლა მოძრაობის გარეშე შეუძლებელია; ამდენათ მოძრაობა საგნის თანდაყოლილი თვისებაა. ყოველ მოვლენაში, როგორც მოძრაობაში ორი მომენტი: პოზიტიური და ნეგატიური. პოზიტიური მომენტი ცხად ჰყოფს მოვლენის **ამგვარ** არსებობას; ამ მომენტში მძლეა ფორმულა ლოდიკის კანონების: საგანი არის ის რაც არის; იგივეობის და წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი აქ უზრუნველყოფილია. მაგრამ ეს პოზიტიური მომენტი შეიცავს ნეგატიურ მომენტს, თავდაპირველად, როგორც პოტენციას. ნეგატიური მომენტი პოზიტიურად უნდა იქცეს და მით უნდა უარყოფილ იქმნეს საგნის „პოზიტიური“ არსებობა: წინააღმდეგ შემთხვევაში მოძრაობა, განვითარება, როგორც **ცვალებადობა** დაჰკარგაუდა თავის აზრს: მაშინ მოისპობოდა განვითარება და მით სამყარო წარმოსდგებოდა, როგორც უსიცოცხლო სტატიური ფენომენი. სინამდვილეში სამყაროს „სიცოცხლე“ იმ მუდმივ და შეუჩერებელ ცვალებადობაშია, რასაც განიცდის ყოველი მოვლენა. ცვალებადობა უნივერსალი პრინციპია, რადგანაც ყოველივე კიდევ არსებობს და კიდევ არ არსებობს: საგნის პოზიტიურ არსებობაში მკაცრი აუცილებლობით მოცემულია ნეგაციის (უარყოფის) ელემენტები; ამდენათ ნეგატიური მომენტი საგნის **სხვაგვარად** არსებობის მომასწავებელია. თავის მხრივ ეს „სხვაგვარი“ „ამგვარად“ იქცევა, რომელშიაც დაიბადებიან კიდევ „სხვაგვარად“ ყოფნის ელემენტები და ასე დაუსრულებრივ. ამ დაუსრულებლობაშია განვითარების აზრი და მნიშვნელობა.

ასეთია დიალექტიკური მეთოდის სქემა. რევოლუციონური სული დიალექტიკისა ცხადი და ნათელია: ყოველივე კვდება, რომ დაიბადოს ახალი: ამაში მხილდება ცვალებადობის, როგორც წინააღმდეგობის ბუნება. მარადიულობა იმ თავითვე უარყოფილია, მისი ატრიბუტები მინიჭებული აქვს მხოლოდ **ცვალებადობის კანონს**, ე. ი. თითონ დიალექტიკას. დიალექტიკა თავით საგანშია მოცემული, რადგანაც მოძრაობა საგნის თანდაყოლილი თვისებაა. დიალექტიკის ასეთი გაგებით მარქსისტული მატერიალიზმი იმიჯნება, როგორც XVIII და XIX საუკუნის მეტაფიზიკურ მატერიალიზმისაგან, აგრეთვე ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკისაგანაც.

ლენინის ფილოსოფიურ შეხედულებათა ყოველი მომენტი რევოლუციონიზმით სუნთქავს. ამდენათ ეს შეხედულებანი თეორეტიული დასაბუთებაა იმ პრაქტიკულ პოლიტიკის, რომელშიაც მუშათა კლასი ამჟღავნებს თავის პრაქტიკულ პროტესტს მესამე წოდების წინააღმდეგ.


მ. ბ — ქე



იბ. კანტის დაბადებიდან 200 წ. შესრულების გამო

მიმდინარე წლის 22 აპრილს შესრულდა 200 წელი იმმანუელ კანტის დაბადების დღიდან. კანტი არამც თუ ღვიძლი შეილია დასავლეთის ბურჟუაზიულ კულტურის, არამედ ის მისი ფილოსოფიური და ეთიურ-მორალური გამოხატულებაა მთელი წარსულ ისტორიული ეპოქის გასწვრივ. ის დიადი პრობლემები, რომლებიც საფრანგეთის რევოლიუციამ წამოაყენა, მაგრამ ვერ გადასწვდითა — ფილოსოფიურ დანასკვს კანტის ნააზრევში ჰპოულობენ. კანტის პრაქტიკული ფილოსოფია დიდი რევოლიუციის ფილოსოფიური სინდისი იყო. კანტმა თვით აღიარა რომ მის ფილოსოფიაში პირველობა პრაქტიკულ გონებას ეკუთვნის და, ვისაც სურს დააფასოს კანტის თეორიული ფილოსოფია, მისი ძლიერი თუ სუსტი მხარეები, მისი შეცდომები თუ გენიალობა, მან უსათუოდ უნდა გაითვალისწინოს კანტის პრაქტიკული გამოსავალი. მაგ. ისეთი საჭირ-ბოროტო პრობლემა, როგორც არის ე. წ. „საგანი თავისთავად“. კანტმა უბრალოდ გადასწერა პრაქტიკული გონების მოთხოვნილებიდან.

კანტი თეორეტიული სინდისია საფრანგეთის რევოლიუციის, მაგრამ რევოლიუციონერების გაბედული პრობლემები მის წყნარ და პრუსიულ თავში გაუბედავ იდეალებათ ისახება. იქ, სადაც რევოლიუციონერები ანგრევდნენ, — კანტი მხოლოდ დასანგრევს ხედავს, იმაში კი, რასაც რევოლიუციონერები აშენებდნენ, — აუცილებლობას. ისე, როგორც ისტორიულ ძალთა მსვლელობის განვითარებაში რევოლიუციის მალალი ფრაზა ხწირად ძალმომრეობის, უპრობლემობის და ბრუტალობის სამოსელში გაეხვია — ისე გადაიქცა კანტის იმპერატიული ეთიკა, — რომელიც ავტორმა ადამიანის სულში ჩამარბულ უცვლელ განძიდან ამოიკითხა — ამავე ადამიანებისათვის აუტანელ რიგორიზმით. აქ კანტი არის ეპოქის სრული სურათი, მე-18 საუკუნე ყველა ნუანსებით და მისი ნაამაგარი შეადგენს აზროვნების ისტორიის ერთ მთავარ ქვაკუთხედს. კანტის იმპერატიულ ეთიკაში მოცემულია ჯერ სულიერად ჯანსაღი, სიცოცხლის ლაღათ მოსურვე, ორგანიზაციული ნიჭით აღჭურვილი, ქვეყნების დაპყრობის და გონიერად მოწყობის იდეალებით გატაცებული დიდი რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა. ერთ უკვდავ ფორ-



Immanuel Kant

მულაში მოგვცა კანტმა ეს ჯანსაღი და სულიერად ძლიერი ნებისყოფით განუსაზღვრელი ადამიანის იმპერატივი: **იმოქმედე ისე, რომ შენი ნებისყოფის მაქსიმა ყოველდროს საერთო კანონმდებლობის პრინციპად გამოდგებოდეს.** ეს საერთო და საყოველთაო კანონმდებლობა არის ადამიანის საკუთარი ქმნილება, მისი ავტონომიური ნებისყოფა.

ეთიურ ღირებულებათა კონფლიქტები საკითხს კანტისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ის კონფლიქტებს და ორ ეთიურ მოტივს არ იცნობს, მას აქვს მხოლოდ ერთი: მიზანშეწონილი მოქმედება. ეს არის მომქმედი ნებისყოფის თავისუფლება, რომელსაც სურს საკუთარი მოქმედების და საკუთარი თავის გამარადიულება. აქედან იყო რომ კანტი იმ კოშკის ხელმეორედ აშენებას შეუდგა, რომელიც მან თეორიულ ფილოსოფიაში დიდი ხანია დაანგრია: სახელდობრ, ღმერთის არსებობის დამტკიცებას. მიუხედავად ამისა — ფიქრობს კანტი, — რომ ჩვენ არავითარი საბაბი და საშუალება არა გვაქვს ღმერთის არსებობა აზროვნების საშუალებით დავამტკიცოთ; ადამიანთ ურთიერთობის განხილვის დროს, ჩვენ იძულებული ვართ, ისე ვიმოქმედოთ ვითომც და რაღაც მარადი, ჩვენზე მეტი და ჩვენს მიღმა მყოფი ძალა ჩვენზე მოქმედობდეს. გონება, რომელიც ღმერთის დადებითი ღირსებების ჩამოთვლით ლამობს, ღმერთის სინამდვილეში არსებობა დაამტკიცოს, ჩამოგავს იმ შევახშეს, რომელმაც იფიქრა თავის ქონების გადიდება და ამ მიზნით, თავის ფულების სალაროს რამოდენიმე ნული მიაწერა, მაგრამ ის მორალური გონება, რომელიც ისე მოქმედობს, ვითომც რაღაც უცნობი და კეთილი ძალა მის თავისუფალ მოქმედებას ჰმართავდეს, არის მიზანშეწონილი და ისეთი პრაქტიკული გონების მიერ შეთხზული ღმერთი მართლაც და არსებული. თუ კანტის ფილოსოფიურ მაქსიმებს ნატურალისტური ტერმინოლოგიით გამოვხატავთ, მივიღებთ დებულებას, რომელიც უსათუოდ ფეიერბახის თქმას ჩამოგავს, ღმერთს კი არ გაუჩენია კაცი, არამედ კაცმა გააჩინა ღმერთიო. მაგრამ ასეთი შემობრუნება იქნებოდა კანტის სრული გაუგებრობა, კანტისათვის, რასაკვირველია, გამოსავალი თვით ადამიანიდან იწყება, რადგან ადამიანის თავისუფალი ნებისყოფის ამოქმედების შემდეგ აღმოჩნდება მორალური ურთიერთობა, მაჩვენებელი იმისა, რომ შესაძლებელია ვანმე არსებობდეს, რომელიც მორალურ მოქმედებას ჰმართავდეს; მიუხედავად ამისა, კანტის თვალსაზრისისათვის სულ არ არის საინტერესო, თუ ვინ ვის გააჩენს, არამედ ის ფაქტი, რომ ორივე არსებულს წააგავს. ყოველ შემთხვევაში, კანტმა ერთი რამ ვერ შეამჩნია, სახელდობრ ის, რომ მისი მორალური გონების მიერ აღმოჩენილი ღმერთი დიდი სასაცილო ვინმეა, რადგან ის ადამიანის მორალურ განწყობილებაზე არის დამოკიდებული და ყოველი ამორალური მოქმედების დროს არსებობის უფლებას ჰკარგავს.

კანტმა საბოლოოდ ვერ გადაჭრა, ეთიური პრობლემა ისევე, როგორც დიდმა რევოლიუციამ თავისუფლების პრობლემა. კანტის ეთიკას დღემდის შერჩენილი აქვს მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ჩონჩხი, რომელიც მოკლებულია ეთიურ ღირებულების მატერიალურ საფუძვლებს. შეეცდებით თქვენ თუ არა ეთიურ ფორმაში ჩასდოთ მატერიალი ღირებულება, დააყენებთ თუ

არა ეთიურ ცნობიერებას მორალურ ღირებულებათა კანფლიქტების წინაშე, ხელად იცვლის სახეს თვით ფორმა და კანტის ეთიკის საფუძვლების შენარჩუნება. ეთიკა უაღრესად მატერიალ ღირებულებათა მეცნიერებაა და არა ფორმალ სახეთა. მიუხედავად ამისა, კანტის ეთიური შემოქმედება ეპოქალური მნიშვნელობისა არის. ის ისე ეპოქალურია, როგორც თვით კანტი. დღეს კი მას მხოლოდ დიდი ისტორიული მნიშვნელობა-ლა შერჩენია. ახალ ქვეყანას და ახალ ადამიანს იმპერატივის ეთიკა მორალურ გზას ვეღარ უჩვენებს...

* * *

იმ. კანტს არა ერთხელ განუცხადებია, რომ მას ორი დიდი საიდუმლოება აქვს, ეს არის: „ცა მოჭედილი ვარსკვლავებით ჩემს მაღლა და მორალური კანონი ჩემში“. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს უკანასკნელი სისტემატიურად პირველი იყო კანტისათვის. აქ კანტი გავიცანით ჩვენ ეპოქალურ ადამიანის მედროშეთ, მაგრამ მისი მნიშვნელობა მართო იმაში კი არ იყო, რომ მან დიდი რევოლიუციის ახალ ძალებს ფილოსოფიური სინიდიისი შეუქმნა, არამედ იმაში რომ კანტი გამოვიდა ნიუტონის მეცნიერების, ე. ი. ახალი ბუნების მეტყველების მეცნიერულ შესწავლის ფილოსოფიურად დამკანონებელ გენიად. მიუხედავად ათასგვარ შეცდომებისა, „ვარსკვლავებით მოჭედილი რკის“ განხილვის დროს, კანტი აზროვნების ისტორიის უდიდესი რევოლიუციონერია. კანტმა პირველად მისცა დასრულებული სახე შემეცნებას და შექმნა შემეცნების კრიტიკა. ის პირველად მიხვდა ფილოსოფიაში, რომ თუ მზე არ ტრიალებს დედამიწის გარშემო მაშინ დედამიწა უნდა ტრიალებდეს მზის გარშემო, ე. ი. თუ შემეცნება არ ტრიალებს საგნის გარშემო, მაშინ საგანი უნდა შემოტრიალდეს შემეცნების გარშემო; ეს იყო მისი ე. წ. „კოპერნიკალური ნაამაგარი“ და გეომეტრიის და მათემატიკის მეთოდი მეტაფიზიკაში მოხდენილი სრულქმნილი რევოლიუცია. საკითხისადმი კანტის მიერ მიცემული პასუხი, სახელდობრ ის, რომ შემეცნების პროცესში საგანი (ობიექტი) შემეცნობელის კარნახს ასრულებს, ჩვენთვის, რასაკვირველია, მიუღებელია, მაგრამ ეს პასუხი, რომელიც კანტი იდეალურ მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა, საინტერესო კი არ არის, არამედ საინტერესო და მნიშვნელოვანია თვით საკითხის დაყენება. ფილოსოფიურ პრობლემათა ისტორიაში ხშირად საკითხის დასმას გაცილებით უფრო თვალსაჩინო და დადებითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ამა თუ იმ პასუხს.

ისე, როგორც ერთხელ პლატონი ჰკითხულობდა: რა არის ეპისტემე, ე. ი. ცოდნა? ასე კითხულობს კანტის შემეცნების კრიტიკა ცოდნის ბუნებისათვის, შეგვიძლია ჩვენ ვიცოდეთ ჩვენს მიღმა და ჩვენს გარედ მდებარე საგნის ბუნებისათვის რაიმე? როგორ არის შესაძლებელი ვიცოდეთ რომ $7+5=12$ და სხვ. ეს დედა საკითხია ყოველივე ფილოსოფიის. ის წამოიჭრა ანტიურ აზროვნებაში და ახალ ფილოსოფიაში და გადაიწალა აზრისა და არსის ურთიერთ წედომის პრობლემის საბით. ემპირიზმის კლასიკოსმა პიუმემ ეს საკითხი რადიკალურად დააყენა, ხოლო პოუმე მივიდა დასკვნამდის, რომ ჩვენ გარეშე უბრალო შეჩვევისა და რწმენისა არავითარი საბუთი არ გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მზე ხვალ დილით ისევ ამოვა, როგორც ყველა ჩვენს მიერ უკვე ნახულ დილით, აქ რწმენამ

საბოლოოდ გაიმარჯვა ცოდნაზე და ჰიუმეს სახით კრიტიკული შემეცნება პრინციპიულ გაკოტრებამდის მივიდა. კანტი, თავის საკუთარი განცხადებით, ჰიუმეს პრობლემას გამოუღვიძებია მეტაფიზიკურ თვლემიდან, რომელიც გამოღვიძებისთანავე ნათელი გახდა კანტისათვის, სახელდობრ ის, რომ „იდეალიზმის და ადამიანის გონების ისტორიულ სკანდალს შეადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენს მიღმა და ჩვენს გარე მდებარე საგნების არსებობა მხოლოდ რწმენით შეგვიძლია მივილოთ“. კანტს სურს ამ საბუდისწერო კვანძში მოახდინოს „სრულმქნილი რევოლუცია“. ჩვენს გარე მდებარე საგნების არსებობა კი არ მიიღოს, არა მედ დაამტკიცოს, ე. ი. დაამტკიცოს მათი ცოდნის შესაძლებლობა. ამ მიზნით უპირველეს ყოვლისა უნდა მოიხსნას მეტაფიზიკა და მისი ადგილი შემეცნების, ე. ი. ცოდნის საშუალების კრიტიკამ უნდა დაიკავოს.

კანტი მოხდენილად ამბობს, რომ სხვისი წიგნების და სისტემების კრიტიკა კი არ სურს აწარმოვოს, არამედ კრიტიკა იმ აპარატისა, რომლის საშუალებით წიგნები დაწერილა და სისტემები შექმნილა, ე. ი. კრიტიკა გონების. სანამ მეზღვაურა უნაპირო ოკეანეს ტალღებში შეაცურებდეს თავის ხომალდს, ის მოვალეა კარგად გასინჯოს ხომალდი და შეიტყოს გამოადგება თუ არა მას ის. ასე საჭიროა ჩვენი გონების სასტიკი კრიტიკა, რომელიც ცოდნის ნაპირებიდან მეტაფიზიკის უნაპირო ზღვაში მიილტვის და იქ ღმერთის, უკვდაობის, პირველ დასაბამის, თუ სხვა მაღალ საგნების აღმოჩენას ლამობს. მას შემდეგ, რაც სპეკულატივი გონება ალაგმულია და აზრის საწვდომი არე განსაზღვრული, კრიტიკას შეუძლია წამოაყენოს საკითხი ცოდნის შესაძლებლობისა, ე. ი. რეალობის პრობლემის შესახებ.

კანტის წინ არსებობდა ნიუტონის და გალილეის მეცნიერების ე. ი. ახალდროის ბუნებათ მეცნიერების დიდი ფაქტი, ის ფაქტი, რომ მაგ. ცის მნათობნი ტრიანლებენ და მოძრაობენ მსოფლიო სივრცეში იმ კანონების და ფორმულების მიხედვით, რომელიც ადამიანის გონებას ფანქრით ხელში გამოუანგარიშებია; ადამიანს ქალაქის და ფანქრის საშუალებით შეუძლია გამოიანგარიშოს, რომ სადაც მსოფლიოს სივრცეში არსებობს ჩვენთვის უცნობი სხეული, გაივლის რამდენიმე წელი და ამ სხეულის არსებობა ექსპერიმენტალურადაც ნათელი გახდება. რათ ხდება ეს ასე, რათ ექვემდებარება ბუნება აზროვნებას? რადგან ჩვენ ბუნების კანონების ცოდნა ბუნებათმეცნიერებაში გვეძლევა, ამიტომ კანტის ფილოსოფიის დედა-საკითხი ამბობს: **როგორ არის ბუნებათმეცნიერება a priori შესაძლებელი.** მაგრამ, რადგან ცნობილია, რომ ახალი დროის ბუნებათმეცნიერება მათემატიკური კანონების ბუნებაში გადატანას წარმოადგენს. ამიტომ, ცხადია, რომ მთავარ საკითხს წინ უნდა უწარუებდეს საკითხი: როგორ არის მათემატიკა შესაძლებელი? და, რადგან ყოველი ცოდნა ცნობიერებისათვის აზროვნების მიერ მომხდარ სინთეზში, ე. ი. მსჯელობაში იხატება, ამიტომ კითხულობს გონების კრიტიკა პირველ რიგში: როგორ არის სინთეზი საერთოდ შესაძლებელი?

მთავარი საკითხი, გიდაჭრისათვის კანტი ფილოსოფიურ განძეულთა საღაროდან იღებს იგივეობის კლასიკურ პრობლემას. გრძელი და რთული სპეკულაციის შემდეგ ის ე. წ. აზროვნების უმაღლეს და ძირითად დებულებაში აცხადებს, რომ: **„პირობები ცდის შესაძლებლობისა ერთსა და იმავე დროს არის**

პირობები ცდის საგნის შესაძლებლობისა“. ამით არსი და აზრი შიდა შინა-წყობა და კანონთმიმდინარეობა დაგვარად და ერთგვარად არის გამოცხადებული და, ცხადია, რომ შემეცნება შესაძლებელი საქმეა, რადგან დაგვარად დაგვარი, სწორს სწორი შეუძლია შეიცნოს. აზროვნება ინას შეიცნობს ბუნებაში, რის შეცნობა მას იქ შეუძლია და რაიც იქ მართლაც არის, რადგან კანონები აზრის ფუნქციებისა და ბუნების მსვლელობისა თავიანთი პრინციპების დაგვარია, ცხადია, აზრი გაუსწორდება არსს და მას მისწვდება.

ეს კლასიკური ადგილი ყველაზე უფრო ძლიერია კანტის კრიტიციზმში, მაგრამ ის რაც ამის წინ მოდის, ე. ი. სინთეზის დასაბუთება არ შეიძლება ასეთ ძლიერ შემოქმედებათ მივიჩნიოთ.

ჩვენს ცნობიერებას უპირველეს ყოვლისა ქვეყანა ეძლევა მსჭვრეტელობაში, როგორც გრძნობის მრავალსახოვანი მასალა, ეს არ არის ის რეალურად არსებული, რომლის არსებობის დამტკიცება აზროვნების კრიტიკას ევალება. ეს მასალაა მხოლოდ იმ არსებულად არსებულისათვის. აზროვნებას თვით გააჩნია საკუთარი სინთეტიური მოქმედება, ანუ 12 მისი ღვიძლი შვილი, ეს არის კატეგორიები. კატეგორიალი აზროვნება იჭრება მრავალსახოვანების ქვეყანაში. სადაც არსებული მოვლენების სახით გადაშლილია და იქ მოვლენების მასალიდან აშენებს შემეცნების საგანს. თუმცა აზრის კატეგორიალი სინთეზი იმდენად გამართულია, რამდენად კატეგორია გამართლებული იქნება „შესაძლებელ ცდაში“, მაგრამ სინთეზის მოხდენისათვის, ე. ი. შემეცნების საგნის აშენებისათვის, კატეგორიას მინიჭებული აქვს ერთგვარი აქტუალობა, რომელიც, ექვს გარეშეა, პირველობას ჩამოგავს. ეს აზრის, ე. ი. გონების პირველობა და მისი აპრიორული ცნების მძლეობა უფრო ნათელი გახდება ე. წ. დედუქციის პრობლემის დასმისას. რას აკეთებს კატეგორია, როგორ ხდის ის საგანს შემეცნების, ე. ი. შესაცნობ საგნად? ემპირიულ ცნობიერებაში მოცემულ მოვლენათა მრავალსახიანობა კატეგორიალი სინთეზის საშუალებით მალღდება და იქცევა თვითცნობიერებათ, ე. ი. კატეგორიაში შემეცნების ობიექტი ე. ი. მოვლენაში გადაშლილი ნამკალი ქვეყანა, გვეძლევა ნააზროვნებ ობიექტებად. აქ თვითცნობიერების ტრანსცედენტალი აპერცეპცია ამთლიანებს აზრის წმინდა ცნებას მოვლენაში გადაშლილ მასალასთან და იძლევა შემეცნების საგანს. ამიერიდან ტრანსცედენტალი აპერცეპცია გაამგზავრებს ყოველივე სააზროვნო ობიექტს შემეცნების ფართო შარა-გზახე პაროლით: „მე ვაზროვნებ“. ე. ი. აქ თვითცნობიერებას მრავალსახოვანი მოვლენათა ქვეყანა აპერცეპციის მთლიანობაში გადმოაქვს, მაგრამ კატეგორიები ცდას, როგორც ასეთს, კი არ იძლევა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელ ცდის პირობას.

ეს წერტილი არის კანტის თეორეტიული ფილოსოფიის საბედისწერო ადგილი. შემეცნების დედა. საკითხის გადასაჭრელად დაშვებული პრინციპთა იგივეობა აზროვნებას და ბუნებას შორის აქ იმდენად დამაბინჯებელია, რამდენად დაშვებულია აზრის პირველობა და ყოვლის შემძლეობა შემეცნების საგნის აშენების მიზნისთვის. აქ დაიბადა კანტის აზროვნებაში დიდი მერყეობა და გაჩნდა მის სისტემაში საშინელი წყვეტი. ერთის მხრით აღვირწახსნილ იდეალიზმისაკენ გზა გახსნილია, რადგან ყოველივე ცოდნა-ცნობიერების პაროლით „მე

ვაზროვნობა“ გამოდის დღის სინათლეზე, მეორე მხრივ კი წმინდა ცნების თარეში შეკვეცილია, რადგან აზრის კატეგორიულ სინთეზს, მხოლოდ შესაძლებელ ცოდნასთან აქვს საქმე. კანტი გენიალური ხერხის, ^{სადაც მხოლოდ} კდილობს თავისი სისტემა იდეალიზმის კლანჭებიდან გადაარჩინოს, მაგრამ მას არც რეალიზმს უთმობს და ამისათვის მისი კრიტიკული გზა უდროვოდ აღკვეთილია და მეცნიერული თვალსაზრისი ბოლომდის არ არის მიყვანილი.

მიუხედავად მთელი თავისი გენიალობისა, კანტი მაინც იდეალისტი დარჩა და მიუხედავად „სრულმქნილი რევოლუციისა“ მისი თვალსაზრისი მაინც მეტაფიზიკა არის, ამ სიტყვის ძველი გაგებით. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ რეალობის პრობლემა გადაუჭრელია და კანტის მიერ დამტკიცებული შედეგების საგნის რეალობა არ შეიძლება არსებულად არსებულის დამტკიცებად მივიჩნიოთ.

თუ ეპიგონები დღემდისაც ამტკიცებენ, რომ კანტის თეორიული თვალსაზრისი ჩვენი დღისათვისაც გამოსადეგია, ეს მხოლოდ მათ საკუთარ აზრების დაგვიანების და არა ორიგინალობის შესახებ იძლევა მოწმობას; მით უმეტეს რომ დღეს თვით ის ბუნებათმეცნიერება და მათემატიკა, რომლის მეცნიერულ საფუძველზე კანტის გონების კრიტიკა ემყარებოდა, შერყეულია, და ახალ საფუძვლებს, ცხადია, ახალი შენობა სჭირია. მიუხედავად ამისა, მეცნიერების და აზროვნების ისტორია ყოველთვის იდღესასწაულებს იმ. კანტის დიდ საქმეს და მის საფლავზე კაცობრიობა სამართლიანად გაიმეორებს იმ სიტყვებს, რომელიც ინგლისელებმა ნიუტონის ეკედერს წააწერეს: კაცობრიობას შეუძლია იამაყოს, რომ მას ასეთი შვილი ყავდაო.

* * *

იმ. კანტი დაიბადა 22 აპრილს 1724 წელს ქ. კიონიგსბერგში. მამა მისი იყო ხელობით მეუნაგრე, დედა კი არაჩვეულებრივი მორწმუნე, ქალი, კანტს მთელ ცხოვრებაში თან დაჰყვებოდა თავისი დედის მკაცრი პურიტანიზმი. უნივერსიტეტი დაამთავრა თავის სამშობლო ქალაქში, სადაც მიიღო აგრეთვე ფილოსოფიის კათედრა. თავისი ხანგრძლივი ცხოვრება კანტმა გაატარა კიონიგსბერგში და არც ერთხელ არ დაუტოვებია ამ ქალაქის საზღვრები. როდესაც მისი სახელი მთელ კულტურულ კაცობრიობას მოედვა და მას ყოველგან ეპატივებოდნენ, კანტი სტოიკური ბრძენის სიმშვიდით იჯდა კიონიგსბერგში და თავის საქმეს განაგრძობდა. ბრძნულად და წყნარად გაატარა თითქმის ერთი საუკუნე, ხოლო 1 ოქტომბერს 1794 წელს 70 წლის მოხუცებულს თავს დაატყდა მოულოდნელი მრისხანება. პრუსიის მეფემ, ფრიდრიხ ვილჰელმ მეორემ, უბრძანა ფილოსოფოსს, რომ „ის ასახიჩრებს და ნამუსს ხდის წმინდა ნაწერებს და ქრისტიანობას“, ამიტომ უმაღლესი წყრომით და მუქარით უბრძანებდა მას შეფე, მის სამფლობელოში კანტს ასეთი რაიმე აღარ გაეებდნა. კიონიგსბერგელი ბრძენი იძულებული იყო კიდევ ერთხელ „ელალატნა ცოდნისათვის“ და პრუსიის ტირანისათვის მიეწერა, რომ ის მომავალში ხმასაც არ ამოიღებს რელიგიის შესახებ.

კანტი 57 წლის იყო რომ მისი „წმინდა გონების კრიტიკა“ გამოვიდა (1781). 1788 წ. გამოვიდა „პრაქტიკული გონების კრიტიკა“. 1790, მსჯელობის ნიჭის კრიტიკა Kritik der Urteilskrampf.

ამ სისტემატიურ შრომებს გარდა მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი მეცნიერულ და ფილოსოფიურ შრომებისა. მათ შორის საუკეთესოა 1785 წელს გამოსული „ზნეობის მეტაფიზიკის საფუძვლები“.



პრიტიკა და პუბლიცისტიკა

ათას სხრანს ჩვიდმეტი წელი

მენშევიზმი ბურჟუაზიის ხელისუფლებას ამყარებს.

თებერვლის რევოლუციამ მენშევიზმის „რუსეთის სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას“ მოუსწრო იმ დროს, როდესაც იგი იდეურ და ორგანიზაციულ კრიზისს მწვავედ განიცდიდა. იმ საკითხის გამო, რომელიც შეეხებოდა დამოკიდებულებას ომთან და კაპიტალისტურ ბურჟუაზიასთან და, რომელიც ამ ეპოქისთვის ძირითად საკითხს წარმოადგენდა, რუსეთის მენშევიზმის რიგებში შემდეგი მიმდინარეობანი არსებობდნენ:

- 1) მენშევიკ-თავდამცველები (პოტრესოვ-ლიბერ-მასლოვი),
- 2) მენშევიკ-ინტერნაციონალისტები (მარტოვ-მარტინოვი),
- 3) „ცენტრი“ (დან-წერეთელი).

თავის მხრით თავდამცველნი (ინაძინა) იყოფოდნენ ორ ჯგუფად: „ზომიერებად“ (კრებული „Самозащита“) და უკიდურეს თავდამცველებად (პლენხანოვ-ალექსინსკი). ცენტი გაყოფილი იყო „მემარცხენე ცენტრად“ და „მემარჯვენე ცენტრად“. არც ინტერნაციონალისტთა ჯგუფი იყო სავსებით ერთფეროვანი.

დან-მარტოვის ფრაქცია საზოგადოდ მემარჯვენე ციმერვალდიზმის თვალსაზრისზე იდგა, მაგრამ ეს გარემოება მენშევიკურ ცენტრს—დანის ფრაქციას—სრულიად არ უშლიდა ხელს ემუშავნა თავდამცველებთან ერთად, შესულიყო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში და საერთოდ, ფაქტიურად გაეტარებინა მებრძოლ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის პოლიტიკა. მეორე მხრით მენშევიზმის უკიდურესი მემარცხენე ფრაქცია—მარტოვის ფრაქცია—იცავდა მთლიანობას პარტიის ყველა სოციალ-პატრიოტულ ელემენტთან.

ორგანიზაციულად რუსეთის მენშევიზმი თებერვლის წინა ხანებში ასეთ სურათს წარმოადგენდა: არალეგალურ ასპარეზზე არსებობდა ორგანიზაციული (ცენტრალური) კომიტეტი („О. К.“). ამ კომიტეტის პოლიტიკა ცენტრისტული იყო. ევროპაში რუსეთის მენშევიზმს წარმოადგენდა „ორგან. კომიტეტის საზღვარგარეთელი სამდივნო“ (მარტოვი, მარტინოვი, აქსელროდი, ასტროვი,

სემკოვსკი). სამდივნოს წევრთა უმრავლესობას მემარცხენე პოზიცია ეჭირა; აქსელროდი-კი ცენტრიზმის თვალსაზრისზე იდგა. პეტროგრადში არსებობდა „საინიციატივო ჯგუფი“, რომელიც ინტერნაციონალისტების და ცენტრალისტებისაგან შესდგებოდა. ხანდახან ეს ჯგუფი საკმაოდ მკაცრად გამოდიოდა თავდამცველთა წინააღმდეგ, რომლებთან ერთადაც იგი სამხედრო-სამრეწველო კომიტეტებში მუშაობდა. პროვინციაში მენშევიკების პარტიას ჰყავდა არალეგალურად მომუშავე მეტად სუსტი ჯგუფები. თავდამცველები არალეგალურ მუშაობას უმთავრესად სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მუშათა ჯგუფების ზურგს უკან აწარმოებდნენ.

ლეგალურ ასპარეზზე პარტიას ჰყავდა: 1) სათათბიროს ფრაქცია, რომელსაც ჩხეიძე და სკობელევი ხელმძღვანელობდნენ და რომელიც მემარჯვენე ციმპერვალდიზმის თვალსაზრისზე იდგა; 2) ცენტრალური სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის მუშათა ჯგუფი, რომელიც თავგამოდებულ თავდამცველობისაგან შესდგებოდა; 3) მთელი რიგი პროვინციულ ჯგუფებისა ადგილობრივ სამხედრო სამრეწველო კომიტეტებთან; 4) თავდამცველთა ჟურნალის „Наше Дело“-ს რედაქცია პეტროგრადში.

თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებში ყველა მენშევიკური მიმდინარეობა შეერთდა და შეკავშირდა მთლიან პარტიულ ორგანიზაციაში. ამიერიდან „ცენტრისტები“ გამოდიოდნენ „რევოლიუციონურ თავდამცველთა“ დროშით და უბრალო თავდამცველებთან ერთად ფაქტიურად და ფორმალურად რუსეთის მენშევიზმს წარმოადგენდნენ. პირველ ხანებში მოვლენათა ძლიერმა ნიაღვარმა ინტერნაციონალისტებიც-კი შთანთქმა და ისინიც თავდამცველებთან ერთად „საერთო სახალხო რევოლიუციისთვის“ მუშაობდნენ. მაგრამ მალე გამოიჩინა, რომ თავდამცველთა ბლოკის პოლიტიკა მიუღებელი იყო მემარცხენე მენშევიკებისთვის და ისინი, ფორმალურად, დარჩნენ რა მთლიან პარტიაში, ფაქტიურად გამოცალკევდნენ და მენშევიკ-ინტერნაციონალისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი შექმნეს. 1917 წლის მენშევიზმი — ეს მემარჯვენე-ცენტრისტული, თავდაცვითი, „ლიბერალის“ მენშევიზმი იყო. როგორ მოქმედობდა იგი რევოლიუციის დროს?

* * *

ის, რაც 27 თებერვლიდან 2 მარტამდე მოხდა — ცარიზმის დამხობა და წმინდა ბურჟუაზიული მთავრობის შექმნა — შეძლებულ კლასებისთვის მეტად ბევრი იყო, ხოლო მენშევიკების, ესერების და საერთოდ ყველა „დემოკრატიულ სოციალისტისთვის“ — ყოველ შემთხვევაში, უახლოეს ხანისთვის მაინც — სრულიად საკმარისი იყო.

ცარიზმის რევოლიუციონურად დამხობა ბურჟუაზიისთვის მეტად გადაჭარბებული საქმე იყო იმიტომ, რომ ამით „ისტორიული ძალა“ სავსებით ირიყებოდა ხელისუფლებისაგან, მონარქიზმს და თავად-აზნაურობას სასიკვდილო ლახვარი ესობოდა. ბურჟუაზია ჰკარგავდა მოკავშირეებს მარჯვნივ და მარტო და პირისპირ რჩებოდა მუშათა რევოლიუციონურ კლასთან. რუსეთის შეძლებული კლასები მუდამ მიილტვოდნენ მეფესა და თავად-აზნაურობასთან ერთად ხელისუფლების განიარებისა და არა მათ განადგურებისაკენ. მხოლოდ მონარქიასთან

კავშირით, ამ მძლავრ „ისტორიულ ძალასთან“ კავშირით, იმედოვნებდა ბურჟუაზია, რომ მუშათა კლასს მორჩილებაში იყოლიებდა და შეძლებულთა ბატონობისთვის მტკიცე საფუძველს შექმნიდა სახელმწიფოში. ამიტომ ლიბერალიზმმა, დაინახა რა, რომ მეფის არსებულ რეჟიმს ბურჟუაზიულ-მემამულეთა რუსეთი დალუბვისკენ მიჰყავდა, გადასწყვიტა მონარქიისათვის ფრთხილად მოეცილებინა ზევიდან ავადმყოფი თავი და შეეცვალა იგი სალი თავით. სასახლის გადატრიალების გეგმას აზრად ჰქონდა ხელისუფლების გაზიარება ბურჟუაზიისა და ლიბერალურ თავად-აზნაურობისთვის ისე, რომ „ისტორიულ ხელისუფლების“ საფუძვლები არ შერყეულიყო.

რევოლიუციამ მთელი ხელისუფლება ბურჟუაზიას გადასცა, მაგრამ ეს მეტად საშიში ტვირთი იყო ბურჟუაზიისთვის. მილიუკოვებს და გუჩკოვებს სურდათ „ხელისუფლების ტვირთი“ ძველ მონარქიასთან და „უპირველეს წოდებასთან“ გაეზიარათ. ამიტომ იყო, რომ ლიბერალიზმის ბელადი მილიუკოვი, ასეთ სასოწარკვეთილებით ებლაუჭებოდა ტახტის ნამსხვრევებს, მას შემდეგაც-კი, როდესაც რევოლიუციონური მასის ნება-სურვილი მტკიცედ გამოიხატა და თვით ეს ცდა მონარქიის გადარჩენისა უკვე სახიფათო საქმე იყო.

რევოლიუციის პირველი შედეგები მენშევიზმს სრულიად საკმარისად მიანჩნდა არსებულ ისტორიულ ხანისთვისთვის, ვინაიდან „ისტორიის კანონების“ ძალით რუსეთში „შტატით“ ბურჟუაზიული რევოლიუცია უნდა მომხდარიყო, ხოლო ამ რევოლიუციას, როგორც ცნობილია, ჰქმნის ბურჟუაზიული ხელისუფლება. ლეოვ-მილიუკოვის მთავრობა, განზრახული ჯერ კიდევ სასახლის გადატრიალების მოლოდინში, მენშევიზმის მიერ ცნობილ იქნა სწორედ იმ **ისტორიულ** მთავრობათ, რომელიც, მისი აზრით, ასე სასურველი უნდა ყოფილიყო მუშათა კლასის მიერ განთავისუფლებულ რუსეთისთვის.

რევოლიუცია რომ მენშევიკებს მოეხდინათ, ყველაფერი გათავდებოდა 2 მარტს, იმ დღეს, როდესაც მთავრობა ჩამოყალიბდა. ცოტა ხნის შემდეგ მილიუკოვი, მინისტრად გამხდარა რევოლიუციის წყალობით, მინისტრად შეიქნებოდა მისი უდიდებულესობის მეფის წყალობით, ომი გაგრძელდებოდა „მამაც მოკავშირეებთან სრული თანხმობით“, ხელუხლებელი დარჩებოდა „წმინდა უფლება კერძო საკუთრებისა“, — რევოლიუცია რეფორმებით დასრულდებოდა. საქმის ასეთი ვითარება ძალზე წინააღმდეგი იქნებოდა მენშევიზმის **წერილობითი** პროგრამისა, მაგრამ იგი ბუნებრივად უნდა მოჰყოლოდა მენშევიზმის ფაქტიურ პროგრამას და ტაქტიკას.

მაქრამ ქუჩაში გამოვიდნენ შეიარაღებული მასები და სრულიად არა მენშევიკურად შეუდგნენ საკითხების გადაწყვეტას. 27 თებერვალს, სალამოთი უკვე ჩამოყალიბდა **პეტროგრადის საბჭო**. ბურჟუაზიულ რევოლიუციის განმტკიცების თვალსაზრისით მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო აშკარად „არანორმალურ მოვლენას“ წარმოადგენდა; მას შეეძლო მხოლოდ ხელი შეეშალა „პროგრესიულ“ და „კულტურულ“ ბურჟუაზიისთვის დამშვიდებით განეგრძო ბურჟუაზიული წესრიგის შექმნის საქმე. ამასობაში, უკვე 28 თებერვალს, მუშათა დეპუტატების

პეტროგრადის საბჭომ აი რა მოწოდებით მიმართა „პეტროგრადის და რუსეთის მკხოვრებთ“:

„დემოკრატიის ინტერესებისთვის ბრძოლის წარმატებით დასრულებლად ხალხმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი მძლავრი ორგანიზაცია“.

„გუშინ, 27 თებერვალს, ქარხნებისა და ფაბრიკების, ჯარის აჯანყებული ნაწილების და აგრეთვე დემოკრატიული და სოციალისტური პარტიებისა და ჯგუფების არჩეულ წარმომადგენელთაგან პეტერბურგში შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭო“.

„მუშათა დეპუტატების საბჭო, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში სხდომზეა შეკრებული, თავის ძირითად ამოცანად ისახავს ხალხის მასების ორგანიზაციას და ბრძოლას იმისთვის, რომ რუსეთში საბოლოოდ განამტკიცოს პოლიტიკური თავისუფლება და ხალხური მმართველობა“.

„საბჭომ პეტროგრადის რაიონებში კომისარები დანიშნა ხალხის ხელისუფლების დასამყარებლად“.

„მოუწოდებთ დედაქალაქის მთელ მოსახლეობას, მკიდროდ შეკავშირდეს საბჭოს გარშემო, შექმნას რაიონებში ადგილობრივი კომიტეტები და ხელთ აიღოს ადგილობრივი საქმეების მართვა-გამგეობა“.

რევოლიუციონერმა ხალხმა გამარჯვებისთვის „უნდა შექმნას თავისი საკუთარი მძლავრი ორგანიზაცია“. საბჭო იყო ის „მძლავრი ორგანიზაცია“, რომელიც ხალხის მასიურმა მოძრაობამ წამოაყენა. მან „დანიშნა რაიონის კომისარები“, ფაქტიურად მან ჩაიგდო ხელში დედა-ქალაქის მართვა-გამგეობა... შემდეგში მილიუკოვი, რომელიც მინისტრიდან უბედო ბურჟუაზიულ რევოლიუციის მენატიანედ გადაიქცა, გულის ტკივილით შესჩიოდა იმ გარემოებას, რომ საბჭოებმა პირველ დღეებშივე ფაქტიურად ხელში ჩაიგდეს ადგილობრივი ძალაუფლება, რის გამოც დროებითი მთავრობა ჰაერში ჩამოეკიდა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. არმია ფაქტიურად საბჭოს დაემორჩილა, — ბურჟუაზიის აღარ შეეძლო უკანტროლო ბრძანებლობა მასზე, დასასრულ, — რაც ყველაზე არსებითია, — თვით ღროებითი მთავრობაც, რომელიც შექნილ იქნა ბურჟუაზიის პოლიტიკურ ცენტრის — სათათბიროს კომიტეტის — და რევოლიუციის პოლიტიკური ცენტრის — საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის — შეთანხმების ნიადაგზე, — თვით ეს „რევოლიუციის მთავრობა“ დამოკიდებული იყო საბჭოსაგან.

ყოველივე ეს მენშევიზმის თეორიას ეწინააღმდეგებოდა. თუ რევოლიუცია ბურჟუაზიულია — ის კი უეჭველად ბურჟუაზიული იყო, — როგორღა შეიძლებოდა ბურჟუაზიული ხელისუფლების გვერდით, მის პარალელურად სხვა ხელისუფლების არსებობა? საბჭო-კი, არა თუ გვერდით ედგა მთავრობას, ფაქტიურად მთავრობაზე მალე იდგა. უმაღლეს ხელისუფლების განხორციელებას წარმოადგენდა საბჭო, რომელიც თავის ძალას მუშებისა და ჯარისკაცების რევოლიუციაში ჰკრებდა. თებერვლის პირველი კვირების ხელისუფლება ფაქტიურად საბჭოთა ხელისუფლება იყო. ესერების და მენშევიკების ბატონობის მთელი ისტორია 1917 წელს წარმოადგენდა მათ მტკიცე მისწრაფებას — თანდათან შე-

ეზღუდათ თებერვლის რევოლიუციის თავდაპირველი ვაჭანება, მოესპოთ **ორ ხელისუფლებიანობა** და დაემყარებინათ მარტოდენ ბურჟუაზიის მთლიანი ხელისუფლება. თუ მენშევიკებმა (და ესერებმა) ვერ შენდნენ საბჭოების ფაქტიური ხელისუფლების მოსპობა, ამაში „დამნაშავე“ იყო მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუციონური მასსა. მენშევიზმი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ რევოლიუციის მიერ შექმნილი „მძლავრი ორგანიზაცია“ დაეყვანა მეფის დროის ქალაქის საბჭოს როლამდე... აქ საინტერესოა მოუსმინოთ მოქ. მილიუკოვს. თავის „რუსეთის მეორე რევოლიუციის ისტორიაში“ იგი სწერს:

„სახელმწიფო სათათბირომ მონარქიის იდეა რევოლიუციას დაუთმო. თავად გ. ე. ლვოვის კაბინეტმა, რომელიც სოციალისტური პარტიების მოთხოვნებს და ფორმულებს დაემორჩილა, დასთმო ბურჟუაზიულ რევოლიუციის პოზიცია... ბურჟუაზიის მიერ ხელიდან გაშვებული პრინციპი ბურჟუაზიული რევოლიუციისა ზომიერმა სოციალისტებმა მიიღეს თავიანთი მფარველობის ქვეშ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ორახროვანმა პოზიციამ სახელი გაუტეხა მათ მუშათა კლასის თვალში და საშინლად გააძლიერა რუსეთის სოციალიზმის მარცხენა ფრთა, ბოლშევიზმი“.

რას ადასტურებს მილიუკოვი ამ განცხადებით? შეძლებული კლასები, რევოლიუციის ზეგავლენით, იძულებული გახდნენ დაეთმოთ თავიანთი პოზიციები, მაგრამ ამ პოზიციების გადარჩენა იკისრეს „ზომიერმა სოციალისტებმა“. მილიუკოვები, გუჩკოვები, რომიანკოები უკუგდებულ იქმნენ, მაგრამ მათ საქმეს აკეთებენ კერენსკები, დანები, ლიბერები, წერეთლები, ჩერნოვები. რომიანკოები და ლვოვები ფაქტიურად დაემორჩილენ არა „სოციალისტურ პარტიების მოთხოვნებს და ფორმულებს“ — მათ თავი მოიხარეს, უკან დაიხიეს აჯანყებულ მუშათა კლასის, აჯანყებულ არმიის „მოთხოვნებისა და ფორმულების“ წინაშე.

ესერების და მენშევიკების პოლიტიკა, — ამბობს მილიუკოვი, — „ორახროვანი“ იყო. ეს სრულიად სწორედ არის აღნიშნული. ორახროვანება იმაში მდგომარეობდა, რომ „ზომიერი სოციალისტები“, სათავეში უდგენ რა ფაქტიურად ხელისუფლებას — საბჭოებს, ამავე დროს ყოველნაირად ძირს უთხრიდნენ ამ ხელისუფლებას და სცდილობდნენ რაც შეიძლებოდა მეტი პოზიციები დაეთმოთ ბურჟუაზიისათვის ორახროვნებით და ორჭოფობით იყო გამსჭვალული სოც.-რევოლიუციონერების და მენშევიკების მთელი პოლიტიკა.

და მართლაც: რევოლიუცია მოხდა არა მარტო ცარიზმის, არამედ **ბურჟუაზიის** ნებისყოფის წინააღმდეგაც. „ზომიერმა სოციალისტებმა“, იკისრეს რა რევოლიუციის ხელმძღვანელობა, იგი მთლად ბურჟუაზიას გადასცეს. რევოლიუცია მოხდა ზავისა, მიწისა და პურისათვის, „ზომიერმა სოციალისტებმა“ — კი სავსებით დაუმორჩილეს იგი ომის წარმოების ინტერესებს, მათ ვერ გაბედეს ზავისა და მიწის საკითხის რევოლიუციონურად დასმაც კი. „ზომიერმა სოციალისტებმა“, რომელთაც ერთხელაც კი არ უცდიათ პროლეტარიატის და ჯარის აჯანყების მიერ წამოყენებული ძირითადი საკითხების სერიოზულად გადაჭრა, განოაცხადეს, რომ რევოლიუცია თებერვლის ამბებით დამთავრდაო. სწორედ

ამით მენშევიკებისა და ესერების პარტიები გადაიქცნენ **რევოლუციონურ ძალად**, რომელიც ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას მსახურებდა.

როგორი შედეგი მოჰყვა რევოლუციის პირველ დღეებში? ხელისუფლება ბურჟუაზიას გადაეცა და არც არავინ სცდილა მისი ბატონობის შერყევას. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ არც ცარიზმის დედაბოძს—თავადაზნაურობას—მოუვიდოდა რაიმე სერიოზული ზიანი. რუსეთის ლიბერალიზმი, რომელიც, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად მჭიდროდ იყო შეკავშირებული თავადაზნაურობასთან და, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ მუშათა კლასის შეტევისაგან თავის დასაცავად მისთვის საჭირო იყო მიწათმფლობელებთან კავშირი, არავითარ შემთხვევაში არ დასთანხმდებოდა თავადაზნაურულ მიწათმფლობელების ლიკვიდაციას. იმ ხანაში თავადაზნაურობასაც სხვა არაფერი სურდა, გარდა ბურჟუაზიის ხელისუფლების შენარჩუნებისა. თებერვლის რევოლუციის პირველ კვირებში მიწათმფლობელთა პოზიცია ძირითად საკითხებში ისეთივე იყო, როგორც „ზომიერი სოციალისტების“ პოზიცია.

აი უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული ფაქტი! 10 მარტს გაერთიანებულმა თავადაზნაურობის საბჭომ მოუწოდა ყველა „რუსს“ „მჭიდროდ შეკავშირებულიყო დროებითი მთავრობის ირგვლივ, ერთად-ერთ კანონიერ ხელისუფლების ირგვლივ, რომელსაც მიზნად დაუსახავს სახელმწიფოს და წესრიგის დაცვა და ომის დამთავრება გამარჯვებით“.

თავადაზნაურობამ სწრაფად მოისახრა, რომ მას თავისი თავის გადარჩენა, თავისი ეკონომიური უფლების და უპირატესობის შენარჩუნება შეუძლიან არა ბურჟუაზიასთან ბრძოლით, არამედ მასზე დაყრდნობით. მილიუკოვ-ლვოვის მთავრობა „წესრიგის“, მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ მებრძოლი მთავრობა, იმპერიალისტური ომის მთავრობა. ამ შემთხვევაში „სამეფო ტახტის დედა-ბოძი“—გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო არ სცდებოდა. და იგი კვლავ მოუწოდებდა ყველა „რუსს“, რუსეთის მთელ თავადაზნაურობას „აღიაროს ეს ხელისუფლება და ყოველნაირად ხელი შეუწყოს მას დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში.“

ამრიგად, აშკარაა და უდავო, რომ რევოლუციის გაყინვა თებერვლის ბურჟუაზიულ ეტაპზე შეესაბამებოდა სწორედ შეძლებულ კლასების ინტერესს, და ეს კლასები, როგორც კი განამტკიცებდნენ ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ შეუდგებოდნენ რევოლუციონურ მუშათა კლასის დატუქსვას. მაშასადამე „ზომიერი სოციალისტები“ მუშაობდნენ არა მარტო ბურჟუაზიისათვის, არამედ მემამულე თავადაზნაურობისთვისაც.

* * *

თებერვლის რევოლუციის პირველი ოთხი თვე შეიძლება ორ ხანად გავიყოთ:

მარტი-აპრილი. დროებითი მთავრობა მთლად ბურჟუაზიის ხელშია. მაგრამ მაინც ამ ბურჟუაზიამ სავსებით ვერ შესძლო მთელი თავისი კონტრევოლუციონური პროგრამის განხორციელება. რევოლუცია ცოცხალია და მენშევიკურ-ესერული საბჭოები იძულებულ არიან წინააღმდეგობა გაუწიონ შეძლე-

ბული კლასების მისწრაფებას. ორი ძალა-უფლების არსებობა ხელს უშლის ბურჟუაზიას. შებოროკილი საბჭოებით, იგი იძულებულია დასჯერდეს მხოლოდ საბოტაჟს რევოლიუციის მიმართ. თუ დღეს ჯერ კიდევ არ შექმნილია უკვე დახევა, ყოველ შემთხვევაში წინ ერთ ნაბიჯსაც არ გადავადგმევინებთო, — აი ბურჟუა-მემამულეთა ლოზუნგი!

მაგრამ ამ საბოტაჟმა, რომელიც ომის საქმეში ფაქტიურად იმავე ძველი, მეფური პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა, 20—21 აპრილს რევოლიუციონური მასები ქუჩაში გამოიყვანა. ქუჩაში გამოსულმა ხალხმა ბოლშევიკების პარტიის სახით თავისი ბელადი მოიპოვა.

რევოლიუციის ძლიერ შეტევას შედეგად მოჰყვა „მთავრობის პირველი კრიზისი“. ბურჟუაზიის ბელადი, მისი ყველაზე უფრო ჭკვიანი ხელმძღვანელი მილიუკოვი, იძულებული გახდა სამსახურიდან გადამდგარიყო „не я ушел, меня ушли“ — განაცხადა გულანდილად მილიუკოვმა). ბურჟუაზიას აღარ შეეძლო მარტო-მარტო გასძლიოდა ხელისუფლებას და თავისი ბატონობის განმტკიცება განეგრძო. მაშინ მის დასახმარებლად გამოეშურა „ზომიერი სოციალიზმი“. მენშევიკების და ესერების ბელადები მთავრობაში შედიან. სდგება კოალიცია ისევ და ისევ ძველი მიზნისათვის — ბურჟუაზიული წესრიგის განმტკიცებისთვის. მთავრობაში სოციალისტების შესვლას არავითარი ცვლილება და გაუმჯობესება არ შეაქვს მისს პოლიტიკაში. კერძოდ ტერეშჩენკომ, რომელმაც მილიუკოვის ადგილი დაიჭირა, უცვლელად განაგრძო თავისი წინამორბედის პოლიტიკა.

მაისი-ივლისი. კლასთა ბრძოლა მწვავედება. კოალიციის მთავრობა ვერ აკმაყოფილებს: ვერც ხალხს, იმიტომ, რომ იგი არაფერს იძლევა — ვერც შეძლებულ კლასებს — იმიტომ, რომ მას არ შეუძლია რევოლიუციის დამარცხება; იწყება რეაქციის აქტიურ ძალთა მობილიზაცია.

ბურჟუაზია, მიწათ-მფლობელნი, მხედრობა, მეშჩანობა ირაზმებიან რევოლიუციის წინააღმდეგ აქტიური გამოსვლისათვის; ისინი უდიდეს ზეგავლენას ახდენენ მთავრობაზე და აიძულებენ მას გაილაშქროს ახალი ბრძოლისათვის უკვე ფეხზე დამდგარ მუშათა კლასის წინააღმდეგ, უწინარეს ყოვლისა, მისი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. ხელისუფლება ნელ-ნელა, თანდათანობით, ემორჩილება კონტრ-რევოლიუციის გავლენას და რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ამ კონტრრევოლიუციის იარაღად ხდება. საბჭოების გავლენა ეცემა. „სოციალისტი მინისტრები“ მთლად წალეკა რეაქციის ნიაღვარმა.

საბჭოთა პირველმა ყრილობამ (5—23 ივნისს) ერთი ნიშნის ქვეშ ჩაიარა: ეს იყო რევოლიუციის სავსებით დამორჩილება ბურჟუაზიის ინტერესებისთვის, ომის ინტერესებისთვის. ყრილობის ხელმძღვანელი მენშევიკ-ესერები სასტიკ ბრძოლას ეწეოდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ. 10 ივნისს განზრახულ ბოლშევიკურ დემონსტრაციასთან დაკავშირებით, ისინი შეეცადნენ პეტერბურგის მუშების განიარაღებას, მაგრამ რევოლიუციონურ მასის მიშმა მათ თავი შეაკავებინა ასეთი ნაბიჯისაგან.

18 ივნისს პეტროგრადის პროლეტარიატმა და გარნიზონმა დიდებულ დე-

მონსტრაციაში გამოხატა თავისი ნებისყოფა. ამ დემონსტრაციით მან სთქვა, რომ იგი წინააღმდეგია ომის, წინააღმდეგია ბურჟუაზიული ხელისუფლების და მომხრეა საბჭოების ხელისუფლების. და იმავე 18 ივნისს ინსტრუქციები დაემნშევიკებმა იდღესასწაულეს.... რუსის ჯარის შეტევაზე გადასვლა. წერეთელი ამის შესახებ საბჭოების ყრილობაზე ამბობდა:

„ამხანაგებო! ჩვენი რევოლუციონური ჯარი შეტევაზე გადავიდა (ტაში). მან მთელ ქვეყანას დაანახვა, რომ რუსეთის რევოლუციის განმტკიცებულმა დემოკრატიულმა პრინციპმა კი არ დაასუსტა, **გაამაგრა ჩვენი ჯარის ძლიერება.**

„მან დაანახვა, ამხანაგებო, მთელ ქვეყანას, რომ დემოკრატიულ იდეალებს საშინაო და საგარეო პილიტიკაში არა თუ დემორალიზაცია არ შეუტანია ჯარში, როგორც სცდილობდნენ დაემტკიცებიათ რევოლუციის მტრებს, არამედ ამ აღფრთოვანებამ გააძლიერა ჯარის ბრძოლის უნარი.

„რუსეთის რევოლუციაში, ამხანაგებო, დადგა ის წუთი, როდესაც მან უნდა გამოაშკარავოს მთელი თავისი ძალა, მთელი სიმტკიცე იმ ახალი დემოკრატიულ იდეალების, რომლებსაც იგი ანხორციელებს ზურგში და ფრონტზე... **ჩვენი რევოლუციონური ჯარის შეტევაზე გადასვლით ახალი ფურცელი იშლება რუსეთის დიად რევოლუციის ისტორიაში.**

წერეთლის სიტყვა მთლად ყალბი ფრაზების და სიტყვების რახა-რუხი იყო. არავითარ „აღფრთოვანებას“ ჯარში ადგილი არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა, რადგან ომი წინანდებურად იმპერიალისტურ ხასიათს ატარებდა. „არავითარი „უნარი ბრძოლისა“ არ მომატებია ჯარს და არც შეიძლებოდა მომატებოდა, რადგან ძველი ჯარი ძველი რუსეთის ჩამონატეხი იყო და ამ რუსეთის დაშლა-დარღვევასთან ერთად აუცილებლად უნდა დარღვეულიყო ეს ძველი ჯარიც. წერეთლის სიტყვების სიფუქსავატე აშკარა გახდა მაშინ, როდესაც რუსის ჯარის შეტევა რამდენიმე დღის შემდეგ კატასტროფიულ უკან დახევად გადაიქცა;

მაგრამ წერეთელი ერთ რამეში მართალი იყო: 18 ივნისის შეტევამ ნამდვილად გადაშალა „ახალი ფურცელი რუსეთის დიადი რევოლუციის ისტორიაში“. რა მხრივ? იმ მხრივ, რომ რუსეთის რევოლუცია აშკარად დაუმორჩილეს ანტანტის გენერალური შტაბის ბრძანებებს, ეს მშვენივრად გამოარკვია მაშინ მარტოვმა იმ სიტყვაში, რომელიც მან წერეთლის აღფრთოვანებული სიტყვის საპასუხოდ წარმოსთქვა. მარტოვმა სთქვა:

„რუსეთის რევოლუციონური დროებითი მთავრობა შეტევაზე გადასვლის ბრძანებას აძლევს იმაზე ადრე, ვიდრე გამოირკვეოდა ამ ომის მიზნები, ვიდრე მიღებული იქნებოდა პასუხი იმ შეკითხვაზე, რომლითაც რუსეთის მთავრობამ რევოლუციონური დემოკრატიის დავალებით, მიმართა მოკავშირეებს — თანახმანი არიან თუ არა ისინი უარპყონ დაპყრობითი მიზნები. და, სანამ ეს ასეა, ცარიელი და

ლიტონი სიტყვებია აქ წარმოთქმული სიტყვები, რომ რუსის ჯარისკაცის სისხლის არც ერთი წვეთი არ დაიღვრება დასავლეთით მიზნებისთვის. პირიქით, ვიდრე ომის მიზნები არ გადასინჯულა, მწარე და შეურაცხყოფელი ჭეშმარიტებაა ის, რომ ყოველი წვეთი სისხლისა, დანთხეული იქ და ჩვენ მიერ დატირებული აქ, იღვრება სამარცხვინო მიზნებისთვის (კრების ნაწილი ტაშს უკრავს. ხმაურობაა. ისმის: „სისულელეა“), მე ვხედავ მოფული იმპერიალიზმის სახეებს, რომელნიც ხითხითებენ ამ სიტყვების გაგონებაზე და რომლებმაც იციან, რომ კაპიტალიზმის ბრძანებით თავისუფლების თვით ყველაზე უფრო მოსიყვარულე ერებს საკუთარი ხელით არა ერთხელ გადაუსროლიათ თავიანთი შვილები ამ საკირეში, ამ ცეცხლში (ტაში. ხმაურობა)“.

მარტოვის სიტყვებს რისამე დამატება აღარ ეჭირვება. ყველაფერი ნათელია. რევოლიუცია უსირცხვილოდ გასცეს. ბურჟუაზია თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა. მაშინაც კი, როდესაც შეტევა დამარცხებით დამთავრდა, ბურჟუაზიას შეეძლო თავისი თავი გამარჯვებულად ჩათვალა, რადგან უპირველესი და უმთავრესი ის იყო, რომ მან მოახერხა და მოსამსახურედ გაიხადა ის რევოლიუცია, რომელიც მოხდა ცარიზმის, ბურჟუაზიის და ომის წინააღმდეგ...

მენშევიზმს უნდოდა ხელისუფლებასთან ბურჟუაზიის გამაგრება, მაგრამ ხელისუფლებასთან ბურჟუაზიის მოქცევა აუცილებლად ნიშნავდა ომს ანტანტის კაპიტალთან შეკავშირებით. შემდეგ, ბურჟუაზიის მიერ ხელისუფლების ჩაგდება იყო ჯარში მეფის რეჟიმის დაცვა, მიწის დატოვება მემამულეთა ხელში. ბურჟუაზიის ხელისუფლება ნიშნავდა მუშებისა და გლეხების უსასტიკეს დამარცხებას, რევოლიუციის ლიკვიდაციას.

როდესაც ბრძოლა გამწვავდა, როდესაც კადეტთა პარტიამ აქტიურად დაიწყო ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ, ოფიციალური მენშევიზმი ირწმუნებოდა, რომ არსებობენ „ბურჟუაზიის რალაც მემარცხენე ელემენტები“, რომელნიც თითქო მზად არიან პატიოსნად იმუშაონ მენშევიკებთან და ესერებთან ერთად რევოლიუციის სასარგებლოდო, მაგრამ „კარგი“ ბურჟუაზიის ამ გულუბრყვილო ძებნის გამო, მემარჯვენე მენშევიზმის ბელადმა პოტრეხოვმა განაცხადა: „ჩვენ ბურჟუაზიული რევოლიუციის ბურჟუაზია გვინდა არა როგორც ლედვის ფოთოლი, არამედ როგორც მოკავშირე“. ასეთი ბურჟუაზია ბუნებაში არ მოიპოვებოდა, ვინაიდან ბურჟუაზიული რევოლიუცია არ ყოფილა, ვინაიდან ბურჟუაზიას სძულდა რევოლიუცია და მზად იყო დაეხრჩო იგი. ეს იყო ფაქტი, „უბრალო, როგორც ღმუილი“. ბუნებაში არსებობდა ანტირევოლიუციონური, ანტიმუშური, ანტიხალხური ბურჟუაზია. მენშევიზმმა ამ ბურჟუაზიასთან გადააბა მჭიდროდ თავისი ბუდი და მისი ბატონობის დამყარების ზრუნვაში თავის თავიც დააღუბა.

„ლენინის ფრონტის გარღვევა“

კონტრრევოლიუცია უფრო და უფრო კადნიერდებოდა. ბურჟუა-მემამულეთა რეაქციის აქტიური ძალები ბრძოლისათვის ირახმებოდნენ. მასები აშკა-

რათ ხედავდნენ, რომ რევოლიუციას უდიდესი საფრთხე მოელოდა. მათ ესმოდათ, რომ ბურჟუაზიასთან კავშირი მთელ საქმეს ლუბავდებდა.

2 ივლისს სამსახურიდან გადადგა სამი მინისტრი-კაპიტალისტები. უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ დროებითი მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო უკრაინელ ნაციონალისტებისთვის. ხელისუფლების ახალი კრიზისი მასების გრანდიოზული გამოსვლის ნიშნად გადაიქცა. მათი ლოზუნგები იყო: „ძირს მინისტრი-კაპიტალისტები“, „მთელი ხელისუფლება საბჭოებს!“ გამოსვლის მიზანი იყო, გავლენა მოეხდინა მენშევიკებსა და ესერებსზე, რომ მათ ძალაუფლება ხელთ აეღოთ. დემონსტრაცია სტიქიურად დაიწყო. მასა, გრძნობდა რა საფრთხეს, ინსტინქტიურად წამოიჭრა და მიაშურა თავრიდის სასახლეს — რევოლიუციის ცენტრს. ბოლშევიკების პარტიას არ მოუწოდებია ხალხი გამოსასვლელად; იგი გრანდიოზული რევოლიუციონური დემონსტრაციის ფაქტის წინაშე დადგა, და მან ყოველი ღონე იხმარა, რომ დემონსტრაციისთვის მშვიდობიანი და ორგანიზაციული ხასიათი მიეცა.

მენშევიკებმა და ესერებმა განაცხადეს, რომ ამ გამოსვლას შეთქმულების ამბოხების და აჯანყების ხასიათი აქვსო. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 3 ივნისს საღამოთი მენშევიკების ხელმძღვანელმა წერეთელმა განაცხადა:

„ქუჩაში გამოსვლა და მოახლოვნა: „მთელი ხელისუფლება საბჭოებს!“ — განა ეს საბჭოების მხარის დაქერაა? **სობჭოებს რომ მოესურვათ, ძალაუფლება მათ ხელში გადავიდოდა. საბჭოების ნებასურვილს არც ერთი მხრიდან დაბრკოლება არ ელოდება**, ასეთი გამოსვლები ხელს უწყობენ რევოლიუციას კი არა, კონტრრევოლიუციას“.

წერეთელმა არ ახსნა, რაღ იქნებოდა კონტრრევოლიუცია მენშევიკებისა და ესერების მიერ ძალაუფლების ხელში აღება. მენშევიკების აზრით, კონტრრევოლიუცია იყო ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტა.

მენშევიკების მეორე ბელადი და ხელმძღვანელი დანი ამბობდა:

„**ქუჩაში რევოლიუციონური ხალხია, მაგრამ ეს ხალხი კონტრრევოლიუციონურ საქმეს აკეთებს**“.

ფაბრიკებისა და ქარხნების წარმომადგენლები კი, რომელნიც აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე გამოდიოდნენ, აცხადებდნენ:

„ჩვენ არ დავიწლებით იმ დრომდე, ვიდრე 10 მინისტრი-კაპიტალისტი დაპატიმრებული არ იქნება და ვიდრე საბჭო ძალაუფლებას თავის ხელში არ აიღებს. ჩვენ ვენდობით საბჭოს, მაგრამ არ ვენდობით იმათ, ვისაც საბჭო ენდობა. ჩვენი ამხანაგები, სოციალისტი-მინისტრები კაპიტალისტებთან შეთანხმებაზე წავიდნენ, მაგრამ ეს კაპიტალისტები ჩვენი მოსისხლე მტრები არიან“.

რასაკვირველია, ეს საშინელი „კონტრრევოლიუცია“ იყო! ეს იყო „აჯანყება“, რომელიც ცეცხლითა და მახვილით უნდა ჩაეჭროთ. დროებითმა მთავრობამ და ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა შეჰქმნეს განსაკუთრე-

ბული კომისია, რომელშიაც შევიდა ორი ესერი და ერთი მენშევიკი. ამ კომისიას დემონსტრანტები უნდა დაემშვიდებია. დამამშვიდებლებს „მეთაურობდა ცნობილი მენშევიკი ვოიტინსკი. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 4 ივლისის სხდომაზე მან ასე უამბო სხდომას თავისი საქმენი საგნით:

„3 ივლისს მთელი დღე ჯარის შეგროვებაზე და თავრიდის სასახლის გამაგრებაზე წავიდა... ჩვენი მიზანი იყო რამდენიმე როტა მაინც ჩავვეთრია... ერთხანს ჩვენ სრულებით არ გაგვაჩნდა ძალა. თავრიდის სასახლის შესავალ კართან ექვსი კაცი იდგა, რომელთაც არ შეეძლო ბრბოს შემაგრება. პირველი ნაწილი, რომელიც ჩვენ დასახმარებლად მოვიდა, იყო ჯავშნოსანი მანქანები. ისინი გამოვიწვიეთ არა ჯავშნოსნების სადემონსტრაციოდ, არამედ როგორც სამხედრო ძალა. საღამოთი ბრძანება გაუგზავნეთ ფრონტის ზოგიერთ ნაწილებს ჩაბარგებულ იყვნენ და წამოსულიყვნენ აქეთ“.

6 ივლისს, სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა სხდომაზე, რომელსაც მრავალი აფიცერი და იუნკერი დაესწრო, ვოიტინსკიმ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით და უფრო მჭერმეტყველურად ილაპარაკა.

„დემონსტრაციის პირველ დღეს, — სთქვა მან, — ჩვენს განკარგულებაში იყო მხოლოდ 100 კაცი — მეტი ძალა ჩვენ არ გაგვაჩნდა. ყველა პოლკს კომისარი გაუუგზავნეთ და ვთხოვეთ, მოეცათ ჯარისკაცები საყარაულო საქმისათვის... მაგრამ ერთი პოლკი მეორეს გასცქეროდა, — ვნახოთ ის როგორ მოიქცევაო. საჭირო იყო, რათაც უნდა დაგვედომოდა, ბოლო მოგველო ამ სისაძაგლისათვის, ამიტომ ჯარი ფრონტიდან გამოვიწვიეთ... აი ეხლა მილიონის ქუჩით სასახლის მოედნისკენ მიემართებიან **ჯარი და ჯავშნოსნები**, რომელნიც გენერალ პოლოვცევის განკარგულებაში გადავლენ. აი ეხლა გვყავს **რეალური ძალა, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით**“.

და ეს ხალხი, რომელიც საჭიროდ აღიარებდა, რომ მის განკარგულებაში არავითარი რეალური ძალა არ იყო, საქმეს ისე გვიხატავს, თითქოს საბჭოსა და „რევოლიუციონური“ მთავრობის წინააღმდეგ აჯანყდნენ შეიარაღებული მუშები, ჯარისკაცები და მეზღვაურები. დემონსტრაცია რომ აჯანყებად გადაქცეულიყო, ხელისუფლების საკითხი, იმ მომენტისთვის მაინც, უცბად გადასწყდებოდა: დროებითი მთავრობა ერთი შეხებრვით დამხობილი იქნებოდა. მაგრამ 3 ივლისს რევოლიუციონური პეტროგრადი არ აჯანყებულა. მან მხოლოდ გამოაშკარავა თავისი ნებისყოფა. მენშევიკებმა და ესერებმა შესთხვეს ზღაპარი აჯანყების შესახებ, რომ ჯავრი ეყარათ მუშებზე, ჯარისკაცებზე, მეზღვაურებზე, ჯავრი ეყარათ ბოლშევიკების რევოლიუციონურ პარტიაზე. ამისათვის აიხსნეს აღვირი აფიცრების და იუნკრების თეთრგვარდიელთა ბანდებმა. რევოლიუციონური პეტროგრადის „დასამშვიდებლად“ გამოიწვიეს ფრონტიდან ჯარის კონტრრევოლიუციონური ნაწილები.

3 ივლისს მუშები და ჯარისკაცები არ აჯანყებულან მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ, მაგრამ მათ სურდათ კოალიციის დარღვევა. მენშევიკებმა და ესერებმა გადასწყვიტეს ლაგამი ამოდოთ რევოლიუციონურ მუშებისა

და ჯარისკაცებისათვის, რომ მათ შენდევში ხელი არ შეეშალათ სოციალ-პატრიოტებისა და ბურჟუაზიული პარტიების ძმურ კავშირისათვის.

4 ივლისს მენშევიკ-ესერებმა ჯაჭვები ახსნეს კონტრევოლიუციონურ ძალებს, რომელნიც მხეცური დაუნდობლობით მიესივნენ რევოლიუციას და მის მთავარ პარტიას.

თეთრგვარდიელებმა პირველებმა დაუწყეს სროლა დემონსტრანტებს და მით გამოიწვიეს საპასუხო სროლა... ცნობილია, რომ თუ აჯანყებაა, იქ სროლაც უნდა იყოს. იუნკრები შეცვივდნენ ბოლშევიკების პარტიის ცენტრალურ ორგანოს „პრავდას“ რედაქციაში და მილენ-მოლენეს იჭაურობა. იუნკრებმა და ყაზახებმა აიკლეს ბოლშევიკების სტამბა და „პრავდა“-ს გავრცელებისათვის მოკლეს მუშა-ბოლშევიკი ვოინოვი.

კონტრევოლიუციონურმა პრესამ იწყო ცოფ-მორეული და უსაზიზღრესი კამპანია ბოლშევიკთა ბელადების წინააღმდეგ. მათ აბრალებდნენ ლალატს გერმანიის სასარგებლოდ, ფულის მიღებას გერმანელთა გენერალურ შტაბიდან. მენშევიკ-ესერების „რევოლიუციონურმა“ იუსტიციამ ბრძანება გასცა ბოლშევიკურ პარტიის ხელმძღვანელთა დაპატიმრების შესახებ. ბრალად სდებდა მათ 3-5 ივლისის აჯანყების მოწყობას და... გერმანიიდან ფულის მიღებას.

კონტრევოლიუცია იერიშით გაემართა მუშათა კლასის და მისი პარტიის წინააღმდეგ. მენშევიკების ბელადი, „კეთილშობილი“ წერეთელი პეტროგრადის მუშების განიარაღების ინიციატორად გამოვიდა. იუნკრები და ყაზახები ესეოდნენ მუშათა რაიონებს და იარაღს ართმევდნენ. ბოლშევიკების პარტია ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში აღდმოჩნა. მისი ბელადების ნაწილი სატუსალოებში ჩაამწყვდიეს, ნაწილი იძულებული გახდა დამალულიყო, რომ მასაც მუშა ვოინოვის ბედი არ სწვევოდა.

ამავე დროს დაიწყო გალაშქრება ჯარის რევოლიუციონურ ნაწილის წინააღმდეგ. შეუდგნენ დივიზიების და პოლკების გადაქმნა-გადაჯგუფებას. „ურჩი“ ჯარისკაცები საპრობილეებში ჩაპყარეს...

ბურჟუაზია ხარობდა. ეს სიხარული თავის სიტყვაში გამოხატა „რევოლიუციონურ მთავრობის“ მინისტრმა-თავმჯდომარემ თავადმა ლვოვმა. მან სთქვა:

„ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ ლენინის ფრონტის გარღვევას რუსეთისათვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გერმანელების მიერ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის გარღვევას... სამწუხაროდ, საბჭოებში დღესაც მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, რომელნიც მორალურად პასუხისმგებელნი არიან 3-5 ივლისის ამბებისათვის“.

ბურჟუაზია მზად იყო შერიგებოდა ყოველნაირ დამარცხებას გარეშე ფრონტზე, ოღონდ კი შინაური მტრები დაემარცხებინა. როდესაც ვოიტინსკიმ ფრონტიდან ჯარის ნაწილები დაიბარა „ბოლშევიკების დასაწყნარებლად“ და ამით ფრონტი დაასუსტა, ეს, ბურჟუაზიის თვალსაზრისით, სავსებით „პატრიოტული“ საქმე იყო, რადგანაც ბურჟუაზიისათვის პატრიოტიზმი მხოლოდ იარაღია კლასობრივი თვალთმაქცობის და მოწინააღმდეგეთა დამონაგების. მისთვის

მუშათა კლასის ფრონტის გარღვევას ათასჯერ მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე გარეშე ფრონტის გარღვევას. ბურჟუაზიის სასიხარულოდ, მენშევიკებმა და ესერებმა მოაწყვეს ამ შინაური ფრონტის გარღვევა და მუშათა კლასის და მისი პარტიის თეთრი ტერორის ქვეშ დაყენება. თავის მხრით პროლეტარიატს შეეძლო ყველაფერი ეპატიებია მენშევიკების პარტიისათვის, მაგრამ ამ უსინდისო ლალატს, ამ საზიზღარ დანაშაულს ვერ აპატიებდა.

მაგრამ ყურადღება მიაქციეთ რა მოხდა: მენშევიკურმა პარტიამ, უღალატა რა მუშათა კლასს, ხელში ჩაუვდო რა იგი თეთრ გვარდიას, საკუთარი თავიც შეუშვირა ბურჟუაზიის მუშტებს. მუშათა რაიონების აკლება-აწიოკებამ ისე „გაიტაცა“ აფიცერ-იუნკრების თეთრგვარდიელთა მაწანწალები, რომ მათ თავი ვეღარ შეიკავეს და ზოგიერთი მენშევიკური ორგანიზაციის აკლებაც იწყეს. მემარცხენე მენშევიკებიდან... მაგრამ თეთრი გვარდია ხომ ყოველთვის მარცხნიდან მარჯვნივ მიდის. ბოლოს და ბოლოს მისი მუშტები აუცილებლად მოხვდებოდა ზედმეტად ზომიერებსაც, თვით უკიდურეს პატრიოტ — „სოციალისტებსაც“.

ამასთან ერთად თავადი ლეოვი წიადაგს ამხადებდა იმისთვისაც, რომ მენშევიკები პოლიტიკურად გაერიყა. საბჭოში კიდევ არიან, — ამბობდა იგი, — 3—5 ივლისის ამბებისათვის „მორალურად პასუხისმგებელი“ ელემენტებიო. თავადი „რევოლიუციონერი“ წინადადებას აძლევდა მენშევიკ-ესერებს „გაეწმინდათ“ საბჭოები ყველა მემარცხენე ელემენტისაგან. ეს პირველი ნაბიჯი იყო. მეორე დღეს ბურჟუაზია დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ მთელი საბჭოა „მორალურად პასუხისმგებელი“ 3—5 ივლისის „აჯანყებისათვის“ და რომ, მაშასადამე, ყველა იმ პარტიას, რომელიც-კი საბჭოშია, უნდა მოესპოს საშუალება ხელისუფლებაზე რაინე გავლენის მოხდენისა... დიამ, ბურჟუაზიამ კარგად იცის მენშევიკების ხელით და მენშევიკების ზურგზე გზის გაკვლევა ძალა-უფლებისა და სრული ბატონობისაკენ. საქმეს უშლიან მხოლოდ ბოლშევიკები.

„წესრიგის“ მთავრობა და ვერსალელთა პარტიები.

4 ივლისს, როცა მასა ჯერ ისევ ქუჩაში იყო, როცა „საიმედო“ ჯარი ჯერ კიდევ არ იყო პეტროგრადში, მენშევიკები და ესერები ვერ ბედავდნენ ხმამაღლა ლაპარაკს ბოლშევიკური პარტიის დევნის შესახებ. მაგრამ აი მასები დაუბრუნდნენ თავიანთ ვიწრო და ჭუჭყიან უბნებს, ქუჩას დაეპატრონა თეთრების ბრბო, ფრონტიდან მოვიდა ცხენოსანი ჯარი და არტილერია... და მენშევიკ-ესერებმა სხვანაირად დაიწყეს ლაპარაკი...

13 ივლისი. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და რუსეთის გლეხთა დემუტატების საბჭოს გაერთიანებული სხდომა. გამოდის კერენსკი, მეთაური „ახალი“ კოალიციონური მთავრობისა, რომელსაც მენშევიკებმა და ესერებმა „რევოლიუციის გადაბრჩენი მთავრობა“ უწოდეს. კერენსკი ემუქრება ბოლშევიკებს „სავსებით და საბოლოოდ მოსპობას“.

მენშევიკების და ესერების სახელით გამოსულმა დანმა გამოაცხადა, რომ

მათ მთელი ხელისუფლება ახალ მთავრობას გადასცეს. დანმა წინადადება მისცა სხდომას მიიღოს შემდეგი რეზოლიუცია:

ქრქეხული

„1) მთელი რევოლუციონური დემოკრატიული რეჟიმის უმთავრესებულა იმაში, რომ საჯაროდ იქნეს გასამართლებული ბოლშევიკების ყველა ის ჯგუფი, რომელსაც ბრალათ ედება აჯანყებისათვის წაქეზება და ამ აჯანყების ორგანიზაცია, აგრეთვე გერმანელთა წყაროებიდან ფულის მიღება. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს ყოველად დაუშვებლად მიაჩნია ლენინის და ზინოვიევის გასამართლებისაგან თავის არიდება; იგი მოითხოვს ბოლშევიკურ ფრაქციისაგან, რომ დაუყოვნებლივ, კატეგორიულად და გარკვევით დაგმოს თავისი ბელადების ასეთი საქციელი;

„2) ვინაიდან მდგომარეობა მეტის-მეტად განსაკუთრებულია, ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი მოითხოვს თვითოველ თავის წევრისაგან და ყველა იმ ფრაქციისგან, რომელიც კი კომიტეტში შედის, აგრეთვე სათანადო ადგილობრივ საბჭოთა ყველა წევრისაგან, რომ მათ უცვლელად შეასრულონ ყოველი დადგენილება, რომელსაც მიიღებს სრულიად რუსეთის ცენტრალურ ორგანოთა უმეტესობა;

„3) ყველა იმას, ვისაც კი სასამართლომ ბრალდება წაუყენა, სასამართლოს განაჩენამდე ჩამორთმეული აქვს აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღების უფლება“.

დანის რეზოლიუცია მიღებულ იქნა ხმის უმრავლესობით თერთმეტის წინააღმდეგ. ამრიგად, ბოლშევიკები „კანონის“ გარეშე იქნენ გამოცხადებულნი. მათ წაუყენეს უსინიდიხო, საზიზღარი ბრალდება, რომლის უნიადაგობა ყველასათვის ცხადი იყო. მუშათა კლასის პარტიას, რომელსაც ყოველ მხრივ სდევნიდნენ, მოსთხოვეს თავისი ბელადები გადაეცა რეაქციის გამხეცებული ბანდიტებისათვის.

გადასწყვიტეს ბოლშევიკების ფაქტიურად განდევნა საბჭოებიდან.

რა აზრი ჰქონდა მენშევიკ-ესერების ცენტრ. კომიტეტის რეზოლიუციას? აი, ამავე სხდომაზე შეტანილი ზოგიერთი წევრის განცხადება, საიდანაც ცხადად გავიგებთ, რას აკეთებდნენ და ვის ემსახურებოდნენ მენშევიკ-ესერების პარტიები.

ავქსენტევი, ესერების ერთ-ერთი ბელადი ამბობდა:

„ან ეხლა, ან არასოდეს! ჩვენ ვერ დავაყოვნებთ და ეხლავე უნდა მივიღოთ უსასტიკესი ღონისძიებანი, უნდა აშკარად და გარკვევით გამოვამჟღავნოთ ჩვენი ნებისყოფა, ჩვენი მოწოდება, რომ ყველამ თავისი მოვალეობა შეასრულოს.“

„კმარა დისკუსიები! დადგა დრო მოქმედებისა! ჩვენ ბევრი ვიკამათეთ და მეშინიან კამათში არ გავვისხლტეს ხელიდან დღევანდელი მომენტიც.“

„ჩვენ კი არ უნდა გავუძნელოთ მთავრობას საქმიანობა, არამედ უნდა დავებმაროთ ჩვენი მაგალითით და მოქმედებით; ჩვენ უნდა

გავატაროთ ცხოვრებაში რევოლუციონური დემოკრატიის დიქტატურა“.

ლიბერმა, მენშევიკების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ^{ქვემოთხსენებულმა} „მთავრობა ახლა იძულებულია მახვილზე ჩასცეს არა მარტო შავ რაზმს, არამედ ბოლშევიკებსაც. **რეპრესიების დიქტატურას** დიდ ხანს არსებობა არ შეუძლია. საჭიროა შემოქმედებითი დიქტატურა. მაგრამ უნდა უარყუოთ ის უტოპიზმი, თითქო საკმაოა მთავრობამ მოისურვოს, რომ ყველაფერი გადარჩენილი იქნება. ის ვინც ასე ლაპარაკობს, დემაგოგია. ჩვენი ქვეყანა ისე მძიმედ არის აყად, რომ ეს შეუძლებელია. არ შეიძლება და მავნებელიც არის ის აზრი, ვითომ მთავრობამ ყოველ კონკრეტულ საკითხის გამო ჩვენ უნდა მოგვამაროთ. მაშინ შეიქნებოდა არა რევოლუციონური მთავრობის დიქტატურა, არამედ პროლეტარიატის და გლეხობის დიქტატურა“.

„რევოლუციონური დემოკრატიის დიქტატურა,“ „რეპრესიების დიქტატურა“, რევოლუციონური მთავრობის დიქტატურა“, — აი როგორი ბოლშევიკური ენით ლაპარაკობდნენ მენშევიკ-ესერები მაშინ, როცა საჭირო იყო... ბოლშევიკების აკლება.

მაგრამ მოუსმინოთ „რევოლუციის რაინდს“ ბ-ნ წერეთელს.

„3-5 ივლისის ამბები ჩვენთვის მკაცრი გაკვეთილია. მათ საზღვარი გაავლეს რევოლუციის ორ ხანას შორის.

„ამ წუთიდან რევოლუცია შორდება მეოცნებე სიჭაბუკეს და აღგება მკაცრ გზას, როდესაც გვიხდება რკინის ხელით რევოლუციის დაცვა ანარქიისაგან და ქვეყნის გადარჩენა ისეთი რეპრესიული ზომებით, რომლებიც სამუდამოთ დახმარებული გვეგონა.

„ქვეყნისა და რევოლუციის გადასარჩენად უნდა მივმართოთ რეპრესიულ ზომებს, სიკვდილით დასჯასაც კი და ჩვენი მახვილი ავამოქმედოთ რევოლუციის დემოკრატიულ ორგანიზაციების მახლობლად. უნდა მახვილი ჩავცეთ ანარქიას, მაგრამ მან ხომ რევოლუციის მახლობლად დაიბუდა. 3-5 ივლისის ამბებმა დაგვანახეს ეს“.

და წერეთელი სტოვებს ტრიბუნას, მთელი კრების ძლიერი ტაშით გაცილებული. სდუმდა მხოლოდ მცირე ნაწილი ბოლშევიკების.

ასეა ნათქვამი „Изв. Петрогр. Совета“-ში, საიდანაც ჩვენ ეს ადგილები ამოვწერეთ. ამ გაზეთის რედაქტორად იმ დროს ბ-ნი დანი იყო, ხოლო საერთო მიმართულებას მას მინისტრი წერეთელი აძლევდა.

მაშ, აი რა ყოფილა მენშევიკ-ესერების „დემოკრატია“! „რკინის ხელით გვიხდება რევოლუციის დაცვა ანარქიისაგან“, ე. ი. ბოლშევიზმის, მუშების, ჯარისკაცების, გლეხების და მეზღვაურებისაგან, მათი მოთხოვნის, აღშფოთების და აღელვებისაგან. „ქვეყნის და რევოლუციის გადასარჩენად უნდა მივმართოთ რეპრესიულ ზომებს, სიკვდილით დასჯასაც კი“, ესე იგი: უნდა გადაეჩინათ შემთანხმებელთა კავშირი ბურჟუაზიასთან, კავშირი, რომელიც ხელისუფლებას და

ბატონობას უხრუნველყოფდა მემამულეებისა და ბურჟუაზიისათვის ბ-მა წერეთელმა და ბ-მა დანმა „მახვილი დაუპირდაპირეს ანარქიას“ ბურჟუაზიის გულის მოსაგებად. ეს დაადასტურა ცენტრ. კომიტეტის იმავე სესიონებზე მენშევიკების პარტიის წევრმა... **მარტოვმა**. მოვუსმინოთ მას, იგი მშვენივრად ლაპარაკობდა:

„ამხანაგებო, ყველას მოეხსენება, რომ **ბოლშევიკების განდევნა გამოწვეულია კონტრევოლიუციონური ქუჩის და პრესის ზემოქმედებითა და გავლენით**. ამხანაგ მენშევიკების და ესერების მიერ გამოტანილი რეზოლიუცია, რომლითაც ბოლშევიკებს წინადადება ეძლევათ დაჰგმონ თავიანთი ბელადები, არღვევს არა მარტო მოქმედების თავისუფლებას, არამედ სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლებასაც. როდესაც თქვენ დემოკრატიის რიგებიდან სდევნით ბოლშევიკებს, თქვენ ამავე დროს სდევნით მუშების იმ ნაწილს, რომელიც ბოლშევიკებს მისდევს. ჩვენ ცხადად გვითხრეს, რომ **ეს წესრიგის და მხოლოდ წესრიგის მთავრობაა**. და თუმცა გვეუბნებიან, რომ ჩვენ კონტრევოლიუციას გავემიჯნებითო, მაგრამ ეს გამიჯვნა ჰგავს იმ კაცის მოქმედებას, რომელიც წვიმისაგან გადასარჩენად წყალში გადავარდება“.

რა უნდა დაუმატოთ ამ ყელის გამომჟღავნებელ სიტყვებს? მენშევიკ-ესერები იყვნენ კონტრევოლიუციონურ ქუჩის იარაღი, ისინი იქცეოდნენ ისე, როგორც ვერსალელი ჯალათები მოიქცნენ. მათი მთავრობა ბურჟუაზია-გენერლები „წესრიგის მთავრობა იყო.“

ასეთ გაკვეთილებს მუშათა კლასი არ ივიწყებს. ასეთი პარტია ვერასოდეს ვეღარ გაიკვლევს გზას პროლეტარიატის გონებისა და გულისაკენ.

წ ი ნ ა ლ დ ი თ

დიქტატურამ, რომლის მახვილიც მარცხნივ იყო მიმართული, განამტკიცა ბურჟუა-მემამულეების და უახახ-გენერლები კონტრევოლიუციის მდგომარეობა. იგრძნო რა ძალა კონტრ-რევოლიუციამ ხელი ძალა-უფლებასაც წაატანა. კერენსკის მთავრობა უფრო ჰკარგავდა ფეხქვეშ ნიადაგს. მარჯვნივ ბურჟუაზიულ-მენამულეთა ბლოკი თავის მებრძოლ ცენტრს „სტავკის“ გარეშე ჰქმნიდა, ხოლო მარცხნივ მუშათა კლასი მუქარით ირაზმებოდა.

ასეთ პირობებში მენშევიკებმა და ესერებმა ხელი მიჰყვეს „ქვეყნის ცოცხალ ძალების“ ძებნას და შეგროვებას, ისეთი ძალების, რომელნიც კერენსკის მთავრობის ირგვლივ გაერთიანდებოდნენ და „ქვეყანას“ „ანარქიისაგან“ იხანიდნენ. ამ „ცოცხალი ძალების“ შესაკრებელ პუნქტად მოსკოვის „სახელმწიფო თათბირი“ გადაიქცა.

„Ранняя Газета“, — მენშევიკთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ორგანო, ასე აგვიწერს ამ „ისტორიულ მოვლენას“:

„ქუტლერის შემდეგ, რომელიც სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობაზე ლაპარაკობდა, გამოვიდა ბუბლიკოვი. ბუბლიკოვის გამოსვლის დროს მოხდა ინციდენტი, რომელმაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა თათბირის ყველა დამსწრეზე. ბუბლიკოვმა სიტყვის დასაწყისში განაცხადა, რომ იგი გამოდის არა ვნებათა გასამწვავებლად, არამედ იმისთვის, რომ დაეხმაროს თათბირის ინიციატორებს იმ

გზის გამოძებნაში, რომელიც შეძლებას მისცემს დამსწრეთა შეერთდნენ სამშობლოს გადასარჩენად, და თუ გუშინ, ვანაცხადა ბუბლიკოვმა, — რევოლიუციის კეთილშობილმა ბელადმა წერეთელმა ხელი გაუწოდა მრეწველთა წრეს, დეე იცოდეს მან, რომ მისი ხელი ჰაერში ჩამოკიდებული არ დარჩება და მრეწველთა წრე გულწრფელად დააფასებს ამ კეთილშობილ შესტს. როდესაც ბუბლიკოვმა გაათავა, წერეთელი მასთან მივიდა და ხელი ჩამოართვა. დიდი ოვაციები“.

ხელის ჩამორთმევას, რომელსაც ასეთი ფერადებით აგვიწერს მენშევიკების პარტიის ცენტრალური ორგანო, უშუალოდ წინ უძღოდა: პირველი — გენერლების კორნილოვის, კალედინის და ალექსეევის ცდა კერენსკის მთავრობის დამხობისა, მეორე — მოსკოვის მუშების საყოველთაო გაფიცვა, რომელმაც ჩათუშა კადნიერ გენერლების განზრახვანი.

გავიდა ორი კვირა და გენერლებიც კორნილოვის მეთაურობით აჯანყდნენ. რევოლიუციონურმა ჯარისკაცებმა, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, დაამარცხეს „მეამბოხე“ კონტრევოლიუციონერები. „კორნილოვშჩინამ“ თვალი აუხილა მშრომელთა მასებს. თართო მასამ გაიგო, რომ გენერლების აჯანყება შეთანხმების ნაყოფი იყო. „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!“ — ამ ლოზუნგმა კვლავ დაიგუგუნა კიდი-კიდემდე და ბოლშევიკურ პარტიის მხარეზე მუშები მილიონობით გადაიყვანა. საბჭოები ხედი-ხედ გადადიოდნენ ბოლშევიკების მხარეზე. 31 აგვისტოს, როცა კორნილოვის ამბოხება ჯერ კიდევ არ იყო ჩაქრობილი, პეტროგრადის საბჭომ პირველად მიიღო ბოლშევიკურ პარტიის პოლიტიკური რეზოლიუცია. საბჭოების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **ლ. დ. ტროცკი**, რომელიც ის იყო საპრობილედან გამოუშვეს.

12 სექტემბერს მოწვეულ იქნა ეგრეთწოდებული „დემოკრატიული თათბირი“. თათბირში მონაწილეობას იღებდნენ საბჭოების, ქალაქისა და ერობის თვითმართველობათა, პროფკავშირების, კოოპერატივების და ჯარის ორგანიზაციების წარმომადგენელი. ესერ-მენშევიკების მთავრობის და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ მოწვეული თათბირი ისე იყო შემდგარი, რომ საბჭოს წარმომადგენლები იქ უმცირესობას შეადგენდნენ. მიუხედავად ამისა, ასე ხელოვნურად შეკოწიწებულმა თათბირმაც-კი ვერ გაბედა დანის, წერეთლის და კერენსკის მიერ ნაჩვენებ გზით წასვლა.

ხელისუფლების ძირითად საკითხში მთავრობა დამარცხდა. რევოლიუციონური მასების მოქმედება იმდენად ძლიერი იყო, რომ მთელი ეს უკაცრავად პასუხია, რევოლიუციონური დემოკრატია დაბნეულობის, დარღვევის, გაბრწინის უნებისყოფობის და უგზოუკვლობის ნიმუშს წარმოადგენდა. **კოალიციის საკითხში** ესერთა პარტიის ბელადმა ჩერნოვმა თავი შეიკავა. მენშევიკები რამოდენიმე ჯგუფად გაიყვნენ. წერეთელი, დანი, ლიბერი წინანდებურად მბარს უჭერდნენ კოალიციას ბურჟუაზიასთან (კადეტების სახით). მარტოვი კოალიციის წინააღმდეგ გამოვიდა, იგი „ერთფეროვან რევოლიუციონურ მთავრობას“ უჭერდა

მხარს. პროვინციულ ორგანიზაციათა მთელი რიგი, და უპირველესად კავკასიელი მენშევიკები, ცხარედ ილაშქრებდნენ კოალიციის წინააღმდეგ.

„დემოკრატიულ თათბირის“ საბჭოთა დელეგაციების შემსრულებლობა თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო კოალიციისა. იმ დროსთვის უკვე უფრო პოლიტიკურად ჩამორჩენილი გლეხთა საბჭოების მნიშვნელოვანი ნაწილიც კი საბჭოთა ძალაუფლების მომხრე იყო. „დემოკრატიული თათბირის“ საბჭოთა დელეგაციას ჯერ კიდევ ვერ გაებედა და ვერ მიეღო ბოლშევიკური პარტიის ეს ძირითადი ლოზუნგი იმ მომენტისთვის. მაგრამ დელეგაციამ, რომელიც საბჭოების საერთო გამემარცხნებას გამოხატავდა, დაიჭირა სასტიკად უარყოფითი პოზიცია მენშევიკ-ესერების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და დროებითი „რევოლუციონურ“ მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. უკვე ამ დროს — ოქტომბრამდე თვე-ნახევრის წინად — საბჭოთა დიდი უმრავლესობა წინააღმდეგი იყო იმ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა, რომელიც არჩეულ იქმნა საბჭოების პირველ ყრილობაზე ივნისში.

18 სექტემბერს მარტოვმა, საბჭოთა დელეგაციის სახელით, თათბირზე გამოაქვეყნა დეკლარაცია ხელისუფლების საკითხის შესახებ. დეკლარაცია იწყებოდა საყვედურით ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიმართ; აღნიშნული იყო ის გარემოება, რომ საბჭოები, რომელნიც თავიანთ ორგანიზაციებში აერთიანებენ მშრომელთა მოსახლეობის მილიონებს და, რომელნიც წარმოადგენენ ხალხის რევოლუციონურ ენერჯის და მისი პოლიტიკურ აქტივობის ცენტრს, თათბირზე წარმოდგენილი იყვნენ არა სრულიად და არა იმდენად, რამდენადაც ეს შეეფერება მათ, „როგორც რუსეთის დიდ რევოლუციის ხელმძღვანელ ორგანოებს“, ნამდვილ პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ასეთი საყვედურის შემდეგ „თავისი“ აღმასრულებელ კომიტეტის მიმართ, საბჭოთა დელეგაციის დეკლარაცია აცხადებდა:

„დებუტატთა საბჭოები, რომლებიც რევოლუციის პირველ დღეებში ხალხის ჭეშმარიტი შემოქმედების აღურთოვანებამ შექქმნა, მოგვევლინენ რევოლუციონური სახელმწიფოებრივობის იმ ახალ ქსოვილად, რომელმაც შესცვალა ძველი სახელმწიფო რეჟიმის დახავსებული ქსოვილი. მთელი პოლიტიკური თვითმართველობა იმ დიადი ხალხისა, რომელმაც ნეფობის შონობა თავიდან მოიშორა, დამყარდა და მყარდება საბჭოების საშუალებით. სწორეთანით საბჭოები მთელ რუსეთში არიან ხალხის ძალაუფლებიანობის იდეის უშუალო მატარებელნი, ის ორგანოები, რომლებიც საქმით ანხორციელებენ დემოკრატიულ რესპუბლიკას და, რომლებსაც სახელმწიფოებრივ ძალაუფლება ადგილობრივ ფაქტიურად ხელთ უპყრიათ“.

შემდეგ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საბჭოებს ეს დიადი როლი შემდეგშიაც შეუძლიათ შეასრულონ თვითმმართველობებთან, ჯარის ორგანიზაციებთან, საადგილ-მამულო და სხვა კომიტეტებთან „ერთად“. მხოლოდ „ამ დემოკრატიულ ორგანიზაციების ქსელის წყალობით, რომელთაც პოლიტიკურად საბჭოები ხელმძღვანელობდნენ, სახელმწიფომ, დეკლარაციის თქმით, მოახერხა და ეხლაც ახერხებს დასძლიოს სხვადასხვა და გამხრწნელი ფაქტორები, სა-

მეურნეო კრიზისები და სხვ. დასასრულ დეკლარაცია გადაჭრით უარყოფს კოალიციას შეძლებულ კლასებთან და მხარს უჭერს **„ნამდვილ რევოლუციონურ ხელისუფლებას“** შექმნას.

დეკლარაციას **კომპრომისის** ბეჭედი აზის. წმინდა ბოლშევიკური დეკლარაციის მიღება ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო, ამიტომაც ბოლშევიკები, შემარცხენე ესერები, მენშევიკ-ინტერნაციონალისტები შეთანხმდნენ მარტოვის „თითქმის ბოლშევიკურ“ დეკლარაციაზე. ეს იყო დიდი ნაბიჯი წინ, რადგანაც სისწორით ახასიათებდა საბჭოების არსებას და მათ როლს რევოლუციაში. საბჭოები, — ეს „რევოლუციონური სახელმწიფოებრივობის ახალი ქსოვილია“; მათ „შესცვალეს ძველი რეჟიმის დახვეწებული ქსოვილი“. რას ნიშნავდა ეს? არაფერს სხვას, გარდა იმისა, რომ რევოლუციამ შექმნა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის **ახალი ფორმა**. მენშევიკებსა და ესერებს არ უნდოდათ „ეცნოთ“ ისტორიაში არ არსებული ეს ახალი ფორმა და ცდილობდნენ მოექციათ რევოლუცია ტიპიურ ბურჟუაზიული დემოკრატიის იმ ძველ ფორმებში, რომელთაც რევოლუციამ გვერდით აუარა. მენშევიკების უფრო მემარცხენე ელემენტები შეეცადნენ, **შეეკონიწებიათ** „ახალი ქსოვილი“ ძველთან, დემოკრატიის ისტორიულად დაძველებულ ფორმებთან, ახალი საბჭოები. ქალაქის ძველ საბჭოებთან და ერობებთან, დამფუძნებელი კრება—ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან. როგორც ვიცით, ორი წლის შემდეგ საბჭოთა სისტემის და დემოკრატიის შეკონიწების ასეთი ცდა, რევოლუციონური აღფრთოვანების ხევაველენით, მოახდინა გერმანიის დამოუკიდებელმა პარტიამ, იმ განზარახვით-კი, რომ თუ კაპიტალისტური რეაქცია გაიმარჯვებდა, ელაღატა საბჭოთა სისტემისთვის სტინესის დემოკრატიის სასარგებლოდ.

მაგრამ მაშინ, 1917 წლის სექტემბერს, იმ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიის საფუძველზე მდგარი ბურჟუაზია ცდილობდა დაებრჩო რევოლუცია, სადაც სოც.-დემოკრატია ყოველნაირად ცდილობდა **დაემცირებია** საბჭოთა მნიშვნელობა, სადაც უკვე გაისწოდა ხმები იმის შესახებ, თითქო საბჭოებს თავიანთი დრო უკვე მოკმული ჰქონდეთ, — ასეთ ხანაში აღიარება იმისა, რომ საბჭოები „რევოლუციონური სახელმწიფოებრივობის ახალ ქსოვილს“ წარმოადგენენ, უდიდესი ნაბიჯის გადადგმა იყო წინ. რევოლუციას ორი „ქსოვილი“ არა აქვს და ამიტომ ფაქტიურად ისეთი „ქსოვილი“ როგორც თვითმართველობათა ორგანოები იყვნენ, წარმოადგენდნენ არა რევოლუციის, არამედ ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლუციის ქსოვილებს. ორგანოები, რომლებიც წინ სწევდნენ რევოლუციას, იყვნენ საბჭოები და მათი „თანამგზავრები“, მათთან ერთად წარმოშობილი რევოლუციის ცეცხლში: საფაბრიკო, ჯარისა და საადგილ-მამულო კომიტეტები... რევოლუციის ამ ორგანოებმა, როგორც მარტოვის რევოლუციაში იყო აღნიშნული, ფაქტიურად „თავიანთ ხელში დაიჭირეს **სახელმწიფო ძალაუფლება ადგილობრივად**“. სახელმწიფოს შენობის დასამთავრებლად საჭირო იყო ცენტრშიაც საბჭოებს აეღოთ ხელში სახელმწიფო ძალაუფლება. „ახალი ქსოვილი“ უნდა განმტკიცებულიყო მთელი ხაზით, რადგანაც სხვანაირად

იგი უთუოდ მოკვდებოდა და მის ადგილას განმტკიცდებოდა ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობის „ძველი“ ქსოვილი.

ეს აზრი შემდეგში საკმაო სისწორით ჩამოაყალიბდა მრჩეველთა კოვმა, რომელმაც აღიარა, რომ ოქტომბრის წინა დღით ასეთი დროს არსებობდაო: „კორნილოვი ან ლენინი“. კორნილოვი ბიხოვის საპრობილეში იჯდა, მაგრამ კერენსკიმ ვერ გაბედა მისი სამართალში მიცემა, ხოლო მოსკოვში „სახელმწიფო მოღვაწეთა თათბირს“ საჯარო იერიში მიჰქონდა „რღვევის პარტიის“ წინააღმდეგ კერენსკის პარტიის წინააღმდეგ და იცავდა „წესრიგის“ პარტიას კორნილოვის პარტიას.

ბურჟუაზიის ხაზი ამ ხანაში სავსებით გარკვეული იყო: იგი წინააღმდეგი იყო მთელი „გაერთიანებული დემოკრატიის“, ესერების, მენშევიკების, ბოლშევიკების, წინააღმდეგი იყო „საბჭოების და კომიტეტების“, რევოლიუციის ყველა ძირითადი მონაპოვარის, და მომხრე—კაპიტალის, მიწათმფლობელობის, გენერალიტეტის რკინის დიქტატურისა. ეს ნათელი და მაგარი ხაზი არ უარყოფდა, პირიქით, გულისხმობდა მენშევიკების და ესერების გამოყენებას, კერენსკის მთავრობის გამოყენებას ბრძოლაში რევოლიუციის იმ მთავარი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ბოლშევიკების სახით იყვნენ წარმოდგენილნი.

მენშევიკებმა და ესერებმა სრული ნება მისცეს ბურჟუაზიას, გამოეყენებინა მათი თავი რევოლიუციის წინააღმდეგ. კერენსკი ბურჟუაზიას ყველაფერს უთმობდა. იგი იქამდისაც კი მივიდა, რომ კორნილოვსა და სავინკოვთან ერთად ადგენდა დიქტატურის დამყარების გეგმას. სწორედ ამ მიზნით აგვისტოს 20 რიცხვებში, კერენსკის თანხმობით, პეტროგრადისკენ დაიძრა მესამე ცხენოსანთა კორპუსი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გადაიქცა კორნილოვის მთავარ მეომარ ძალად, ხოლო შემდეგში, ოქტომბრის დღეებში, — გენ. კრასნოვის მთავარ ძალად... კერენსკიმ, წერეთელმა, დანმა, ჩხეიძემ, ბურჟუაზიის მოთხოვნით, დააწესეს სიკვდილით დასჯა. მენშევიკებისა და ესერების პარტიები, ბურჟუაზიის შემოქმედებით, აყოვნებდნენ ცოტად თუ ბევრად სერიოზულ ღონისძიებათა განხორციელებას, უწინარეს ყოვლისა, მიწისა და ხავის საკითხებში.

ისინი ნამდვილი ტყვეები იყვნენ ბურჟუაზიისა. ბურჟუაზიის წინააღმდეგ ამ პარტიებს ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი არ შეეძლოთ. კორნილოვის აჯანყების ჩაქრობაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოებმა ყველგან სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტები შექმნეს, რომლებშიაც უმთავრესი თუ არა, გადამწყვეტი როლი ბოლშევიკურ პარტიას ეკუთვნოდა.

ენერგიას და გადაჭრილ მოქმედებას კორნილოვის დროს იმდენად ჰქონდა ადგილი, რამდენადაც საბჭოები მოქმედებდნენ. როდესაც „კორნილოვის მთელი საქმე“ დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა, იგი უიწეოდ გაიყინა. კორნილოვი სამართალში არ მისცეს, ხოლო შემდეგ იგი სულაც გაიქცა საპატიმროდან.

ის, რომ მენშევიკების და ესერების პარტიები ნამდვილი ნონები იყვნენ ბურჟუაზიისა, ყველაზე ცხადად გამოაშკარავდა ხელისუფლების საკითხში. 18 სექტემბერს „დემოკრატიულმა თათბირმა“ უარპყო კადეტებთან კოალიცია. ხო-

ლო იმავე თვის 25-ს კერენსკიმ შეადგინა „ახალი“ კაბინეტი ცნობილი კატე-
ტების მონაწილეობით. მენშევიკებიც და ესერებიც ამ კაბინეტში მონაწილეობ-
დნენ „დემოკრატიული თათბირის“ გადაწყვეტილების შეწყვეტის მიუხედავად სა-
ბჭოთა დელეგაციის მკაცრი პროტესტისა კოალიციის წინააღმდეგ. მთელი
რიგი მენშევიკური ორგანიზაციების გამოსვლისა სამარცხვინო ბლოკის წინა-
აღმდეგ კადეტებთან— რუსეთის ამ მიწათმფლობელთა და ბურჟუაზიის კონტრ-
რევოლუციის წინააღმდეგ პარტიასთან.

პეტროგრადის საბჭომ 25 სექტემბრის მთავრობა გამოაცხადა **სამოქალა-
ქო ომის მთავრობად**, მუშათა და გლეხთა მასების წინააღმდეგ დაუნდობელი
ბრძოლის მთავრობად. როდესაც მენშევიკებისა და ესერების პარტიები ასეთ
მთავრობას ადგენდნენ, ისინი მთელ რევოლუციონურ ხალხს საბრძოლველად
იწვევდნენ, „კორნილოვშჩინის“ და „დემოკრატიული თათბირის“ შემდეგ, მას
შემდეგ, რაც ასე აშკარად გამოჰქაფდა, ერთის მხრით, ბურჟუაზიის, მემამუ-
ლების და გენერლების გულისნადები, ხოლო მეორეს მხრით, მუშათა, ჯარის-
კაცთა და გლეხთა ნებისყოფა, რაც სახელმწიფო **ორ მებრძოლ** ბანაკად გაიყო.
— ყოველივე ამის შემდეგ „რევოლუციონური მთავრობის“ შემადგენლობაში
შეიყვანეს ახალი კორნილოველები, ცნობილი კადეტები და ბურჟუაზიის მოღ-
ვაწენი **კონვალოვი, კიშკინი, სმირნოვი** (მოსკოვის სამხ.— სამრეწველო კომი-
ტეტის თავმჯდომარე), **ტრეტიაკოვი** (მოსკოვის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომ-
არე). ასეთ მთავრობას არსებობა შეეძლო მხოლოდ რევოლუციონურ მასე-
ბის დამარცხების შემდეგ. ასეთი მთავრობის დაყრდნობა შეეძლო მხოლოდ რეა-
ქციის ძალებზე. კერენსკისა და კორნილოვის მთავრობის დამხობა ბრძოლისა
და გამარჯვებისათვის ამდგარ მუშათა კლასისათვის სიკვდილ-სიცოცხლის კით-
ხვად გადაიქცა.

სამოქალაქო ომი აუცილებელი გახდა. მისი თავიდან აცილება შესაძ-
ლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მენშევიკები და ესერები გასწ-
ვეტდნენ მთლიან ფრონტს კადეტებთან და შეჰკრავდნენ ასეთ ფრონტს ბოლ-
შევიკებთან. მენშევიკებისა და ესერების დაუხმარებლად რუსეთის ბურჟუაზია
ვერ შესძლებდა შესახარი ომის გამოწვევას, მრავალი შინაური ფრონტის შექმ-
ნას. მარტო ბურჟუაზიის და მენამუღელთა მომხრე ელემენტების აჯანყების ჩაქ-
რობა შედარებით ადვილი საქმე იქნებოდა საბჭოთა პლატფორმაზე მდგარ პარ-
ტიების ბლოკისთვის.

მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელი მენშევიკებისა და ესერებისათვის
ის იყო, რომ ამ ვითომდა „სოციალისტურ“ პარტიებს არაფრის გულისათვის არ
სურდათ კოალიცია შემარცხენებთან და ისინი კოალიციას მუდამ შემარჯვენე-
ებთან სდებდნენ. კადეტებთან მთლიანი ფრონტის სასარგებლოდ, მენშევიკებმა
უარჰყვეს საბჭოთა მთლიანი ფრონტი; ისინი ცეცხლითა და მახვილით აჭრობ-
დნენ რევოლუციონური მასების მოძრაობას და ამავე დროს ხელს აფარებდნენ
„კორნილოვშჩინას“, და ყველა ამით ფართო მასებს გადამჭრელი ბრძოლის გზა-
ზე აყენებდნენ.

და მხოლოდ მაშინ, როდესაც ახალი რევოლუცია უკვე დაიწყო, როდე-

საც კერენსკის მთავრობის თავზე ისტორიის ბასრმა მახვილმა გაიკვლია, როდესაც კერენსკის, კორნილოვის და წერეთლის სისტემათა დამარცხება—თვითეულის ცალკე და ყველასი ერთად—თითქმის ფაქტად იქცა, მენშევიკებმა და ესერებმა მხოლოდ მაშინ მიაწებეს თავი კოალიციის იდეას, მხოლოდ მაშინ გადასწყვიტეს კადეტებთან არსებული ბლოკის გაწყვეტა. ეს მოხდა 1917 წლის 25 ოქტომბრის ღამეს, კერენსკი-კიშკინი-კონოვოლოვის მთავრობის ჩამოგდებამდე სულ 4—5 საათით ადრე. მაგრამ ისტორიამ აღარ მოისურვა უკან დაბრუნება მაშინ, როცა დანმა-წერეთელმა კეთილ-ინებეს და გადადგეს წინ პატარა, მაგრამ უკვე არ საჭირო ნაბიჯი. „კონტაქტი“ ისტორიისა და მენშევიკებს შორის ამ დროს უკვე უიმედოთ იყო დარღვეული.

მაგრამ შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რუსეთის უკანასკნელი მთავრობის უკანასკნელ დღეებზე.

ოქტომბრის განმავლობაში საბჭოების გარეგოლიუციონერება გოლიათის ნაბიჯით მიდიოდა წინ. საბჭოების საოლქო ყრილობათა მთელმა რიგმა დღის წესრიგში დააყენა უშუალო ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ჩრდილოეთის ოლქის საბჭოების ყრილობამ, რომელიც 10 ოქტომბერს გაიხსნა, განაცხადა:

„დროებითი მთავრობა ღუპავს რუსეთს; იგი მხოლოდ ძალაზეა დამყარებული. მაგრამ რუსეთს ცხოვრება უნდა, და დროებითი მთავრობა უნდა ჩამოშორდეს მას გზიდან. **საბჭოების მხარეზეა არა მარტო უფლება, არამედ ძალაც. სიტყვების დრომ განვლო.** დაჰკრა საათმა, როცა საბჭოების ერთსულთან და გადაჭრილ იერიშს შეუძლიან მხოლოდ ქვეყნისა და რევოლიუციის ხსნა და ცენტრალური ხელისუფლების საკითხის გადაწყვეტა“.

ფაქტიურად ჩრდილოეთის საბჭოების ყრილობამ დაუდო სათავე ორგანიზაციულ მუშაობას კერენსკისა და მის ავან-ჩავანთა დასამხოვად. საბჭოების მხარეზე იყო არა მარტო რევოლიუციის უფლება, არამედ მასების ძალაც. მაგრამ ამ ძალას ესაჭიროებოდა მობილიზაცია, თავმოყრა, მტკიცე ხელმძღვანელობა. მასების იდეურ-პოლიტიკური მობილიზაციის ცენტრად გადაიქცა 25 ოქტომბრისთვის მოწვეული **სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობა**, ხოლო რევოლიუციის მებრძოლ ძალთა პრაქტიკული ხელმძღვანელობის ცენტრად—16 ოქტომბერს შემდგარი პეტროგრადის საბჭოს **სამხედრო რევოლიუციონური მიტეტი**.

25 ოქტომბერი—საბჭოთა ყრილობის მოწვევის დღე—უნდა განხდარიყო გადამჭრელ დღედ. კერენსკის მთავრობამ პირველმა დაიწყო შეტევა: მობილიზაცია უყო „ერთგულ“ ნაწილებს, დახურა ბოლშევიკური პრესა, ჩაშალა ხიდები, მოსწყვიტა ტელეფონის ქსელს სმოლნი—რევოლიუციის შტაბი. კონტრრევოლიუცია ემზადებოდა ალყა შემოერტყა საბჭოთა ყრილობისთვის, მის ნებისყოფას იგი ხიშტს უპირისპირებდა. კონტრრევოლიუციის გეგმა კერენსკიმ გადმოგვცა თავის უკანასკნელ სამინისტრო სიტყვაში რესპუბლიკის საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე („Предпарламент“) 24 ოქტომბერს საღამოთი. მან სოჭვა:

„ბოლო დროს მთელი რუსეთის და განსაკუთრებით დედაქალაქის მცხოვრებნი **შეშფოთებულნი** არიან აშკარა მოწოდებით

აჯანყებისადმი. ეს მოწოდება მომდინარეობს უპასუხისმგებლო, რევოლუციონურ დემოკრატიათა ჩამოშორებულ უკიდურეს ნაწილისაგან, უკიდურესს იმ აზრით, რომ იგი მოკლებულია კონტროლს. მოწოდებანი აჯანყებისადმი ყოველდღე იბეჭდებოდა „Рабочий Путь“-ის და „Солдат“-ის ფურცლებზე... უნდა აღვნიშნოთ განსაკუთრებით პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარის ბრონშტეინ-ტროცკის გამოსვლები... **აშკარა** მოსამზადებელი მოქმედების და აჯანყების პროპაგანდის შემდეგ, ის **ჯგუფი**, რომელიც თავს ბოლშევიკებს უწოდებს, აჯანყების სისრულეში მოყვანას შეუდგა... ამრიგად, დროებითი საბჭოს წინაშე უნდა აღვნიშნო, რომ **პეტროგრადის მცხოვრებთა განსაზღვრული ნაწილი ხავსებით, ცხადად და გარკვეულად აჯანყების გზაზე დგას**.

მაშ ასე. კერენსკიმ, უპირველეს ყოვლისა, ვერ დაფარა, რომ აჯანყების სამზადისს **აშკარა** ხასიათი ჰქონდა. საბჭოები აშკარად მიისწრაფოდნენ ხელისუფლებისაკენ, ბოლშევიკების პარტია აშკარად ამზადებდა კერენსკის მთავრობის დამხობას. ამგვარად მოქმედება შეეძლო მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც ემყარებოდა მილიონიან მასებს, ძალოვან საბჭოებს, „ახალ სახელმწიფოებრივ ქსოვილს“, „შეთქმულთა ჯგუფი“, როგორც ბოლშევიკების პარტია მსოფლიო კონტრრევოლუციამ მონათლა, ისე თამამად და აშკარად ვერ წავიდოდა აჯანყებისაკენ, როგორც წავიდა ოქტომბრის გამარჯვების პარტია.

მეორე მხრით, კერენსკიც იძულებული გახდა „დაედასტურებინა“ საცოდავ „პარლამენტის“ წინაშე, რომ „განსაზღვრული ნაწილი პეტროგრადის მცხოვრებლებისა“, ესე იგი პროლეტარიატი და გარნიზონი, უკვე აჯანყებული იყო. მუშებისა და ჯარის-კაცების დიდზე დიდი უმრავლესობა ბოლშევიკების მხარეზე იყო. თავისი ხელისუფლების უკანასკნელ წუთს კერენსკის არ შეეძლო დაეთარა ეს. იგი სიმართლეს პირდაპირ შეჰყურებდა, თვალეში და „მაღალ კრებასაც“ მოუწოდებდა, ასევე პირდაპირ და ღია თვალებით შეეხედა სინამდვილესთვის, რათა პრაქტიკული დასკვნა გამოეყვანა, ესე იგი იარაღით ჩაექრო „მცხოვრებთა განსაზღვრული ნაწილის“ აჯანყება.

კერენსკი განაგრძობდა:

„მე მოვედი აქ იმისთვის, რომ მოგიწოდოთ—ფრთხილად იყოთ. მოვედი არა სათხოვნელად, არამედ დარწმუნებულად, რომ დროებითი მთავრობა თქვენში **ერთსულოვან დახმარებას ჰპოვებს**. რუსის საზოგადოების ის ელემენტები, ის ჯგუფები და პარტიები, რომლებმაც რუსის ხალხის თავისუფალი ნებისყოფის წინააღმდეგ მახვილი აღმართეს, **დაუყონებლივ და სამუდამოდ უნდა განადგურდნენ**. მოვითხოვ დღესვე ამ სხდომაზე დროებით მთავრობას უპასუხოდ, შეუძლია თუ არა მას თავისი მოვალეობის ასრულების დროს **დარწმუნებული იყოს, რომ ეს მაღალი კრება დახმარებას გაუწევს**“.

კერენსკიმ ძალიან გვიან მიმართა დახმარებისათვის ამ ნებისყოფას მოკლებულ და უძლურ „მაღალ კრებას“. იმ დროს, როდესაც იგი „მცხოვრებთა განსაზღვრულ ნაწილს“, უწინარეს ყოვლისა, ბოლშევიკების პარტიას, „დაუყო-

ნებლივი და საბოლოო განადგურებით“ ემუქრებოდა, სწორედ ამ დროს „მალალმა კრებამ“ ცხადად იცოდა, რომ სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე კერენსკი — კიშკინ-კონოვალოვის რევიზიონი. ამიტომაც „მალალმა კრებამ“ ზურგი უჩვენა „დემოკრატიის“ პრემიერ მინისტრს, სხვა სიტყვით, მენშევიკებმა და ესერებმა გადამწყვეტ წუთში ხელი აიღეს საკუთარ საქმეზე.

კერენსკის განცხადებამ „წინა პარლამენტი“ ორად გაჰყო. მენშევიკები (ლიბერ-დანის), მენშევიკ-ინტერნაციონალისტები (მარტოვი), შემარცხენე ესერები და მემარჯვენე ესერები, დაუსრულებელ „ფრაქციულ სხდომის“ შემდეგ შეთანხმდნენ დანის ფორმულაზე, რომელიც მიღებულ იქმნა ხმის უმრავლესობით. ფორმულაში ნათქვამი იყო, რომ ბოლშევიკების აგიტაციას „ნიადაგი მოემზადა“.

„ომითა და ნგრევით გამოწვეულ ობიექტიურ პირობებს გარდა, იმ გარემოებანაც, რომ დაგვიანებულ იქმნა საჭირო ზომების სისწრაფოდ მიღება. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დაუყოვნებლივ გამოიცეს დეკრეტი მიწის გადაცემის შესახებ საადგილ-მამულო კომიტეტების ხელში და გადაღმულ იქმნას გაბედული ნაბიჯი საგარეო პოლიტიკაში იმ მიმართულებით, რომ მოკავშირეებს წინადადება მიეცეთ გამოაქვეყნონ ზავის პირობები და დაიწყონ საზავო მოლაპარაკება“.

თითქმის ბოლშევიკური რეზოლიუციის მიღებით მენშევიკები და ესერები ფიქრობდნენ რევოლიუციის მსვლელობის შეჩერებას, მაგრამ ისტორიამ მწარედ დასცინა მათ. ოქტომბრის გადატრიალებიდან ერთი წლის შემდეგ მოქ. დანი, არა როგორც „დემოკრატიის ბელადი“, არამედ როგორც „ისტორიკოსი“, მენშევიკურ კრებულში „За риа“ სწერდა შემდეგს:

„დიდი ხნის შინაგან ბრძოლის, რყევის და ყოყმანის შემდეგ, სოც.-დემოკრატებმა 24 ოქტომბერს შესძლო „წინა პარლამენტში“ დემოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის შეერთება იმაზე, რომ მოეთხოვათ საზავო მოლაპარაკების დაუყოვნებელი დაწყება და მიწის საადგილმამულო კომიტეტების ხელში გადაცემა. მაგრამ უკვე გვიან იყო“.

ღიახ ცუდია, ცუდი, რასაკვირველია, როცა საქმე ეწყობა ისე, რომ „უკვე გვიან არის“, მაგრამ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა მარტო დაგვიანებას, არამედ ადვილად დასანახავ ცბიერებასაც. ის პარტიები, რომელნიც მთვის განმავლობაში თავგამოდებით იცავდნენ შემამულეთა საკუთრების ხელშეუხებლობას, მხარს უჭერდნენ „სახელოვან მოკავშირეებთან“ ომის გაგრძელებას, უცხად, თვალის დაბამბამებაზე „მარცხნით იხრებიან“ და ღებულობენ რევოლიუციონურ ლოზუნგებს მიწისა და ზავის შესახებ. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ თვალთმაქცობა, მარჯვე აფერა პოლიტიკური შეუღლებისა, რომელთაც მასების გულუბრყვილობის იმედი ჰქონდათ, მაგრამ მუშები და ჯარისკაცები უკვე იცნობდნენ მენშევიკებს და ესერებს და არავითარი ნდობა არ ჰქონდათ მათდამი. მიწისა და ზავის საქმეს მასები უკვე ვეღარ მიახლოებდნენ იმ პარტიებს, რომლებიც რევოლიუციის მსვლელობის დროს სავსებით გაკოტ-

რდნენ. ეს ხრიკი უიმედო იყო. აჯანყებული ხალხის მოტყუება არ შეიძლებოდა.

ხოლო ამ რადიკალურ რეზოლიუციას, რომ აზრად მწარედ ეჩვენებოდა მოტყუება ჰქონდა, სჩანს იმ ფაქტიდან, რომ კოალიცია არ იყო უარყოფილი, კადეტებთან ბლოკი არ იყო გაწყვეტილი. დანი განაგრძობდა მოლაპარაკებას კადეტების ლიდერებთან, ნაბოკოვთან და აჯემოვთან, მთავრობის შემადგენლობის შესახებ. თუმცა მენშევიკებმა და ესერებმა უარი უთხრეს მთავრობას პირდაპირ დახმარებაზე დაწყებულ რევოლიუციის წინააღმდეგ, მაგრამ მათ კრინტიც კი არ დასძრეს ხელისუფლების სტრუქტურის შეცვლაზე. თუ კი კოალიცია დაცული იქნებოდა, ხალხი ვერ მიიღებდა ვერც ზავს და ვერც მიწას. კერენსკის რომ დანისა და ჩერნოვის ფორმულა მიეღო და აჯანყება ამის გამო შეჩერებულიყო, ეს იქნებოდა რევოლიუციის დასამარება, მისი გახრწნა და დაშლა. **კიშკინ-კონოვალოვი** ხელისუფლების სათავეში რჩებოდნენ, კონტრევოლიუცია თავიდან ფეხამდე შეიარაღებული იყო, — იგი მოელოდა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს, რომ გადაქრილ შეტევაზე გადასულიყო. რევოლიუციას რომ თავისი იერიში შეეჩერებინა, მას რომ ერთი და იგივე **ადგილი ეტკეპნა** ეს იქნებოდა ნიშანი კონტრევოლიუციის მხრივ დაუზოგველი იერიშების მოტანისა, იმ კონტრევოლიუციის მხრივ, რომელსაც დასაყრდნობი პუნქტები ჰქონდა მთავრობაში, მთავარი ბანაკში. თვითეულ შტაბში...

მენშევიკების პარტია ამ ხანაში თავის ისტორიულ ამოცანას ხედავდა სწორედ იმაში, რომ რევოლიუცია შეეჩერებინა ერთი მომენტით მაინც. ამიტომაც დანმა, ჩაიდო რა მარცხენა ჯიბეში წინა პარლამენტის მიერ მიღებული „რადიკალური რეზოლიუცია“, სმოლნს მიაშურა და 25 ოქტომბერს, ღამის პირველ საათზე, გახსნა ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პირველი მოწვევის სხდომა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ჯერ ისევ 18 სექტემბერს საბჭოების დიდმა უმრავლესობამ მარტოვის პირით გადაქრილად უარყო ცენტრალურ აღმ. კომიტეტის პოლიტიკა. რამდენიმე საათის შემდეგ უნდა გახსნილიყო სრულიად საბჭოთა მეორე ყრილობა, რომლის შესახებ წინასწარი ცნობები სრულებითაც არ ხდიდნენ საეჭვოს იმ გარემოებას, რომ პირველი მოწვევის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტი მხოლოდ რევოლიუციის გუშინდელ დღეს წარმოადგენს.

და, მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ მხარეების ამ კრებულს ეგონა, რომ უფლება აქვს დარიგება მისცეს წინ მიმავალ რევოლიუციას იმის შესახებ, რის გაკეთების ნება ჰქონდა მას და რის გაკეთებაც არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო რევოლიუციით შეშინებულ პოლიტიკურ არარაობებს. მოხსენებას ისევ იგივე მოქ. დანი უკეთებდა. ის ამბობდა:

„მტერი დედაქალაქს უახლოვდება; შიგნით, სახელმწიფოში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგი საშინლად დანგრეულია. არასოდეს **კონტრევოლიუცია არ ყოფილა ასე ძლიერი, როგორც ამ მომენტში**. მუშათა და ჯარისკაცთა მასების უმრავლესობა პოლიტიკურ საკითხებს გულგრილად ეკიდება... არეულობა პეტროგრადში დაუყონებლივ გამოხმაურებას ჰპოვებს პროვინციაში, ამას შედეგად მოჰყვება ის, რომ **სულ მცირე ხანში პეტროგრადი უპუროდ დარჩება**,

და ბოლშევიკების მიერ შექმნილ ხელისუფლებას დაუყოვნებლივ დაამხობს მასების უკმაყოფილება“.

ამ რიგად, დანი აშინებდა, აფრთხილებდა — არ მსჯელობს მსჯელობა. იგი დამლუბველიაო და არც საჭიროა ახლა, რადგან „დღეს წინა პარლამენტი მემარცხენე ფრაქციების ხმებით გადატარეთ“, და ამ რეზოლიუციის შემდეგ მიწაც იქნება და ზავიცო. „თუ ეხლა რესპუბლიკის საბჭოს ამ გადაწყვეტილებას ანგარიშს არ გაუწევთ, მერე გვიანლა იქნებაო“, კვლავ შრისხანეთ აფრთხილებდა დანი და კვლავ აშინებდა მათ 1905 წლის დამარცხებული რევოლიუციის აზრდით, „როცა პეტროგრადის საბჭოს სათავეში იგივე ტროცკი იდგა“, კვლავ გაჰკიოდა, რომ „ბოლშევიკების გამარჯვება მოკლე იქნება“, რომ „გამარჯვებულებს გასრესენ და პროლეტარიატი დამარცხდებაო“...

ბოლშევიკებმა, მოისწინეს რა დანის დარიგება, სხდომა დასტოვეს. იმ მომენტში, როცა დანი „აფრთხობდა“ და აფრთხილებდა, ხელისუფლების დაპყრობა უკვე დაწყებული იყო.

ცენტრ. აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო წინა პარლამენტში გასული ფორმულის მსგავსი რეზოლიუცია; კომიტეტმა მოუწოდა „სახელმწიფოს მთელ რევოლიუციონურ დემოკრატიას“ „ორგანიზაციულად დახმარებოდა“ მას, ცენტრ. აღმასრულებელ კანიტეტს. კრინტიც არ იყო დაძრული კერენსკის მთავრობისათვის მხარის დაჭერაზე. აი შესანიშნავი ისტორიული ფაქტი: დალუბაუნენ რამდენიმე საათის წინ კერენსკის „დემოკრატიულ“ ხელისუფლებას, მხარს აღარ უჭერდენ „შეკავშირებული დემოკრატიის“ უმაღლესი ორგანოები. კოალიციის იმდენად ჰქონდა სახელი გატეხილი, რომ აჯანყების დაწყების მომენტში მენშევიკებმა და ესერებმა ვერც კი გაბედეს ნდობა გამოეცხადებიათ თავიანთ მთავრობისათვის. წინა პარლამენტში კერენსკის დახმარებას ხმა მისცეს მხოლოდ კადეტებმა, კოოპერატორებმა და ყაზახებმა.

ამრიგად 25 ოქტომბრის რევოლიუციონური აჯანყებით დამხობილ იქნა ის ხელისუფლება, რომლის აშკარად მხარის დაჭერა უკანასკნელ წამს წერილ ბურჟუაზიულმა დემოკრატიაშაც კი ვერ გაბედა. „საერთო ხალხური“ მთავრობა ჰაერში ჩამოეკიდა, რათა ადგილი დაეთმოთ იმ ხელისუფლებისათვის, რომელიც წარმოიშვა ქვეყნად არ ნახულ რევოლიუციონურ საბჭოთა სახელმწიფოებრივობის „ახალი ქსოვილის ნიადაგზე“.

მ. ფ რ ი ზ ე

დასავლეთის ლიტერატურის უმთავრესი მიმდინარეობანი ომის უაგდე

დასავლეთის უკანასკნელ წლების მეტის მეტად მრავალფერ ლიტერატურ მიმდინარეობათა შორის შესაძლებელია აღინიშნოს, როგორც ყველაზე უფრო დამახასიათებელი და ნიშანდობლივი: ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი და დადაიზმი.

ორი პირველი თავიანთი ფესვებით ომის წინა ხანებს ეკუთვნიან, უკანასკნელი კი ომიანობის დროს აღმოცენდა.

ფუტურიზმი დაიბადა და აყვავდა იტალიაში, ექსპრესიონიზმი — გერმანიაში და ავსტრიაში, დადაიზმს კი — „სამშობლო არ გააჩნია“ — იგი ინტერნაციონალურია.

ამ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ფორმალური ანალიზი გვერდზე რომ გადავდოთ და შევჩერდეთ, აქ მხოლოდ მათ სოციალურ ფსიქოლოგიურ „შინაარსზე“, მაშინ შეიძლება მოკლედ განვიმარტოს ფუტურიზმი, როგორც კაპიტალისტური ცივილიზაციის უდაოდ და მთლიანათ აღიარება, ექსპრესიონიზმი — როგორც საშინელებითა და დაფანტულობით სავსე უარყოფა ბურჟუაზიულ სინამდვილისა და, დასასრულ, დადაიზმის, როგორც ცინიური გამასხარავება ბურჟუაზიულ კულტურისა და საკუთარ თავის.

თუ ეს სამი დამახასიათებელი მიმდინარეობა განხილულ იქნება სოციალურ — ფსიქოლოგიური მხრით, მაშინ მათ უკან იმართება — რაიც ადვილი დასანახია — ისტორია დასავლეთ ევროპის ომის მერმინდელი ინტილიგენტისა, რომელიც გადადის კაპიტალიზმის მიღებიდან მის უარყოფაზე, ნათლად დარწმუნებული იმაში, რომ გამოუსვლელია ის ჩიხი, სადაც ის მოექცა და, დასასრულ, — კიდევ ერთი ნაბიჯი — არა თუ ბურჟუაზიული კულტურის, არამედ თვით საკუთარი თავისი უარყოფამდე.

სხვანაირად რომ ითქვას — ამ ლიტერატურულ მიმდინარეობათა გადაღმა

აშკარად ისახება უიმედო კრიზისი ბურჟუაზიული ქვეყნისა, რომელიც იხრწნება საშინელებით გამოწვეულ ათრთოლებასა და ცინიურ გრიმასებში.

I

ს ი მ ლ ი რ ი თ ე შ ა

იტალიელი ფუტურისტი გამოვიდა ცხოვრების სცენაზე დიდი ხნით ადრე ომამდე (1909 წ.) მისი პირველი გამოსვლა იყო კაპიტალიზმის მხურვალე აპოლოგია. აქედან გამომდინარეობს იტალიის ინტელიგენციის ბუნებრივი მდგომარეობა. ვგონებ არსად არ იყო ინტელიგენტურ პროფესიებში ძალების იმგვარი მოჭარბება. კერძოდ მწერლები არსად ისეთ ხელმოკლეობას არ განიცდიდნენ, როგორც აქ. როდესაც ჩრდილოეთ იტალიაში XX საუკუნეში — ინდუსტრიამ სასწრაფოდ დაიწყო განვითარება, როდესაც კაპიტალიზმმა ფესვების გაშლა დაიწყო იტალიის ნიადაგში, ინტელიგენციას — მის გარკვეულ ფენებს — არ შეეძლო არ მისალმებოდა მას, როგორც ახალ ცხოვრების განთიადს. იშლებოდა ფართო პორიზონტი, ოქროს პერსპექტივები. მომავალზე იმედთან ერთად უნდა დაბადებულ იყვნენ აგრეთვე „მომავლისტები“. ფუტურისტების სამშობლო იყო — ეს სავსებით გასაგებია — ჩრდილოეთი მილანი — ინდუსტრიალურ იტალიის გული და ნერვი. თავის პირველ მანიფესტში, რომელიც დაიბეჭდა 1909 წ. გაზ. „Figaro-ში“ — მარინეტმა აღნიშნა ახალი იტალიანური პოეზიის ტემები და მიესალმა თითქმის ექსტატიურ სიტყვებით ახალ ცხოვრების, კაპიტალისტურ ცივილიზაციას, ინდუსტრიას, ტექნიკას, ქალაქს, ომს, მშრომელ მასებს. მუშები თუმცა უფრო ეფექტისათვის იყვნენ ნახსენები. ფუტურისტების — მარინეტის — ფოლგორეს — ბუცის და სხვ. — პოეტურ პრაქტიკაში ყველაფერი მოინახება — სამრეწველო ქალაქი — დრედნოუტები, სუმბარინები — ომის აპოთეოზი — ელექტრონი — მოტორები — ჰაეროპლანები — ფუტურისტული ზეკაცი — „ადამიანი ტექნიკური პოტენციით“, ყველაფერი. არ არის მხოლოდ პოემები მუშებზე და არ არის რევოლიუციის სიმღერები. ახალ სოციალურ პირობების ზეგავლენით შეცვლილი თვისება მსოფლიოსი ბუნებრივად ეძებდა შთაბეჭდილებებისა და განცდის გამოსახატავად ახალ ფორმებს, ცხოვრების ახალი შინაარსი მოითხოვდა ახალ მხატვრულ სტილს და მარინეტმაც წარმოადგინა მისი საფუძვლები თავის მანიფესტში ფუტურისტულ ტექნიკისა და „თავისუფალ, უმავთულო ფანტაზიის სიტყვათა სტილის“ შესახებ — სადაც, მოკლედ რომ ითქვას, იმაზე იყო ლაპარაკი, რომ გამონახულიყო მოძრავ სინამდვილისაგან ერთდროულ და მრავალფერ შთაბეჭდილებათა და მათ მიერ გამოწვეულ განცდათა ვადაცემის მეთოდები.

ამ დაულალავმა სამხედრო კორესპოდენტმა ყველა ფრონტებზე, სადაც კი არ უნდა ყოფილიყო ომები — იტალიელების არაბებთან, ბოლგარელების ოსმალებთან — ამ ფუტურისტმა თავის ახალი სტილი შეიძინა სწორედ ბრძოლების ველზე, — როგორც ამას მარინეტი რა ერთხელ აღიარებდა. როდესაც ატყდა მსოფლიო ომი და იტალიის მთავრობა თავდაპირველად ნეიტრალიტეს იცავდა, ფუტურისტი, რომელიც სიტყვით და კალმით დიდხანია უსისინებდა ერთმანეთს იტალიასა და ავსტრიას, რომელიც სიტყვით და კალმით დიდხანია ეწოდა იმპერიალისტურ იტალიის „დიდი იტალიის“ Italia piu grande-ის — პროპაგანდას,

ყოველი გზა-ჯვარადინზე ყვიროდა ეროვნული დაღატის შესახებ და დამშვიდდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯარებმა გაილაშქრეს, დასასრულს იჭრნენ კოჭე. ომი დასრულდა. იტალიაში, რომელმაც ხელი ვერაფერი შეუშინა რევოლუციის დაიწყოს.

ომიდან დაბრუნებული ფუტურისტი — ლაპარაკი უმთავრესად მარინეტზეა — ხედავდა როგორ მხდრდებოდნენ მუშათა მასსები ანუ, მისი ჰიპერბოლური თქმით, — „როგორ წამოიჭრენ გრგვინვით ხალხის მასსები კომუნისტური სამოთხის მოსაპოვებლად“. ისე, როგორც თავის პირველ მანიფესტში, მან გაკვირით მოიხსენია მუშათა მასსები — ერთ თავის უკანასკნელ — ომის მერმინდელ დეკლარაციაში მან სხვათაშორის გადმოიხროლა: „ჩვენ თანაუგრძობთ რევოლუციონურ ქარტეხილებს“. მაგრამ, ისე როგორც წინად, მას კაპიტალისტური სამოთხე უფრო სწამდა, ვიდრე კომუნისტური. ის, ცოტა არ იყოს, შეშფოთებული ხედავდა, რომ ომის შემდეგ „ინტელიგენტურ უმცირესობას“ და განსაკუთრებით ინტელიგენციას ათასნაირი სენი მოედო, მაგალითად: „გულამღვრული თვლენა, ნევრასტენია, უიშედო პესიმიზმი, სრული უნებისყოფობა“. ომის მერმინდელ ნამთვრალეობის ატმოსფეროში მის წინ დაისვა ამგვარად ახალი ამოცანა, რომელიც გამოიხატებოდა „ომის მერმინდელ ავადმყოფობის განკურნებაში“. „ომის მაგიერ, რომ დაანგრიათ კაცობრიობის ესლანდელი მდგომარეობა, გააუმჯობესეთ იგი,“ — მოუწოდებდა ის დამბლით ვატეხილ ინტელიგენციას. — „მიეცით კაცობრიობას ახალი ნამდვილი სიხარული“. და ის შეუდგა თავის წინანდელ ხელობას: ყოვერგვარ მოულოდნელობის, ახალ სიტყვების და სენსაციით გამაბრუებელ უჩვეულო ამბების გამოგონებას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს საქმე თანდათან საძნელო შეიქნა. „ყველა სიურპრიზები უკვე გამოგონილია — ახალ ხელოვანთათვის თითქმის აღარაფერი დარჩენილა — სჩივის იგი. ამასთანავე ომის შემდგომ მოღებულ სნეულებათა ატმოსფეროში ის თვითონაც საკმაოდ გახუნდა. პირველი მისი ახალი გამოგონება, ამიტომ, არც თუ ძალიან ბრწყინვალე აღმოჩნდა. ქალაქ ლუკკაში მან გამართა ახალი თეატრი — თეატრი სიურპრიზი; მისი მიზანია „თავბრუ დაასხას საზოგადოებას ახალი გამოსვლებით“ — როგორც განმარტა მან მისი პროგრამა, მან თვითონ დასწერა შესაფერი პიესა: *Musique de Toilette*. აიწვევა ფარდა: სცენაზე არის პიანინო, რომლის პედალზე ჩამოცმულია ქალის წულეები. ეს პირველი სიურპრიზი. შემოდის პირის ფარეში ქალი, სწმენდს მტვერს და იმავე დროს ასრულებს მუსიკალურ პიესას. მეორე სიურპრიზი. მესამე: შემოდის მეორე პირისფარეში და დაუწყებს კლავიშებს წმენდას კბილის ჩოთქით, როგორც კბილებს. უკანასკნელი — გამოდის ფარეში ბარში და მოსდგება პედალზე წულეების წმენდას.

სრულიად საეჭვოა, რომ ასეთმა პიესამ შესძლოს თეატრი-სიურპრიზის წინაშე დაყენებულ ამოცანის შესრულება, სახელდობრ: 1) „რომ ყოველი სიურპრიზი სცენაზე კბადებდეს მეორე სიურპრიზს პარტერში და ლოკებში, მთელ ქალაქში, ხვალ, ხეგ, ძალიან დიდხანს და 2) იტალიის ახალგაზდობის გადარჩენა პოლიტიკის სატანიური გავლენისაგან, რომელიც „ამხეცებს ადამიანებს“.

ამიტომ ფუტურისტიმა ხელახლა დაიწყო კაცობრიობისათვის „ახალ-ახალი

სიხარულის“, რაღაც საარაკო ამბების გამოწოვა თითიდან და გამოიგონა სრულიად ახალი ხელოვნება—შეხების ხელოვნება (ტაქტილიზმი). თუკილებლად საქიროა საგნების უკეთ შეხების შესწავლა და მაშინ „ინტელიგენტურ უმცირესობის“ წინაშე გადაიშლება ჯერ არ განცდილი ბედნიერებანი, ვინაიდან ზოგიერთი საგნები იძლევიან განყენებულ—ცივ შეგრძნობას, ზოგი ამაღელვებელ-ვნებიანს და სხვა, როგორც ეს დაწვრილებით მოყვანილია მის უკანასკნელ მანიფესტში ტაქტილიზმის შესახებ. ამნაირად შესაძლებელია „ტაქტილური ნუსხების შედგენა ორივე სქესისათვის, რომლებიც საშუალებას მისცემენ კაცისა და ქალის ოთხ შეთანხმებულ ხელს დასტკბენ ერთად ტაქტილურ მოგზაურობით“

შესაძლებელია აგრეთვე ტაქტილურ თეატრის მოწყობა. „დამჯდარი მსმენელები დააწყობენ ხელებს გრძელ ლენტებზე, რომლებიც მისცემენ მათ სხვადასხვა რიტმის ტაქტილურ შეგრძნობებს“.

და, დასასრულ, შესაძლებელია შეიქმნას რაღაც სრულიად ახალი, ჯერ არ ყოფილი ხელოვნება.

„ტაქტილიზმი მაღალი ხმით გამოამელავენებს სხვადასხვა შეგრძნობებს, რომლებსაც მიიღებს იგი თავის ხელობის მოგზაურობიდან. გადაცემა იქნება უსიტყვოთ, თავისუფალი ყოველივე რიტმისა, სინტაქსისა და პრასოდიისაგან — იგი იქნება, რამდენადაც შესაძლებელია, სინტენტიური და ნაკლებად ადამიანური“ (!).

მაგრამ იმ დროს, როდესაც პირველი გაწვევის ფუტურისტი სწოვდა თითიდან ახალ-ახალსა და ნანდვილ სიხარულს ინტელიგენტურ უმცირესობისათვის, რომელსაც ომისმერმინდელი ნამთვრალეობა სჭირდა კიდევ — მისდა საბედნიეროდ ფაშისტურმა გადატრიალებამ მოუსწრო.

იტალიის დიქტატორად ბენიტო მუსოლინი გადაიქცა. ეხლა ფუტურისტს იმ უმნიშვნელო თავის შექცევიდან, როგორც არის თეატრი-სიურპრიზი და ტაქტილური ხელოვნება, ისევ შეეძლო დაბრუნებოდა თავის ფარულ ოცნებას, — ოცნებას იტალიის მსოფლიო ბატონობის შესახებ.

რომში იცემა ომის წინად არსებულ მარინეტის ჟურნალ Lacerba-ს და მისივე ომისმერმინდელ სინტენტიურ მიმოხილვის მაგიერ — ჟურნალი Imperio, რომელსაც რედაქტობენ ორი ახალგაზრდა ფუტურისტი მარियो კარლი და ემილიო სეტიმელი. პირველი ნომრის მოწინავე მოავგონებდა იტალიის ბურჟუაზიასა და ინტელიგენციას, დასნეულებულს და გულგატეხილობით და ნების მოღუნებით, რომ „ზოგიერთი ადამიანები და ერები მოწოდებული არიან მბრძანებლობისათვის, ხოლო სხვები კი — მორჩილებისათვის, და რომ ყველა სხვა ერთა შორის ყველაზე უფრო ღირსია მბრძანებელის როლისა „უგენიალურესი“ იტალიის ერი.

„შენში, ო, იტალიის ფაშისტურო ახალგაზრდობავ, ყველაფერი მოცემულია ამ იდეალის განსახორციელებლად: — ნაყოფიერება, ჯანი, გმირული სული“ და სხვა.

გაუგზავნა რა შემდეგ სალამი მარინეტის — ამ „დიდებულ ხელოვანს, რომელმაც აჩუქა ქვეყანას განახლებული ლათინური გენიის იმპერიალიზმი“ და

დახარა რა უმდაბლესად თავი ბენიტო მუსოლინის, „საიმპერიო იტალიის მპრძანებლად მოწოდებულ ადამიანის“ წინაშე, ახალგაზრდა ფუტურისტების ქურნალი მიმართავს-მას შემდეგი ოთხი მცირე მოთხოვნილებით:

- 1) დაიხუროს იტალიის ყველა მუხეუნები და აკადემიები;
- 2) სუბსიდია დაუნიშნოს მხოლოდ ფუტურისტულ ხელოვნებას;
- 3) დააწესოს ბანკი ხელოვანთათვის კრედიტის გასახსნელად; ბანკი, რომელიც გაიღებს ფულებს გამოფენის მოსაწყობად და სხ.;

4) შემოღებულ იქმნას დამატებითი გადასახადი ხელოვნების ქურუმთა სასარგებლოდ.

იტალიის ფუტურიზმი — ომამდე და ომის შემდეგ — დაიბადა ამ გვარად კაპიტალისტური და იმპერიალისტური კულტურის უსაუო მიღებიდან და, როგორც ომამდე, ისე ომის შემდეგ, იდეოლოგიურად და ესტეტიურად თავის ამოცანად — მიუხედავად „რევოლიუციონურ ქარტეხილებისადმი“ პლატონიური სიმპათიისა — მიზნად ისახავს „თანამედროვე კაცობრიობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და არა მის დაქცევას“.

II

სულ სხვა გონებრივ განწყობილებიდან აღმოცენდა ექსპრესიონიზმი, როგორც ფუტურისტი, ისე ექსპრესიონისტი ცხოვრების ასპარეზზე ბევრად უფრო ადრე გამოვიდა, ვიდრე ომი დაიწყებოდა. ამ ომის წინასწარ წლებში ის ჯერ კიდევ მაძიებელი იყო უფრო. მას თავის თავი იმ ხანებში წარმოედგინა უმთავრესად, როგორც ნატურალიზმისა და იმპრესიონიზმის უარყოფელი. შთაბეჭდილების გადამცემ პოეზიას მან დაუპირისპირა სულის „მეტყველების“ პოეზია — ბუნებას, მატერიას — რომლის კანონები ნატურალისტისა და იმპრესიონისტისათვის სავალდებულო იყო, იგი უპირისპირდება ადამიანის სულს, რომელიც მსოფლიოს ჰქმნის თავის საკუთარ კანონების მიხედვით. ეს სრულიად არ იყო მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურულ-მხატვრული რეაქცია. ექსპრესიონისტი უარყოფდა ბუნებას, მატერიას, ობიექტიურ სინამდვილეს, რადგან ეს ობიექტიური სინამდვილე აწვა თავზე, სჩაგრაავდა და უპიროვნოდ ხდიდა მას. მაშინ, როდესაც იტალიას — ფუტურისტის სამშობლოს — კაპიტალიზმის საკმაოდ განუვითარებლობა აწუხებდა, გერმანია — ექსპრესიონისტის სამშობლო — იბრჩობოდა კაპიტალისტური ცივილიზაციის მოჭარბებით. ცხოვრების ინდუსტრიალიზაცია, მეხანიზაცია და ბიუროკრატიზაცია ისეთნაირად განვითარდა აქ — გერმანიაში, რომ ცალკე „პიროვნება“, ეს წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენტის ფეტიშიში, სრულ არარაობას წარმოადგენდა. ამ პიროვნების გამანადგურებელ მექანიკურ ბურჟუაზიულ სინამდვილეს ექსპრესიონისტი ჯერ კიდევ ომამდე სცილდებოდა და მიდიოდა თავის სუვერენულ მეს, საკუთარ „სულის“ წიაღში და, როდესაც ომი დაიწყო, ის თითქმის ერთად-ერთი არ ერყოდა იმ პატრიოტულ ვაქსანალიაში, რომელიც მთელს იმპერიას მოედო. იგი დაჩუმდა. მის მიერ დაწყებული ლიტერატურული ნოძრეობა ჩაკვდა. რაც უფრო მაგრად ინასკვებოდა ომის კვანძი მით უფრო უარყოფითი იყო მისი დამოკიდებულება მისდამი. იგი, რა თქმა უნდა, ციმერვალდელი არ იყო — ის კითხულობდა ტოლსტოის და იმზირებოდა

დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, სადაც დაიბადა არა ამ ქვეყნიური სამეფოს სახარება. ის პაციფისტი იყო — წინააღმდეგ ფუტურისტებისა, როდესაც შვეიცარიაში — გაძევებაში — დაიწყო გამოსვლა ორგანო „Die Aktion“-ის, იგი შიგთავის ანტიმილიტარისტულ ლექსებს ათავსებდა. როდესაც 9 ნოემბერს იმპერია დაინგრა, ის კოლექტიურად გამოვიდა (რუბინერის მიერ გამოცემულ) კრებულში „კაცობრიობის მეგობრებში“ თავის პაციფისტური პოემებით, სადაც ტოლსტოის წინაღუდგომლობა აბსურდულად იყო შეხავებული რევოლუციონურ ჰიმნებთან.

დაიწყო ერთ დროს უძლიერესი ქვეყნის ნელნელი აგონია. გერმანელ ექსპრესიონისტს არ ჰქონდა საფუძველი შეეცვალა თავისი ომის დაწყებამდე გამოშუშავებული, მართალია, მაშინ ჯერ კიდევ მორიდებული დაფასება კაპიტალისტურ ცივილიზაციისა. პირიქით, განადგურებისა და თანდათანობითი გაძლიერებულ მატერიალურ სივიწროვის პირობებში, „საშუალო კლასის“, კერძოთ და უმთავრესად კი ინტელიგენციის პროგრესიულ დაცემის ატმოსფეროში, მისი არა კეთილი განწყობილება მექანიკურ და ბიუროკრატიულ სინამდვილისადმი, მთელი ბურჟუაზიულ-მეშჩანურ ყოფა-ცხოვრების მიმართ, ნამდვილ სიძულვილში გადადიოდა. ამ ქვეყნად — როგორც ეს ნათლად გვაჩვენა კაიზერმა თავის დრამებში კაპიტალიზმის შესახებ (განსაკუთრებით „გაზის“ ორ ნაწილში) — არა აქვს პიროვნებებს ადგილი, არა აქვს ადგილი ცოცხალ სულს. ჩვენ ვხედავთ იქ მხოლოდ გატიპებულ ადამიანებს — მილიარდერებს, მუშებს, ინჟინერებს. ეს არის სამეფო ტეხნიკურ ფორმულების, ფოლადის ახარმაცების, ელექტროს სიგნალიზაციების — ადამიანი გახდა ავტომატი — სულ ერთია წარმოების ორგანიზატორი თუ უბრალო მუშა. „გაზის“ მეორე ნაწილის პირველ სცენაში, ჩვენ ვიმყოფებით ბეტონის დარბაზში, სადაც დადგმულია მაგიდები, ყოველ მაგიდას უზის ადამიანი ცისფერ ტანსაცმელში, ცოცხალი პიროვნება კი არა, არამედ პირველი ადამიანი ცისფერ ტანსაცმელში, მეორე ადამიანი ცისფერ ტანსაცმელში, მესამე ადამიანი ცისფერ ტანსაცმელში — გაშტურებით უცქერიან ისინი პატარა წუშის რგოლებს, რომლებაც მწვანე და წითელი ელექტროს უეცარ გაელვებით გადმოსცემენ მოხსენებებს უხარმახარ სამრეწველო დაწესებულების სხვა და სხვა უბნიდან. შემდეგ მესამე მოქმედებაში მათ სცვლიან სხვები — პირველი ადამიანი ყვითელ ტანსაცმელში, მეორე ადამიანი ყვითელ ტანსაცმელში და ასე. თუ კი წარმოების ორგანიზატორები ავტომატები არიან, მუშები მით უმეტეს — ისინი მთლიანი ავტომატებიც კი აღარ არიან. არამედ ავტომატის მცირე ნაწილები. მუშა-ქალიშვილი ჰყვება თავის ძმის შესახებ, რომელსაც ერთი ხელი ჰქონდა მუდმივ მოძრაობაში და ის მთელი ორგანიზმის ხარჯზე იზრდებოდა.

აი ეს ხელი იყო მთელი ადამიანი. დედა ამბობს შვილის შესახებ: „ნუ თუ ორი თვალი, რომელსაც მოძრაობა დაუკარგავთ საკანტორო მილის მზერით, შვილია?“ ამ განექანურებულ, უპიროვნო და უსულო ქვეყანაში ადამიანის ბედი სავსებით დამოკიდებულია მათემატიკურ ფორმულებზე და ტრაგიზმი იმაში გამოიხატება, რომ ფორმულა შეიძლება სწორი იყოს და აფეთქება მაინც მოხდეს.

ეს ახარმაცებისა და ფორმულების საშინელი ქვეყანა შექმნა მილიარდერმა—
 ოდესლაც უბრალო მუშამ (დრამა „მარჯანში“, „გაზის“ პროლოგში). მისმა
 შვილმა, გაბრაზებულმა ამ წესწყობილების უსამართლობებზე, წყაფვილი კაცის
 ზურგს უკან კი თვით ავტორი სდგას)—გასწყვიტა კავშირი თავის კლასთან და
 წავიდა დროებით ცეცხლის ფარეშად. როდესაც იგი—„გაზის“ პირველ ნაწილ-
 ში—ვეებერთელა საწარმოო დაწესებულების პატრონად გადაიქცა, ის—კაპიტა-
 ლიზმის მოწინააღმდეგე, მაგრამ არა სოციალიზმის მომხრე—„სოციალიზაციას“
 უკეთებს ქარხანას, და მუშები—წარმოების შემქმნელი—მოგების მონაწილენი
 ხდებიან. წარმოების საფუძვლად დადებული მათემატიკურად სწორი ფორმულა
 იწვევს კატასტროფას. ათასი მსხვერპლი! მიუხედავად ამისა მუშები მაინც მო-
 ითხოვენ საწარმოო დაწესებულების აღდგენას და უეცრად წააწყდებიან წინა-
 აღმდეგობას მეპატრონე სოციალიზატორის მხრით, რომელიც კატასტროფის
 შემდეგ უარყოფს კაპიტალისტურ ცივილიზაციას, როგორც ასეთს. საითკენ მო-
 უწოდებს იგი მუშებს? იმის ახალ, უკეთეს ცხოვრების პროექტში ნათლად გა-
 მოსკვივის წვრილ-ბურჟუაზიული სტიქია, რომლისაგანაც წარმოიშვა იდეოლო-
 გიურად (არა ფორმალურად) ექსპრესიონიზმი. მუშების მოთხოვნაზე, რომ ამუ-
 შავებულ იქნას ქარხანა, ის წინადადებას აძლევს მათ დაუბრუნდნენ ქალაქთა
 ქვითკირის სატუსალოდან „ამწვანებულ ყანების თავისუფლებას“.

„ნანგრევებზე აშენდებიან სოფლები. თქვენ ყველანი განთავისუფლებულნი
 ხართ სამსახურისა და მოგებისაგან—**სოფლები** სულ მცირე მოთხოვნილებე-
 ბით და უმაღლესი დამოუკიდებლობით—**ადამიანები**“.

კაცობრიობის განთავისუფლება შესაძლებელია, ფიქრობს მილიარდერი,
 რომელსაც ზურგს უკან თვით ავტორი უდგას მხოლოდ იმ პირობით, თუ და-
 უბრუნდებით პატრიარქალურ სოფლურ (წვრილ-ბურჟუაზიულ) წარსულს.

მუშები, რათქმა უნდა, არ მიჰყვებიან გამარტივების მოსურნე მოწოდებას
 ექსპრესიონ. ინტელიგენტის მოწოდებას, რომელიც მიწასთან გასწორებულია
 კაპიტალიზმის სიმძიმით და სხეულის თრთოლვით მიიწვევს სადა წარსულისაკენ).
 ისინი რჩებიან ქარხანაში; იწყება ომი—ჩვენ გადავდივართ „გაზის“ მეორე ნა-
 წილში:—ქარხანა მთავრობის მიერ ნაციონალიზაციაზე არის აღებული, —მილი-
 არდერ სოციალიზატორის შვილი უბრალო მუშად წედის წარმოებაში. ერის
 (კისტრად გამოწყობილ ხალხის) ხსნა ქარხნის მაქსიმალურ ნაყოფიერებაშია—
 ოდნავ ნაკლები გაზი (ტენნიკა), ვიდრე საჭიროა, და დამარცხება აუცილებელი
 გახდება. მუშები ვერ იტანენ კატორგულ მუშაობას. ერთ დროს ისინი „გაზს“
 მოითხოვდნენ, ეხლა კი გაიძახიან: „ძირს გაზი“. ქარხანაში მეფდება ახალი ხალ-
 ხი—ყვითლად გამოწყობილი ადამიანები. მუშებისა და ქვეყნის ხსნა ეხლა იმ მო-
 წამლულ „გაზში“ არის, რომელიც გამოიგონა ინჟენერმა. საკმაოა გადისროლო
 ამ გაზით გავსებული წითელი ბურთი, რომ ბოლო მოეღება ნაციონალურსა და
 კლასობრივ ჯალათებს.

ასე გაჩერდა ავტორი სოციალური რევოლიუციის საზღვართან. და ხელ-
 ახლა ამ პრობლემისადმი მის დამოუკიდებულებაში აშკარა შეიქნა მთელი მისი
 წვრილ-ბურჟუაზიული—არც იქით, არც აქეთ—ფსიქიკა.

გმირი — მუშა-მილიარდერი — ძალმომრეობის წინააღმდეგია, უფრო ხმამაღლა, ვიდრე მისი მამის მოწოდებაში „ამწვანებულ ყანებს, დავესუფუფულებსავენ“. ისმიან მის სიტყვებში ტოლსტოიზმის გამოძახილი, გამოძახილი წინააღმდეგობისა.

„იყავით წამებულნი შრომაში და თავისუფალნი საკუთარ თავში. მიწიერ მინდვრებისაკენ გიზიდავდათ თქვენ ვიღაც ჩემზე ადრე მყოფი — თქვენ სამართლიანად ჰკარით მას ხელი. არაფერი თქვენს ირგვლივ არ ზოგავს თქვენში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს, იგი არ თავსდება ადამიანთა სოფლების ოთხკუთხედში — **ეს სამეფო არაამქვეყნიურია**“.

მკვეთრად და შეურიგებლად ვარდებიან ერთი მეორის უარყოფელი რეპლიკები წინააღმდეგობის მლალადებულისა და რევოლუციონერის.

- დაბრუნდით ქარხნებში.
- ხელთ იგდეთ ძალა-უფლება.
- დაამყარეთ სამეფო.
- ააფეთქეთ მოწამლული განი.

ინტენერის ფორმულა გამარჯვებას დღესასწაულობს. მუშები მზად არიან ძალადობისათვის... მუშა-მილიარდერი უეცრად გამოსთქვამს წითელი ბურთის გადაგდების სურვილს — ის ეცემა უკან, გარედან ისმის ბომბების გრიალი, ბეტონის დარბაზი ნანგრევებად იქცევა, მოსჩანან ადამიანების ამოშვერილი გათვთრებული ჩონჩხები — ადამიანი ყვითელ ტანსაცმელში, ფოლადის მუხარადით და ტელეფონით თავზე შევარდება მავთულის თრევიტ ნანგრევებზე და ჩასძახის ტელეფონში:

მიმართეთ ზარბაზნები საკუთარი თავისაკენ და გაინადგურეთ თავი — დღე საშინელი განსჯისა *dies irae-solvat saecul...* ვერ ამთავრებს და დაიხალებს ტყვიას პირში. შორს სტვენენ გადაჯვარედინებული ცეცხლოვანი ბურთების ნამჯები და აღმოდებული სამყარო ინთქება უფსკრულში.

გამექანიურებულ კაპიტალისტურ სამეფოს ჩიხიდან არ არის სხვა გამოსავალი ერებისა და საზოგადოებათათვის, თუ არა თვითგანადგურება.

და არ არის არსად გამოსავალი ინდივიდუალურიც ინტელიგენტ-ექსპრესიონისტი სათვის მოზეიმე მეშჩანობიდან. მის გაბრუებულ ტვინში მეშჩანინი, ბურჟუა, რომელსაც დაუპყრია მთელი ცხოვრება, უნებურად არაადამიანურ ფიგურად იზრდება და იღებს ქაჯის სახეს. ის მოდის — ასე აგვიწერს მას კორნფელდი მოთხრობა „ქაჯში“ — ყვითელი ხელთათმანებით და ნათელი გამაშებით, სმოკინგში და შავი ვალსტუხით. ის მოხერხებულად ჯდება სავარძელში, შემოიდგამს ფეხს ფეხზე, ჩაიყოფს ჯიბეში ხელებს და აწკარუნებს ფულებს. როდესაც მოთხრობის ავტორი გაახსენებს მას, რომ არის ქვეყნად მატერიალურ სიკეთეზე უფრო მაღალი ღირებულებანიც, ის და ყველა დამსწრენი მოწონებით უქნევენ თავს — უპასუხებს კმაყოფილი თავის თავით:

„არა, გუთაყვია, საქმე ის არის, რომ რიგიანი ადამიანი გახდე. ყველა ჩვენ მხოლოდ ერთხელ ეცხოვრობთ ამ ქვეყნად. უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა მოვიხადოთ ჩვენი ვალი — მოვასწროთ სიცოცხლით დატკობა“...

იმავე მწერლის დრამაში „შეცდენილნი“, ოპონენტი ხაინძელი/მოთხრობიდან გადაიქცევა უნიადაგო მოხეტიალეთ, რომელიც ლათში სერის მეშჩანურ ქვეყანას, შავრამ კავშირსა კი არა სწყვეტს მასთან, სულს ჩაწვრილებს ატურდულ მონოლოგებით და რომანიულ თავგადასავლებით, ვისი სანელიც — Bitterlich — სევდიანი — საკმაო მჭევრმეტყველებით შლის მისი სულის აბეხარ დრამას. იგი ბრუნდება მოგზაურობიდან სახლში, მცირე პროვინციალურ ქალაქში — ოჯახში, რომლის პატარა გოგონებთან ის იზრდებოდა — ერთსა ჰყავს საქმრო — ჩვეულე-ბრივი, კმაყოფილი თავისი თავით, გონება-შეზღუდული ბურჯუა, რომელსაც ახალ-გაზრდა კაცისათვის სრულიად არაფერი დაუშავებია. უკანასკნელი ხედავს მას პირველად და ისე, თითქოს მის წინ ქაჯი იყოს — დაუწყებს საცოლოს თანდასწრებით ლანძღვას, გააგდებს ოთახიდან და აზრობს თავისი ხელით კარებს უკან.

— ვგონებ მე კეთილი საქმე შევასრულე — ბრუნდება იგი.

— რა ჰქენი?

— ვგონებ დავასრჩვე. ნუ ყვირი. მხოლოდ ნუ ყვირი. რა დიდხან ვოცნებობდი მე ამის შესახებ. ყოველ დღე გავიმეორებდი ამას. ნუ ყვირი. მე ის უნდა დამებრჩო, რომ იცოდეს, რა მსუბუქად ვგრძნობ თავს. მე თითქმის ბედნიერი ვარ.

ინტელიგენტი-ექსპრესიონისტი, რომელსაც მოზეიმე მეშჩანინი ისე სძულს, რომ მზად არის დაახრჩოს იგი, მაინც ბურჯუაზიულ-მეშჩანურ ქვეყნის იქით ვერაფერს ხედავს, ხოლო, რადგან ეს წყობილება მას — ინტელიგენტს — ვერაფერა მისცემს სად-ღა არის გამოსავალი?

კაიზერის დრამაში „დილიდან შუადღემდე“ ჩვენს წინ სდგას მოლარე, რომელსაც მთელი თავისი უფერული სიცოცხლე ოჯახში და სამსახურში გაუტარებია. ბანკში ფულის მისაღებად მოსული ლამაზი ქალი ერთი შეხებით დაანთებს მასში განუცდელ გრძნობათა და მისწრაფებათა კოცონს. ის იტაცებს სამოც ათას მარკას და სტოვებს ოჯახს, მეშჩანურ სიამეს და სამსახურს. ეხლა ის თავისუფალი კაცია. მის წინ გაშლილია მთელი ქვეყანა. რას გააკეთებს იგი? ის მიდის სპორტის სასახლეში, სადაც აწყობენ ველოსიპედისტების თავ-ბრუნდამხვევ რბენას პრიზებისათვის (კაპიტალისტური საზოგადოებისა და კაპიტალისტური კონკურენციის სიმბოლიური სურათი), თვით ნიშნავს პრიზებს და სისხლის ოფლამდე არბენინებს შეჯიბრებულებს. დაუკმაყოფილებელი ამით, ის მიდის სამიკიტნოში, იწვევს კაბინეტში თორმეტიოდე მასკას და ჰპატივობს მათ ხიზილალაზე და შამპანიურზე... პრიზებზე რბენისა და დატკობათა გამოკიდების გარდა, იმ ქვეყანას, რომელშიაც ის ასეთი იმედით ათროლოლებული შევიდა, მისთვის არაფრის მიცემა არ შეუძლია. სხვა ქვეყანას კი მოლარე (ავტორი) არ იცნობს და ვერ ხედავს. და აი, დილიდან საღამომდე გიჟივით ნარბენი ცხოვრების უდაბნოში ის, დასასრულ, მიდის იქ, სადაც კრება გაუმართავს ხსნის არმიას, — აღის ტრიბუნაზე, აღიარებს ქურდობას და ჩასძახის საყვირს, რომ გაიგონ ეს ამბავი ქვეყნიდან ქვეყნამდე.

— მთელი დედამიწის საღაროების ყველა ფულებით არ შეიძლება იყოდო ის, რასაც ნამდვილი ღირებულება ექნება.

მაშინ სადღა არი გამოსავალი?

ისევ გასძახის იგი საყვირით კრებას და სულამდებოდეს სდმყაროს, როგორც თავის გამოცდილებათა ჯამს:

— დილიდან შუალამემდე მივქრი მე რგოლით და აი, იდუმალ მომწოდებელი მარჯვენი მანიშნებს — სად?

და ის ტყვიას დაიხლის გულში.

გერმანული ექსპრესიონიზმი (განხილული სოციალურ-ფსიქოლოგიური მხრით) — ეს არის ტრაგედია წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტიისა, რომელიც შეხუთულია გამექანიურებულ — ტექნიკურ და უსულო ფულადურ ცივილიზაციის სიმძინით, რომელიც კაპიტალიზმის საზღვრებს იქით ვერ ხედავს სხვა სოციალურ ქვეყანათა შესაძლებლობას და ამიტომ დამფრთხალი და აფორიაქებული გადარბის ოცნებიდან მწვანე ყანების თავისუფლების შესახებ თავისი ხელებით ქაჯ-ბურჟუაზიის დახრჩობის იმედზე, წინაღუდგომელობიდან არა ამ ქვეყნიურ სამეფოს გულისათვის — თვითგანადგურებაზე!

მაგრამ არის მისთვის კიდევ ერთი გამოსავალი.

შეიძლება ეს სინამდვილე, ლოდივით რომ დასწოლია მას, გამოაცხადოს მან ბილწ მატერიად, „ბუნებად“, რომელიც არ არის ყურადღების ღირსი და დაუპირისპიროს მას ინტელიგენტის ცრუმორწმუნე სული, შემქმნელი სხვა ქვეყნის სულ სხვა კანონების მიხედვით. ასეთ გამოსავალის მონახვას ლამობდა ავსტრიული ექსპრესიონიზმი. იგი ცდილობდა საზიზლარი სინამდვილე ნისტიკით და ოკულტიზმით გადაელახა.

III

ავსტრიული ექსპრესიონისტი — ნაგულისხმევია მეირენიკი, როგორც, შესაძლებელია, ყველაზე უფრო ტიპური მათ შორის, ისეთივე უნიადაგო ინტელიგენტია, ბურჟუასა და პროლეტარიატის შუა გზა დაბნეულად მოქანავე. მეშჩანი — ბურჟუა, დამჯდარი და გაცვეთილი ჭკუით — მისთვისაც ფესვია ყოველივე ბოროტებისა, და ჯერ კიდევ ომამდე მეირენიკი ათავსებდა ჟურნალ „Simplicissimus“-ში სატირულ მოთხრობებს მეშჩანთა ყოფა-ცხოვრებიდან, რომლებიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა: „ნემეცურ ფილისტერის საკვირველი რქა“ ომის დროს, როგორც ნემეცური ექსპრესიონისტი, მოკლებული შოვინისტურ ალტკინებას, ის სწერდა მილიტარიზმისა და ოფიცრობის წინააღმდეგ პამფლეტებს, რომლებსაც ცენზურა არ უშვებდა. ომის შემდეგ, რომელმაც დაარღვია გაბსბურგთა იმპერია, იგი ისევ, როგორც ავსტრიის ინტელიგენციის უმრავლესობა, დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ის ხედავდა, ასე არის ნათქვამი ერთ მის რომანში („მწვანე სახე“), — თუ გონებრივი შრომის, მისი სიტყვით კი, შინაგანი ჭერეტის ადამიანები, როგორ დაადგნენ გადაშენების გზას „საკვებ ნივთიერებათა სიმცირის გამო“. „სკიპტრას დაკოჟრილი ხელი დაეპატრონა, ხოლო ადამიანის ტვინის პროდუქტები დღითი დღე ჰკარგავენ თავის წონას,“ — ოხრავს ერთი მისი გმირთაგანი. ვაჭყლეთილს საშუალო წოდების გახრწნით და სამშობლოს დაქცევით, როდი სწამს მას სოციალიზმი. „რა მისწრაფება აქვთ მუშებს?“ — კითხულობს ერთი იმის რომანში („მწვანე სახეში“) მომქმედი პირი, რომლის

ხურგს უკან ავტორი დგას — ის, რომ მდიდრები წავიდნენ და პროლეტარებმა დაიკავეთ მათი ადგილი! მაგრამ ნუ თუ ეს „ქვეყნის განახლებას“ ნიშნავს? არ არის საჭირო სოციალური სინამდვილის გარდაქმნა, — სრულიად სავსაა „ახალი მსოფლმხედველობის“ ათვისება. ამისათვის კი საჭიროა უარყოფა ძველი რწმენის, თითქოს ხილული ქვეყანა ერთად-ერთი რეალობა იყოს. „ამას მე უწოდებ ახალ სახელმწიფოს საფუძველს“. მას სავსებით ეთანხმება რომანის გმირი — ინჟინერი, რომელიც საქმეზე არ არის. იგი, ისე როგორც თვით ავტორი, შორდება მატერიალურ ქვეყანას, „ბინძურ ყოველდღიურობას“, მიდის სექტანტებისა და ნისტრიკოსების წრეში, იძირება ოკულტურ მეცნიერებათა შესწავლაში და საშუალო საუკუნეების მოგვთა და აღმოსავლეთის მისანთა მატლებით შექმულ ხელნაწერების გარჩევაში — მაგრამ ჭეშმარიტება არ არის მისტიკაში, ჩვეულებრივი მნიშვნელობით, რომელსაც მიღმა ქვეყანა ხილულის საზღვრებს იქეთ გადააქვს. — ასეთია მისი დასკვნა მისივე სულიერი ხეტილის გამო, — არამედ ოკულტიზმში, რომლის თვალსაზრისით „აქ“ და „იქ“ ორი ერთდროულად და განუყრელად არსებული ქვეყანაა; „ორივე ამ ქვეყნის მოქალაქეობა“ — ein Bürger Zweier Veiten — აი სიცოცხლის მიზანი. ამისთვის არავითარი რევოლიუცია საჭირო არ არის, საჭიროა მხოლოდ „დანახვის“ იმედი, საჭიროა „ბებერი თვლების გაჯერება ტირილით“ და მაშინ წარმოუდგება თვალებს „უხილავი ქვეყანა, რომელსაც გაუმსჭვალავს ხილული“. სინამდვილით დაუკმაყოფილებელი, გამზადებული ყოველგვარ „აბსურდისა და უცნაურობის“ ჩასადენად, რომ როგორმე მოწორდეს მას, ის ოკულტურ მეცნიერებათა კურსის განვლის შემდეგ — მართლა ახერხებს „ცოცხალ ადამიანად“ ყოფნას „აქაც“ და „იქაც“. მის ჩვეულებრივ შეგნებას — ამბობს ავტორი — მიემატა ახალი ათვისება, რომელმაც ქვეყანა ხელუხლებლად დასტოვა, მაგრამ თვითონ ის კი სრულიად გარდაჰქმნა.

სინამდვილის ქვის კედელით მიჭეჭვილს და სხვა რეალურ, სხვა სოციალურ ქვეყანაში იქედან გზის გაკვეთის უნარმოკლებულ ინტელიგენტს არა აქვს მართლაც სხვა გამოსავალი თუ არა თვითმკვლელობა კაიზერის მოლარესავით, თუ არა ცხოვრების ხელუხლებლად მიტოვება და აწენება მასზე სხვა სამყაროსი, სადაც შეფობენ ფიზიკისა და სოციოლოგიის კანონები კი არა, არამედ კანონები, შექმნილი თვით ინტელიგენტის მიერ, რომელიც სუვერენული ბატონია მხოლოდ ოცნების სამთავროში.

და აი ის იწყებს თავის მსოფლიოს ჩამოგალიბებას, რომელიც მხოლოდ მის კანონებს ექვემდებარება.

ერთ რომანში ქალიშვილს ესმის, თითქოს მას სადღაც შორიდან ვიღაც ეძახის; ის თავშეუკავებლად ემორჩილება იდუმალ მოწოდების ძლიერ გავლენას, ვადის ქუჩაში, მიდის ღამეში სულ შორს ბნელი შესახვევებით და შედის ერთ შემოფარგულულში — მის წინ უზარმაზარი ტანის ზანგია, ქალი ეცემა გაუპატიურებული და კვდება, მაგრამ ის, ვისაც ის უყვარდა წმინდა სიყვარულით, შთაგონების კიდევ უფრო ძლიერი გავლენით აღადგენს მას და ისიც ცოცხლდება მის მკლავებში („მწვანე სახე“). მეორე რომანში ცოცხალ ადამიანებ შორის დადის ვიღაც აქტიორი — „სარკე“ — არა ადამიანი, არამედ ცარიელი ფორმა,

რომელშიაც საჭიროების მიხედვით სხეულდება დიდხანია უკვე გარდაცვლილი შემანულის სულიც, ბებერი კარის ექიმიც „პინგვინის“ სახელწოდებით და — შეთქმულთა კრებაზე — თვით მეამბოხე იან ჟიჟკაც. გაორებული ადამიანები სცოცხლობენ სხვისი სიცოცხლით, ასრულებენ სხვის ნებას და ქვის ჩიხიდან გამობრუნების უნარ მოკლებულ გაჭეჭვილ ინტელიგენტის არეულ ჭკუაში, მისგანვე ჭირივით შეძლებულ სინამდვილის ნაცვლად შექმნილი ჯადოსნური და თავისუფალი ქვეყანა იცვლება კოშმარად — „ვალპურგის ლამედ“.

ასეთი სათაური აქვს მეინრიკის ერთ-ერთ რომანს. როგორც საერთოდ, სამოქმედო ადგილად აღებული აქვს ძველი პრაგა. წმინდა პეპომუკის დღეობაზე — როდესაც ძველი ჩეხური ჩვეულების მიხედვით ბატონები და მოახლენი სადილად საერთო მაგიდას უსხდებიან — ლაპარაკი ომის შესახებ ჩამოვარდება და ერთი დამსწრეთაგანი ანვითარებს აღმოსავლეთურ მოძღვრებს — adeysha — შამანების ანუ სულების შესახებ, რომლებიც სტოვებენ თავიანთ სხეულს მყარდებიან სხვისაში და აიძულებენ ადამიანს თავისი ნების წინააღმდეგ მოიქცეს.

„რისთვის ესაჭიროება ეს სულს? — კითხულობს ვილაც. — შეიძლება მას დაავიწყდა გაეკეთებინა მიწაზე ის, რაც უნდა გაეკეთებინა. ხოლო თუ კი ის მკაცრია, ეს იმიტომ, რომ მოაწყოს სისხლიანი სასაკლაო“... — „მაშ ეს იმას ნიშნავს, რომ ეხლანდელი ომი“... — „უეჭველია, ყველაფერი, რასაც ადამიანები თავის სურვილების წინააღმდეგ სჩადიან, adeysha-საგან წარმოსდგება“...

როგორც ომი იყო ქვეყნად მოსეირნე სულების საქმე, ისე მის მიერ შემზადებული რევოლიუციაც — თვით ამ ინტელიგენტის ტვინით შექმნილ საუცხოვო ქვეყანაში — მხოლოდ ისეთი ძალების მოზღვავება არის, რომლებიც ადამიანებს არ ემორჩილებიან. ძველს, ლეგენდებით შებურვილ შიმშილის კოშკში თავი მოიყარეს შეთქმულებმა. რუსი მეეტლე ემყარება კრაპოტკინს და მოუწოდებს მდიდრების ამოკლეტისაკენ. აზნაური ქალიშვილი, ძველი გვარის შთამომავალი, პოლიკსენა ცდილობს სოციალური რევოლიუცია ნაციონალურ რევოლიუციის კალაპოტში ჩააყენოს, დამოუკიდებელ ჩეხიის სათავეში დადგება ჭაბუკი ოტოკარი, რომელიც მას უყვარს. აქვე მყოფ აქტიორის პირით — „სარკე“ — კრებას მიმართავს გაცოცხლებული იან ჟიჟკა; ბრბო გამოდის ქუჩაში, ანგრევს ოტოკარის დედის, გრაფინიას კოშკს და ოტოკარი ეცემა ძირს დედის ხელით მოკლული; — ფრონტიდან იწვევენ ჯარისკაცთა ათასეულს, რომელიც შეუბრალებლად ხვრეტს მეამბოხეებს. რად მოექცა აზნაური ქალიშვილი აჯანყების სათავეში, რად მოკლა დედამ საკუთარი (უკანონო) შვილი? სულ იმიტომ, რომ მათ შექანიკურად გაიმეორეს თანამედროვე პირობებში ბედი პოლიკსენას შორეული წინაპარი ქალისა, რომელიც მონაწილეობდა გუსისტურ აჯანყებაში. მაგრამ, შეიძლება, ეს სულ ჩვენება იყოს — ჩვენება აწეწილი სულის, რომელსაც არ ძალუძს გაშორდეს, მის მიერ შექმნილ თავისუფალ ქვეყანაშიაც კი იმ ობიექტიურ სინამდვილეს, რომელიც მძიმე ქვასავით დასწოლია მას. ან მთელი ეს ამბები ვილაცას დაესიზმრა მხოლოდ იმიტომ, რომ დადგა 30 აპრილი — ვალპურგის ლამის დღე და თვით იმის ასეთ საოცნებო ქვე-

ყანაშიც კი მას ხსნა არა აქვს სოციალურ რევოლუციის სულ ზევით და ზევით აზიდულ ტალღებისაგან.

ომის შემდეგ—ასეთია შინაარსი მიენრიკის მეორე რომანისა—მყუდრო ამსტერდამში შეიკრიბენ ქვეყნის ყოველი კუთხიდან ყველა უკმაყოფილონი, ყველა მოწყენილები, ყველა, ვისაც ხან იქ, ხან აქ ეჩვენება რაღაც იდეალური—აქედან რომანის სათაური „მწვანე სახე“. მაგრამ ეს მყუდრო ოცნებისა და სევდის ამსტერდამი გამსჭვალულია საშიშროების წინათგრძნობით.

ყველას მოედო წელში გამხრელი შიში რაღაც მრისხანე ამბების წინაშე. ელოდნენ ქვეყნის დასასრულს, როგორც „მეორედ მონათლულების“ საშინელ დროში. „გიგანტურმა მოჩვენებამ წაიღო თან სიცოცხლენი მილიონობით და დაიძინა შემდეგ ებლა უფსკრულიდან სწვავდა ზევით თავის მედუზის სახეს ყველა ფანტომებზე უსაშინელესი ფანტომი, დიდიხანია უკვე გამოღვიძებული დამპალი, გახრწნილი „კრუ-კულტურის მიერ“—წითელი მოჩვენება. თანდათან მატულობს და იზრდება შიში „მეორედ მონათლულთა საშინელი დროის“ წინაშე მყუდრო ამსტერდამში, ამ უკანასკნელ ციტადელში, რომელიც გიჟივით აფორიაქებულ ინტელიგენტს აუშენებია შეუბრალებელ სინამდვილის წინააღმდეგ და ქარტეხილად იშლება—რომანის დასასრულში,—რომელიც ანადგურებს მთელ ქალაქს, ძველ ქვეყანას, ქარტეხილად, რომლისგანაც რომანის გმირი თავს იხსნის „ახალი“ საკუთარი შეგნებით; ეს შეგნება ხელუხლებლად სტოკებს ამ ქვეყანას და საშუალებას აძლევს მას ააშენოს მასზე სხვა ფანტასტიური მხარე. ჩვენ დავინახეთ ისეთივე კოშმარული, როგორც „ვალპურგიის ღამე“ ობიექტიური სინამდვილისა, რომელსაც ვერსად გაეჭყვევა სულ ამიოდ ამბობებული ტუაღი.

IV

იმ დროს, როდესაც ლიტერატურის ავანსცენა ფუტურისტებსა და ექსპრესიონისტებს ჰქონდათ დაკავებული, უეცრად შვეიცარიის ჩუმ ქალაქიდან პროტესტის ხმა გაისმა:

„კმარა ფუტურისტული აკადემიები, ლაბორატორიები, განყენებულ-გონებრივი ჯახირი“. — „ძირს უსისხლო ექსპრესიონიზმი“.

სცენაზე დადაისტები გამოვიდნენ.

ფუტურისტში იტალიური მოვლენა იყო, ექსპრესიონიზმი—გერმანული პროლუქტი, დადამ არ იცის სამშობლო—იგი ინტერნაციონალურია. ფუტურისტში იდეურად და მორალურად ამხადებდა ომს—ექსპრესიონიზმი უარყოფდა მას პაციფისტურ წინაღუდგომლობის იდეალების გულისათვის, დადაიზმი ომს არ უარყოფს, იგი მხოლოდ დეზერტირია მისი, ის დაიძალა ფრონტის ზურგში, შვეიცარიის პატარა ნეიტრალურ ქალაქში—ციურიხში.

აქ ზარბაზნების გრგვინისა და შრაპნელების ლიწინის ქვეშ—როგორც მიენრიკის „ამსტერდამში“—თავი მოიყარა 1916 წელს ვალტერის კაფეში სხვა და სხვა ეროვნებათა—გერმანელ, რუმინელ, ფრანგ, ამერიკელ—პოეტებისა და მხატვრების ჯგუფმა და დაარსა ახალი სკოლა—სახელწოდებით დადა, რაიც, ყველაზე უფრო სწორი მოსაზრებით, ბავშვის ლულულის მიმსგავსება უნდა იყოს. ციურიხის ყველა ქუჩებში (16 აპრილს) გამოკრული იყო აფიშები, რომ-

ლებიც ეპატივებოდა მცხოვრებლებს საერთაშორისო დადას სენსაციურ საღამოზე, დაპირებული იყო ყველაფერი მუსიკა, ცეკვა, სურათები, კოსტიუმები და, დასასრულ, — მართლაც რომ მზიარულება ყოფილიყო სენსაციური ალიაქოთი პოლიციის ჩარევით.

იქ კი ბრძოლის ველზე მუშურ-გლეხური სისხლი ღვარებად დიოდა.

მაშინ, როდესაც ფუტურისტი ეფერებოდა ბურჟუას, იგონებდა მისთვის „ახალ-ახალ ნამდვილ სიხარულს“, რომ განეკუთნოს იგი „ომისპერმინდელ სნეულებათაგან“, ხოლო ექსპრესიონისტებს კი ქაჯივით ეჯავრება ის და მზად არის რომ მოახრჩოს იგი თავის ხელებით — დადა მხოლოდ ზიზლით უცქერის მას, ზიზლით უცქერის ყველაფერს, რაც კი მას უყვარს, რაც სწამს მას, და ამ თავის ზიზლს მისდამი, მისი კულტურისა და იდეალებისადმი, ის ძალიან ლაზათიანადაც გამოსთქვამს ხოლმე. ერთ-ერთ პირველ დადაისტურ მანიფესტში, რომელსაც სახელად „კანიბალური“ ეწოდება, ბურჟუა მემშანინი, ერთად-ერთ თავის ღვთაების-ფუტურების წინაშე მუცელზე მცოცავი, — ქაჯის საბით კი არ არის დახატული, როგორც გერმანელ ექსპრესიონისტის კორნფელდის მოთხრობაში, არამედ მას პირდაპირ მიკერებულ აქვს ლაკონიური სახელი „მყროლავი“, მაშინ, როდესაც — განაგრძობს მანიფესტი — დადას არაფრის სუნნი არ უდის, ვინაიდან ის არაფერია, არაფერი, არაფერი:

როგორც თქვენი იმედები — არაფერია,
როგორც თქვენი პოლიტიკოსები — არაფერია,
როგორც თქვენი გმირები — არაფერია,
როგორც თქვენი მხატვრები — არაფერია,
როგორც თქვენი სარწმუნოებანი არაფერია.

როდესაც პარიზში 1920 წელს გაისმა ხმები, რომ დადა გერმანული გამოგონებაა — Made in Germany, რომ ეს სახითათო გამოგონება უნდა ძირიანად აღიკვეცოს, მაშინ ერთმა ფრანგმა დადაისტმა პროტესტი განაცხადა ასეთი შოვინისტური ცილისწამებისათვის საერთაშორისო ხასიათის „ხელოვნებაზე“ და სამიტინგო ორატორის პოზით განაგრძო:

„რა თქმა უნდა, მოწყალეო ხელმწიფენო, თუ თქვენ ზიზობთ, რომ ხიფათ ქვეშ არ იქნეს თქვენი ცოლების ზნეობა, თქვენი ბავშვების აღზრდა, თქვენი კუხარკების სულიერი მშვიდობა და თქვენი საყვარლების ერთგულება, თქვენი საღამური ქოთნებისა და არსებული წყობილების სიმტკიცე, თქვენი საპაემანო სახლების არსებობა და სახელმწიფოს კეთილდღეობა, მაშინ თქვენ მართალი ხართ — მაგრამ რა უნდა ვქნათ — თქვენ გაიხრწენით, ხოლო ცეცხლი კი გიზგიზებს“.

მართალია, რა თქმა უნდა, რომ ბურჟუაზია გაიხრწნა, მაგრამ არც თუ დადას ცეცხლი გიზგიზებს, ის ბოლავს მხოლოდ.

დადაისტი — როდესაც იდეალებზე, ესე იგი ბურჟუაზიის იდეალებზე ლაპარაკობს — ყოველთვის „ბუმ, ბუმ“-ს მიაყოლებს თან, მაგრამ ბურჟუაზიის „იდეალების“ ფასი ხომ თვით ცხოვრებამ გამოააშკარავა საკმაო სიცხადით. მაგრამ თვითონ დადაისტიც მხოლოდ ნილილისტია, ცინიკი. იგი თვით პირშშოა ამ

კლასის, პირშო, განადგურებული სულით. როგორც სიკვდილის პირზე მიმდგარ ანტიურ ქვეყნის ფილოსოფოსები, ის აბსოლიუტური სკეპტიკოსია.

„რა არის მშვენიერი? რა არის მახინჯი? — არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი.“ ამიტომ ის თავის თავსაც ირონიით უცქერის. როდესაც სწერს იგი პროგრამა — მანიფესტს, ბოლოში ჩქარობს მიუმატოს: „ამ მანიფესტის წინააღმდეგ წასვლა ნიშნავს ნამდვილ დადაისტობას“. ის იდიოტს ეძახის სხვებს, მაგრამ თავის თავსაც იმგვარადვე უმასპინძლდება. როდესაც დადაისტებმა მოაწყვეს პარიზში პირველი საღამო, ყველა მონაწილენი შეიყარნენ ესტრადაზე და საერთო სიმღერით მიმართეს საზოგადოებას:

— თქვენ ხართ იდიოტები, ჩვენ ვართ იდიოტები, თქვენ ხართ იდიოტები. ერთმა მათგანმა ასეთი აფორიზმიც შესთხა:

„დადა მთელი თავისი ძალღონით მუშაობს იდიოტიზმის გასავრცელებლად და თვითონც იდიოტად აპირებს გადაქცევას“.

მაგრამ ჩვენ უსამართლონი ვიქნებით, თუ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ მათ წმინდათა წმინდა არ გააჩნიათ. ერთი „იდეალი“ აქვთ იმათ. თუ ერთმა მათგანმა იოხუნჯა: „საროსკიპო — ეს ის სახლია, სადაც ადამიანი (ესე იგი დადაისტი) ყველაზე უფრო გრძნობს საკუთარ სახლში თავს“ — ეს მართო სიტყვების თამაში კი არა, ნამდვილი პროგრამა არის, ამას ყველაზე უფრო ნათლად მათი, უკაცრავად პასუხია, პოეზია ამტკიცებს. ერთი პატარა მაგალითი:

წარმოიდგინეთ, ზანგის ქალებს
უკანალი გასვრილი აქვთ ლაფში
და ძუძუები აქვთ ისეთი ფორმის, როგორიც არის მაშა.
მათი სქესი — პატარა ნავებია თეთრი რკინისაგან.
მე რომ მქონდეს თერთმეტი სუ
საროსკიპოში წავიდოდი.

მაგრამ, საერთოდ რომ ითქვას, დადაისტს ფეხებზე ჰკიდია ყველაფერი და — როგორც ამბობს ერთი მათი აფორიზმი — „აფურთხებს კაცობრიობას“.

თუ კი ის ვინმეს აფასებს, ეს მხოლოდ რასპუტინს, „ის იყო დადაისტი და ამასთანავე ნამდვილი“.

და ისე, როგორც დასცინის იგი ბურჟუაზიულ კულტურას, დასცინის აგრეთვე ხელოვნებასაც. თუ როგორ უნდა დაიწეროს დადაისტური პოემა ამაზე პასუხს იძლევა ერთი მათი მანიფესტი: აიღეთ გაზეთი, აიღეთ მაკრატელი, ამოსქერით წერილი, რომლის სიგრძე უნდა იყოს ისეთი, რა სიგრძის პოემაც გინდათ რომ დასწეროთ, ამოსქერით ყოველი ცალკე სიტყვა. ჩაჰყარეთ სულ ტომარაში, შემდეგ ამოიღეთ თითო ნაქერი იმ რიგზე, როგორაც მოგხედებათ ხელში და პოემაც მზად არის. და, რა თქმა უნდა, მხოლოდ როგორც პოეტის „წმინდა“ პროფესიის გაბითურების სურვილი, ისე უნდა გავიგოთ მათი საკუთარი „ლექსები“, აი თუნდა ასეთი:

დათვმა შესჯამა დივანი.
დივანი რომ შესჯამა, გადმოარწყია ძუძუები,
ძუძუებიდან გამოვიდა ძროხა,

ძროხას ეყოლა კატები,
კატამ ააგო კიბე და სხვა.

მაგრამ მათ აქეთ თავისი სპეციალური ჟანრებიც — პლემები, როგორც ამბობენ ისინი, „მაიორიდის და აფრიკის“ ენაზე, ან „კონსერტები ხმოვანი ასოებიდან“ და დასასრულ, „სიმულტანისტური პოემა“ უმთავრესად, ესე იგი პოემა, რომელიც ერთსა და იმავე დროს რამოდენიმე პირის მიერ იკითხება, სხვა და სხვა რითმით და სხვა და სხვა ენაზე — რაღაც ბაბილონის გოდოლის პოეზია.

უცნაურ გაუგებრობას აქვს ხოლმე ცხოვრებაში ადგილი.

დადაისტების მიერ ბურჟუაზიული ხელოვნების გამასხარავებამ თვალები დაუბრმავა გერმანიის ზოგიერთს, კომუნისტთან ახლო მდგომ პოეტებსა და მხატვრებს, და ისინი ხმა მალლა მიესალმენ კაფე ვალტერის ფიგლიარებს, როგორც თავის მოკავშირეებს: დაარსებულ იქმნა გამომცემლობა მალიკი, რომელიც სცემდა გროსის სურათებს „გაბატონებული კლასის სახე“, კომუნისტ იუნგის რომანებს და გიულზენბეკის მიერ შედგენილ დადაისტების ალმანახს.

თუ უკანასკნელები როგორ უცქერიან კომუნისტს, ეს აშკარაა მათ მანიფესტში „რა სურთ დადაისტებს გერმანიაში“. რევოლიუცია რომ მომხდარიყოს გერმანიაში, ისინი მიმართავენ საბჭოთა გერმანიის მთავრობას შემდეგი მოთხოვნილებებით:

1. გადაცემა ყველა ტაძრების სიმულტანისტურ და დადაისტურ ლექსების შესასრულებლად.

2. შემოღება სიმულტანისტური ლექსის კომუნისტურ სახელმწიფოებრივ ლოცვად.

3. კონტროლი საბჭოთა მთავრობის ყველა დადგენილებებზე.

4. დაარსება ყოველ ქალაქში, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 80.000 კაცს აღემატება, დადაისტურ საბჭოსი ცხოვრების არსებული ფორმების გარდასაქმნელად.

მაგრამ მთავარი, რაც იყო ამ მორიდებულ მოთხოვნილებებში, მანიფესტის ავტორთა აზრით, ალბად შემდეგია:

1. საზოგადო, ყოველდღიური (რა იქმა უნდა, უფასო. ვ. ფ.) ნადიმი ყველა შემოქმედი და სულიერად მნიშვნელოვანი პირებისა პოტსდამის მოედანზე ბერლინში.

2. სასწრაფო მოწესრიგება დადაისტურ ყაიდაზე ყველა სქესობრივ დამოკიდებულებისა, სქესის საქმეების მოწყობა დადაისტთა ცენტრალურ კომიტეტის დაარსებით.

რას ნიშნავს ფუტურისტების მეშჩანურად მორიდებული მოთხოვნილებანი ჟურნალ „იმპეროდან“ მუხეუმების დახურვისა და ხელოვნების ქურუმთა სასარგებლოდ გადასახადის შემოღების შესახებ შედარებით ამ საზოგადო ნადიმთან ბერლინის მოედანზე, ცხოვრების ფორმების გარდაქმნელ დადაისტურ საბჭოებთან და ამ დიდებულ ცეკასთან სქესის საქმეების გამო!


აქ არ არის განხილული ომის მერმინდელ პერიოდის ყველა მიმდინარეობანი ევროპის ლიტერატურაში. მიმოხილვა არ შეეხო აგრეთვე ამ ორი მიმდი-

ნარეობის ზოგიერთ წარმომადგენელს. არ არის გაშუქებული მათი ფორმალური მხარეც.

უჩინებელი

და მაინც — რეზიუმეში შესაძლებელია იმ დასკვნის გამოტანა, რომ ლიტერატურულ მიმდინარეობათა უკან — თუ მათ სოციალურ-ფსიქოლოგიური მხრით ავიღებთ — მთელი თავისი სიმაღლით სდგას ომის მერმინდელ პერიოდის ევროპიელ ინტელიგენტის ტრაგიკომედია — კაპიტალისტურ ცივილიზაციის კედელით მიჭყლეტილი, ის შეძლებას მოკლებულია, რომ გაარღვიოს მასში (თუნდა იდეოლოგიურად მაინც) გასაავალი სხვა ახალ ქვეყნებში; დაბნეული და უნიადაგო, — ასეთია ტრაგედია გერმანელ და ავსტრიელ ექსპრესიონისტისა — იგი ათრთოლებული და აფორიაქებული დაძრწის, პატრიარქალურ სოფლის ცხოვრებაზე ოცნებასა და საკუთარი ხელით ბურჟუაზიული ქაჯის დახრჩობის იმედის შორის, პასიური წინაღუდგომლობიდან, რომლითაც სურს მას მოიპოვოს „არა ამქვეყნიური სამეფო“, იგი გადადის საზიზღარ სინამდვილის გადალახვაზე, რომელსაც ის ზედ აღგამს სხვა სინამდვილეს, ოცნებით შექმნილს, მაგრამ იმავე დროს უსინათლოსა და მძიმეს, ან — და აი აქ ტრაგედია კომედიაში გადადის, — ის ჯამბაზურ სიმარდით გადახტება ფუტურიზმის აბსურდულ სიურპრიზ-თეატრებიდან და ტაქტილიურ მოგზაურობიდან დადაისტურ ლოზუნგზე: მივაფურთხოთ კაცობრიობას და ხელოვნებას.

ამგვარ ტრაგიულ ცახცახში და სასაცილო ფარსში, საშინელებასა და გრიმასებს შორის ისრწნება ჩვენი ქვეყანა.





ბ ი ბ ლ ი თ გ რ ა უ ი ა

კ. მარქსი. „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“

კ. მარქსი. „კრიტიკა გოთის პროგრამისა“

კ. მარქსი. „სამუშაო ძირა, ფასი და მოგება“

(ქართული თარგმანები).

მარქსიზმი ქართულ ენაზე საოცნებო საგანი იყო აქამდის. ჩვენ ძველ თაობას ეს იმდენათ არც სჭირდებოდა. მარქსისტულ მწერლობას ის ეცნობოდა რუსულ ენაზე, მოხარდ თაობას კი მხოლოდ ქართულ ენაზე შეუძლია მისი შესწავლა. რუსული ენა აღარ ეადვილება დღევანდელ ახალგაზრდობას და მწუხრვალეთ ეწაფება ის ამიტომ თითოეულ წიგნს რუსულიდან ან სხვა ევროპიულ ენიდან გადმოთარგმნილს.

სახელმწიფო გამომცემლობა აკეთებს ამ მხრივ უდიდეს საქმეს. მისი მიღწევები ისეთია სულ მოკლე ხანში, რომ მარქსიზმი ქართულ ენაზე უკვე სინამდვილეთ არის გადაქცეული.

რა თქმა უნდა, სულ უნაკლულო არ არის ეს მიღწევები, და არც შეიძლება იქნეს. ახალ დაწყებულ საქმეს ჩვენ ვერ მიუდგებით იდეალური მოთხოვნით. ასეთუ მიუდგებით, მაშინ ერთი გადათარგმნილი წიგნიც აღარ გვექნება მარქს. მწერლობაში. — ან სულ უნაკლულო იყოს თარგმანი, ან ნუ გამოვცემთო, — ამნაირი პრინციპით ვერ იხელმძღვანელებს სახელმწიფო გამომცემლობა; შეტადრე, როცა პირველი ნაბიჯი გაქვს ჯერ გადასადგმელი. ერთბაშად ვერ მოერევი. ქართული ენა არ არის ჯერ იმდენათ დამუშავებული, რომ არ უჭირდეს უცხო ენაზე დაწერილის ქართულათ გადმოღება. როცა თარგმანს კითხულობ უნდა გავიწყდებოდეს, რომ ეს თარგმანია, უნდა გეძლეოდეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართულ ენაზე დაწერილი წიგნი გაქვს ხელში. ადვილია ლექსიკონებში ჩახედვა, სიტყვების დაგროვება, მაგრამ ეს იქნება გადმოტანა, перетаскивание, — როგორც გ. პლехანოვი იტყოდა ხოლმე, და ეს არ იქნება გადმოთარგმნა.

თარგმნა არ არის უბრალო მექანიკური მუშაობა, ეს არ გავს ხელოსნობას. მთარგმნელი უნდა ჰქმნიდეს კიდევ, უნდა ახერხებდეს სხვა ენაზე წაკითხულ აზრის ისე გარდაქმნას, რომ ადვილ მისაწლომად ხდიდეს ქართველი მკითხველისთვის ამ აზრს.

შემოქმედებითი ძალა, სამწუხაროდ, არ აჩნია ჯერ-ჯერობით ქართულ ენაზე გადათარგმნილ ხევით დასახელებულ მარქსისტულ წიგნებს, რომელთა ეთნოლოგიური ან თარგმნების, ეჭვი არ შემიძის, რომ ეს მეტიმეტალურ-სინდესიერი მუშაობის ნაყოფია, ატყობ რომ ენების ცოდნა არ აკლია მთარგმნელს, მაგრამ უკმაყოფილო ვრჩები.

აი, მაგალითად, კ. მარქსის წიგნი: — „**სამოქალაქო ომი საფრანგეთში**“. წიგნაკს მიუძღვის ენგელსის წინასიტყვაობა. აქ, სხვათა შორის, არის ასეთი ადგილი:

— „**აქედან წარმოსდგება ცრუმორწმუნეობითი პატივდება სახელმწიფოსადმი და ყოველივე იმისადმი, რასაც კი კავშირი აქვს სახელმწიფოსთან**“. ეს პატივისცემა მთავრობის ძლიერი გახდა, რომ ადამიანები უკვე აკენიდან იმსკვამლებიან იმ რწმენით, რომ თითქო არც საზოგადოებრივი საქმის კარგა წაყვანა და არც საზოგადოების საერთო ინტერესების გამოსარჩლება **სხვანაირად არ შეიძლება, თუ არა ახე, როგორც დღემდე იყო, ე. ი. სახელმწიფოს დახმარებით და მისი კარგათ დაჯილდოებული ჩინოვნიკების მეოხებით**“.

მთელი ეს ადგილი და მეტადრე ჩემ მიერ აქ ხაზგასმული სტრიქონები, გადმოტანილია რუსულიდან და არა გადმოთარგმნილი, ვინდა ქვა გიმტვრევია და ვინდა ამასთან, თარგმანი წაიკითხავს, თუ რუსულში არ ჩაიხედუ, ისე ქართულს ვერ გაიგებ ხეირიანად. ის ახალგაზდა მკითხველი, რომელიც პირველად ეცნობა მარქსისტულ მწერლობას, რასაკვირველია, რუსულს ვერ დაიხმარს ქართულის გასაგებათ.

ან ეს ორიოდ სტრიქონი აიღეთ ამ წიგნის 27-ე გვერდზე:

— **თუ რომ ამ უკანასკნელი კამპანიით რამეა დამტკიცებული, ეს სწორედ ისაა თუ როგორ ადვილად შეიძლება მოხდეს გერმანიიდან საფრანგეთზე თავდასხმა**“. ეს რუსული უფროა, ვიდრე ქართული.

მე მგონია ქართულ ენაზე უკეთესათ გამოვიდოდა ასე:

— **ეს უკანასკნელი კამპანია მხოლოდ იმას ამტკიცებს რომ ძალიან ადვილია გერმანიიდან საფრანგეთზე თავდასხმა**“, ან კიდევ ასე:

„**ამ უკანასკნელი კამპანიით მტკიცდება მხოლოდ ის, რომ სულ ადვილი მოსახდენია გერმანიიდან საფრანგეთზე თავდასხმა**.“

რა საჭიროა ეს **თუ, რამეა, როგორ, სწორეთ ისაა**. მთარგმნელი ცდილობს ერთ ხაზსაც არ გადაუხვიოს სიტყვების წყობაში, ისე გადმოალაგოს, როგორც რუსულად არის და ქართულ ენაზე აზრი ეხვევა ზედმეტი სიტყვების ქერქში.

აი კიდევ 45-ე გვერდზე:

— **ამ საგანზე ბორდოს პალატამ სრული გულახდილობით გამოსთქვა თავისი აზრი და „მემამულეთა პალატის“ დეპუტატთა მძვინვარე ღრიანცელიც, რომ კიდევ არ ყოფილიყო ისე ცხადათ, მაინც ექვს ადგილი აღარ ქონდა იმაში, რომ ტიერი...“ აღიარებდენ რა დაუფარავათ პარიზისთვის იარაღის ართმევის ნამდვილ მნიშვნელობას, ისინი მოითხოვდენ ამას თვით პარიზისგან იმ**

გვარ რაიმეს მომიზეზებით, რაც პირლია და თავხედურ აშკარა სიცრუეს შეიცავდა”.

გაწვალებულია აქ ქართული ენა. რა უჭირდა გადათარგმნილიყო გაუწვალებლად:

... — „მემამულეთა დებუტატებიც რომ ასე საშინლად არ აღორილებულიყვნენ, ეჭვს გარეშე იქნებოდა მაინც“....

— პირდაპირ ამბობდნენ, სულაც არ მალავდნენ, რად სჭირდებოდათ იარაღის აყრა პარიზისთვის და იმნაირი საბაბით მოითხოვდნენ ამას თვით პარიზისგან, რომ ყველასთვის ცხადი იყო მათი უტიფარი, თავგასული სიცრუე“.

ძნელი გასაგებია ქართველ ახალგაზრდობისთვის ეს ადგილები. რუსული უნდა იცოდეს, რომ გაიგოს. თითონ ამ თარგმანს სჭირდება გადათარგმნა, რომ ენა არ აუბორძიკდეს მკითხველს იმის კითხვაზე.

85-ე გვერდზე:

— „ასეთი არ გაგონილი ამბავი იმას კი არ ამტკიცებს, რომ ახალი საზოგადოება, რომელიც ეს არის გზას იკაფავს, საბოლოოთ დამარცხებულია, როგორც ამას ბისმარკი ფიქრობდა...“

...“ და ეს ხრიკიც მართლაც ხელათ ბარდება პატრონს“...

არ გაგონილი ...ერთი რუსის ბავში ქართველ ბავშს ეუბნებოდა: არ კარგი ბიჭი ხარო. ის გამახსენდა ამ „არ გაგონილ-“ზე.“

ქართული ენა ვერ იტანს რუსულის პირდაპირ გადმოტანას. ქართულ ენას არ უხდება ერთ წინადადებაში თავის მოყრა: — რომ, რომელიც, როგორც. მთარგმნელს სჭირდება მეტი გამბედაობა, არ უნდა ეშინოდეს გამოშვება იმისა, რაც ზედმეტია ქართულში. არ უნდა შეეშინდეს არც სიტყვების გადალაგების, ან გრძელი წინადადების მოკლე-მოკლედ დაყოფის.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ შემდეგი გამოცემა ამ თარგმანისა შესწორებული და უფრო უნაკლულო იქნება.

მეორე წიგნაკი კარლ მარქსის: — კრიტიკა გოტის პროგრამისა“... არც ეს არის უნაკლოდ გადათარგმნილი.

მაგალითად 34-ე გვერდზე:

— „ეს არის კანონი ისტორიისა ჩვენ დრომდე, მაშასადამე შრომაზე“ და „საზოგადოებაზე“. ზოგადფრაზების ნაცვლათ საჭირო იყო ნათლათ ჩვენება იმისა, თუ როგორ შეიქმნა თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში საბოლოოდ მატერიალური პირობები, რომლებიც აძლევენ მუშებს საშუალებას და ამავე დროს აიძულებენ მათ თავიდან მოიცილონ ეს საზოგადოებრივი რისხვა“?

ამ გადათარგმნაში სულ არ არის „ნათლათ“ ნაჩვენები, რა მიაჩნია კ. მარქსს „საზოგადოებრივ რისხვათ“. მკვითხველმა უნდა იცოდეს წინ და წინ, რომ კაპიტალისტური საზოგადოება თითონ ქმნის თავის საწინააღმდეგო მატერიალურ პირობებს, მაშინ გაიგებს ამ ადგილს თარგმანში.

მე ვფიქრობ, აჯობებდა:

— ასეთია ისტორიის კანონი, ასე იყო ჩვენ დრომდის. არ არის საჭირო,

ამიტომ ზოგადი ფრაზები „შრომაზე“ და „საზოგადოებაზე“ ნათლად უნდა იყოს ნაჩვენები, ამის მაგივრად ის, თუ როგორ შეიქმნა საბოლოოდ/თითონ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მატერიალური პირობები, ~~ეკონომიკური~~ ხელს უწყობენ და კიდევ აიძულებენ მუშებს თავიდან მოიცილონ ~~საზოგადოებრივი~~ უბედურება — ეს კაპიტალისტური საზოგადოება“.

36 გვერდზე

— „ეს გამოკლებანი“ „შრომის სრული ნაყოფიდან“ წარმოადგენენ ეკონომიურ აუცილებლობას; მათი რაოდენობის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნან **არსებული საშუალებანი** და რამოდენიმეთ ეგებისობის თეორია და არა სამართლიანობა“.

37-ე გვერდზე

— მხოლოდ ახლა, ყველა ამის შემდეგ, ჩვენ მივედით იმ „განაწილებასთან“, რომლითაც **სიბეცის გამო** და ლასალის ზედგავლენით **მარტოოდენ** კმაყოფილდება პროგრამა...

49-ეზე:

— „რაკი ეს ასეა, მას არ უნდა დავიწყებოდა უმთავრესი, სახელდობრ ის, რომ ყველა ამ **მშვენიერების საფუძველი** არის აღიარება ე. წ. ხალხის თვითმპყრობელობისა და, მაშასადამე, ამ **მარგალიტების შესაფერი ადგილი** მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკაა“...

ბევრია თარგმანში ასეთი ადგილები. მთარგმნელი ხშირად ქართულს არუსულებს და მით ქართულ ენაზე გაგებას აძნელებს.

მესამე წიგნაკი კარლ მარქსის: - „**სამუშაო ქირა, ფასი და მოგება**“.

15-ე გვერდზე:

... — ზოგიერთ სასოფლო ოლქში საფაბრიკო ოლქებთან შედარებით ბევრათ მეტი ნაღდი ფული იხმარება **ბევრათ უფრო ნაკლებ ღირებულებათა მასის დასატრიალებლათ**.

20-ზე:

.. — თუ მე ერთი რომელიმე ქვეყნის სხვა და სხვა გვარ საქონელს, ან კიდევ სხვა და სხვა ქვეყნის საქონელს **შევადარებ, დაინახავდით**, რომ რამდენიმე უფრო **მოჩვენებული**, ვიდრე ნამდვილი შემთხვევის გამოკლებით...

... — რომ ერთს შემთხვევაში შრომის მაღალი ფასი, ხოლო მეორეში დაბალი, **ამ დიამეტრულათ საწინაღმდეგო რეზულტატების მიზეზები** არიან“...

25-ზე:

— „მე ვფიქრობ, რომ ბევრი თქვენგანი მკითხავს: არსებობს თუ არა ნამდვილად ასეთი დიდი ან საზოგადოთ რაიმე განსხვავება საქონლის ღირებულების განსაზღვრისა **სამუშაო ქირით** და მის განსაზღვრის **საწარმოებლად** დაბარჯული შრომის შედარებით რაოდენობის მიხედვით?“

35-ზე:

— ზედმეტი ღირებულების დონე დანარჩენ თანასწორ პირობებში დამოკიდებულია **სამუშაო დღის იმ ნაწილის ურთიერთობაზე**, რომელიც **სამუშაო**

ძალის ღირებულების აღდგენას სჭირია და კარბი ანუ ზედმეტი დროის შორის რომელიც კაპიტალისტების სასარგებლოთ მიდის“.

გამონაკლისის სახით არ მომყავს ეს ნიშნები. ყოველგვარად უფრო ცვლაზე იპოვნით ამისთანებს. მთარგმნელი ცდილობს სავსებით დასტავას მსბჭის ენა, მაგრამ ქართულზე ისე გამოუდის რომ, თუ მკითხველს გვერდით არ მოუჯინე ცალკე ხელმძღვანელი თვითიული სტრიქონის ასახსნელად, მკითხველს გაუჭირდება გაგება, სულაც ვერ გაიგებს.

მთარგმნელმა უნდა იცოდეს, რომ თარგმნა უფრო ძნელია, ვიდრე ორიგინალურის წერა, და ამ სიძნელეს ვერ მოეყრევა, თუ სხვათაშორის მოეკიდა ხოლმე თავის საქმეს.

ს. ლევდარიანი

3. ლენინი — ნაციონალური საკითხი

ჩვენ ძალიან გვესაჭიროება წიგნები ნაციონალურ საკითხის შესახებ, ვინაიდან გვიხდება მუშაობა, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა, ისეთ წრესა და პირობებში, სადაც ნაციონალურ მემენტს მცხოვრებთა ეროვნულ შემადგენლობისა და ურთიერთ დამოკიდებულების გამო უდიდესი მნიშვნელობა აქვს ყოველღიორ მუშაობაში. ეს ყველასათვის ნაფელი და ცხადი უნდა იყოს.

კიდევ უფრო მეტად გვესაჭიროება ჩვენ აღნიშნულ საკითხის შესასწავლათ ისეთი წიგნების გამოცემა, სადაც თავიდან ბოლომდე გატარებული იქნება ქეშმარიტ რევოლიუციონურ მარქსისტულის ხაზი. ასეთი კი სწორეთ ეს ზემოდ დასახელებული, ქართულ ენაზე ახლად გამოცემული წიგნია.

მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, მას აქვს ნაკლებეანება, რომელიც პირდაპირ შეუწყნარებელია. ეს არის თარგმანის უვარგისობა. მართალია, ამ მხრით სბვა წიგნებიც არ ჩამოუვარდება მას, მაგრამ ნ. ლენინის წიგნს ამ მხრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა. სანიმუშოთ საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ადგილი: „პროექტი:“ ფინლიანდიის შესახებ კანონებისა და საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის დადგენილებათა გამოცემის წესის თაობაზე.“ (გვ. 9) მე მგონია, ბევრი ამ ადგილს ვერ გაიგებს ისე, როგორც ეს ნათქვამია რუსულ დედანში. იქ სწერია: „Проект о порядке издания касающихся Финляндии законов и постановлений общегосударственного значения“ როგორც სჩანს სიტყვები „касающихся Финляндии“ გადაუთარგ-

მნიათ „ფინლიანდიის შესახები“-თ და არა ასე: „რომლებიც შეეხება ფინლიანდიას“. რათა? რისთვის? ყოველ შემთხვევაში არა იმისათვის, რომ ნ. ლენინის ნაწერი უფრო ადვილად გასაგები იქნეს.

ან და მეორე შემდეგი ადგილი: „აქ საქმე გვაქვს სტოლიპინის კანონ-პროექტთან იმის შესახებ, რომ“ და სხვ. (გვ. 9) რუსულად-კი ეს ადგილი ასეა: „Речь идет в законопроекте Столыпина о том, чтобы“ და სხვ. ქართულად ეს ადგილი ასე გამოითქმებოდა: „სტოლიპინის კანონ-პროექტში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ“ და სხვ. ასეთი ადგილები კი მრავალია. რას უნდა მიუწეროს ასეთი არასერიოზული მოპყრობა ისეთი წიგნისადმი, როგორიცაა ნ. ლენინის ეს წიგნი? განა ეს მარტო დაუდევრობაა? არა, აქ დაუდევრობაზე მეტია და ამას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოელოს. ეს ქართველი მკითხველის აბუჩათ აგდებაა. ეს წიგნი ხომ უბრალო პატარა ბროშურა არაა, რომ „დაუდევრობა“ დაუშვათ.

მაგრამ გამოვასწოროთ მომავალში მაინც ასეთი შეცდომები.

როგორც ვიცით გადაწყვეტილია ქართულ ენაზე ნ. ლენინის თხზულებათა სრული კრებულების გამოცემა და ძალიან დიდი უბედურობა იქნება, თუ დანარჩენ წიგნებსაც თარგმანისა და ენის მხრივ ასეთი ბედი ეწვევა. საჭიროა ამიტომ ახლავე იქნეს ამისათვის საჭირო ხომები მიღებული.

კ. კომუნძე



პ რ ო ფ. გ. ნ. გ ე ხ ტ მ ა ნ ი

საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის საზოგადოება

გამოცემა ამიერ-კავკასიის წიგნის კოპერატიული ამხანაგობისა. ტფილისი 1924 წ. 143 გვ. (რუსულ ენაზე).

ზემოდ დასახელებულ წიგნში ავტორი საქართველოს ეკონომიურ-გეოგრაფიულ მიმოხილვას იძლევა. აჩერებს მკითხველის ყურადღებას უმთავრესად სოფლის მეურნეობაზე, რომელიც საქართველოში მეურნეობის გაბატონებულ დარგს წარმოადგენს. მასალა დალაგებულია ეკონომიურ-გეოგრაფიულ პრინციპების მიხედვით, რითაც სტოვებს მთლიან შთაბეჭდილებას საქართველოს ეკონომიურ ვითარებაზე. გაწეპებულია საქართველოს მეურნეობის ყოველი დარგი და ყოველი ეკონომიური შესაძლებლობა, რომლითაც ასუ მდიდარია ჩვენი ქვეყანა. საქართველოში ყოველ ფეხის გადადგმაზე უბუდებით ათასგვარ მადნეულობას, სამკურნალო, სასმელ თუ საბანაო წყლებს, ააყვე ძლიერ წყლის ენერჯიას (თეთრი ნახშირი), თვალუწვდენელ მდიდარ ტყეებს, სუფთა ჰაერით, ნიადაგის იშვიათი ნოყიერებით დაჯილდოვებულს. მეორეს მხრივ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა მრეწველობის დაბალ საფეხურზე დგას. იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ წიგნში აღნიშნული შესაძლებლობანი ახლო მომავალში განხორციელებას მიეცემიან. პატივცემული ავტორი წარმოების ორგანიზაციულ მხარეს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ასევე ითქმის მიწისფლობელობის შესახებ. მიწისფლობელობის ფორმები საქართველოში არსებულნი ამ მოკლე წარსულში არ არის ვრცლად დახასიათებული. რაც შეეხება უკანასკნელ მიწის რადიკალურ რეფორმას, საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებულს — მოხსენებულია, მაგრამ აღწერილია დეკრეტი, ისიც ძველი (№ 17 თარიღით 18 დეკ. 22). და არა ის, თუ სინამდვილეში როგორ გატარდა რეფორმა და რა ეკონომიურ ხასიათის შედეგები

გამოიწვია, ან რა დიდი მნიშვნელობისაა იგი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

დასახელებული წიგნი საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიის შედგენის მეორე ცდაა იმავე ავტორის მიერ. მისი პირველი შრომა „მოკლე ეკონომიური გეოგრაფია საქართველოსი, ადურბეიჯანის და სომხეთის“ ცეკავშირის გამოცემა. აქ ავტორი შედარებით ვრცლად იხილავს საქართველოს, მაგრამ უკანასკნელი შრომა ამ წიგნთან შედარებით გაცილებით წინ სდგას, რადგან უკანასკნელ საგანში, როგორც თვით ავტორი აღნიშნავს წინასიტყვაობაში, შეცვლილია დალაგება. თუ პირველ შრომაში საქართველო სამ ნაწილად იყო გაყოფილი დასავლეთ საქართველო, აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო ცალ-ცალკე გარკვეული და დახასიათებული, აქ ამ დაყოფას არ აქვს ადგილი, არამედ ყოველი დარგი სამეურნეო საქმიანობისა გაშუქებულია მთელ ტერიტორიის სივრცეზე.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პირველ შრომასთან შედარებით, უკანასკნელი მეტად ვრცელია. ავტორი უშუალოდ მეტ საკითხს არკვევს და მასთან სარგებლობს ახალ სტატისტიკურ ცნობებით. პროფ. გენტმანი, რომელიც ერთად ერთი ეკონომი-გეოგრაფიული მკვლევარია საქართველოში, იჩენს კომპეტენციას სხვადასხვა სპეციალურ საკითხებში, რომელთანაც უბდება საქმის დაჭერა სოფლის მეურნეობის და მრეწველობის დახასიათების დროს.

„საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიას“ დადებითად უნდა ჩავთვალოთ ის გარემოება, რომ საქართველოს ეკონომიურ სინამდვილის გამოძნატველ ციფრებს დაპირდაპირებული აქვს შედარებითი ცნობები სხვა ევროპის სახელმწიფოებისა, რაც მშრალ ციფრებს მეტ ღირებულებას და მნიშვნელობას აძლევს.

ი. მ.

„რევოლიუციის მატრიანე“ № 1 (6) 1924

პარტიის ისტორიული ჟურნალი

ერთად ერთი ჟურნალი ქართულ ენაზე, რომელიც რევოლიუციურად გამოდის და მტკიცე საფუძველზეა დამდგარი, ეს არის ისტორიული ჟურნალი: „რევოლიუციის მატრიანე“. ის მეტად შინაარსიანია და დიდძალ მასალებს იძლევა ჩვენი

პარტიისა და საზოგადოთ რევოლიუციის ისტორიისთვის. განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი ნომერი (№ 16).

დიდი ადგილი აქვს ამ ნომერში დათმობილი ლენინის ხსოვნას, აქ მოთავსებულია წერილები



ილიჩის ხსოვნისათვის შემდეგი ამხანაგების: 1. თალაკვაძე, ლ. ტროცკი, სტალინი, მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ლ. დუმბაძე და ს. ალილევების, შემდეგ მიდის პირველი განყოფილება, რომელიც ეხება ისტორიულ წერილებს. აქ მოთავსებულია ორი წერილი: 1) რ. კალაძისა და 2) პ. გელდი-შვილის. პირველის წერილი ეხება მუწათა ქართულ ჟურნალ-გაზეთების ისტორიას, მეორე — ეგნატე ინგოროყვას (ნანოშვილის) ბიოგრაფიას. საქართველოში ალიჩის, რომ ამხ. რ. კალაძე, რომელმაც დაიწყო თავისი წერილების ბეჭდვა და სახელებზე საკითხზე ჟურნალის თითქმის პირველ ნომრიდან, ბევრ რამეებში სცდებოდა. სოციალურ ფაქტებს ვერ გამოგვეცხმის ისტორიულ სინამდვილის მიხედვით. ამის შესახებ თვით რედაქციამ დაპირაკობს და სთხოვს დაინტერესებულ პირთ გამოსთქვან თავიანთი აზრი ჟურნალის ფურცლებზე. მომავალ ნომერში ალბათ უკვე იქნება მოთავსებული სხვა ამხანაგების აზრი აღძრულ საკითხზე.

მეორე განყოფილებას ეწოდება პირველი რევოლუციის ხანა (1905 წ.), აქ მოთავსებულია მასალები 1905 წ. რევოლუციონური მოძრაობის შესახებ.

შემდეგი მესამე განყოფილება შეიცავს მთელ რიგ ძველი ამხანაგების პირად მოგონებებს (გ. ჩხეიძე, კ. ცინცაძე, ს. თოდროია, თ. კალანდაძე, ლ. მიროტაძე, პ. ცინცაძე, დ. რუხაძე), რომლებიც წარმოადგენს ნედლ მასალას ჩვენი ქვეყნის

რევოლუციონური მოძრაობის ისტორიისათვის. არის ჟურნალში ავტობიოგრაფიაც (მიხა ჩოდრონიწილი: ჩემი თავის შესახებ). მაიდანაც ეცნობით ძველ მებრძოლებს, რომლებმაც თავი დასდეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა მეხუთე განყოფილება (რევოლუციის მხვერპლნი), სადაც მოთავსებულია ცნობები რევოლუციონურ ბრძოლაში დაღუპულ ძველ მებრძოლების შესახებ, რომლებიც ბევრს შეიძლება, დავიწყებულიც ყავდათ და ახლა ხელახლა უდგებათ თვალ წინ.

შემდეგ მიდის მეექვსე განყოფილება (პარტიული არქივი). მეშვიდე — საქართველოს რევოლუციის მუხეუმი (ქრონიკა), მერვე — რუსეთის პარტიის ცხოვრება და ბოლოს მეცხრე — ბიბლიოგრაფიები ისეთ წიგნებსა და ჟურნალებზე, რომლებიც შეეხება პარტიისა და რევოლუციის ისტორიას.

აღსანიშნავია კიდევ ისიც, რომ ჟურნალში მოთავსებულია ფოტოგრაფიული სარათები მთელ რიგ რევოლუციონურ მებრძოლებისა, რომლებსაც უმეტესობა დახოცილია ბრძოლაში.

საერთოდ ჟურნალი ძალიან მდიდარი შინაარსისაა და საყურადღებო მასალებია შიგ წევრდგვილი. მგონი, ერთი წელიწადია მხოლოდ, რაც ეს ჟურნალი არსებობს და დღეს, შეიძლება ითქვას, რამდენათაც მოსახერხებელია დღევანდელ პირობებში, საერთოდ უკვე დგას თავის სიმართლეს.

კ—ე.

ჟურნალი „მომავალი“ და „ახალგაზრდა ლენინელი“:
ს. ა. კ. კავშირის ცეკას ორგანო მ-18, 19, 20, 21 №№

მესამე წელია, რაც გამოდის ყოველთვიური ჟურნალი ახ. კავშირის ორგანო „მომავალი“. ჟურნალის არც ერთი ნომერი არ გამოსულა რომ შინაარსის მხრივ საკმაოდ მდიდარი არ ყოფილიყო.

ჟურნალში იბეჭდება მრავალი საყურადღებო წერილები პოლიტიკიდან ლიტერატურიდან და ფილოსოფიიდან. ჟურნალს ეტყობა ყოველმხრივი ბეჯითი და ენერგიული ხელი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ, ვისაც მარქსისტული მსოფლმხედველობა აინტერესებს და მის შესწავლას ჰფიქრობს, ამ ჟურნალში საკმაო მასალას იპოვნის. მ-18 ნომერი — „მომავლის“ — საინტერესო გამოცემას წარმოადგენს, რისთვისაც მიძღვნილია თითქმის მთელი ნომრის შინაარსი პირველი ნაწილი ჟურნალის ლიტერატურულ განყოფილებას შეიცავს, სადაც მოთავსებულია

ახ. კ. კავშირის შესახებ მოგონებანი და მრავალი ლექსები ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებისა. საზოგადოთ, უნდა ითქვას, რომ ჟურნალის ერთი თანამშრომელი ა. მაშაშვილი ახალგაზრდა პროლეტარული პოეტი — ნიკიერ ლექსებს სწერს?

ჟურნალში მოთავსებულია თარგმანი მეტად საინტერესო და პრინციპიალურ ხასიათის წერილებისა ამხ. ლ. ტროცკის. — „**Пролетарская культура и пролетарское искусство**“. მისი ქართულად გადათარგმნა მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ვისაც ხელოვნების საკითხები აინტერესებს, მან არა მარტო უნდა წაიკითხოს ეს წერილები, არამედ საფუძვლიანად შეისწავლოს. პ. ქიქოძის ეკუთვნის „დადაიხში“, — რომელიც გაგრძელებას წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია წე-

რილი ამხ.—„კოსოლის“. რამდენიმე ხანია რაც ამხ. „კოსოლი“ თანამშრომლობს ამ ჟურნალში. ჟურნალში მოთავსებული ფილოსოფიური განყოფილება მისი თანამშრომლობის შემდეგ საკმაოდ გაიზარდა. ამხ. კოსოლმა მოათავსა ამ ჟურნალის რამდენიმე ნომერში ვრცელი წერილები—„ფილოსოფიურ პრობლემათა ფენომენოლოგია“—წერილები საკმაოდ ფილოსოფიურ ერთეულებით არიან დაწერილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ორი წერილი ჰეგელის ფილოსოფიის შესახებ და № 18 მოთავსებული წერილი —„კარლ მარქსი“. უკანასკნელი წერილი რედაქციის მიერ სადისკუსიოთ არის გამოცხადებული. ჩვენის აზრით, წერილს აუცილებლად უნდა გამოეხმაურონ მარქსისტულ ფილოსოფიის მკვლევარნი. ეს მით უფრო რომ ისეთი შეფასება მარქსის ფილოსოფიურ საქმიანობის, რომელიც ამხ. კოსოლმა მოგვცა—ჯერ-ჯერობით არავის წამოუყენებია. წერილი სრულიად ახალ ნიჟარებზე აყენებს მარქსის ფილოსოფიურ დამსაბურვებას, მათ წინააღმდეგ, ვინც კ. მარქსის ფილოსოფიურ შემოქმედების ღირებულებას, როგორც ამხ. კოსოლი აღნიშნავს, იმაში ხედავენ რომ გამთარგვლიან ვისი მოწაფე იყო კ. მარქსი: ლამეტრის, კანტის, თუ სხვა, და მით უნდოდან შეფასებით მარქსის ფილოსოფიური ღირებულება. ამხ. კოსოლის აზრით, საჭიროა თვით კ. მარქსის მოძღვრების არსებითი შესწავლა, რომ მოძღვრებაში გამოინახოს ის მნიშვნელოვანი, რაც კ. მარქსს, როგორც ფილოსოფოსს ახასიათებს. ამხ. კოსოლი თავის წერილში ამბობს: „მარქსიზმის თეორეტიკოსებს ყურადღება არ მიუქცევიათ იმ უმაღლეს ფილოსოფიურ გარემოებისათვის, რაც პირველად მართლაც აღმოჩენილ იქმნა მარქსის მიერ. ეს არის კანონის სრულიად ახალი ტიპის აღმოჩენა. მარქსმა აღმოაჩინა, თუმცა ობიექტიური, მაგრამ რელატიური გავლენის კანონი. რელატიური კანონის აღმოჩენა არის მარქსიზმის დიდი ფილოსოფიური დამსაბურვება“. აქედან ამხ. კოსოლი არკვევს მარქსიზმის კავშირს იმ მნიშვნელოვან მოვლენასთან თანამედროვე ფიზიკომათემატიკურ მეცნიერებისა, რომელსაც—„რელატივობის თეორია“— ეწოდება და რომლის შემქმნელი აინშტაინი არის, როგორც აღვნიშნეთ, წერილი მარქსიზმის სრულიად ახალი გაგების ნიშნულია.

მკითხველმა არ იცის თუ როგორ უყურებს ავტორი დღემდის არსებულ გაგებას მარქსიზმის ფილოსოფიისას, მაგრამ, ცხადია, თუ (როგორც

კოსოლი აღნიშნავს) „ჰეგელის შემდეგ მარქსი უდიდესი ფილოსოფოსი იყო მე-19 საუკუნისა“, —და მისი ფილოსოფიის შესახებ გამოიბატა, რომ მან აღმოაჩინა სრულიად ახალი ტიპის კანონი სოციალურ ცხოვრებაში, დღემდის არსებული გაგება მარქსის ფილოსოფიური საქმისა მას არ მიაჩნია ჰეგელი და არსებით გაგებად. ეს ძირიანად შეტრიალეაა მარქსის ფილოსოფიის გაგების, ახალი, ნათლად გარკვეული. ჩვენის აზრით, მარქსის ფილოსოფიურ საფუძვლებს გარკვევისათვის ეს წერილი შესანიშნავი წერილია, მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობანი კოსოლის წერილშიც მოიპოვება.

თუ ამხ. კოსოლს უნდოდა მარქსის ფილოსოფიური საქმიანობა დაესაბუთებია, მას უნდა გადაეშალა ჩვენთვის მარქსის ნააზრევი ბუნებისათვის კანონისა, რაც მარქსს უეჭველად აქვს. ეს ჩვენ კოსოლმა არ მოგვცა. აქედან ყოველ შემთხვევაში ორი რამ გამოდინარეობს: 1. ამხ. კოსოლმა მარქსი მოათავსა მე-19 საუკუნის დიდ ფილოსოფოსთა შორის და წერილის ბოლოში კი მიიღო არა ფილოსოფოსი მარქსი, არამედ მარქსი მეცნიერი. კოსოლი კიდევაც ამბობს „მარქსიზმი მეცნიერებაა, ფილოსოფია მისი მომავალი საქმეა.“—ამ წინააღმდეგობასაც რომ თავი დავანებოთ, ისიც უნდა ვთქვათ რომ მარქსს გარკვეული, სრულიად ნათელი ფილოსოფია ჰქონდა და მარქსიზმს, როგორც მსოფლმხედველობას თავისი გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობაც აქვს. ეს იმითაც აიხსნება, რომ ამხ. კოსოლი გაურკვეველად ხმარობს ცნებებს, ფილოსოფიას, მეცნიერებას და სხვ. მაგ. ფილოსოფია ხან მეთოდოლოგიაა და ხან მსოფლმხედველობა, ხან გრძობა კანონის შესახებ. ამიტომ ძალაში რჩება ყველა ის მოსაზრებანი, რომელიც დღემდის მარქსის ფილოსოფიურ შემოქმედებაზე დაწერილია.

არსებითად კი უნდა ითქვას, რომ წერილი პრინციპიალური ხასიათის არის და ამდენადვე ღირებულების მქონე.

შემდეგი № 19 „მომავლის“ შესანიშნავია, როგორც ლიტერატურულ ისე მეცნიერულ-ფილოსოფიური განყოფილებანი. ჟურნალში მოთავსებულია ამხ. კოსოლის საკასუხოდ დაწერილი წერილი ამხ. შ. დუდუჩავასი. ამხ. შ. დუდუჩავას წერილები დაიბეჭდა „მომავლის“ 19, 20 და „ახალგაზრდა ლენინელი“—(21) ნომერებში. პირველი წერილი დიალექტიკის საფუძვლებს ებუბა და არკვევს დიალექტიკის უნივერსალურ მნიშვნე-

ლობას, როგორც ჰეგელის აგრეთვე მარქსის ფილოსოფიაში ამხ შ. დუდუჩაევს მრავალი წერილები აქვს მოთავსებული მარქსიზმის ფილოსოფიის შესახებ.

ეტყობა რომ ამხ. შ. დუდუჩაევა კარგად იცნობს ტრადიციულ გაგებას მარქსიზმის ფილოსოფიისას. მეორე და მესამე წერილი კრიტიკაა კოსოლის მიერ გამოთქმულ მოსაზრებისა. ამხ. შ. დუდუჩაევს წერილებს მომეტებულიად პოლემიკური ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მარქსიზმის ფილოსოფიის შესახებ ცოტა რამ არის გამოთქმული წერილებში და უმთავრესად წერილებს მიზნად აქვს წინააღმდეგობები აღმოაჩინოს ამხ. კოსოლის წერილებში.

პირველი წინააღმდეგობა, რომელშიდაც ჩავარდა კოსოლი, ამხ. შ. დუდუჩაევს აზრით, იმაში მდგომარეობს რომ „კოსოლმა“—აღმოაჩინა მარქსიზმში რელატიური კანონი. რელატიური კანონი კანონის უარყოფაა, ე. ი. უკანონობის დაკანონება. მეორე წინააღმდეგობა: ის რომ რელატიურმა კანონმა ბოლოს და ბოლოს აბსოლიუტურ კანონის სახე მიიღო.

უკანასკნელ წერილში ამხ. დუდუჩაევა (ახ. ლენინელი № 1 (21) დაასკვნის, რომ კოსოლი მიდის ლეთის იდეის აღმოჩენამდის და „კანონიკამ“ გავლენის დროსა და სიერციის უარყოფით გაანადგურა „კანონი“ და მოსპო ყოველგვარი განვითარება. დროს და სიერციის პრობლემაში მან ყურადღება არ მიაქცია ამ პრობლემის მთავარ საარსებო მომენტს, რის პრობლემაც ვერც დააყენა და ვერც გადაჭრა, ხოლო ლეთის წინაშე დადგომის შესაძლებლობა კვლავ გაჩნდა. რელატიური კანონის აღმოჩენა მარქსიზმში არის მარქსის იდეალისტური გაგება და უარყოფა მარქსის, პლეხანოვის და ლენინის მარქსიზმის.

აუღნიშნოთ ზოგიერთი მოსაზრებები ამხ. შ. დუდუჩაევს წერილების შესახებ. უდავო დებულებაა დიალექტიკის უდიდესი მნიშვნელობა, როგორც ჰეგელის, აგრეთვე მარქსის სისტემაში, მაგრამ ამოწურულად არ შეიძლება ჩაითვალოს საკითხი—თუ რა განსხვავებაა ჰეგელის და მარქსის დიალექტიკაში. მარტო იმით რომ ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკას მარქსმა მატერიალისტური ხასიათი მისცა—საკითხს არსებითად ვერ არკვევს, გარდა იმისა მარტო ასეთი განსხვავება საკმარისი არ არის და მათ შორის უფრო ღრმა განსხვავებაა, რას ნიშნავს მატერიალისტური ხასიათის მიცემა? დასაბუთება უფრო საფუძვლიანი არის საჭირო. კანონის შესახებაც მხო-

ლოდ ნაწილობრივ ფორმულებს იძლევა ამხ. დუდუჩაევა. კანონი A და B შუა დამოკიდებულება არისო. რას ნიშნავს ეს ამხ. შ. დუდუჩაევს სრულებით არ აქვს აღნიშნული განსხვავება კანონსა და მასში განხორციელებულ შინაარსს შორის, რაც მისი აზრების გაგებას მეტისმეტად ხელს უშლის.

შ. დუდუჩაევა ამბობს: „სამყარო აბსოლიუტურია არსებობის მხრივ“—ეს კანონი არის თუ არა—შევეკითხოთ ამხ. დუდუჩაევს ან საერთოდ შეიძლება თუ არა მსოფლიოზე, როგორც მთლიან ერთეულზე რაიმე აზრი გამოვთქვათ თუ ამხ. დუდუჩაევა ფიქრობს, რომ კანონ A და B შუა გარკვეული დამოკიდებულების განხორციელებაა—მაშინ მსოფლიოზე, როგორც მთლიანობაზე,—ერთეულზე გამოთქმული კანონი ხომ ორ მომენტს გულისხმობს (როგორც საზოგადოდ აღნიშნავს ამას ამხ. დუდუჩაევა. დ. გ.) მსოფლიო არის A, მაგრამ მისი საკორელაციო მომენტი B სად არის? ან უნდა აღმოჩენილ იქნას მეორე მომენტი, თუ რაიმე კანონის თქმა შეიძლება მსოფლიოზე, როგორც ერთეულზე, ან და თუ არა მსოფლიოზე, როგორც მთლიანობაზე რაიმე აზრის გამოთქმა შეუძლებლად მივიჩნით. შ. დუდუჩაევა ფიქრობს რომ შეიძლება მსოფლიოზე როგორც ერთ მთლიანზე ლაპარაკი. მაშინ უნდა მოგვინახოს საკორელაციო მომენტი, და ჩვენ ვშიშობთ რომ ამხ. შ. დუდუჩაევს თავის კანონიკაში უფრო ბრწყინვალე ღმერთი არ აღმოაჩნდეს, ვიდრე ეს მოუვიდა ამხ. კოსოლს. ამერიკად ამხ. დუდუჩაევამ არ მოგვცა კანტის სწორი განმარტება—ანუ უკეთ, მან მოგვცა მხოლოდ ნაწილობრივი განმარტება. ერთი რამ კიდევ: საიდან სჩანს, რომ კანონი დროსა და სიერციის გარეშე იდგეს და ის უეჭველად აბსოლიუტური იყოს, როგორც ამას უსაყვედურებს ამხ. შ. დუდუჩაევა კოსოლს. ესეც იმის ბრალია, რომ კანონის სწორი და ჭეშმარიტი განმარტება უფრო სხვაგვარია, ვიდრე ეს მოგვცა ამხ. შ. დუდუჩაევამ.

„მომავლის“ მე-20 ნომერი „ლენინის“—ხსოვნას ეკუთვნის. შინაარსის სიმდიდრე-გარგად დაბეჭდილი, მსხვილ ტანიანი ქურნალი მშვენიერია. ქურნალში მოთავსებულია ლ. ტროცკის უკვდავი წერილი ლენინის საკვდილის გამო დაწერილი ქ. ტფილისის სადგურზე. მოთავსებულია წერილები: ნ. ბუხარინის, ფ. მახარაძის, პრეობრაჟენსკის, ლენინის ბიოგრაფია და სხვა. კარგი არის მარქსისტის „შენგლეჯის მოძღვრება“. კარგი იქნება მისი ცალკე წიგნაკად გამოცემა.

თანახმად კავშირის ც-კ. დადგენილებისა „მომავლის“ სახელი შეცვლილია „ახალგაზრდა ლენინელად“. ყველა დადებითი მხარეები „მომავლის“ შენახული აქვს „ახალგაზ. ლენინელს“ ერთი გარემოება პრინციპიალური ხასიათის ანსხვავებს „მომავლისაგან“. ეს არის მიზნად დასახვა „ახალგაზრდა ლენინელის“ მიერ ლენინიზმის შესწავლის. მიზანი მეტის-მეტად სიმპატიური და დადებითია, მხოლოდ ფრიად ძნელი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ახალგ. ლენინელი“—თავის დასახულ მიზანს შეასრულებს. რედაქცია ვრცელ წერილს უძღვნის ამ საქმეს. სრულიად

სამართლიანად აღნიშნავს რედაქცია, რომ ლენინიზმი ეს „პრაქტიკულ გენიალობით გამდიდრებული მარქსიზმი“

ლიტვინოვის წებქვა-ქაქვა (ლენინელი) „მეცნიერი“ — ძალიან კარგი წერილია. ამავე ნომერში მოთავსებული არის — ა. ლენინარსკის — ვლ. ილიას-ზე ლენინი. ლიტერატურულ განყოფილებაში თქვენ შეხვედებით მამაშვილს, ეწერელს და სხ. დაატამბულია ლ. ტროცკის წერილი „ფუნტურიზმი“

დ. ბ.

კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი

შარშან ქართულ ენაზე გამოვიდა კ. მარქსის და ფ. ენგელსის კომუნისტური მანიფესტი ამხ. დ. რიაზანოვის კომენტარებით. ეს წიგნი საინტერესო და საყურადღებოა უმთავრესად იმ წინასიტყვაობებით, კომენტარებით და დამატებებით, რომლებიც დართული აქვს მას, ვინაიდან თვითონ მანიფესტის ტექსტი არა ერთხელ გამოცემულა ცალკე წიგნაკათ ქართულ ენაზე, და ის ამ მხრივ უკვე კარგი ხანია დაფასებული იყო ჩვენს ეურნალ-გაზეთებში. ბიბლიოგრაფიაც იყო მასზე მოთავსებული. საუბედუროდ, მასში მოთავსებულ თვით მანიფესტის ტექსტის შესახებ ხმა არ ყოფილა ამოღებული. ჩვენ კი აქ გვსურს აღვნიშნოთ სწორეთ ეს მხარე და მისი ნაკლი.

ამ „მანიფესტის“ წინასიტყვაობაში ამხ. ფილიპე მახარაძე სწერს: „მანიფესტის“ ახლანდელ ჩვენს, როცხვით მესამე გამოცემის, საფუძვლათ უდევს ამხ. ტოროშელიძის თარგმანი, რომელიც კიდევ განმეორებით იქნა შემოწმებული დედანთან და ალაგ-ალაგ შესწორებულიც სტილის მხრივ“. (გვერ. 9). დასაბელებულ ტექსტის ამხ. ტოროშელიძის ნათარგმნთანა და გერმანულ ტექსტთან შედარების შემდეგ საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო შემდეგი: ამხ. ფ. მახარაძე აქ ვილაცას შეცდომაში შეუყვანია, ვინაიდან ამ „მანიფესტის“ ტექსტს ამხ. ტოროშელიძის თარგმანთან არაფერი საერთო არ აქვს, პირიქით, ის ნათარგმნია რუსულიდან კორექტურულ შეცდომებითაც კი და სრულებით არაა სახეში მიღებული გერმანული ტექსტი. მაგალითად, რუსულ თარგმანში (რიაზანოვის რედაქციით) შეცდომით შენიშნა „მანიფესტის“ დასაწყისში სულ სხვა ად-

გილას აქვს გაკეთებული, ვიდრე გერმანულ ორიგინალში; ქართულშიაც ეს შეცდომა განმეორებულია. მაგრამ ეს არაა დიდათ საყურადღებო. მოვიყვანოთ სხვა ადგილები. ახლად გამოცემულ ქართულ თარგმანში სწერია: „დამჩაგვრელი და დაჩაგვრული მუდამ ერთმანეთის მტრობაში იყვნენ“. რუსულში: „находились в постоянной вражде друг с другом“. როგორც ხედავთ, ეს პირდაპირ რუსულიდანაა ნათარგმნი. ამხ. ტოროშელიძის თარგმანი ასეთია: „მუდმივ წინააღმდეგობაში უდგენ ერთმანეთს“. გერმანულ ტექსტში ნათქვამია: *Standen in stetem gegensatz* (წინააღმდეგობაში) „zu einander“. ამგარაა აქ არაფერ შუაშია სტილის გასწორება. შემდეგ, წიგნში ნათქვამია „ამქრულ წარმოების წესს არ შეეძლო ახალ ბაზრებით გამოწვეულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება“. რუსულშიაც ასეა. ამხ. ტოროშელიძის თარგმანში კი: „არ შეეძლო დაკმაყოფილებინა ახალი ბაზრების გაჩენით გაძლიერებული მოთხოვნილება“. გერმანულში *anwachsenden Bedarf*“.

კიდევ შეიძლება ბევრი ამონაწერების მოყვანა, საიდანაც შევითვობდით, რომ ეს თარგმანი არის რუსულიდან და არა გერმანულიდან და სრულებითაც არ აქვს საფუძვლათ დადებული ამხ. ტოროშელიძის თარგმანი, მაგრამ ესეც საჭმარისია.


შემდეგ აღსანიშნავია კიდევ ერთი რამ. სიტყვები: „цеховой мастер и подмастерье“ „Zunftbürger und gesel“. ქართულად ნათარგმნია: „ხელოსანი და ქარგალი“. რატომ? რა საბუთით? ქართულად უნდა ყოფილიყო არა

„ხელოსანი“, არამედ „ამქრის ოსტატი“, ხელო-
 სანი სხვა არის და ამქრის ოსტატი კიდევ სხვა.
 ხელოსანი შეიძლება არსებობდეს დღეს განვი-
 თარებულ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მაგრამ
 ამქრის ოსტატი არას შემთხვევაში არ იქნება,
 მაგრამ შეიძლება ესეც სტილის გასწორებას
 ნიშნავდეს. არ ვიცი.

და ბოლოს ერთი კითხვა უნდა დავსვათ, რა-
 ტომ? რისთვის იყო საჭირო პირდაპირ გერმან-

ნ უ ლ ი დ ა ნ ნათარგმნის გველდზე გადაღება და
 ხელახლა რუსულად დასაქმება, ისიც
 მოკვლევებით, და ამავდროულად ვთხოვთ. ტო-
 როშელიძეს თარგმანით გასაღება? განა არ შეი-
 ძლებოდა სტილის მხრივ შესწორება ამხ. ტო-
 როშელიძის თარგმანისა, თუ კი მას ამ მხრივ
 ნაკლი ჰქონდა.

კ. კ—ძე



შინაარსი



I. ქართული ლიტერატურა

გალაკტიონ ტაბიძე — ქარი: ლექსები	ქარქინულის	7
დემნა შენგელაია — სანავარდო (რომანი. გაგრძელება).	გ.ი.გ.ლიქიძის	17
ალ. ქუთათელი — ზამთარი		53
ივ. იოსელიანი — დუელი		55
ინდო სოსანიშვილი — ბრილიანტები		57
მიხეილ ადამაშვილი — ჯავახიშვილი — დაზღვევა		65

II. უცხოეთის ლიტერატურა

ემილ ვერჰარნი — მჭედელი. (თარგმ. კონსტანტინე ჭიჭინაძის)		87
ვალერიან გაფრინდაშვილი — ექსპრესიონისტული ლირიკა		91
ფრანც ვერფელ — ცრემლები. (თარგმ. ვალ. გაფრინდაშვილის)		97
ვალტერ ჰაზენკლევერ — შურის მაძიებელი. (თარგმანი მისივე).		98
იოჰან ბეხერ — შევიწროება. (თარგმანი მისივე)		98
მაქს ბროდ — სამოთხის თევზები საწერ მაგიდაზე (თარგმანი მისივე)		100
მარტინ გუმპერტ — ტაიტი (თარგმ. მისივე)		101
ელზა ლასკერ შიულერ — ქრონიკა (თარგმანი მისივე)		102
ალფრედ ლიხტენშტეინ — კვირა დღის დასასრული. (თარგ. მისივე)		102
ფრანც ვერფელ — მკითხველისადმი (თარგმანი მისივე)		103
ტარახოვ-როდიონოვ — შოკოლადი (დასასრული. თარგმანი)		104

III. მხატვრობა

ი. ტოფაძე — ეროვნული სამხატვრო გალერეია		153
---	--	-----

IV. მონობრაფია

გიორგი ლეონიძე — ივანე მაჩაბელი		159
---	--	-----

V. თეატრი

აკაკი ფალავა — ახალი თეატრი		177
მ. ქორელი — ჩვენი თეატრის დღეინდობის გარშემო		179

VI. მემცნიერება

მოსე გოგიბერიძე — საერთო რელატივობის თეორია		197
სარგის კაკაბაძე — საქართ. ეკონომიურ ვითარების შესახებ მე-18 საუკ.		212
შ. დუდუჩავა — ლენინის ფილოსოფიური შეხედულებანი		243
მ. გ-ძე — იმ. კანტის დაბადებიდან 200 წ. შესრულების გამო		254

VII. კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ი. ვარდინ-მგელაძე — ათას ცხრაას ჩვიდმეტი წელი		263
ვ. ფრიჩე — დასავლეთის ლიტერატურის უმთავრესი მიმდინარეობანი ომის შემდეგ		289

VIII. ბიბლიოგრაფია

რეპროდუქციები: 1) ი. ნიკოლაძე — ლენინის ძეგლის პროექტი, 2) ვ. გუდიაშვილი — კინტოების ქეიფი, 3) გ. გაბაშვილი — სამარყანდი, 4) მრეკლიშვილი — დაბალი ლობე, 5) ძღვე ილიძე — მცხეთობა, 6) ივ. მაჩაბელი (პორტრეტი), 7) იმ. კანტი (პორტრეტი).
 ყდები მხატვარი წილდხანისა.

4.9

1/12

ფანი მარი მანეთი

